-93261-

ვ. კუბლაშვილი, ტ. ჟილავარია

# ლექციების კურსი
# ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი დროის ისტორიაში
# (1815-1870)

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის
სააქციო საზოგადოება „სტამბის"
სამომხმარებლო ცენტრი

ქუთაისი
1998

9(11)3(075.3)
ჩ-872

93261

ბიბლიოთეკა

წინამდებარე ლექციების კურსი შედგენილია უმაღლესი სკოლის ის-
ტორიის სპეციალობის სტედენტებისათვის.
სახელმძღვანელოს გამოცემა ორმა გარემოებამ განაპირობა: ჯერ ერთი,
„ახალი ისტორიის“ პირველი ნაწილი (1640-1870 წ.წ.) ქართულ ენაზე
დღემდე არ გამოქვეყნებულა, და მეორეც. — წიგნზე მუშაობისას შეგ-
ნებულად გადავუხვიეთ „გაკვალული გზიდან“, ანუ უკუვაგდეთ სტერეო-
ტიპი, რომელმაც საბჭოურ პერიოდში დიდი ზიანი მიაყენა ისტორიულ
მეცნიერებას; ამ მიზნით ლექციების კურსი არ გადავტვირთეთ მარქ-
სისტულ-ლენინური „დიადი მოძღვრების ზემნიშვნელობით“ და შეძ-
ლებისდაგვარად გავამდიდრეთ იგი ისეთი ფაქტობრივი მასალით, რომ-
ლითაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე არ იყო „განებივრებული“ „ახალი
ისტორიის“ სახელმძღვანელო.
ვფიქრობთ, წარმოდგენილი ლექციების კურსი რიგიან სამსახურს
გაუწევს ისტორიის მასწავლებლებსა და სტუდენტობას.
ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი საზოგადოება სათანადოდ შეაფასებს
შესრულებულ სამუშაოს და შენიშვნებსაც გაგვიზიარებს.
და ბოლოს, არ გვაქვს მორალური უფლება, ღრმა მადლიერების გრძნო-
ბით არ ვახსენოთ სახელი კაცისა, რომელმაც იტვირთა ჩვენი ნაამაგარის
გამოცემა. ეს ქართველი მამულიშვილი გახლავთ ბ-ნი მიხეილ რეხვიაშვი-
ლი, ქუთაისის იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი და
იმავე უნივერსიტეტის საქართველოს და მსოფლიო ისტორიის კათედრის
გამგე.

ჯ. კუბლაშვილი
ტ. ჭიღვარია

ქუთაისი, 1998 წლის ვარდობისთვე

რედაქტორი მიხეილ რეხვიაშვილი

პატარა ეთერ კუბლაშვილს, ისტორიით გატაცებულ ახალგაზრდობას, აგრეთვე, დაუვიწყარი ლექტორების — შალვა აბრამიძის, ნინო კუბლაშვილისა და ეთერ მეძველიას ნათელ ხსოვნას ეძღვნება ეს წიგნი.

# ვენის კონგრესი

## I

ევროპის სახელმწიფოებიდან 1812 წელს მხოლოდ ორი გაერთიანდა ნაპოლეონის წინააღმდეგ: რუსეთი და ინგლისი. პირველმა ჯერ კიდევ „დიდი არმიის“ ინტერვენციამდე მოასწრო თურქეთთან ზავის დადება და სამხედრო კავშირის გაფორმება შვეციასთან, ხოლო მეორემ, ბატონობდა რა ზღვებზე, სერიოზული საფრთხე შეუქმნა საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს ესპანეთში. საბედისწერო კატასტროფამდე თითქმის მთელი ევროპა ნაპოლეონს მიჰყვებოდა და მისი სატელიტი იყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ „მოხუცი“ კონტინენტი მის წინააღმდეგ დაირაზმა. 1813 წლის თებერვლის ბოლოს პრუსია რუსეთის მხარეზე გადავიდა, ხოლო დრეზდენის[1] ბრძოლის წინ კოალიაციას ავსტრიაც შეუერთდა (12 აგვისტო). მალე ოთხეულმა მთელი გერმანია ააჯანყა და ლაიფციგის „ხალხთა ბრძოლაში“ (1813 წ. 16-18 ოქტომბერი) სასტიკად დაამარცხა ნაპოლეონი. გამარჯვებულებმა გაანთავისუფლეს ჰოლანდია, აიძულეს დანიის მეფე, ფრედერიკ VI, ჩამოცილებოდა საფრანგეთს და შვეციისათვის გადაეცა ნორვეგია; ნეაპოლის შენარჩუნების მიზნით ნაპოლეონს უღალატა სიძემ, მარშალმა მიურატმა, რომელმაც იტალიის მეფისნაცვალს (ნაპოლეონის გერს) ევგენი ბოჰარნეს ომი გამოუცხადა. 1814 წ. იანვარ-თებერვალში ყველასაგან მიტოვებული იმპერატორი უკვე საფრანგეთის მიწაზე დაჭრილი ლმივით ებრძოდა კოალიციის ურდოებს და უარს ამბობდა იმ საზავო პირობებზე, რომლებსაც წინა წლიდან მოყოლებული თავაზობდნენ მოკავშირენი. უარს ამბობდა, რამეთუ თებერვლის იმ დღეებში ნაპოლეონი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და ძალიან ეცოტავებოდა რაინს, ალპებსა და პირინეებს შორის „მოთავსებული“ (ამას მეტერნიხი თავაზობდა) იმპერია. იმპერატორი შამპანის ბატალიების ჟამს იმ აზარტულ მოთამაშეს ჰგავდა, რომელიც ყველაფერს სასწორზე დააგდებს ხოლმე. „ყველაფერი, ან არაფერი!“ — აი, მისი ფატალური გადაწყვეტილება და საფრანგეთის მიწის ყოველ გოჯს განწირული გლადიატორივით იცავდა მაშინ, როდესაც მისი ისედაც პატარა არმია დღითიდღე დნებოდა, ხოლო მოკავშირეთა ძალების უწყვეტი ზრდა ტალეირანის ღალატმაც დააგვირგვინა: პარიზში მყოფმა ექსმინისტრმა ალექსახდრე I-ს შამპანის ველზე ნაპოლეონთან „კენწლაობის“ ნაცვლად დედაქალაქზე ლაშქრობისაკენ მოუწოდა. ტალეირანის აჯამ გაჭრა: მოკავშირეებმა არმიის მცირე ნაწილი შეატოვეს იმპერატორს, მთავარი ძალები კი პარიზზე დაძრეს. 31 მარტს ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის მხედრიონი საფრანგეთის დედაქალაქში შევიდა. ტალეირანის კარნახით სენატმა იმპერია და ნაპოლეონი, რომელიც იმ მძიმე წუთებში ფონტენებლოში ძალებს იკრებდა დედაქალაქის გამოსახსნელად, დამხობილად გამოაცხადა. იმპერატორი მარშლების დაჟინებულ მოთხოვნას დაემორჩილა და 6 აპრილს გადადგა. იმავე დღეს სენატმა მეფედ ლუი XVIII აღიარა. 13 აპრილს ნაპოლეონმა ხელი მოაწერა ე. წ.

[1] დრეზდენთან ბრძოლაში (14-15 აგვისტო) ნაპოლეონმა გაიმარჯვა.

„ფონტენებლოს ხელშეკრულებას“, რომელიც მას საკუთრებაში აძლევდა პატარა კუხძულ ელბას (ბედის ირონია!), რომლისკენაც 20 აპრილს გაეშურა.

ყოფილმა პროვანასის გრაფმა და ახლად გამომცხვარმა მეფემ, ლუი XVIII-მ, ალექსანდრე I-ის დაჟინებული მოთხოვნით, ფრანგებს ლიბერალური „ქარტია“ უბოძა[1], ხოლო 30 მაისს მისმა მთავრობამ და მოკავშირეებმა (ესპანეთმა, პორტუგალიამ, რუსეთმა, ინგლისმა, ავსტრიამ, პრუსიამ და შვეციამ) ხელი მოაწერეს პარიზის ზავს.

პარიზის ტრაქტატით საფრანგეთი თავსდებოდა 1792 წ. 1 იანვრის საზღვრებში და მოკავშირეებს კონტრიბუციის სახით 25 მილიონს უხდიდა (ამ საქმეში ბურბონები ალექსანდრე I-ის დიდსულოვნებამ დაინდო); ჰოლანდიაში გაძეფდებოდა ვილჰელმ ორანელი, გერმანელი მონარქები შექმნიდნენ ფედერაციას, იტალია დანაწევრებულ მდგომარეობაში დარჩებოდა, ხოლო ევროპის საბოლოო რუკას დაადგენდა კონგრესი, რომელიც შემოდგომაზე შეიკრიბებოდა ვენაში. ტრაქტატის საიდუმლო ნაწილი ითვალისწინებდა საფრანგეთის პოლიტიკის შეზღუდვას მომავალ კონგრესზე, სარდინიის (პიემონტის) სამეფოსათვის გენუის, ხოლო ჰოლანდიისა და პრუსიისათვის შესაბამისად მაასისპირა და რაინის მარცხენა ნაპირის პროვინციების გადაცემას. გერმანიის, იტალიისა და პოლონეთის ტერიტორიების განაწილებაზე ტრაქტატი დუმდა და ამ საკითხების გადაჭრას გამარჯვებულნი საფრანგეთის გარეშე აპირებდნენ.

1814 წლის 3 ივნისს ალექსანდრე I, ფრიდრიხ-ვილჰელმ III და ავსტრიის იმპერატორი ფრანც I ლონდონში ჩავიდნენ, სადაც პრინც-რეგენტთან (მომავალ გეორგ IV-სთან) ერთად დაადგინეს შემდეგი: შვეციის სასარგებლოდ დაეთმოთ ნორვეგია, ხოლო ჰოლანდია და ბელგია გაერთიანდებოდნენ ნიდერლანდების სამეფოში. ამრიგად, ვენის კონგრესის გახსნის წინ ევროპის ბედი ოთხი დიდი სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა.

სოლიდარობის მიუხედავად, გამარჯვებულთა შორის თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ და ინტერესთა დაჯახებამ, რომლითაც ჩინებულად ისარგებლა საფრანგეთის წარმომადგენელმა, ბვნევენტის მთავარმა ტალეირან-პერიგორმა.

მაინც რა ინტერესები ამოძრავებდათ გამარჯვებულებს ვენაში ჩასვლამდე? დავიწყოთ დიდი ბრიტანეთით.

იგი დაინტერესებული იყო თავისი საზღვაო და სავაჭრო უპირატესობის განმტკიცებით, დაპყრობილი კოლონიების შენარჩუნებით, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის წინსვლის შეჩერებით, საფრანგეთის ეკონომიკური დასუსტებით, რუსეთისა და საფრანგეთის საზიანოდ პრუსიის გაძლიერებით. ამიტომ, ფორინ ოფისის შეფს, ვიკონტ რობერტ კესტლრის (1769-1822), პრუსიისათვის არ „ენანებოდა“ რაინის მარცხენა ნაპირის გერმანია და საქსონია, რომლის მეფე ფრიდრიხ-ავგუსტი ტყვედ ჰყავდათ მოკავშირეებს. ლონდონის კაბინეტს ხელს აძლევდა, რომ პრუსიას მიეღო პოლონეთის ის მიწებიც, რომლებსაც 1806 წლამდე ფლობდა. რაც შეეხება იტალიას, ბრიტანეთი უარს არ ამბობდა იქ ავსტრიის გაბატონებაზე (იტალია საფრანგეთს სამხრეთიდან „უდარაჯებდა“). საბოლოო ჯამში ინგლისს არბიტრის როლი უნდა ეთამაშა ევროპაში.

ავსტრიის გეგმები:

საფრანგეთს გუშაგებად დაუდგებოდნენ ნიდერლანდები, გერმანიის ფედერაცია, ნეიტრალური შვეიცარია და იტალია. ავსტრიას უნდა შეეჩერებინა პანსლავიზმის შემოტევა, არ დაეშვა მთელი პოლონეთის შეყვანა რუსეთის

[1] რუსთ ხელმწიფეს რევოლუციის ეშინოდა, თანაც იმ დროს ლიბერალობდა.



იმპერიაში და დუნაის სამთავროების გადასვლა ალექსანდრე I-ის გავლენის ქვეშ. ვენა წინ უნდა აღდგომოდა პრუსიის მიერ მთელი საქსონის გადაყლაპვისა და გერმანიაში გაბატონების სურვილებს (მეტერნიხი მზად იყო, პრუსიისათვის „დაეთმო“ საქსონიის 2/5, რაინის მარცხენა ნაპირის პროვინციები და პოლონეთის ნაწილი).

რუსეთის იმპერატორის ინტერესები:

— მთელი პოლონეთის მისაკუთრება;
— პრუსიისათვის საქსონიის (მთლიანად) გადაცემა;
— ოტომანთა იმპერიის მოსპობა.

პრუსიის მესვეურთ ეწადათ:

— საქსონია;
— რაინის პროვინციები;
— ვესტფალიისა და შვედური პომერანიის ტერიტორიები;
— მაინცის, კობლენისა და ლუქსემბურგის ციხესიმაგრეებში თავისი გარნიზონის ჩაყენება;
— გერმანიაში პრუსიის გაბატონება.

აი, ასეთი გეგმებით თუ ინტერესებით შეიკრიბა ვენაში ევროპის დიდი და პატარა სახელმწიფოების (გარდა თურქეთისა) 216 წარმომადგენელი.

მიუხედავად ამკარა, თუ ფარული მეტოქეობისა, ინგლისი, ავსტრია, პრუსია და რუსეთი სოლიდარულნი იყვნენ ერთ საკითხში: თავისი ინტერესების შესაბამისად შეეცვალათ ევროპის რუკა.

ვის შეეძლო წინ აღდგომოდა მათ გეგმებს და დაეცხრო ოთხეულის ანექსიონისტური მისწრაფებები? — პატარა ქვეყნებს, რა თქმა უნდა, არა. ისეთ დიდ სახელმწიფოს, როგორიც იყო საფრანგეთი, არ ჰქონდა უფლება,— რაიმე მოეთხოვა თავისთვის. და მაინც, მისმა წარმომადგენელმა (ტალეირანმა) ჩინებულად ისარგებლა მოკავშირეთა შორის გამწვავებული წინააღმდეგობით და აიძულა ისინი, ანგარიში გაეწიათ დამარცხებული ქვეყნისთვის. ტალეირანმა, ყოველნაირი მანკიერების ამ განსახიერებამ, ვენაში საფრანგეთისათვის პატიოსანი კაცის როლი შეასრულა და კონგრესი დატოვა როგორც ბრწყინვალე დიპლომატმა და რეაბილიტირებულმა პოლიტიკოსმა.

## II

1814 წლის 23 სექტემბერს საფრანგეთის დელეგაცია ტალეირანის მეთაურობით ჩავიდა ვენაში, რომელიც სავსე იყო დიპლომატებით. კონგრესზე ჩამოვიდნენ იმპერატორები, მეფეები და ყველა რანგის (სასულიერო თუ საერო) მთავრები. ომიანობისაგან ჯიბეშეთხელებულ ავსტრიის იმპერატორს ეს „სტუმრიანობა“ 16 მილიონი გულდენი დაუჯდა, მაგრამ ვენა იხტიბარს არ იტეხდა და გაუთავებულ ბალ-მასკარადებში ჩაეფლო. „ვენა სულ ცეკვაშია, საქმე კი ერთ ადგილზე დგას, წინ არ იწევს“. — სამართლიანად შენიშნავდნენ დიპლომატები. ვენაში ყველა ერთობოდა, გარდა ტალეირანისა, — ისედაც კოჭლი ლუი XVIII-ის მინისტრი ცეკვის გუნებაზე არ იყო და არც ეცალა მისთვის. ვენაში იგი გარიყული, იზოლირებული აღმოჩნდა: მას გაურბოდნენ, ნაკლებად იწვევდნენ მიღებებზე და არც ვინმე დადიოდა მასთან, ოტელში. ტალეირანმა ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა და საგანგებოდაც მოემზადა. პირველ რიგში მან საფრანგეთისადმი ნდობა აღადგინა იმ ქვეყნების წარმომადგენლებში, რომლებიც არ შედიოდნენ ოთხეულში, და რომლებსაც არაფრად აგდებდნენ ვენაში. ტალეირანმა მიიმხრო ესპანელი ლაბრადორი და სარდინიის წარმომადგენელი სენ-მარსანი, რომლებიც მას დაწვრილებით ატყობინებდნენ ოთხეულის გეგმებსა და ხრიკებზე, ვენაში ბენევენტის მთავარმა

წინა პლანზე დააყენა ლეგიტიმიზმის პრინციპი. მისი არსი მდგომარეობდა შემდეგში: დაუშვებელია სხვისი ტერიტორიის ხელყოფა, თუ მისი მფლობელი მასზედ არ იტყვის უარს. აქედან გამომდინარე, ყოველ ლეგიტიმურ (კანონიერ) ხელისუფლებას, რომლის მეთაური ნებაყოფლობით არ გადამდგარა ტახტიდან, უნდა დაუბრუნდეს წართმეული. ტალეირანმა ოთხეულს გამოუცხადა, რომ ზავზე ხელისმოწერით აღარ არიან მოკავშირეები და მტრები, რომ პარიზის ტრაქტატის ძალით საერთო სხდომების მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ომში მონაწილე ყველა სახელმწიფომ და საკითხებს მარტო ოთხეული არ უნდა წყვეტდეს.

საფრანგეთის წარმომადგენელმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები და მათგან შექმნა ლიგა, რომელიც მალე ძლიერ ძალად იქცა. ფრანგი დიპლომატი შესანიშნავად იყენებდა მოკავშირეთა შორის არსებულ ჭიშკს და თავისი მოქმედებით კიდევ უფრო აღვივებდა მას. ტალეირანის გეგმის მიხედვით პრუსიას არ უნდა „ჩაეყლაპა" საქსონია, მაინცი და ლუქსემბურგი, ხოლო რუსეთს — პოლონეთი. ბერლინთან მიმართებაში მას მხარი უნდა დაეჭირა ავსტრიის და ბავარიის ანტიპრუსიული პოზიციისათვის, მეორეს მხრივ, არ დაეშვა ავსტრიელთა გაბეტონება შვეიცარიასა და იტალიაში (იტალიის საკითხში საფრანგეთი უნდა დახმარებოდა სარდინიას და ბურბონებს, რომლებიც პარმას, ნეაპოლსა და ტოსკანას მოითხოვდნენ.). ტალეირანი კონგრესის მონაწილეებს მიურატის დამხობისაკენ მოუწოდებდა, ამასთან აფრთხილებდა ყველას, რომ ეს „უზურპატორი" ფარულ კავშირში იყო ელბაზე მყოფ ცოლისძმასთან (ნაპოლეონთან). რაც შეეხება ინგლისთან დამოკიდებულებას, ცბიერმა დიპლომატმა თანდათანობით შეძლო კესტლრის გულის მოგება და საფრანგეთისადმი მისი უნდობლობის გაქარწყლება. მართლაც, ბრიტანელის წინადადებით ტალეირანს ხშირად იწვევდნენ ოთხეულის თათბირებზე, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ გამარჯვებულები უკვე ანგარიშს უწევდნენ დამარცხებულ სახელმწიფოს. ეს საფრანგეთის დელეგაციის მორალური გამარჯვება იყო.

მალე, ტალეირანის წინადადებით, პარიზის ტრაქტატზე ხელისმომწერი 8 ქვეყნის წარმომადგენლებმა შექმნეს კომიტეტი, რომელსაც წინასწარ უნდა შეემუშავებია კონგრესის პლენარულ სხდომებზე გასატანი სამუშაო პროგრამები.

კონგრესი 1 ნოემბერს არ გაიხსნა გაუთავებელი გართობებისა და მონარჭთა შორის ტეტ-ა-ტეტ საკითხთა განხილვების გამო, ეს ცერემონიალი დეკემბრისათვის გადაიდო (კონგრესმა საქმიანი მოღვაწეობა მხოლოდ ტალეირანისა და სხვა წარმომადგენლების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დაიწყო).

## III

მეტერნიხმა მეტად რთული და სახიფათო კომბინაცია წამოიწყო. მან რუსეთ-პრუსიის ალიანსის გათიშვა და მათი მონარქების პოლონურ-საქსონური გეგმების ჩაშლა განიზრახა. მისი აზრით (ამაში მას ტალეირანიც და კესტლრიც მხარს უჭერდნენ), მთელს პოლონეთზე რუსეთის გავლენის გავრცელება ევროპის წონასწორობას დაარღვევდა და საფრთხეს შეუქმნიდა საყოველთაო მშვიდობას[1]. ალექსანდრე I-სა და პრუსიის მეფეს შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით მან ფრიდრიხ-ვილპელმს იმ პირობით შეთავაზა მთელი საქსონია (ეს სამეფო იმ მომენტში რუსეთის ჯარებს ეკავათ), თუ

[1] მეტერნიხის შეშფოთება არ იყო საფუძველს მოკლებული: პოლონეთიდან რუსები თავისუფლად შეიჭრებოდნენ გალიციასა და გერმანიაში.



იგი წინ აღუდგებოდა რუსთხელმწიფის პოლონურ პროექტს. მეტერნიხი იმედოვნებდა შემდეგს: 1. ალექსანდრე I თავის მოკავშირეს არ აპატიებდა ღალატს; 2. საქსონიის ჩაყლაპვას პრუსიის მიერ არ დაუშვებდნენ გერმანული სახელმწიფოები (ბავარია და სხვ.) და საფრანგეთი; 3. პრუსიის იზოლირებით ისარგებლებდა ავსტრია, რომელიც შეეცდებოდა მის მოთოკვას.

მეტერნიხი წინასწარ ზეიმობდა წარმატებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ალექსანდრე I-მა საქსონია პრუსიის ჯარებს დაუთმო, ხოლო პოლონეთში თავად იდგა და არც აპირებდა მის დატოვებას.

ვითარების გამწვავებით ისარგებლა ტალეირანმა და მეტერნიხს ავსტრია-ინგლის-საფრანგეთის სამხედრო კავშირის გაფორმება შეთავაზა. მალე მეტერნიხ-ტალეირანის ალიანსს კესტლრიც შეუერთდა, და 1815 წ. 3 იანვარს იშვა საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო პრუსია-რუსეთის კავშირის წინააღმდეგ. ეს საფრანგეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო. „კოალიცია აღარ არსებობს, — წერდა გახარებული მინისტრი ლუი XVIII-ს, — საფრანგეთი აღარაა იზოლირებული ევროპაში!" მართლაც, 3 იანვრის ურთიერთდახმარების პაქტი ოთხეულის კავშირის დაშლის ტოლფასი და საფრანგეთის დიპლომატის ტრიუმფი იყო (ინგლისთან დაახლოებამ საფრანგეთს დაუბრუნა მარტინიკა, გვადელუპა, გვიანა და სხვა კოლონიები.).

3 იანვრის შეთქმულების მონაწილენი დარწმუნდნენ, რომ პოლონეთისთვის არ ღირდა ომის დაწყება. ამიტომ მათ ალექსანდრე I დაიყოლიეს შემდეგზე: პოზნანი გადაეცა პრუსიისთვის, ტარნოპოლის ოლქი ავსტრიისთვის, ხოლო კრაკოვი ქალაქ-რესპუბლიკად გამოეცხადებინა. რუსთხელმწიფემ დათმო. საქსონიის საკითხში სამეულმა უფრო იოლ წარმატებას მიაღწია: პრუსიის მუდამ მერყეველმა მეფემ თანხმობა განაცხადა მთელი საქსონიის ნაცვლად მისი 2/5 ნაწილის მიღებაზე.

დადგა იტალიის ჯერიც. ეს ქვეყანა ბედის უკუღმართობისა და დიპლომატების წყალობით უბრალო გეოგრაფიულ ცნებად (ტერმინად) დარჩა, რადგანაც ნაპოლეონის მიერ გაერთიანებულ იტალიის სამეფოს კვლავ ელოდა დანაწევრება. მისი ტერიტორიების უდიდეს ნაწილს (ვენეცია-ლომბარდიის მიწებს მდ. ტიჩინომდე) ავსტრია ფლობდა. ტოსკანა გადადიოდა დიდი ჰერცოგის ფერდინანდის (ავსტრიის იმპერატორის ძმის) ხელში; მოდენას ტახტს დაიკავებდა ფრანც დ'ესტე (იმპერატორის ბიძაშვილი), ხოლო პარმისას — მარია-ლუიზა (იმპერატორის ასული და ნაპოლეონის მეუღლე), რომლის გარდაცვალების შემდეგ საჰერცოგო გადავიდოდა ესპანეთის მეფის, ფერდინანდ VII-ის დის, მარია-ლუიზას[1] გამგებლობაში (ამ უკანასკნელმა დროებით მფლობელობაში მიიღო პატარა სამთავრო — ლუკა.).

რაც შეეხება ნეაპოლის სამეფოს, მეტერნიხი მფარველობდა მიურატს, რომლის დამხობას პარიზი მოითხოვდა. მიურატმა იცოდა ამის შესახებ და ჯარებს აგროვებდა (იგი არა მარტო ბურბონთა წინააღმდეგ გამოსვლაზე, არამედ მთელი იტალიის ხელში ჩაგდებაზეც ფიქრობდა).

რა ექნა მეტერნიხს, — დაეცვა „უზურპატორი" (ასე ნათლავდა მიურატს ტალეირანი.), თუ დაპირისპირებოდა ახალ მოკავშირეს და ბოლო მოეღო 3 იანვრის ალიანსისთვის? ეს კიდევ არაფერი, — ტალეირანმა პარმა და ტოსკანა ესპანელი მარია-ლუიზისათვის მოითხოვა (ლეგიტიზმის პრინციპი!) კანცლერი არჩევანის წინაშე დადგა: ან ნეაპოლი უნდა დაებრუნებოდა ფერ-

[1] ინფანტა მარია-ლუიზა პარმის პერცოგის, ლუდოვიკ ბურბონის მეუღლე იყო. ნაპოლეონმა 1801 წ. ამ პერცოგს პარმაში „გაუცვალა" ეტრურიის სამეფო (იგი თავად შექმნა), რომელიც მის ქვრივს, მარია-ლუიზას წაართვა 1807 წ.

დინანდ ბურბონს, ან ავსტრიელები უნდა გამოთხოვებოდნენ პარმას დე ტოსკანას. მან პირველი აირჩია (ე. ი. გასწირა მიურატი) და ჯარები წასწია სამხრეთის მიმართულებით. მისი მოქმედება იმანაც დააჩქარა; რომ შეიტყო მიურატისა და ელბაზე მყოფი ნაპოლეონის მიმოწერაზე (ნაპოლეონის დავალებით მის სიძეს მთელი იტალია უნდა აეჯანყებია ავსტრიელთა წინააღმდეგ.). მიურატმა, აღარ ენდობოდა რა მოკავშირეებს, ჯარების შეგროვება გააგრძელა.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც ნაპოლეონმა დატოვა ელბა და სამხრეთ საფრანგეთში გადმოსხდა. ეს თავზარდამცემი ინფორმაცია მეტერნიხმა 7 მარტის დილის 3 საათზე მიიღო...

პარიზის ტრაქტატზე ხელისმომწერმა 8 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მრისხანე ხასიათის ნოტა გამოაქვეყნეს (13 მარტი), რომელმაც ნაპოლეონი კანონგარეშე გამოაცხადა. მოკავშირეებმა პირობა დადეს, რომ ძალაში დატოვებდნენ პარიზის ზავის პირობებს და დაიცავდნენ ვენაში მისაღებ გადაწყვეტილებებს. ტალეირანი პირველი შეუერთდა კონვენციას (27 მარტი).

მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი პარიზიდან ზავს და მშვიდობას თავაზობდა კოალიციას, მისი არავის სჯეროდა. მან ვერ შეძლო ალექსანდრე I-ის გულის მოგება, რომელსაც 3 იანვრის საიდუმლო შეთანხმების ეგზემპლარი (იგი ლუი XVIII-ს მაგიდაზე დარჩა. გაქცევის ფაცა-ფუცში.) გაუგზავნა, ვერ წაჰკიდა რუსეთი ინგლის-ავსტრიის კავშირს. პირიქით, მან თავისი გამოჩენით კიდევ უფრო დარაზმა კოალიცია საფრანგეთის წინააღმდეგ. ალექსანდრე I-მა მეტერნიხს შეუნდო ინტრიგა და ჯარების კონტიგენტი გაზარდა პოლონეთში, ხოლო პრუსია უკვე მზად იყო საფრანგეთში შესაჭრელად (აპრილი). ავსტრიაც მოემზადა, მაგრამ მიურატის ნაადრევმა გამოსვლამ იტალიაში ჩაშალა ავსტრიელთა ინტერვენციონისტული გეგმა. მართალია, მიურატი დამარცხდა და ტახტიც დაკარგა (ნეაპოლში ფერდინანდ IV დაბრუნდა.), მაგრამ მისმა გაბრძოლებამ ნაპოლეონი ერთ იმპერიასთან ომს მაინც განარიდა...

საფრანგეთის მტრებს შორის ყველაზე აგრესიულობით პრუსიის გენერალიტეტი გამოირჩეოდა. ფელდმარშალმა ბლიუხერმა და სხვებმა ნაპოლეონის პარიზში ტრიუმფით შესვლაში ფრანგი ხალხი დაადანაშაულეს და მისი დასჯა მოითხოვეს. მართალია, სხვები პრუსიელებივით არ აყვირებულან, მაგრამ გენტში თავშეფარებულ ლუი XVIII-ს აგრძნობინეს, რომ მოკავშირეები უეჭველად გადასინჯავდნენ პარიზის ტრაქტატს.

საომარი მოქმედების დაწყების წინ მონარქებმა თითქმის, ან თითქმის გადაწყვიტეს ყველა საკითხი. „1815 წ. 9 ივნისის დასკვნითი აქტით“, რომელსაც ხელი მოაწერეს 8 სახელმწიფოს მეთაურებმა, რუსეთს გადაეცა პოლონეთი (ვარშავის დიდი საჰერცოგო) ტორნის (პრუსიამ მიიღო.), აღმ. გალიციის (ავსტრიამ მიიღო.) და კრაკოვის (იგი ქალაქი-რესპუბლიკა იქნებოდა) გამოკლებით; პოლონეთის სამეფოს იმპერატორი უბოძებდა კონსტიტუციას და პრივილეგიებს; მის მდინარეებზე დაწესდებოდა თავისუფალი ნაოსნობა. შენარჩუნებულ იქნა საქსონიის სამეფოც, მაგრამ მისი 2/5 ნაწილი პრუსიის მეფის ხელში გადავიდა. მანვე მიიღო შვედური პომერანია, ვესტფალიის დიდი ნაწილი, რაინის მარცხენა ნაპირი კობლენცით, კობლენცით, ტრირით და ახენით. ჰანოვერის (ინგლისის მეფეთა მამული) საკურფიურსტო სამეფოდ აქციეს (მას ჩამოერთვა ლაუენბურგის საჰერცოგო დანიის სასარგებლოდ, რომელმაც, თავის მხრივ, პრუსიას დაუთმო შვედური პომერანია.). ფრანკფურტი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა. ნიდერლანდების მეფემ მიიღო ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, იგი გერმანიის კავშირის წევრი იქნებოდა, ხოლო მისი



ლედაქალაქი, — ლუქსემბურგი, — საკავშირო ციხესიმაგრე. შვეიცარია აღიარებულ იქნა ნეიტრალურ კონფედერაციად 22 კანტონის შემადგენლობით (მათ შორის ახლები იყვნენ ჟენევა, ვალისი და ნევშატელი). კანტონები მიიღებდნენ საკუთარ კონსტიტუციებს და, საერთო არმიის შენახვისა და საგარეო პოლიტიკის გარდა, დამოუკიდებელი იქნებოდნენ. სარდინიას გადაეცა გენუა და სავოია (მისი ნაწილი დაუტოვეს საფრანგეთს). ავსტრიას იტალიაში დაუბრუნეს ყველა ის სამფლობელო, რომელიც მისი იყო 1805 წელს; მასვე გადაეცა რაგუზა ადრიატიკის ზღვაზე. დიდმა ჰერცოგმა ფერდინანდმა მიიღო ტოსკანა, ფრანც დ'ესტემ — მოდენა და რეჯო, ხოლო მარია-ლუიზამ — პარმა, პიაჩენცა და გვასტალა.

სარდინიის (პიემონტის) სამეფოს ტახტის მემკვიდრეობის საკითხში საფრანგეთის პოლიტიკამ გაიმარჯვა: კონგრესმა სავოიელთა დინასტიის მემკვიდრედ (მომავალ მეფეს, — კარლოს-ფელიქსს, — შვილები არ ჰყავდა) მათი უმცროსი ხაზის ნათესავი კარლოს-ალბერტი სავოიელ-კარინანი[1] აღიარა და არა ჰაბსბურგთა წარმომადგენელი დ'ესტეს გვარიდან.

კონგრესმა და მისმა სამუშაო კომიტეტმა არაერთი სხდომა მიუძღვნა გერმანიის საკითხს. გერმანული სული, პატრიოტები და ყველა ის, ვინც ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა ქვეყნის განთავისუფლებისათვის, ცალსახად მოითხოვდნენ ძლიერი, ერთიანი და კონსტიტუციური სახელმწიფოს შექმნას. მაგრამ არც ფეოდალური აბსოლუტიზმის იდეებზე აღზრდილ გერმანულ მონარქებს (მათი პარტიკულარიზმი და დამოუკიდებლობა ვერ იგუებდა ცენტრალიზებულ ხელისუფლებას.) და არც მათ მეზობლებს (რუსეთს, საფრანგეთს, დანიას და სხვ.) არ სურდათ ეს. გარდა ამისა, თვით ავსტრია და პრუსია იყვნენ წინააღმდეგნი გერმანიის იმპერიის აღდგენისა და იმპერატორის ტიტულის ჰაბსბურგების ან ჰოჰენცოლერნების ხელში გადასვლისა. ასე რომ, ოცნებამ გერმანიის იმპერიის აღდგენაზე ისეთივე მარცხი განიცადა, როგორც ხალხების სურვილმა,-მიეღოთ დაპირებული ლიბერალური კონსტიტუციები:

მაშ, რა სურდათ გერმანელ მონარქებს? — მხოლოდ ერთი: შეექმნათ უხერხემლო გერმანული ფედერაცია (კავშირი), რომელიც ხელს შეუწყობდა „მშვიდობის დამყარებას“ ევროპასა და გერმანიაში („მშვიდობის დამყარებაში“ ისინი რევოლუციური, ლიბერალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას გულისხმობდნენ).

ამ მიზნით, 8 ივნისს 34 მონარქმა და ოთხმა თავისუფალმა ქალაქმა (ბრემენი, ფრანკფურტი, ლიუბეკი და ჰამბურგი) შეადგინეს კავშირი „გერმანიის უშიშროების, ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ხელშეუვალობის დაცვისათვის“. როგორც ვხედავთ, აქტში სიტყვაც არაა თქმული საკავშირო სახელმწიფოზე, უბრალოდ ეს იყო ეფემერული თვითმპყრობელი მონარქების დიპლომატიური კავშირი ხალხის (იგი „არასრულწოვნად“ მიიჩნიეს!) ნებისა თუ უფლებების იგნორირებით. კავშირის საქმეებს წარმართავდა საკავშირო სეიმი, რომლის სხდომებში მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოს წარმომადგენლები (და არა ხალხების მიერ არჩეული დეპუტატები). სეიმის აღგილსამყოფელად განაწესეს მაინის ფრანკფურტი, ხოლო მის მუდმივ თავმჯდომარედ — ავსტრიის წარმომადგენელი. სეიმის საერთო კრება, ანუ პლენუმი, ვალდებული იყო მოესმინა კავშირის ნებისმიერი წევრის წარმომადგენლისთვის, ან მიეღო ისეთი კანონები, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ ფედერაციის ინტერესებს. სეიმის წევ-

[1] ეს დინასტია ფრანგული ორიენტაციის იყო.

რები პირობას დებდნენ, რომ დაიცავდნენ გერმანიის მთლიანობას და დაეხმარებოდნენ ერთმანეთს სამხედრო ძალით, თუმცა ყველა მათგანმა შეინარჩუნა დამოუკიდებელი პოლიტიკის (თუ იგი არ ეწინააღმდეგებოდა გერმანიის კავშირის ინტერესებს) გატარების უფლება. გერმანიის კავშირს არ გააჩნდა ერთიანი არმია, საერთო სასამართლო და საბაჟო სისტემა. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის შექმნით შემცირდა გერმანული სახელმწიფოებისა და სამთავროების რიცხვი, ქვეყანა მაინც დანაწევრებულ მდგომარეობაში დარჩა.

კონგრესმა სკანდინავიის საკითხიც გადაწყვიტა: შვეციას ფინეთის დაკარგვის (იგი რუსეთმა შეიერთა) სანაცვლოდ მისცა ნორვეგია, ხოლო დანიის შემადგენლობაში მყოფი ჰოლშტაინის საჰერცოგო გერმანიის კავშირში შეიყვანა. კონგრესზე იყო მცდელობა მონებით ვაჭრობის აკრძალვისა (ინგლისმა ეს სამარცხვინო საქმე 1807 წ. გააუქმა), მაგრამ ესპანეთისა და პორტუგალიის (მათ ტალეირანიც მიემხრო) წინადადებით მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც ყოველ სახელმწიფოს აძლევდა უფლებას — თავად განესაზღვრა მონებით ვაჭრობის ლიკვიდაციის ვადები.

1815 წ. მარტშივე შეიმუშავეს კონვენცია დიპლომატიური რანგების (ელჩი, დესპანი, სრულუფლებიანი რწმუნებული, კონსული) შემოღების შესახებ. შეთანხმება დღესაც ძალაშია.

## დასკვნები

გენერალურ აქტზე ხელის მოწერისას მოკავშირეთა დიპლომატები გულწრფელი იყვნენ ერთ სურვილში: ნაპოლეონის ცეზარისტული რეჟიმის შეცვლით ევროპაში დიდი ხნით დაემყარებინათ წონასწორობა და მშვიდობა, ანუ გაეხანგრძლივებინათ თავიანთი სტომაქის მაძღარ მდგომარეობაში ყოფნა. მაგრამ ვენის სისტემის შენობა ისეთ ფუძე საძირკველზე იქნა აგებული, რომ მას გარდაუვალი დანგრევა ეწერა.

ჯერ ერთი, — მონარქებმა ხალხების დაუკითხავად გათიშეს და ერთმანეთში დაინაწილეს ისინი. ე. ი. მოსალოდნელია ეროვნული მოძრაობები და რევოლუციები;

მეორე, — საფრანგეთი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენეს, ყოველთვის შეეცდება 1815 წ. ტრაქტატების ლიკვიდაციას;

მესამე, — კოალიციის წევრთა სოლიდარობა დროებითია და ვენის სისტემას სწორედ მისი შემქმნელები დაანგრევდნენ, და აი, რატომ:

ა) ინგლისი ნიდერლანდების მეშვეობით ზეწოლას ახდენს საფრანგეთზე, ხოლო ჰანოვერით (ის ხომ ბრიტანელთა მეფის მამულია) — პრუსიაზე. იგი ბატონობს ხმელთაშუა ზღვაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და თანაუგრძნობს მათ კოლონიებში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (ინგლისს იქაური ბაზრების ხელში ჩაგდება ამოძრავებს);

ბ) რუსეთი ფინეთიდან ემუქრება შვეციას, ხოლო პოლონეთიდან — მთელს გერმანიას. რუსეთს სურს პორტას დანგრევა, ბალკანეთში და სრუტეებში გაბატონება. ამ მიზნით იგი ეჭომაგება თურქეთში მცხოვრებ ქრისტიანებს, ხოლო ავსტრიის იმპერიაში ხელს უწყობს (აქეზებს) პანსლავიზმს;

გ) ავსტრიის იმპერიის უღელქვეშ მყოფი ხალხები (უნგრელები, იტალიელები, სლავები, რუმინელები) დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ხოლო გაუმაძღარი პრუსია გერმანიის კავშირიდან ავსტრიის გამოძევებას და ფედერაციაში თავისი ჰეგემონიის დამყარებისათვის იღვწის.

დ) პრუსია ცდილობს გადაყლაპოს ის გერმანული მიწები (land), რომლებიც მის დასავლურ და აღმოსავლურ ტერიტორიებს შორის მდებარეობს.



ბერლინის მთავარი ამოცანაა — თავისი ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანება და საფრანგეთის სუსტი მდგომარეობის შენარჩუნება;

ე) საფრანგეთის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მოსპოს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებები, აღადგინოს თავისი ძლიერება, ავტორიტეტი და წამყვანი როლი ითამაშოს ევროპულ სახელმწიფოთა კონცერტში.

ვფიქრობთ, ეს არგუმენტები კმარა.

## სალვთო კავშირის შექმნა. პარიზის მეორე ზავი

### I

ველინგტონისა და ბლიუხერის არმიებმა სასტიკად დაამარცხეს ნაპოლეონი ვატერლოოსთან (18 ივნისი) და მოკავშირეებს საშუალება მიეცათ, თავიანთი პირობები ეკარნახებინათ საფრანგეთისთვის. ისინი საერთოევროპული პრობლემის გადაჭრის გარანტიას ნაპოლეონისა და მისი დინასტიის საბოლოო დამხობაში ხედავდნენ. ამ საქმეში მათ საკანონმდებლო კორპუსიც (ლაფაიეტი და სხვები) დაეხმარა, რომელმაც აიძულა იმპერატორი მეორედ გადამდგარიყო (22 ივნისი). 15 ივლისს ნაპოლეონი ნებაყოფლობით ჩაბარდა ინგლისელებს. მოკავშირეებმა იგი, ვითარცა ყველაზე საშიში ტყვე, წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სადაც ოთხეულის აგენტების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა.

4-6 ივლისს ინგლისისა და პრუსიის ჯარებმა კვლავ დაიკავეს პარიზი, ხოლო 8-ში ლუი XVIII-მ, უცხოელთა ხიშტების წყალობით, მეორედ შეაღო ტიუილრის სასახლის კარები.

ბურბონების დაბრუნებისთანავე ქვეყანაში სასტიკი ტერორი გაჩაღდა, — რესტავრირებულმა რეჟიმმა უმკაცრესი ანგარიშსწორება მოუწყო ნაპოლეონის ასდღიანი მმართველობის მომხრეებს (სიკვდილით დასაჯა ნეი, დრუო, ბრიუნი და სხვ.), დაშალა არმია, რითაც მწვანე შუქი მისცა ოკუპანტების მიერ მთელი საფრანგეთის დაკავებას და მოსახლეობის არნახულ ძარცვას.

ლუი XVIII-ის ტალეირან-ფუშეს მთავრობა ამაოდ შეეცადა თავსმოხვეული კონტრიბუციის შემცირებას, პირიქით, მოკავშირეებმა იმდენი მიიღეს, რამდენიც მოითხოვეს.[1]

გრძნობდნენ რა უკმაყოფილო ერის ზიზღსა და რევოლუციური სიტუაციის მომწიფების საშიშროებას, მონარქებმა საზავო მოლაპარაკების დაწყება ამჯობინეს მრისხანე პარიზში დიდი ხნით დარჩენას. ამ მიზნით ოთხეულმა შექმნა ოფიციალური კომისია, რომელსაც საზავო პირობები უნდა ეკარნახებია ტიუილრის კაბინეტისათვის.

ვენის მსგავსად პარიზშიც იჩინა თავი უთანხმოებამ. თუ პრუსია და ბრიტანეთი საფრანგეთის ტერიტორიულ დაპატარავებას, ანუ მისგან ელზასის, ლოტარინგიის, ფრანშ-კონტეს, ბურგუნდიისა და შამპანის ნაწილის ჩამორთმევას მოითხოვდნენ, რუსთხელმწიფე და ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი ზომიერების პოზიციაზე იდგნენ (ალექსანდრე I-ს საფრანგეთის თანადგომა

[1] საოკუპაციო ჯარების სარდალმა, პერცოგმა ველინგტონმა ჯარისკაცებს გაძარცვინა მუზეუმები, სადაც ხელოვნების შედევრები ინახებოდა (კოალიციამ ის განძეულობა პარიზის პირველი ტრაქტატით დაუტოვა საფრანგეთს).

სჭირდებოდა ინგლისთან ჭიდილში და თავისი აღმოსავლური გეგმების განხორციელებაში). ბოლოს რუსეთის იმპერატორმა იმით დააცხრო კესტლრის „ძადა“, რომ იონიის კუნძულებზე ბრიტანეთის პროტექტორატის დამყარებაში აღუთქვა სიტყვის შეწევნა.

მიუხედავად კომპრომისებისა, ის კოლექტიური ულტიმატუმი, რომელიც კოალიციამ 20 სექტემბერს წაუყენა ლუი XVIII-ის მთავრობას, ძალიან მძიმე იყო, რადგანაც მისი ძალით საფრანგეთს ჩრდილოეთში უნდა დაეთმო კონდეს, ჟუს, ფილიპვილის და მარიენბურგის სიმაგრეები, აღმოსავლეთში — საარლუი, ლანდაუ და ეკლიუზი, ხოლო სამხრეთში — სავოიის ის ნაწილიც, პარიზის პირველი ზავით რომ დაუტოვეს მას. გარდა ამისა, საფრანგეთი 600 მილიონი ფრანკით აანაზღაურებდა მოკავშირეთა სამხედრო ხარჯებს, ორასი მილიონით კი — მის საზღვრებთან სიმაგრეთა მშენებლობას. და კიდევ: იგი 7 წლით შეინახავდა საოკუპაციო არმიას (150 ათას კაცს), რომელსაც მოკავშირეები გაიყვანდნენ სამი წლის გასვლის შემდეგ, თუ იმ დრომდე ქვეყანაში არსებული ვითარება დამატებითი ზომების მიღებას არ მოითხოვდა.

ტალეირანის პროტესტებსა და პროვოკაციულ გამოხტომებს მისი გადაყენება მოჰყვა[1] (გამართლდა ნაპოლეონის წინასწარმეტყველება: ბურბონები მას გამოიყენებენ და მერე გააგდებენო).

26 სექტემბერს ლუი XVIII-მ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ჰერცოგი რიშელიე (1766-1842), რომელიც ალექსანდრე I-ის პროტეჟე და მეგობარი იყო (რიშელიეს ემიგრაციაში ყოფნისას ოდესის გენერალ-გუბერნატორის პოსტი ეკავა). მისმა დანიშვნამ საფრანგეთს დიდი შეღავათები მოუტანა. 2 ოქტომბრის აქტით მას დაუტოვეს კონდე, ჟუ, ეკლიუზი, ასი მილიონით შეუმცირეს კონტრიბუცია და ორი წლით საოკუპაციო ვადები (შეიძლებოდა მათი სამ წლამდეც დაყვანა).

ამრიგად, საზავო ტრაქტატი ძირითად მონახაზებში გასრულებულ იქნა[1]. მონარქებმა წვრილმანი დეტალების შემუშავება და ზავზე ხელის მოწერა თავიანთ დიპლომატებს მიანდეს და პარიზის დასატოვებლად განეწყვნენ.

## II

ბარგი გამზადებული იყო, მაგრამ მეფე-იმპერატორთა გამგზავრება ალექსანდრე I-ის ერთმა კაპრიზმა გადადო: რუსთხელმწიფემ ჯიუტად გადაწყვიტა, — დარჩენილიყო პარიზში მანამ, სანამ გამარჯვებული მონარქები საზეიმოდ არ დააფიქსირებდნენ ერთურთისადმი ურყევ ძმობას და სოლიდარობას.

ალექსანდრე I-ის მისტიკურ-რელიგიური ხასიათის დეკლარაციას, ანუ საღვთო კავშირის ტრაქტატს, რომელსაც 26 სექტემბერს ხელი მოაწერეს მისმა ავტორმა, ფრანც I-მა და ფრიდრიხ-ვილჰელმ III-მ, ახალი პოლიტიკის როლი უნდა ეთამაშა XIX საუკუნეში. იგი იწყებოდა მადლიერების გამოხატვით ღმერთისადმი, რომელმაც მოწყალე თვალით გადმოხედა მოკავშირეებს ნაპოლეონთან ომებში. მონარქებმა თავიანთ კავშირს საფუძვლად დაუდეს

[1] მანამდე ბურბონებმა ფუშე მოიცილეს თავიდან.

[2] 1815 წ. 20 ნოემბერს გამარჯვებული სახელმწიფოების წარმომადგენლებმა და საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწერეს პარიზის მეორე ზავს, რომელიც განმეორება იყო 2 ოქტომბრის საზავო პირობებისა; ამიტომ პარიზის მეორე ზავზე ცალკე მსჯელობა ზედმეტად მიგვაჩნია.



ქრისტიანობის ჭეშმარიტებანი და საზეიმოდ განაცხადეს, რომ ტრაქტატის მეშვეობით წარმართავდნენ თავიანთი ქვეყნების ბედს და ურთიერთშორის დამოკიდებულებაში სიყვარულის, სიმართლისა და მშვიდობის მარადიული პოსტულატებით იხელმძღვანელებდნენ. გვირგვინოსნები ვალდებულებას იღებდნენ იმის თაობაზე, რომ მუდამ იქნებოდნენ კავშირში და ერთმანეთს ყოველთვის და ყველგან გაუწევდნენ დახმარებას.

გარდა ამისა, ისინი თავიანთი ქვეშევრდომებისაგან მოითხოვდნენ ისეთ მორჩილებას, როგორსაც ქრისტიანული წესის მიხედვით იმსახურებს გვარის უფროსი ოჯახის უმცროსი წევრებისაგან. დასკვნით ნაწილში სამივე მონარქი საღვთო კავშირში შესვლისაკენ მოუწოდებდა ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოს.

რას ისახავდა მიზნად ალექსანდრესეული მისტიკური ხასიათის ფრაზეოლოგია, ან რა იმალებოდა მის უკან?

საზოგადოების ერთი ნაწილი მასში თურქთა იმპერიაზე რუსთხელმწიფის ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის სურვილს ხედავდა, ლიბერალური ნაწილი კი თავისუფლებათა იდეების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ვარაუდობდა.

მართლაც, ალექსანდრე I-ის მიმართ გამოთქმული ვარაუდები სულ მალე მის პრაქტიკულ მოღვაწეობაში გაცხადდება: ოტომანთა პორტას დანგრევა და რევოლუციური, ლიბერალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის ამოსავალ წერტილად იქცევა[1].

საღვთო კავშირს ბრიტანეთის გარდა ევროპის ყველა ქრისტიანული ქვეყანა შეუერთდა (ზოგმა მონარქმა იმიტომ მოაწერა ხელი ტრაქტატს, რომ იგი არასერიოზულ დეკლარაციად, მიიჩნია, ზოგმა კი რუსთხელმწიფეს ხათრი არ გაუტეხა)[2].

ერთი შეხედვით ამ რელიგიურ სამოსელში გახვეულ აქტს არანაირი კანონიერი ძალა არ გააჩნდა, მაგრამ მოკლე ხანში რეაქციული მონარქების ხელში იგი ისეთ მძლავრ იარაღად გადაიქცევა, რომლის გამოყენებით რომანოვები, ბურბონები, ჰაბსბურგები და ჰოჰენცოლერნები მთელი სისასტიკით დათრგუნავენ ხალხების ლტოლვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

პარიზიდან გამგზავრების წინ მონარქებმა დაადგინეს, რომ სასწრაფოდ მოიწვევდნენ კონგრესებს, როგორც კი ევროპის „სიმშვიდესა და წონასწორობას“ რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა.

## ბიბლიოგრაფია


1. Ш. Талейран. Мемуары, М., 1959.
2. А. Дебидур. Дипломатическая история Европы. Т. I. М., 1947.
3. История XIX века (под редакцией Лависса и Рамбо). Т. 3. М., 1938.
4. История дипломатии. Т. I, М., 1964.
5. А. Манфред. Наполеон Бонапарт. М., 1980.
6. Е. Тарле. Талейран. Соч., в 12 т. М., 1957-1962, т. XI.
7. Его же, Наполеон. Соч., т. VII.


[1] იხ. „საერთაშორისო ურთიერთობანი 1815-1830 წლებში“.

[2] ინგლისის პრინცმა-რეგენტმა იმიტომ არ მოაწერა ხელი საღვთო კავშირის დეკლარაციას, რომ თავი აარიდა საპარლამენტო დებატებს, სამაგიეროდ ალექსანდრე I-ს აცნობა, რომ პირადად იწონებდა კავშირის პრინციპებს.

# ინგლისი 1815-1860 წლებში

## ინგლისის ეკონომიკური განვითარება

XIX ს. დამდეგს ინგლისი კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების სტადიაში შევიდა, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში იქ არსებითად დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება. მანქანური ტექნიკით აღჭურვილმა საფეიქრო წარმოებამ, განსაკუთრებით ბამბეულის პროდუქციის დამზადებამ, გაბატონებული პოზიცია დაიკავა, თუმცა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს ინდუსტრიის ისეთმა დარგებმაც, როგორიცაა მანქანათმშენებლობა, დაზგათმშენებლობა, რკინიგზების გაყვანა (მსოფლიოში პირველი რკინიგზა ინგლისში გაიყვანეს 1821 წ., ხოლო პირველი ორთქლმავალი სტივენსონმა ააგო 1814 წ.). ამ უკანასკნელმა ერთმანეთს დაუკავშირა ქვეყნის სამრეწველო რაიონები და ხელი შეუწყო საშინაო ბაზრის განმტკიცებას. ფულტონის ორთქლის გემის გამოჩენამ გააქტიურა არხების მშენებლობა. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სასუქების გამოყენებამ მაღალ დონეზე აიყვანა მოსავლის აღება. (იზრდებოდა ექსპორტი, სამრეწველო ნაწარმის საზღვარგართ გატანა.) ეკონომიკის აღმავლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეცნიერული აზროვნების ევოლუციასთან, ფიზიკის, ქიმიის და საბუნებისმეტყველო ცოდნით დაინტერესებასთან. ამ ფონზე უდაოდ ბრწყინავს ცნობილი მეცნიერის, მაიკლ ფარადეის სახელი.

XIX ს. პირველი ნახევრიდან ინგლისის მოსახლეობამ 21 მილიონს გადააჭარბა; 1851 წლისათვის ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობამ 43%-ს მიაღწია, ხოლო შრომაში დასაქმებული პირთა რიცხვმა — 5 მილიონს.

ეკონომიკის სწრაფმა განვითარებამ წინა პლანზე დააყენა გამდიდრებული და მოღონიერებული სამრეწველო ბურჟუაზია. საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და პოლარიზაცია სულ უფრო და უფრო მკვეთრ სახეს ღებულობდა. რიცხობრივად მზარდი პროლეტარიატი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი სამუშაო დღე 12-დან 16 საათამდე გრძელდებოდა, ხოლო თვიური ჯამაგირი ოჯახის გამოსაკვებადაც არ კმაროდა. წარმოებაში გამოიყენებოდა ბავშვისა და ქალის შრომა, მათ გაცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე მამაკაცებს. ამას ისიც ემატებოდა, რომ არ არსებობდა შრომის კანონმდებლობა და უსაფრთხოების გარანტიები. ასეთი ყოფის პასუხად გახშირდა პროლეტარიატის საპროტესტო და სტიქიური გაძოსვლები, მანქანა-დანადგარების და საამქროების მსხვრევა, რასაც ხელისუფლება სასტიკი ზომების გატარებით, სიკვდილით დასჯითაც კი ახმობდა.

ხანგრძლივი ომი, რომელსაც ბრიტანეთი ეწეოდა საფრანგეთის წინააღმდეგ, მისი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ ომს და ბლოკადას უკვალოდ არ ჩაუვლია: მოიშალა ფინანსური სისტემა, სახელმწიფო ვალმა ანახულ ზღვარს მიაღწია, 1816-1817 წ.წ. და 1819 წ. იფეთქეს მძლავრმა ეკონომიკურმა კრიზისებმა. მმართველი წრეები კრიზისიდან გამოსავალს მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაზრდით ცდილობდნენ. მათ ომის დროს დადგენილი საშემოსავლო გადასახადები აქციზებით (არაპირდაპირი დაბეგვრით) შეცვალეს, ხოლო 1815 წ. პარლამენტმა მიიღო „პურის კანონები“, რომლებიც მაღალპროტექციონისტულ ბაჟებს აწესებდნენ პურის იმპორტზე. ამ კანონმდებლობამ ინგლისში ხორბლის შეტანა შეამცირა და გაამდიდრა მსხვილი მიწათმფლობელური არისტოკრატია, რომელიც აძვირებდა ათიათასობით მუშის უმთავრეს საარსებო წყაროს-პურს. აგრარულმა პროტექციონიზმმა სამრეწველო ბურჟუაზიის აღფშოთება გამოიწვია, რადგანაც პურზე ფასების ზრდის გამო მას უნდა გაედიდებია, მუშათა ხელფასი და მეტი გადაეხადა გაძვირებულ სამრეწველო ნედლეულში.



## 1815-1820 წ. წ. დემოკრატიული მოძრაობა

ეკონომიკურმა კრიზისებმა, მუშათა სტიქიურმა გამოსვლებმა და რადიკალური ბურჟუაზიის საპროტესტო დემარშებმა კიდევ უფრო გაამწვავეს ვითარება. გაძლიერდა რადიკალური წრეების აგიტაცია საყოველთაო საარჩევნო უფლებათა და სხვა დემოკრატიული რეფორძების სასარგებლოდ. გაღვივებულ დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაებნენ როგორც წვრილბურჟუაზიული ელემენტები, ასევე მშრომელებიც. საერთოდემოკრატიულ მოძრაობაძი დიდი ხვლილი ძეიტანა ნიჭიერმა ჟურნალისტმა უილიამ კობეტმა (ის თანამშრომლობდა ჟურნალთან „ყოველკვირეული პოლიტიკური დამკვირებელი“), რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ინგლისში შექმნილ სიტუაციას და მოითხოვდა საპარლამენტო რეფორმების გატარებას. კობეტის პუბლიკაციებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს მასებზე და მათში აქტიური ბრძოლის სურვილი გააღვიძეს.

(1816-1817 წლები ფართო საგაფიცვო მოძრაობით აღინიშნა. მთავრობა გაფიცულთა წინააღმდეგ პოლიციას და არმიას იყენებდა. გლაზგოში (შოტლანდია) საქმე სისხლისმღვრელ შეტაკებამდეც კი მივიდა.) ბირმინჰემში საგაფიცვო მოძრაობა (გაიშალა,) ხოლოდ ლონდონში — დემონსტრაციები და მიტინგები. (ყველა ამ გამოსვლას) ტორების ოლიგარქიულმა (მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით უპასუხა). პარლამენტმა ერთი წლით შეაჩერა კანონი პირადი ხელშეუვალობის შესახებ (Habeas corpus Act) და ადგილობრივ ხელისუფლებას მიტინგებისა და კრებების დარბევის უფლებები მიანიჭა.

(1819 წ. სიტუაციის გამწვავებას) მღელვარებებისა და (დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა მოჰყვა: მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართულ მიტინგებზე გადაჭრით მოითხოვდნენ „პურის კანონების“, საეკლესიო მეათედისა და უმუშევრობის ლიკვიდაციას, დემოკრატიული რეფორმების გატარებას და მშრომელთა მძიმე ხვედრის შემსუბუქებას. მოძრაობის მონაწილეთა შორის დაიბადა აზრი ახალი, დემოკრატიული პარლამენტის არჩევის შესახებ.)

სახალხო მასების დაშინებისა და დემოკრატიული გამოსვლების ერთხელ და სამუდამოდ აღკვეთის მიზნით (1819 წ. 16 აგვისტოს პოლიციამ და ჯარმა ძალის გამოყენებით დაარბიეს პიტერსფილდში[1] (მანჩესტერთან ახლოს) შეკრებილი მასობრივი მიტინგი, რომელშიც 140 ათასზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა. ანგარიშსწორების შედეგად დაიღუპა 15 მომიტინგე, ხოლო ოთხასამდე — დაიჭრა. პეტრეს ველზე ძალის გამოყენებას ხალხმა ირონიულად „პიტერლოო“ უწოდა ვატერლოოს ბრძოლის ანალოგიით.) („პიტერლოოს“ შედეგად საპროტესტო მიტინგები მოჰყვა, ხოლოდ დიდმა პოეტმა შელიმ ტრაგედიის მსხვერპლთ უძღვნა „სიმღერა თავისუფლების დამცველებს“. (მთავრობა კვლავ გადავიდა რეპრესიებზე, მან აკრძალა მიტინგები და შეზღუდა თავისუფალი პრესის მოღვაწეობა. ტორების ეს დრაკონური კანონები დემოკრატიულმა ძალებმა „პირის აკვრის“ აქტების სახელით მონათლეს.)

## 20-იანი წლების რეფორმები

(XIX ს. 20-იან წლებში ინგლისი,) თანდათანობით ძლევდა რა ეკონომიკურ სიძნელეებს, (მრეწველობის აღმავლობის ფაზაში შევიდა. ბრიტანული პროდუქცია ძირითადად მის კოლონიებსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში საღდებოდა.) ეკონომიკურმა კონიუნქტურამ პოლიტიკური დაძაბულობის შერ-

[1] პიტერსფილდ — წმ. პეტრეს ველი.

ბილება გამოიწვია. პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილმა საჭიროდ ჩათვალა უმნიშვნელო რეფორმების გატარებით საძრეწველო ბურჟუაზიის დაძრძმინება და დემოკრატიული მოძრაობის დამუხრუჭება. სამანქანო წარმოებაზე გადასული სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესები დამცველებს პოულობდა არა მარტო ოპოზიციურ ვიგებში, არამედ ტორების პარტიაშიც, რომლის შიგნით ე. წ. „მემარცხენე ტორების ჯგუფი გაფორმდა. მემარცხენე ტორების თვალსაჩინო ლიდერმა, ჯორჯ კანინგმა (1770-1827), რომელიც მთავრობას 1822 წ. ჩაუდგა სათავეში, თავისი თანამოაზრეების მხარდაჭერით რამდენიმე პროგრესული რეფორმა გაატარა, კერძოდ: შეამცირა ბაჟები პურსა და სამრეწველო ნედლეულზე, გაამარტივა ექსპორტთან დაკავშირებული პროცედურები, შეწყვიტა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და შეამსუბუქა სასჯელის ზომები ზოგიერთ დანაშაულზე. 1824 წ. მთავრობამ მუშათა პროფესიულ კავშირებს — ტრედუნიონებს — ლეგალურად მოღვაწეობის უფლებები მიანიჭა და სისხლის სამართლის დანაშაულის მუხლები მოუხსნა მუშათა გაფიცვებს.

1825 წ. კაპიტალიზმის ისტორიაში პირველად იფეთქა ციკლურმა სამრეწველო კრიზისმა, რომელმაც ინგლისის ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა და შეაზანზარა. ამას თან დაერთო პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება, რაც საპარლამენტო რეფორმის საკითხთან იყო დაკავშირებული. რეფორმის მოთხოვნებით გამოდიოდნენ რადიკალურ-დემოკრატიული ძალები, რომლებიც საყოველთაო საარჩევნო უფლებისა და ლიბერალური გარდაქმნებისთვის იბრძოდნენ.

საპარლამენტო რეფორმებისა და ხელისუფლებაში სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლების მონაწილეების სასარგებლოდ ხმას იმაღლებდა ბურჟუაზიის საღად მოაზროვნე ნაწილიც, მაგრამ კანინგის მთავრობამ ვერ შეძლო ამ ცენტრალური პრობლემის დადებითად გადაჭრა. მისი გარდაცვალების შემდეგ ბრიტანეთს სათავეში ჩაუდგა ჰერცოგ ველინგტონის მთავრობა (1828), რომელიც მემარჯვენე ტორებმა, ანუ „მაგარშუბლიანმა“ მიწათმფლობელმა არისტოკრატებმა შეადგინეს, და რომლებსაც გაგონებაც არ სურდათ მცირეოდენი გარდაქმნის გატარებაზე.

## 1832 წლის საპარლამენტო რეფორმა

1830 წლის საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ ბიძგი მისცა რეფორმების მომხრეთა გააქტიურებას. ნოემბერში ველინგტონის მთავრობა გრეის ვიგებისა და მემარცხენე ტორების კაბინეტმა შეცვალა. მინისტრებმა შეიმუშავეს რეფორმათა პროექტი, რომელიც პარლამენტში „დამპალი დაბების“ საარჩევნო ოლქების გაუქმების ხარჯზე სამრეწველო ცენტრების, ე. ი. სამრეწველო ბურჟუაზიის, წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებდა.

მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ (ძველმა ტორებმა), რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა მიჰყვებოდა, სასტიკად გაილაშქრა პროექტის წინააღმდეგ. მაშინ ბურჟუაზიამ დახმარებისათვის ხალხს მიმართა, თან აღუთქვა, რომ საარჩევნო რეფორმის გატარების შემთხვევაში მისი ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა. რადიკალური და ლიბერალური სამრეწველო ბურჟუაზიის მოწოდებამ შედეგს მიაღწია: ინგლისში სახალხო მასების გა-



მოსვლების ტალღა აღიმართა, რომელმაც მიწათმფლობელი ლორდებისათვის ძალზე საშიში ხასიათი მიიღო[1].

მთავრობამ და დაშინებულმა ლორდებმა კომპრომისის გზა აირჩიეს. 1832 წ. ივნისში, 15-თვიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ბილი საარჩევნო რეფორმების შესახებ დამტკიცებულ იქნა პარლამენტის ლიკვიდაცია უყო ბევრ „დამპალ დაბას“, ანუ პარლამენტში მათთვის გამოყოფილ 143 ადგილს, შექმნა ახალი საარჩევნო ოლქები დიდი ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისათვის (თუმცა ძალაში დატოვა ძალიან ქონებრივი ცენზი). რეფორმამ ამომრჩეველთა რიცხვი 800 ათასამდე გაზარდა, რაც ძალიან მცირე იყო.

გაუჩნდა რა შანსი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევისა, მსხვილმა სამრეწველო ბურჟუაზიამ თავისი ეკონომიკური პოზიციების განსამტკიცებლად რამდენიმე ღონისძიება გაატარა, სახელდობრ, 1834 წ. პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ღარიბების ძესახებ, რომელიც კრძალავდა უმუშევრებისა და ღარიბებისთვის საზოგადოებრივ დახმარების აღმორენას. ყველაფერი ეს კეთდებოდა იმისათვის, რათა უმუშევრებს გროშის ფასად გაექირავებინათ თავიანთი შრომა.

ამრიგად, მუშათა კლასი, რომელმაც ლომის წილი ჩადო საპარლამენტო რეფორმაში, არჩევნებს მიღმა დარჩა.

## გურჟუაზიული იდეოლოგია. დავიდ რიკარდო და რობერტ ოუენი

იმყოფებოდა რა ოპოზიციაში, ინგლისის ბურჟუაზია მტკიცედ იცავდა თავის პროგრესულ იდეებს. ბურჟუაზიული ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი დავიდ რიკარდო (1772-1823) თავის მთავარ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის დასაწყისი“, ადამ სმიტის მსგავსად, ანალიზს უკეთებდა კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად კანონებს. იგი გამოდიოდა შრომის ღირებულების თეორიიდან, ე. ი. აღიარებდა, რომ ღირებულება განისაზღვრება შრომით, რომელიც გაწეულია საქონლის წარმოებისათვის, და რომ შრომა არის ყოველგვარი მოგების წყარო. რიკარდო ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა კაპიტალისტებისა და მუშების ინტერესების დაპირისპირებას და ამტკიცებდა, რომ ხელფასის შემცირება ზრდიდა მოგებას. რიკარდო კერძო იხტერესში პროგრესის სტიმულს და ერთ-ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ძალას ხედავდა.

კაპიტალისტური წყობის კრიტიკით გამოდიოდა სოციალისტ-უტოპისტების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი რობერტ ოუენი (1771-1858). მან თავისი ძოღვაწეობა დაიწყო როგორც ბურჟუაზიულმა ფილანტროპმა. 1800 წლიდან იგი ნიუ-ლანარკში (შოტლანდია) მსხვილი საფეიქრო საწარმოს თანამფლობელი და დირექტორი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა მუშათა შრომის შესამსუბუქებლად: შეამცირა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დააარსა ავადმყოფთა დახმარების სალარო, საბავშვო ბაღები, სკოლა და ა. შ. მაგრამ მას ეს არ აკმაყოფილებდა, რამეთუ შეგნებული ჰქონდა, რომ ასეთი მოღვაწეობით ვერ აღმოფხვრიდა მუშათა ექსპლოატაციას. უმუშევრობის სალიკვიდა-

[1] სოფლის გაწყვეტილი წერილი ფერმერები ლენდლორდებს „სვინგის“ ხელის მოწერით ანონიმურ წერილებს უგზავნიდნენ („სვინგი“, — საქანელა, — გადატანითი მნიშვნელობით სახრჩობელასაც ნიშნავს.). „სვინგის“ მოძრაობამ დიდი გაქანება ჰპოვა სამხრეთ საგრაფოებში და იგი გაჭირვებით ჩაახშვეს მიწათმფლობელმა არისტოკრატებმა.

ციოდ შექმნილი საპარლამენტო კომიტეტისადმი გაგზავნილ მოხსენებაში რ. ოუენმა პირველად წამოაყენა შრომითი კომუნების შექმნის გეგმა. თავის მრავალრიცხოვან წერილებში ოუენი მწვავედ აკრიტიკებდა თანამედროვე ინგლისის კაპიტალისტურ ეკონომიკას. „ადამიანის ხასიათი, — წერდა იგი, — ყალიბდება გარემოს გავლენით. არსებული საზოგადოებრივი პირობების გამო ადამიანები გახდნენ დაუნდობელნი ერთმანეთის მიმართ. იმისათვის, რათა ისინი შეიცვალონ, საჭიროა არსებული საზოგადოებრივი წყობის დამხობა და ახლის შექმნა“. მომავალი საზოგადოება მას ესახებოდა თვითმმართველურ თემთა ფედერაციის სახით, რომელშიც კოლექტიური შრომა სიღარიბესა და ექსპლოატაციას მოსპობდა. ოუენი იმედოვნებდა, რომ ახალი, კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნა შეიძლებოდა განათლების სრულყოფისა და შეძლებული კლასების მორალური გარდაქმნის გზით. ამ მიზნით მან აშშ-ში დააარსა „სიკეთისა და ჭეშმარიტების“ საცდელი კოლონია („ახალი ჰარმონია“), ხოლო ინგლისში უფულო „შრომის სამართლიანი გაცვლითი ბაზარი“, მაგრამ წარუმატებლად.

მან მთელი თავისი სიცოცხლე შეალია მუშათა პროფკავშირების განვითარებას, საფაბრიკო კანონმდებლობის გაფართოებას, სამუშაო დღის შემცირებას. ოუენი გამოსცემდა გაზეთს „ახალი ზნეობრივი სამყარო“, რომელიც აგიტაციას უწევდა ადამიანის მორალური აღზრდის პრობლემებს.

## ჩარტისტული მოძრაობა

ოლიგრაქიული მთავრობის ანტიმუშურმა პოლიტიკამ, რაც მუშათა კავშირების თავისუფლების შეზღუდვაში გამოიხატებოდა, ციკლურმა ეკონომიკურმა კრიზისებმა, უმუშევრობამ, პურზე ფასების ზრდამ, პროლეტარიატის ცხოვრების პირობების გაუარესებამ და უუფლებობამ XIX ს. 30-ანი წლების დამლევს ბიძგი მისცა მუშებში თვითშეგნების ამაღლებას და მათ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენას.

1836 წ. დაარსდა „მუშათა ლონდონის ასოციაცია“ დურგალ უილიამ ლოვეტის ხელმძღვანელობით. ასოციაციამ ახალი საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლის გზა აირჩია. მომდევნო წლის 28 თებერვალს ლონდონის სასტუმროში — „გვირგვინი და ღუზა“ — გამართულ კრებაზე მუშათა ასოციაციის წევრებმა შეიმუშავეს პეტიცია, რომელიც 6 ძირითად მუხლს (მოთხოვნას) შეიცავდა, სახელდობრ:

— საყოველთაო საარჩევნო უფლებას სრულასაკოვანი მამაკაცისთვის (21 წელი და ზევით);
— ინგლისის დაყოფას 200 თანაბარ საარჩევნო ოლქად;
— ფარულად ხმის მიცემას;
— პარლამენტის ყოველწლიურ არჩევნებს;
— დეპუტატობის კანდიდატისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმებას;
— დეპუტატის ხელფასით უზრუნველყოფას;[1]

1838 წ. ასოციაციამ ზემოთ ჩამოთვლილი მუხლების მიხედვით გამოაქვეყნა საარჩევნო პროგრამის პროექტი, ანუ „სახალხო ქარტია“ (Peuples Charters), რომლის ცხოვრებაში გატარების მომხრეებს ჩარტისტები[2] ეწოდათ.

ჩარტისტების პროგრამა იმ დროისათვის უაღრესად დემოკრატიული და

[1] წლიურად 400 გირვანქა სტერლინგი
[2] Charters — ქარტია



რევოლუციური იყო, რამეთუ საყოველთაო და არაცენზიური არჩევნების პირობებში მუშები, ხელოსნები, პლებეური მასები და წვრილბურჟუაზიული ელემენტები აბსოლუტურ უმრავლესობას დაიკავებდნენ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლების სახით. „პოლიტიკური ძალაუფლება ჩვენი საშუალებაა, სოციალური კეთილდღეობა — ჩვენი მიზანი“, — აცხადებდნენ ქარტიის მომხრეები და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებით სოციალური გარდაქმნების განხორციელებას იმედოვნებდნენ.

თავისი სოციალური შემადგენლობით ჩარტისტების ორგანიზაცია ძალიან ჭრელი იყო. მასში პროლეტარული მიმდინარეობა არ ემიჯნებოდა სახელოსნოთა მუშებისა და რადიკალური ბურჟუაზიის იდეოლოგიას, უფრო მეტი, — მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ეს უკანასკნელნი (მათ შორის ლოვეტიც) „მორალური ძალის“, ანუ მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით (პარლამენტში პეტიციის წარდგენით) ვარაუდობდნენ ოლიგარქიის დამხობას, რაც სუფთა წყლის ილუზია იყო. მათ გარდა ჩარტისტებში პოპულარობით სარგებლობდა პარლამენტზე „ფიზიკური ძალის“ (გაფიცვა, ბოიკოტი, აჯანყება) გამოყენების ტაქტიკაც. ამ რადიკალურ მიმდინარეობას მეთაურობდნენ ირლანდიელი ჟურნალისტი ფერგიუს ო'კონორი[1] და ვექილი ჯონსი.

ტაქტიკის გარშემო გაჩაღებულმა დისკუსიამ დააჩქარა პროლეტარული ძალების კონსოლიდაცია ნიჭიერი ჟურნალისტისა და „დემოკრატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი ორგანიზატორის ჯულიან ჰარნის ხელმძღვანელობით. ეს საზოგადოება დაარსდა 1838 წ. და იგი თავის რიგებში იზიდავდა სამრეწველო მუშებს, ქალაქის პლებეურ მასას და „ფიზიკური ძალის“ მომხრეებს.

მთელს სამეფოში, განსაკუთრებით მის სამრეწველო ცენტრებში (ჩრდილოეთ ინგლისი, შოტლანდია, უელსი), ჩარტისტებმა ფართოდ გაშალეს მრავალათასიანი მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარების კამპანია, ჩირაღდნების შუქზე ღამის მსვლელობები, აგიტაცია ქარტიის სასარგებლოდ და სხვ. პროლეტარულ გარემოში უხვად ვრცელდებოდა ჩარტისტული პრესა, ლიტერატურა, სიმღერები და მუშა-პოეტების ლექსები.

1839 წელი ჩარტისტული მოძრაობის აღმავლობის პირველი წელი იყო. თებერვალში, ლონდონში, შეიკრიბა ჩარტისტული ყრილობა, — ეროვნული კონვენტი. ლონდონის ასოციაციის წევრები და ჩარტიზმის წვრილბურჟუაზიული თანამგზავრები პარლამენტში მხოლოდ პეტიციის შეტანით იფარგლებოდნენ და არაფრის გაკეთებას არ აპირებდნენ პეტიციის უარყოფის შემთხვევაში. სამაგიეროდ „ფიზიკური ძალის“ მომხრეები (ო'კონორი, ჰარნი და სხვ.) კონვენტის საბრძოლო ცენტრად გადაქცევასა და მისი მოღვაწეობის საბოლოო გამარჯვებამდე გაგრძელებას მოითხოვდნენ. მათ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ პარლამენტი არ მიიღებდა ჩარტისტთა 6-ივე წინადადებას. გეგმა ითვალისწინებდა საყოველთაო გაფიცვებს, შემნახველი სალაროებიდან მასიურად ანაბრების გამოტანას, ბოიკოტს ვაჭრობის მიმართ, სახალხო პარლამენტის არჩევას, ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას, — აჯანყებას და სხვ. რადიკალური მიმდინარეობის პოზიციამ სერიოზულად დააფრთხო ლოვეტის მომხრეები და ჩარტიზმის ბურჟუაზიული თანამგზავრები, — ისინი მაშინვე ჩამოსცილდნენ პროლეტარულ მოძრაობას.

მთავრობამ ყოველგვარი ზომები გამოიყენა ჩარტისტული მოძრაობის გასა-

[1] ო'კონორი გამოსცემდა ჩარტისტთა გაზეთს „ჩრდილოეთის ვარსკვლავი“, მისივე ინიციატივით დაარსდა „ჩრდილოეთის დიდი კავშირი“ (1838), რომელიც ბრძოლის რადიკალურ პოზიციებზე იდგა.

ნადგურებლად: აკრძალა მიტინგები, დემონსტრაციები, სამრეწველო ცენტრებში განალაგა ჯარები და შექმნა მდიდართა შეიარაღებული რაზმები.

1839 წ. 7 მაისს ჩარტისტებმა პარლამენტს წარუდგინეს პეტიცია, რომელსაც ხელი მოაწერა 1.280 ათასმა კაცმა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თემთა პალატამ განხილვის ღირსადაც არ ჩათვალა იგი.

შინაგანხეთქილებით შერყეული კონვენტი უძლური აღმოჩნდა ქმედითი, საპასუხო ზომების გასატარებლად. მხოლოდ „ფიზიკური ძალის“ უმნიშვნელო ნაწილმა სცადა შეიარაღებული ექსცესების ინსცენირება ბირმინჰემში და შემდეგ ნიუპორტში (უელსი), რომელიც მკაცრად ჩაახშო მთავრობამ. დაწყებულ რეპრესიებს კონვენტის თვითდაშლა მოჰყვა.

მაგრამ ჩარტისტებს იარაღი არ დაუყრიათ. 1840 წ. მათ კვლავ შექმნეს ეროვნული ასოციაცია 50 ათასი წევრის შემადგენლობით. 1842 წ. ასოციაციის კონვენტმა, რომელიც ყრილობის ფუნქციებს ასრულებდა, ახალი პეტიცია შეიმუშავა (აპრილი). მასში უმთავრესად სოციალური (ღატაკების შესახებ კანონების გაუქმება, ხელფასის გადიდება, სამუშაო დღის შემცირება) და დემოკრატიული მოთხოვნები დომინირებდნენ. ჩარტისტები გმობდნენ ოლიგარქიის რეაქციულ პოლიტიკას, კოლონიურ ჩაგვრას, მოითხოვდნენ ირლანდიასთან უნიის გაუქმებას და სოლიდარობას უცხადებდნენ ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

აღნიშნულ პეტიციას ხელი მოაწერა 3 მილიონზე მეტმა კაცმა, მაგრამ პარლამენტმა ახლაც უარყო იგი (1842 წ. მაისი). ამ აქტს მუშათა გამოსვლები და პოლიციასთან შეტაკებები მოჰყვა. შემოდგომისთვის ჩარტისტული მოძრაობის მეორე ტალღაც შესუსტდა. ასეთ პირობებში გაძლიერდნენ ცენტრიდანული ტენდენციები. ო'კონორის მიერ 1845 წ. დაარსებულმა „მიწის საზოგადოებამ“, რომელიც მუშებს მიწისკენ მობრუნებას უქადაგებდა, უარყოფითი გავლენა იქონია პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებაზე. მუშათა ნაწილის ბრძოლისაგან ჩამოცილების საქმეში დიდი როლი ითამაშა ბურჟუაზიის მოთხოვნამ „პურის კანონების“ გაუქმებაზე. მართლაც, რობერტ პილის მთავრობამ, ლენდლორდების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1846 წ. გააუქმა ისინი და ამით ერთგვარად შეასუსტა მუშათა მოძრაობა.

რაც შეეხება მემარცხენე ჩარტისტებს და მათ ლიდერებს (ჰარნი, ჯონსი), ისინი „კომუნისტთა კავშირს“ დაუახლოვდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო საზოგადოების — „მოძმე დემოკრატები“ — დაარსებაში (1845).

1847 წ. პარლამენტმა მიიღო კანონი ათსაათიანი სამუშაო დღის შესახებ ქალებისა და მოზარდებისთვის, რაც პროლეტარიატის აქტივში უნდა ჩაიწეროს. იმავე წელს დაიწყო მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩარტისტული მოძრაობის გამოცოცხლებას. მის გააქტიურებას ბიძგი მისცა ევროპაში რევოლუციური ტალღის აზვირთებამ. 1848 წ. მარტში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე ჩარტისტები ქარტიის მოთხოვნების გვერდით რესპუბლიკის დაარსებასაც მოითხოვდნენ. 10 მაისს ჩარტისტულმა კონვენტმა პარლამენტში კიდევ ერთი პეტიცია შეიტანა, მაგრამ მასაც წინანდელთა ბედი ეწია, — განხილვის გარეშე იქნა უარყოფილი. ამ დამარცხების შემდეგ ჩარტისტული მოძრაობა თანდათანობით დაქვეითდა და 50-იანი წლების შუახანებში მთლიანად შეწყდა.

მიუხედავად ამისა, ჩარტიზმმა მაინც ითამაშა გარკვეული როლი მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მან, როგორც პროლეტარულმა ორგანიზაციამ, პირველად გამოიყენა მუშათა მოძრაობა ეკონომიკური ბრძოლის ჩარჩოებიდან და პოლიტიკური მოთხოვნების კალაპოტში მოაქცია. ჩარტისტები გამოდიოდნენ



სახელმწიფო წყობილების სრული დემოკრატიზაციისა და ხალხისათვის ძალაუფლების გადაცემის მოწოდებით, რაც იმ პერიოდში გაბედული და უპრეცედენტო მოვლენა იყო.

## ინგლისის საგარეო პოლიტიკა. ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა

XIX ს. 30-40-ან წლებში ინგლისის საგარეო პოლიტიკას განაგებდა ვიგი ჰენრი პალმერსტონი, რომელიც ევროპის ყველა რეაქციულ ძალას უჭერდა მხარს. პალმერსტონი იწონებდა 1848-1849 წლების რევოლუციების ჩახშობას, თანაც, როგორც პირფერი და გაიძვერა დიპლომატი, ინგლისის მისიად აცხადებდა ევროპაში „თავისუფლებისა და დემოკრატიზმის დაცვას“. მის მთავარ დევიზს წარმოადგენდა სახელმწიფოთა შორის ძალთა თანაფარდობისა და „თავისუფალი ხელების“ შენარჩუნება, ე. ი. არ ჰქონოდა მყარი კავშირები ამა თუ იმ ქვეყანასთან. გააჩნდა რა ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ინგლისი საზღვაო ტირანიას ეწეოდა თავისი ინტერესების სასარგებლოდ. მას ყველაზე დაძაბული ურთიერთობა საფრანგეთთან (კოლონიები!) და რუსეთთან (ახლო აღმოსავლეთი და თურქეთი!) ჰქონდა. ინგლისის მთავრობათა კოლონიურ პოლიტიკას თან ახლდა ექსპანსიები მსოფლიოს ყველა ნაწილში. 1838-1842 წ.წ. ბრიტანეთი ომს ეწეოდა ავღანეთის წინააღმდეგ, რომელიც მისთვის უშედეგოდ დასრულდა. იმავე წლებში ებრძოდა იგი ირანს გერატისათვის, რომელიც მას პლაცდარმად სურდა შუა აზიასა და ამიერკავკასიაში შესაღწევად. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ დაიმორჩილა ინდოსტანის ნახევარკუნძული, ინდოეთის უკანასკნელი დამოუკიდებელი ოლქი, — სიკხების პენჯაბი, — 1843 წ. იქნა დაპყრობილი. ინდოეთის საზღვრების დაცვის საბაბით 1814-1816 წ.წ., ინგლისმა ხელთ იგდო ნეპალის რამდენიმე ოლქი, ხოლო ჩინეთთან პირველი საომარი ომი (1840-1842) ნანკინის ხელშეკრულებით დაამთავრა. 1840 წ. ინგლისელებმა დაიპყრეს ახალი ზელანდიის კუნძულები და თითქმის მთლიანად გაულიტეს ადგილობრივი მცხოვრებნი. გრძელდებოდა ავსტრალიის კოლონიზაცია, აფრიკაში ინგლისის ექსპანსია ფართოვდებოდა კონტინენტის სამხრეთში და ოქროს ნაპირზე. ასე რომ, XIX ს. შუახანებისათვის ბრიტანეთი უზარმაზარ კოლონიურ იმპერიად იქცა.

ირლანდია, — ინგლისის ყველაზე პირველი და ახლო კოლონია, — პოლიტიკურად მიწასთან იყო გასწორებული, ხოლო ეკონომიკურად მის სასოფლო-სამეურნეო დანამატს წარმოადგენდა. ვერ უწევდა რა კონკურენციას ბრიტანულ პროდუქციას, ირლანდიის მრეწველობა სულს ღაფავდა. კუნძულზე მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა გლეხობა, რომელიც მიწის მცირე ნაკვეთისთვის დიდ საიჯარო რენტას იხდიდა. 1846-1847 წ.წ. კარტოფილის მოუსავლიანობამ დიდძალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო ემიგრაციამ XIX ს. შუახანებში მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად შეამცირა.

40-ან წლებში ირლანდიელთა ეროვნული მოძრაობა მიმდინარეობდა ლოზუნგით: „გაუქმდეს კოლონიზატორული უნია!“. რიპილერთა[1] მოძრაობა ო'კონელის მეთაურობით კონსტიტუციურ ჩარჩოებს არ სცილდებოდა და მდიდარი ირლანდიელების ინტერესებს იცავდა. ამის პარალელურად ყალიბდებოდა მოძრაობის რევოლუციური ფრთაც, რომლის ხელმძღვანელები, — ჩარლზ დაფი და თომას დევისი, უარყოფდნენ რა კომპრომისებს ინგლისთან,

[1] რიპილ — გაუქმებას, განკორწინებას (ე. ი. ინგლისისაგან ჩამოშორებას) ნიშნავს.

„ახალგაზრდა ირლანდიის (Young Ireland) საზოგადოებაში გაერთიანდ-
ნენ დევიზით „ირლანდია თავისუფალი იქნება!“ 1846 წ. „ახალგაზრდა ირ-
ლანდიელებმა“ შექმნეს „ირლანდიის კონფედერაცია“, რომელიც მასობრივა-
და ამავე დროს ძალიან ჭრელი ორგანიზაცია იყო. მისი გაბედული მოღვა-
წეები, — რევოლუციური დემოკრატები ჯ. ფ. ლალორი და ჯ. მიტჩელი დე-
მოკრატიული რესპუბლიკის დამყარების, ლენდლორდიზმის მოსპობისა და
გლეხობისთვის მიწის გადაცემის პოზიციაზე იდგნენ. მათ მოამზადეს შეიარა-
ღებული აჯანყება (1848), მაგრამ დამარცხდნენ[1]. აჯანყების ჩახშობის შემდეგ
დაიწყო ირლანდიელებთან ანგარიშსწორების პერიოდი.

## ინგლისი XIX ს. 50-60-იან წლებში.
## სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება

XIX ს. 50-60-იან წლებში ინგლისის მონოპოლისტურმა მდგომარეობამ
მრეწველობასა და ვაჭრობაში თავის ზენიტს მიაღწია. ინგლისის სამრეწველო
განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პროტექციონიზმის უარყოფამ, ე. ი. ვაჭ-
რობაში სრული თავისუფლების (ფრიტრედის) დაშვებამ, რაც უშუალოდ მოპ-
ყვა „პურის კანონების“ და შემოტანილ საქონელზე ბაჟების გაუქმებას. არ
უთმობდნენ რა საკუთარ, საშინაო ბაზარს უცხოეთის პროდუქციას, ინგლისე-
ლი კაპიტალისტები ფრიტრედს ეკონომიკური ექსპანსიის იარაღად იყენებდნ-
ბრიტანეთის ბურჟუაზია საქონლით ავსებდა მსოფლიო ბაზარს, თავს იწონებ-
და ლიბერალიზმით, სინამდვილეში კი მხარს უჭერდა სხვა ქვეყნების ჩამორჩე-
ნილსა და რეაქციულ წრეებს.

50-60-ან წლებში რკინიგზის ტრანსპორტმა ხმელეთზე მიმოსვლის ყველა
საშუალება დაჯაბნა, ხოლო ზღვაზე აფრიანი ხომალდი ხრახნიანმა შეცვალა.
ქვანახშირის მოპოვებასა და თუჯის გამოდნობაში ინგლისი პირველი იყო,
ხოლო მსუბუქ მრეწველობაში იმდენს მოიხმარდა, რამდენსაც ერთად აღებულ
ყველა სახელმწიფო. მოკლედ, XIX ს. შუახანებში დიდი ბრიტანეთი თავისებურ
„მსოფლიო სახელოსნოს“ წარმოადგენდა.

მსხვილი მრეწველობის სწრაფ განვითარებას ესადაგებოდა ინგლისის კო-
ლონიური და სავაჭრო ექსპანსიის ზრდა: 1870 წლისათვის მსოფლიო საგარეო
ვაჭრობაში ინგლისის წილი 25%-ს შეადგენდა. უზარმაზარ მოგებას აძლევდა
მრეწველებსა და ვაჭრებს კოლონიების ძარცვა და იქ კაპიტალის დაბანდება.
იზრდებოდა მილიონერთა რიცხვი, მდიდრდებოდნენ საშუალო ბურჟუაზიის
წარმომადგენლები და მიწათმფლობელი არისტოკრატები, რომელთა სასოფლო-
სამეურნეო პროდუქცია ნამცეცამდე ხმარდებოდა ინგლისის მზარდ მოსახლე-
ობას.

50-60-იან წლებში თემთა პალატამ უკანა პლანზე გადასწია ლორდთა პა-
ლატა და მინიმუმამდე დაიყვანა დედოფალ ვიქტორიას პოლიტიკური გავლე-
ნა. დიდ ბრიტანეთს 1832 წლიდან მართავდნენ ვიგები, რომლებიც ეყრდნო-
ბოდნენ მსხვილ ბურჟუაზიას და ახალ თავადაზნაურობას. რაც შეეხება ტო-
რებს, 40-იანი წლების დასასრულიდან მათი პარტია დაკნინების ფაზაში შე-
ვიდა და, როგორც კი რობერტ პილმა „პურის კანონები“ გააუქმა (1846),
იგი დაიშალა, ხოლო მისგან გამოყოფილი პილიტების ჯგუფი ვიგებს შეუერ-
თდა. 1846-1868 წ.წ. ტორები საერთო ჯამში ხუთჯერ იყვნენ ხელისუფლე-
ბის სათავეში (1852, 1858-1859, 1866-1868), დანარჩენი 17 წელი ვიგების
მმართველობაზე მოდის. მათ მხარს უჭერდნენ პილიტები, ფრიტრედერ-რადიკა-

[1] ინგლისის მთავრობამ აჯანყების წინ დააპატიმრა ლალორი და მიტიჩელი.



ლები და ირლანდიელები. ვიგებს ხელმძღვანელობდნენ პალმერსტონის მსგავსი
მოღვაწეები, რომლებიც ამჟღავნებდნენ მოქნილობას და აუცილებლობის შემ-
თხვევაში დათმობებზეც მიდიოდნენ საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის წინა-
შე. ისინი თამაშობდნენ „ლიბერალობანას“, ხოლო 1832 წ. საარჩევნო რე-
ფორმის შემდეგ, კატეგორიულად ამბობდნენ უარს საარჩევნო უფლებათა გა-
ფართოებაზე. ამან განხეთქილება შეიტანა მათ რიგებში: ვიგების პარტიაში
აღმოცენდა ფრიტრედერ-რადიკალთა ჯგუფი, რომელმაც ბრძოლა დაიწყო ახა-
ლი საარჩევნო რეფორმისათვის.

პალმერსტონის გარდაცვალების შემდეგ (1865) ვიგების მემარცხენე ლი-
ბერალთა ფრთა სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის პოლიტიკურ პარტიად გა-
დაიქცა. ეს გარდაქმნა, ანუ ახალი, ლიბერალური პარტიის დაბადება, დაკავ-
შირებულია უილიამ გლადსტონის (1809-1898) სახელთან, რომელიც პალმერ-
სტონის შემდეგ ფაქტიურად მეთაურობდა ვიგებს. სახელწოდება „ვიგები“ და
„ტორები“ თანდათანობით გამოაძევეს ტერმინებმა „ლიბერალები“ და „კონ-
სერვატორები“. გლადსტონი იყო დემაგოგი, საარჩევნო რეფორმის მომხრე,
რითაც რადიკალები დაიახლოვა.

50-60-ანი წლების ინგლისის მთავრობის საგარეო პოლიტიკა აგრესიულო-
ბითა და კოლონიური ექსპანსიონიზმით ხასიათდება. ბრიტანელთა აგრესიულო-
ბა კიდევ უფრო გაიზარდა ყირიმის ომის შემდეგ. თუ იტალიაში პალმერსტო-
ნი თვალთმაქცურად მხარს უჭერდა ლიბერალებს, აშშ სამოქალაქო ომში სამ-
ხრეთელ მონათმფლობელებს ეხმარებოდა. ინგლისელი დიპლომატების დევი-
ზად იქცა პალმერსტონის სიტყვები: „ბრიტანეთს არ ჰყავს მუდმივი მოკავში-
რეები, მას მხოლოდ მუდმივი ინტერესები აქვს.“

ინგლისის გაბატონებული წრეები აძლიერებდნენ ზღვისიქითა კოლონიე-
ბისა და ირლანდიელი ხალხის ექსპლოატაციას. XIX ს. შუახანებიდან შეიცვალა
კოლონიების ძარცვის მეთოდები, — ისინი მუქთა ნედლეულის მომწოდებლი-
დან ინგლისის სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად გადაიქცნენ (ინგლი-
სის ექსპორტის 1/3 მის კოლონიებზე მოდიოდა). 50-იანი წლების დასასრულს
ინგლისმა თავს მოახვია ჩინეთს ტიანძინის ხელშეკრულება, რომლის ძალით
ახალი ნავსადგურები გაეხსნა უცხოეთის საქონელს.

1864 წ. ინგლისმა, საფრანგეთმა და აშშ ჩაახშვეს ტაიპინელების აჯანყე-
ბა და ჩინეთისგან ვაჭრობის სფეროში დიდი უფლებები მიიღეს. 1856-
1857 წ.წ. ომის შედეგად ინგლისმა სატელეგრაფო ხაზების კონცესიები მოიპოვა
ირანში.

1857-1859 წ.წ. ინგლისელებმა გაუგონარი სისასტიკით ჩაახშვეს სიპაების
(ინდოელი ჯარისკაცების) აჯანყება ინდოეთში. არნახული სადიზმით უსწორ-
დებოდნენ ისინი მაორის (ზელანდიის ტომები) და აბორიგენების, — ავსტრა-
ლიის მკვიდრი მოსახლეობის, — გამოსვლებს. მაგრამ იმ კოლონიების მიმართ,
სადაც ბრიტანეთიდან ჩასული თეთრი მოსახლეობა ცხოვრობდა, მთავრობა
მთელ რიგ დათმობებზე მიდიოდა: 1854 წ. თვითმმართველობა მიენიჭა კაპის
კოლონიას (სამხრეთ აფრიკა), 1852 წ. კონსტიტუცია მიიღო ახალმა ზელან-
დიამ, 1855 წ. — ავსტრალიამ, 1867 წ. — კანადამ[1]. ყველაფერ ამას ინგლი-
სელები აკეთებდნენ თეთრების სასარგებლოდ, სამაგიეროდ ადგილობრივ ხალ-
ხებს გადაშენებით ემუქრებოდნენ.

[1] კანადას განაგებდა მეფის მიერ დანიშნული გუბერნატორი მინისტრთა ფედე-
რალური ხაბჭოს მეშვეობით.

მრეწველობაში მანქანების გამოყენებამ მაქსიმალურად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. 10 საათამდე სამუშაო დღის შემცირებამ მაინც ვერ შეძლო მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით მძიმე იყო იგი კრიზისების დროს. უსაზღვროდ გაიზარდა ემიგრაცია აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში: 1852-1868 წ.წ. ინგლისი დატოვა 3 მლნ. კაცმა, რამაც ერთგვარად შეასუსტა კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრე. ჩარტისტული მოძრაობის დაცემით იწყება ბურჟუაზიის გავლენის ზრდა მუშებზე, რაც მუშათა არისტოკრატიის (კვალიფიციური და მაღალხელფასიანი მუშათა კლასის ზედაფენის) წარმოშობაში გამოვლინდა. მდიდარი ბურჟუაზია თავისი მოგებიდან მუშათა არისტოკრატიას უნაწილებდა გარკვეული რაოდენობის თანხას და ამით პროლეტარიატს პოლიტიკური ბრძოლისგან განარიდებდა. ბურჟუაზიის ზეწოლას განიცდიდნენ ტრედიუნიონებიც. 60-ანი წლების დამდეგიდან შეიმჩნევა საგაფიცვო მოძრაობაზე ხელის აღებისა და მეწარმეებთან შეთანხმების გზით სადავო საკითხების გადაწყვეტის ტენდენცია. 60-იან წლებში ბრიტანეთში 1600-მდე პროფესიული გაერთიანება არსებობდა. თითოეულში შედიოდა ერთი რომელიმე პროფესიის მუშების ვიწრო წრე და არა მოცემული დარგის ყველა მშრომელი. ამ პროფკავშირებს გააჩნდათ სალაროები, ჰყავდათ მაღალი ჯამაგირის მქონე მცოდნე მუშაკები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მეპატრონეებთან. 1860 წ. შეიქმნა ტრედიუნიონთა ლონდონის საბჭო, რომლის ხელმძღვანელი პირთვი, ჯუნტა (ხუნტის მსგავსი საზოგადოებაა) სათავეში ჩაუდგა მშენებელთა გაფიცვას (1861), რომელიც წარმატებით დამთავრდა (მუშებმა მიიღეს 9-საათნახევრიანი სამუშაო დღე). მუშები აქტიურად ებმებოდნენ პოლიტიკურ ბრძოლაშიც, გამოდიოდნენ პალმერსტონის გეგმების წინააღმდეგ აშშ სამოქალაქო ომში სამხრეთელთა სასარგებლოდ. მუშები მართავდნენ მიტინგებს პოლონეთის 1863 წ. აჯანყების მხარდასაჭერად, ესალმებოდნენ გარიბალდის ინგლისში ჩასელას. 1864 წ. ჯუნტამ მოიწონა ინტერნაციონალის დაარსების იდეა და მისი წარმომადგენლები ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოში შეიყვანეს. ჯუნტამ შეინარჩუნა მუშათა უფლება გაფიცვაზე და მიაღწია იმას, რომ ტრედიუნიონებმა მიიღეს იურიდიული პირის უფლებები. მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ რეფორმის ეროვნულ ლიგაში, რომელიც შეიქმნა 1865 წ. და რომელიც საარჩევნო უფლებების გაფართოებას მოითხოვდა. პროლეტარიატის მოძრაობის აღმავლობამ დააშინა ტორების მთავრობა და მან 1867 წ. პარლამენტს მიაღებინა აქტი რეფორმის შესახებ, რომლის მიხედვით ხმის უფლება ქალაქებში ენიჭებოდა ბინის მეპატრონეებსა და მდგმურებს, რომლებიც წლიურად იხდიდნენ 10 გირვანქა სტერლინგს და ერთ ადგილას ცხოვრობდნენ არანაკლებ წელიწადისა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღეს, აგრეთვე, სოფლის იმ მოიჯარეებმა, რომელთა წლიური შემოსავალი 12 გირვანქას აღწევდა. ამრიგად, ხმის უფლება მოიპოვა არამარტო წვრილმა ბურჟუაზიამ, არამედ მუშათა ზედაფენამაც. რეფორმა კიდევ ერთი მოკრძალებული ნაბიჯი იყო ინგლისში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესების დამკვიდრების გზაზე. რეფორმის შემდეგ მუშებმა დაინტერესდნენ პარლამენტში თავისი კანდიდატების გაყვანით და ამ მიზნით ლონდონში შეიქმნა სპეციალური კომიტეტი.

ინგლისში დემოკრატიულ მოძრაობას ორი გარემოება ასუსტებდა: ტრედიუნიონთა ლიდერების თანამშრომლობა ლიბერალებთან და ირლანდიის საკითხში მთავრობის მხარეზე მათი დგომა. იგი წინააღმდეგი იყო ირლანდიის დამოუკიდებლობისა, რის გამოც ირლანდიელი მშრომელები ინგლისის პროლეტარიატის ბრძოლას განუდგნენ.



50-იანი წლების დამლევს აშშ-ში ირლანდიელმა ემიგრანტებმა დააარსეს ფარული საზოგადოება „ირლანდიის რევოლუციური ძმობა“, რომელმაც მალე „ფენიების“ სახელწოდება მიიღო.[1] ფენიების მოღვაწეობა გავრცელდა ირლანდიაშიც. მათ მიზანს ინგლისელ კოლონიზატორთა განდევნა და ირლანდიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება შეადგენდა. ფენიების სათავეში იდგნენ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები; მათ მოძრაობას ახასიათებდა დემოკრატიზმი, ისინი ეკრძნობოდნენ ინტელიგენციის დაბალ ფენებს და სოფლის წვრილ მოიჯარეებს. ფენიებს არ გააჩნდათ ჩამოყალიბებული პროგრამა მუშათა საკითხზე, ისინი მხოლოდ მათი განთავისუფლებისთვის იღვწოდნენ.

60-იანი წლების შუახანებში ფენიების ორგანიზაციები გამომაჟღავნეს და გაანადგურეს.

ინგლისელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ მიმართული ირლანდიელი ხალხის შეუპოვარი ბრძოლა მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის თანაგრძნობით სარგებლობდა.

## ბიბლიოგრაფია


1. Хлебный закон 1815 г. (Хрестоматия по новой истории. Т. I. М., 1963).
2. Р. Оуен. Избранные произведения: в 2 т., М.-Л., Т. 1-2. 1950.
3. Н. Ерофеев. Очерки по истории Англии в 1815-1917 гг. М., 1959.
4. Его же. Чартистское движение. М., 1961.
5. Его же. Английский колониализм в середине XIX века. М., 1977.
6. Новая История стран Европы и Америки. Первый период (под редакцией А. Адо). М., 1986.
7. А. Моруа. Жизнь Дизраели. М., 1991.
8. История XIX века (под редакцией Лависса и Рамбо). Т. 2. 1905. Т. 4. 1906. Т. 5. 1906. Т. 6. 1906.


# საფრანგეთი 1815-1870 წლებში

## საფრანგეთი ლუი XVIII დროს (1815-1824)

საბოლოოდ დაამარცხეს რა ნაპოლეონი, მოკავშირეებმა ხელმეორედ აღადგინეს ტახტზე ლუი XVIII. მართალია, მან ამაყად განაცხადა, რომ დაბრუნდა იმისათვის, „რათა ჩადგეს ფრანგებსა და მოკავშირეთა არმიებს შორის“, სინამდვილეში იგი უკანასკნელთა ტყვე იყო და მათი კარნახით მართავდა სამეფოს.

მოკავშირეთა მილიონიანმა არმიამ, დაიკავა რა მთელი ქვეყანა, ფრანგი ხალხის ძარცვას და აბუჩად აგდებას მიჰყო ხელი. მაგრამ მოსახლეობის ტანჯვა-წამება კიდევ უფრო გაძლიერდა გაჩაღებული თეთრი ტერორის შედეგად: როიალისტურმა რეაქციამ, რომელიც მეფის სახელით თავს დაატყდა რევოლუციის მონაწილეებს („მეფის მკვლელებს“, როგორც მათ უწოდებდა არისტოკრატია) და იმპერიის მომხრეებს, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ბურბონთა ერთგულმა ნაძირალებმა რელიგიური ომი გააჩაღეს სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ათასობით პროტესტანტი და ის სამხედროები დახოცეს, რომ-

[1] XVIII საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფენ მაკ-კუმხლის სახელის მიხედვით.

ლებიც ფანატიკოსთა მსხვერპლის გადარჩენას ცდილობდნენ[1]. მალე მეფემ ზურგი შეაქცია თავის პროკლამაციას, რომელშიც შენდობას აღუთქვამდა ყველას, ვინც მიემხრო ელბიდან დაბრუნებულ იმპერატორს, და სანქცია მისცა ყოფილი რევოლუციონერებისა და ბონაპარტისტების დევნას. ორპირმა ფუშემ (იგი კვლავ მოკალათდა პოლიციის სამინისტროში) როიალისტთა საამებლად პროსკრიფციული სიები შეადგინა, ხოლო მეფის სასამართლოებმა მრავალი სამოქალაქო თუ სამხედრო პირი დასაჯეს სიკვდილით, მათ შორის, მარშალი ნეი, გენერალი ლა ბედუაირი, რესპუბლიკელი ფოშე და სხვ. მარშალ ნეის, საფრანგეთის არმიის სიამაყისა და მშვენების, დახვრეტამ (1815 წ. 7 დეკემბერი) ყველა ფრანგში ბურბონებისადმი გაუნელებელი ზიზღი და სიძულვილი გამოიწვია.

საფრანგეთში თეთრი ტერორი მძვინვარებდა. სამშობლოში დაბრუნებულ ემიგრანტებს, რომელთაც თავიანთი მტრების სისხლი სწყუროდათ, რევოლუციამდელი რეჟიმის აღდგენა ეწადათ, მაგრამ თვით ლუი XVIII და პარიზში მყოფი მონარქები ცხადად დარწმუნდნენ იმაში, რომ თეთრების ლტოლვას აბსოლუტიზმისაკენ უთუოდ მოჰყვებოდა ახალი რევოლუცია. ამიტომ ალექსანდრე I-ის დაჟინებული მოთხოვნით (რუსეთის იმპერატორს გულზე არ ეხატა ბურბონები, რომლებმაც „ვერც ვერაფერი ისწავლეს და არც არაფერი დაივიწყეს“) ლუი XVIII-მ დაამტკიცა „1814 წლის ქარტია“. მართალია, ეს კონსტიტუციური დოკუმენტი ამყარებდა წარმომადგენლობითი ფორმის მმართველობას, პალატების მიერ გადასახადების და ბიუჯეტის ვოტირებას, სიტყვის, ბეჭდვის, სინდისის, გაყიდული ეროვნული ქონების და პიროვნების თავისუფლებებს, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა „ქარტიის“ ის მუხლები, რომლებიც ამომრჩეველთა რიცხვს 12-15 ათასი კაცით განსაზღვრავდა, ხოლო კანდიდატთა რაოდენობას 4-5 ათასით.

„1814 წ. ქარტიით“ აღმასრულებელი ძალაუფლება ენიჭებოდა მეფეს. ის ნიშნავდა, მინისტრებს, ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკას, შეეძლო პალატების დაშლა, ფლობდა საკანონმდებლო ინიციატივას და სხვ.

მონარქის ძალაუფლებას მეტ-ნაკლებად ზღუდავდა ორპალატიანი საკანონმდებლო კორპუსი. ზედა, ანუ პერთა პალატის მემკვიდრეობით წევრებს ნიშნავდა მეფე, ხოლო ქვედას, — წარმომადგენლობით პალატას, — მაღალი ასაკობრივი (30 წელი) და ქონებრივი (წელიწადში პირდაპირი გადასახადი 300 ფრანკის ოდენობით) ცენზის მიხედვით ირჩევდა ფრანგი ხალხის უმცირესობა („ქარტიამ“ დეპუტატის ასაკი განსაზღვრა 40 წლით, ხოლო ქონებრივი ცენზი 1000 ფრანკით).

ლუი XVIII-მ ვენის კონგრესის დამთავრებისთანავე მოიცილა „დანაშაულისა და მანკიერების“ (ასე უწოდა შატობრიანმა[2] ფუშეს და ტალეირანს) მთავრობა და 1815 წ. 24 სექტემბერს ახალი სამინისტროს შედგენა დაავალა

[1] მოკლულთა შორის იყვნენ მარშალი ბრიუნი, გენერლები: ლაგარდი, რამელი და სხვები.

[2] შატობრიანი (ფრანსუა-რენე, ვიკონტი) დაიბადა 1768 წ. ახალგაზრდობაში მსახურობდა არმიაში, წავიდა ემიგრაციაში (1792), იყო კონდეს არმიის ჯარისკაცი, დაბრუნდა საფრანგეთში 18 ბრიუმერის შემდეგ. მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ენგიენის ჰერცოგის დახვრეტის გამო თავი დაანება დიპლომატიურ მოღვაწეობას; რესტავრაციის შემდეგ კვლავ დიპლომატია, იყო პერთა პალატის წევრი. ცნობილია, როგორც რომანტიკოსი მწერალი.

პერცოგ რიშელიეს[1], რომელიც მისი მეგობარი, პატიოსანი პიროვნება და ზომიერი პოლიტიკოსი იყო.

აბსოლუტიზმის იდეებზე აღზრდილი ლუი XVIII, რომელსაც წინაპრების მსგავსად სწამდა მონარქის ღვთიური წარმომავლობა, ზარმაცი და დონდლო მეფე იყო. მას ტახტი პირადი განცხრომისთვის სჭირდებოდა (სამოცი წლის და ნიკრისის ქარებით დაავადებულ გვირგვინოსანს ტახტი ყველაზე რბილ სავარძლად მიაჩნდა); ხოლო საქმეებს მის წინაშე ანგარიშვალდებული მინისტრები უძღვებოდნენ (ცნობილია: ლუი XVIII ჭორებს და ჰორაციუსის ნებისმიერ ოდას ამჯობინებდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე ჯდომას თუ კანონპროექტზე მუშაობას). მეორეს მხრივ, ნათელი და სკეპტიკური გონება გარკვევით მიუთითებდა მეფეს იმაზე, რომ საფრანგეთს აუცილებლად ჭირდებოდა ლიბერალური რეჟიმი და რომ 25 წლის მანძილზე შექმნილ დაწესებულებებში კარდინალური ცვლილებების შეტანით შეეძლო სამუდამოდ დაეკარგა ტახტი, რაც ავადმყოფი მონარქისთვის მესამედ ემიგრაციაში ხეტიალს ნიშნავდა.

ასეთი მეფე მარტო რომ ყოფილიყო და გონების კარნახით ემოქმედა, საფრანგეთი მართლა ეზიარებოდა პარლამენტურ მმართველობას, მაგრამ ლუი XVIII-ს გარს ეხვია უკიდურესად რეაქციული ნათესაობა (მარტო ძმა, გრაფი დ'არტუა შვილებითურთ „რად ღირდა!“) და ულტრაროიალისტები, რომელთა წინაშე ხშირად ისეთ დათმობებზე მიდიოდა, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებას და მტრულ რეაქციას იწვევდა.

გონებაშეზღუდული არტუას გრაფი ყველაზე რეაქციულ წრეებს ეყრდნობოდა. მას თავისი ფარული მინისტრები ჰყავდა ე. წ. მარსანის პავილიონში და ცდილობდა „კონტრმთავრობის“ როლის თამაშს. მას მხარს უმშვენებდა უფროსი შვილი, — ანგულემის ჰერცოგი, რომელიც ჭკვიან პრინცად ითვლებოდა, მაგრამ მამის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. რაც შეეხება გრაფის უმცროს ძეს, ბერის ჰერცოგს, მას „ომობანა“ უფრო იტაცებდა, ვიდრე პოლიტიკა, მაგრამ, თუ თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, ამას აკეთებდა უხეშად და ქედმაღლური მანერით, თუმცა ლუი XVIII-ის მშვიდ გონებაზე მისი აზრი გავლენას ვერ ახდენდა.

როიალისტური პარტია შურისძიებას, ბორკილებს და „მეტ ჯალათებს“ მოითხოვდა. ულტრაროიალისტების აღიარებული ლიდერები იყვნენ შატობრიანი, ლა ბურდენე, ვიტროლი, გრაფ ვილელი[2], თავადი პოლინიაკი[3] და სხვ. ეს პარტია ეყრდნობოდა კათოლიკურ ეკლესიას და ფარულ რელიგიურ კონგრეგაციებს (საზოგადოებებს), რომლებიც ოფიციალურად 1826 წ. აღია-

[1] რიშელიე (არმან დიუპლესი, ჰერცოგი) დაიბადა 1766 წ., რევოლუციის პერიოდში ემიგრაციაში იმყოფებოდა, მსახურობდა რუსეთში (ოდესის გენერალ-გუბერნატორის პოსტი ეკავა), დაბრუნდა საფრანგეთში რესტავრაციის დროს, იყო კაბინეტის თავრის პოსტი ეკავა), მჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი.

[2] ვილელი (ჟან-ბატისტ, გრაფი) დაიბადა 1773 წ., ახალგაზრდობაში იყო საზღვაო ოფიცერი, გარონის გენერალური საბჭოს წევრი (1807), ოპოზიციაში ედგა იმპერიას და გამოირჩეოდა ბურბონებისადმი ერთგულებით. 1815 წ. „უბადლო პალატის“ წევრად აირჩიეს, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც რეაქციონერმა და საზრიანმა პოლიტიკოსმა, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში.

[3] პოლინიაკი (ჟიულ-ოგიუსტი, თავადი) დაიბადა ვერსალში (1780). იგი, მარია ანტუანეტას ნათლული, 1789 წლიდან ემიგრაციაშია, მონაწილეობდა ჟ. კადუდალის შეთქმულებაში (1804) და ლუზინიამ გადაარჩინა დახვრეტას. რესტავრაციის შემდეგ პოლინიაკი დიპლომატიურ მოვალეობას ასრულებდა რომში, ლონდონში; 1816 წლიდან პერთა პალატის წევრია.

რეს. სასულიერო პირები ერთგულად ემსახურებოდნენ როგორც საკურთხეველს, ასევე რეაქციულ რეჟიმს, — თავისი პრობაგანდით ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ ულტრაროიალისტებს ყოველი რანგის არჩევნებში.

ამ რეაქციულ ძალას დაუპირისპირდნენ ე. წ. დოქტრინერები, ანუ ზომიერი კონსტიტუციური როიალისტები. ისინი ლოიალისტურად იყვნენ განწყობილნი „ქარტიისადმი“ და ცდილობდნენ ძველი და ახალი საფრანგეთის შერიგებას. მათ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ როგორც ემიგრანტი როიალისტები (ჰერცოგი რიშელიე და სხვ.), ასევე რევოლუციისა და იმპერიის სამსახურში მყოფი პირები (როიე-კოლარი, გიზო[1], დეკაზი[2] და სხვ.), რომელთაგან დეკაზი შვილივით უყვარდა ლუი XVIII-ს. ამ პარტიაში, რომელიც ერის უფლებებზე მაღლა აყენებდა მონარქის პრეროგატივებს, გაერთიანდნენ მრეწველები, ბანკირები, ვექილები, პროფესორები, მოსამართლენი. 1830 წლამდე დოქტრინერები და ულტრაროიალისტები საარჩევნო კორპუსის უმრავლესობას შეადგენდნენ, რომელიც 110 ათასიდან 88 ათას ამომრჩეველს მოითვლიდა.

კონსტიტუციურ მონარქისტებთან ახლოს იდგა ე. წ. დამოუკიდებელთა პარტია. მართალია, მათ პალატაში დიდი ძალა არ გააჩნდათ, სამაგიეროდ ქვეყანაში ფრანგი ხალხის უმრავლესობა მიჰყვებოდა. ეს პარტია კონსტიტუციური მონარქიის ინსტიტუტების სადარაჯოზე იდგა, მაგრამ მისი წევრების უმრავლესობა უყოყმანოდ დაამხობდა ბურბონთა დინასტიას. დამოუკიდებელთა რიგებში გაერთიანდნენ როგორც ძველი არისტოკრატიის (ჰერცოგი ბროილი[3], ლაფაიეტი), ასევე ბურჟუაზიის (კაზიმირ პერიე[4], ლაფიტი[5], მანუელი, გენერალი ფუა) წარმომადგენლები, რომლებიც ორლეანელთა დინასტიისკენ იხრებოდნენ. ამ პარტიას ზურგს უმაგრებდნენ რესპუბლიკელები, ბონაპარტისტები, სტუდენტები, იაკობინელები, ოფიცრობა, — მოკლედ, — სამფეროვანი დროშის ერთგული ხალხი.

ულტრაროიალისტების მსგავსად დამოუკიდებლებიც ეყრდნობოდნენ თავის ფარულ ორგანიზაციებს — კარბონართა (la Charbonnerie — მენახშირეთა ძმობა) საზოგადოებას, რომელიც ბურბონთა დამხობისა და თავისუფლების ლოზუნგით გამოდიოდა. საზოგადოება იყოფოდა ოცკაციან ვენტებად

[1] გიზო (ფრანსუა-პიერ-გილიომი) დაიბადა 1787 წ. ნიმში, პროტესტანტულ ოჯახში; 1794-1805 წწ. იზრდებოდა და სწავლობდა ჟენევაში, ახლო კავშირში იყო როიალისტებთან; სორბონაში ასწავლიდა ისტორიას (1812), მსახურობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში (1814), წავიდა ემიგრაციაში „100 დღის“ დროს, შემდეგ იყო იუსტიციის სამინისტროს მთავარი მდივანი (1815-1816), მომხსენებელი სახელმწიფო საბჭოში. გიზოს კარიერაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

[2] დეკაზი (ელი. ჰერცოგი) დაიბადა 1780 წ. ჟირონდის დეპარტამენტში; იყო ვექილი, მოსამართლე, ბონაპარტეთა ოჯახის მრჩეველი; 1814 წ. მიემხრო ბურბონებს. 1815 წ. სენის დეპარტ. პოლიციის პრეფექტია. მის შესახებ ქვემოთ...

[3] ბროილი (აშილ-ლეონ-შარლ. ჰერცოგი) დაიბადა პარიზში 1785 წ., იმპერიის დროს ასრულებდა დიპლომატიურ დავალებებს; 1814 წ. პერია და დოქტრინერთა ლიდერი. მასაც ქვემოთ შევხვდებით.

[4] კაზიმირ პერიე დაიბადა 1777 წ. გრენობლში; მსახურობდა არმიაში, შემდეგ ბანკში (1802), იყო დეპუტატთა პალატის წევრი (1817), სადაც ოპოზიციას ხელმძღვანელობდა. მის შესახებ ქვემოთ...

[5] ლაფიტი (ჟაკ) დაიბადა 1767 წ., 1801 წ. სახელმწიფო ბანკის მმართველი, სენის დეპარტ. კომერციული სასამართლოს თავმჯდომარე, სახელმწიფო ბანკის დირექტორი (1814), დეპუტატთა პალატის წევრი (1816-1830), ლიბერალური პარტიის ლიდერი.



(ლოჟებად), რომელთა თითოეული წევრი უსიტყვოდ ასრულებდა მისთვის უცნობი ბელადის ბრძანებას. კარბონართა საზოგადოებას მრავალი მომხრე ჰყავდა არმიასა და უმაღლეს სკოლებში.

დაახლოებით ასეთი იყო 1815-1830 წ.წ. საფრანგეთში პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა, მათი შემადგენლობა და მთავარი მიზნები.

ლუი XVIII-მ მთავრობის მეთაურად რიშელიე მარტო იმისთვის კი არ დანიშნა, მისი პირადი მეგობარი და პატრიოტი რომ იყო, არა, ამ არჩევანს ალექსანდრე I-ისა და ჰერცოგის ურთიერთსიმპათიები და თანამშრომლობაც უმაგრებდა ზურგს. ოკუპირებულ და მორალურად გათელილ საფრანგეთს იმ ძნელბედობის ჟამს ძალიან ჭირდებოდა რუსთხელმწიფის შემწეობა. მართლაც, ლუი XVIII ალექსანდრე I-ს უნდა უმადლოდეს პარიზის მეორე ზავის პირობების შერბილებას და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის სტაბილური ატმოსფეროს შექმნას.

რიშელიეს, ვითარცა როიალისტს, გულზე არ ეხატა კონსტიტუციური რეჟიმი, მაგრამ მისთვის მისაღები იყო მეფისგან ნაბოძები „ქარტია“ და ცდილობდა მის დაცვას როიალისტთა გაუთავებელი თავდასხმებისგან. მან სწორად გააცნობიერა, რომ 1815 წ. აგვისტოს არჩევნების შედეგად შედგენილი „უბადლო (იშვიათი) პალატა“[1] დიდი პრობლემების წინაშე დააყენებდა ტიუილრის კაბინეტს. მართლაც, ახალმა პალატამ, რომლის ადგილების უმრავლესობა უკიდურესმა რეაქციონერებმა შეავსეს, ჰერცოგს აგრძნობინა, რომ იგი „ქარტიის“ ანულირებას შეეცდებოდა. პალატამ გაამკაცრა ცენზურა პრესაზე, ეკლესიას და ემიგრანტებს დაუბრუნა გაყიდვას მორჩენილი მიწები, არმიიდან და უმაღლესი სკოლებიდან გააძევა „არასაიმედო“ პირები, შემოიღო ე. წ. პრევოტალური სასამართლოები[2], რომელთა განაჩენი 24 საათში სრულდებოდა, აღადგინა ძველი წესები, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა ეჭვმიტანილთა ბრალდების წაყენების გარეშე უდავოდ დაპატიმრება, მოითხოვა ეკლესიისთვის სახალხო განათლების დაქვემდებარება, განქორწინების აკრძალვა და სხვ.

„უბადლო პალატის“ საქმიანობამ საზოგადოების და თვით მეფის შეშფოთება გამოიწვია. „თუ ამ ბატონებს მოქმედების სრულ თავისუფლებას მივცემ, ბოლოსდაბოლოს შეც წმენდაში მოვხვდები“,—განაცხადა ლუი XVIII-მ, და დაითხოვა იგი (1816 წ. სექტემბერი). ახალ არჩევნებში ულტრაროიალისტები დამარცხდნენ. პალატაში უმრავლესობა კონსტიტუციონალისტებმა მოიპოვეს, რამაც რიშელიე-დეკაზის მთავრობას ქვეყნისთვის სასარგებლო გარდაქმნების გატარება შეაძლებინა. პალატამ იმავე წელს მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიანიჭა 90 ათას კაცს. ამიერიდან არჩევნები პირდაპირი ხმის მიცემით ჩატარდებოდა საარჩევნო ოლქების მთავარ ქალაქებში, სადაც თავადაზნაურებზე მეტი გავლენით სარგებლობდა მსხვილი ბურჟუაზია. ამ კანონის მიღების შემდეგ ყოველწლიურ არჩევნებში წარმატებას აღწევდნენ ლიბერალები და არა ულტრაროიალისტები, რომლებსაც მხოლოდ სოფლებში გააჩნდათ მყარი პოზიციები.

[1] „უბადლო პალატა“ (Chambre Introuvable) — პალატა, რომლის მსგავსი არ შეიძლება მოიძებნოს.

[2] პრევოტარული სასამართლოები შემოიღეს ყველა დეპარტამენტში. ისინი შედგებოდა მაღალი წოდების სამხედრო პრევოსგან (პროკურორის ფუნქციით), თავმჯდომრისგან და ოთხი მოსამართლისგან. არჩევდნენ რა პოლიტიკურ საქმეებს, ეს სასამართლოები მოქმედებდნენ სწრაფად, ნაფიცი მსაჯულების და აპელაციის გარეშე. ბრალდებულის შეწყალების უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა, ისიც თვით მოსამართლეთა წარდგინებით, რაც იშვიათად ხდებოდა.

ახალი პალატის მიერ დამტკიცებული 300-მილიონიანი სესხის ნაწილი რიშელიემ საფრანგეთიდან საოკუპაციო ჯარის დიდი კონტიგენტის გაყვანას მოახმარა; საკანონმდებლო კორპუსმა გააუქმა ხალხისთვის საძულველი პრევოტარული სასამართლოები, სამაგიეროდ 1818 წლამდე ძალაში დატოვა ცენზურის რეჟიმი ბეჭდვით სიტყვაზე.

დამარცხების მიუხედავად ულტრაროიალისტები ყველაფერს აკეთებდნენ მთავრობის დასამხობად. ამ მიზანდინობაში მათ თვით სამინისტროში თავწამოყოფილი უთანხმოება დაეხმარა: რიშელიემ, ახენში მიაღწია რა საოკუპაციო ჯარების მთლიანად გაყვანას, ლიბერალი მინისტრების დეკაზის და სენსირის თავიდან მოცილება განიზრახა, მაგრამ მეტე თავს თავორიტს (დეკაზს) ვადაეფარა და თავად ჰერცოგი დაითხოვა (1818 წ. დეკემბერი). დეკაზის წინადადებით ლუი XVIII-ემ გააუქმა პოლიციის სამინისტრო, როგორც თავისუფლების პრინციპებისათვის შეუფერებელი ინსტიტუტი. 1819 წ. ლიკვიდაცია უყვეს ცენზურას და წინასწარ ნებართვას გაზეთის გამოცემისთვის (გამომცემლის დაპატიმრების, ან დაჯარიმების საქმე ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს მიანდეს). გამოსწორდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობაც: მომჭირნეობით, ზუსტი აღრიცხვით, რენტის ზრდით, მრეწველობის წახალისებით, ვაჭრობის გაფართოებით და პროტექციონიზმით მთავრობამ შეძლო სიძნელეების გადალახვა. მაგრამ 1819 წ. ჩატარებულმა ნაწილობრივმა არჩევნებმა დიდად ავნეს მეფის ფავორიტს: დეკაზის დაცემა პარლამენტში კონვენტის წევრის, აბატ გრეგუარის (მან ხმა მისცა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას) არჩევამ დააჩქარა. ამ ფაქტმა ისე გააცოფა ულტრაროიალისტები (ლუი XVIII-მ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო), რომ დეკაზმა საარჩევნო კანონის შეცვლა გადაწყვიტა. მთავრობაში მის განზრახვას წინ აღუდგნენ მარშალი სენ-სირი და გენერალი დესოლი. მალე ეს მინისტრები გადადგნენ და დეკაზმა შეადგინა ახალი სამინისტრო, რომელსაც 1820 წ. 14 თებერვალს პალატისთვის უნდა წარედგინა კანონპროექტი.

13 თებერვალს, საღამოს 11 საათზე, ოპერიდან გამოსული ბერის ჰერცოგი სასიკვდილოდ დაჭრა ხელოსანმა (მეუნაგირემ) ლუველმა, რომელსაც ბურბონების მემკვიდრის გარეშე დატოვება ამოძრავებდა (არც ლუი XVIII-ს და არც ანგულემის ჰერცოგს შვილები არ ჰყავდათ და სამეფო კარი მოკლულის იმედზე იყო). სწორედ ლუველის თავდასხმამ შეიწირა დეკაზი: დ'არტუას „მარსანის პავილიონმა“ და სამღვდელოებამ პრინცის მკვლელობა მთავრობის ლიბერალურ რეჟიმს დააბრალეს. „ყველაზე დიდი დამნაშავეა არა ის ხელი, რომელმაც დარტყმა ჩაიდინა“, — წერდა შატობრიანი და დეკაზის გასამართლებას მოითხოვდა. მეფე ოთხი დღის მანძილზე ებრძოდა ნათესაობას და ბოლოს იძულებული გახდა გაეშვა ფავორიტი (ლუი XVIII-ემ დეკაზს ჰერცოგის ტიტული უბოძა და ელჩად განაწესა ინგლისში). სამინისტროს სათავეში რიშელიე დაბრუნდა. განიცდიდა რა ულტრაროიალისტების ზეწოლას, მან აღადგინა დრაკონური კანონები პირონების და პრესის თავისუფლების წინააღმდეგ, მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, რომელმაც პალატაში თავადაზნაურთა რაოდენობა გაზარდა (მსხვილ მიწათმფლობელებს, ანუ მაღალი რენტის გადამხდელთ, ამომრჩეველთა ვოტუმის მიღება შეეძლოთ როგორც საოლქო, ასევე სადეპარტამენტო არჩევნებში; ამიტომაც ეწოდა ამ კანონს ორმაგი ვოტუმის კანონი). გარდა ამისა, საარჩევნო კომისიათა ბიუროებს ნიშნავდა მთავრობა, ხოლო ამომრჩევლები ბიუროს თავმჯდომარის თვალწინ ავსებდნენ ბიულეტენს. რიშელიეს საარჩევნო კანონმა ნამდვილი ომი გამოიწვია და იგი 5 ხმის უპირატესობით გავიდა.

უკიდურესი როიალისტები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ხოლო მოკლული ბერის ჰერცოგის შვილის („სასწაულის ბალღის“), ბორდოს ჰერცოგის დაბადებამ (იგი მამის დაღუპვიდან მეშვიდე თვეზე იშვა), არნახული სიხარული და ენთუზიაზმი შთაბერა მათ. 1820 წ. არჩევნებში როიალისტურმა პარტიამ კვლავ გაიმარჯვა და მისი ლიდერი ვილელი მთავრობაში შევიდა. რეაქციონერთა ბანაკს ძალა შემატა, აგრეთვე, ნეაპოლსა და პიემონტში რევოლუციების ჩახშობამ. რიშელიეს მეორე მინისტრობის ჟამს არმიიდან გააძევეს 150 დამსახურებული გენერალი, ჩინ-მედლებისკენ გზა მისცეს დ'არტუას ფავორიტებს. ჰერცოგმა გააპროტესტა ულტრაროიალისტთა თავაშვებულობა და, რადგანაც ვერ მიიღო ლუი XVIII-ის მხარდაჭერა (მეფე ძმისშვილის მკვლელობის და დეკაზის გადაყენების შემდეგ აბსოლუტისტთა ტყვეობაში იყო), გადადგა.

1821 წ. დეკემბერში ვილელმა შეადგინა როიალისტური კაბინეტი, რომელშიც წამყვანი პოსტები რეაქციონერმა არისტოკრატებმა დაიკავეს. საგარეო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ ვიკონტები მონმორანსი და შატობრიანი. ვერონის კონგრესზე, მიუხედავად მეფის, ვილელის და მონმორანსის წინააღმდეგობისა, შატობრიანმა მხარი დაუჭირა ესპანეთში რევოლუციის ჩასახშობად საფრანგეთის არმიის გაგზავნას. მან თავისი გაიტანა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც დაისაკუთრა. 1823 წ. იანვრის სესიაზე პარლამენტში ცხარე ბრძოლა გაჩაღდა ინტერვენციის მომხრეებსა და მათ ოპონენტებს (ტალეირანი, გრაფი დარიუ, გენერალი ფუა და სხვ.) შორის. „თუ ესპანეთის წინააღმდეგ თქვენს მიერ ჩაფიქრებული ომი სამართლიანია, — მიმართავდა მთავრობას როიე-კოლარი, — ამ შემთხვევაში სამართლიანი ყოფილა ის ომიც, რომელსაც 30 წლის წინათ ჩვენს წინააღმდეგ ეწეოდნენ უცხოელები. გამოდის, ტყუილად გვიცემია ავსტრიელებს!“. პროტესტებს მიუხედავად ანგულემის ჰერცოგი ესპანეთში შეიჭრა და აღადგინა ფერდინანდ ბურბონის სისხლიანი რეჟიმი (1823). ფრანგ როიალისტებს ფრთები შეასხა ამ „გამარჯვებამ“ და ყველაფერი იღონეს ახალი არჩევნების მოსაგებად. მართლაც, — 1824 წ. „უბადლო პალატა“ მკვდრეთით აღდგა (ლიბერალებმა მხოლოდ 15 ადგილი დაიკავეს). ლუი XVIII-მ პალატას ორი კანონპროექტი წარუდგინა, რომელთაგან ერთი ითვალისწინებდა პარლამენტის შვიდწლიან ფუნქციონირებას, ხოლო მეორე — ემიგრანტებზე ფულადი კომპენსაციის გაცემას. პირველი პროექტი იოლად იქნა მიღებული, მეორეს კი დიდი წიმააღმდეგობა შეხვდა: შატობრიანისტებმა, ვილელის ჯიბრზე, თავი შეიკავეს ვოტირებისგან (შატობრიანს პირველობა სურდა და ოპოზიციაში გადაბარგდა), რასაც პრემიერის გადადგომა მოჰყვა.

1824 წ. 16 სექტემბერს ლუი XVIII მოკვდა. ერთი თვის შემდეგ პარიზელებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს გრაფ დ'არტუას, რომელიც ქვეყანას შარლ X-ის სახელით მოევლინა.

## შარლ X-ის მეფობა (1824-1830)

სანამ აღესრულებოდა, ლუი XVIII-მ თავის ძმას და მემკვიდრეს „ქარტიის“ პრინციპების დაცვა დააფიცა: ხვდებოდა, ალბათ, სულთმოძრავი მეფე, რომ კონსტიტუციის ლიკვიდაციით ბურბონთა დინასტია საბოლოოდ გამოეთხოვებოდა საფრანგეთის ტახტს. ამასვე გრძნობდა ტალეირანიც, როცა მომაკვდავის სასთუმალთან მოურიდებლად თქვა „აქ ძალიან ყარს“.

ახალი მეფე შარლ X ხშირად იმეორებდა გაცვეთილ ფრაზას „ჯობს ვიყო ხისმჭრელი, ვიდრე ინგლისის მონარქივით ვიმეფო“.

ამ გონებაშეზღუდულ და ხანდაზმულ კაცს თავი ისე ეჭირა, როგორც ემიგრანტ დ'არტუას: ვერ იტანდა სიახლეებს, ლიბერალურს, ვერ აცნობიერებ-

და რეალობას, ქვეყნის, ხალხის ინტერესებს და, მისდა სავალალოდ, მეტწილად უპირისპირდებოდა მათ. პირველ თვეებში ახალ მეფეს ზეიმით ხვდებოდნენ პარიზელები[1], მაგრამ სულ მალე მისი პოპულარობა ნისლივით გაიფანტა, ხოლო დიდმა პოეტმა ბერანჟემ მას „შარლ მოჩერჩეტო“ (Charles le Simple) შეარქვა და დასცინოდა „ბებერთა მართველობას“ („გერონტოკრატიას).

შარლ X-ის დროს უსაზღვროდ გაიზარდა სასულიერო პირთა ძალაუფლება. ქვეყანაში დაბრუნებულმა იეზუიტებმა თავიანთი სკოლები გახსნეს, ფარულმა კონგრეგაციებმა ლეგალური სტატუსი მიიღეს, განათლების საქმე კათოლიკურ ეკლესიას დაუქვემდებარეს, სასამართლოები სასტიკად სჯიდნენ მკრეხელებს, ანუ მათ, ვინც საეკლესიო ნივთებს ან შენაწირ (ნაჩუქარ) საგნებს ხელყოფდა, ან შეურაცხყოფდა. მეფე და მისი მინისტრები პარიზიდან აძევებდნენ ლიბერალურ ოფიცრობას, კრძალავდნენ თავისუფალ აზრს და ფაქტიურად ძველ წეს-ჩვეულებებს უბრუნდებოდნენ.

1825 წ. აპრილის კანონით, ემიგრანტების სასარგებლოდ, ასიგნებულ იქნა ერთი მილიარდი ფრანკი. ეს თანხა ბევრად აღემატებოდა იმ ქონების ღირებულებას, რაც დაკარგეს ემიგრანტებმა რევოლუციისა და იმპერიის ეპოქაში.

შარლ X-ის მთავრობის პოლიტიკა ოპოზიციის რიგების ზრდას და გაძლიერებას იწვევდა. პრესის შევიწროებამ ზომიერი მონარქისტები და ლიბერალები გააერთიანა. შატომბრიანმა პროექტს ცენზურის შესახებ ვანდალური უწოდა, ხოლო კაზიმირ პერიემ ასე დაახასიათა ვითარება: „საფრანგეთში ტიპოგრაფიის საქმე ბელგიის სასარგებლოდ მოისპო“. როიალისტები დე ბურდენე და სხვები იზიარებდნენ როიე-კოლარის განცხადებას იმის შესახებ, რომ საფრანგეთში „აღარ იქნებიან აღარც მწერლები, აღარც გამომცემლები და აღარც გაზეთები“. მთავრობა მიხვდა, რომ ამ კანონპროექტის კანონად ქცევა მისი დამარცხების დასაწყისი იქნებოდა და... უკან გამოთხოვა იგი. პარიზმა ოვაცია მოუწყო პერებს, რომლებმაც უარყვეს ვანდალური პროექტი. ამ დემონსტრაციას თვალები უნდა აეხილა მეფისა და ვილელისათვის, მაგრამ ისინი ჯიუტად აგრძელებდნენ რეაქციულ კურსს.

ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფამ შარლ X-ეს ერთგული ეროვნული გვარდიაც აუმხედრა. ამის პასუხად მეფემ დაშალა იგი და ამ მოქმედებით საბოლოოდ გადაიმტერა ბურჟუაზია.

ვითარება დაიძაბა. 1828 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისას მთავრობას დაუპირისპირდა ოპოზიცია, რომელშიც გაერთიანდნენ ლიბერალები და ზომიერი როიალისტები. ისინი ვილელს კონსტიტუციური მონარქიის საფუძვლების შერყევაში ადანაშაულებდნენ და მის გადაყენებას მოითხოვდნენ. პატივმოყვარე მინისტრმა გაჭირვებით შეძლო ბიუჯეტის ვოტირება და მაშინვე დახურა სესია. მან გაამკაცრა ცენზურა: ამიერიდან არც ერთი გაზეთი არ გამოვიდოდა წინასწარი შემოწმების გარეშე. შატობრიანმა და სხვა მწერლებმა დააარსეს თავისუფალი ბეჭდვის საზოგადოება, რომელიც გამოცემდა ბროშურებს (მათი გამოცემა არ იკრძალებოდა). რადგანაც ყველა ელოდა პარლამენტის დაშლას და ახალ არჩევნებს, ოპოზიციამ შექმნა მეორე საზოგადოება სახელწოდებით „გაისარჯე და ღმერთიც შეგეწევა“ (Aide—toi, le ciel t'aidera). მასში შევიდნენ ახალგაზრდა დოქტრინერები — ვიტე, გიზო, სენ ბლოვი და სხვები, რომლებმაც ვილელის წინააღმდეგ გააერთიანეს მემარჯვენეები და მემარცხენეები. მეფემ ვილელის წინადადებით დაშალა პარლამენტი და 1827 წლის ნოემბრისთვის დანიშნა ახალი არჩევნები. ოპოზიციამ მაღალ

[1] შარლ X-ეს ქება და ხოტბა მიუძღვნეს პიუგომ და ლამარტინმა.



დონეზე ჩაატარა საარჩევნო კამპანია და 250 აღგილი მიიღო, ვილელის მომხრეებმა კი—170. ვილელი გადადგა. 1828 წ. იანვარში შარლ X-მ სამინისტროს მეთაურად მარტინიაკი დანიშნა.

ვილელის მმართველობას შეღეგად მოჰყვა ქაოსი, პარტიული უთანხმოებები, რელიგიური ფანატიზმის აღვირახსნილობა, მონარქის პრესტიჟის დაცემა, მაგრამ ორ საქმეში ვილელმა მაინც ისახელა თავი,—გააუმჯობესა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და საფრანგეთის იარაღმა ნავარინთან ბრძოლაში დიდი დახმარება აღმოუჩინა ელინებს.[1]

## 1830 წ. ივლისის რევოლუცია

ვიკონტი მარტინიაკი შრომისმოყვარე და ზომიერი პოლიტიკოსი იყო. მას გულწრფელად სურდა მეფისა და ხალხის დაახლოება, რისთვისაც რამდენიმე პროგრესული ღონისძიება გაატარა, კერძოდ, განათლების სისტემა ჩამოაცილა ეკლესიას, გააუქმა დრაკონული კანონები პრესის შესახებ, დაუშვა სიტყვის თავისუფლება, აკრძალა იეზუიტური ორდენის მოღვაწეობა და სხვ. მაგრამ შარლ X-ს არც მარტინიაკი სურდა და არც მისი ლიბერალური რეფორმები, იგი სიამოვნებით შეცვლიდა მინისტრს თავადი პოლინიაკით, რომელიც ელჩად ჰყავდა ლონდონში. მარტინიაკის გადაყენების საბაბიც გამოჩნდა: 9 თებერვალს მთავრობამ ორი კანონპროექტი შეიტანა პალატაში. ისინი კომუნალურ და დეპარტამენტალურ მმართველობას ეხებოდა. თუ იმპერიის პერიოდში მმართველობის ორგანოებს მთავრობა ნიშნავდა, მარტინიაკმა გადაწყვიტა, ხალხი ჩაება თავისი საქმეების წარმართვაში. პროექტი ჩავარდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავრობის გადაყენებისთვის.

1829 წ. 8 აგვისტოს შარლ X-მ სამინისტრო თავად პოლინიაკს ჩააბარა. ეს მთავრობა სუფთა წყლის როიალისტებისაგან შედგებოდა და მისი არც ერთი მინისტრი არ სარგებლობდა პოპულარობით. იგი, მარტინიაკის თქმით, „კონტრრევოლუციურ ხასიათს“ ატარებდა. ხიდი, რომელიც ჯერ კიდევ ერთმანეთთან აკავშირებდა ხალხს და მეფეს, სამუდამოდ ჩაინგრა. „სამეფო კარი თავისი დრომოჭმულობით, ეკლესია თავისუფლებისადმი შეურიგებელი მტრობით და ემიგრაცია თავისი ცრურწმენებით კვლავ ჩადგნენ საფრანგეთსა და მეფეს შორის,“ — წერდა დოქტრინერთა გაზეთი „ჟურნალ დე დება“.

ქვეყნის აღშფოთებას აშკარად იწვევდა პოლინიაკის აღზევება. ამის საფუძველს მისი წარსული და აწმყო იძლეოდა. მართალია, მან ინგლისში ელჩობის ჟამს გამოამჟღავნა დიპლომატის მოქნილობა, მაგრამ საერთო ჯამში ვიწრო გონების და თავის თავზე დიდი წარმოდგენების კაცი იყო. მას, მისტიციზმის ტრფიალს, სწამდა, რომ „იხსნიდა საფრანგეთს“, თუკი მოსპობდა ქარტიით მოპოვებულ თავისუფლებებს. რაც შეეხება სხვა მინისტრებს, ლე ბურდონე პირწავარდნილი რეაქციონერი იყო, ხოლო ბურმონი (სამხედრო მინისტრი) მოღალატის იარლიყით დადიოდა (1814 წ. შარლერუასთან ბრძოლის წინ პრუსიელთა მხარეზე გადავიდა). ასეთი მთავრობისაგან, ბუნებრივია, ლიბერალები და რესპუბლიკელები კონტრრევოლუციურ გადატრიალებას მოელოდნენ, ამიტომ ისინი სასწრაფოდ გაერთიანდნენ წინააღმდეგობის ბანაკში. საზოგადოებრივმა აზრმა მთელი საფრანგეთი პოლინიაკის კაბინეტს დაუპირისპირა. ოპოზიციას ხელმძღვანელობდნენ გიზო, დე ბროილი (კონსტიტუციონალისტები), ჟუბერი, ჟოფრუა კავენიაკი (რესპუბლიკელები), ლაფაიეტი, ლაფიტი, როიე-კოლარი, კაზიმირ პერიე (ლიბერალური მონარქისტები), ტალეი-

[1] იხ. „საერთაშორისო ურთიერთობები 1815-1880 წლებში“.

რანი და ბარონი ლუი. ამ მოღვაწეთა უმრავლესობას საფრანგეთის სამეფო ტახტზე ლუი-ფილიპე ორლეანელი სურდა. ოპოზიციას დიდ დახმარებას უწევდნენ ადოლფ ტიერ[1]-ი და გაზეთი „ნაციონალი“ (National).

თავის მხრივ როიალისტები ქვეყნის დაშოშმინების ნაცვლად რეაქციულ პოლიტიკას აგრძელებდნენ და დიქტატურის დამყარებას აპირებდნენ. პოლინიაკს პალატების გარეკვა და საფრანგეთის ორდონანსებით მართვა სურდა, მაგრამ ოპოზიცია მის განზრახვას მომზადებული შეხვდა. 1830 წ. 18 მარტს მეფეს ადრესით მიმართა, პალატის თავმჯდომარემ, როიე-კოლარმა, რომელშიც ცალსახად იყო მითითებული ფრანკი ხალხის ერთგულებაზე ქარტიისადმი და სურვილზე, გადაეყენებიათ მთავრობა. შარლ X-მ მეორე დღეს დაითხოვა პარლამენტი და მისი სესია სექტემბრამდე გადადო. ოპოზიციამ მეფის ნაბიჯი პალატების დათხოვის პრელუდიად აღიქვა.

„ახ, თქვენ გინდათ გადაავადოთ სესია? — ჰკითხა ტალეირანმა ერთ-ერთ მინისტრს. — მაშინ მე მამულს შევიძენ შვეიცარიაში“...

მართლაც, 16 მაისს მეფემ გამოსცა ორდონანსი პალატების დათხოვნის შესახებ. ქვეყანა დაბნეულობამ მოიცვა, რამდენიმე მინისტრი გადადგა, დინასტიის მომხრეთა ბანკი შიშმა შეიპყრო. „მონარქია, — წერდა ვილელი, — მომაგონებს ციხესიმაგრეს, რომლის ქვეშ ჩადებულია ნაღმები და სულ პატარა ნაპერწკალია საჭირო მის ასაფეთქებლად“. „ჩვენ ვულკანის თავზე ვცეკვავთ!“ — გაიძახოდნენ როიალისტები და არცთუ უსაფუძვლოდ: მის ამოქმედებას და ამოხოთქვას თავად მეფის მთავრობა აჩქარებდა.

1830 წ. 23 ივნისს ჩატარდა არჩევნები. ოპოზიციამ ჯაიმარჯვა, ასე რომ, ალჟირის აღება ვერაფერი შეღავათი გამოდგა პოლიანიკასთვის და ამ უკანასკნელმა სახელმწიფო გადატრიალების გეგმა შეადგინა. მეფეს კიდევ შეეძლო სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ მთავრობის გადაყენების ნაცვლად ოპოზიციური კრების გასარეკად მოემზადა. „დათმობებმა დაღუპეს ლუი XVI, — ამბობდა ძმაზე შარლ X,—ჩვენ ისღა დაგვრჩენია ან ცხენს მოვახტეთ (ე. ი. ვიბრძოლოთ, — ავტ.), ან ჩავსხდეთ ჯალათის საზიდარში...“

კვირას, 25 ივლისს, სენ-კლუში, მან საბედისწერო სვლა გააკეთა: ხელი მოაწერა ოთხ ორდონანსს.

— პირველი აუქმებდა ბეჭდვის თავისუფლებას და აღადგენდა წინასწარი ნებართვის რეჟიმს;

— მეორე ეხებოდა პალატების დაშლას;

— მესამე წარმოადგენდა ახალ საარჩევნო კანონს, რომლის მიხედვით ამომრჩეველთა რიცხვი მცირდებოდა სამი მეოთხედით, ხოლო პალატას კანონპროექტებში შესწორების შეტანა ეკრძალებოდა;

— მეოთხე ორდონანსით არჩევნები 13 სექტემბრისთვის დაინიშნა, ხოლო სესია — 28 რიცხვისთვის.

მთავრობა ხელდაკრეფილი იჯდა, — არ ზრუნავდა თავის დაცვაზე (პოლინიაკს სწამდა, რომ მასები ხელს არ გამოიღებდნენ ბურჟუაზიისათვის) და 14 ათასიანი კორპუსის იმედზე იდგა, რაც დიდი შეცდომა იყო.

26 ივლისს საპარლამენტო ოპოზიცია საპროტესტო განცხადებით გამოვიდა, თუმცა კანონიერების ზღვარი არ დაურღვევია. სამაგიეროდ საქმეში მშრომელები ჩაერივნენ: საღამოს უკვე ადგილი ჰქონდა მანიფესტაციებს ლოზუნგით — „გაუმარჯოს ქარტიას! ძირს მინისტრები!“

[1] ტიერ-ი (ლუი-ადოლფი) დაიბადა მარსელში, 1797 წ., პარიზში დასახლდა 1821-ში და სახელი გაითქვა. როგორც ნიჭიერმა ჟურნალისტმა. 1823-1827 წლებში გამოსცა „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“, მონაწილეობა მიიღო „ნაციონალის“ დაარსებაში; იყო ორლეანისტი. („ტიერ“-ს ისტორიკოს „ტიერისაგან“ გამოსარჩევად ვწერთ).



27 ივლისს დაიწყო აჯანყება. პარიზში განლაგებული ჯარების სარდალი, მარშალი მარმონი, რომელიც ხალხის თვალში არაპოპულარული იყო ღალატისათვის (მან 1814 წ. თავისი დივიზია ჩააბარა მოკავშირეებს), მიხვდა, რომ დამხმარე ძალების გარეშე ვერ გაუმკლავდებოდა შეიარაღებულ მასებს. მან დაგმო ორდონანსების გამოცემა, თავის ოფიცრებს კი უბრძანა, — არ გაეხსნათ ცეცხლი მანამ, სანამ მეამბოხეები არ დაიწყებდნენ სროლას.

ამასობაში პარიზი ბარიკადებით დაიფარა და სისხლიც დაიღვარა. პოლინიაკმა დედაქალაქში საალყო წესები გამოაცხადა, თან მეფეს ამშვიდებდა, რომ საგანგაშო არაფერი იყო. მეფეც, თავის მხრივ, არხეინად სეირნობდა სენ-კლუს პარკში, თამაშობდა ბანქოს და იშვიათად თუ გავიდოდა აივანზე, საიდანაც კარგად მოჩანდა ალმოდებული პარიზი.

28 ივლისს აჯანყებამ ორგანიზებული სახე მიიღო. რესპუბლიკელებმა, გვარდიელებმა, სტუდენტებმა და მუშებმა ჟოფრუა კავენიაკის (რესპუბლიკელი, პოლიტექნიკური სკოლის სტუდენტი) მეთაურობით ქუჩებში ბრძოლები გაუმართეს მარმონს. პარიზის თავზე სამფეროვანი დროშა აღიმართა. მინისტრებმა ტიუილრის სასახლეს შეაფარეს თავი, ხოლო მარმონის ჯარისკაცები აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდნენ.

29 ივლისს დაეცა ტიუილრი, მარმონი შეცვალა ანგულემის ჰერცოგმა, მაგრამ ისიც მალე დარწმუნდა, რომ ბურბონების საქმე წაგებული იყო. დეპუტატები გათამამდნენ. ისინი შეიკრიბნენ ბანკირ ლაფიტის სახლში და გადაწყვიტეს ხელი ეგდოთ რევოლუციის სადავეები. შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად მათ ლაფაიეტი დანიშნეს (ეს მარკიზის მესამე რევოლუცია იყო!), შექმნეს მუნიციპალური კომისია დედაქალაქის სურსათით მომარაგებისათვის. კომისია ლაფიტის, კაზიმირ პერიეს და სხვათა შემადგენლობით დროებით მთავრობად იქცა. ტიერ-მა და მინიემ მხარი დაუჭირეს ბურბონების დამხობისა და ორლეანელთა გამეფების იდეას.

ლუი-ფილიპე ორლეანელი 31 ივლისს პარიზში დაბრუნდა. მან შეადგინა მანიფესტი, რომელშიც პირობას დებდა, რომ იგი, ვითარცა მეფისნაცვალი, პარიზელებთან ერთად იბრძოლებდა „ქარტიის“ პრინციპების დასაცავად.

შეიარაღებული მასის თვალში დროებითი მთავრობისა და დეპუტატთა სურვილს არავითარი წონა არ ჰქონდა. საჭიროება ხალხის მოტყუებას და მისგან თანხმობის მიღებას მოითხოვდა. ამ მიზნით რატუშაში, სადაც რესპუბლიკელები იმყოფებოდნენ, გამოცხადდა ლუი-ფილიპე. პრინცმა თვალთმაქცობას მიმართა. — აივანზე სამფეროვანი დროშით გამოვიდა და ქუჩაში მდგარი პარიზელების დასანახად ლაფაიეტს გადაეხვია. ამ გათამაშებულ სცენას ხალხი ოვაციით შეხვდა. ამიერიდან ლუი-ფილიპეს პარიზის აღარ ეშინოდა.

მოვლენები კი ასეთნაირად განვითარდა: 2 აგვისტოს რამბულიეში გაქცეულნი შარლ X და ანგულემის ჰერცოგი პატარა პრინცის, ბორდოს ჰერცოგის, სასარგებლოდ გადადგნენ, ხოლო მის გამეფებამდე მეფისნაცვლის ფუნქციები ლუი-ფილიპეს დაულოცეს.[1] მალე ყოფილი მეფე ოჯახიანად ინგლისში გადავიდა.

[1] 3 აგვისტოს ლუი-ფილიპემ პალატას განუცხადა, რომ მეფისა და დოფინის გადადგომაზე აცნობებდა პალატებს, როგორც კი ისინი შეიკრიბებოდნენ. მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია ბორდოს ჰერცოგზე, რომლის სასარგებლოდ შეადგინა შარლ X-ემ გადადგომის აქტი.

9 აგვისტოს ორლეანის ჰერცოგი საფრანგეთის მეფედ, ლუი-ფილიპე I-ად იქცა. მან ღვთის წინაშე დაიფიცა, რომ დაიცავდა „ქარტიას“ მასში შეტანილი ცვლილებებით[1], რომ თავის მოღვაწეობაში იხელმძღვანელებდა კანონებით და ფრანგი ხალხის კეთილდღეობის და ღირსების ამაღლების სურვილით.

## ივლისის მონარქია

ლუი-ფილიპე მამამისის, ორლეანის ჰერცოგის („ფილიპე-ეგალიტეს“) სიკვდილით დასჯამდე (1793) შარტრის ჰერცოგის ტიტულს ატარებდა. 1789 წ. ის 17 წლის იყო და, ბუნებრივია, არ ერეოდა პოლიტიკურ ინტრიგებში, მაგრამ სამიოდე წლის შემდეგ სახელოვნად იბრძოდა კოალიციის წინააღმდეგ და პოპულარობით სარგებლობდა არმიაში. დუმურიეს ღალატის გამო (პრინცი ამ გენერალთან მეგობრობდა), ლუი-ფილიპე, როგორც ეჭვმიტანილი, ემიგრაციაში წავიდა, სადაც ხელმოკლედ ცხოვრობდა. ბურბონები მისმა მტრულად იყვნენ განწყობილნი და მათი შერიგება მოხდა 1804 წ., როდესაც ლუი-ფილიპემ პროტესტი გამოხატა ენგიენის ჰერცოგის დახვრეტის გამო. რესტავრაციის პერიოდში ლუი XVIII-მ მას დაუბრუნა ის ქონება, რომელიც გაყიდვას გადაურჩა, ხოლო შარლ X-მ სხვა მამულებიც უბოძა. ამ უკანასკნელის მეფობის ჟამს ორლეანის ჰერცოგი პალე-როიალში ცხოვრობდა, სადაც ლიბერალური პარტიის ცნობილ მოღვაწეებს, — ლაფიტს, დე ბროილს, ტიერ-ს, ბერანჟეს და სხვებს იღებდა. ლუი ფილიპე ბურჟუაზიისა და ხალხის თვალში უბრალო, სათნო, მოწყალე და ენამახვილი კაცი იყო. მას, იღლიაში ქოლგაამორჩილს, ხშირად ხვდებოდნენ პარიზის ქუჩებსა და ბაზარში, სადაც ნებისმიერ გამვლელს თუ კლიენტს შეეძლო მასთან გასაუბრება. იგი ახლო ურთიერთობაში იყო ფულიან სამყაროსთან, თავად თამაშობდა ბირჟაზე და არცთუ ურიგოდ.

„ბარიკადების მეფე“ ტახტზე ასვლისას 57 წლის იყო. მან პირველ დღეებში წვეულებები გამართა ტიუილრის სასახლეში, სადაც გულთბილად მასპინძლობდა ლაფაიეტს, გვარდიელებს, ლიბერალებს, ბანკირებს, მაგრამ მისი გულითადობა და უბრალოება მოჩვენებითი იყო, რამეთუ მის მტკიცე ხასიათსა და პატივმოყვარეობას შარლ X-სავით სძულდა პრინციპი—„მონარქი მეფობს, მაგრამ არ მართავს.“ ლუი-ფილიპე და დოქტრინერების უმრავლესობა თვლიდნენ, რომ საჭირო იყო „ქარტიაში“ უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა და ქვეყნის სათავეში მიწათმფლობელი არისტოკრატიის ნაცვლად ფულიანი არისტოკრატიის მოსვლა.

ლუი-ფილიპეს შეუზღუდველი მეფობა სურდა და მან საწადელს 10 წლის შემდეგ მიაღწია, მანამდე კი მრავალი დაბრკოლებისა და განსაცდელის გადალახვა მოუხდა.

ახალი „მეფე-მოქალაქის“ შეურიგებელი მტრებიდან ყველაზე ძლიერნი ლეგიტიმისტები (ბურბონთა მომხრეები) და რესპუბლიკელები იყვნენ. პირველთა თვალში იგი სხვისი, შარლ X-ის შვილიშვილის, ბორდოს ჰერცოგის, გვირგვინის მიმტაცებელი იყო. ლეგიტიმისტებს ზურგს უმაგრებდნენ პროვინციები, განსაკუთრებით ვანდეა, სადაც გლეხობა ძველებურად უჭერდა მხარს ბურბონთა მონარქიას. ამ პარტიას ემხრობოდნენ, აგრეთვე, სასულიერო წოდება და პარლამენტური ოპოზიცია, მაგრამ ლეგიტიმისტების ოპოზიცია სალონური ინტრიგების ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

უზურპატორს უფრო დიდ საშიშროებას რესპუბლიკური პარტია უქმნიდა. მართალია, მას იმდენი სახსრები არ გააჩნდა, როგორც ლეგიტიმისტებს, მაგრამ თავის რიგებში იგი უაღრესად ენერგიულ მებრძოლებს აერთიანებდა (მრავალი რესპუბლიკელი ივლისის დღეებში ბარიკადებზე იბრძოდა, მრავალი კი კარბონართა საზოგადოებების წევრი იყო). რესპუბლიკელებმა თანმიმდევრობით დააარსეს რამდენიმე ფარული ორგანიზაცია — „ხალხის მეგობრები“, „ადამიანის უფლებები“, „წელიწადის დრონი“ და სხვ. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო „ადამიანის უფლებების“ საზოგადოება, რომელმაც რამდენიმე აჯანყება მოაწყო პარიზსა და ლიონში (1832, 1834).

ლუი-ფილიპეს რესპუბლიკელებიც უწოდებდნენ „უზურპატორს“ და მართალიც იყვნენ: პალატა, რომელმაც იგი მეფედ აირჩია (9 აგვისტო), შარლ X-მ რევოლუციამდე დაითხოვა (მას არც ამომრჩევლებისგან მიუღია რწმუნება მეფის არჩევისათვის). ლუი-ფილიპეს რომ პლებისციტი ჩაეტარებია ნაპოლეონივით, ხალხი ბურბონთა ჯიბრზე მის გამეფებას მიცემდა ხმას და ამით რესპუბლიკელები ბედს შეურიგდებოდნენ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა და დამხობამდე ვერ მოიცილა „უზურპატორის“ იარლიყი.

რას მოითხოვდნენ რესპუბლიკელები რევოლუციის მეორე დღეს?— მხოლოდ ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდას, მემკვიდრეობითი პერობის გაუქმებას, ხალხის მიერ ზედა (პერთა) პალატის და ადგილებზე მრჩევლთა არჩევას.

ბონაპარტისტთა პარტია რაიხშტადტის ჰერცოგის (ნაპოლეონის შვილის) სიცოცხლეში თითქმის არ არსებობდა; მისი ერთი ნაწილი (ნაპოლეონის მარშლები და მოხელეები) ლუი-ფილიპეს დაუდგა სამსახურში, ნაწილი კი რესპუბლიკელებს მიემხრო, ან საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკას მანამ, სანამ პრინცმა ლუი-ნაპოლეონმა (ნაპოლეონის ძმის, ჰოლანდიის ყოფილი მეფის ლუის და ჰორტენზია ბოჰარნეს შვილმა) და გააერთიანა თავის დროშის ქვეშ ყველა ბონაპარტისტი.

თვით ლუი-ფილიპეს მომხრეებშიც არ იყო ერთსულოვნება. ის ნაწილი, რომელიც ახლოს იდგა რესპუბლიკურ იდეებთან და დემოკრატიულ გარდაქმნებს მოითხოვდა, ე. წ. „მოძრაობის პარტიაში“ გაერთიანდა. მისი ლიდერები იყვნენ ლაფიტი, ლაფაიეტი და ოდილონ ბარო[1]. როცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აჯანყებებმა იფეთქა, „მოძრაობის პარტიამ“ ლუი-ფილიპეს რევოლუციური ხალხებისათვის დახმარების გაწევა მოთხოვა, მაგრამ ამაოდ: „ბარიკადების მეფემ“ ცალსახად აუწყა საღვთო კავშირს, რომ ივლისის მონარქია თითსაც არ გაანძრევდა რევოლუციების დასახმარებლად.

განსხვავებით „მოძრაობის პარტიისა“, გიზოს, პერიეს და დე ბროილის ე. წ. „წინააღმდეგობის პარტია“, რომელიც ლუი-ფილიპეს სიმპათიებს იმსახურებდა, ივლისის რევოლუციას დამთავრებულად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, მეფე მაინც ვერ ბედავდა მოწინავე ლიბერალების წინააღმდეგ აშკარა დემარშს, მას ჯერ თავისი ძალაუფლება უნდა გაეძლიერებინა და დაეშოშმი-

[1] 7 აგვისტოს პალატამ ცვლილებები შეიტანა „ქარტიაში“, სახელდობრ: გაუქმდა მუხლი, რომელიც კათოლიციზმს სახელმწიფო რელიგიად აცხადებდა; მეფეს აღარ შეეძლო კანონების გაუქმება, ან მისი მოქმედების შეჩერება; საკანონმდებლო ინიციატივა ენიჭებოდა პალატებს; გაუქმდა მემკვიდრეობითი პერობა და პერის დანიშვნა მეფის მიერ; შემცირდა ასაკობრივი ცენზი დეპუტატისთვის (30 წლამდე) და ამომრჩევლისთვის (25 წლამდე).

[1] ოდილონ ბარო დაიბადა 1791 წ., რესტავრაციის პერიოდში სახელი გაითქვა როგორც ლიბერალმა ჟურნალისტმა, 1830 წ. მიემხრო ლუი-ფილიპეს, რომელმაც იგი სენის დეპარტამენტის პრეფექტად დანიშნა; 1848 წლამდე წარმომადგენლობითი პალატის დეპუტატი იყო.

ნებინა მღელვარებით მოცული დედაქალაქი. ამ მიზანს ემსახურებოდა პირველი სამინისტრო, რომელიც ორლეანელთა დინასტიის მომხრეებმა—ლაფიტმა, პერიემ, გიზომ, დე ბროილმა და ბარონმა ლუიმ შეადგინეს. ეროვნული გვარდიის მთავარსარდლად დანიშნულ იქნა ლაფაიეტი, ხოლო სენის დეპარტამენტის პრეფექტად ოდილონ ბარო. ცხადია, ასეთი ჭრელი სამინისტრო დიდხანს ვერ იარსებებდა. მართლაც, „წინააღმდეგობის პარტიის“ ლიდერები მაშინვე გადაიგნენ, როგორც კი მეფემ პარიზელთა აჯანყების შიშით სანქცია მისცა შარლ X-ის რეაქციონერი მინისტრების (პოლინიაკის და სხვ.) გასამართლებას (1830 წ. ოქტომბერი). 3 ნოემბერს ლაფიტმა შეადგინა ახალი კაბინეტი, რომელშიც „მოძრაობის პარტიის“ წევრები შევიდნენ. შარლ X-ის მინისტრებს სასამართლომ მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა (დეკემბერი), რამაც ხალხის აღშფოთება გამოიწვია (იგი მათ დახვრეტას მოითხოვდა.). ფეთქებადი სიტუაცია ლიბერალთა აგიტატორებმა, სტუდენტებმა და ეროვნული გვარდიის სიმტკიცემ განმუხტეს. თითქოსდა ამიერიდან მთავრობის პოზიციები უნდა განმტკიცებულიყო, მაგრამ ლუი-ფილიპემ უმადურობა ჩაიდინა: ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის პოსტის გაუქმებით თავიდან მოიცილა ყველასგან დაფასებული ლაფაიეტი (შეურაცხყოფილი გენერალი თავად გადადგა). ამ უკანასკნელს კაბინეტის სხვა წევრებიც მიჰყვნენ და ლაფიტი, „მოძრაობის პარტიის“ ლიდერი, მარტო აღმოჩნდა. მალე, ლუი-ფილიპეს კაპიტულანტური საგარეო პოლიტიკის გამო, ისიც გადადგა[1].

როგორი იყო ლაფიტის მთავრობის საშინაო პოლიტიკა?—მის დროს პალატებმა მიიღეს სამი მნიშვნელოვანი კანონი. პირველი ეხებოდა თვითმმართველობას, მეორე—არჩევნებს, ხოლო მესამე—ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციას. ამიერიდან მუნიციპალიტეტთა მრჩევლებს აირჩევდნენ (და აღარ დანიშნავდნენ) მდიდარი მოქალაქენი და ე. წ. „ტალანტები“ (ექიმები, ნოტარიუსები, ვექილები, გადამდგარი მოხელეები და სხვ.). საარჩევნო კანონით გაუქმდა ორმაგი ვოტუმი, შემცირდა ქონებრივი ცენზი დეპუტატისთვის 500 ფრანკამდე (ნაცვლად 1000-სა), ამომრჩევლებისათვის 300-დან 200 ფრანკამდე, ხოლო „ტალანტებისთვის“—100 ფრანკამდე. ამ რეფორმამ 188 ათასამდე გაზარდა ამომრჩეველთა რიცხვი (30 მილიონი ფრანგიდან) და სწორედ ამ რაოდენობამ შეადგინა „ლეგალური ქვეყანა“ (pays legal). ინტელიგენცია არჩევნებს გარეთ დარჩა; 18 წლის მანძილზე საფრანგეთს პლუტოკრატია განაგებდა.

მესამე კანონის ძალით ეროვნულ გვარდიაში შესვლა შეეძლო მხოლოდ შეძლებულს, ე. ი. მას, ვინც იხდიდა პირდაპირ გადასახადს და საკუთარი სახსრებით შეიძენდა ამუნიციას. დაბალი წოდების მეთაურებს თავად გვარდიელები ირჩევდნენ, ხოლო მაღალი ჩინის ოფიცრებს ნიშნავდა მონარქი.

ლაფიტის შემდეგ სამინისტროს სათავეში ჩაუდგა კაზიმირ პერიე. ეს პოლიტიკური ფიგურა ენერგიული, პრაქტიკული გონების და მტკიცე ნების-ყოფის კაცი იყო. მას ახასიათებდა მბრძანებლობა, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება. მან ძალაუფლების სათავეში მოსვლისთანავე მტკიცედ გადაწყვიტა მთავრობის ავტორიტეტის აღდგენა. იგი მკაცრად ახშობდა შეთქმულებებს, გაფიცვებს, დაუფარავად ერეოდა არჩევნებში და ცდილობდა მუდამ ჰყოლოდა სამთავრობო უმრავლესობა. მაგრამ ბანკირ პერიეს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ეკონომიკური კრიზისი და მისგან გამოწვეული რევოლუციური გამოსვლები. 1831 წ. 21 ნოემბერს ლიონში, პირველად საფრანგეთის ისტორიაში, იფეთქა ფეიქართა აჯანყებამ, რომელიც ფაბრიკანტების მიერ ხელფასის ნიხრის (ტარიფის) შემცირებას მოჰყვა. პროლეტარიატმა შავი დროშა აღმართა წარწერით—„სიცოცხლე შრომაში, ან სიკვდილი ბრძოლაში!“ სამდღიანი ბრძოლა მუშების გამარჯვებით დამთავრდა, ჯარმა დატოვა ქალაქი და მუშებიც დამშვიდდნენ. ეს აჯანყება არ ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ პროლეტარულმა კლასმა თავისი არსებობა და ძალა დაანახა „ამა ქვეყნისა ძლიერთ“. ფეიქართა აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მას უშუალოდ მოჰყვა მშრომელთა გამოსვლები გრენობლში და სხვა სამრეწველო ცენტრებში.

კაზიმირ პერიეს მთავრობას ლეგიტიმისტების შეთქმულებათა ჩახშობაც უხდებოდა. 1832 წ. აპრილში ბერის პერცოგის ქვრივმა დესანტი გადმოსხა მარსელთან და თავისი შვილის, ბორდოს ჰერცოგისათვის ტახტის გადაცემა მოითხოვა. მას იმედი ჰქონდა, რომ ფრანგი ხალხი ისე მიემხრობოდა ბურბონების რძალს, როგორც ელბიდან დაბრუნებულ ნაპოლეონს, მაგრამ მამაცი ჰერცოგინიას ექსპედიცია კრახით დამთავრდა, თავად კი ტყვედ ჩავარდა ვანდეაში.

ამ წარმატებას კაზიმირ პერიე ვერ მოესწრო, იგი ქოლერამ იმსხვერპლა 1832 წ. 16 მაისს.

იმავე წლის 5 ივნისს, პარიზში, აჯანყდნენ რესპუბლიკელები. მათ ბარიკადებით დაფარეს სენ-მარტენისა და სენ-დენის უბნები და პირველად ისტორიაში წითელი დროშა აღმართეს. იმის გამო, რომ მუშები არ გამოეხმაურენ მოძრაობას, 6 ივნისს, მთავრობამ შეძლო აჯანყების ჩახშობა. 1834 წ. მარტში ტიერ-გიზოს სამინისტრომ აკრძალა „ადამიანის უფლებების“ საზოგადოების მოღვაწეობა, მაგრამ მოულოდნელად ლიონში კვლავ იფეთქა ფეიქართა აჯანყებამ. ამჟამად მუშათა გამოსვლა პოლიტიკურ ხასიათსაც ატარებდა—აჯანყებულები რესპუბლიკას მოითხოვდნენ. მთავრობის ჯარებმა სამდღიანი ბრძოლების შენდეგ მოახერხეს მუშათა წინააღმდეგობის დაძლევა (13 აპრილი). იმავე დღეს პარიზელმა რესპუბლიკელებმა ისევე აღმართეს ბარიკადები სენ-მერის ეკლესიის ირგვლივ. ტიერ-ის ბრძანებით დააპატიმრეს „ადამიანის უფლებების“. საზოგადოების ლიდერები, მაგრამ ამ აქტს არ გაუნელებია აჯანყებულთა მებრძოლი ჟინი. 14 აპრილს ინსურგენტებმა ყველა პოზიცია დაკარგეს და ტიერმაც იზეიმა გამარჯვება. მიუხედავად დამარცხებისა, რესპუბლიკელები მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას. 1839 წ. 12 მაისს „წელიწადის დროთა“ საზოგადოების ბელადებმა არმან ბარბემ და ოგიუსტ ბლანკიმ[1], ისარგებლეს რა მთავრობის კრიზისით, მცირერიცხოვანი ჯგუფით სცადეს პოლიციის პრეფექტურისა და მართლმსაჯულების სასახლის ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხდნენ და, მეფის შეწყალება რომ არა, სიკვდილით დასჯა ელოდათ (მათ სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ).

ლეგიტიმისტთა და რესპუბლიკელების მოძრაობის პარალელურად ინდივიდუალისტმა ფანატიკოსებმა რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს მონარქზე. მათ

---

[1] ლუი-ფილიპემ ლაფიტის რჩევის საწინააღმდეგოდ თავის შვილს, ნემურის ჰერცოგს, უარი ათქმევინა ბელგიის ტახტზე; მეფე არ დაეხმარა აჯანყებულ პოლონეთს. დაუშვა ავსტრიელთა მიერ აჯანყების ჩახშობა პაპის ოლქში, რაც ფრანგი ხალხის გაღიზიანებას იწვევდა (დაწვრილებით იხ. „საერთაშორისო ურთიერთობები 1830-1847 წლებში“).



[1] ოგიუსტ ბლანკი (1801-1881) კონსპირაციული საზოგადოების ხელმძღვანელი იყო. იგი თავიდანვე გაიტაცეს გამთანაბრებელმა, რევოლუციურ-კომუნისტურმა იდეებმა და სოციალისტური რესპუბლიკის დამყარებისათვის საკმარისად მიიჩნევდა შეიარაღებულთა ვიწრო ჯგუფის შეიარაღებულ აჯანყებას. მას სწამდა, რომ მშრომელები აქტიურად დაუჭერდნენ მხარს რევოლუციონერებს, როგორც კი ისინი პირველ წარმატებას მიაღწევდნენ. 12 მაისის აჯანყების კრახმა დიდი დარტყმა მიაყენა ბლანკისტების შეთქმულების ტაქტიკას.

შორის ყველაზე საშინელი იყო კორსიკელი ფიესკას ტერორისტული აქტი, რომელმაც 18 უდანაშაულო ადამიანის (დაღუპულებში მარშალი მორტიეც ერია) სიცოცხლე შეიწირა (1835 წ. 28 ივლისი).

ივლისის მონარქიის წინააღმდეგ ბონაპარტისტებიც დაირაზმენ. 1832 წ. ჭლექისგან გარდაცვალა ნაპოლეონ II (რაიხშტადტის ჰერცოგი). მის შემდეგ ბონაპარტისტების ლიდერად აღიარებულ იქნა პრინცი ლუი-ნაპოლეონი. ეს უკანასკნელი იზრდებოდა შვეიცარიაში, მსახურობდა ჯარში, სადაც არტილერიის კაპიტნის წოდებას მიაღწია (კვიცი გვარზე ხტის—დიდმა ნაპოლეონმაც ხომ ასე დაიწყო!). ახალგაზრდობაში ლუი ბონაპარტე სერიოზულად ეკიდებოდა თავის მდგომარეობას, ბევრს კითხულობდა და ქმნიდა რესპუბლიკური იმპერიული კონსტიტუციების პროექტებს. იგი დარწმუნებული იყო ივლისის მონარქიის სისუსტეში და იმედოვნებდა, რომ მის, ვითარცა დიდი ბიძის მემკვიდრის, აჯანყებას მთელი საფრანგეთი დაუჭერდა მხარს. 1836 წ. 30 ოქტომბერს ლუი-ნაპოლეონმა ორი პოლკი აჯანყა სტრასბურგში, მაგრამ ფიასკო განიცადა და გაძევებული იქნა საფრანგეთიდან. ოთხი წლის შემდეგ მან, ფარულად დაბრუნებულმა, კვლავ მოაწყო შეთქმულება, მაგრამ ისევ დამარცხდა და სამუდამო პატიმრობაში ამოჰყო თავი, საიდანაც 1846 წ. გაიქცა. ლუი-ნაპოლეონის ავანტიურას საზოგადოებაში მწარე ღიმილის გარდა არაფერი გამოუწვევია. თავის მხრივ ლუი-ფილიპემ ფრანგი ხალხის გულის მოსაგებად პარიზში გადმოასვენა ნაპოლეონის ნეშთი (1840 წ. 15 დეკემბერი და მას ინვალიდების სასახლეში დაუდო ბინა.

წარმატებით გადაიტანა რა თავდასხმათა, აჯანყებათა და შეთქმულებათა ქარტეხილები, 1840 წლიდან ლუი-ფილიპე თავის რვაწლიან პირად მმართველობას შეუდგა. თუ 30-იან წლებში იგი ხელთათმანებივით იცვლიდა მინისტრებს, აღნიშნულ პერიოდში „ბანკირთა მეფე“ საფრანგეთს გიზოს მეშვეობით განაგებდა. ეს დოქტრინერი მიიჩნევდა, რომ ქარტიაში ცვლილებებია შეტანით რევოლუცია დამთავრდა, და რომ ამიერიდან საჭირო იყო არსებული რეჟიმის და მშვიდობის („მშვიდობა ყველგან და ყოველთვის!“) შენარჩუნება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და გამდიდრება. „მერწმუნეთ, ბატონებო,—მიმართავდა გიზო პალატას,—ნუ უბიძგებთ სამშობლოს ტერიტორიული დაპყრობებისკენ, დიდი ომებისა და შურისძიებისკენ. დე, მხოლოდ საფრანგეთი აყვავდეს, დე, იგი იყოს თავისუფალი, მდიდარი, საზრიანი, მშვიდი და ჩვენ არ მოგვიწევს ჩივილი იმაზე, რომ მას გავლენა არა აქვს მსოფლიოზე“. ასეთი პოლიტიკის სადარაჯოზე იდგა მეფეც და, საზოგადოების თვალში გიზო მისი ნების აღმასრულებელი იყო. ეს არაა სწორი, უბრალოდ მინისტრისა და ლუი-ფილიპეს პოზიციები ერთმანეთს ემთხვეოდნენ.

შვიდი წლის მანძილზე პალატები გიზოს მიჰყვებოდნენ და, რადგანაც იქ მთავრობას უმრავლესობა გააჩნდა, გარეგნულად საფრანგეთი პარლამენტურ სახელმწიფოდ გამოიყურებოდა. სინამდვილეში ეს უმრავლესობა იმ ჩინოვნიკებისაგან შედგებოდა (1846 წ. მათი რაოდენობა 148-ს აღწევდა.), რომლებიც გიზოსგან ქრთამს და გასამრჯელოს იღებდნენ. სწორედ გიზოს მმართველობის უამს აიშვა თავი კორუფციამ, მექრთამეობამ და აფიორამ. გიზო პირწავარდნილი კონსერვატორი გახდა, იგი ჯიუტად არ მიდიოდა რეფორმებზე, რის გამოც ოპოზიციის გამუღმებულ თავდასხმებს განიცდიდა. ბოლოს და ბოლოს მისი მმართველობა კონსერვატორებსაც მოწყინდათ, მას აკრიტიკებდა ყველა, როგორც მემარჯვენე ლეგიტიმისტი, ამავე მემარცხენე რესპუბლიკელი. მათ აღშფოთებას იწვევდა გიზოს დაყვავების, კაპიტულანტური პოლიტიკა ბრიტანეთის მიმართ, მისი კატეგორიული უარი საყოველთაო საარჩევნო რეფორმის გატარებაზე და სხვ.

1847 წლიდან ოპოზიციამ შეუპოვარი ბრძოლა სწორედ საარჩევნო



სისტემის შეცვლის თაობაზე გააჩაღა. იგი პროტესტებისთვის ჩინებულად იყენებდა ისეთ ლეგალურ სამუალებას, როგორიცაა ბანკეტი, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით აწყობდა. ერთ-ერთ ბანკეტზე ალფონს ლამარტინმა[1], გააკრიტიკა რა რეჟიმი, მოახლოებული რევოლუცია იწინასწარმეტყველა. სიტუაცია დაიძაბა და ამას ყველა გრძნობდა. 40-იან წლებში ივლისის მონარქიას ახალი და მეტად საშიში მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ, ესენი სოციალისტები იყვნენ.

სოციალიზმი, როგორც მოძღვრება, საფრანგეთისთვის უცხო ხილი არ ყოფილა. ჯერ კიდევ 20-იან წლებში სოციალისტურ იდეებს ქადაგებდნენ უტოპისტები სენ-სიმონი,[1] ფურიე[2] და მათი სკოლის მიმდევრები. მართალია, ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ კაპიტალისტური სისტემის ბუნებას და მანკიერებებს (კრიზისებს, უმუშევრობას, გაკოტრებებს, მუშისა და ბავშვის გაუგონარ ექსპლუატაციას, პროლეტართა დუხჭირ ყოფას, შრომის კანონმდებლობის არარსებობას და სხვ.), უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგები უარყოფდნენ ძალადობის გზით (აჯანყებით, რევოლუციით) არსებული წყობილების მოსპობას და მის ნანგრევებზე ჰარმონიული საზოგადოების აშენებას. ეცოდებოდათ რა უღარიბესი ფენები, ისინი გამოსავალს ხედავდნენ სახელმწიფო ასოციაციებში, სადაც შრომა და ურთიერთობა დამყარებული იქნებოდა სათნოებასა და სიყვარულზე. უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებმა თავიანთი მოძღვრების არსი გენიალურ პრინციპში ჩამოაყალიბეს—„თითოეულს მისი უნარის მიხედვით, ყოველ უნარს მისი საქმეების მიხედვით“. სენ-სიმონის სოციალისტური ტენდენციები მისმა მოწაფეებმა განავითარეს, მათ შორის გამოირჩეოდნენ ანფანტანი და ბაზარი, რომლებმაც სისტემაში მოიყვანეს დიდი მასწავლებლის ნააზრევი და მისგან უტოპიურ-სოციალისტური სისტემა შექმნეს. ანფანტანმა და ბაზარმა დააარსეს სენ-სიმონისტური „ეკლესია“ თავისი იერარქიითა და საკულტო ცერემონიებით, მაგრამ 1831 წ. მათ „ოჯახში“ გათიშვა მოხდა და, არ ჰქონდა რა საზოგადოების მხარდაჭერა, „ეკლესია“ სამუდამოდ გაქრა.

---

[1] ანრი დე სენ-სიმონი (1760-1825) განათლებული პიროვნება იყო. მან ამოცანად დაისახა საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესწავლა, ახსნა და ისეთი წყობილების შექმნა, რომელიც სიღატაკისგან გაათავისუფლებდა მშრომელ კაცს, გზას გაუხსნიდა პიროვნების ნიჭს, უნარს და მოიტანდა საყოველთაო ბედნიერებას. სენ-სიმონი საზოგადოების წინსვლის მთავარ საფუძველს გონების და მრეწველობის განვითარებაში ხედავდა. აკრიტიკებდა რა კაპიტალიზმის მანკიერ მხარეებს (კრიზისებს, უმუშევრობას, ექსპლოატაციას, კონკურენციას). იგი ოცნებობდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნაზე, რომელშიც პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები მუდმივ თანხმობაში იქნებოდნენ. ასეთ საზოგადოებას სენ-სიმონი „ახალ სამრეწველო სისტემას“ უწოდებდა. მასში ყოველი ადამიანი იშრომებდა თავისი ნიჭის და უნარის მიხედვით, ხოლო ხელმძღვანელ როლს ბანკირები, მრეწველები და მეცნიერები ითამაშებდნენ. სენ-სიმონის შრომებიდან აღსანიშნავია ტრაქტატი „სამრეწველო სისტემის შესახებ“ (1821-1822) და თხზულება „ახალი ქრისტიანობა“ (1825). ამ უკანასკნელში დიდი მოაზროვნე ადამიანის ქრისტიანული მორალის სულისკვეთებით აღზრდას ქადაგებდა.

[2] შარლ ფურიეც (1772-1837) აკრიტიკებდა კაპიტალისტურ სისტემას და მას უპირისპირებდა ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანის ყოფა და შრომა იქნებოდა იასურველი და მიმზიდველი, ხოლო თვით საზოგადოება — ჰარმონიული. ფურიე კაპიტალისტური მანკიერებებით აღსავსე სისტემიდან გამოსავალს ადამიანის ვნებების (გატაცებების) ჰარმონიაში, ანუ პიროვნების მისწრაფებების დაკმაყოფილებაში ხედავდა. ფურიე კოლექტიური შრომის მომხრეა, თანაც ისეთი შრომისა, რომელიც ასოციაციის ყველა წევრის ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

სენ-სიმონისტური სკოლიდან იყო გამოსული ცნობილი ისტორიკოსი და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მკვლევარი ლუი ბლანი (1811-1882). თავის წერილებში იგი ამხელდა იელისის მონარქიის რეაქციულ რეჟიმს, წარმოების ანარქიას, კონკურენციას, კრიზისებს, რომლებსაც, მისი აზრით, სიღატაკე და უბედურება მოჰქონდათ ხალხის უმრავლესი მასისთვის. ლუი ბლანის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც საყოველთაო ხმის მიცემით დამყარდებოდა, პროლეტარები და ბურჟუაზია ერთად ითანამშრომლობდნენ, ხოლო სახელმწიფო ღატაკთა ბანკირი იქნებოდა. მისი შეხედულებით დემოკრატიული რესპუბლიკა დააარსებდა საზოგადოებრივ სახელოსნოებს, ანუ საწარმოო ასოციაციებს, რომლებიც პროფესიის მიხედვით გააერთიანებდნენ მუშებსა და მრეწველებს, შრომის იარაღებსა და კაპიტალს. ასეთ ასოციაციებს დახმარებას აღმოუჩენდა რესპუბლიკა, რომელშიც საზოგადოებრივი სახელოსნოები დაჯგნიდნენ (გამოდევნიდნენ) კერძო საწარმოებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. სენ-სიმონისტების მსგავსად ლუი ბლანიც უარყოფდა რევოლუციას და კლასთა მშვიდობიანი თანაცხოვრების პოზიციაზე იდგა.

სოციალისტურ იდეებს ავრცელებდა პიერ-ჟოზეფ პრუდონიც (1809-1865). იგი საკუთრებას ქურდობას უწოდებდა, აიდიალებდა წვრილმესაკუთრეთა დემოკრატიულ რესპუბლიკას, თუმცა უარყოფდა როგორც პოლიტიკური ბრძოლის (რევოლუციის) მეთოდებს, ასევე კომუნიზმს. პრუდონი მუშათა კლასის განთავისუფლებისა და მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში პრიორიტეტებს ანიჭებდა რეფორმებს, რომელთა გატარებით შეიძლებოდა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოსპობა.

სოციალისტური იდეების გავრცელების მიზნით ლუი ბლანმა დააარსა გაზეთი „რეფორმა“, რომელიც სოციალისტებისა და ბურჟუაზიული დემოკრატების ორგანოდ იქცა. ამ უკანასკნელთა გამოჩენილი ლიდერი ლედრიუ-როლენი (1808-1874), ბრწყინვალე ვექილი და ორატორი, იელისის მონარქიის დამხობისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას.

რა მოუტანა საფრანგეთს გიზოს შვიდწლიანმა მმართველობამ?

—ბანკირების, მრეწველების, ჩინოვნიკების და სპეკულანტების უსაზღვრო გამდიდრება;

— მთავრობისაგან საარჩევნო რეფორმების უგულებელყოფა;

— უსუსური საგარეო პოლიტიკის კურსი და რეაქციულ რეჟიმებთან თანამშრომლობა;

— კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა;

— ეკონომიკური კრიზისები და მათგან გამომდინარე გართულებები;

— უკმაყოფილების კულმინაცია;

— ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია (სოციალისტების, ბურჟუაზიული დემოკრატების და სხვ.);

— დინასტიისა და მმართველი წრეების დაბნეულობა, შიში და უიმედობა ხვალინდელი დღის წინაშე;

— ძლევამოსილი სახალხო რევოლუციის მოახლოება.

## V

## 1848 წლის რევოლუცია საფრანგეთში

### თებერვლის რევოლუცია. იელისის მონარქიის დამხობა

1847 წლის დასასრულისათვის საფრანგეთში ჩამოყალიბდა რევოლუციური სიტუაცია. მშრომელთა გაჭირვებას თან დაერთო მოუსავლიანობა და მძიმე ეკონომიკური კრიზისი. უმუშევრობამ მასიური სახე მიიღო. იელისის



მონარქია აშკარად სძულდა როგორც მუშებს, ისე სოფლის ღარიბებს. „ბანკირთა ბატონობისადმი“ უკმაყოფილებამ თანდათანობით მოიცვა წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის, მსხვილი მრეწველებისა და ვაჭრების ფართო წრეები. 1847 წლის 28 დეკემბერს გაიხსნა საკანონმდებლო კრების სესია. ოპოზიციის ორატორებმა მექრთამეობაში, მფლანგველობასა და ეროვნული ინტერესების ღალატში დაადანაშაულეს გიზოს მთავრობა, მაგრამ მათი ყველა მოთხოვნა უკუგდებულ იქნა. ლიბერალური ოპოზიციის უსუსურობა მაშინ გამომჟღავნდა, როცა აკრძალეს 22 თებერვლისათვის დანიშნული ბანკეტი. ოპოზიციამ ხალხის შიშით უარი თქვა მასზე, ხოლო ბურჟუაზიული დემოკრატებისა და სოციალისტების ნაწილმა ხალხს შინ ყოფნა ურჩია. მიუხედავად ამისა, 22 თებერვალს (1848 წ.) პარიზელები მივიდნენ იქ, სადაც უნდა გამართულიყო აკრძალული ბანკეტი. ზოგიერთ უბანში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს ჯართან და პოლიციასთან. 23 თებერვალს აჯანყება მთელ ქალაქს მოედო. დაშინებულმა ლუი-ფილიპემ გადააყენა გიზოს მთავრობა. ამ აქტს სიხარულით შეხვდნენ პარიზის ბურჟუაზიულ უბნებში, მაგრამ მუშებმა, რომელთაც კარგად ახსოვდათ 1830 წლის რევოლუციის გაკვეთილები, ბრძოლა გააგრძელეს და 24 თებერვალს დედაქალაქის თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი დაიკავეს. შუადღეზე მათ იერიშით აიღეს ტიუილრი. მეფე გადადგა მცირეწლოვანი შვილიშვილის, პარიზის გრაფის, სარგებლოდ და ინგლისში გაიქცა... დეპუტატთა პალატის წევრმა ბურჟუაზიულმა ლიბერალებმა მონარქიის გადარჩენა და რეგენტად პარიზის გრაფის დედის გამოცხადება გადაწყვიტეს, მაგრამ აჯანყებული ხალხი შეიჭრა პალატის სხდომათა დარბაზში და ჩაშალა კონტრრევოლუციონერთა გეგმები. დეპუტატები იძულებულნი გახდნენ აერჩიათ დროებითი მთავრობა.

### დროებითი მთავრობა

ამ მთავრობის წევრთა სიები ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური გაზეთის—„ნასიონალი“ და მემარცხენე რესპუბლიკელების ბეჭდვითი ორგანოს „რეფორმა“ რედაქციებში შეადგინეს. მუშების ზემოქმედების შედეგად ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანეს სოციალისტი ლუი ბლანი და მუშა-მექანიკოსი ალექსანდრე ალბერი, ფარული ორგანიზაციის აქტიური მოღვაწე. ამრიგად, დროებითი მთავრობა შეადგინა სამმა ჯგუფმა: ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა და სოციალისტებმა. მთავრობის მეთაურად დაინიშნა ვექილი დიუპონი, დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ჩვლისის რევოლუციის მონაწილე, მაგრამ მთავრობაში ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა პოეტი და ისტორიკოსი ა. ლამარტინი, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა და ფაქტიურად ხელისუფლებასაც მეთაურობდა. წვრილბურჟუაზიული დემოკრატებიდან მხოლოდ ლედრიუ-ლორენმა მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა. სოციალისტები ლუი ბლანი და ალბერი უპორთფელო მინისტრები გახდნენ.

თებერვლის რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, რომლის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მუშათა კლასმა. ამის გამო დროებითი მთავრობა პირველ ხანებში ანგარიშს უწევდა მის მოთხოვნებს. მუშები შეიარაღებულნი იყვნენ, ხოლო ბურჟუაზიამ დროებით დაკარგა თავისი ორგანიზებული შეიარაღებული ძალა და არ შეეძლო მორჩილებაში ჰყოლოდა მასები. ძველი სახელმწიფო აპარატი დეზორგანიზებული იყო, პოლიცია დაიმალა, ჯარები პარიზიდან გაიყვანეს. დროებითი მთავრობა მანევრირებდა, დროს იგებდა თავისი ძალებისა და ძალაუფლების გასამაგრებლად.

## რესპუბლიკის გამოცხადება

დროებითი მთავრობის ბურჟუაზიული წევრები ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ რესპუბლიკის გამოცხადება, მაგრამ უშედეგოდ: 25 თებერვალს მთავრობა. მუშების დეპუტაციამ, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი რევოლუციური დემოკრატი და სოციალისტი რასპაილი, მთავრობისაგან რესპუბლიკის დაუყოვნებლივ გამოცხადება მოითხოვა და ახალი რევოლუციით დაემუქრა, თუ არ მიიღებდნენ ამ მოთხოვნებს. ორ საათში რესპუბლიკა უყოყმანოდ, ოფიციალურად გამოცხადდა. რამდენიმე დღის შემდეგ გამოიცა დეკრეტი საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებაზე 21 წელს მიღწეული მამაკაცებისათვის (შენიშვნა: სინამდვილეში საარჩევნო უფლება არ ყოფილა საყოველთაო, ივი არ მიუღიათ პირებს, რომლებიც ერთ ადგილზე 6 თვეზე ნაკლებს ცხოვრობდნენ). პარიზელი მუშები მარტო რესპუბლიკისათვის რომელიც მათ პოლიტიკურ თავისუფლებასაც მოუტანდა. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, ავრეთვე, „შრომისა და პროგრესის სამინისტროს“ შექმნასა და ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობას. ჯერ კიდევ 25 თებერვალს მთავრობამ მიიღო დეკრეტი შრომის გარანტიის შესახებ. 28-ში შეიქმნა მთავრობის კომისია მუშების საკითხის გადასაწყვეტად.[1] ამ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ლუი ბლანი, ხოლო მის მოადგილედ ალბერი, ევალებოდა „ეზრუნა მშრომელთა მდგომარეობაზე“.

## ეროვნული სახელოსნოები

დროებითმა მთავრობამ უმუშევრებისათვის მოაწყო საზოგადოებრივი სამუშაოები—ეროვნული სახელოსნოების სახელწოდებით. ეროვნულ სახელოსნოებში სამუშაოს ქვეშ იგულისხმებოდა ხეების დარგვა პარიზის ბულვარებში და დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე მიწის სამუშაოთა შესრულება. სახელოსნოებს სათავეში ჩაუყენეს რეაქციონერი ინჟინრები, ხოლო ხელფასს ყველას ერთნაირად, დღეში ორ ფრანკს აძლევდნენ. მუშები სამხედრო ყაიდის მიხედვით გააერთიანეს ბრიგადებში, ასეულებსა და ოცეულებში. სახელოსნოების შექმნით მთავრობას ერთი მიზანი ამოძრავებდა,—სამუშაოთა ცუდი ორგანიზებით, ამასთან, სახელოსნოების მოწყობით გაეთიშა მუშათა კლასის რიგები. ეკონომიკური კრიზისის და უმუშევრობის დროს ეროვნულ სახელოსნოებს ათასობით მუშა მიაწყდა. მაისში პარიზის სახელოსნოებში 100 ათასამდე მუშა გაერთიანდა. სამუშაო ყველასათვის არ იყო და შემოღებულ იქნა შემცირებული სამუშაო კვირა. მუშებს არასამუშაო დღეში აძლევდნენ ერთ ფრანკს. ასეთი სახელოსნოები სხვა ცენტრებშიც დაარსდა. მუშათა რიგების დასუსტების მიზნით მთავრობამ ჩამოაყალიბა, ავრეთვე, გვარდია, რომელიც შეავსეს მოხალისეებმა. სულ შეიქმნა 24 ბატალიონი, მისი მებრძოლები ღებულობდნენ მაღალ ხელფასს და კარგ ტანსაცმელს. ეს იზიდავდა უმუშევარ ახალგაზრდებსა და დედაქალაქის ლუმპენ-პროლეტარებს. მობილური ბატალიონები დაუქვემდებარეს რეაქციულ ოფიცრებს. მთავრობა მის გამოყენებას რევოლუციურ პროლეტარიატთან ბრძოლისთვის ითვალისწინებდა.

[1] კომისია თათბირებს ლუქსემბურგის სასახლეში ატარებდა და ლუქსემბურგის კომისიის სახელი ეწოდა.



## ლუიბლანობა

ბურჟუაზიას მუშების მიმართ თავისი მტრული ზრახვები სურდა წარმართა კლასობრივი ზავის ნიღბით—„ძირს ცილინდრი კარტუზის წინაშე, დაუჩოქეთ მუშებს!“ ამგვარი დემაგოგიით ცდილობდა იგი მუშის სიფხიზლის მოღუნებას. ბურჟუაზიას დიდ დახმარებას უწევდნენ წვრილბურჟუაზიული სოციალისტები, ისინი, კერძოდ, ლუი ბლანი, პროლეტარიატს ბურჟუებთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებდნენ. ლუქსემბურგის კომისია, რომელიც შედგებოდა მუშებისა და მრეწველებისაგან, ურჩევდა მშრომელებს, ნდობოდნენ მთავრობას და მოთმინებით დალოდებოდნენ სასურველ რეფორმებს, არ დაეშვათ გაფიცვები და ა. შ. ამით ლუი ბლანი და მისი მომხრეები აშკარად ადუნებდნენ პროლეტარიატის სიფხიზლეს და მის ბრძოლისუნარიანობას

## ბლანკის ბაჭბიკა

1848 წ. საფრანგეთის პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ გააჩნდა თავისი პოლიტიკური პარტია. თებერვალში აღმოცენდნენ დემოკრატიული ორგანიზაციები, მარტო პარიზში მარტიდან ივნისამდე გაიხსნა 300-მდე კლუბი. ყველაზე გავლენიანი მათ შორის იყო ოგიუსტ ბლანკის „ცენტრალური რესპუბლიკური საზოგადოება“. ბლანკი მოუწოდებდა მუშებს, არ აჰყოლოდნენ „სოციალური რესპუბლიკის“ ილუზიებს, მოითხოვდა რევოლუციონერებისაგან სახელმწიფო აპარატის გაწმენდას, პროლეტარიატის შეიარაღებას, გაფიცვებზე აკრძალვების გაუქმებას. ბლანკის პირდაპირი და გაბედული გამოსვლები აშინებდა ბურჟუაზიას. მას იგი ძულდა და ყველაფერს ჩადიოდა მისი ავტორიტეტის შესაბღალავად. ბურჟუაზიამ შეითხნა ყალბი საბუთი, რომელშიც ბლანკი გამოყვანილი იყო როგორც ამხანაგების გამცემი (თითქოს 1839 წ. დაკითხვაზე დაასმინა „წელიწადის დროთა საზოგადოების“ წევრები). თვით ბლანკისტებსაც არ გააჩნდათ იმ დროისათვის ნათელი სოციალური პროგრამა, რომელიც დაუპირისპირდებოდა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის თეორიებს და გაანეიტრალებდა ლუიბლანობის გავლენას მუშათა მოძრაობაზე.

## დროებითი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა

თებერვლის რევოლუციამ კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი. მუშების გამოსვლებით დაშინებული მეპატრონეები ხურავდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, ზოგიერთი მათგანი განზრახ ამცირებდა წარმოებას, რათა შიმშილით გაეტეხა მშრომელები. მთავრობა ბანკირებს ეხმარებოდა სესხებით. კრიზისის მთელი სიმძიმე მუშებსა და წვრილ მესაკუთრეებს დააწვა. ძველ გადასახადებს ახალი დაემატა. ყველაზე მეტად გლეხობა იჩაგრებოდა, რომლის პირდაპირი გადასახადი 45%-ით გაიზარდა (გლეხის ყოველი ერთფრანკიანი გადასახადი 45 სანტიმით გადიდდა), ამის გამო გლეხი მტრულად განეწყო რევოლუციისა და რესპუბლიკის მიმართ. კაპიტალისტები და ეკლესია მუშების წინააღმდეგ აქეზებდნენ მას და შხამივით აწვეთებდნენ ყურში, თითქოს მუშებს შრომა არ სურდათ და ისინი მის ხარჯზე გადიოდნენ ფონს.

საფრანგეთის რევოლუციამ დააჩქარა რევოლუციური აფეთქებანი გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთში, სამხრეთ სლავებში, ირლანდიაში, იტალიაში. ასეთ ვითარებაში არც ცარიზმს, არც ინგლისს (იქ ჩარტიზმი ბოგორობდა), არც ავსტრიას და პრუსიას არ შეეძლოთ ინტერვენციის მოწყობა. დროებითი მთავრობაც თავის მხრივ არ მოუწოდებდა სხვა ერებს რევოლუციური მოძრაობის გაღრმავებისაკენ, პირიქით, ლამარტინი საიდუმლოდ

აცნობებდა ევროპის დამფრთხალ მონარქებს, — საფრანგეთი არ დაეხმარება თქვენს ქვეყნებში რევოლუციურ მოძრაობებსო.

დროებითი მთავრობა ჩქარობდა მანამდე ჩაეტარებინა დამფუძნებელი კრების არჩევნები, სანამ მასები გაერკვეოდნენ პოლიტიკურ ვითარებაში; ამიტომ მან არჩევნები 9 აპრილისათვის დანიშნა. ამის პასუხად რევოლუციურმა კლუბებმა 17 მარტს არჩევნების გადავადება მოითხოვეს. მთავრობამ ნაწილობრივ დათმო და არჩევნების დღედ 23 აპრილი გამოაცხადა. 16 აპრილს მარსიალ ველიზე შეკრებილმა ათასობით ეროვნულმა გვარდიელმა, რომელთა უმრავლესობას მუშები და ხელოსნები შეადგენდნენ, ეროვნული გვარდიის ძტაბის არხევა გადაწყვიტა. გვარდიელები კოლონებად დაწყვეს და მთავრობის სასახლესთან მივიდნენ, რათა მინისტრებისთვის გადაეცათ პეტიცია, რომელშიც იყო ძოთხოვნა „შრომის ორგანიზაციისა“ და სოციალური რეფორმების გატარების შესახებ. მთავრობამ დემონსტრანტებს ბურჟუაზიული ეროვნული გვარდია დაუპირისპირა და მუშათა დელეგატებს უარი უთხრა ძიღებაზე. სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით დემოსტრაატები დაიშალნენ, ეს კი თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშათა პირველ და სერიოზულ დამარცხებას ნიშნავდა. 23 აპრილს ჩატარდა არჩევნები, რომლებშიც მილიონობით მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. მემამულეებმა, კაპიტალისტებმა და სამღვდელოებამ მიიმხრეს გაუნათლებელი გლეხობა და გაიმარჯვეს. მუშებმა 880 დეპუტატს შორის მხოლოდ 18 თავისიანი გაიყვანეს. ადგილების უმრავლესობა ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა (500) და წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა (100) დაიკავეს. არჩევნებმა დაადასტურეს, თუ რა შორს იდგნენ მუშები გლეხობისაგან, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი მასა იყო და ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

## დამფუძნებელი კრების პერიოდი

დამფუძნებელი კრება მუშაობას 4 მაისს შეუდგა. დროებითი მთავრობის ნაცვლად შეიქმნა აღმასრულებელი კომისია (არაგო, ლამარტინი, გარნიე-პაჟესი, მარი და ლედრიუ-როლენი). დამფუძნებელმა კრებამ უარყო შრომის სამინისტროს დაარსება, აკრძალა მუშების მოთხოვნების შეტანა სხდომათა დარბაზში. ამ ფაქტმა მღელვარება გამოიწვია მუშებსა და კლუბებში, მათ დემონსტრაციის მოწყობაც კი გადაწყვიტეს. საბაბად გამოიყენეს პოლონეთის საკითხი,—რომელიც ძლიერ აწუხებდა ფრანგი ხალხის დემოკრატიულ ფენებს. როცა პოზნანში 1848 წ. გაზაფხულზე აჯანყდნენ პოლონელები და პრუსიამ ჩაახშო იგი, დროებითი მთავრობა უგულოდ მოეკიდა პოლონელი რევოლუციონერების ბედს. 15 მაისს პარიზის 100 ათასი მშრომელი გაემართა ბურბონების სასახლისაკენ, სადაც სხდომას ატარებდა დამფუძნებელი კრება. დემონსტრაციას სათაოში ჩაუდგნენ კლუბების ხელმძღვანელები და ლუქსემბურგის კომისიის დელეგატები. დარბაზში შეჭრილმა ხალხმა კატეგორიულად მოსთხოვა მთავრობას,—ჯარი გაეგზავნა პოლონელ აჯანყებულთა დასახმარებლად. იქ მხურვალე სიტყვით გამოვიდა ბლანკი, რომელმაც მოუწოდა კრებას,—მიეხედა უმუშევრობისათვის და გაეტარებია რეფორმები. დამფუძნებელი კრება არავითარ გადაწყვეტილებას არ ღებულობდა, მრავალი დეპუტატი გაიქცა. კლუბების ერთმა ორატორმა კრება დათხოვილად გამოაცხადა. სასწრაფოდ შეადგინეს ახალი მთავრობის სიები, რომლებშიც შეიტანეს რევოლუციური დემოკრატების გვარები. დემონსტრანტები, რომელთაც დამფუძნებელი კრების საქმე გათავებულად მიიჩნიეს, რატუშისაკენ გაემართნენ, მაგრამ მთავრობამ ჯარი გამოიყვანა. კრებამ გაანაახლა თავისი სხდომა, დემონსტრანტები გარეკეს, ბარბესი, ალბერი, ბლანკი და რასპაილი დააპატიმრეს, ხოლო რევოლუციური კლუბები დახურეს.



## პარიზელი მუშების ივნისის აჯანყება

15 მაისის ამბების შემდეგ ბურჟუაზია შეტევაზე გადავიდა. საბჭრო პალატებმა მოითხოვეს სამუშაო დღის შემზღუდავი დეკრეტის გაუქმება, ხოლო მრეწველებმა — ეროვნული სახელოსნოების მოსპობა. 22 ივნისს გამოქვეყნდა ბრძანებულება მათი დახურვის შესახებ. 18-დან 25 წლამდე ასაკის უცოლო მუშები, რომლებიც დაკავებული იყვნენ სახელოსნოებში, უნდა შესულიყვნენ არმიაში, მუშების დანარჩენი მასა კი გაიგზავნებოდა პროვინციაში მიწის სამუშაოებზე. მთავრობა შეგნებულად მიდიოდა პროვოკაციაზე,— ის იწვევდა მუშებს და განზრახული ჰქონდა მათი აჯანყების სისხლში ჩახშობა.

მთავრობის გადაწყვეტილებამ უკიდურესად აღაშფოთა პარიზელი მუშები. მათ უნდა აერჩიათ: ან ყაზარმა, ან მშიერი ოჯახის დატოვება და მკაცრ კლიმატურ პირობებში მუშაობა, ან კიდევ შიმშილით სიკვდილი პარიზის ქვაფენილზე. პროლეტარიატის მოწინავე ნაწილი მთავრობის ბრძანებულებებში ხედავდა რესპუბლიკის მტრების შეთქმულებას, კონტრრევოლუციის ზრახვებს—პარიზისათვის განერიდებია მუშების აქტიური ნაწილი იმ დროისათვის, როცა დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შემუშავებას შეუდგებოდა. მუშების ცდებს, — მიეღწიათ დადგენილების გაუქმებისათვის, შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, აღმასრულებელი კომისიის ერთ-ერთი წევრი დაემუქრა მუშებს, რომ ძალით გაიწვევდნენ მათ პარიზიდან.

23 ივნისს იფეთქა მასიურმა, შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ დიდი და პატარა, კაცი და ქალიც. აჯანყების მონაწილეთა რაოდენობა 40-45 ათასს აღწევდა, მაგრამ ამ „არმიას“ არ ჰყავდა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრი, ბარიკადებზე ბრძოლებს „ბრიგადირები“ ხელმძღვანელობდნენ, ბრძოლები სტიქიურად მიმდინარეობდა. 24 ივნისიდან აჯანყებულები თავდაცვაზე გადავიდნენ. მთავრობამ საალყო წესები გამოაცხადა, მთელი ძალაუფლება სამხედრო მინისტრს—გენერალ კავენიაკს გადასცეს. 80-ათასიანი რეგულარული არმია, მობილური გვარდია და ბურჟუაზიული ეროვნული გვარდია უტევდნენ ბარიკადებს, ხოლო არტილერია ანგრევდა და წვავდა მუშათა უბნებს. 4 დღეს იგერიებდა პარიზის პროლეტარიატი კონტრრევოლუციას, მხოლოდ 26 ივნისის საღამოს შეძლო კავენიაკმა უკანასკნელი ბარიკადის აღება. ბურჟუაზიის გამარჯვება საშინელი ტერორის ქვეშ მიმდინარეობდა, — ბარიკადთა დამცველებს იქვე ხოცავდნენ, სენაში ჰყრიდენ, ხოლო დანარჩენებს ციხეებსა და ყაზარმებში ამწყვდევდნენ (სულ დააპატიმრეს 25 ათასი კაცი). მთლიანად აჯანყების დროს და მის შემდეგ დაიღუპა 11 ათასი კაცი, 3500-ზე მეტი გადაასახლეს.

პარიზელი მუშების აჯანყების ჩახშობას მიესალმნენ ნიკოლოზ I და ლორდი პალმერსტონი, ამერიკელი პლანტატორ-მონათმფლობელები, პრუსიელი იუნკრები და ავსტრიელი ბურჟუაზიული ლიბერალები.

აჯანყება ხასიათით იყო პროლეტარული; მიზანი—დაემხოთ ბურჟუაზიული წყობილება; ლოზუნგი—დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკა, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსპობა, სოლიდარობა სხვა ხალხებთან; ნაკლი — მოუმზადებელი იყო, მუშებს არ ჰყავდათ მოკავშირე.

## ბურჟუაზიული რესპუბლიკელების დიქტატურა

მუშათა კლასის დამარცხებით ბურჟუაზიამ განაჩენი გამოუტანა რესპუბლიკას,—გზა გაუხსნა მონარქიის რესტავრაციას. დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის მეთაურად პარიზის მუშათა ჯალათი კავენიაკი აირჩია. დედაქალაქში საალყო მდგომარეობა დატოვეს, კლუბებზე გააძლიერეს თვალთვალი,

ყველგან დახურეს ეროვნული სახელოსნოები. რეაქცია იმდენად გაძლიერდა, რომ ლუი ბლანი იძულებული გახდა (მის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს).

1848 წ. ნოემბერში მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელშიც სოციალურ უფლებებზე სიტყვაც არ თქმულა. ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა მორჩილად მიიღეს ბურჟუაზიის ნება-სურვილი ძლიერი ხელისუფლების შექმნის შესახებ. ამ მიზნით დაწესდა პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც თითქმის მონარქის უფლება-მოსილებით აღჭურვეს. კონსტიტუციის თანახმად ივი აირჩეოდა საყოველთაო კენჭისყრით და 4 წლით (მეორედ გადარჩევის უფლების გარეშე). პრეზიდენტი სავსებით დამოუკიდებელი იყო პარლამენტისაგან, ივი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მინისტრებს, ოფიცრებს, მოხელეებს. საკანონმდებლო ხელისუფლება ენიჭებოდა საკანონმდებლო კრებას, რომელიც ირჩეოდა 3 წლით და რომელიც ვადამდე დათხოვნას არ ექვემდებარებოდა. მართალია, პრეზიდენტი და პარლამენტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ პირველს ისეთი ძალაუფლება მიეცა, რომ შეეძლო გასწორებოდა პარლამენტს.

კონსტიტუციის მიღების შემდეგ ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა ირქაერეს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება (10-XII), მაგრამ სასტიკი დამარცხება განიცადეს,—ხმების უმრავლესობით გაიმარჯვა ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ მონარქიული პარტიები, ბურჟუაზიის დიდი ნაწილი და, რაც მთავარია,—გლეხები (მათ ჯეროდათ. რომ იგი დაიცავდა მათ ქონებას მევახშეებისაგან, გააუქმებდა 45-სანტიმიან გადასახადს.). თვით პრინცი ლუი-ნაპოლეონი არ ერიდებოდა საშუალებებს თავისი მიზნების მისაღწევად. მან შეადგინა ახალი სამინისტრო, რომლის მეთაურად დანიშნა მონარქისტი ოდილონ ბარო. სახელმწიფო აპარატში რესპუბლიკელები მონარქისტებმა შეცვალეს, ისინი—ლეგიტიმისტები, ორლეანისტები და ბონაპარტისტები, გაერთიანდნენ „წესრიგის პარტიაში“. მისი მიზანი იყო დამფუძნებელი კრების დათხოვა და მისი შეცვლა ახალი პარლამენტით, რომელშიც უმრავლესობას მონარქისტები შეადგენდნენ. ვაირესპუბლიკელებმა დახმარებისათვის არ მიმართეს მასებს (მათი ეშინოდათ!) და კაპიტულაციაზე წავიდნენ,—1849 წ. თებერვალში დამფუძნებელი კრება დათანხმდა თვითდათხოვნას. 13 მაისისთვის დაინიშნა საკანონმდებლო კრების მორიგი არჩევნები. ამ არჩევნებში ბრძოლა უმთავრესად მონარქისტებს, წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებსა და სოციალისტებს შორის მიმდინარეობდა. უკანასკნელთა შეკავშირებით შეიქმნა „ახალი მთა“, რომლის სახელწოდება მასებს იაკობინელთა დიქტატურას აგონებდა.

1849 წ. 13 მაისს ჩატარდა არჩევნები. ტერორის გამოყენებით „წესრიგის პარტიამ“ მიიღო ხმების ნახევარი და ადგილების 2/3. ბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. მათზე უკეთესად გამოიყურებოდა „ახალი მთა“, რომელმაც მანდატების 24% მიიღო.

## საკანონმდებლო კრების პერიოდი

საკანონმდებლო კრების არჩევნებმა ქვეყანაში კლასობრივი წინააღმდეგობანი გაამწვავეს. გადამწყვეტი შეტაკება არჩევნების თვის თავზე მოხდა. საბაბი გახდა ლუი-ნაპოლეონის კონტრრევოლუციური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერდა კრების მონარქისტული უმრავლესობა. საფრანგეთის რესპუბლიკა ავსტრიის მონარქიის მსგავსად იტალიური ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის [illegible] იდა:



მან ჯარი გაგზავნა რომის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რათა რომში პაპის ძალაუფლება აღედგინა და იტალიაში საფრანგეთის გავლენა დაემყარებინა. „მთის“ წარმომადგენლებმა მკაცრად დაგმეს ეს ინტერვენცია და ბრალი დასდეს პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევაში (კონსტიტუცია კრძალავდა საფრანგეთის არმიის სხვა ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოყენებას). 1849 წ. 11 ივნისს საკანონმდებლო კრებაში სიტყვით გამოვიდა ლედრიუ-როლენი, რომელმაც „მთის“ სახელით კონსტიტუციის დამრღვევთა გასამართლება მოითხოვა, თან იფიცებდა, რომ კონსტიტუციას იარაღის ძალით დაიცავდა. მაგრამ, როცა კრებამ არ მიიღო „მთის“ წინადადება, ხოლო მუშა-დელეგატებმა დაჟინებით მოითხოვეს აჯანყების დაწყება, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა უკან დაიხიეს და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ „მთამ“ გადაწყვიტა, კრების შენობის წინ მოეწყო საპროტესტო დემონსტრაცია. იგი გაიმართა 13 ივნისს (1849), მასში მონაწილეობა მიიღო ათი ათასობით კაცმა, მაგრამ უიარაღო დემონსტრანტები ჯარმა გაფანტა, ხოლო „მთის“ ხელმძღვანელები საზღვარგარეთ გაიქცნენ.

## წესრიგის პარტიის“ საპარლამენტო დიქტატურა

წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის დამარცხება რეაქციამ თებერვლის რევოლუციის მონაპოვრების შემდგომი ლიკვიდაციისთვის გამოიყენა. 1850 წ. 15 მარტს მიღებულმა კანონმა სახალხო განათლება კათოლიკური სამღვდელოების კონტროლს დაუქვემდებარა. 31 მაისს მიღებულმა ახალმა საარჩევნო კანონმა საგრძნობლად შეზღუდა ამომრჩევლების წრე. ამ კანონის მიღება დააჩქარეს 10 მაისის (1850 წ.) საკანონმდებლო კრების დამატებითმა არჩევნებმა. არჩევნებში „მთამ“ 30-დან 21 ადგილი მოიპოვა. გაბატონებულ კლასებში ნამდვილი პანიკა გამოიწვია არჩევნებმა პარიზში: სამივე ადგილი დემოკრატთა და სოციალისტთა ბლოკმა დაიკავა, ამასთან, ყველაზე მეტი ხმა 1848 წ. ივნისის აჯანყების მონაწილემ, დეფლოტმა მიიღო. პარიზის არჩევნებმა აჩვენეს, რომ წვრილი ბურჟუაზია მოვლენათა მსვლელობაში მუშათა კლასის ირგვლივ ირაზმებოდა, და რომ პროლეტარიატი ხაბიჯებს დგამდა რევოლუციურ მოძრაობაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად.

31 მაისის კანონი საარჩევნო უფლებას ანიჭებდა ოცდაერთი წლის ასაკს მიღწეულ მამაკაცებს, რომლებიც ერთ ადგილზე ცხოვრობდნენ არანაკლებ სამი წლისა და შეყვანილი იყვნენ გადასახადის გადამხდელთა სიებში. ამ შეზღუდვამ საარჩევნო უფლება წაართვა 3 მილიონ კაცს (ამომრჩევლების 29%-ს), კერძოდ, მუშების მასას, რომელიც სამუშაოს გამო ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს.

## ბრძოლა პრეზიდენტსა და საკანონმდებლო კრებას შორის

„წესრიგის პარტიის“ კონტრრევოლუციურმა პოლიტიკამ გზა გაუწმინდა მონარქიის აღდგენას. მონარქისტულ დაჯგუფებებს შორის დაიწყო მეტოქეობა. ლეგიტიმისტებს, ანუ ბურბონების მომხრეებს, სურდათ ტახტზე ავეყვანათ შარლ X-ის შვილიშვილი, შამბორის გრაფი, ხოლო მსხვილ ბანკირებს, ანუ ორლეანისტებს,—ლუი-ფილიპეს შვილიშვილი, პარიზის გრაფი. ორივე მონარქისტულ დაჯგუფებას თავიანთი გეგმების განხორციელებაში ხელს უშლიდნენ პრეზიდენტი და მისი მომხრე ბონაპარტისტები. მათ შორის შუღლით ისარგებლა ლუი-ნაპოლეონმა, რომლის ხელში თავმოყრილი იყო უმაღლესი ძალაუფლება და უზარმაზარი საშუალებები მასებზე ზეგავლენისათვის. უკვე 1849 წ. ოქტომბერში მან დაითხოვა ოდილონ ბაროს მთავრობა და მინის-

ტრებად დანიშნა თავისი მომხრეები. სექტემბერში ფილანტროპული ორგანიზაციის ნიღბით შეიქმნა ბონაპარტისტული „10 დეკემბრის საზოგადოება“, რომელმაც მოსყიდვებითა და დაპირებებით მიიმხრო ყველა კლასის ნაძირალები. ლუი-ნაპოლეონმა გადაბირა ოფიცრობა, ჯარისკაცები, გლეხობა და კარიერისტები. ბონაპარტისტები მსხვილ ბურჟუას და გლეხობას გამდიდრებას ჰპირდებოდნენ, როგორც კი მყარი გახდებოდა ლუი-ნაპოლეონის მდგომარეობა.

„წესრიგის პარტიასა“ და ორივე მონარქისტულ დაჯგუფებას შორის დაწყებული ბრძოლა უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. ლუი-ნაპოლეონის მომხრეებმა ხელთ იგდეს ბატონობა არმიასა და პარიზის პოლიციაში, ხოლო საკანონმდებლო კრება ღიითი დღე ჰკარგავდა ბურჟუაზიის ფართო წრეების მხარდაჭერას. ბონაპარტისტებმა სცადეს გადაესინჯათ კონსტიტუცია, კერძოდ,—გაეუქმებიათ პრეზიდენტის მეორე ვადით გადარჩევის აკრძალავი მუხლები. მათ ლუი-ნაპოლეონის ხელისუფლების სათავეში ყოფნის გახანგრძლივება და შემდგომში იმპერიის აღდგენა სურდათ, მაგრამ წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ საკანონმდებლო კრებაში ჩავარდა. ამ მომენტიდან მონარქისტები აშკარად დაადგნენ სახელმწიფო გადატრიალების გზას. მის მომზადებას აიოლებდა ის, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, წვრილბურჟუაზიული სოციალისტები და ბურჟუაზიული რესპუბლიკელები მასებს უმოქმედობას და პასიური ლოდინის ტაქტიკას უქადაგებდნენ ახალი არჩევნების წინ, რომლებიც 1851 წ. უნდა ჩაეტარებიათ.

## 1851 წლის 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალება. მეორე რესპუბლიკის დაცემა

1851 წ. 2 დეკემბრის ღამეს ლუი-ნაპოლეონმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. ჯარმა დაიკავა პარლამენტი, პარიზის მნიშვნელოვანი პუნქტები, დააპატიმრა ორლეანისტების, ლეგიტიმისტების და რესპუბლიკელთა თავკაცები. ხალხისადმი მიმართვაში ლუი-ნაპოლეონი თავის დანაშაულებრივ ქმედებას ცრუ მტკიცებით ამართლებდა: რესპუბლიკას შეთქმულებისაგან ვიცავო. ამ სიცრუეს თან ახლდა ღონისძიება, რომლის მეშვეობით ლუი-ნაპოლეონი საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას და გადატრიალების კონტრრევოლუციური ხასიათის დაფარვას ცდილობდა. მან გამოაცხადა 1850 წ. 31 მაისის კანონის გაუქმებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ.

გადატრიალება მოიწონეს ბონაპარტისტულმა მსხვილმა ბურჟუაზიამ, ჩინოვნიკებმა, ოფიცრობამ და კათოლიკურმა სამღვდელოებამ (უკანასკნელი მოუწოდებდა ხალხს მხარი დაეჭირა პრეზიდენტის მოქმედებისათვის). ლეგიტიმისტები და ორლეანისტები ფორმალური პროტესტით შემოიფარგლნენ, მხოლოდ მემარცხენე რესპუბლიკელებისა და დემოკრატების პატარა ჯგუფმა სცადა შიარაღებული აჯანყების მოწყობა, მაგრამ ჯარმა იოლად ჩაახშო მისი გამოსვლა. ქვეყანაში გამეფდა ბონაპარტისტული ტერორი: 26 ათასზე მეტი კაცი დააპატიმრეს, დემოკრატების, სოციალისტების და რესპუბლიკელების დიდი ნაწილი გადაასახლეს. ტერორის პირობებში ბონაპარტისტებმა ჩაატარეს პლებისციტი საკითხზე: იწონებს თუ არა მოსახლეობა პრეზიდენტის მოქმედებას? რა თქმა უნდა, — მან მიიღო 7 მილიონზე მეტი ხმა წინააღმდეგ 646 ათასისა.

1852 წ. იანვარში მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც პრეზიდენტს მთელს ძალაუფლებას აძლევდა 10 წლით.



1852 წ. 2 დეკემბერს, გადატრიალების წლისთავზე, საფრანგეთში აღდგენილ იქნა მონარქია, ე. წ. მეორე იმპერია. ავანტურისტი და ფიცის მოღალატე ლუი-ნაპოლეონი იმპერატორად გამოცხადდა და მიიღო ნაპოლეონ III-ის სახელი. 1848 წ. რევოლუციის დაღმავლობა ბურჟუაზიული რესპუბლიკის დაღუპვით დამთავრდა,—იგი ბონაპარტისტულმა იმპერიამ შეცვალა. ბონაპარტისტული რეჟიმი მაშინდელ პირობებში მსხვილი ბურჟუაზიისათვის კონტრრევოლუციის ყველაზე მისაღებ ფორმას წარმოადგენდა.

## საფრანგეთი 1852-1870 წ.წ.

1851 წ. 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებამ ბოლო მოუღო მეორე რესპუბლიკას და იგი მეორე იმპერიით შეცვალა, რომლის რეჟიმი მსხვილი საბანკო და სამრეწველო ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული და აგრესიული ჯგუფების ინტერესებს ემსახურებოდა. ბონაპარტისტული ძალადობა ეყრდნობოდა არმიის მილიტარისტულ წრეებს და დიდ პოლიციურ-ბიუროკრატიულ მანქანას. დემოკრატიული თავისუფლებანი, რომლებიც მოიპოვა ფრანგმა ხალხმა 1848 წ. რევოლუციით, ლიკვიდირებულ იქნა. რესპუბლიკური პარტია გაანადგურეს, ლიბერალური პრესა ჩაახშეს, ადგილობრივი თვითმმართველობა გააუქმეს, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახალხო განათლების სისტემაში კვლავ მოიპოვა გავლენა კათოლიკურმა ეკლესიამ. პარლამენტური მმართველობის ფორმა არარაობამდე იქნა დაყვანილი, საკანონმდებლო კორპუსს არ ჰქონდა სხდომათა ანგარიშების გამოქვეყნების და არც თავისი თავმჯდომარის არჩევის უფლება (მას ნიშნავდა იმპერატორი). 1850 წ. დადგენილი საარჩევნო ცენზი გაუქმდა, მაგრამ ბინადრობის ცენზი და სხვა შეზღუდვები შენარჩუნებულ იქნა. ამის გამო 21 წელს მიღწეული ყველა მამაკაცი როდი სარგებლობდა საარჩევნო უფლებებით. ეს შეზღუდვები და ამომრჩევლებზე უხეში ადმინისტრაციული ზეწოლა ყოველთვის უზრუნველყოფდნენ დეპუტატ-ბონაპარტისტების უმრავლესობას საკანონმდებლო კორპუსში. ფაქტიურად მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ნაპოლეონ III-ის და მისი ახლობლების ხელთ მოექცა. მათ მთავრობას სახელმწიფო აპარატში შეჰყავდა პატივმოყვარე კარისკაცები და ავანტიურისტები. ამასთან, ნაპოლეონ III ეწეოდა ლავირების პოლიტიკას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს შორის, მაგრამ საბოლოო ჯამში ბონაპარტისტული რეჟიმი არ შეიძლებოდა მყარი ყოფილიყო: მას შეეძლო არსებობა მანამ, სანამ არ აღდგებოდნენ და არ განმტკიცდებოდნენ დემოკრატიისა და მუშათა კლასის ძალები.

50-იან და 60-იან წლებში საფრანგეთში დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება. ამ ორი ათეული წლის მანძილზე სამრეწველო წარმოება თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, ვითარდებოდა მძიმე მრეწველობა. ამ პერიოდის საფრანგეთის ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანი იყო მექანიზაციის და წარმოების კონცენტრაციის გაძლიერება, წარმოიშვნენ სააქციო საწარმოები. მიუხედავად ამისა, საფრანგეთში მაინც ჭარბობდა წვრილი და საშუალო საწარმოები. 1866 წელს ქვეყანაში ითვლებოდა 3 მილიონი დაქირავებული მუშა, რომელიც დასაქმებული ჰყავდა მილიონნახევარ მეწარმეს; მუშების 60% წვრილ საწარმოებში მუშაობდა.

იზრდებოდა საფრანგეთის ფულადი კაპიტალი და ბირჟის როლი მსოფლიო ბაზარზე; პარიზის ბანკებს სესხისთვის მიმართავდნენ სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები, სპეკულაციებითა და თაღლითობით მდიდრდებოდნენ კაპიტალისტები, ბანკირები და მევახშეები. შეიცვალა ქალაქების იერიც, —

პარიზი დამშვენდა ბულვარებით, პროსპექტებით, სადგურებით, სასახლეებით. ბურჟუაზიის გამდიდრების გვერდით ძლიერდებოდა მშრომელი მასების გაღატაკება. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 12-დან 16 საათს აღწევდა, 8-12 წლის ბალღები 12, 15, 17 საათს შრომობდნენ. მძიმე იყო მუშების ხვედრი კრიზისების და უმუშევრობის დროს. თვითმკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. წარმოების კონცენტრაცია იწვევდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენების გაკოტრებას, კონკურენცია აღატაკებდა მედუქნეებს და ა. შ.

სოფლად გლეხობის ძირითად მასას ექსპლოატაციას უწევდნენ მევახშეები, პურით მოვაჭრენი, იჯარის კაბალური ფორმები და მძიმე გადასახადები. იზრდებოდა სოფლის მეურნეობის კონცენტრაცია და გლეხთა ფენებად დაყოფა. უკიდურესად მძიმე პირობები აიძულებდა წვრილ გლეხობას წასულიყო ქალაქში, ან ემიგრაციაში (ალჟირი, ამერიკა). 60-იანი წლების დამლევს სოფლიდან მასიურმა დენადობამ ფართო ხასიათი მიიღო.

1851 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ მუშათა კლასის რევოლუციური ელემენტები პოლიციის დევნას განიცდიდნენ: ათასობით მუშა დაიპატიმრეს, გადაასახლეს ან განდევნეს. პროფკავშირები და მუშათა სხვა ორგანიზაციები დაარბიეს. მეორეს მხრივ, სამრეწველო აღმავლობამ რამდენადმე გააუმჯობესა მუშათა ნაწილის მატერიალური მდგომარეობა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, აგრეთვე, ბევრი მუშის იმედის გაცრუება პოლიტიკურ ბრძოლაზე, რაც გამოიწვია ბურჟუაზიული რესპუბლიკების ღალატმა 1848 წ. ყველაფერმა ამან განაპირობა მუშათა კლასის და დემოკრატიული ძალების აქტიურობის დროებითი შესუსტება.

მიუხედავად პოლიტიკური მოძრაობის შეწყვეტისა, რესპუბლიკური აგიტაცია მაინც გრძელდებოდა. ხალხი კითხულობდა ჰიუგოს ანტიბონაპარტისტულ პამფლეტებს, რომლებიც საფრანგეთში ფარულად შემოჰქონდათ. იყო ცდები ფარული ორგანიზაციების შექმნისა.

1857 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საფრანგეთიც მოიცვა: მრეწველობის მრავალ დარგში დაეცა წარმოება, გაიზარდა უკმაყოფილება როგორც მუშებში, ასევე ბურჟუაზიის ზოგიერთ ფენებშიც; საკანონმდებლო კორპუსში ხუთმა დეპუტატმა — რესპუბლიკელმა შეადგინა ოპოზიციური ჯგუფი. 1858 წ. იანვარში იტალიელმა ორსინიმ თავდასხმა მოაწყო ნაპოლეონ III-ზე. მთავრობამ ისარგებლა ამით და გააძლიერა რეპრესიები. ქვეყანა დაიყო 5 სამხედრო გუბერნიად გენერლებით სათავეში, რომელთაც განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭათ.

მეორე იმპერიის საგარეო პოლიტიკა ატარებდა აშკარად აგრესიულ დაპყრობით ხასიათს. ისწრაფოდა რა კოლონიური დაპყრობებისკენ, ეს იმპერია ამავე დროს მრავალრიცხოვან ომებს აწარმოებდა ევროპასა და მის გარეთ. 1858 წ. ნაპოლეონ III მიიღო კავურის თანხმობა სავოიისა და ნიცის შეერთებაზე, სამაგიეროდ საფრანგეთი უნდა დახმარებოდა სარდინიის სამეფოს იტალიიდან ავსტრიელთა განდევნაში. 1859 წ. საფრანგეთი სარდინიასთან ერთად ომს ეწეოდა ავსტრიის წინააღმდეგ. მიაღწია რა გამარჯვებას, საფრანგეთმა მოულოდნელად შეწყვიტა ომი, ვენეცია დაუტოვა ავსტრიას და მასთან სეპარატული ზავი დადო (ნაპოლეონს შეეშინდა, ვაითუ ავსტრიას პრუსია მიემხროსო, თან ხელს არ აძლევდა გაერთიანებული იტალიის მეზობლად ყოლა). ნაპოლეონ III-ს სურდა შეექმნა იტალიაში ორი ვასალური სახელმწიფო,—ერთი ნეაპოლში, მეორე—ტოსკანაში, მაგრამ იტალიაში სახალხო აჯანყების დაწყებამ ჩაშალა მისი გეგმები და ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას ერთიან სამეფოში.

ზავის პირობებით ლომბარდია განთავისუფლდა ავსტრიელთა უღლისგან, ხოლო ვენეცია კვლავ მათ მფლობელობაში დარჩა. სავოია და ნიცა შეუერთდნენ საფრანგეთს.[1]

1856-1858 წლებში ინგლისმა და საფრანგეთმა ჩინეთს თავს მოახვიეს უთანასწორო ხელშეკრულებები, ხოლო 1860 წელს, ჩინეთთან ომის შედეგად, ფრანგებმა ხელთ იგდეს ჩინეთის იმპერატორთა აურაცხელი სიმდიდრე. 50-იანი წლების დამლევსა და 60-იანი წლების დამდეგს საფრანგეთმა დაიპყრო საიგონი და კოხინხინის (სამხრეთ ვიეტნამი) ნაწილი, და დაამყარა პროტექტორატი დაამყარა კამბოჯაზე.

60-ან წლებში ძლიერდება მუშათა მოძრაობა. მთავრობის რეპრესიებს მასებმა საგაფიცვო გამოსვლებით უპასუხეს. 1869-1870 წლებში გაფიცვები მრეწყო ლუარის ქვანახშირის აუზში და რეზოში, სადაც გაიფიცნენ სამხედრო ქარხნის მუშები. ეს გაფიცვები ატარებდა ანტისამთავრობო ხასიათს და ჩახშობილ იქნა ჯარების მიერ. გაფიცვებს შედეგად მოჰყვა პროფკავშირების შექმნა: 1869 წელს პარიზის კავშირები გაერთიანდნენ „მუშათა საზოგადოებების ფედერალურ პალატაში“.

იმავდროულად იზრდებოდა ოპოზიციური მოძრაობა ლიბერალური ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის პროგრესულ წრეებში. ქვეყანაში ისტამბებოდა წიგნები და პამფლეტები, რომლებშიც ავტორები სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ 1851 წლის სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეებს და მათ რეჟიმს. ოპოზიციურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყოველკვირეული ჟურნალი „ლამპარი“ („Lanterne“), რომელსაც გამოსცემდა პუბლიცისტი ა. როშფორი. თავის ფელეტონებში იგი დასცინოდა ნაპოლეონ III-ს და მის წრეს. პამფლეტები გამოდიოდა ბროშურების სახით წითელ ყდაში, რომელზეც გამოხატული იყო ხელი ლამპრითურთ. ლამპარი ანათებდა რეჟიმის ბნელ მაქინაციებს.

ბურჟუაზიული რესპუბლიკელების მარცხენა ფრთას შეადგენდნენ დნენ ახალი იაკობინელები, რომლებიც ადიდებდნენ 1792-1794 წლებს და თვლიდნენ, რომ რესპუბლიკური პარტიის ამოცანა მდგომარეობდა XVIII ს. რევოლუციის გამარჯვებამდე მიყვანაში. ისინი მოითხოვდნენ პრესის, კრებების თავისუფლებას, დემოკრატიული რეფორმების გატარებას, გამოდიოდნენ პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. სოციალისტურ იდეებს ახალი იაკობინელები უარყოფითად ეკიდებოდნენ.

1869 წლის არჩევნებში რესპუბლიკელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს,—7 მლნ 800 ათასიდან მიიღეს 3 მლნ. 300 ათასი ხმა. არჩეულთა შორის იყვნენ როშფორი და გამბეტა. უკანასკნელმა წამოაყენა რადიკალური პოლიტიკური პროგრამა, რომელიც შეიცავდა ისეთ მუხლებს, როგორიცაა სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება, მუდმივი არმიის გაუქმება, პოლიციის პრეფექტურის ლიკვიდაცია და ა. შ. არჩევნების შედეგებით დაშინებულმა მთავრობამ ახალ მანევრებს მიმართა: 1870 წლის 2 იანვარს შეიქმნა ახალი კაბინეტი ე. ოლივიეს მეთაურობით, მაგრამ მის „ლიბერალურ სამინისტროს“ არ შეეძლო საზოგადოების უკმაყოფილების ზრდის შეჩერება. იგი კიდევ უფრო გაძლიერდა რესპუბლიკელი ჟურნალისტის ვიქტორ ნუარის მკვლელობის შემდეგ (იგი მოჰკლა ნაპოლეონის ნათესავმა, პრინცმა პიერ ბონაპარტმა). მისი დაკრძალვა გრანდიოზულ ანტიმთავრობულ დემონსტრაციად გადაიქცა, რომელიც ლამის გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. ლიბერალურ რეფორმებს არ შეეძლოთ რევოლუციური განწყობილების ზრდის შეკავება. მუშათა კლა-

[1] დაწვრილებით იხ. „იტალიის გაერთიანება“.

სი, ინტელიგენცია, წვრილი და საშუალო ბურჟუაზია. ნები აღდგნენ ძირმომაალი პოლიციურ-ბიუროკრატიული დიქტატურის დასამხობად. პრუსიასთან 13 იელიას დაწყებულმა ომმა დააჩქარა საძულველი რეჟიმის დაღუპვა. იგი დაეცა ორი დღის შემდეგ, როგორც კი იმპერატორი თავის არმიით დანებდა პრუსიელებს: ეს მოხდა 2 სექტემბერს, სედანთან, ხოლო 4 სექტემბრის რევოლუციამ დაამხო იმპერია და საფრანგეთი კვლავ რესპუბლიკა გახდა.


### ბიბლიოგრაფია

1. А. О. Бланки. Избранные сочинения. М., 1952.
2. Т. Дезами. Кодекс общности. М., 1956.
3. А. Сен-Симон. Избранные сочинения: В 2 т. М.-Л., 1948. т. 1-2.
4. Ш. Фурье. Избранные сочинения: В. 4 т. М., 1951-1954. т. 1-4.
5. А. Рошфор. Приключения моей жизни. М.-Л., 1933.
6. И. Болдырев. Лафарг. М., 1984.
7. Э. Желубовская. Крушение Второй империи и возникновение Третьей республики во франции. М., 1956.
8. Н. Застенкер. Революция 1848 года но Франции. М., 1948.
9. История XIX века (под редакцией Лависса и Рамбо). т.т. 3, 4, 5, 6.
10. Новая история стран Европы и Америки. Первый период (под редакцией А. Адо). М., 1986.


## გერმანია 1815-1870 წლებში

### პრუსია და სხვა გერმანული სახელმწიფოები 1815-1847 წლებში

ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შექმნილი გერმანული კავშირი მოიცავდა 37 (მოგვიანებით—34) დამოუკიდებელ მონარქიას და 4 თავისუფალ ქალაქს — ჰამბურგს, ბრემენს, ლუბეკსა და მაინის ფრანკფურტს. ამ უკანასკნელში მოღვაწეობდა საერთოგერმანული საკავშირო სეიმი (რაისტაგი), რომლის გადაწყვეტილებები არ იყო სავალდებულო ფედერაციის ცალკეული წევრისთვის.

მონარქები ქვეყნის დაქუცმაცებულობაში საუკეთესო საშუალებას ხედავდნენ თავადაზნაურთა ბატონობის განმტკიცებისა და თავიანთი სამფლობელოების შესანარჩუნებლად. მეორეს მხრივ, არც დიდი სახელმწიფოები — ბრიტანეთი, რუსეთი და საფრანგეთი—არ იყვნენ დაინტერესებულნი ევროპაში ერთიანი და ძლიერი გერმანიის, როგორც შესაძლებელი მეტოქის, შექმნით.

გერმანიის ყველაზე გავლენიანი მონარქიები ავსტრია და პრუსია კავშირში შევიდნენ მხოლოდ იმ ოლქებით, რომლებიც ადრე ეკუთვნოდა წმ. რომის იმპერიას. ამის გამო ფედერაციის გარეთ დარჩნენ ავსტრიის იმპერიაში შემავალი უნგრეთი, სლოვაკია, გალიცია, იტალიური სამფლობელოები და პრუსიის მიწები (lands)—აღმოსავლეთი პრუსია, პომერანია და პოზნანის ოლქი. ამასთან, კონგრესმა კავშირში მოაქცია ლუქსემბურგი, ჰოლშტაინი და ჰანოვერი, რომლებსაც შესაბამისად ფლობდნენ ჰოლანდიის, დანიისა და ინგლისის მეფეები.

გერმანიის კავშირში მხოლოდ ორი მსხვილი სახელმწიფო ჰქმნიდა პოლიტიკურ ამინდს —ავსტრიის ჰაბსბურგთა იმპერია და ჰოჰენცოლერნთა პრუსიის სამეფო. ეს უკანასკნელი ორი, ერთმანეთისგან შორი მანძილით დაცილებული



(მათ შორის დიდი და პატარა მონარქიების ტერიტორიები იყო „გაჩხერილი“[1]) ნაწილისაგან შედგებოდა. სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში შედიოდა 6 ძველპრუსიული პროვინცია, ხოლო დასავლეთ ნაწილში რაინისპირა ოლქები და ვესტფალია. ეს უკანასკნელნი ეკონომიკურად ბევრად უსწრებდნენ აღმოსავლეთის ჩამორჩენილ პროვინციებს, რამეთუ იქ საფრანგეთის გავლენის შედეგად წარმატებით მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება და ბურჟუაზიის პოზიციების გაძლიერება.

ძველ აღმოსავლეთ პრუსიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ იუნკრებს, რომლებიც მიწების დიდ სივრცეებს (ლატიფუნდიებს) ფლობდნენ.

პრუსიის ძალაუფლების ქვეშ მყოფი პოლონელები არა მარტო სოციალურ, არამედ ეროვნულ ჩაგვრასაც განიცდიდნენ, რაც ძალით თავსმოხვეულ გერმანიზაციაში ვლინდებოდა.

პრუსიის ორ ნაწილს შორის განსხვავება საბაჟო სისტემის ქაოსითაც აიხსნება: 1815 წ. აღმოსავლეთ პროვინციებში 70-ამდე სხვადასხვა ნიხრი (ტარიფი) არსებობდა, დასავლეთში კი 30-წლიანი ომის პერიოდისა. საბაჟო სისტემის მოწესრიგება ბურჟუაზიის გადაუდებელ პრობლემად იქცა. 1818 წ. რაიხის ბურჟუაზიამ ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს მიმართა თხოვნით, სათავეში ჩადგომოდა მთელი გერმანიის მასშტაბით ერთიანი საბაჟო კავშირის შექმნას, მაგრამ ავსტრიის წინააღმდეგობის გამო[2] საბაჟო ტარიფი მხოლოდ პრუსიაში იქნა მიღებული. ამ გარდაქმნის წყალობით ძალა იგრძნო პრუსიის ერთ დროს მხდალმა და პოლიტიკურად სუსტმა ბურჟუაზიამ. ის იმედოვნებდა, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მეფე ხალხს უბოძებდა დაპირებულ კონსტიტუციას, მაგრამ რეაქციონერსა და მუდამ მერყეულ ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ს, რომელიც მეტერნიხის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, გაგონებაც არ სურდა წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნაზე. ერთი, რაც მან „გაიმეტა“, ეს იყო პროვინციული წოდებრივი წარმომადგენლობების, ლანდტაგების, ინსტიტუტის შემოღება ისიც სათათბირო უფლებით.

პრუსიის გარდა სხვა გერმანულ სახელმწიფოებშიც ბოგინობდა აბსოლუტისტური რეჟიმი. ჰანოვერსა და საქსონიაში აღადგინეს ძველი ფეოდალური წესები. სხვა ვითარება სუფევდა სამხრეთ-დასავლეთის მონარქიებში (ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი, ჰესენ-დარმშტადტი): იქ ყველგან გააუქმეს გლეხთა დამოკიდებული მდგომარეობა, შემოიღეს, მიუხედავად მეტერნიხის პროტესტებისა, ზომიერი კონსტიტუციები (ისინი ბურჟუაზიის ინტერესებს ეპასუხებოდნენ.) თავადაზნაურობისათვის პრივილეგიების შენარჩუნებით.

### კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება

XIX ს. პირველ ნახევარში გერმანიის კავშირის წევრი ქვეყნები უმთავრესად აგრარული იყო. მათი მოსახლეობის რიცხვი 1815 წ. 23 მილიონს აღწევდა, საუკუნის შუალედში კი-35 მილიონს. მოსახლეობის 3/4 სოფლად ცხოვრობდა, ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და ხელსნობას ბინაზე. გლეხობა პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ მათ ათასგვარი გადასახადით ბეგრავდნენ.

პრუსიაში დაწყებული აგრარული რეფორმით მხოლოდ იუნკრობამ მოიგო, რადგანაც რეფორმამ მას მრავალი ფეოდალური გადმონაშთი შეუნარჩუნა. 1821 წ. ბრანდენბურგის და აღმოსავლეთ პრუსიის გლეხო-

[1] მაგ. ჰანოვერი, ჰესენი, ოლდენბურგი, მეკლენბურგი, ბრაუნშვაიგი და სხვა მრავალი.

[2] ავსტრიას მუდამ ეშინოდა პრუსიის გავლენის გაძლიერებისა გერმანიაში.

ბამ, ბეგარიდან რომ გათავისუფლებულიყო, იუნკრებს თავისი მიწის მეოთხედი ნაწილი დაუთმო, ხოლო პომერანიასა და სილეზიაში-თითქმის 40%. გლეხთა ძარცვით იუნკრებმა თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურად გარდაქმნეს და ეს პროცესი მიმდინარეობდა ღარიბი გლეხების დაუნდობელი ექსპლუატაციის გზით.

მიწებს იძენდა ბურჟუაზიაც, ეს კი ერთმანეთთან აახლოებდა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის სოციალურ პოზიციებს, რაც შემდგომში პოლიტიკურ კომპრომისში უნდა გადაზრდილიყო. დასავლეთში გლეხთა დიფერენციაცია უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე აღმოსავლეთში: იქ წვრილ გლეხობას გამოეყო სოფლის ბურჟუაზია (გროსბაუერები), რომელიც ქაღალტაკეებულ გლეხების შრომას ისე იყენებდა, როგორც დაქირავებულ სამუშაო ძალას.

XIX ს. პირველ ათწლეულში გერმანიის მრეწველობა უმთავრესად მანუფაქტურებისა და სახელოსნოებისაგან შედგებოდა. საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლა შეიმჩნევა მხოლოდ ბამბეულის მრეწველობაში და ისიც საქსონიაში, რაინ-ვესტფალიის რაიონსა და სილეზიაში.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმატებით განვითარებას ხელს უშლიდა ქვეყნის დაქუცმაცებულობა, ერთიანი შინაბაზრის არარსებობა, უცხოური საქონლის ფართო შემოჭრა.

30-იანი წლების დამდეგს პრუსიის მთავრობამ მიაღწია საბაჟო დაბრკოლებების მოსპობას 6 მეზობელ პატარა სახელმწიფოსთან. 1821 წ. ამ საბაჟო გაერთიანებას შეუერთდა ჰესენ-დარმშტადტი, გაიმართა მოლაპარაკება ბავარიასთან, ვიურტემბერგთან და შუაგერმანულ სახელმწიფოებთან. 1834 წ. 1 იანვარს გამოცხადდა ახალი საბაჟო კავშირი (Zollverein), რომელშიც გაერთიანდა 18 სახელმწიფო. ასე დაიწყო გერმანიის ახალი ეკონომიკური განვითარება, თუმცა პოლიტიკურად იგი მაინც დაქუცმაცებული რჩებოდა. გერმანიის კავშირში გაიზარდა პრუსიის როლი, რაც სერიოზულად აფრთხობდა ავსტრიის მთავრობას.

იმავე პერიოდის გერმანიაში იწყება სამრეწველო გადატრიალება. მას ბიძგი მისცა თავისუფალი და ჭარბი მუშახელის არსებობამ, კაპიტალის დაგროვებამ, პროტექციონისტულმა პოლიტიკამ, საბაჟო კავშირის გაფორმებამ და სატრანსპორტო მიმოსვლის განვითარებამ. პირველი რკინიგზა გაყვანილ იქნა 1835 წ. ნიურნბერგსა და ფიურტს შორის. მალე მას მოჰყვა ბერლინ-პოტსდამისა და ლაიფციგ-დრეზდენის რკინიგზის ექსპლოატაცია. 1848 წლისათვის გერმანიაში სულ სახეზე იყო 5 ათასი კმ სიგრძის რკინიგზა, ამათგან პრუსიაზე 2.300 კმ მოდიოდა.

გერმანიაში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა მძიმე მრეწველობის განვითარება, კერძოდ მანქანათმშენებლობა, ორთქლის მანქანების დამზადება, წიაღისეულის მოპოვება, სართავი და საქსოვი დაზგების წარმოება.

სამაგიეროდ მოისუსტებდა სავაჭრო ფლოტი, რის გამოც გერმანიას უჭირდა თავისი ინტერესების დაცვა მსოფლიო ბაზრებზე.

სამრეწველო გადატრიალებამ პროლეტარიატის ჩამოყალიბება დააჩქარა. 1846 წლისათვის დაქირავებული მუშების საერთო რიცხვმა 1 მილიონს მიაღწია, თუმცა მათ უმრავლესობას სახელოსნოების მუშები და ბინაზე მომუშავეები შეადგენდნენ.

## ოპოზიციური მოძრაობის ზრდა რესტავრაციის პირველ წლებში

ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ გაბედულად მხოლოდ წვრილბურჟუაზიული სტუდენტობა გამოდიოდა. ამ მოძრაობის ცენტრი იყო იენას უნივერსიტეტი. პატრიოტულად განწყობილი რადიკალური ახალგაზრდობა მო-



ითხოვდა ერთიანი, თავისუფალი და რესპუბლიკური გერმანიის შექმნას. სტუდენტების თაოსნობით ვარტბურგის ციხესიმაგრეში (აიზენახთან), სადაც ერთ დროს იმალებოდა ლუთერი, ახალგაზრდებმა ლაიფციგის ბრძოლის მესამე წლისთავი და რეფორმაციის სამსაუკუნოვანი იუბილე აღნიშნეს (1817 წ. 17-18 ოქტომბერი). შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 15 პროტესტანტული უნივერსიტეტის 500 სტუდენტმა და რამდენიმე პროგრესულმა პროფესორმა. შეკრებილებმა დემონსტრაციულად დაწვეს რეაქციის სიმბოლოები—ავსტრიელი კაპრალის ჯოხი, ჰესენელი ჯერისკაცის ნაწნავის და რესტავრაციის თავგამოდებული იდეოლოგების წიგნები. მალე იენას სტუდენტებმა შექმნეს „სრულიად გერმანიის სტუდენტური კავშირი“ დევიზით—„ღირსება, თავისუფლება, მამული“—და ფარული საზოგადოება რეაქციასთან საბრძოლველად. მისმა წევრმა კარლ ზანდმა 1821 წ. ხანჯლით განგმირა რეაქციონერი დრამატურგი და დამმანი კოცებუ. ამ მკვლელობამ ხელისუფლებას საბაბი მისცა დემოკრატიული მოძრაობის გასანადგურებლად: შემოიღეს მკაცრი ცენზურა და აკრძალეს სტუდენტთა ორგანიზაციები. მაგრამ რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა შეუძლებელი იყო. მისი ახალი აღმავლობა დაიწყო 30-იან წლებში საფრანგეთის ივლისის რევოლუციის, პოლონეთის აჯანყებისა და ბელგიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გავლენით. დემოკრატიული მოძრაობის მწვერვალია 1832 წ. 27 მაისის ჰამბახის დემონსტრაცია (პფალცში), რომელშიც მონაწილეობდნენ 30 ათასი ხელოსანი, მუშა, პოლონელი ემიგრანტები და ფრანგი დემოკრატები სტრასბურგიდან. ეს დემონსტრაცია მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთიანებისა და კონსტიტუციის მიღების ლოზუნგით. დამფრთხალი რეაქცია შეტევაზე გადავიდა. 1834 წ. საკავშირო სეიმმა კიდევ უფრო გაამკაცრა კანონები, რომლებიც ზღუდავდნენ ლანდტაგების უფლებებს, კრძალავდნენ პრესის თავისუფლებას, პოლიტიკურ ორგანიზაციებს, სახალხო დემონსტრაციებს და საერთოეროვნული შავ-წითელ-ოქროსფერი ემბლემების ტარებას.

## ბურჟუაზიული ლიბერალიზმი

მდიდარი ბურჟუაზია სულ უფრო დაჟინებით მოითხოვდა მონაწილეობის მიღებას ქვეყნის მართვაში და კიცხავდა თავადაზნაურებს, რომლებშიც გერმანიის დაქუცმაცებულობისა და ჩამორჩენის მიზეზს ხედავდა. მაგრამ ბურჟუაზიის პოლიტიკური სიმწიფის დონე სხვადასხვანაირი იყო სხვადასხვა სახელმწიფოში. ამიტომ საერთოეროვნული ბურჟუაზიული მოძრაობაც არ არსებობდა. შიში მონარქიისა და სახალხო მასების წინაშე აიძულებდა ლიბერალებს მშვიდობიანი გზები ეძებნათ თავადაზნაურობასთან მორიგებისათვის. ისინი მხოლოდ მოკრძალებული პეტიციებით ემუდარებოდნენ მონარქებს, — ებოძებინათ კონსტიტუცია.

ბურჟუაზია ცდილობდა დაერწმუნებინა პრუსიის მეფე იმაში, რომ მხოლოდ მისი და იუნკრების კავშირი გახდებოდა მონარქიის დასაყრდენი, რომლის გარეშე, ლიბერალთა აზრით, მეფე ვერ შეძლებდა „ბრბოს“ მორჩილებაში ყოლას.

ლიბერალთა მეორე, თანაც მთავარი საზრუნავი გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანება იყო. მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა: 1840 წ. ტახტზე ასულმა ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ მაშინვე განაცხადა, რომ არ დაუშვებდა პრუსიაში არსებული აბსოლუტისტური სისტემის შეცვლას. ახალი მეფის კატეგორიულმა გამოსვლამ ბურჟუაზიის ოპოზიციური განწყობი-

ლება გააძლიერა. მისი ინტერესების გამომხატველი იყო კიოლნის „რაინის გაზეთი“.

პრუსიაში დაიწყო აქტიური სარეფორმო კამპანია, თუმცა ლიბერალები მაინც ეფიცებოდნენ ერთგულებას მონარქს და ძველებურად ემედრებოდნენ რეფორმების გატარებას.

## წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული რადიკალიზმი

უაცილებით გაბედულად იყვნენ განწყობილნი გერმანიის კავშირის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული ფენები, რომლებიც იჩაგრებოდნენ არა მარტო ნახევრადფეოდალური წესებისაგან, არამედ ახლადშობილი კაპიტალისტური ურთიერთობებისგანაც.

შექმნილი ვითარება ამ ფენების მოწინავე წარმომადგენლებს თანდათანობით რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პოზიციებზე აყენებდა, თუმცა მათი იდეები ბუნდოვან და გაურკვეველ ფორმებს ატარებდა. პოლიციური რეპრესიების გამო ბურჟუაზიული დემოკრატების უმრავლესობა ემიგრაციაში მოქმედებდა; შვეიცარიასა და საფრანგეთში მან ხელოსნების რამდენიმე ორგანიზაცია შექმნა. იქ ისინი ბეჭდავდნენ პროკლამაციებს, რომლებშიც ფართო მასებს ბრძოლისა და თავისუფალი რესპუბლიკის დამყარებისკენ მოუწოდებდნენ. მხატვრულ ფორმებში იგივე იდეებს ავითარებდა რადიკალურ-დემოკრატიული ლიტერატურული მიმდინარეობა „ახალგაზრდა გერმანია“, რომლის ცენტრი პარიზში იყო.

დემოკრატიულ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია თამაშობდა, რომელიც პოლიტიკური თანასწორობისა და დემოკრატიული თავისუფლებისთვის იღვწოდა.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატები იდეალისტები იყვნენ ისტორიის გაგებაში, ისინი კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების როლს აზვიადებდნენ და წინ აყენებდნენ მისი შეუზღუდავი თავისუფლების მოთხოვნებს, რითაც ანარქიზმისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ.

წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის ერთი მომხრენი, ე. წ. „ჭეშმარიტი სოციალისტები“, გმობდნენ კაპიტალიზმს, როგორც ბოროტებას და მის დასამხობად წინა პლანზე აყენებდნენ უტოპისტურ იდეებს.[1] მათი ღრმა რწმენით, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო მთელი გერმანიის გარდაქმნა რელიგიურ-მორალური სრულყოფით და არა კლასობრივი ბრძოლის გზით. ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათის იდეები ზუსტად აირეკლავდნენ ლიბერალურ-ბურჟუაზიული ფენების სოციალურ მდგომარეობას.

## მუშათა მოძრაობა

XIX ს. პირველ ნახევარში გერმანელი მუშები უაღრესად მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ. მანუფაქტურებისა და ფაბრიკათა მფლობელები მოგების მიზნით ხელფასს უმცირებდნენ მუშებს, ამასთან, 15-16 საათამდე ადიდებდნენ სამუშაო დღეს. იზრდებოდა ექსპლუატაციის ინტენსიურობა. საფეიქრო წარმოებაში ბავშვისა და ქალის მძიმე შრომამ ისეთ სახიფათო დონეს მიაღწია, რომ პრუსიის მთავრობამ განგაში ატეხა არმიაში გასაწვევთა ჯანმრთელობის გამო, რისთვისაც იგი იძულებული გახდა მოზარდების სამუშაო დღე 10 საათამდე შეემცირებინა და აეკრძალა ბავშვთა შრომა. მაგრამ ამ კანონს არღვევდნენ როგორც მეწარმეები, ასევე თვით მუშების ოჯახები (საოჯახო ბიუჯეტის გადიდების მიზნით). წვრილ საწარმოებში გაბნეულ მუშებს არ გააჩნდათ არც თავისი ორგანიზაციები და არც ნათელი კლასობრივი თვითშეგნება. მრავალი გერმანელი მუშა ემიგრაციაში წავიდა, უმთავრესად პარიზში. იქ 1833 წ. დაარსდა „გერმანული სახალხო კავშირი“, რომელიც აბსოლუტიზმის დამხობისა და გერმანიის გაერთიანებისკენ მოუწოდებდა მშრომელებს. რეპრესიების შედეგად ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადავიდა, ხოლო 1835 წ. მის ნანგრევებზე აღმოცენდა რესპუბლიკურ-დემოკრატიული „დევნილთა კავშირი“. მასში გაერთიანებული მუშების დევიზი იყო „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!“ 1836 წ. ორგანიზაციის პროლეტარულმა ფრთამ დააარსა „სამართლიანთა კავშირი“, რომლის პროგრამა, ძირითადად უტოპიური ხასიათისა, მიზნად ისახავდა თანასწორობის მიღწევას ქონების განზოგადების საფუძველზე. 1839 წ. „კავშირის“ წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ბლანკისტების აჯანყებაში და მისი დამარცხების შემდეგ ინგლისს და შვეიცარიას შეაფარეს თავი. აღდგენილი ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ლონდონში დაიდო ბინა.

„სამართლიანთა კავშირის მთავარი თეორეტიკოსი იყო მაგდებურგელი თერძი ვიპელმ ვაიტლინგი (1808-1871, — გერმანიის მუშათა მოძრაობის აღრინდელი ეტაპის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე. 1838 წ. მას დაავალეს „კავშირის“ მანიფესტის შედგენა და მან იგი წიგნის სახით დაწერა („კაცობრიობა, როგორი არის იგი და როგორი უნდა გახდეს“.). ვაიტლინგი დაუნდობლად აშიშვლებდა კაპიტალიზმს, მის მანკიერებებს, იგი დარწმუნებული იყო სოციალური გადატრიალების სწრაფად განხორციელების შესაძლებლობაში, მისი აზრით, ამისთვის საჭირო იყო მხოლოდ მძლავრი ბიძგი, რომლის არსი მას ძალიან ბუნდოვნად ესახებოდა: პირველ პლანზე ვაიტლინგი ხან მუშის ზნეობრივ გამოღვიძებას აყენებდა, ხან კიდევ სტიქიურ ამბოხებას. ვაიტლინგს, როგორც ხელოსანს, რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა არა შეგნებული პროლეტარიატი, არამედ გაღატაკებული ხელოსნები, გამძვინვარებული ბრბო, ნაძირალები და სისხლის სამართლის დამნაშავეებიც კი. მან საერთო ენა ვერ გამონახა ახლადჩამოყალიბებულ მოძღვრებასთან, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს გამოჩენილმა მოაზროვნეებმა კარლ მარქსმა[1] და ფრიდრიხ ენგელსმა.[2] მათ მიზნად დაისახეს ისეთი პროლეტარული პარ-

[1] მათ ნახევრადაბსოლუტისტური გერმანული სახელმწიფოები პირდაპირ გადაჰყავდათ სოციალიზმში.

[1] კ. მარქსი დაიბადა 1818 წ. პრუსიის რაინის პროვინციის ქალაქ ტრირში, პროტესტანტობაში გადასული ებრაელი ჰენრიხ მარქსის ოჯახში. გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც გატაცებით ეუფლებოდა ფილოსოფიას (ჰეგელის დიალექტიკას და ფოიერბახის მატერიალიზმს), ისტორიას, სამართალს და ლიტერატურას. იგი დაუკავშირდა ახალგაზრდა ჰეგელიანელებს და მათთან ერთად აკრიტიკებდა პრუსიაში გამეფებულ რეაქციულ რეჟიმს. მარქსი დიდ ყურადღებას უთმობდა, აგრეთვე, ინგლისელი ეკონომისტებისა (სმიტის, რიკარდოს) და ფრანგი უტოპიური სოციალისტების (სენ-სიმონის, ფურიეს) შრომების შესწავლას. მას, ბრწყინვალედ დაიცვა რა დისერტაცია დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურის ნატურფილოსოფიას შორის“, შეეძლო მუშაობის გაგრძელება ფილოსოფიის კათედრაზე, მაგრამ პრუსიული აბსოლუტიზმის პირობებში, როდესაც სასტიკად იდევნებოდა საღი აზრი, მან ჟურნალისტის საქმე აირჩია და კიოლნის ოპოზიციური „რაინის გაზეთის“ რედაქციის წევრი, შემდეგ კი რედაქტორიც გახდა. მარქსი გაზეთის ფურცლებზე მკაცრად ილაშქრებდა რეაქციის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი აკრიტიკებდა ბურჟუაზიას სიმხდალისა და მშრომელი კაცის ექსპლუატაციის გამო. ბუნებრივია, პრუსიის პოლიციამ „რაინის გაზეთი“ დახურა, კიოლნიდან მარქსი პარიზში

ტიის შექმნა, რომელიც, კომუნისტური თეორიით შეიარაღებული, სათავეში ჩაუდგებოდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობას. ვ. ვაიტლინგისგან განსხვავებით მარქსი და ენგელსი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ორგანიზებული ბრძოლისათვის საჭირო იყო პროლეტარიატის განთავისუფლება პრუდონის წვრილბურჟუაზიული სოციალიზმისა და ვაიტლინგის „მუშური კომუნიზმის“ გავლენისაგან.

1846 წლის დამდეგი მარქსმა და ენგელსმა ბრიუსელში დააარსეს კომუნისტური საკორესპონდენტო კომიტეტი, რომლსაც მათი იდეები უნდა გაევრცელებია გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში არსებულ გერმანულ თემებში. მალე საკორესპონდენტო კომიტეტები აღმოცენდნენ პარიზში, ლონდონსა და გერმანიის ოლქებში. მარქსმა და ენგელსმა, მკაცრად დაგმეს რა ვაიტლინგის მიერ პროლეტარიატის რევოლუციური თეორიით შეიარაღებისა და პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზებულად წარმართვის უგულებელყოფა, საბოლოოდ გაწყვიტეს მასთან ურთიერთობა, თუმცა დიდად აფასებდნენ მის ღვაწლს გერმანიაში მუშათა მოძრაობის ჩასახვის საქმეში.

მარქსისა და ენგელსისაგან სექტანტური და უტოპიური დოქტრინების კრიტიკამ „სამართლიანთა კავშირის“ მრავალი წევრის პოზიციების შეცვლა გამოიწვია. „კავშირის“ ლონდონელმა ხელმძღვანელებმა (ჰ. ბაურმა, ი. მოლიმ, კ. შაპერმა) მარქსს და ენგელსს ორგანიზაციაში შესვლა შეთავაზეს, თან წინადადება მისცეს, — მოეხდინათ მისი რეორგანიზება თავისი შესედულებების შესაბამისად. მარქსი და მისი თანამზრახველები: გერმანიიდან — ფ. ენგელსი, ვ. ვოლფი, ი. ვაიდემაიერი, ჰ. ვეერტი, ბელგიიდან — თ. ჟიგო, ინგლისიდან ჯ. ჰარნი, ე. ჯონსი (ჩარტისტები) და სხვები „სამართლიანთა კავშირში“ შევიდნენ. 1847 წ. ივნისში შედგა კონგრესი, რომელმაც ორგანიზაციას „კომუნისტთა კავშირი“ უწოდა. წესდების პროექტში, რომელიც ენგელსმა შეიმუშავა, დაგმობილია შეთქმულების ტაქტიკა, „კავშირში“ სექტანტური ჯგუფების მიღება, ხოლო მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ლოზუნგად მოწოდებულ იქნა დევიზი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„კომუნისტთა კავშირის“ ხელმძღვანელობის არჩევის პრინციპად დაიდგენილ იქნა დემოკრატიული ცენტრალიზმი, „კავშირის“ უმაღლეს ორგანოდ—კონგრესი, ხოლო კონგრესებს შორის მას წარმართავდა ცენტრალური კომიტეტი (ცკ). იმის გამო, რომ კომუნისტური პროპაგანდა ყველგან იდევნებოდა, „კომუნისტთა კავშირი“ არალეგალურად მოქმედებდა. მან მუშური თემები დააარსა ევროპის ქვეყნებში და ძალებისდაგვარად ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას. 1847 წ. დამლევს ლონდონში გაიმართა „კომუნისტთა კავშირის“ მეორე კონგრესი. მან დაამტკიცა წესდება, რომელშიც ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ „კავშირის“ მიზანს შეადგენდა: ბურჟუაზიის დამხობა, პროლეტარიატის გაბატონება და ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც არ იქნებოდნენ არც კლასები და არც კერძო საკუთრება.

1848 წ. დასასრულს მარქსმა და ენგელსმა დაწერეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. მასში მარქსიზმის პოზიციებიდან დახასიათებულია კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, ბუნება, მისი მანკიერი მხარეები და გარდუვალი დაღუპვა იმ კლასის (პროლეტარიატის) ხელით, რომელიც თავად შვა. მუშებისათვის გასაგები ენით დაწერილი „მანიფესტი“ მარქსისა და მისი მიმდევრების ხელში მძლავრ იარაღად იქცა: მან მსოფლიო პროლეტარიატის გარკვეული ნაწილის მოწონება დაიმსახურა, თან მისი გამოქვეყნება საფრანგეთის თებერვლის რევოლუციის დღეებს დაემთხვა.

გერმანიაში მუშათა მოძრაობიდან აღნიშვნის ღირსია სილეზიელი ფეიქრების აჯანყება (1844 წ. ივნისი). მართალია, ის სტიქიურად დაიწყო და არ ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, მაგრამ იგი მუშათა პირველი გამოსვლა იყო და მის შესახებ, მიუხედავად მთავრობის მიერ სისხლისღვრის (აჯანყების დღეებში 11 კაცი დაიღუპა და 20 მძიმედ დაიჭრა). ფაქტის დამალვისა, მთელს გერმანიაში შეიტყვეს (აჯანყებასა და მის მნიშვნელობაზე მარქსმაც გამოაქვეყნა წერილი.).

1847 წ. პრუსიაში რევოლუციური სიტუაცია ჩამოყალიბდა: ბურჟუაზია და მასები „სახალხო წარმომადგენლობას“ მოითხოვდნენ, ქვეყანას აზანზარებდა მშიერთა გამოსვლები, სამეფო ხაზინაში ფული არ იყო, სესხს კი ბანკირები არ იძლეოდნენ. ქარიშხლის მიახლოების ნიშნები გერმანიის სხვა სახელმწიფოებშიც შეინიშნებოდა. სამხერთგერმანული ქვეყნების მონარქები ლიბერალურ წრეებს რეფორმებს პპირდებოდნენ, ეს უკანასკნელნი კი, იღვწოდნენ რა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, პროლეტარიატის შიშით, მზად იყვნენ მორიგებოდნენ გვირგვინოსნებს, — რევოლუციისადმი შიშმა განსაზღვრა ბურჟუაზიის პოლიტიკური ხაზის ზომიერება და თავად-აზნაურობასთან კომპრომისებზე წასვლა.

## 1848-1849 წლების რევოლუცია გერმანიაში

### რევოლუციის დასაწყისი

1848 წლისათვის გერმანიაში ისეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა, როდესაც რევოლუციური აფეთქება ეჭვს არ იწვევდა. მის მთავარ მიზანს ქვეყნის გაერთიანება, ფეოდალური ვალდებულებებისაგან გლეხთა განთავისუფლება და ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაცია შეადგენდა.

საფრანგეთში მონარქიის დამხობის ამბების გავრცელებისთანავე რევოლუციურ ბრძოლაში პირველნი ბადენის მუშები, ხელოსნები და გლეხები

---

გადავიდა, სადაც ახლოს გაეცნო საფრანგეთის მუშათა მოძრაობას, წვრილბურჟუაზიული სოციალისტების,—პრუდონის, ბლანის,—უტოპიურ თეორიებს. 1841 წლიდან იგი სამუდამოდ დაუმეგობრდა ფრიდრიხ ენგელსს, და მასთან ერთად მრავალი თეორიული თუ კრიტიკული ხასიათის ნაშრომი შექმნა.

[2] ფრიდრიხ ენგელსიც რაინის პროვინციაში დაიბადა (1820), კერძოდ, სამრეწველო ქალაქ ბარმენში, ფაბრიკანტის ოჯახში. უაღრესად ღვთისმოშიშ მშობელს არ მოსწონდა გიმნაზისტი „ფრიცის“ რაციონალისტურ-ლიბერალური მიდრეკილებანი და სკოლის დამთავრების ნაცვლად ბრემენში გაუშვა ბიზნესის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ჰაბუკი ენგელსი არ ჩაირიცხა უნივერსიტეტში, მან დამოუკიდებლად შეაღო მეცნიერების (ფილოსოფიის, ისტორიის, ლიტერატურისა და ლინგვისტიკის) კარები და უველას აოცებდა საკითხების ღრმა ანალიზით. ფ. ენგელსი ბავშვობიდანვე თანაუგრძნობდა მუშებს და თავის ანონიმურ წერილებში სამარცხვინო ბოძზე აკრავდა შეძლებულ ფენებს რელიგიური ფანატიზმისა და მომხვეჭველობის გამო.

1842-1844 წ. წ. ენგელსი ცხოვრობდა ინგლისში, სადაც მამის საქმეებს უძღვებოდა. კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყანაში იგი საფუძვლიანად გაეცნო წარმოების კაპიტალისტურ წესს, მუშათა კლასის მდგომარეობას. შეისწავლა ოუენის და მისი მიმდევრების სოციალისტური იდეები, აქტიურად მონაწილეობდა ჩარტისტულ მოძრაობაში, გახდა მატერიალისტი და კომუნისტური საზოგადოების დამყარების მხურვალე პროპაგანდისტი. ენგელსი თავის წერილებს (სტატიებს) აქვეყნებდა „რაინის გაზეთში“, და ისინი მარქსის დიდ მოწონებას იმსახურებდნენ. 1845 წ. საფრანგეთის პოლიციამ მარქსი პარიზიდან გაასახლა. იგი საცხოვრებლად გადავიდა ბრიუსელში, სადაც მას ენგელსიც შეუერთდა.

ჩაებნენ. ქალაქ მანჰაიმის მშრომელთა სახელით ბადენის წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა 27 თებერვალს საპერცოგოს პალატას წარუდგინეს პეტიცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთავარი პოლიტიკური მოთხოვნები: ხალხის შეიარაღება, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და სრულიად გერმანიის პარლამენტის მოწვევა. პერცპერცოგი ლეოპოლდი იძულებული გახდა, მიეღო ეს მოთხოვნები.

9 მარტს ბადენის მთავრობაში რეაქციონერი მინისტრები ზომიერმა ლიბერალებმა შეცვალეს. ასეთივე ნაბიჯები გადაიდგა ბავარიაში, საქსონიაში, ჰესენ-დარმშტადტსა და ვიურტემბერგში, სადაც, მოვიდა რა ძალაუფლების სათავეში, ბურჟუაზია მაშინვე მოურიგდა მონარქებს და თავად-აზნაურებს.

## 1848 წლის რევოლუცია პრუსიაში

რევოლუციის მთავარი ამბები განვითარდა პრუსიაში, სადაც პროლეტარიატის აქტიურობა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სამხრეთ-დასავლეთში. რევოლუციის დაწყების მომენტში ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ დიდ გავლენას მიაღწია რაინის პროვინციაში.

3 მარტს კიოლნის ქუჩებში ათასობით მუშა და ხელოსანი გამოვიდა. დემონსტრანტებმა ქალაქის ბურგომისტრს მთავრობისათვის გადასაცემად შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს: საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებების ხალხისათვის გადაცემა, საყოველთაო არჩევნების შემოღება, მუდმივი არმიის შეცვლა შეიარაღებული ხალხით, კრების თავისუფლება, მოქალაქეთა ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

იმ დროს, როცა ამ მოთხოვნების გადაცემა ხდებოდა, ჯარმა იარაღი იხმარა, რამაც რაინის სამრეწველო ცენტრებში მუშათა მასობრივი გამოსვლები გამოიწვია. მალე მოძრაობამ ბერლინს უწია, სადაც მთავრობამ ჯარი გამოიყვანა. მარტო 16 მარტს დედაქალაქში 20 მუშა მოჰკლეს და 150 დაჭრეს.

მუშათა დახვრეტას მშრომელთა დიდი დემონსტრაცია მოჰყვა (17 მარტი), რომელსაც მრავალი ბიურგერი მიემხრო. ყველა მოითხოვდა ბერლინიდან ჯარის გაყვანას, ცენზურის გაუქმებას, გაერთიანებული ლანდტაგის მოწვევას და ლანდვერის, ანუ სახალხო ლაშქრის, შექმნას. დამფრთხალმა მეფემ გამოსცა ბრძანებულება ცენზურის გაუქმებისა და 2 აპრილისთვის გაერთიანებული ლანდტაგის მოწვევის შესახებ. მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა ხალხი, იგი სასახლის წინ, მოედანზე შეგროვდა და ჯარის გაყვანა მოითხოვა. მთავრობამ მის დასაშლელად გვარდია გამოიყენა. პირველი შეტაკებები საბარიკადო ბრძოლაში გადაიზარდა. 19 მარტს, შუადღეზე, მეფე იძულებული გახდა, ჯარები ქალაქგარეთ გაეყვანა. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა (400 მოკლული და მრავალი დაჭრილი), ხალხმა გაიმარჯვა, მთელი ქვეყანა მუშების, ღვინებისა და ხელოსნების აჯანყების ალმა მოიცვა.

მეფე კომპრომისზე წავიდა ლიბერალებთან: 19 მარტს ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ გასცა ბრძანება ბიურგერთა რაზმების შექმნასა და შეიარაღებაზე. იგი ბევრ უფლებას ჰპირდებოდა „თავის საყვარელ გერმანელ ხალხს“, მაგრამ ეს დემაგოგიური დაპირებები იყო. თავის მხრივ ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, შექმნა რა თავისი გვარდია, რომელიც მუშათა გამოსვლების ჩასახშობად სჭირდებოდა, მთავრობასთან შეთანხმების გზა აირჩია და მასთან საერთო ენა გამონახა. 29 მარტს მეფემ მთავრობის სათავეში რაინელი ლიბერალი ბანკირი კამპჰაუზენი და ფაბრიკანტი ჰანზემანი დააყენა. ეს მთავრობა ფეოდალურ-მონარქისტულ წრეებს დაუახლოვდა. მან გაერთიანებულ ლანდტაგზე დასამტკიცებლად შეიტანა კანონი პრუსიის დამფუძნებელი კრების



მოწვევის შესახებ ორსაფეხურიანი საარჩევნო სისტემის საფუძველზე, თან ერთვებოდა დაუმტკიცა სამეფო კარს პრუსიის ჯარის გაგზავნით პოზნანში, პოლონელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად (აპრილი). იმ დროს, როცა მონარქის ტახტი შერყეული ჩანდა, კამპჰაუზენის მთავრობამ მისი დამცველი ფარის როლი ითამაშა.

## კლასობრივი ბრძოლები გერმანიაში (1848 წ. აპრილი-ივნისი)

მუშათა თვითშეგნების დაბალმა დონემ გამოიწვია ის, რომ მათ არ ეგონათ, თუ ბურჟუაზია რევოლუციის დასაწყისშივე მოურიგდებოდა მონარქიას. მაგრამ რევოლუციის პროცესში თანდათანობით მაინც იზრდებოდა მუშების კლასობრივი განათლება: ისინი მასობრივ პოლიტიკურ გაფიცვაზე გადავიდნენ. ამ მოძრაობამ მარტ-ივნისში მოიცვა ბერლინი, ჰამბურგი, კიოლნი, მიუნხენი და სხვა სამრეწველო ცენტრები. ბრძოლის მსვლელობაში იშვა მუშათა პირველი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები და ასოციაციები.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და მის მსვლელობაში წარმოშობილი გამიჯვნა მოწინააღმდეგე ძალთა შორის ნათლად გამოვლინდა რევოლუციის ცენტრალური საკითხის—გერმანიის გაერთიანების—გადაჭრისას. მაგრამ სახალხო მასებს არ ესმოდათ, რომ იგი თანმიმდევრობით, სრულიად გერმანული რევოლუციის გზით უნდა გადაწყვეტილიყო და არა ცალკეულ გერმანულ ქვეყნებში. არცაა გასაკვირი, რომ საერთოგერმანული პარლამენტის მოწვევის ინიციატორად გამოვიდა მაინის ფრანკფურტში გამართული (31 მარტი—3 აპრილი) გერმანიის სახელმწიფოთა წოდებრივი წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც წინა პარლამენტის სახელი მიიღო. მისმა უმრავლესობამ უარყო დემოკრატიული უმცირესობის წინადადება გერმანიაში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და გადაწყვიტა ეროვნული კრების არჩევნების ჩატარება რაიხსტაგთან და მონარქებთან შეთანხმებით, ეს კი ლიბერალების უკან დახევას ნიშნავდა.

ამის პასუხად აპრილში განახლდა სახალხო მასების მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ გერმანიასა და საქსონიაში. მაგრამ ბადენში რესპუბლიკური მოძრაობა დამარცხდა. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ რესპუბლიკელებმა ვერ უზრუნველყვეს მუშათა და ხელოსნების მიმხრობა, არ შეიმუშავეს აგრარული საკითხის დადებითად გადაჭრის პროგრამა და არ დაამყარეს კავშირი გერმანიის სხვა ქვეყნებთან.

კამპჰაუზენის მთავრობის მხარდაჭერით სამხედრო-იუნკრული წრეები ირწმუნად ახშობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პრუსიაში (მაგ. პოლონურ პოზნანში). თუ რა შორს წავიდა ლიბერალთა შეთანხმება რეაქციასთან, ამაზე ნათლად მეტყველებს პრუსიის დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა, რომელიც მოიწვიეს 22 მაისს, ბერლინში, საყოველთაო, მაგრამ ორსაფეხურიანი საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

ბურჟუაზიულმა ლიბერალებმა,—მათ უმრავლესობა გააჩნდათ კრებაში,—არ ჩააგდეს კონსტიტუციის პროექტი, ორპალატიან და მაღალ ქონებრივცენზიანი საარჩევნო სისტემის კონსტიტუციური მონარქიის შექმნას რომ ითვალისწინებდა. ლიბერალებმა ფუჭი, უხაყოფო დისკუსია წამოიწყეს პროექტის ცალკეული პუნქტის ირგვლივ და საბოლოო ჯამში მაინც შეუთანხმდნენ მონარქიას.

ბურჟუაზიის მუცელზე ხოხვას მუშებმა და ხელოსნებმა შეიარაღებული გამოსვლით უპასუხეს: ისინი 14 ივნისს შეიჭრნენ არსენალში (იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით), მაგრამ მოსულმა ჯარმა უკუაგდო თავდამსხმელები. მუშების ამ გამოსვლამ დააჩქარა კამპჰაუზენის მთავრობის დაცემა (20 ივნი-

სი). სახალხო მასების დამარცხების მთავარი მიზეზები მდგომარეობდა მათ დაქსაქსულ მოქმედებაში, ერთიანი რევოლუციური ცენტრის არარსებობაში, ლიბერალთა ღალატსა და გლეხობასთან კავშირის უგულებელყოფაში.

## „კომუნისტთა კავშირის“ მოღვაწეობა

„კომუნისტთა კავშირის“ ხელმძღვანელები, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ცდილობდნენ თავისი იდეებით აღეჭურვათ გერმანიის მუშათა კლასი და ამ მიზნით დაწერეს „კომუნისტური პარტიის მოთხოვნები გერმანიაში“.

მარქსი და ენგელსი რევოლუციის მთავარი საკითხის—გერმანიის „ქვემოდან“ გაერთიანების—გადაჭრას ორგანიულად უკავშირებდნენ გლეხთა განთავისუფლებას ყოველგვარი ფეოდალური ვალდებულებებისგან. „მოთხოვნები“ გარდამავალ ღონისძიებებად სახავდა ფეოდალური მამულების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლას და ამ მიწებზე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ჩამოყალიბებას, მაღაროთა, ტრანსპორტის ნაციონალიზაციას, მშრომელების სოციალურ უზრუნველყოფას, უფასო სახალხო განათლებას და სხვ.

1848 წ. ზაფხულში მარქსი და ენგელსი კიოლნში ჩავიდნენ. იმავდროულად გერმანიაში ჩავიდა „კომუნისტთა კავშირის“ მრავალი წევრი. მაგ სხვადასხვა პროვინციაში დაარსეს „კავშირის“ ახალი თემები და დაიწყეს მუშაობა პროლეტარულ საზოგადოებებში. მარქსი და ენგელსი შევიდნენ კიოლნის „დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუმცა ინარჩუნებდნენ საკუთარ პოლიტიკურ ხაზს.

კიოლნის „მუშათა კავშირს“ იმ დროს ხელმძღვანელობდა „კომუნისტთა კავშირის“ წევრი გოტშალკი, რომელიც „ჭეშმარიტი სოციალისტების“ შეხედულებებს იზიარებდა.

გოტშალკი სექტანტი კომუნისტი იყო, იგი ეწინააღმდეგებოდა იდეას მუშათა მონაწილეობის შესახებ პოლიტიკურ ბრძოლაში, საპარლამენტო ბრძოლაში, ეროვნული კრების არჩევნებში. ამისთვის მას მკაცრად აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი. 1848 წ. ივნისში გოტშალკი გამოვიდა „კომუნისტთა კავშირიდან“.

კომუნისტთა სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს ემსახურებოდა ყოველდღიური „ახალი რაინის გაზეთი“, რომელიც 1 ივნისიდან გამოდიოდა. იგი გამოხატავდა ფართო დემოკრატიული წრეების, საზოგადოებათა და ასოციაციების ინტერესებს. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ მარქსი და მისი მომხრეები. ისინი მის ფურცლებზე აშუქებდნენ რევოლუციის საჭირბოროტო საკითხებს და ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ დემოკრატიულ ძალებს.

ბერლინში მუშათა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა მათი ცენტრალური კომიტეტი სტეფან ბორნის მეთაურობით. ბორნი უმთავრესად ეკონომიკურ პრობლემებზე ამახვილებდა ყურადღებას, თუმცა თავის გაზეთში, „ხალხი“, პოლიტიკურ ამოცანებსაც უთმობდა მცირეოდენ ადგილს. მისი ინიციატივით აგვისტოში შედგა მუშათა ბერლინის კონგრესი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმოცამდე მუშათა ორგანიზაციამ. კონგრესის მიერ შექმნილ „მუშათა ძმობაში“ მალე 100-მდე მუშათა კავშირი გაერთიანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ „ძმობის“ ცკ-მა თავისი ადგილსამყოფელი ლაიფციგში გადაიტანა. ბორნის პროგრამა ერთმანეთში აზავებდა კომუნიზმს, წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს და ეკონომიზმს, რის გამოც მარქსის და მისი მომხრეების კრიტიკას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ბორნმა დიდი როლი ითამაშა გერმანიის პროლეტარიატის სოლიდარობის საქმეში.



## ფრანკფურტის პარლამენტის შექმნა და მისი მოღვაწეობა

1848 წ. ზაფხულისათვის კონტრრევოლუციურ ძალებს პირველმა შიშმა გაუარათ და მათ უკვე შეეძლოთ, ჩარეულიყვნენ საერთოგერმანულ ეროვნულ-გამაერთიანებელ მოძრაობაში. გერმანიის დამფუძნებელი კრების, ანუ ფრანკფურტის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაგრამ მასში, ისე როგორც პრუსიის დამფუძნებელ კრებაში, მშრომელები თითქმის არ მოხვედრილან. დეპუტატთა უმრავლესობას მსხვილი ლიბერალური ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია (პროფესორები, ვექილები, პედაგოგები) შეადგენდნენ.

მემარცხენეთა შორის თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ ზომიერები—ჟურნალისტი რობერტ ბლიუმი და პროფესორი კარლ ფოგტი. უფრო გაბედულნი, ე. წ. „უკიდურესი მემარცხენენი“ წარმოდგენილნი იყვნენ არნოლდ რუგეს, ხოლო „კომუნისტთა კავშირი“ — მხოლოდ ვილჰელმ ვოლფის სახით.

გერმანიის მონარქები არ ცნობდნენ ფრანკფურტის პარლამენტს, მაგრამ რევოლუციურ პირობებში ხელს არ უშლიდნენ მის მოწვევას. საზოგადოების მოწინავე წრეები დიდ იმედებს ამყარებდნენ პარლამენტზე, მაგრამ მისმა პირველმა ნაბიჯებმა მაშინვე გააწბილეს ისინი. 18 მაისს პარლამენტი შეუდგა გერმანიის ცენტრალური მთავრობის შექმნას. ლიბერალების ზეწოლის შედეგად გერმანიის დროებით საიმპერიო მეფისნაცვლად აირჩიეს ავსტრიის ჰერცოგი იოჰანი, რომელიც ადრე მეტერნიხს მტრობდა.

ცენტრალური მთავრობის შექმნას არაფერი შეუცვლია,—ძალაუფლება ადგილობრივ მონარქებს დარჩათ. ისინი არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ მთავრობას, ამის შედეგად იგი ჰაერში გამოეკიდა: მას არ გააჩნდა არც საკუთარი არმია, არც ბიუჯეტი და არც ავტორიტეტი.

ამ დროს ფეოდალურ-თავადაზნაურული რეაქცია შეტევაზე გადავიდა. კავენიაკის მიერ პარიზის მუშათა აჯანყების ჩახშობამ ფრთები შეასხა გერმანიის რეაქციულ წრეებს, რომლებმაც აშკარად დაიწყეს მზადება კონტრრევოლუციური შეტევისათვის. ამ გარემოებამ შეაშფოთა პარლამენტის დემოკრატიული ფრაქციის დელეგატები, მაგრამ, იდგნენ რა ბურჟუაზიული კანონების სადარაჯოზე, მათ არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ რევოლუციის პრობლემები. მხოლოდ მისი მცირე ნაწილი, მაგ., ბლიუმი, უწევდა წინააღმდეგობას კონტრრევოლუციას.

მოკლედ: პარლამენტს არ მოუსპია ფეოდალური ვალდებულებები და ძველი ბარიერები ვაჭრობაში; არ შეუმსუბუქებია მუშათა მდგომარეობა, ხოლო მათი უფლებები შრომაზე ბურჟუაზიის უმრავლესობამ საერთოდ უკუაგდო.

პარლამენტს არც ეროვნული საკითხი გადაუწყვეტია. პირიქით, სანქცია მისცა პრუსიის რეაქციულ მთავრობას პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისათვის, მხარს უჭერდა ავსტრიის მონარქიას ჩეხი და იტალიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში.

ლიბერალური ბურჟუაზიის სიმხდალემ თავი იჩინა რევოლუციური გერმანიის ინტერესების შეზობელი სახელმწიფოების ინტერესებთან პირველსავე შეტაკებისას. ბურჟუაზიას განსაკუთრებით „აწუხებდა“ ბედი შლეზვიგისა და ჰოლშტაინის საჰერცოგოებისა, რომლებიც დანიასთან პირად უნიაში იმყოთებოდნენ. ჰოლშტაინი და შლეზვიგის სამხრეთი უპირატესად გერმანელებით იყო დასახლებული. ამ 1848 წ. მარტში იფეთქა აჯანყებამ და შეიქმნა დროებითი მთავრობა. მან დანიისაგან გამოყოფა გადაწყვიტა და დახმარებისათვის გერმანულ სახელმწიფოებს მიმართა. ორიეც საპერცოგოს ბრძოლამ გერ-

მანიასთან შეერთებისათვის პატრიოტული აღტკინება გამოიწვია, ხალხი მოითხოვდა, რომ დახმარებოდნენ კილში ჩამოყალიბებულ მთავრობას. მაგრამ პრუსიის მეფემ გადაწყვიტა—შექმნილი ვითარება სუფთა კონტრრევოლუციური მიზნებისათვის გამოეყენებინა და აპრილში ჯარები გაგზავნა იუტლანდიის ნახევარკუნძულისაკენ.

ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს ამ აქციით სურდა რევოლუციური წრეების ყურადღება ჩამოეშორებინა საშინაო პოლიტიკისაგან და შეერერებინა დემოკრატიული რევოლუციის გაღრმავება. მაგრამ დიდი ქვეყნების საქმეში ჩარევამ დაასამარა მიღწეული წარმატებები. რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის ზეწოლის შედეგად შვეციის ქალაქ მალმეში, 26 აგვისტოს, ხელი მოაწერეს დადგებას, რომელიც პრუსიის ჯარების შლეზვიგიდან და ჰოლშტაინიდან გამოყვანას ითვალისწინებდა.

პრუსიის მეფე დაფრთხა, რამეთუ იცოდა; რომ კოალიციასთან ომში დამარცხება ხელს შეუწყობდა მის ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას და... ხელი მოაწერა ზავს.

## 1848 წლის 7 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალება პრუსიაში

გერმანიაში ვითარება კონტრრევოლუციის სასარგებლოდ იცვლებოდა. მსხვილ ბურჟუაზიას 1848 წ. ზაფხულიდან სულ უფრო და უფრო ეძინოდა „კომუნიზმის აჩრდილისა“ და იგი კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდა. დამფუძნებელი კრება, რომელშიც ლიბერალური ბურჟუაზიაც იყო წარმოდგენილი, აშკიანურებდა გლეხთა განთავისუფლებას გამოსყიდვის გარეშე. ლიბერალური ბურჟუაზიის დამთმობი მოღვაწეობით ისარგებლეს მემამულეებმა, ხოლო მეფის მრჩევლებმა კრების გარეკვა ჩაიგონეს მონარქს. რეაქციონერ მემამულეთა ორგანო „ჯვრის გაზეთი“ (ეწოდა შავ-თეთრი ჯვრის გამო, რომლის სათაურის ქვეშ იყო წარწერა—„მეფისა და სამშობლოსათვის“.) და იუნკრების აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ. ვენაში ოქტომბრის აჯანყების ჩახშობით გულმოცემულმა ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ მინისტრებად ყველაზე პირწავარდნილი რეაქციონერები დანიშნა. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა გენერალი მანტოიფელი. 9 ნოემბერს გამოქვეყნდა სამეფო ბრძანებულება დამფუძნებელი კრების სხდომების გადატანის შესახებ. ამ აქტით ლინიდან პროვინციულ ქალაქ ბრანდენბურგში გადატანის შესახებ. ამ აქტით რეაქციულმა წრეებმა დეპუტატებს დედაქალაქის მშრომელთა მხარდაჭერა წარართვეს. ლიბერალურმა ბურჟუაზიამ პროტესტის ნიშნად მხოლოდ დაიკნავლა, სამაგიეროდ მასები აღდგნენ, მაგრამ ეროვნული კრების სიმხდალისა და დუმილის ვამო არ შეიარაღებულან.

5 დეკემბერს გამოიცა ბრძანებულება ეროვნული კრების დაშლაზე, ხოლო 6-ში გამოქვეყნდა პრუსიის კონსტიტუცია.

## კონტრრევოლუციის გამარჯვება პრუსიაში (მანტოიფელის კონსტიტუცია)

ეს კონსტიტუცია, რომელსაც შემდგომში მანტოიფელისეული ეწოდა, მარტის რევოლუციის გავლენით ინარჩუნებდა ზოგიერთ თავისუფლებებს, კერძოდ, საყოველთაო საარჩევნო უფლებას, მაგრამ, ამასთან, აკანონებდა თავადაზნაურთა წოდებრივ პრივილეგიებს. მეფეს შეეძლო გაეუქმებია საკანონმდებლო ორგანოების—ლანდტაგისა და ბატონთა პალატის ყოველგვარი გადაწყვეტილება. 105-ე მუხლით მთავრობას უფლება ჰქონდა სესიებს შორის კანონების გამოცემისა და კონსტიტუციის ცალკეული მუხლების გადასინჯვისა. მალე მეფემ და მისმა წრემ გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ ღემოკრატიული საარჩევნო წესებისათვის. 1849 წ. 30 მაისს, ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, 30 წელს მიღწეული მოქალაქენი 3 კლასად დაყვეს იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის გადასახადებს იხდიდნენ. პირველ კლასში მოექცნენ დიდი გადასახადების გადამხდელები, რომლებიც რიცხობრივად უმცირესობას შეადგენდნენ. მეორე ადგილზე რაოდენობის მიხედვით საშუალო სიდიდის გადამხდელები იდგნენ. ყველაზე მრავალრიცხოვანნი მესამე კლასის ამომრჩევლები იყვნენ, მაგრამ თითოეული მათგანი თანაბარი რაოდენობის ამომრჩევლებს ირჩევდა, ისინი კი, თავის მხრივ, ღია ხმის მიცემით ირჩევდნენ ლანდტაგის დეპუტატებს. ასე რომ, მდიდარი ამომრჩევლის ხმა უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ხმა ნაკლებად შეძლებულისა, მითუმეტეს, სავსებით ღარიბისა. ამრიგად, ახალი საარჩევნო კანონი პრუსიაში აწესებდა მაღალ ქონებრივ ცენზს, ნაცვლად საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, რომელსაც მიაღწია ხალხმა 1848 წ. მარტში. ერთი წლის შემდეგ ეს კანონი ახალ, მეფისაგან ბოძებულ, კონსტიტუციაში შევიდა როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. 1850 წ. 2 მარტს გამოსყიდვის გარეშე გაუქმდა გლეხთა უმნიშვნელო ვალდებულებები, ხოლო ძირითადი ფეოდალური ვალდებულებანი გლეხს უნდა გამოესყიდა, გამოსასყიდი თანხა კი უღრიდა წლიური რენტის ასჯერად ღირებულებას. ამ კანონით იუნკრებმა დიდძალი ფული ჩაიჯიბეს. ფეოდალური ვალდებულებები თანდათან უქმდებოდა და ეს ხდებოდა ზემოდან, რეფორმებით, თუმცა მემამულეებმა შეინარჩუნეს მრავალი პრივილეგია. მანტოიფელის რეფორმამ მნიშვნელოვნად დააჩქარა კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში, რაც გლეხობისთვის მტკივნეულად მიმდინარეობდა. ამრიგად, 1848 წ. რევოლუციის შედეგად პრუსიამ გადადგა ახალი ნაბიჯი ბურჟუაზიულ მონარქიაში გარდასაქმნელად.

## ბრძოლა საიმპერიო კონსტიტუციისათვის

იმ დროს, როცა პრუსიაში იუნკრულმა კონტრრევოლუციამ გაიმარჯვა, ფრანკფურტის პარლამენტის მოლაპარაკებებზე ლიბერალები დაუსრულებელ სხდომებზე აგრძელებდნენ მომავალი, სრულიადგერმანული კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას.

1849 წ. 28 მარტს საიმპერიო კონსტიტუცია ზეიმით იქნა მიღებული. იგი ითვალისწინებდა გერმანიაში მემკვიდრეობით საიმპერატორო ძალაუფლების დამყარებას და ორპალატიანი რაისტაგის შექმნას, რომლის ქვედა პალატა 3 წლით აირჩეოდა საყოველთაო ხმის მიცემით. კონსტიტუცია აუქმებდა თავადაზნაურთა პრივილეგიებსა და ტიტულებს, აცხადებდა თანასწორობას, პიროვნების ხელშეუვალობას, ბეჭდვის, სიტყვის, კრების თავისუფლებებს, ბატონყმობის მოსპობას. ამავე დროს იმპერიაში გაერთიანებული სამეფოები და დინასტიები ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. თუმცა კონსტიტუცია არ პასუხობდა გერმანელი ხალხის რევოლუციურ ამოცანებს და ხელსუსლებელს ტოვებდა მონარქიებს, 1849 წ. ზაფხულის პოლიტიკურ ვითარებაში მიღებული კონსტიტუცია ყველაზე ლიბერალური იყო მთელს გერმანიაში. ფრანკფურტის პარლამენტმა, რომელშიც „მცირე გერმანული“ ორიენტაცია მეტობდა, იმპერატორის გვირგვინი პრუსიის მეფეს შესთავაზა, მაგრამ უკანასკნელმა უარი განაცხადა „რევოლუციური“ კრების ხელიდან მის მიღებაზე. პრუსიის მეფის გარდა სხვა გერმანელმა მონარქებმაც არ ცნეს კონსტიტუცია და მისი ცენტრალური ორგანოები. პარლამენტს ორი გამოსავალი დარჩა: ან დაეთმო, ან დაყრდნობოდა მასებს და ომი გამოეცხადებია მონარქებისათვის. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ დაეწყო შეიარაღებული აჯან-

ყება, ფრანკფურტის პარლამენტის „ღირსეული ბატონები“ იქამდე მივიდნენ, რომ თავისი ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებით აშკარად აშთობდნენ რევოლუციურ მოძრაობას.

### მაისის აჯანყებები

1849 წ. მაისში გერმანიაში რევოლუციის მეორე ეტაპი დაიწყო. აჯანყებებმა სტიქიურად და ერთდროულად იფეთქეს სხვადასხვა ოლქებში.

ბადენში აჯანყება დაიწყო 13 მაისს. მას სათავეში ჩაუდგნენ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, „კომუნისტთა კავშირის“ წევრები, მაგრამ აჯანყებულები ფრანკფურტზე ლაშქრობის ნაცვლად თავდაცვაზე გადავიდნენ და დამარცხდნენ. ამ კრახით ფრანკფურტის პარლამენტმა დაასრულა თავისი მოღვაწეობა.

პრუსიის რეაქციულმა მხედრიონმა ყურადღება მიაპყრო ყველაზე უკიდურეს რევოლუციურ გაზეთებს. 16 მაისს მარქსმა მიიღო ბრძანება პრუსიის დატოვების შესახებ. ასეთ პირობებში „ახალი რაინის გაზეთის“ გამოცემა შეუძლებელი გახდა და 1849 წ. 19 მაისს გამოვიდა მისი ბოლო, წითელი საღებავით დაბეჭდილი ნომერი.

1850 წ. მარტში მარქსმა და ენგელსმა ინგლისში მოამზადეს „ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირისადმი“. ამ დოკუმენტში ისინი კომუნისტებს მოუწოდებდნენ გერმანიაში მუშათა პარტიის შექმნისკენ, რომელიც, მათი ვარაუდით სათავეში ჩაუდგებოდა პროლეტარიატს და ბოლომდე მიიყვანდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას.

### რევოლუციის ხასიათი და დამარცხების მიზეზები

1848-1849 წლების რევოლუცია გერმანიაში დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. იმ დროს, როცა საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლუციამ ძირითადად მოსპო ფეოდალიზმის გადმონაშთები, გერმანია რევოლუციის შემდეგ მაინც დაქუცმაცებულ მდგომარეობაში დარჩა, ხოლო მემამულეებმა ყველგან შეინარჩუნეს ბატონობა. მთავარი მამოძრავებელი ძალები გერმანიის რევოლუციისა, სახალხო მასები იყვნენ, მაგრამ პოლიტიკურმა მოუმწიფებლობამ და პროლეტარიატის სიმცირემ განაპირობა ის, რომ რევოლუციის სათავეში ბურჟუაზიული ლიბერალები მოექცნენ.

დამარცხების მიზეზებს შორის მთავარია: ლიბერალების ღალატი და ბურჟუაზიის ანტირევოლუციური პოზიცია, მუშათა კლასის სისუსტე (მას არ შეეძლო ჰეგემონის როლის თამაში.) და მისი შორს დგომა გლეხობისაგან.

## გერმანიის გაერთიანება

### გერმანიის ეკონომიკური განვითარება 50-60-იან წლებში

XIX ს. შუახანებიდან გერმანულ სახელმწიფოებში, შეიძლება ითქვას, სამრეწველო გადატრიალების პროცესი წარმატებით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც გერმანია სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა, თუმცა სოფლის მოსახლეობა მაინც ჭარბობდა ქალაქისას. 1847-1848 წ. წ. ეკონომიკური კრიზისის დამთავრების შემდეგ ვაჭრებმა და მრეწველებმა აქტიურად გამოიყენეს კეთილსასურველი საშეურნეო კონიუნქტურა და რისკის გარეშე შეუდგნენ ახალი საწარმოების მშენებლობას. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობით ზრდას მუ-



შათა კლასის რიცხვის ზრდა მოჰყვა: 60-იანი წლების დამდეგს გერმანია უკვე მილიონზე მეტ პროფესიონალ მუშას მოითვლიდა. რაინის ოლქი, საქსონია, სილეზია, ბერლინი ნამდვილ ინდუსტრიულ ცენტრებად იქცნენ. სწრაფად ფართოვდებოდა ქვანახშირის მოპოვება, იზრდებოდა ლითონის გამოდნობა და ახალი ძრავების რაოდენობა. 1850 წლიდან 1870 წლამდე რკინიგზათა სიგრძემ მარტო პრუსიაში 11.523 კმ-ს მიაღწია. საგძნობლად გაფართოვდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. გერმანიის ეკონომიკურ აღმავლობას ხელს უწყობდნენ შემდეგი ფაქტორები: მანქანათმშენებლობის განვითარება (იგი ამცირებდა სამრეწველო გადატრიალების ვადებს), საბაჟო კავშირის გაფართოება, მოსახლეობის დაინტერესება ტექნიკით, სამუშაო ძალის ტევადი მაზრის არსებობა და მუშათა კლასის ექსპლუატაცია.

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ პრუსიაში ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა იუნკრულ-კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადავიდა. ძველი, ბეგარაზე დამყარებული გლეხური შრომა მთლიანად შეიცვალა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება განვითარებული კაპიტალიზმის ფერხულში ჩაება. 1850 წ. 2 მარტს მიღებული იქნა კანონი „მემამულეთა და გლეხთა შორის ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“, რომლის მიხედვით გაუქმდა უმნიშვნელო რაოდენობის ვალდებულება, ძირითადი კი გამოსყიდვას დაექვემდებარა. ამ კანონის რეალიზაციის წყალობით, რამდენიმე წელიწადში გამოსყიდულ იქნა 12.706 გლეხური მეურნეობა და 1.014.341 ჭვრილი ნაკვეთი, რისთვისაც გლეხობამ მემამულეებს და ხაზინას 300 მლნ. ტალერი გადაუხადა.

1850 წ. კანონის ამოქმედების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა იუნკრების მეურნეობის ზომები. ვალდებულებებისგან გლეხთა განთავისუფლებისათვის პრუსიელმა თავადაზნაურობამ გლეხებს წაართვა მისი მიწების შესამედი და 1858 წ. იგი მთელი მიწების 50,31%-ს ფლობდა.

სამუალო და წვრილი მეურნეობები, რომლებმაც დაკარგეს ძველი თემური სავარგულები და საძოვრები, თანდათანობით დაკნინდნენ და ვალებში ჩავარდნენ, ამიტომ გლეხები იძულებულნი ხდებოდნენ, თავი გაეტანათ ბინაზე რენტით და მცირე ნაკვეთზე დღენიადაგ შრომით.

რაც შეეხება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის აგრარულ ურთიერთობებს, იქ ჭარბობდნენ საშუალო შეძლების გლეხებისა და გროსბაურთა მეურნეობები.

### პრუსიის დამცირება ოლმიუცში

გერმანიაში კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა ქვეყნის დაქუცმაცებულობა. ჯერ კიდევ 1849 წ., როდესაც კონტრრევოლუცია დაუნდობლად უსწორდებოდა აჯანყებათა უკანასკნელ კერებს, ბერლინში გაიმართა თათბირი პრუსიის, ავსტრიის, ბავარიის, საქსონიისა და ჰანოვერის დელეგატების მონაწილეობით, რომლებსაც უნდა განეხილათ საკითხი გერმანიის კავშირის მომავალი ბედის შესახებ. ავსტრიისა და ბავარიის წარმომადგენლებმა კავშირის გარდაქმნის პრუსიული პროექტის გაცნობისთანავე დატოვეს სხდომა. ბერლინში დარჩენილმა სამეულმა (პრუსია, საქსონია, ჰანოვერი) ხელი მოაწერა ე. წ. პრუსიულ უნიას („სამი მეფის უნიას“), რაც პრუსიის ჰეგემონობით ჩრდილოგერმანული სახელმწიფოების გაერთიანების ცდას წარმოადგენდა. ამის პასუხად 1850 წ. აპრილში ავსტრიამ ფრანკფურტში მიიწვია გერმანულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები საკავშირო სეიმის რეორგანიზაციის მიზნით. კანცლერ შვარცენბერგის მიხედვით, ამიერიდან სეიმს მორიგეობით გაუძღვებოდნენ ავსტრია და პრუსია. ამან, რასაკვირველია, არ დააკმაყოფილა პრუსია, რომელსაც თავი გერმანიის „გამაერთიანებლად“ მოჰქონდა და ომის გზით აპირებდა მის განხორციელებას.

1850 წ. ნოემბერში, ოლმიუცში ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლები. ავსტრიამ პრუსიისაგან ჯარების დემობილიზაცია, „პრუსიული უნიის“ დაშლა და საკავშირო სეიმის გერმანიის კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ცნობა მოითხოვა. დაშინებულმა და მუდამ მერყეევმა ფრიდრიხ ვილჰელმ IV-მ უარი თქვა გერმანიაში პრუსიის ჰეგემონობაზე. ჰაბსბურგებმა, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ ევროპა, კათოლიკური გერმანული სახელმწიფოები და ის პატარა სამთავროები, რომელთაც არ სურდათ მედიდური პრუსიელი იუნკრების გერმანიაში გაბატონება, იმ მომენტში შეძლეს ჰოჰენცოლერნთა პრუსიის დამცირება, რაც მათ მომავალში ძალიან ძვირი დაუჯდათ.

## ო. ბისმარკის მოსვლა პრუსიის მთავრობის სათავეში

XIX ს. 50-ანი წლების დასასრულიდან დღის წესრიგში კელავ დადგა საკითხი გერმანიის ეროვნულ გაერთიანებაზე.

იტალიის ლიბერალური ბურჟუაზიის წარმატებანი საფრანგეთ-სარდინიის ომში ავსტრიასთან (1859), წყალს ასხამდა გერმანიის გაერთიანების მომხრე ლიბერალების წისქვილზე. 1859 წ. შემოდგომაზე ჩრდილოგერმანულ სახელმწიფოთა გავლენიანმა წრეებმა დააარსეს პოლიტიკური ორგანიზაცია „გერმანიის ნაციონალური კავშირი“ ჰანოველელი ვექილის ბენიგსენის მეთაურობით. ამ კავშირის პროგრამა ავსტრიის გარეშე გერმანიის იმპერიის შექმნას ითვალისწინებდა. „ყოველი გერმანელის მოვალეობაა,—ნათქვამი იყო მასში,—ძალა დაუჭიროს პრუსიის მთავრობას“.

სამხრეთ გერმანიაში (ბადენი, ბავარია, ვიურტემბერგი) ბურჟუაზია შეშფოთებით შეხვდა ამ განცხადებას[1] და მან ავსტრიასთან კავშირში ყოფნა ამჯობინა. ბავარიელი ლიბერალების ინიციატივით „ნაციონალურ კავშირს“ იქ 1862 წ. შექმნილი „რეფორმის გერმანული კავშირი“ დაუპირისპირდა.

პრუსიის ახალმა მეფემ ვილჰელმ I-მა, აწყო რა ფესი ეპოქას, გადააყენა მანტოიფელი და, პოპულარობის მიზნით, ხალხს რეფორმების გატარება აღუთქვა, მაგრამ მან ბურჟუაზიის იმედები არ გაამართლა,—60 წლის მეფე ისეთივე „კაპრალი“ აღმოჩნდა, როგორიც იყვნენ მისი წინამორბედი ჰოჰენცოლერნები: მას ეშინოდა როგორც მასების, ასევე პარლამენტური წესებისა. მალე დაიწყო შეტაკებები ლანდტაგში (პრუსიის ქვედა პალატაში) მთავრობასა და ბურჟუაზიულ ოპოზიციას შორის. შეტაკების მიზეზი მდგომარეობდა მთავრობის სურვილში,—მოეხდინა არმიის რეორგანიზაცია და მიეღო სახსრების მისი დაფინანსებისათვის. 1860 წ. სამხედრო მინისტრმა ფონ როონმა მოითხოვა სასაზო პოლკების რაოდენობის გაზრდა, სამხედრო სამსახურის ვადის 2-დან 3 წლამდე გადიდება და ლანდვერის,—სახალხო ლაშქრის,—გაუქმება.[2] ლანდტაგის ბურჟუაზიულმა ოპოზიციამ, რომელმაც მალე პროგრესისტების პარტია შეადგინა,, უარყო არმიის რეორგანიზაციის პროექტი, მაგრამ მთავრობამ, კონსტიტუციის გვერდის ავლით, მაინც დაიწყო აღნიშნული ღონისძიების გატარება.

1862 წ. საქმე აშკარა განხეთქილებამდე მივიდა. ახალი არჩევნების შემდეგ ლანდტაგის დეპუტატთა უმრავლესობა პროგრესისტებს გაჰყვა და უარი განაცხადა კრედიტების გაღებაზე. ურჩ ლიბერალებს მთელი ხალხი მიემხრო. 1861-1862 წ. წ. დაბნეულობამ მოიცვა ზედა ფენები, მეფეც და მისი მინისტრებიც. მათ არ სურდათ დაეთმოთ არც ლანდტაგისთვის და არც ხალხისათვის, თუმცა ეშინოდათ რევოლუციური აფეთქებისა.

პრუსიელ თავად-აზნაურთა შორსმხედველი წრეები ბურჟუაზიის თავის მხარეზე გადმოყვანისთვის იღწვოდნენ. საღად მოაზროვნე იუნკრობის ნაწილი, გადმოდიოდა რა პარლამენტური კონსტიტუციური რეფორმის გატარების წინააღმდეგ, მზად იყო სელში აეღო გაერთიანების საქმე და იგი „ზემოდან“ განეხორციელებინა. ამ კურსის წარმატებით დაწყება-დამთავრება იკისრა პომერანიელმა იუნკერმა ოტო ფონ ბისმარკმა (1815-1898), რომელიც 1862 წ. ვილჰელმ I-მა პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტად დანიშნა. XIX ს. 50-იან წლებში ბისმარკი პრუსიას წარმოადგენდა ფრანკფურტის რაისხტაგში (სეიმში), იგი ელჩად იყო რუსეთსა და საფრანგეთში, ხოლო თავად პრუსიაში ლიდერობდა იმ წრეს, რომელიც სასტიკად ებრძოდა რევოლუციურ მოძრაობას, კომუნისტურ ორგანიზაციებს და პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანების ხაზს ატარებდა.

როგორც კი სათავეში ჩაუდგა მთავრობას, ბისმარკმა დაშალა ჭირვეული პარლამენტი და ფონ როონთან ერთად არმიის რეორგანიზაციას შეუდგა.[1] ბისმარკმა ლიბერალების არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, თუმცა ძალ-ღონეს და თავის დიპლომატიურ ტალანტს არ იშურებდა მათი სანუკვარი ოცნების,—გერმანიის „რკინით და სისხლით“ გაერთიანების,—აღსრულებისთვის.

მისი ღრმა რწმენით ამ სურვილების განხორციელებას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა იუნკრებისა და ბურჟუაზიის მჭიდრო კავშირის გაფორმება.

## გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის შექმნა

მრეწველობის სწრაფი განვითარების მიუხედავად, მუშათა მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, მეტადრე ქალებისა და ბავშვებისა. მართალია, რეალურმა ხელფასმა 60-იანი წლებიდან იწყო ზრდა, მაგრამ სამუშაო დღე 13-14 საათს გრძელდებოდა, რაც უარყოფითად მოქმედებდა ადამიანის ჯანმრთელობაზე. გერმანელი მუშების საგრძნობ ნაწილში კიდევ იყო შენარჩუნებული ხელოსნურ-ამქრული განწყობილება, ლიბერალები კი თავის მხრივ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა მუშებს უარი ეთქვათ კლასობრივ ბრძოლაზე და შეთანხმებოდნენ ბურჟუაზიას, რომელსაც მათი მხარდაჭერა იუნკრებისა და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სჭირდებოდა. „გერმანიის ეროვნული კავშირი“ მთელ ქვეყანაში ქმნიდა სხვადასხვა საგანმანათლებლო, გიმნასტიკურ და ქორეოგრაფიულ კავშირებს—ფერაინებს, რომელთაც მუშების ყურადღება პოლიტიკური ბრძოლისაგან უნდა ჩამოეცილებინათ.

იმ დროს მუშებს დიდად ვნებდა პრუსიელი ბურჟუაზიული ეკონომისტის, პროგრესისტ შულცე-დელიჩის პროპაგანდისტული მოღვაწეობა. მისი გავლენით შეიქმნა საკრედიტო ამხანაგობები და მოხმარების კოოპერატივები, რომელთა მიზანი ერთი იყო: უარი რევოლუციურ გამოსვლებზე. მაგრამ 1857 წ. ეკონომიკურმა კრიზისმა და იტალიის ამბებმა (1859-1860) ფეხზე დააყენეს მუშათა გარეუბნები.

გერმანელი მუშები დაინტერესებულნი იყვნენ „ქვემოდან“ ქვეყნის გაერთიანებით. მუშები ქმნიდნენ ბურჟუაზიისაგან დამოუკიდებელ კავშირებს, რომელთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდა ფერაინი „წინ“ („ფორვერტს“). მისმა სელმძღვანელობამ სრულიად გერმანიის მუშათა კონგრესის მოწვევის წინადადება წამოაყენა.

---

[1] ამ ქვეყნის ბურჟუაზიას ეშინოდა, რომ მისი სუსტი მრეწველობა კონკურენციას ვერ გაუწევდა ეკონომიურად ძლიერ პრუსიულ პროდუქციას.

[2] ლანდვერს მხოლოდ ომის დროს იწვევდნენ, იგი ძალიან სუსტი მომზადებისა იყო.

[1] 1862 წლიდან კაიზერის მთავრობამ ლანდტაგის გვერდის ავლით შემოიღო საყოველთაო სამხედრო გაწვევა.

1862 წ. შექმნილმა ლაიფციგის ცენტრალურმა კომიტეტმა (ცკ) დაიწყო მოსამზადებელი საქმიანობა ამ იდეის განხორციელებისათვის. ლასალმა „ცკ-სადმი ღია პასუხში“ მუშათა ძირითად ამოცანად წამოაყენა ბრძოლა საყოველთაო საარჩევნო უფლებისათვის, რომელიც, მისი აზრით, გააუმჯობესებდა მუშების მატერიალურ მდგომარეობას. მკაცრად აკრიტიკებდა რა შულცე-დელიჩის კოოპერატიულ გეგმებს, ის თავაზობდა, აგიტაციით მოეპოვებინათ დემოკრატიული საარჩევნო სისტემა და დაუყოვნებლივ შეედგომოდნენ სრულიადგერმანული მუშათა კავშირის შექმნას.

1863 წ. 23 მაისს ლასალი არჩეულ იქნა ლაიფციგში დაარსებული სრულიად გერმანული მუშათა კავშირის თავმჯდომარედ.

ფერდინანდ ლასალი (1825-64 წ.წ.) გამოვიდა მდიდარი სილეზიელი ბურჟუას ოჯახიდან. მან ჯერ კიდევ 1848 წ. რევოლუციამდე სახელი გაითქვა როგორც დემოკრატმა ორატორმა და პუბლიცისტმა. რეაქციის წლებში იგი მუშაობდა ფილოსოფიურ და იურიდიულ საკითხებზე. ლასალი განიცდიდა მარქსიზმის გავლენას, მაგრამ ის არ გამხდარა კომუნისტი. იგი თავს ახვევდა მუშებს გერმანიის პრუსიის ხელმძღვანელობით გაერთიანების იდეას, ხოლო მისი მოღვაწეობა, როგორც მუშათა კავშირის თავმჯდომარისა, დიდ ზიანს აყენებდა მუშათა მოძრაობას. გამოდიოდა რა შულცე-დელიჩის კოოპერაციული პროექტების წინააღმდეგ, ლასალი ავითარებდა საწარმოო ამხანაგობების, ასოციაციების შექმნის უტოპიურ გეგმებს. იგი არწმუნებდა მუშებს, რომ ასოციაციები, რომლებსაც მატერიალურად დაეხმარებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფო, გზას გაუხსნიდნენ პროლეტარიატს სოციალიზმისაკენ. ლასალი მხარს უჭერდა პრუსიის მონარქიის შენარჩუნებას, იგი წინააღმდეგი იყო საგაფიცვო მოძრაობისა და პირველ ადგილზე აყენებდა ბრძოლას საყოველთაო არჩევნების უფლებებისათვის. მან შეიმუშავა თეზისი „ხელფასის რკინის კანონის შესახებ“, რაც, მისი აზრით, მდგომარეობდა იმაში, რომ კაპიტალიზმის დროს ხელფასი მუდმივად ერთ დონეზეა და შეუძლებელია მისი შეცვლა_როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ბრძოლით (ლასალი საერთოდ უარყოფდა ეკონომიკურ ბრძოლას). ლასალის შემთანხმებლური მოღვაწეობა ხელს უშლიდა მუშათა კავშირს, გარდაქმნილიყო პროლეტარიატის მასიურ პოლიტიკურ პარტიაში. იგი უარყოფითად ეკიდებოდა გლეხობას, მისი აზრით, „რეაქციულ მასას“ და გამორიცხავდა მასთან მუშების კავშირს. ლასალს ახლო კავშირი ჰქონდა ბისმარკთან, რომელსაც სთავაზობდა მუშების მხარდაჭერას, სამაგიეროდ მათთვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას თხოვდა. იგი, როგორც შემდგომში გამოირკვა, ფარულ მიწერ-მოწერას აწარმოებდა ბისმარკთან, რაც მუშათა მოძრაობის მიმართ ღალატი იყო. ლასალის საქმიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მისი, როგორც მუშათა მოძრაობის მოღვაწის, სიცოცხლე უჩვეულოდ შეწყდა — იგი დუელში მოჰკლა რუმინელმა ოფიცერმა 1864 წ. აგვისტოში[1].

რევოლუციურ მოძრაობას, რომელსაც გაქანება ჰქონდა 1863-1865 წლებში, სათავეში ჩაუდგნენ ავგუსტ ბებელი (1840-1913) და ვილჰელმ ლიბკნეხტი (1826-1900). ისინი მჭიდრო კავშირში იყვნენ მარქსთან და ენგელსთან, რომლებიც მათ მარქსისტული პარტიის დაარსებაში ეხმარებოდნენ.

60-იანი წლების შუახანებში საგრძნობლად გაძლიერდა საგაფიცვო მოძრაობა. მუშებმა ისარგებლეს მრეწველობის დროებითი გამოცოცხლებით და დაიწყეს ბრძოლა შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის. მუშები ქმნიდნენ პროფესიულ კავშირებს და მიჰყვებოდნენ მარქსიზმის პოზიციაზე მდგარ

[1] ორთაბრძოლა სასიყვარულო ნიადაგზე გაიმართა.



ლიბკნეხტსა და ბებელს, რომლებიც გმობდნენ გერმანიის გაერთიანების ბისმარკისეულ გზას.

მაგრამ იმ პერიოდში სწორედ ბისმარკისა და მისი თანამზრახველების გაბედულმა მოქმედებამ დააგვირგვინა. გერმანელი ერის ერთ „ჭერქვეშ მოთავსება“.

## პრუსიის ომები გერმანიის „რკინითა და სისხლით“ გაერთიანებისათვის

პრუსიის ხელმძღვანელობით გერმანიის გაერთიანებას ენერგიულად მოჰკიდა ხელი ბისმარკმა, რომელიც თავისი მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. მის გეგმებს ძლიერი მოწინააღმდეგენი ჰყავდა ევროპაში, პირველ რიგში ავსტრია, რომელიც მზად იყო, იარაღი აღემართა პრუსიის დასათრგუნავად. არც საფრანგეთს აძლევდა ხელს რაინზე ძლიერი მეზობლის გამოჩენა და, ცდილობდა რა ესარგებლა გერმანიის სისუსტით, სურდა რაინის მთელი მარცხენა სანაპიროს ხელში ჩაგდება და თავისი გავლენის განმტკიცება სამხრეთ გერმანიაზე. ინგლისი და რუსეთი თავიდანვე იყვნენ წინააღმდეგნი გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა ხელყოფისა. ბისმარკის პირველი ნაბიჯი ითვალისწინებდა რუსეთის ნეიტრალიტეტის მოპოვებას ავსტრიასთან მომავალ ომში. მან კარგად ისარგებლა პოლონეთის 1862 წ. აჯანყების დროს ნაპოლეონ III-ის, ინგლისისა და ავსტრიის ანტირუსული პოზიციით და თავისი სამსახური შესთავაზა მეფის მთავრობას, კერძოდ, ნება დართო რუსეთის ჯარს პრუსიის ტერიტორიაზეც ედევნა პოლონელი პატრიოტები. ამ ნებართვით არ უსარგებლია ალექსანდრე II-ეს, მაგრამ გზები დაახლოებისა მაინც ჩაისახა. ბისმარკმა გადაწყვიტა, გაბედულად ემოქმედა. უპირველეს ყოვლისა, მან ჩაიფიქრა დანიისთვის წაერთმია ჰოლშტაინიცა და შლეზვიგიც (მისი ჩრდილო ნაწილის გარდა, სადაც დანიელები ცხოვრობდნენ). ორივე საჰერცოგოში მოქმედებდა იქაური კონსტიტუცია და დანიასთან ისინი დაკავშირებული იყვნენ პირადი უნიით. 1863 წ. ბოლოს დანიის ახალმა მეფემ ხრისტიან IX-მ შლეზვიგზე გაავრცელა დანიის კონსტიტუცია, რამაც ბისმარკს საბაბი მისცა, ჩარეულიყო კვლავ წარმოშობილ „შლეზვიგ-ჰოლშტაინის“ საკითხში. პრუსიამ ულტიმატუმი წაუყენა დანიას, — არ მოეხდინა შლეზვიგის ანექსია. ამ მოთხოვნას შეუერთდა ავსტრიაც (არ უნდოდა ჩამორჩენოდა პრუსიას). დანიამ, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა იმედი ჰქონდა, უარყო ულტიმატუმი. 1864 წ. 1 თებერვალს პრუსიის და ავსტრიის ჯარებმა დაიკავეს შლეზვიგი. დანია დამარცხდა. 1864 წ. 30 ოქტომბრის ვენის საზავო ხელშეკრულებით ორივე საჰერცოგო დროებით გადაეცა პრუსიას და ავსტრიას. გამართლდა ბისმარკის ვარაუდი: არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ გაუნძრევია ხელი დანიის დასაცავად. მაგრამ საჰერცოგოების ზიარ მფლობელობაში ყოფნა სრულებით არ „აწყობდა“ პრუსიას. იგი ჩრდილოეთის ზღვისაკენ მიილტვოდა და სურდა გაეყვანა არხი, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს. ბოლოს და ბოლოს მოკავშირეები შეთანხმდნენ შემდეგზე: ჰოლშტაინი გადავიდოდა ავსტრიელთა მმართველობის ქვეშ, ხოლო შლეზვიგი — პრუსიელებისა, თანაც ორივე საჰერცოგო ძველებურად დარჩებოდა ზიარ მფლობელობაში.

ბისმარკის შემდგომ ამოცანას ავსტრიის განადგურება და გერმანიაში მისი გავლენის მოსპობა შეადგენდა. ამისათვის მან საიდუმლო კავშირი დაამყარა იტალიასთან (1866 წ. გაზაფხული), დაპირდა მას ვენეციის ოლქს და დახმარებას ავსტრიელებთან ომში. საფრანგეთის ნეიტრალიტეტი რომ მოეპოვებინა, მან ნაპოლეონ III-ს აღუთქვა ბელგიის ნაწილი და სხვა მიწები რაინის

მარცხენა სანაპიროზე. ბეცი იმპერატორი იოლად წამოეგო ბისმარკის ანკესს. იგი ფიქრობდა, რომ ომი ორივე მოწინააღმდეგეს დაასუსტებდა, რაც შეაძლებინებდა მას თავისი პირობები ეკარნახებინა როგორც პრუსიის, ასევე ავსტრიისათვის.

1866 წ. გაზაფხულზე ბისმარკმა ავსტრიას გერმანიის კავშირის რეორგანიზაცია შეთავაზა, და მიიღო რა არადამაკმაყოფილებელი პასუხი, ივნისში ჯარები დაძრა ჰოლშტაინზე. იმავდროულად ბისმარკმა გერმანულ სახელმწიფოებს დაუგზავნა გერმანიის კავშირის რეფორმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირიდან ავსტრიის გაძევებას. საკავშირო სეიმი ავსტრიას მიემხრო. ივნისში პრუსიელები საქსონიაში, ჰანოვერსა და ჰესენ-კასელში შეიჭრნენ. ავსტრია-პრუსიის ომში სწრაფად გაიმარჯვა პრუსიამ. ახალი სისტემის შაშხანებით შეიარაღებული და კარგად გაწვრთნილი პრუსიის ჯარები გენერალ მოლტკეს საერთო სარდლობით შევიდა ჩეხეთში და 3 ივლისს, სოფელ სადოვასთან, გაანადგურა ავსტრიელები. გზა ვენაზე თავისუფალი იყო. იმავდროულად პრუსიელებმა დაამარცხეს პატარა გერმანული სახელმწიფოები და 15 ივლისს დაიკავეს მაინის ფრანკფურტი. ფრანც-იოსებს, რომელსაც სამხრეთიდან უტევდნენ იტალიელები, ისღა დარჩენოდა, რომ პრაღაში, 23 აგვისტოს, ხელი მოეწერა საზავო პირობებისათვის. ხელშეკრულების მიხედვით ავსტრია სამუდამოდ ემშვიდობებოდა გერმანიის კავშირს და თანხმდებოდა საჰერცოგოების პრუსიასთან შეერთებაზე.

გერმანიის კავშირის ნაცვლად, პრუსიის ჰეგემონობით, გაფორმდა ჩრდილოგერმანული კავშირი. იგი შედგებოდა 23 სახელმწიფოსაგან. ამ კავშირის კონსტიტუცია დაამტკიცა დამფუძნებელმა რაიხსტაგმა (1867 წ. დამდეგს). მან მთელი ძალაუფლება გადასცა მემკვიდრეობით „პრეზიდენტს“, პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ს. კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ მდინარე მაინის ჩრდილოეთით მდებარე მიწები. სამხრეთის ოთხმა გერმანულმა სახელმწიფომ — ბავარიამ, ვიურტემბერგმა, ბადენმა და ჰესენ-დარმშტადტმა დროებით შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, მაგრამ იძულებული გახდნენ, პრუსიასთან სამოკავშირეო ხელშეკრულებანი დაედოთ. პრუსიის ტერიტორია გადიდდა 1500 კვადრატული მილით, ხოლო მოსახლეობა — 4,5 მლნ. კაცით, რაც გამოწვეული იყო ჰანოვერის, ნასაუს, ჰესენ-კასელის, მაინის ფრანკფურტის, შლეზვიგისა და ჰოლშტაინის მიერთებით. იტალიამ მიიღო ვენეციის ოლქი. ამჯერადაც არ გამოუდვიათ თავი დიდ სახელმწიფოებს, — ინგლისს გლეხური პრუსია „აწყობდა“ საფრანგეთ-რუსეთის საზიანოდ, ხოლო ევროპის მმართველები პრუსიაში რევოლუციის ჟანდარმს ხედავდნენ. ნაპოლეონ III იმედს არ ჰკარგავდა დაპირებულ „კომპენსაციაზე“, ხოლო ალექსანდრე II-ს ბისმარკმა დახმარება აღუთქვა პარიზის ზავის (1856) გადასინჯვის შემთხვევაში. ბისმარკმა პრუსიული წესები განავრცო მთელს ჩრდილოგერმანულ კავშირზე. „საერთოდ აღარ არსებობს გერმანელი ხალხი. ჩვენი პოლიტიკა მდგომარეობს გერმანიის პრუსიაში შთანთქმაში და პირიქით, პრუსიისა — გერმანიაშიო“, — წერდა ბისმარკი 1865 წელს. ჩრდილოგერმანული კავშირის არმიის მთავარსარდალი იყო პრუსიის მეფე, იგი აცხადებდა ომს და დებდა ზავს, ნიშნავდა მოხელეებს, იწვევდა კავშირის საკანონმდებლო პალატებს, ფლობდა აბსოლუტური ვეტოს უფლებას. მის მოადგილედ ითვლებოდა მის მიერ დანიშნული საკავშირო კანცლერი, რომელიც მუდმივად თავმჯდომარეობდა ზედა პალატაში, ანუ საკავშირო საბჭოში, რომელსაც შეადგენდნენ კავშირში შემავალ სახელმწიფოთა დელეგატები, თანაც 17 ხმა 43-დან ეკუთვნოდა პრუსიას. რაიხსტაგს, ანუ ქვედა პალატას (შედგებოდა 297 დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩეოდნენ მამაკაცთა საყოველთაო ხმის მიცემით) ჰქონდა კანონების ვოტირებისა და ბიუჯეტის დამტკიცების უფლება. ცალკეულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც შევიდნენ კავშირში, შეინარჩუნეს თავიანთი მონარქიები, კონსტიტუცია, სამართალწარმოება და ბიუჯეტები, მაგრამ ისინი მოვალენი იყვნენ დამორჩილებოდნენ პრუსიის ჰეგემონობას და ეცნოთ ეროვნულ დროშად ჰოჰენცოლერნების ბაირაღი (შავ-თეთრი ალამი, რომელსაც ქვემოთ წითელი ზოლი მიუმატეს).



## კონსტიტუციური კონფლიქტის ლიკვიდაცია გერმანიის გაერთიანების დამთავრება

ზემოდან გერმანიის გაერთიანებამ აიძულა პრუსიის ლიბერალები მუხლი მოეყარათ ბისმარკის წინაშე და „შესულიყვნენ მის ამალაში“. საგარეო საქმეებში გამარჯვებებმა თავბრუ დაახვიეს გერმანელ ბიურგერებს, რომლებმაც 1866 წლის შემდეგ ღმერთივით იწამეს ბისმარკი.

1866 წ. შემოდგომაზე ბურჟუაზიული პროგრესისტების პარტია დანაწევრდა, მისი წევრების უმრავლესობამ ხმა მისცა მთავრობის რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობის მოხსნას იმ მინისტრებისაგან, რომელთაც ლანდტაგის თანხმობის გარეშე დახარჯეს სახელმწიფოს სახსრები კონსტიტუციური კონფლიქტის დროს. რაიხსტაგსა და პრუსიის ლანდტაგში ბურჟუების უმრავლესობამ ჩამოაყალიბა ნაციონალურ-ლიბერალური პარტია, რომელიც მხარს უჭერდა ბისმარკს.

გერმანიის პრუსიის ჰეგემონობით გაერთიანება გერმანელ და ევროპის სხვა ხალხებს დიდი უბედურებით ემუქრებოდა, მაგრამ, მიუხედავად გერმანიის რეაქციული გზით გაერთიანებისა, ჩრდილოგერმანული კავშირის შექმნა ობიექტურად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა გერმანიის ბურჟუაზიულ მონარქიაში გარდაქმნის გზაზე.

გერმანიის იმპერიის შექმნის უკანასკნელი დაბრკოლება დაძლეულ იქნა 1870 წ. საფრანგეთთან ძლევამოსილი ომის შედეგად, 1871 წ. 18 იანვარს ვერსალის სასახლეში (ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა) ჩრდილოგერმანულმა კავშირმა პრუსიის მეფე ვილჰელმ I საზეიმოდ გამოაცხადა გერმანელთა იმპერატორად. გერმანიის იმპერია, რომელშიც გაერთიანდნენ, აგრეთვე, სამხრეთის სახელმწიფოებიც, (ბადენი ჰესენ-დარმშტადტი, ვიურტემბერგი და ბავარია), დიდ აგრესიულ-იუნკრულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ევროპის ცენტრში ძლიერი მილიტარისტული გერმანიის სახელმწიფოს განმტკიცება მომავალი ომებისა და აგრესიის გარანტია იყო. ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მის გაერთიანებას პრუსიით სათავეში, შეიძინეს ახალი მოწინააღმდეგე გერმანიის იმპერიის სახით.

## ბიბლიოგრაფია


1. А. Бебель. Из моей жизни, М., 1963.
2. О. Бисмарк. Мысли и воспоминания. В 3 т. М., 1940-1941. Т. 1-3.
3. И. Галкин. Объединение Германии, М., 1951.
4. А. Дебидур. Дипломатическая история Европы: В 2 т. М., 1947. Т. 1-2.
5. Г. Павленко, Вильгельм Вейтлинг, М., 1985.
6. Революции 1848-1849 гг. (под редакцией Ф. Потемкина и А. Молокова): В 2 т., М., 1952, Т. 1-2.
7. Е. Степанова, Фридрих Энгельс, М., 1985.
8. Ф. Ротштейн, Две прусские воины. М.—Л., 1945.
9. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 3, 4, 5, 6.
10. Новая история стран Европы и Америки, Первый период (под редакцией А. Адо), М., 1986.

# ჰაბსბურგთა მრავალეროვანი იმპერია
## 1815-1867 წლებში

### ავსტრიის იმპერია 1815-1847 წლებში

XIX ს. პირველ ნახევარში ჰაბსბურგთა იმპერიის ავსტრიული ნაწილი კვლავ აგრარული რჩებოდა: სოფლის მეურნეობაში დაკავებული იყო მოსახლეობის 70%, ხოლო 50-იანი წლებისათვის მისი ნაწილი მხოლოდ 3%-ით შემცირდა. ჩეხეთსა და მორავიაში მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა ჭარბობდა, იქ მოსავლის გაღიდებისათვის ინტენსიურ მეთოდებზე საუკუნის შუახანებიდან გადავიდნენ. წარმოების გარდაქმნისა და ინტენსიფიკაციის ტენდენციები უფრო ადრე ავსტრიის გერმანულ პროვინციებში ჩაისახა. იქ გლეხური მეურნეობის სიჭარბე, გლეხთა პირადი დამოკიდებულების გაუქმება და მემამულური მიწათმფლობელობის სისუსტე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ სოფლად კაპიტალისტური ევოლუციისათვის. ტიროლის გლეხობა პირადად თავისუფალი იყო, მას წარმომადგენლებიც კი ჰყავდა ადგილობრივ ლანდტაგში. ავსტრიელ გლეხს შეეძლო თავისუფლად გაეყიდა, დაეგირავებია თავისი ნაკვეთი, აერჩია პროფესია და მოკიდებოდა ოჯახს. 30-40-იან წლებში ფართოდ გავრცელდა ვალდებულებათა გამოსყიდვა, ბეგარის შეცვლა ფულადი გადასახადით, გლეხთა დიფერენციაციის შედეგად წარმოიშვა მდიდარი გლეხების ფენა, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებდა თავის მეურნეობაში.

XIX ს. დამლევს ავსტრიის იმპერიაში ჯერ კიდევ არ არსებობდა სამრეწველო გადატრიალებისთვის აუცილებელი ეკონომიკური სოციალური და ტექნიკური წინამძღვრები (1816 წ. პირველი ინგლისური ორთქლის მანქანა ბრნოში დაამონტაჟეს.). ორთქლის ძრავების გამოყენება მრეწველობასა და ტრანსპორტში XIX ს. 30-40-იანი წლებიდან დაიწყო.

გეოგრაფიულად დასავლეთ ევროპასთან სიახლოვის წყალობით, ჩეხური ოლქები და ქვემო ავსტრია ყველაზე ადრე ჩაებნენ მსოფლიო ეკონომიკასა და ვაჭრობაში. სახელმწიფო და მემამულური მანუფაქტურის გვერდით უკვე სახეზეა ბურჟუაზიული ფენიდან გამოსული კერძო პირების ფაბრიკები. იმპერიაში პირველი ფაბრიკა ჩეხეთში ააგეს. საფეიქრო მრეწველობის კვალდაკვალ სამანქანო წარმოებაზე გადავიდა მეტალურგია და მინის დამზადება.

სამრეწველო რევოლუციის პირველი ეტაპი ორი არსებითი თავისებურებით ხასიათდება: 1. მისი განვითარება უთანაბროდ მიმდინარეობდა იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში (XIX ს. შუახანებში ჩეხეთში აწარმოებდნენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 34%-ს, ლომბარდია-ვენეციაში — 27%-ს, ქვემო ავსტრიაში — 15%-ს, გალიციაში — 7,5%-ს) და 2. მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა საფეიქრო წარმოებას, რომელიც სამრეწველო პროდუქციის ნახევარს იძლეოდა. ავსტრიაში პირველი რკინიგზა 1828 წ. გაიყვანეს, იგი, უმეტესწილად, ვენიდან ჩეხეთისაკენ გაჰყავდათ.

XIX ს. შუახანებისათვის რკინიგზების საერთო სიგრძე 1357 კმ-ს აღწევდა.



ამრიგად, მიუხედავად ფეოდალურ-აბსოლუტისტური რეჟიმის არსებობისა, იმპერიაში გამოჩნდნენ მისი დამანგრეველი ახალი პროგრესული ძალები, რომელთათვის მიუღებელი იყო დრომოჭმული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ემსახურებოდა მსხვილი მიწათმფლობელების, ხაზინისა და ბანკების ინტერესებს.

რაც შეეხება უნგრეთს, მისი ეკონომიკა უფრო რთულსა და არახელსაყრელ პირობებში ვითარდებოდა. იქ ფეოდალიზმისა და წოდებრივი ინსტიტუტების ბატონობა შედარებით მყარი იყო და სწორედ თავადაზნაურთა ეკონომიკური ძლიერება და პოლიტიკური გავლენა ამუხრუჭებდნენ ქვეყნის განვითარებას. გარდა ამისა, ავსტრია ზღუდავდა უნგრეთის სამეფოს საგარეო ვაჭრობას და მადიართა მხარეს თავისი პროდუქციის გასაღების ბაზრად იყენებდა (ავსტრიელ მრეწველებს უნგრეთი ნედლეულის მიმწოდებლად სურდათ და ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს იქ მრეწველობის განვითარებას).

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, XIX ს. 30-40-ან წლებში უნგრეთში მაინც შეიმჩნევა ეკონომიკური აღმავლობა, მოსახლეობის ზრდის პროცესი (1846 წ. უნგრეთში 19,5 მლნ კაცი ცხოვრობდა), ფაბრიკა-ქარხნების ორთქლის ძრავებით აღჭურვა, რკინიგზების მშენებლობა, ტექნიკური აზრისა და მეცნიერებისაკენ საზოგადოების ლტოლვა. პროგრესი შეეხო უნგრეთის სოფლის მეურნეობასაც: ფართოვდებოდა სახნავი მიწების ფონდი, აშრობდნენ ჭაობებს, იყენებდნენ აგროტექნიკას. იმის გამო, რომ ბანკები ვერ აფინანსებდნენ სოფლის მეურნეობას, მასში ნაკლებად გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა. უნგრელი მემამულეები სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ გლეხებს, რომლებსაც თავიანთ ნაკვეთებზეც არ ჰქონდათ საკუთრების უფლება.

### ავსტრიის იმპერიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა

ავსტრიის საერთაშორისო მდგომარეობა არასოდეს ყოფილა ისეთი მყარი, როგორც 1815-1847 წლებში: მისი გავლენა იმპერიის საზღვრებს გასცილდა. ევრდნობოდა რა ევროპის რეაქციული მონარქიების მხარდაჭერას, ჰაბსბურგები ახშობდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობებს მთელს კონტინენტზე. ავსტრია გერმანიის კავშირის ყველაზე გავლენიანი წევრი იყო, ხოლო მისი წარმომადგენელი — საკავშირო სეიმის მუდმივი თავჯდომარე. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევდა იმპერატორს, წინ აღდგომოდა ბურჟუაზიული წესების დამყარებას გერმანიაში და მისი გაერთიანების იდეებს. იმპერიის ყოვლისშემძლე კანცლერი, თავადი მეტერნიხი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული იტალიის რევოლუციების (1820-1821 წ.წ. და 1831 წ.) ჩახშობა, ცენზურისა და პოლიციის მეშვეობით ავსტრიაში არ „უშვებდა“ ლესინგს, გოეთეს, შილერს, შექსპირს. ამის გამო თავისუფლად მოაზროვნე ავსტრიელები თავიანთ თხზულებებს საზღვარგარეთ აქვეყნებდნენ.

იმპერატორი ფრანც I და მეტერნიხი, რომელთაც გაჭირვებით გადაიტანეს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქა, დიდ შიშს განიცდიდნენ სიახლეებისა და რევოლუციური მოძრაობების მიმართ. მათთვის ისეთი ცნებები, როგორიც იყო „კონსტიტუცია“ და „ხალხი“, რევოლუციის მნიშვნელობას იძენდნენ. 1830 წ. საფრანგეთის იულისის ამბებმა და პოლონეთის აჯანყებამ ძლიერი დარტყმა მიაყენეს რეაქციას. ცნობებს მათ შესახებ ენთუზიაზმით შეხვდნენ ლიბერალური წრეები, რომლებმაც დღის წესრიგში დააყენეს სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გატარების საკითხები.

უკმაყოფილების პირველი ნიშნები ყველაზე უფრო ღატაკმა ფენამ, — ფორმირებაში მყოფმა პროლეტარიატმა გამოამჟღავნა. მართალია, მუშათა გამოსვლები სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ მათ ისე დააშინეს მთავრობა, რომ აიძულეს იგი შემოეღო შრომითი კანონმდებლობა, — 1842 წ. მიღებული კანონით იკრძალებოდა მოზარდის ღამის ცვლაში მუშაობა, იზღუდებოდა ბავშვის შრომა და მისი სამუშაო დღე.

## ეროვნული საკითხი

სოციალურ კონფლიქტებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული საკითხი, რომელიც XIX ს. 30-40-ან წლებში წინა პლანზე დადგა: სწორედ იმ წლებში დაიწყო ავსტრიის იმპერიის მრავალეროვანი ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი. მოძრაობას ბიძგი მისცა საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ და პოლონეთის აჯანყებამ. 1831 წ. პოლონეთის მეზობელ უნგრულ ოლქებში იფეთქა სლოვაკების, უკრაინელებისა და ვალახი გლეხების ანტიფეოდალურმა ამბოხებამ, რომელმაც გავრცელებული ეპიდემიის გამო „ჭოლერის ჯანყის“ სახელწოდება მიიღო. იმავდროულად უნგრეთის კომიტატებში გაიშალა აჯანყებული პოლონელებისადმი სოლიდარობის მოძრაობა. ახალმა ვითარებამ აიძულა მთავრობა, „სრულეყო“ ეროვნული ჩაგვრის სისტემა („დაჰყავი და იბატონე“) და იგი უფრო მოქნილი გახადა. ეს სისტემა ითვალისწინებდა ეროვნულ მოძრაობებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას და მათ ცალ-ცალკე ჩახშობას. 40-იან წლებში ვენის სამეფო კარი მცირეოდენ დათმობაზე წავიდა ხორვატების, ჩეხების, სერბებისა და სლოვაკების მიმართ: ნება დართო გამოეცათ ლიბერალური ეროვნული გაზეთები და გაეშალათ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ამ დათმობაზე რომ მიღიოდა, მეტერნიხს ერთი მიზანი ამოძრავებდა: უნგრელთა წინააღმდეგ მიემართა სლავი ქვეშევრდომების ძალა.

ავსტრიის ლიბერალური ბურჟუაზია, რომელსაც პროგრესული პოზიცია ეჭირა სოციალური და პოლიტიკური რეფორმების საკითხებში, მტრულად ეკიდებოდა ეროვნულ მოძრაობას. გაბატონებული გერმანული ელემენტის ნაციონალიზმი ორნაირ ხასიათს ატარებდა, — იგი ერთმანეთს უსადაგებდა ზოგადიმპერიულ პატრიოტიზმს და ავსტრო-გერმანულ ნაციონალიზმს. გერმანიის ეროვნული საკითხის გადაუჭრელობა და ის ვითარება, რომ ავსტრია იდგა გერმანიის კავშირის სათავეში, სერიოზულად აბრკოლებდა ავსტრიელი გერმანელების ეროვნული თვითშეგნების ფორმირებას.

XIX ს. შუახანებისათვის იმპერიის მოსახლეობა ასე გამოიყურებოდა: გერმანელები — 7.917 ათასი, მადიარები (უნგრელები) — 5,4 მლნ., იტალიელები — 5,04 მლნ., რუმინელები — 2,6 მლნ., ჩეხები — 4,05 მლნ., სლოვაკები — 1,722 ათასი, პოლონელები — 2,183 ათასი, უკრაინელები — 2,622 ათასი, ხორვატები და სერბები — 2.619 ათასი, სლოვენები — 1.08 მლნ. სულ იმპერიაში ცხოვრობდა 15 მლნ სლავი, რაც სლავურ პრობლემას დიდ სიმძაფრეს ანიჭებდა. მთავრობას აშინებდა პანსლავიზმი (სლავთა გამოღვიძება), თუმცა რუსეთი არც ფიქრობდა სლავთა გაერთიანებას და ჰაბსბურგთა იმპერიის დაშლას სლავი მოსახლეობის მოძრაობისთვის მხარდაჭერის გზით. ამიტომ მეტერნიხი იმპერიის დანგრევის საშიშროებას უფრო უნგრელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხედავდა.



## განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა უნგრეთში

ამ მოძრაობას ძალას მატებდა როგორც უნგრელ ხალხის საუკუნოვანი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ასევე მოძრაობის ჰეგემონის, მადიარი თავადაზნაურობის მაღალი პოლიტიკური ორგანიზებულობაც. ფეოდალური ფორმაციის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესში ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ, საშუალო ბურჟუაზიისა და პატრიოტული თავადაზნაურობის წარმომადგენლები. მათ შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უნგრელი ხალხის სახელოვანი შვილი, ვექილი ლაიოშ კოშუტი (1802-1894). იგი ხელმძღვანელობდა რადიკალურ ოპოზიციას, გამოსცემდა გაზეთ „პეშტი ხირლაპს“, რომლის ფურცლებზე პროპაგანდას უწევდა ბატონყმობის გაუქმების, ფეოდალური ვალდებულებების მოსპობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეებს. კოშუტი, იყო რა დიდი პატრიოტი, მოითხოვდა სამამულო მრეწველობის განვითარებას და დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავებას, რომელშიც მთავარი ადგილი ხალხის უზენაესობის პრინციპებს დაეთმობოდა.

რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას ანტიაბსოლუტისტურსა და ანტიფეოდალურ მოძრაობაში მეთაურობდნენ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი მიხაი ტანჩიჩი და პოეტი-რევოლუციონერი შანდორ პეტეფი (1823-1849). ისინი აიდეალებდნენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას და განიცდიდნენ უტოპიური კომუნისტების გავლენას.

XIX ს. 40-იან წლებში უნგრელი ხალხი იდეურად მზად იყო ჰაბსბურგთა უღლის გადასაგდებად და სამშობლოს განთავისუფლებისთვის. იგი მხოლოდ ხელსაყრელ დროსა და ნიშანს ელოდა თავისი მიზნების განსახორციელებლად.

## 1848-1849 წლების რევოლუცია ავსტრიის მრავალეროვან იმპერიაში

### მარტის რევოლუცია ავსტრიაში

თუ გერმანიის რევოლუცია მიზნად ისახავდა ეროვნულ გაერთიანებას, ავსტრიის იმპერიაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია შეუძლებელი იყო ჰაბსბურგების ფეოდალურ-თვითმპყრობელური მონარქიის ლიკვიდაციის და მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი ბურჟუაზიულ-ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების გარეშე. ამასთან განუყრელად იყო დაკავშირებული ფეოდალური წესების, წოდებრივი პრივილეგიების და ფეოდალიზმის მოსპობა.

ბურჟუაზიის სისუსტისა და სახალხო მასებისადმი მისი შიშის გამო ოპოზიციური მიმდინარეობები, უმრავლეს შემთხვევაში, ამ მოთხოვნებს მთელი სისრულით არ აყენებდნენ, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის მსვლელობა, საბოლოო ჯამში, მიმართული იყო ჰაბსბურგთა ფეოდალური აბსოლუტიზმისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

1847 წლის დამლევს იმპერიის სხვადასხვა მხარეში მოშწიფდა რევოლუციური სიტუაცია. ცნობამ, საფრანგეთის თებერვლის რევოლუციის შესახებ, ბიძგი მისცა მოახლოებულ ამბებს. მარტის პირველ დღეებში შეინიშნებოდა მღელვარების ნიშნები, რაზეც დიდი ზემოქმედება მოახდინა რევოლუციურმა აფეთქებებმა პალერმოსა და ნეაპოლში.

11 მარტს, პრაღაში, სვიატოვაცლავის აბანოთა შენობაში შეკრებილმა მოქალაქეებმა მიიღეს პეტიცია, რომელშიც მოითხოვდნენ სამოქალაქო თავი-

სუფლებას, ფეოდალურ ვალდებულებათა გაუქმებას, გერმანულთან ჩეხური ენის გათანაბრებას, საერთო საკანონმდებლო სეიმის მოწვევას ჩეხეთის, მორავიისა და ავსტრიული სილეზიისათვის. კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც პეტიცია უხდა გადაეცა იმპერატორისათვის.

13 მარტს, ქვემოავსტრიის სეიმის მოწვევის დღეს, ვენაში რევოლუციამ იფეთქა. აჯანყებულებმა მოითხოვეს კონსტიტუციის მიღება და საძულველი მეტერნიხის გადაყენება. მმართველი წრეები დათმობაზე წავიდნენ: გაუქმდა ცენზურა, ბიურგერებს უფლება მიეცათ შეიარაღებული ეროვნული გვარდიის შექმნისა, მეტერნიხი ინგლისს გაიქცა. იმპერატორი დაპირდა კონსტიტუციის შემუშავებას და მთავრობაში შეიყვანა ლიბერალები, რომლებიც მზად იყვნენ, ზოგიერთ დათმობებზე წასულიყვნენ ბურჟუაზიის წინაშე.

## მარტის რევოლუცია უნგრეთში. აჯანყებები მილანოსა და ვენეციაში

განსაკუთრებით ძლიერი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნგრეთში. 15 მარტს ქუჩებში გამოსულმა მუშებმა, ხელოსნებმა, პეშტის დემოკრატიულმა ინტელიგენციამ პეტეფის ხელმძღვანელობით, ხელთ იგდეს სტამბა და დაბეჭდეს მანამდე შემუშავებული პოლიტიკური პროგრამა (12 მოთხოვნა), რომელიც ითვალისწინებდა ცენზურის გაუქმებას, სეიმის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობის შექმნას, ბეგარის მოსპობას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას და ა. შ. პოლიტიკური პატიმრები, მათ შორის რევოლუციონერი ჟურნალისტი მიხაი ტანჩიჩი, ხალხმა გაათავისუფლა. ბრატისლავაში შეკრებილი უნგრეთის სეიმი დააფრთხო რევოლუციის გაქანებამ. მან სასწრაფოდ მიიღო რამდენიმე კანონი უნგრეთის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ. ესენია: სამეფოს დამოუკიდებლობა საფინანსო და სამხედრო საქმეებში, თავადაზნაურთა საგადასახადო პრივილეგიების მოსპობა, ბატონყმობის ლიკვიდაცია, გადასახადის გაუქმება გამოსყიდვაზე, პარლამენტური მმართველობის შემოღება და ა. შ. ამასთან, ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, წესდებოდა მაღალი ქონებრივი ცენზი, რომელიც ხმის უფლებას ართმევდა გლეხობის უმრავლესობას, ყველა მუშას, ხელოსანს და იმას, ვინც არ ფლობდა უნგრულ ენას.

იმპერატორის თანხმობით უნგრეთში შეიქმნა დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლიბერალი მემამულე გრაფი ბატიანი, — რევოლუციის გაღრმავების და ჰაბსბურგებთან კავშირის გაწყვეტის მოწინააღმდეგე. ბატიანის მთავრობა მთლიანად ეყრდნობოდა გაბურჟუებულ მემამულეებს, რომლებიც ბურჟუაზიის სისუსტის გამო ჰეგემონის როლს თამაშობდნენ ბურჟუაზიულ რევოლუციაში, მაგრამ მის მთავარ მამოძრავებელ ძალას მუშები, გლეხები, ხელოსნები და დემოკრატიული ინტელიგენცია წარმოადგენდნენ.

სეიმის კანონები არ აკმაყოფილებდნენ ამ ძალის მოთხოვნებს და ეს ფაქტორი ბიძგს აძლევდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობის გაძლიერებას. ამ მიმართულების ბელადები, პეტეფი და ტანჩიჩი, მხურვალედ ეწეოდნენ ფრანგი იაკობინელების იდეების პროპაგანდას, მოითხოვდნენ მემამულეთა მიერ მიტაცებული სათემო მიწების გლეხობისათვის გადაცემას.

18 მარტს აჯანყებამ იფეთქა მილანოში, იქ ხუთი დღე-ღამის მანძილზე არ წყდებოდა საბარიკადო ბრძოლები მოსახლეობასა და ფელდმარშალ რადეცკის ავსტრიულ ჯარებს შორის. ბოლოს და ბოლოს იტალიელმა ხალხმა გაიმარჯვა და გადაიგდო საძულველი ავსტრიული უღელი. ამ წარმატების შემდეგ ლომბარდია და ვენეცია ჰაბსბურგთა იმპერიას გამოეყვნენ.



## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სლავურ ოლქებში

ჩეხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრი პრაღა იყო. სვიატოვაცლავის კომიტეტმა პეტიცია გაუგზავნა იმპერატორს ჩეხეთის, მორავიისა და სილეზიის ერთმმართველობაში გაერთიანების, მისთვის ავტონომიის მინიჭებისა და ეროვნულ წარმომადგენლობითი სეიმის შექმნის შესახებ. ჩეხეთში ავსტრიელი ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ, რეფორმების შემუშავებაში ჩაებათ სვიატოვაცლავის კომიტეტის წევრებიც და დათანხმდნენ მის ეროვნულ კომიტეტში გარდაქმნას. ამ კომიტეტში შევიდნენ ჩეხეთის ეროვნული აღორძინების მოღვაწენი, მათ შორის ცნობილი ლიბერალი ისტორიკოსი, პროფესორი პალაცკი. მუშები მთელ რიგ მოთხოვნებს უყენებდნენ მრეწველებს, ხოლო გლეხები უარს ამბობდნენ ვალდებულებების ძირულებაზე. პოლიტიკური ვითარება დაიძაბა, სახალხო მასების მოძრაობის ზრდამ ერთმანეთს დაუპირისპირა მემამულურ-ბურჟუაზიული ლიბერალები, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიისა და ჰაბსბურგთა იმპერიის ჩარჩოებში ჩეხეთის ავტონომიის მომხრენი იყვნენ, და რადიკალური დემოკრატები.

უნგრეთის სამეფოში შემავალ სლავურ ოლქებში — ხორვატიაში, სლავონიაში, ვოევოდინაში, იმიერკარპატების უკრაინასა და ტრანსილვანიაში (მოლდავები და ვალახები) — კულმინაციურ წერტილს მიაღწია ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რამაც სერიოზულად დააშინა მცირეოდენი დათმობების მოსურნე ადგილობრივი ბურჟუა და მემამულე.

25 მარტს ზაგრებში (ხორვატია) მოწვეულმა სახალხო კრებამ (საბორმა) თხოვნით მიმართა იმპერატორს ხორვატიის ყველა ნაწილის გაერთიანების, დამოუკიდებელი მთავრობის შექმნისა და განსაკუთრებული ხორვატიული არმიის ჩამოყალიბების შესახებ. მთავარსარდლის (ბანის) პოსტზე საბორმა აღგილობრივი აზნაური, ავსტრიის არმიის პოლკოვნიკი ელაჩიჩი დანიშნა. 1848 წლის ივნისში საბორმა პროტესტი განაცხადა უნგრეთის ბატიანის მთავრობის დიდმპყრობელური პოლიტიკის გამო და, მიიღო რა ფერდინანდ I-ის თანხმობა, გამოაცხადა ხორვატულ-სლოვენურ-დალმაციური სამეფოს შექმნაზე ჰაბსბურგთა უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ. 1848 წლის ზაფხულში აღგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს უნგრელებსა და სერბებს შორის, რაც ორივე მხარისა და რევოლუციისათვის საზიანო იყო, არაა გასაკვირი, რომ ჰაბსბურგები უნგრეთის რევოლუციას მადიარების უღელქვეშ მყოფი ხალხების მიმხრობით ებრძოდნენ. ფაქტიურად, ხორვატია და ვოევოდინა უნგრეთს ჩამოშორდნენ.

ასეთივე ხასიათი მიიღო მოძრაობამ სლოვაკებით დასახლებულ უნგრეთის საძეფოს ჩრდილოეთ რაიონებში. მარტის დამლევს იქ შეიმუშავეს და ბუდაპეშტში გაგზავნეს პეტიცია მოთხოვნით — გაეთანაბრებინათ სლოვაკური ეა უნგრულთან და უნგრეთის სეიმში დაეშვათ სლოვაკი ხალხის წარმომადგენლები. სლოვაკებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს ჩეხებთან და მალე პრაღას ეწვია სლოვაკთა ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის ბელადი ლუდევიტ შტური. უნგრეთის მთავრობის უარმა, — ხელი აეღო სლოვაკთა ეროვნულ ჩაგვრაზე, — არასწორ გზაზე დააყენა შტური: უნგრეთის წინააღმდეგ ის ჰაბსბურგთა მთავრობას შეუთანხმდა.

იმიერ-კარპატების უკრაინაც გამოეხმაურა ვენისა და ბუდაპეშტის ამბებს, მაგრამ აქაც იჩინა თავი კლასობრივმა და ეროვნულმა წინააღმდეგობებმა უკრაინელ მოსახლეობასა და უნგრელ მემამულეებს შორის. უნგრეთის რევოლუციის მოღვაწენი უარს ამბობდნენ უფლებებში გაეთანაბრებინათ ხალხები, რითაც ჰაბსბურგებს რევოლუციის წინააღმდეგ მოქმედებას უადვილებდნენ. გალიციაში, კრაკოვსა და ლვოვში ადგილი ჰქონდა ანტიუნგრულ გა-

მოსვლებს. იქ შეიქმნა პოლონური საზოგადოებრივი ორგანიზაციები — „ეროვნული კომიტეტი“ და „სახალხო რადა“.

26 აპრილს, პროვოკაციის შედეგად, კრაკოვში იფეთქა აჯანყებამ, მაგრამ იგი სასტიკად ჩაახშეს.

## რევოლუციურ-დემოკრატიული გამოსვლები ვენაში (აპრილი-მაისი)

დათმობები, რომლებზეც წავიდა იმპერატორი, მხოლოდ ლიბერალურ ბურჟუაზიას აკმაყოფილებდა. მუშებისა და ხელოსნებისათვის მარტის რევოლუციას არაფერი მოუტანია, მითუმეტეს კონსტიტუციის პროექტს, რომელიც ამკარად ანტიდემოკრატიულ ხასიათს ატარებდა და ითვალისწინებდა იმპერატორის აბსოლუტურ ვეტოს, ორპალატიან სისტემას და მუშების საარჩევნო უფლებას. იმპერატორი ცდილობდა, ბოლო მოეღო რევოლუციისათვის. მან გამოსცა ბრძანება ეროვნული გვარდიის ცკ დაშლის შესახებ, მაგრამ 15 მაისს მთელი ვენა საბრძოლველად აღდგა. მთავრობამ უკან წაიღო ბრძანება და გადაწყვიტა კონსტიტუციის პროექტის გადასინჯვა. სასახლეში მომწიფდა აზრი დამხმარე ძალის შოვნაზე. თვალი მიაპყრეს კათოლიკურსა და ჩაძორრენილ ტიროლს. იმპერატორი მალულად გავიდა ვენიდან და თავი ინსბრუკს შეაფარა. ამ აქტმა აჯანყება გამოიწვია: 26 მაისს ვენა ბარიკადებით დაიფარა, შეიქმნა ბურჟუაზიული უშიშროების კომიტეტი. აჯანყებამ გაიმარჯვა, მუშებმა მიიღეს საარჩევნო უფლება.

## გლეხთა მოძრაობა. მდგომარეობა გალიციაში

რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა სოფელზე; გლეხები უარს ამბობდნენ არათუ ფეოდალურ ვალდებულებებზე, არამედ იარაღით ხელში ებრძოდნენ მემამულეებს. სლოვაკიაში ხორვატიასა და ვოევოდინაში გლეხები თვითნებურად ჩეხდნენ მემამულეთა ტყეებს (ხშირად მათ მოურავებსაც ხოცავდნენ). განსაკუთრებით ძლიერი იყო გლეხთა მღელვარებები გალიციაში. ავსტრიის მთავრობა იძულებული გახდა გამოექვეყნებინა ბრძანებულება ფეოდალური ვალდებულებების გამოსყიდვისა და ბეგარის გაუქმებაზე. უკრაინელი გლეხების ბრძოლა საფრთხეს უქადდა პოლონელ მემამულეებს, რომელთა წინააღმდეგ შეძლებული უკრაინელი გლეხობაც გამოდიოდა.

მაისში, ლვოვში, პოლონური „სახალხო რადას“ საპირისპიროდ დაარსდა უკრაინული „მთავარი რადა“, მაგრამ ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ორივე რადა მტრულად მოეკიდა ღარიბი გლეხობის მოთხოვნებს, და მაინც, მემამულეების მიერ ეროვნული შუღლის თესვის მიუხედავად, უკრაინელი და პოლონელი გლეხები ხელიხელჩაკიდებულნი, საერთო ძალით გამოდიოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

## ვითარება ჩეხეთში. „ავსტროჩეხები“ და ჩეხი დემოკრატები

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერატორის მთავრობა კარგად ითვალებდა ჩეხებსა და გერმანელებს შორის არსებულ შუღლს. 1848 წლის ზაფხულში ვითარება დაიძაბა. იგი გამოიწვია ფრანკფურტის პარლამენტის გადაწყვეტილებამ ჩეხეთისა და მორავიის მიწების გერმანიასთან ძალით შეერთების შესახებ. სახალხო მოძრაობის გაქანებითა და გერმანული აგრესიული ნაციონალიზმით დაშინებული ჩეხი ბურჟუაზიული ნაციონალისტები მზად იყვნენ შეთანხმებოდნენ ავსტრიის მთავრობას საკუთარი ხალხისა და გერმანიის რევოლუციის საზიანოდ. ხედავდნენ რა გერმანელი ლიბერალების ნაციონალურ პოლიტიკაში სლავების დამონების სურვილებს, ჩეხი ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები პალაცკი და სხვები, — აშკარად გამოდიოდნენ ჰაბსბურგთა მონარქიის დასაცავად და ეხმარებოდნენ მას ვენისა და ბუდაპეშტის აჯანყებულ მასებთან ბრძოლაში. ამ პოზიციისათვის პალაცკის და მის მომხრეებს „ავსტროჩეხები“ შეარქვეს. მათ წინააღმდეგ გამოდიოდნენ რადიკალ-დემოკრატები, რომლებიც ეხმარებოდნენ როგორც გერმანელ, ასევე უნგრელ რევოლუციონერებს. იღვწოდნენ რა ეროვნული შუღლის ლიკვიდაციისთვის, ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ერთიანი ფრონტი ავსტრიის ფეოდალურ-მემამულური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. 1848 წლის 2 ივნისს პრაღაში გაიხსნა სლავთა კონგრესი მიზნით: გერმანული ნაციონალიზმისთვის დაეპირისპირებინათ სლავთა სოლიდარობის იდეა. კონგრესს ესწრებოდა 340 დელეგატი, რომლებიც სამ: ჩეხურ, პოლონურ-რუმინულ და სამხრეთსლავურ სექციებად დაიყვნენ. სტუმრის სახით იქ ჩავიდა რუსი ემიგრანტი ბაკუნინი. ჩემმა დემოკრატებმა ფრიჩმა, სლადკოვსკიმ და სხვებმა კონგრესზე ჩამოაყალიბეს ჯგუფი, რომელმაც სოლიდარობა გამოუცხადა გერმანიის და უნგრეთის დემოკრატიულ მოძრაობას: კონგრესის მოღვაწეობით დაშინებულმა ავსტრიის მთავრობამ ჯარები დააყენა პრაღასთან და მათ გაგერმანულებული ჩეხი არისტოკრატი ვინდიშგრეცი უსარდლა, რომლისთვის „ადამიანი ბარონით იწყებოდა“, — ე. ი. სხვას ადამიანად არ ცნობდა. ხალხმა მიიღო გამოწვევა. დაიწყო სისხლისმღვრელი შეტაკებები. სლავთა კონგრესმა შეწყვიტა მოღვაწეობა, მისი ლიბერალური ხელმძღვანელობა დამორჩილდა ფელდმარშალს და განზე გადგა. პრაღის 12-17 ივნისის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა, რამეთუ იგი კულმინაცია იყო ჩეხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მან საბოლოოდ გათიშა ლიბერალები და რევოლუციურ-დემოკრატები (პირველნი გადაბარგდნენ მთავრობის ბანაკში და დახმარება აღმოუჩინეს იმპერიას რევოლუციასთან ბრძოლაში). პრაღის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ავსტრიის მთავრობას ხელ-ფეხი გაეხსნა იტალიაში შეტევისათვის. 25 ივლისს რადეცკიმ კუსტოცასთან დაამარცხა იტალიელთა ჯარი და სასურველი ზავი გააფორმა სარდინიის სამეფოსთან, ამან კი, თავის მხრივ, საშუალება მისცა ავსტრიის მხედრიონს, გასწორებოდა რევოლუციურ ვენას: 1848 წლის 23 აგვისტოს ავსტრიის ბურჟუაზიამ, გამოიყენა რა ეროვნული გვარდია, სასტიკად ჩაახშო მუშათა მღელვარება.

## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნგრეთში

ბატიანის მთავრობას არაფერი გაუკეთებია გლეხთა სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განთავისუფლდნენ ბატონყმობის უღლისაგან, მათ არ მიუღიათ მთავარი — მიწა. სახალხო მასების უკმაყოფილების ზრდას აძლიერებდა შანდორ პეტეფის გამოსვლები, რომლებშიც იგი მოუწოდებდა ბატონებისთვის სულ „სხვა ჰალსტუხი“ წაეჭირათ. მთავრობამ არც ეროვნული საკითხი გადაჭრა; ამით ისარგებლა ავსტრიის ხელისუფლებამ და ფარულად დაიწყო სერბებისა და ხორვატებისგან ჯარების შედგენა. აგვისტოში იმპერატორის კარი ერთი განზრახვით დაბრუნდა ვენაში, — რევოლუცია ჩაეხშო უნგრეთში. მან გამოსცა რესკრიპტი, რომელიც გაუქმებულად აცხადებდა ბატიანის მთავრობის ყველა კანონს. ხორვატ-სერბთა ჯარი ელაჩიჩის სარდლობით ბუდაპეშტისკენ დაიძრა. უნგრეთში კოშუტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თავდაცვის კომიტეტი, შეიქმნა სახალხო ლაშქარი — ჰონვედი, გამაგრეს დედაქალაქის მისადგომები. უნგრეთში განლაგებული ჯარის სარდ-

გამოეცხადებინა საალყო მდგომარეობა. იგი ბუდაპეშტში შესვლისას მოჰკლეს. მაშინ იმპერატორმა გადაწყვიტა ჯარი გაეგზავნე ვენიდან, მაგრამ 6 ოქტომბერს ელაჩიჩის დასახმარებლად გასაგზავნი არმია ვენის სტუდენტების გამოსვლამ შეაყოვნა. ვენის აჯანყების ჩახშობად დაიძრა ელაჩიჩი, რომელიც მანამდე უნგრელებმა დაამარცხეს. 1 ნოემბერს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ვენა. ბრძოლებში აჯანყებულებმა დაკარგეს 5000 კაცი, მათ შორის იყო ფრანკფურტის პარლამენტის დეპუტატი ბლიუმი. იმპერატორმა დაშალა ჯერ კიდევ ივნისში შექმნილი ეროვნული კრება (რაიხსტაგი), ხოლო სამინისტროს სათავეში ჩაუყენა მეტერნიხის სიძე — შვარცენბერგი. ფერდინანდ I გადადგა 18 წლის ძმისწულის — ფრანც-იოზეფის სასარგებლოდ. ავსტრიაში აღდგა კონტრრევოლუციური რეჟიმი.

1849 წლის იანვარში იმპერატორის ჯარები ბუდაპეშტში შევიდნენ. 4 მარტს ვენაში გამოქვეყნდა ტექსტი ახალი კონსტიტუციისა, რომელიც მთლიანად სპობდა 1848 წლის მარტის რევოლუციის ყველა მონაპოვარს. მან გააუქმა უნგრეთის ავტონომია, ჩამოართვა ხორვატია, სლავონია, ვოევოდინა, ტრანსილვანია. დაწესდა ცრპალატიანი სისტემა, მაღალი ქონებრივი ცენზი, იმპერატორს აღუდგინეს აღმასრულებელი ძალაუფლება.

საშიშროების მოახლოებამ აიძულა ბატიანის მთავრობა გადამდგარიყო და ძალაუფლება თავდაცვის კომიტეტისთვის, კოშუტისთვის, გადაეცა.

ლაიოშ კოშუტი რადიკალთა მემარცხენე ფრთას ეყრდნობოდა. მის მიერ შექმნილ არმიაში გაზაფხულისთვის 170 ათასი კაცი ირიცხებოდა. კოშუტის მამაცობამ, პატრიოტობამ და ენერგიულობამ იგი უნგრელი ხალხის ეროვნულ გმირად აქცია. სეიმი დებრეცენში გადავიდა, სადაც მან 1849 წლის 14 აპრილს მიიღო უნგრეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ჰაბსბურგები დამხობილად გამოაცხადა. განდევნა რა ვინდიშგრეცი, 21 მაისს რევოლუციური არმია ბუდაპეშტში შევიდა. ტრანსილვანიაში გენერალმა ბემმა აღადგინა უნგრეთის ძალაუფლება. კოშუტს შეეძლო ბრძოლების ავსტრიაში გადატანა, მაგრამ ყოყმანობდა. კოშუტის მთავრობას ასუსტებდა ეროვნული საკითხის გადაუჭრელობა, მხოლოდ რესპუბლიკის აგონიის დროს მიანიჭა მან უნგრეთის ეროვნებებს თანასწორობის უფლება (1849 წ. 28 ივლისი). მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები წინააღმდეგნი იყვნენ ფრანც-იოზეფის დამხობისა და მასთან შერიგებას მოითხოვდნენ. რევოლუციას ღალატობდა მთავარსარდალი გორგეიც. იგი აყოვნებდა დარტყმებს ვინდიშგრეცზე, ამით კი სარგებლობდა ავსტრიის მთავრობა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკოლოზ I-თან, გორგეი და მისი წრე მოითხოვდნენ იმპერატორთან შერიგებას და დამოუკიდებლობის დეკლარაციის გაუქმებას. ამ დროს უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ დაიძრა პასკევიჩის არმია. უნგრეთი იზოლირებული აღმოჩნდა (მას არ დაეხმარა საფრანგეთი). 11 ივლისს გორგეი დაამარცხეს ავსტრიელებმა. ორეცეცხლშუა მოქცეული უნგრეთის არმია კვლავ დამარცხდა თემეშვართან და 13 აგვისტოს ვილაგოშთან დანებდა პასკევიჩს. ამ დამარცხების შემდეგ კოშუტი ბემი და სხვა ბელადები თურქეთში გაიქცნენ. 13 გენერალი ავსტრიელებმა დახვრიტეს (გორგეი შეიწყნარეს), ბრძოლის ველზე და ეცა პეტეფი.

ცარიზმმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ავსტრიის იმპერიას მაშინ, როდესაც იგი სულს ღაფავდა.

უნგრეთის რევოლუციის დამარცხების მთავარი მიზეზებია:

1. ევროპაში თითქმის ერთდროულად დამარცხდნენ რევოლუციები;
2. ადგილი ჰქონდა სარდლობის ღალატს;
3. კოშუტის მთავრობამ დროულად არ გადაჭრა აგრარული და ეროვნული საკითხები;
4. თავადაზნაურობა, ვითარცა რევოლუციის ჰეგემონი, გათიშული იყო და სხვადასხვა მიზნებს ისახავდა.

## ავსტრიის რევოლუციის დამარცხების მიზეზები, ხასიათი და შედეგები

ავსტრიის მონარქია უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ კვლავ გადაიქცა თვითმპყრობელურ სახელმწიფოდ, რომელშიც ავტონომიის მიღებაზე ლაპარაკიც კი აიკრძალა. 1849 წლის კონსტიტუცია გაუქმებულ იქნა. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიამ და გლეხობამ მაინც მიიღეს შეღავათები: 1848 წლის 7 სექტემბრის კანონით გლეხებს შეეძლოთ გამოესყიდათ ფეოდალური ვალდებულებები, მემამულეებმა დაკარგეს თავისი პოლიტიკური და სასამართლო უფლებები. 1850 წელს შემოიღეს ადგილობრივი თვითმმართველობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გაუქმდა თავად-აზნაურთა განსაკუთრებული უფლებები გადასახადების დაწესებასა და სამართალწარმოებაზე.

1848-1849 წლების რევოლუცია დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. იგი დამარცხდა იმიტომ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მონარქიის მხარეზე გადავიდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღალატმაც დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციას.

რევოლუციის მამოძრავებელი ძალები — მუშები, ხელოსნები, მშრომელი ინტელიგენცია და მოსამსახურენი იყვნენ. გლეხობა გამოსყიდვის კანონის გამოსვლის შემდეგ ფაქტიურად ჩამოშორდა რევოლუციას. ავსტრიის მუშათა კლასი მცირერიცხოვანი და პოლიტიკურად მოუმწიფებელი იყო, მას არ შეეძლო ეხელმძღვანელა რევოლუციისათვის, თანაც, ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

## ავსტრიის იმპერია XIX ს. 50-60-იან წლებში

ბურჟუაზიული რევოლუციების დამარცხების შედეგად ავსტრიის იმპერიაში უმკაცრესი პოლიტიკური რეაქცია გამეფდა. აბსოლუტიზმი აღდგა, ხოლო მთავრობა მთელი სისასტიკით ახშობდა რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. მთელი იმპერია სამხედრო ოლქებად დაჰყვეს, რომელთაც ავსტრიელი გენერლები განაგებდნენ.

რეაქცია განსაკუთრებული სიმკაცრით მძვინვარებდა უნგრეთში, რომელსაც ავსტრიელი გენერალ-გუბერნატორი მართავდა და სადაც 1854 წლამდე საალყო მდგომარეობის წესები მოქმედებდნენ.

რეპრესიებს განიცდიდა ჩეხი ხალხიც: ცნობილი ჟურნალისტი გავლიჩეკი გადაასახლეს, ხოლო ზომიერი რეფორმების გატარების მომხრე რიგერს ლექციების კითხვა აუკრძალეს პრაღის უნივერსიტეტში, ლიბერალმა პალაცკიმ კი საერთოდ განაცხადა უარი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ჩეხეთში გაძლიერდა ეროვნულ უმცირესობათა გერმანიზაციის პოლიტიკა,—მთელს ქვეყანაში სახელმწიფო ენად გერმანული გამოცხადდა, ადმინისტრაციული მმართველობა, სამართალწარმოება და სახალხო განათლებაც გერმანულ ენაზე უნდა შესრულებულიყო.

იმპერიაში პოლიტიკური რეაქციის დასაყრდენს კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა. 1855 წ. მთავრობამ რომის პაპთან გააფორმა კონკორდატი, რომელიც კათოლიციზმს სახელმწიფო რელიგიის როლს ანიჭებდა. ეკლესიას

ლად ავსტრიის მთავრობამ გენერალი ლამბერგი დანიშნა, რომელსაც უნდა გამოეცხადებინა საალყო მდგომარეობა და დაეშალა პარლამენტი, მაგრამ იგი ბუდაპეშტში შესვლისას მოჰკლეს. მაშინ იმპერატორმა გადაწყვიტა ჯარი გაეგზავნე ვენიდან, მაგრამ 6 ოქტომბერს ელაჩიჩის დასახმარებლად გასაგზავნი არმია ვენის სტუდენტების გამოსვლამ შეაყოვნა. ვენის აჯანყების ჩახშობად დაიძრა ელაჩიჩი, რომელიც მანამდე უნგრელებმა დაამარცხეს. 1 ნოემბერს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ვენა. ბრძოლებში აჯანყებულებმა დაკარგეს 5000 კაცი, მათ შორის იყო ფრანკფურტის პარლამენტის დეპუტატი ბლიუმი. იმპერატორმა დაშალა ჯერ კიდევ ივნისში შექმნილი ეროვნული კრება (რაიხსტაგი), ხოლო სამინისტროს სათავეში ჩაუყენა მეტერნიხის სიძე — შვარცენბერგი. ფერდინანდ I გადადგა 18 წლის ძმისწულის — ფრანც-იოზეფის სასარგებლოდ. ავსტრიაში აღდგა კონტრრევოლუციური რეჟიმი.

1849 წლის იანვარში იმპერატორის ჯარები ბუდაპეშტში შევიდნენ. 4 მარტს ვენაში გამოქვეყნდა ტექსტი ახალი კონსტიტუციისა, რომელიც მთლიანად სპობდა 1848 წლის მარტის რევოლუციის ყველა მონაპოვარს. მან გააუქმა უნგრეთის ავტონომია, ჩამოართვა ხორვატია, სლავონია, ვოევოდინა, ტრანსილვანია. დაწესდა ორპალატიანი სისტემა, მაღალი ქონებრივი ცენზი, იმპერატორს აღუდგინეს აღმასრულებელი ძალაუფლება.

საშიშროების მოახლოებამ აიძულა ბატიანის მთავრობა გადამდგარიყო და ძალაუფლება თავდაცვის კომიტეტისთვის, კოშუტისთვის, გადაეცა.

ლაიოშ კოშუტი რაღიკალთა მემარცხენე ფრთას ეყრდნობოდა. მის მიერ შექმნილ არმიაში გაზაფხულისთვის 170 ათასი კაცი ირიცხებოდა. კოშუტის მამაცობამ, პატრიოტობამ და ენერგიულობამ იგი უნგრელი ხალხის ეროვნულ გმირად აქცია. სეიმი დებრეცენში გადავიდა, სადაც მან 1849 წლის 14 აპრილს მიიღო უნგრეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ჰაბსბურგები დამხობილად გამოაცხადა. განდევნა რა ვინდიშგრეცი, 21 მაისს რევოლუციური არმია ბუდაპეშტში შევიდა. ტრანსილვანიაში გენერალმა ბემმა აღადგინა უნგრეთის ძალაუფლება. კოშუტს შეეძლო ბრძოლების ავსტრიაში გადატანა, მაგრამ ყოყმანობდა. კოშუტის მთავრობას ასუსტებდა ეროვნული საკითხის გადაუჭრელობა, მხოლოდ რესპუბლიკის აგონიის დროს მიანიჭა მან უნგრეთის ეროვნებებს თანასწორობის უფლება (1849 წ. 28 ივლისი). მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეები წინააღმდეგნი იყვნენ ფრანც-იოზეფის დამხობისა და მასთან შერიგებას მოითხოვდნენ. რევოლუციას ღალატობდა მთავარსარდალი გორგეიც. იგი აყოვნებდა დარტყმებს ვინდიშგრეცზე, ამით კი სარგებლობდა ავსტრიის მთავრობა, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ნიკოლოზ I-თან, გორგეი და მისი წრე მოითხოვდნენ იმპერატორთან შერიგებას და დამოუკიდებლობის დეკლარაციის გაუქმებას. ამ დროს უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ დაიძრა პასკევიჩის არმია. უნგრეთი იზოლირებული აღმოჩნდა (მას არ დაეხმარა საფრანგეთი). 11 ივლისს გორგეი დაამარცხეს ავსტრიელებმა. ორცეცხლშუა მოქცეული უნგრეთის არმია კვლავ დამარცხდა თემეშვართან და 13 აგვისტოს ვილაგოშთან დანებდა პასკევიჩს. ამ დამარცხების შემდეგ კოშუტი ბემი და სხვა ბელადები თურქეთში გაიქცნენ. 13 გენერალი ავსტრიელებმა დახვრიტეს (გორგეი შეიწყნარეს), ბრძოლის ველზე და ეცა პეტეფი.

ცარიზმმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ავსტრიის იმპერიას მაშინ, როდესაც იგი სულს ღაფავდა.

უნგრეთის რევოლუციის დამარცხების მთავარი მიზეზებია:

1. ევროპაში თითქმის ერთდროულად დამარცხდნენ რევოლუციები;
2. აღგილი ჰქონდა სარდლობის ღალატს;
3. კოშუტის მთავრობამ დროულად არ გადაჭრა აგრარული და ეროვნული საკითხები;
4. თავადაზნაურობა, ვითარცა რევოლუციის ჰეგემონი, გათიშული იყო და სხვადასხვა მიზნებს ისახავდა.

## ავსტრიის რევოლუციის დამარცხების მიზეზები, ხასიათი და შედეგები

ავსტრიის მონარქია უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ კვლავ გადაიქცა თვითმპყრობელურ სახელმწიფოდ, რომელშიც ავტონომიის მიღებაზე ლაპარაკიც კი აიკრძალა. 1849 წლის კონსტიტუცია გაუქმებულ იქნა. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიამ და გლეხობამ მაინც მიიღეს შელავათები: 1848 წლის 7 სექტემბრის კანონით გლეხებს შეეძლოთ გამოესყიდათ ფეოდალური ვალდებულებები, მემამულეებმა დაკარგეს თავისი პოლიტიკური და სასამართლო უფლებები. 1850 წელს შემოიღეს ადგილობრივი თვითმმართველობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გაუქმდა თავად-აზნაურთა განსაკუთრებული უფლებები გადასახადების დაწესებასა და სამართალწარმოებაზე.

1848-1849 წლების რევოლუცია დაუმთავრებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იყო. იგი დამარცხდა იმიტომ, რომ ლიბერალური ბურჟუაზია მონარქიის მხარეზე გადავიდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ღალატმაც დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციას.

რევოლუციის მამოძრავებელი ძალები — მუშები, ხელოსნები, მშრომელი ინტელიგენცია და მოსამსახურენი იყვნენ. გლეხობა გამოსყიდვის კანონის გამოსვლის შემდეგ ფაქტიურად ჩამოშორდა რევოლუციას. ავსტრიის მუშათა კლასი მცირერიცხოვანი და პოლიტიკურად მოუმწიფებელი იყო, მას არ შეეძლო ეხელმძღვანელა რევოლუციისათვის, თანაც, ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

## ავსტრიის იმპერია XIX ს. 50-60-იან წლებში

ბურჟუაზიული რევოლუციების დამარცხების შედეგად ავსტრიის იმპერიაში უმკაცრესი პოლიტიკური რეაქცია გამეფდა. აბსოლუტიზმი აღდგა, ხოლო მთავრობა მთელი სისასტიკით ახშობდა რევოლუციურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. მთელი იმპერია სამხედრო ოლქებად დაჰყვეს, რომელთაც ავსტრიელი გენერლები განაგებდნენ.

რეაქცია განსაკუთრებული სიმკაცრით მძვინვარებდა უნგრეთში, რომელსაც ავსტრიელი გენერალ-გუბერნატორი მართავდა და სადაც 1854 წლამდე საალყო მდგომარეობის წესები მოქმედებდნენ.

რეპრესიებს განიცდიდა ჩეხი ხალხიც: ცნობილი ჟურნალისტი გაველიჩეკი გადაასახლეს, ხოლო ზომიერი რეფორმების გატარების მომხრე რიგერს ლექციების კითხვა აუკრძალეს პრაღის უნივერსიტეტში, ლიბერალმა პალაცკიმ კი საერთოდ განაცხადა უარი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ჩეხეთში გაძლიერდა ეროვნულ უმცირესობათა გერმანიზაციის პოლიტიკა,—მთელს ქვეყანაში სახელმწიფო ენად გერმანული გამოცხადდა, ადმინისტრაციული მმართველობა, სამართალწარმოება და სახალხო განათლებაც გერმანულ ენაზე უნდა შესრულებულიყო.

იმპერიაში პოლიტიკური რეაქციის დასაყრდენს კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა. 1855 წ. მთავრობამ რომის პაპთან გააფორმა კონკორდატი, რომელიც კათოლიციზმს სახელმწიფო რელიგიის როლს ანიჭებდა. ეკლესიას

დაუმორჩილეს პრესა, დაწყებითი სკოლა, იგი ფლობდა მიწების დიდ ნაწილსა და სიმდიდრეს.

50-60-იან წლებში, მიუხედავად რეპრესიებისა, კვლავ აღიმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა. უნგრეთის რევოლუციის დემოკრატიული მიმდინარეობის ბელადი მიხაი ტანჩიჩი ამნისტიის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და რესპუბლიკური ორგანიზაციის შექმნას შეუდგა. იგი ძველი შემართებით მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისა და უსამართლო წყობილების დამხობისაკენ.

1859 წ. ავსტრიის დამარცხებამ საფრანგეთ-სარდინიის კავშირთან ომში მძიმე დარტყმა მიაყენა ჰაბსბურგთა პრესტიჟს და დააჩქარა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა. ცდილობდა რა უნგრელების მოთვინიერებას, ვენის სასახლემ გამოაქვეყნა „დიპლომი“, რომელიც აღიარებდა მალიართა თავადაზნაურული კრებების და სეიმის მოწვევის თავისუფლებას. აღდგენილ სეიმში დიდი გავლენით სარგებლობდა ზომიერი ლიბერალური ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურთა „შეთანხმების პარტია“ ფერენც დეაკისა, რომელიც უნგრეთის დამოუკიდებლობის ნაცვლად მადიარების ავსტრიელებთან უფლებებში გათანაბრებას, სლავური ოლქების დაბრუნებას და ჰაბსბურგებთან შერიგება მოითხოვა. მაგრამ „დიპლომმა“ კიდევ უფრო გააძლიერა უნგრელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ავსტრიის მთავრობა იძულებული გახდა, დაეთხოვა სეიმი და საალყო წესები გამოეცხადებინა.

60-იანი წლების ზღვარზე ვითარება დაიძაბა ჩეხეთშიც: 1860 წ. „დიპლომი“ ჩეხეთის სეიმს არ ანიჭებდა საკანონმდებლო ინიციატივას და ჩეხურ ენას არ უთანაბრებდა გერმანულს. პალაცკისა და რიგერის მიერ შექმნილი ბურჟუაზიულ-ეროვნული პარტია „სტაროჩეხებისა“, არ მოითხოვდა ჩეხეთის დამოუკიდებლობასა და მონარქიის მოსპობას, უბრალოდ, „სტაროჩეხებს“ იმპერიის გერმანულ-ავსტრიული, სლავური, უნგრული და რუმინული ოლქების (მიწების — land) ფედერაციაში გარდაქმნა სურდათ და მოითხოვდნენ, რომ ავსტრიის ფედერალური სახელმწიფოს საერთო საქმეებისთვის ეხელმძღვანელა რაიხსრატს, ხოლო ოლქების საქმეებისთვის — ორპალატიან სეიმებს, რომელთაც საკანონმდებლო უფლებები ექნებოდათ. ჩეხი ხალხის მთავარ ამოცანას კონსერვატორული „სტაროჩეხები“ მასების კულტურული დონის ამაღლებაში ხედავდნენ და ამ მიზნის მისაღწევად ენების გათანაბრებასა და ბრძოლის ლეგალური მეთოდების გამოყენებას მოითხოვდნენ.

რაც შეეხება „მლადოჩეხებს“ (კარელ სლადკოვსკი, ედუარდ გრეგორი და სხვ.), ისინი, წვრილბურჟუაზიული დემოკრატები, არ იყვნენ წინააღმდეგნი იმპერიის ოლქების ფედერაციაში გარდაქმნის იდეისა, მაგრამ „სტაროჩეხებისაგან“. განსხვავებით მხარს უჭერდნენ პოლონეთის აჯანყებას და მოითხოვდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოებას.

ჩეხეთის დემოკრატიულ მოძრაობას დიდ სტიმულს აძლევდა მისი რადიკალური ფრთის ლიდერების — იოსებ ფრიჩისა და კარელ საბინას—მოღვაწეობა. მართალია, მათი მიმდინარეობის საბრძოლო პოტენციალი სუსტი იყო, მაგრამ ფრიჩისა და საბინას პატრიოტულ მოწოდებებს უქმად არ ჩაუვლია.

XIX ს. 60-იანი წლების პირველ ნახევარში ჰაბსბურგთა მიხრწნილ იმპერიაში რევოლუციური სიტუაცია მომწიფდა: ჩაგრული ხალხების ანტიავსტრიულმა განწყობილებამ კულმინაციას მიაღწია. კრიზისისაგან თავის დაღწევას ხელისუფლება გერმანიზაციის რეაქციული პოლიტიკის ძალით გატარებითა და კონსტიტუციური მეთოდების გამოყენებით ლამობდა. 1861 წ. შმერლინგის მთავრობამ მიიღო ანტიდემოკრატიული კონსტიტუცია, ე. წ. „თებერვლის პატენტი“, რომელიც საკანონმდებლო ძალაუფლებას ანიჭებდა ორპალატიან რაიხსრატს. მას ორსაფეხურიანი ხმის მიცემით ირჩევდნენ მჭო-



ნებელი კლასები და იგი ავსტრიის ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ბატონობას უზრუნველყოფდა.

იმპერიის ჩაგრული ხალხები მტრულად შეხვდნენ თებერვლის კონსტიტუციას: უნგრელებმა არ მიიღეს იგი და არც დელეგატები წარგზავნეს ვენას (მადიარები უნგრეთის სეიმის მოწვევას და მის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტროს შექმნას მოითხოვდნენ). „პატენტი“ არც ჩეხებმა მიიღეს და არც რუმინელებმა, ასე რომ, სამეფო კარმა მორიგი ფიასკო განიცადა და იგი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

## ავსტრია-უნგრეთის ჩამოყალიბება (1867 წ.)

პრუსიის გაძლიერება დანიასთან ომის შედეგად (1864 წ.) და ავსტრია-პრუსიის ომის საფრთხე კიდევ უფრო ამძაფრებდა რევოლუციურ სიტუაციას. ასეთ პირობებში ავსტრიის ზედაფენებმა, ჩაგრული ხალხების ბრძოლის შესუსტების მიზნით, განიზრახეს წასულიყვნენ დათმობაზე მადიარების წინაშე. 1866 წელს პრუსიასთან დამარცხებამ ავსტრიის იმპერია დაშლამდე მიიყვანა.

1867 წელს მთავრობამ უნგრეთთან გააფორმა შეთანხმება ავსტრიის იმპერიის ორ ერთიან (დუალისტურ) სახელმწიფოდ, — ავსტრია-უნგრეთად, — გარდაქმნის შესახებ. მიღებულმა კონსტიტუციამ დაადგინა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი წყობილება ავსტრია-უნგრეთის ორივე მხარისათვის. ავსტრიაში დაწესდა ორპალატიანი პარლამენტი, — რაიხსრატი. ზემო პალატა (ბატონთა პალატა) შედგებოდა უმაღლესი წოდებისა და სამღვდელოების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ნიშნავდა იმპერატორი.

ქვედა, წარმომადგენელთა, პალატას ქონებრივი ცენზის მიხედვით ირჩევდნენ იმპერიის ავსტრიის ნაწილის 14 ოლქის სეიმები. რაიხსრატში დეპუტატებს აგზავნიდნენ: ჩეხეთი, მორავია, გალიცია, კარინტია, კრაინა, სილეზია, ბუკოვინა, ტიროლი, ისტრია, ზალცბურგი, შტირია. ამ ოლქთა ერთობლიობას ცისლაიტანია ეწოდა (მდ. ლაიტის მიხედვით).

უნგრეთში დაადგინეს ორპალატიანი პარლამენტი (სეიმი). ზედა, მაგნატების პალატა ინიშნებოდა მეფის მიერ. მასში შედიოდნენ მსხვილი მიწათმფლობელებისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ქვედა, დეპ. პალატას ირჩევდნენ მაღალი ქონებრივი ცენზის მიხედვით. უნგრეთში შემოღებული პოლიტიკური სტატუსი ვრცელდებოდა ტრანსილვანიაზე, სლავონიაზე, ხორვატიაზე. ამ მიწების ერთობლიობა იწოდებოდა ტრანსლაიტანიად.

ავსტრია-უნგრეთი იყო მონარქიული სახელმწიფო. მის სათავეში იდგა ავსტრიის იმპერატორი, იგივე უნგრეთის მეფე, ფრანც-იოზეფ ჰაბსბურგი (1848-1916). ის ნიშნავდა ზედა პალატებს, სესიებს შორის შეეძლო ბრძანებულებათა გამოცემა, რომელთაც კანონის ძალა ჰქონდათ.

სამი სამინისტრო — სამხედრო, ფინანსთა და საგარეო, — ორივე ქვეყნისათვის საერთო იყო, მართვის დანარჩენ ორგანოებს ავსტრიასა და უნგრეთში სხვადასხვა ფუნქციები გააჩნდა. 1867 წლის კონსტიტუცია ანტიხალხური და ნახევრად აბსოლუტისტური იყო, — იგი ინარჩუნებდა მონარქიულ წყობილებას, არჩევნებსმიღმა ტოვებდა მოსახლეობის უმრავლესობას — მუშებს, გლეხებს და საშუალო ბურჟუასაც კი. აღნიშნული კონსტიტუცია მიიღეს ავსტრიისა და უნგრეთის გაბატონებული კლასების კომპრომისის შედეგად და იგი გამიზნული იყო სლავი და სხვა ხალხების დასაჩაგრავად. იმავე წელს დადებული შეთანხმება ითვალისწინებდა თანხების რაოდენობას, რომელიც თავის წილად უნდა გაეღო ორივე მხარეს.

ამრიგად, ავსტრია-უნგრეთში გაბატონდა ორი ერი — ავსტრიელები და უნგრელები. სლავი ხალხები უკმაყოფილო იყვნენ 1867 წლის შეთანხმებით;

ჩეხეთსა და გალიციაში დაიწყო ბრძოლა ისეთივე უფლებებისათვის, როგორიც მიანიჭა კონსტიტუციამ უნგრეთს. ჩეხები შეუდგნენ რაიხსრატის ბოიკოტირებას, ეროვნულ უფლებათა გარანტიები მოითხოვეს სლოვენებმაც და იტალიელებმაც.

60-იანი წლების დამლევს ავსტრია-უნგრეთი კლასობრივმა ბრძოლებმა მოიცვა: ყველა ოლქში მუშები მოითხოვდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებას, სიტყვის, კრების, კავშირების თავისუფლებას.

ავსტრია-უნგრეთის ჩამოყალიბებას არ შეუსუსტებია კლასობრივი წინააღმდეგობანი და არ მოუხდენია ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია. პირიქით, ეროვნული და კლასობრივი წინააღმდეგობანი საფუძველს ურყევდნენ ისედაც სუსტსა და დაუძლურებულ მრავალეროვან სახელმწიფოს.

## ბიბლიოგრაფია


1. Ш. Петефи. Избранное. М., 1958.
2. М. Танчич. Мой жизненный путь. М., 1952.
3. Р. Авербух. Революция в Австрии (1848-1849 гг.). М., 1970.
4. А. Дебидур. Дипломатйческая история Европы. Т. 1-2. М., 1947.
5. Е. Пристер. Краткая история Австрии. М., 1952.
6. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 3, 4, 5, 6.


# იტალია 1815-1870 წლებში

## იტალია 1815-1847 წ.წ.

ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდეგ მოკავშირეებმა ძველებურად დაანაწევრეს იტალია. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სარდინიის (პიემონტის) და ორივე სიცილიის (ნეაპოლის) სამეფოები, პაპის ოლქი, ტოსკანას, პარმის, მოდენას საჰერცოგოები, ლუკას სამთავრო და ლომბარდია — ვენეციის ოლქი. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ამ ნაწილებში აღადგინეს ნაპოლეონის დროს ტახტდაკარგული მონარქები, კერძოდ: სიცილიაში ფერდინანდ I, სარდინიაში — ვიქტორ-ემანუელ I, მოდენაში — ჰერცჰერცოგი ფრანც დ'ესტე, ტოსკანაში — ფერდინანდ ჰაბსბურგი (იმპერატორ ფრანც I-ის ძმა), პარმაში — მარია-ლუიზა (ნაპოლეონის მეუღლე), ლუკაში — მარია-ლუიზა (ეტრურიის ყოფილი დედოფალი), რომში — პაპი პიუს VII, სოლო ლომბარდია-ვენეციის ოლქი ავსტრიამ შეიერთა.

მიუხედავად იმისა, რომ მონარქებმა თავიანთ სამფლობელოებში რესტავრირება უყვეს ფეოდალურ-აბსოლუტისტურ რეჟიმებს, ზოგიერთმა მათგანმა მაინც ვერ გაბედა ხელი ეხლო ნაპოლეონისეული კანონმდებლობისათვის, გაეუქმებია საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია და აღედგინა სოფლად სენიორალური ურთიერთობანი. ვერ გაბედეს, რადგანაც იტალიაში ძალიან ძლიერი იყო რესპუბლიკური და გამაერთიანებელი მოძრაობა, განსაკუთრებით კარბონართა და პატრიოტული ბურჟუაზიის გამოსვლები. იტალიაში აბსოლუტიზმის სადარაჯოზე ჰაბსბურგთა იმპერია და მისი ყოველისშემძლე კანცლერი, მეტერნიხი იდგნენ. ამ უკანასკნელმა მიზნად დაისახა ყოველივე სიახლის, პროგრესისა და, რაც მთავარია, ქვეყნის გაერთიანებისაკენ იტალიელი ხალხის ლტოლვის ამოძირკვა. არმია, პოლიცია, ჯაშუშები, ცენზურა — ყველა ეს დამსჯელი ინსტიტუტები მხოლოდ ამ ამოცანას ემსახურებოდნენ. მაგრამ ვერც რეპრესიებმა, ვერც ადგილობრივ მონარქთა ლიბერალობანას თამაშმა და ორპირობამ ვერ გატეხეს იტალიელი პატრიოტების სულისკვეთება. პირიქით, ყოველ ოლქსა და სამეფოში ისინი შეთქმულებას შეთქმულებაზე აწყობდნენ და სიცოცხლეს არ იშურებდნენ საძულველი რეჟიმის დასამხობად.



XIX ს. 20-იანი წლების დამდეგს, ესპანეთის რევოლუციის გავლენით, სარდინიის სამეფოში დაიწყო აჯანყება, რომელსაც კარბონართა ფარული ორგანიზაციები და პატრიოტი ოფიცრები ჩაუდგნენ სათავეში.

აჯანყებას ნიშანი მისცა გენერალმა გულიელმო პეპემ, — სიცილიის არმიის კარბონართა ბელადმა (იგი ჯერ კიდევ 1815 წ. აპირებდა იმპერატორ ფრანცის, მეტერნიხისა და ფერდინანდის დაპატიმრებას, როდესაც ისინი აღლუმს დაესწრნენ ნეაპოლში), რომელიც ესპანურის (1812 წ.) მსგავსი კონსტიტუციის მიღების მომხრე იყო. 1820 წ. 2 ივლისს მან აჯანყების დროშა აღმართა ნოლაში, მიიმხრო არმია, ხალხი და დაიძრა ნეაპოლზე. დამფრთხალმა ფერდინანდ ბურბონმა ახალი მთავრობა შექმნა და ძალაუფლება თავის შვილს, ფრანჩესკოს, გადასცა, რომელმაც თანხმობა განაცხადა კონსტიტუციის მიღებაზე (7 ივლისი). 9 ივლისს პეპე ზეიმით შევიდა ნეაპოლში, ხოლო ფერდინანდმა ოთხი დღის შემდეგ ერთგულება შეფიცა კონსტიტუციას.

ნეაპოლის მეფის ამ საქციელმა უაღრესად შეაცბუნა ვენის სასახლე, მაგრამ ფერდინანდმა იმით დაამშვიდა მეტერნიხი, რომ ის ავსტრიასთან ერთად აღადგენდა „წესრიგს" თავის სამეფოში. ესპანეთისა და იტალიის ამბებმა თავზარი დასცეს საღვთო კავშირის წევრებს. 1820 წ. ოქტომბერში ტროპაუში შეკრებილმა მონარქებმა სიცილიაში აჯანყების ჩახშობა დაავალეს ავსტრიას, რაც იოლად შეძლო მისმა არმიამ. 1821 წ. 7 მარტს პეპე დამარცხდა რიეტასთან და თვის ბოლოს ნეაპოლში ავსტრიელთა ჯართან ერთად დაბრუნდა ფიცის გამტეხი ფერდინანდი. ორივე სიცილიის სამეფოში აღდგა რეაქციული რეჟიმი, რომელმაც სასტიკი რეპრესიებით მთელი მსოფლიო შეაძრწუნა.

რევოლუციურმა მოძრაობამ სარდინიის სამეფოშიც იფეთქა: 1821 წ. 10 მარტს ალექსანდრიაში პატრიოტებმა აჯანყების და იტალიის სამეფოს მწვანე-თეთრ-წითელი დროშა აღმართეს და ჩამოაყალიბეს ხუნტა. ტურინში გამოცხადებული იქნა ესპანური კონსტიტუცია (14 მარტი) და ძალაუფლება კარბონართა ხელში გადავიდა. 13 მარტს ვიქტორ-ემანუელ I-მა უარი თქვა ტახტზე თავისი ძმის კარლოს-ფელიქსის სასარგებლოდ. ახალი მეფის ჩამოსვლამდე პიემონტში რეგენტად დაინიშნა კარლოს-ალბერტი კარინიანი, მმართველ დინასტიის უახლოესი ნათესავი და ტახტის ერთადერთი მემკვიდრე (არც ვიქტორ-ემანუელსა და არც მის ძმას შვილები არ ჰყავდათ). 15 მარტს ის იძულებული გახდა მიეღო კონსტიტუცია. ამის პასუხად მეფემ—კარლოს-ფელიქსმა არ დაამტკიცა არც კონსტიტუცია და არც მის გარეშე მიღებული აქტები. შეშინებულმა რეგენტმა დატოვა პიემონტი. მალე ავსტრიელმა გენერალმა ბუბნამ 8 აპრილს, ნოვარასთან, დაამარცხა პიემონტის ჯარი და გარეკა ხუნტა.

კარლოს-ფელიქსმა ტურინში თავისი შესვლა (18 ოქტომბერი) რეპრესიებითა და იეზუიტთა ძალადობის აღდგენით აღნიშნა. პიემონტში საძარისებურმა სიჩუმემ დაიგანა (ავსტრიელებმა ეს ქვეყანა 1823 წ. დატოვეს.). ლაიბახის კონგრესმა 1821 მაისში ამცნო სამყაროს, რომ მან „იხსნა" ევროპა საყოველთაო რევოლუციისაგან. მეტერნიხი გამარჯვებას ზეიმობდა, ავსტრიის იმპერია შავ-ყვითელი დროშა ამაყად ფრიალებდა მილანოდან პალერმომდე, იტალიელი მეფეები და ჰერცოგები აღმერთებდნენ მეტერნიხს, მაგრამ ვერ ხედავდნენ, რომ ამ დამარცხებებმა დროებით შეაჩერეს იტალიელი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისა და გაერთიანებისაკენ.

პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და ეროვნული ჩაგვრის მიუხედავად, იტალიაში XIX ს. 30-40-იან წლებში სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა (განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთში) და სოფლის მეურნეობა. მაგრამ

ეკონომიკურ წინსვლას ამუხრუჭებდნენ ფეოდალური რეჟიმები, სოფლად მემამულეებისა და ეკლესიის განუკითხავი ბატონობა, გლეხთა სიბნელე და სიღატაკე, პოლიტიკური გათიშულობა, ეროვნული ბაზრის არარსებობა. იტალიის მოსახლეობის 3/4 სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. გლეხობა იჯარით ფლობდა მიწას და სენიორისგან კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო ქვეყნის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, სადაც მსხვილი მემამულური ლატიფუნდია, მიწის მცირე იჯარა და მიწათმოქმედების პრიმიტიული მეთოდები ბატონობდა. ეკონომიკური და კულტურული განვითარების მხრივ ყველაზე წინ იდგნენ სარდინიის სამეფოში შემავალი პიემონტი და ავსტრიელთა ბატონობის ქვეშ მოქცეული ლომბარდია. მილანში ხელოსნური და მანუფაქტურულ საწარმოთა ვერდით სანეზეო ათობით ფაბრიკა, ხოლო 40-იან წლებიდან რკინიგზების ქსელი. ბურჟუაზიის ეკონომიკური მოღონიერება და მემამულეთა ნაწილის გადასვლა მეურნეობის კაპიტალისტურად გაძღოლაზე ქვეყნის ეროვნული გაერთიანებისათვის ბრძოლისკენ უბიძგებდა პატრიოტულ ძალებს. თუმცა 1820-1821 წ. წ. აჯანყებები დამარცხდა, რევოლუციური მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა. 1830 წლის საფრანგეთის იულისის რევოლუციის გავლენით მღელვარებამ იფეთქა მოდენაში (1831 წ. 4 თებერვალი), რომლის ჰერცოგი ფრანც IV ვენაში გაიქცა დახმარების სათხოვნელად. მეტერნიხს შემწეობა თხოვა პაპმა გრიგოლ XVI-ემაც, რომლის ქვეშევრდომნი მისგან ლიბერალურ რეფორმებს მოითხოვდნენ. მიუხედავად საფრანგეთის დემარშისა, 1831 წ. მარტის პირველ რიცხვებში ავსტრიელებმა დაიკავეს არა მარტო ფერარა და პარმა, არამედ მოდენას ქალაქი ბოლონია და ანკონა, სადაც მათ დანებდა პრინცი ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელმაც იტალიაში კავშირები დაამყარა ადგილობრივ რევოლუციონერებთან.

ავსტრიელებმა „საქმე“ დამთავრებულად ჩათვალეს და დატოვეს პაპის ოლქი, მაგრამ იქ კვლავ იფეთქა აჯანყებამ (იგი პაპის ჯარისკაცების უსასტიკესმა ტერორმა გამოიწვია). განრისხებულმა მეტერნიხმა 1832 წ. იანვარში ისევ დაიკავა პაპის ოლქი, ხოლო ლუი-ფილიპეს ჯარმა — ქალაქი ანკონა (22 თებერვალი), რითაც ევროპას თავისი თავი იტალიელი ლიბერალების დამცველად მოაჩვენა. მართალია, უშველეს პაპს, მაგრამ ვერც ავსტრიამ და ვერც საფრანგეთმა ვერ აიძულეს იგი და მისი კურია ხელი აეღოთ რეაქციულ პოლიტიკაზე. პირიქით, გრიგოლ XVI-ემ, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, შეეცარიელები დაიქირავა და ავსტრია-საფრანგეთის ჯარს სალეგატოები დაატოვებინა (1838 წ.).

40-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელმა და ანტიფეოდალურმა მოძრაობამ მოიცვა იტალიის მოსახლეობის ყველა ფენა, გარდა მსხვილი თავადაზნაური მემამულეებისა და ეკლესიისა (ეს უკანასკნელნი წინააღმდეგნი იყვნენ აბსოლუტისტური რეჟიმების შეცვლისა და ავსტრიელთა უღლის გადაგდებისა). ბრძოლის მსვლელობაში გამოიკვეთა ორი პოლიტიკური მიმართულება, — რევოლუციურ-დემოკრატიული და ზომიერ-ლიბერალური. პირველს, რომელიც ითვალისწინებდა მონარქიების დამხობას და რევოლუციური გზით იტალიის გაერთიანებას რესპუბლიკაში, მეთაურობდა დიდი პატრიოტი და იტალიელი ხალხის სახელოვანი შვილი ჯუზეპე მაძინი (1805-1872). მან ემიგრაციაში ყოფნის დროს დააარსა გაზეთი „ახალგაზრდა იტალია“ (მარსელი, 1831 წ.), რომელმაც იარსება მცირე ხნით, მაგრამ განსაკუთრებული როლი ითამაშა სახალხო მასების დარაზმვაში მონარქთა უღლის გადასაგდებად. მაძინი იტალიის განთავისუფლებას შეიარაღებულ ბრძოლაში ხედავდა და მასში მონაწილეობა ყოველი ადამიანის წმინდა, ღვთიურ, რელიგიურ ვალ-



დებულებად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ რომის რესპუბლიკის დროშაზე მაძინიმ წააწერა დევიზი „ღმერთი და ხალხი“ („Dio e Popolo“). მაძინი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში კარბონარი იყო და მის მიერ შექმნილმა „ახალგაზრდა იტალიის“ ორგანიზაციამაც შეინარჩუნა კონსპირაციული ბუნება. მან, როგორც რესპუბლიკელმა, დასაშვებად მიიჩნია იტალიის გაერთიანება პიემონტის სამეფოს ირგვლივ, და მოწოდებით მიმართა ახალ მონარქს, კარლოს-ალბერტს, სათავეში ჩადგომოდა საშვილიშვილო საქმეს, მაგრამ ამ მიმართვისთვის მაძინის დახვრეტა მიუსაჯეს და იგი იძულებული გახდა მარსელში გაქცეულიყო.

1833 წ. მაძინისტებმა აჯანყება მოაწყვეს გენუაში, მაგრამ დამარცხდნენ. მოშდევნო წელს მათ კვლავ სცადეს შეიარაღებული გამოსვლა, მაგრამ მეფის არმიასთან შებმა უაზრობად ჩათვალეს და შვეიცარიას შეაფარეს თავი. ამ აჯანყებაში პირველად მიიღო მონაწილეობა ჯუზეპე გარიბალდიმ (1807-1882),— იტალიელი ხალხის ეროვნულმა გმირმა. მას სარდინიის სამეფოს სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მაგრამ გარიბალდიმ ლათინურ ამერიკას მიაშურა, სადაც აქტიურად ჩაება კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

1837 წ. მაძინისტებმა მორიგი აჯანყება წამოიწყეს სიცილიაში, რომლის მოსახლეობამ ძალაუფლების ხელში აღებაც კი სცადა, მაგრამ ფერდინანდ I-მა სამი კორპუსი გაგზავნა ნეაპოლიდან და ამბოხება სისხლში ჩაახშო. 1844 წ. სიცილიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ ძმები ბანდიერების მეთაურობით, მაგრამ ისიც ჩაახშვეს, ხოლო მისი ბელადები სიკვდილით დასაჯეს. რაც შეეხება ზომიერ-ლიბერალურ მოძრაობას, იგი ჩრდილოეთში ჩაისახა და მიზნად ისახავდა იტალიის გაერთიანებას სახელმწიფოთა ფედერაციაში. ამ მიმდინარეობის ლიდერი იყო პიემონტელი გრაფი კავური, რომელსაც სწამდა, რომ იტალია უნდა გაერთიანებულიყო სარდინიის (პიემონტის) სამეფოს ირგვლივ, რადგანაც იგი იყო აპენინის ნახევარკუნძულზე ყველაზე განვითარებული და ლიბერალური მონარქია.

## 1848-1849 წ. წ. რევოლუცია იტალიაში

XIX ს. 30-40-იანი წლების აჯანყებათა სისხლში ჩახშობა რევოლუციური ქარიშხლის პრელუდია იყო, რამეთუ 1848 წ. დადგომის პირველივე დღიდან იტალია მძაფრი ბრძოლების ასპარეზად იქცა. 3 იანვარს ლომბარდია-ვენეციის ოლქში ავსტრიელებთან შეტაკებისას დაიღუპა 100-მდე კაცი. ამ გამარჯვებით ავსტრიელმა ფელდმარშალმა რადეცკიმ დროებით შეძლო სახალხო ძოძრაობის შეჩერება, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ დიდი აჯანყება დაიწყო პალერმოში: ხალხი სიცილიის დამოუკიდებლობას (ნეაპოლის სამეფოდან გამოყოფას) და 1812 წ. კონსტიტუციის აღდგენას მოითხოვდა. ფერდინანდ II-მ სიცილიაში არმია გადაიყვანა, მაგრამ მოულოდნელად აჯანყებამ თვით ნეაპოლშიც იფეთქა და მონარქი იძულებული გახდა მიეღო კონსტიტუცია (1848 წ. 9 იანვარი). სიცილიაში დაწყებული რევოლუცია პირველი იყო ევროპაში და მან ბიძგი მისცა როგორც იტალიის, ასევე დასავლეთ ევროპის რევოლუციებსაც. იანვრის პირველ რიცხვებში მღელვარების ნიშნები შეინიშნებოდა პიემონტშიც. 5 თებერვლის ტურინის მუნიციპალიტეტის თხოვნა კონსტიტუციის შემოღებაზე კარლოს-ალბერტმა (ის 1831 წ. ავიდა ტახტზე) დააკმაყოფილა და 4 მარტს მიღებულ იქნა სარდინიის სამეფოს კონსტიტუცია, რომელიც შემდგომში იტალიის კონსტიტუციას დაედო საფუძვლად. მძლავრ გამოსვლებს აღგილი ჰქონდა ტოსკანაში, სადაც საკმაოდ ძლიერი იყო მაძინისტთა რესპუბლიკური პარტია.

11 თებერვალს ტოსკანას ჰერცჰერცოგმა მიიღო კონსტიტუცია. რომში ოპოზიციური მოძრაობა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც რომ პაპის ტახტი პიუს IX-ემ დაიკავა. მან, სახალხო აჯანყების შიშით, გამოაცხადა ამნისტია, შეარბილა ცენზურის სიმკაცრე და მოიწვია სახელმწიფო საბჭო (კონსულტი) რეფორმების შესამუშავებლად. პაპის „ლიბერალობა“ ოპოზიციის გათიშვას და საერო ხელისუფლების შენარჩუნებას ისახავდა მიზნად.

პარიზსა და ვენაში რევოლუციათა გამარჯვებამ მძლავრი იმპულსი მისცა ზოგადიტალიურ, განსაკუთრებით ლომბარდია-ვენეციის აჯანყებას ავსტრიელთა უღლის გადასაგდებად. 18 მარტს მილანოში ძალაუფლება გადავიდა პატრიოტთა სამხედრო საბჭოს ხელში, რომელიც დროებითი მთავრობის როლს ასრულებდა. 19 მარტს ქალაქის ქუჩებში ბარიკადები ააგეს, ხოლო მეორე დღეს ავსტრიელთა ფელდმარშალმა რადეცკიმ მთელი თავისი ჯარები მილანოს მთავარ კარიბჭესთან დააყენა, რათა პიემონტის არმიის ალყაში არ მოქცეულიყო. 21 მარტს მან შეიტყო რომ სარდინოს (პიემონტის) მეფემ, კარლოს-ალბერტმა, გადმოლახა მდ. ტიჩინო. რადეცკიმ დატოვა მილანო და გაემაგრდა ვერონაში, რომელიც მანტუასთან, პესკიერასთან და ლენიაგოსთან ერთად სიმაგრეთა ოთხკუთხედს ჰქმნიდა. ლომბარდიაში განლაგებულ ავსტრიელთა გარნიზონების უმრავლესობამ შეძლო ფელდმარშალთან შეერთება და მისი შეთხელებული არმიის შევსება. ამასობაში ვენეციამ გადაიგდო ავსტრიელთა უღელი: ვექილმა დანიელ მანინმ ააჯანყა მუშები, ხელთ იგდო არსენალი და ქალაქიდან გააძევა მეგარნიზის სიძე, გენერალი ცისი (22 მარტი). მანინი ვენეციელებმა პრეზიდენტად, ვენეციის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაურად გამოაცხადეს. რადგანაც „ახლადგამომცხვარი“ რესპუბლიკა არ ცნეს ინგლისმა და საფრანგეთმა, მანინი იძულებული გახდა დაკავშირებოდა სარდინიის სამეფოს.

იტალიელთა ეროვნულმა მოძრაობამ სამხრეთ ტიროლსაც ეწია: უკვე 19 მარტს ტრიენტის მოსახლეობამ ლომბარდიასთან შეერთება მოითხოვა. ავსტრიელები იძულებული გახდნენ გაემაგრებიათ ეს პუნქტი. რადგანაც მისი დაკარგვით რადეცკი მთლიანად მოწყდებოდა ავსტრიას და დახმარებას ვერ მიიღებდა მთავრობისაგან. 29 მარტს კარლოს-ალბერტმა 45 ათასიანი არმიით გადალახა ტიჩინო და მცირეოდენი წარმატებების შემდეგ მიადგა მდ. მინჩიოს (10 აპრილი).

რადეცკის მიერ მილანოს დატოვების შემდეგ იქ ჩავიდა მაძინი, მაგრამ პიემონტის მეფის ბრძოლაში ჩაბმამ ხელი შეუშალა მას ჩამოეყალიბებია რესპუბლიკური მმართველობა.

პირველ ხანებში ეროვნული მოძრაობა მიმართული იყო ავსტრიელთა წინააღმდეგ. ხალხის ზემოქმედებით ნეაპოლის სამეფო და წვრილი მონარქები იძულებული გახდნენ თავიანთი ჯარები პიემონტელთა დასახმარებლად გაეშვათ: ნეაპოლის, ტოსკანას, პაპის, მოდენასა და სხვების 40-ათასიანი ჯარი ჯიაკომო დურანდოს მეთაურობით მიადგა მდ. პოს და მზად იყო გადასულიყო შეტევაზე პიემონტის არმიასთან ერთდროულად, მაგრამ სარდინიის მეფე ზოზინებდა, ამით ისარგებლა რადეცკიმ და დაამარცხა იგი სანტა-ლუჩიასთან (6 მაისი). ავსტრიელთა აქტიურობას ის შედეგი მოჰყვა, რომ კარლოს-ალბერტის ჯარი ვერ შეუერთდა დურანდოს კორპუსს. 15 მაისს ნიაპოლის მეფემ ღალატი ჩაიდინა: მან კონტრრევოლუციური გადატრიალება მოაწყო სამეფოში და უკან გაიწვია თავისი არმია, რომელიც მდ. პოზე იმყოფებოდა. ავსტრიასთან ომში უარი განაცხადა რომის პაპმაც. რადეცკის ხელ-ფეხი გაუხსნა ამ ღალატმა. მან აიღო ვიჩენცა, სადაც დაატყვევა დურანდოს ჯარი. ვერ მიიღო რა დახმარება, ვენეციის ოლქი, ქალაქის გამოკლებით, კვლავ ავსტრიელების ძალაუფლების ქვეშ გადავიდა.



ასეთ კრიტიკულ მომენტში მილანოს დროებითმა მთავრობამ ლომბარდია-ვენეციის სამეფოს გვირგვინი კარლოს-ალბერტს შეთავაზა. ამ უკანასკნელმა შეიტყო, რომ ვენიდან ინსბრუკში გაქცეული ავსტრიის იმპერატორი მზად იყო დაზავებაზე და მოლაპარაკების გამართვა სცადა რადეცკისთან, მაგრამ მუხუცმა ფელდმარშალმა დაზავების ნაცვლად უკანასკნელად მოიკრიბა ძალა, 25 ივლისს კუსტოცასთან კვლავ დაამარცხა სარდინიის ჯარი და გამაგრდა მინჩიოზე. კარლოს-ალბერტმა კვლავ შეთავაზა მას დაზავება, მაგრამ რადეცკიმ ისეთი მძიმე პირობები წამოაყენა, რომ მათი მიღება მეფემ ვერ გაბედა. მაშინ რადეცკიმ გადალახა პო, 4 აგვისტოს მილანოსთან ისევ დაამარცხა კარლოს-ალბერტის დემორალიზებული ჯარი და ზეიმით შევიდა ლომბარდიის დედაქალაქში (6 აგვისტო). ამრიგად, გარდა ვენეციისა, რომელიც გარემოცული იყო ხმელეთიდან, ვენეცია-ლომბარდიის სამეფო ავსტრიის იმპერატორს დაუბრუნდა (რადეცკის რომ არ ეჩქარა მილანოს დაკავება, აღშფოთებული ხალხის რისხვა თავს დაატყდებოდა კარლოს-ალბერტს, რომელსაც ღალატში ადანაშაულებდნენ და რომელმაც ახლოს არ გაიკარა გარიბალდი მოხალისეებითურთ.). როგორც იქნა, სარდინიასა და ავსტრიას შორის მოხერხდა დაზავება (9 აგვისტო) 6 კვირით, მაგრამ ორივე მხარის უსიტყვო თანხმობით მან 1849 წ-მდე გასტანა.

სამხრეთში ამბები შემდეგნაირად განვითარდა: მოდენასა და პარმაში დაბრუნდნენ ჰაბსბურგები, ხოლო ფერდინანდ II-ემ სასტიკი ანგარიშსწორება მოუწყო აჯანყებულ სიცილიელებს: 8 სექტემბერს მისმა ჯარმა არნახული ბომბარდირებით დაიმორჩილა მესინა, რისთვისაც წალხმა ფერდინანდი „მეფე ყუმბარის“ სახელით მონათლა.

კარლოს-ალბერტის კაპიტულანტურმა საქციელმა დიდად აღაშფოთა ტოსკანას მოსახლეობა. ლეოპოლდ II-ის მთავრობა იძულებული გახდა შემოეღო საალყო წესები, მაგრამ აჯანყებულმა ხალხმა, მიიმხრო რა ჯარის ნაწილები, ფლორენცია დაატოვებია ჰერცჰერცოგს (1849 წ. იანვარი). ლეოპოლდ II-ემ გაეტას შეაფარა თავი, სადაც მას რომიდან გამოქცეული პიუს IX-ეც შეუერთდა. ტოსკანაში ჩავიდნენ მაძინი და გარიბალდი, რომლებმაც აიძულეს ლიბერალური მთავრობის ლიდერი, მაძინისტი ფრანჩესკო გუერაცი გამოეცხადებია რესპუბლიკა (19 თებერვალი). რომში ვითარება შემდეგნაირად წარიმართა: მოსახლეობა ჯერ კიდევ 1848 წ. სექტემბერში მოითხოვდა ავსტრიასთან ომის განახლებას და პაპისთვის საერთო ძალაუფლების ჩამორთმევას. მთავრობა, რომელსაც ზომიერი ლიბერალი მამიანი ედგა სათავეში, რეფორმების გატარებას შეეცადა, მაგრამ პიუს IX-ემ გადააყენა მამიანი და ახალი კაბინეტის მეთაურად რეაქციონერი როსი დანიშნა. ამ აქტმა რომის დაბალი ფენების გამოსვლა გამოიწვია და 15 ნოემბერს როსი უცნობის ხელმა იმსხვერპლა. 18 ნოემბერს პაპის დაქირავებულმა შვეიცარიელებმა ხალხს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მოსახლეობის განრისხება მოჰყვა. დაშინებულმა პიუს IX-ემ თანხმობა განაცხადა მამიანის მთავრობის მოწვევაზე. ამით მან მცირე ხნით დააშოშმინა ხალხი და გაეტაში, ფერდინანდ ნეაპოლელთან გაიქცა, საიდანაც შეატევნა ყველა ის, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ახალი ხელისუფლების არჩევნებში და შევიდოდა მთავრობაში. პაპმა თავისი ძალაუფლების აღდგენისთვის შემწეობა თხოვა ავსტრიის, საფრანგეთისა და ესპანეთის მესვეურთ.

ჯერ კიდევ 1848 წ. დეკემბერში რომში ჩავიდა გარიბალდი თავისი რაზმით. მალე ძას მაძინიც შეუერთდა და მასთან ერთად დამფუძნებელი კრების მოწვევისაკენ მოუწოდა ხალხს. არჩევნები 1849 წ. იანვარში ჩატარდა, ხოლო 13 თებერვალს კრებამ რომში რესპუბლიკა გამოაცხადა. ალმასრულებელი და დიქტატორული ძალაუფლება მიენიჭა ტრიუმვირატს მაძინის, საფის და არმელინის შემადგენლობით.

ამრიგად, 1849 წლის გაზაფხულისათვის რესპუბლიკური მმართველობა დამყარდა ვენეციაში, ტოსკანასა და რომში. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა იტალიის სხვა ოლქებზეც. პიემონტში თავიანთ პოზიციებს ნელ-ნელა კარგავდნენ ზომიერები, სამაგიეროდ ძლიერდებოდა რესპუბლიკელთა გავლენა. 1849 წ. თებერვალში კარლოს-ალბერტმა გადააყენა ზომიერი ლიბერალის ურბანო რატაცის კაბინეტი და ძალაუფლება დ'აზელიოს „მემარცხენე ცენტრის“ მთავრობას გადასცა.

ლომბარდიის დაკარგვით იტალიის გაერთიანების საკითხი ჰაერში გაშოკიდა. პიემონტის მეფე ალტერნატივის წინაშე დადგა: ან უნდა განეახლებია ომი ავსტრიასთან და ამით აღედგინა თავისი შელახული ავტორიტეტი, ან რევოლუციის მსხვერპლი გამხდარიყო. მან პირველი აირჩია და 1849 წ. 22 მარტს დაარღვია დაზავება.

რადეცკი ელოდა ამ მომენტს და, არათუ მოემზადა 100-ათასიანი სარდინიის ჯარისგან თავდასაცავად, არამედ 60-ათასიანი არმიითურთ გადავიდა ტიჩინოზე (12 მარტი) და 23 მარტს ნოვარასთან სასტიკად დაამარცხა სარდინიის მეფე. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა კარლოს-ალბერტმა დაზავება შეთავაზა ფელდმარშალს, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ მან ტახტი თავის შვილს, სავოიის ჰერცოგს ვიქტორ-ემანუელ II-ეს გადაულოცა და პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც მალე აღესრულა კიდეც. 24 მარტს, დილით, ახალმა მეფემ მოლაპარაკება გამართა რადეცკისთან და ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო საბოლოო ზავს. ამ შეთანხმებით აღდგენილ იქნა ომამდელი საზღვრები, სარდინიის ფლოტი გაეცალა ადრიატიკის ზღვას, ხოლო მისმა ჯარმა დატოვა ტოსკანა, პარმა და მოდენა.

სარდინიის დამარცხებამ იტალიელთა ეროვნულ მისწრაფებებს წარმატების ყოველგვარი შანსი წაართვა, მაგრამ ტოსკანასა და საჰერცოგოებში დემოკრატები არ ნებდებოდნენ. ავსტრიელებმა დიდი დანაკარგების ფასად შეიძლეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა, ხოლო ლეოპოლდ II-ემ კონტრრევოლუციონერთა დახმარებით თავისი ძალაუფლება აღადგინა ფლორენციაში (ტოსკანას ტრიუმვირატი გუერაცის მეთაურობით დროულად რომ გაერთიანებულიყო რომის რესპუბლიკასთან, რეაქციული ძალები საჰერცოგოებში ვერ გაიმარჯვებდნენ.). ავსტრიელები 15 და 19 მაისს შევიდნენ ბოლონიასა და ანკონაში. დადგა რომის რესპუბლიკის ჯერიც, რომელსაც ავსტრიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ნეაპოლის ჯარები უტევდნენ. წმინდა ქალაქის დაცვის საქმეს ენერგიულად ხელმძღვანელობდა ჯ. გარიბალდი. მან სასტიკად დაამარცხა ნეაპოლის მეფის არმია პალესტრინთან (6 მაისი) და ველეტრისთან (15 მაისი), მისი მოხალისეები გმირულად ებრძოდნენ ფრანგი გენერლის ვიქტორ უდინოს არმიას, რომელსაც ერთი თვის მანძილზე ალყაში ჰყავდა რომი. 2 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ უაზრობად ჩათვალა წინააღმდეგობის გაწევა (რომს ავსტრიელები უახლოვდებოდნენ.) და გარიბალდელებმა დატოვეს წმ. პეტრეს ქალაქი (3 ივლისი). ამრიგად, საფრანგეთის რესპუბლიკის ხიშტების წყალობით რომში აღდგენილი იქნა პაპის ხელისუფლება. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტმა, რომელიც ერთ დროს „რევოლუციონერობდა“ და იტალიის განთავისუფლებისათვის იბრძოდა კარბონართა რიგებში, ბოლო მოუღო რომის რესპუბლიკას (ფრანგული გარნიზონი პაპის ძალაუფლებას 1870 წ-მდე იცავდა.) და იტალიის გაერთიანების საქმეს. გარიბალდიმ გადაწყვიტა დახმარებოდა ალყაში მოქცეულ ვენეციას და 4-ათასიანი რაზმით გაეშურა უკანასკნელი რესპუბლიკის გამოსახსნელად, მაგრამ გზადაგზა მას მრავალ წინააღმდეგობათა გადალახვა მოუხდა და უაღრესად შეთხელებული ჯგუფით ძლივს მიაღწია პიემონტს. ავსტრიელებმა ტყვედ ჩავარდნილი გარიბალდელები დახვრიტეს, მათ შორის რომაელ



ხელოსანთა წინამძღოლი ჩიჩეროვაკიო ორი შვილითურთ. გარიბალდის რომის მისადგომებთან უთანასწორო შეტაკებებში დაეღუპა საყვარელი ადამიანი, — მეუღლე ანიტა (ის ურუგვაელი იყო წარმოშობით.), მან იგი მიწას მიაბარა და პიემონტში მცირე ხნის პატიმრობის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა.

ვენეცია ერთი თვის განმავლობაში გმირულად ებრძოდა მოალყეებს, მაგრამ რომის რესპუბლიკის დაცემის შემდეგ მანინი რადეცკის ჯარებს დანებდა (22 აგვისტო).

ამრიგად, ვენეცია-ლომბარდიის სამეფოში კვლავ აღდგა ავსტრიელთა რეჟიმი, ხოლო სამეფოებსა და საჰერცოგოებში — მონარქთა მმართველობა. 1848-1849 წ.წ. რევოლუციამ ვერ გააერთიანა იტალია, რადგანაც:

1. ფეოდალურ-აბსოლუტისტურ რეჟიმებს დახმარება აღმოუჩინეს გარეშე ძალებმა;

2. იტალიის რევოლუციამ თავის ზენიტს მაშინ მიაღწია, როდესაც სხვა სახელმწიფოებში რევოლუციები უკვე ჩაახშეს და მათ არ შეეძლოთ დახმარების აღმოჩენა

3. იტალიელმა მონარქებმა და ლიბერალურმა წრეებმა ღალატი ჩაიდინეს (ჯარები არ მიაშველეს ერთმანეთს და არც ხალხი შეაიარაღეს.) და მახვილი ჩასცეს ზურგში გამაერთიანებელ მოძრაობას;

4. იტალიის რევოლუცია დაუმთავრებელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა და მის სათავეში მდგარი ბურჟუაზია, სახალხო მასების შიშით, არ ცდილობდა გამარჯვების ბოლომდე მიყვანას.

მართალია, რევოლუციის ჩახშობამ კიდევ რამდენიმე წლით გადადო ქვეყნის გაერთიანების საქმე, მაგრამ დამარცხებას არ გაუტეხავს იტალიელი პატრიოტების გმირული სული, პირიქით: გარიბალდიმ და სხვა რევოლუციონერებმა კარგი გამოცდილება მიიღეს, რაც შემდგომ ბრძოლებში ჩინებულად გამოადგათ.

## იტალიის გაერთიანება

1848-1849 წ.წ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ სარდინიის (პიემონტის) მეფის გარდა იტალიის თითქმის ყველა მონარქმა გააუქმა რევოლუციის პერიოდში მიღებული კონსტიტუციები. ბუნებრივია, პიემონტის ბურჟუაზია მადლიერების გრძნობით განეწყო ახალი მეფის ვიქტორ-ემანუელ II-ის (1820-1878) მიმართ, რომელმაც ლიბერალური კანონებიც შეინარჩუნა და რეაქციულ რეჟიმებს გამოქცეული პატრიოტებიც შეიფარა.

XIX ს. 50-იანი წლებიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საბოლოოდ გაფორმდა „იტალიის ერთმჭერქვეშ თავმოყრის“ ორი ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობა. პირველს წარმოადგენდნენ რევოლუციის გზით ცენტრალიზებული რესპუბლიკის შექმნის მომხრეები (მაძინი, გარიბალდი და სხვ.), ხოლო მეორეს — ბურჟუაზიის ზედაფენა და მისი მოკავშირე ლიბერალური თავადაზნაურები (ჯობერტი, ბალბო, დ'აზელიო და სხვები), რომლებიც პიემონტის მეთაურობით იტალიის ერთ სამეფოში კონსოლიდაციის პოზიციაზე იდგნენ. ამ პარტიას გრაფი კამილო ბენზო დი კავური (1810-1861) ხელმძღვანელობდა.

კავური დაიბადა ტურინში, პიემონტელი მემამულის ოჯახში. ახალგაზრდობაში იგი სამხედრო ინჟინრად მსახურობდა სარდინიის არმიაში, თადარიგში გასვლის შემდეგ ბევრს მოგზაურობდა და რუდუნებით ეუფლებოდა ეკონომიკურ საკითხებს.

1847 წ. კავურმა ჩეზარე ბალბოსთან (1789-1853) ერთად დააარსა

გაზეთი „რისორჯიმენტო“ (აღდგომა, აღორძინება), რომელშიც სულიერი აღზევებისკენ მოუწოდებდა იტალიელ ხალხს.

1849 წ. კავური სარდინიის პარლამენტის წევრია, ხოლო მომდევნო წლებში — ვაჭრობის, მიწათმოქმედებისა და ფინანსთა მინისტრი. 1852 წ. ვიქტორ-ემანუელმა მთლიანად დააკმაყოფილა მისი „უძღები“ და კანონიერი სურვილი, — იგი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

მტკივნეულად განიცადა რა ავსტრიასთან ომის სამარცხვინო წაგება, მთავრობის თავმჯდომარის პოსტის დაკავებისთანავე, კავურმა აპენინის ნახევარკუნძულიდან ჰაბსბურგთა გაძევების საშვილიშვილო საქმე იკისრა და ამ მისიას შეალია თავისი დარჩენილი სიცოცხლე. მან პიემონტი იტალიელთა „მეწინავე ხაზის მებრძოლად“ გამოაცხადა და, რაკი იცოდა, რომ ძლიერი მოკავშირის გარეშე ვერ შეძლებდა ავსტრიელთა გატოწობის მოსპობას, იმედის თვალი მიაპყრო ერთ პოლიტიკურ ფიგურას, რომლის სახელი ყველაზე მეტად ძულდათ იტალიელ რესპუბლიკელებს და რომლის თავზე არაერთგზის შემართულა მათი ხანჯალი.

ეს პოლიტიკური ფიგურა საფრანგეთის ახლად გამომცხვარი იმპერატორი ნაპოლეონ III იყო, — 1849 წ. რომის რესპუბლიკის დამამხობელი და პაპის საერო ძალაუფლებლის რესტავრატორი.

კავურმა თავის ეკონომიკურ მოღვაწეობაში ფრიტრედის (თავისუფალი ვაჭრობის) კურსი აირჩია, რითაც ინგლისისა და საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის გული მოიგო, ხოლო დიპლომატიურ სფეროში მან თავის შესაძლებლობებს გადააჭარბა: ყირიმის ომში 15-ათასიანი კორპუსი „მიაშველა“ ბრიტანეთ-საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტს და იტალიის გაერთიანებას მათთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების უამს დაუდო სათავე (1854 წ. აპრილი).

კავურს ავსტრიასთან მომავალ ომში წარმატების იმედი ჰქონდა და ამის საფუძველს ჰაბსბურგთა იმპერიის სრულ იზოლაციაში ყოფნა აძლევდა.[1] იგი არც მოკავშირის არჩევანში შემცდარა. მან (და მთელმა ევროპამ) კარგად იცოდა, რომ ნაპოლეონ III მუდამ ოცნებობდა ვენის კონგრესის გადაწყვეტილებათა ლიკვიდაციასა და მის მიერ გათიშული ხალხების (იტალიელების, გერმანელების და სხვ.) ეროვნულ სახემწიფოებში გაერთიანებაზე (30-იანი წლების დამდეგს თავად იბრძოდა იტალიის განთავისუფლებისათვის).[2] კავურმა ისიც იცოდა, რომ იმპერატორი სერიოზულად იყო შეშფოთებული იტალიელი პატრიოტების მიერ ბოლო წლებში მოწყობილი ტერორისტული აქტების და

[1] მართლაც, ლონდონისა და პარიზის კაბინეტები ძლიერ იყვნენ განაწყენებულნი ვენის სამეფო კარზე, რომელმაც ყირიმის ომის დროს, დაპირების მიუხედავად, მონაწილეობა არ მიიღო საომარ ოპერაციებში ნიკოლოზ I-ის წინააღმდეგ, თავის სასარგებლოდ დაიკავა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი დუნაისპირა სამთავროები (მოლდავეთი, ვალახეთი) და არ აპირებდა მათ დატოვებას (ავსტრიამ ნაპოლეონ III-ის ულტიმატუმების შემდეგ გაიყვანა იქიდან ჯარები 1857 წ.). სარდინიასთან გარდუვალ ომში ავსტრიის მთავრობას არც პრუსიის იმედი უნდა ჰქონოდა (ამ უკანასკნელს გერმანიის კავშირიდან ჰაბსბურგების გამოძევება და თავისი ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანება ამოძრავებდა) და, მითუმეტეს, არც რუსეთისა, რომელსაც დიდად ავნო ყირიმის ომში.

[2] მისი ეროვნულობის პრინციპი ბუნდოვან, ზერელე და დემაგოგიურ სამოსში იყო გახვეული, ნაპოლეონ III სიტყვით უჭერდა ამ პრინციპს მხარს, თორემ სინამდვილეში წინააღმდეგი იყო საფრანგეთის მეზობლად ერთიანი იტალიისა და გერმანიის შექმნისა.



მათი ხელიდან სიკვდილს ნახევარკუნძულის ავსტრიელებისაგან სწრაფ განმენდას ამჯობინებდა.[1]

კავურმა, „ამ იტალიის ბისმარკმა“, ხუთი თითივით შეისწავლა ნაპოლეონის ხასიათი, მისი სუსტი მხარეები და, თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, მთლიანად მიინდო ინტრიგებისა და ავანტიურების მოყვარული იმპერატორი. პიემონტის პრემიერი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ნაპოლეონი უანგაროდ არ დაეხმარებოდა ავსტრიასთან ომში, ამიტომ იგი ეკონომიკურად ძლიერი ლომბარდია-ვენეციის ოლქის განთავისუფლებისა და მისი სარდინიის სამეფოს შემადგენლობაში შესვლის საზღაურად მზად იყო საფრანგეთისათვის სავოია და ნიცა გადაეცა.

წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, 1858 წ. 20 ივლისს, პლომბიერში (კურორტია ვოგეზებში) ფარულად შეხვდნენ ერთმანეთს ნაპოლეონი (ის იქ იმყოფებოდა) და კავური, რომელიც „ალპების სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად“ ეწვია შვეიცარიას. მოლაპარაკებამ ორმოცდარვა საათს გასტანა და ისინი შეთანხმდნენ შემდეგზე:

— საფრანგეთი დაეხმარებოდა სარდინიას იტალიიდან ავსტრიელთა განდევნაში;

— სარდინიის სამეფო შეიერთებდა ლომბარდია-ვენეციის ოლქს, ხოლო საფრანგეთი პიემონტისგან მიიღებდა სავოიას და ნიცას;

— იტალია ჩამოყალიბდებოდა კონფედერაციაში, ანუ დამოუკიდებელი მონარქების კავშირში;[2]

— სარდინია საფრანგეთის სრული მზადყოფნისა და მისი სიგნალის შემდეგ დაიწყებდა ომს;

— კავური სასწრაფოდ შეხვდებოდა პრუსიის კრონ-პრინცს ვილჰელმს[3] და დააზუსტებდა მის პოზიციას ავსტრიასთან მოსალოდნელ ომში.

კავურმა შეთანხმების ბოლო პირობა. დროის დაუკარგავად შეასრულა: ბადენში შეხვდა პრუსიის რეგენტს და ტურინში იმ რწმენით დაბრუნდა, რომ ავსტრიის მხრიდან ომის გამოცხადების შემთხვევაში პრუსია თითსაც არ გაანძრევდა ვენის დასახმარებლად.[4]

[1] 1858 წ. 14 იანვარს იმპერატორს ნაღმი აუფეთქა ყოფილი რომის რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა ფელიჩე ორსინიმ. სიკვდილით დასჯის წინ ორსინიმ იღბლად გადარჩენილ ნაპოლეონ III-ს ბარათი გაუგზავნა, რომელშიც, მოინანია რა საქციელი, იტალიის განთავისუფლება შეავედრა. იმპერატორმა და კავურმა იტალიელი პატრიოტის წერილი თავიანთ ქვეყნებში გამოაქვეყნეს. ამით ნაპოლეონმა ორი კურდღელი მოკლა: იტალიელმა რესპუბლიკელებმა შეწყვიტეს მასზე „ნადირობა“, ხოლო თავის მხრივ საფრანგეთის მბრძანებელმა აგრძნობინა ევროპას, რომ არავის დაარჩაგვრინებდა ბონაპარტეთა „ოდინდელ სამშობლოს“ (ისინი ხომ ტოსკანადან იყვნენ!).

[2] კავური იძულებული გახდა მიეღო ეს პუნქტი. მისთვის მოცემულ სიტუაციაში მთავარზე მთავარი ავსტრიელთა იტალიიდან გაძევება იყო, დანარჩენს, პიემონტის მეთაურობით იტალიის ერთ სამეფოში გაერთიანებას, თავად „მოუვლიდა“.

[3] კრონ-პრინცი ვილჰელმი, შემდგომში გაერთიანებული გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ I, — უფროსი ძმის, მეფე ფრიდრიხ-ვილჰელ IV-ის, მძიმე (სულიერი) ავადმყოფობის გამო, რეგენტის მოვალეობას ასრულებდა. ოლმიუცში პრუსიის დამცირებისთვის მას სძულდა ჰაბსბურგები და თავისი მეგობრის, ოტო ფონ ბისმარკის მსგავსად სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობდა.

[4] პრუსია, როგორც გერმანიის კავშირის წევრი, ავსტრიაზე, ნებისმიერი სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, ვალდებული იყო დახმარებოდა ვენის სამეფო კარს და სრულიადგერმანული ჯარები დაეძრა გერმანელთა საერთო მტრის წინააღმდეგ.

გულდაიმედებულმა სარდინიის პრემიერ-მინისტრმა 1858 წ. ბოლო თვეები საომარ მზადებასა და ნაპოლეონ III-სთან მოლაპარაკებებში გაატარა. 1859 წ. დამდეგს კავური მზად იყო ომისთვის. მან ენერგიული მოქმედებისკენ მოუწოდა საფრანგეთის იმპერატორს, თან გააფრთხილა (უფრო სწორად, — დააშინა), რომ ვეღარ აკავებდა სალაშქროდ ამხედრებულ რესპუბლიკურ პარტიას. პიემონტის ჭკვიანმა პოლიტიკოსმა ზუსტად მოახედრა სამიზნეს: ნაპოლეონ III სერიოზულად შეაშფოთა ამ ინფორმაციამ და იანვრიდანვე დაიწყო ავსტრიის პროვოცირება (მასთან ურთიერთობის გაფუჭება)[1].

აპირებდა რა აპენინის ნახევარკუნძულის ავსტრიელებისაგან განთავისუფლებას, ნაპოლეონ III-ემ იტალიის პოლიტიკური მოწყობის საკუთარი გეგმა შეიმუშავა, სახელდობრ: 1. სარდინია მიიღებდა ლომბარდია-ვენეციის ოლქს, ხოლო საფრანგეთი — სავოიას და ნიცას; 2. ცენტრალურ იტალიაში მოდენა, პარმა, ტოსკანა და პაპის სალეგატოების დიდი ნაწილი გაერთიანდებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში, სადაც იმპერატორის ბიძაშვილი, პრინცი ნაპოლეონ-ჟერომი (ვესტფალიის ყოფილი მეფის, ჟერომ ბონაპარტეს შვილი და სარდინიის მონარქის სიძე) გამეფდებოდა; 3. ორივე სიცილიის (ნეაპოლის) სამეფო ტახტს დაიკავებდა პრინცი მიურატი (იმპერატორის მამიდაშვილი) ან, თუ ეს ვარიანტი არ გაამართლებდა, — იქ ძალაუფლებას შეინარჩუნებდა 1859 წ. გამეფებული ფრანჩესკო II, „მეფე-ყუმბარის“ (ფერდინანდ II ბურბონის) შვილი, — უბადრუკი პოლიტიკოსი; 4. პიუს IX უნდა დაჯერებოდა რომს და მის შემოგარენს.

არ იყო რა დაინტერესებული ძლიერი და ცენტრალიზებული იტალიის რესპუბლიკის შექმნით, საფრანგეთის იმპერატორს, უკიდურეს შემთხვევაში, დაშვებად მიაჩნდა იტალიის კონფედერაციის (დამოუკიდებელი მონარქების კავშირის) შეკოწიწება, რომლის საპატიო თავმჯდომარე იქნებოდა პაპი, ხოლო ფაქტიური მმართველი — ვიქტორ-ემანუელ II.

ამ გეგმას რომ ადგენდა, ნაპოლეონ III-მ მრავალთა შორის ორი გარემოება ვერ გაითვალისწინა, კერძოდ: მოისურვებდნენ კი ავსტრიის მომხრე იტალიელი მონარქები, რომის პაპი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რევოლუციონერები სარდინიის მეფისა თუ საფრანგეთის იმპერატორის „დუდუკზე ცეკვას“, ანდა ეყოფოდა ძალა იმ ხანძრის ჩასაქრობად, რომლის დანთებას თავად აპირებდა?

სულ მალე მისი გეგმის აბსურდულობა იტალიაში განვითარებულმა მოვლენებმა დაამტკიცეს.

პლომბიერის საიდუმლოს გამჟღავნებისთანავე ფრანც-იოზეფმა ჯარები შეიყვანა ლომბარდია-ვენეციის ოლქში. ამის პასუხად ვიქტორ-ემანუელ II-მ გამომწვევი, მეომრული ხასიათის სიტყვებით მიმართა პიემონტის პარლამენტს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ არავის დააჩაგვრინებდა იტალიელებს (1859 წ. 10 იანვარი).

9 თებერვალს პალატებმა დაამტკიცეს 50-მილიონიანი სესხი, რომელიც ქვეყნის დაცვას უნდა მოხმარებოდა.

[1] მიიღო რა რუსეთისა და პრუსიისაგან ნეიტრალიტეტის მკაცრი გარანტიები, ნაპოლეონ III-მ 1859 წ. 1 იანვარს, საახალწლო მიღებაზე, ავსტრიის ელჩს ბარონ ფონ ჰიუბნერს აშკარად აგრძნობინა, რომ ჩაერეოდა იტალიის საქმეებში („მწყინს, რომ თქვენს მთავრობასთან ჩვენი ურთიერთობები ნაკლებად მეგობრულია წინანდელთან შედარებით. გთხოვთ გადასცეთ თქვენს იმპერატორს, რომ ჩემი გრძნობები მის მიმართ არ შეცვლილა“.).



აპენინის ნახევარკუნძულზე დენთის სუნი დატრიალდა, მაგრამ რომელი მხარე გამოიჩენდა გამბედაობას ომის დასაწყებად? არც სარდინიას და არც საფრანგეთს პირველი არ უნდა გამოეცხადებინათ იგი.

ინგლისის კაბინეტი ყველაფერს აკეთებდა ომის ჩასაშლელად. დერბის ტორების მთავრობა ვერ გადაეღობებოდა ნაპოლეონ III-ს, რადგანაც თვით ინგლისში ძალიან პოპულარული იყო იტალიის საქმე, თანაც პარიზი დიდად დაეხმარა მას ჩინეთთან ომში და ტიანძინის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაში (1858). ლორდ დერბის ეჭვი არ ეპარებოდა საფრანგეთის იმპერატორის ანექსიონისტურ ზრახვებში (იგულისხმება მის მიერ სავოიის, ნიცისა და ბელგიის მიტაცების სურვილი) და ოფიციალური შუამავლობა შეთავაზა დაპირისპირებულ მხარეებს. იზოლაციაში მყოფმა ფრანც-იოზეფმა სიხარულით მიიღო ბრიტანეთის წინადადება და რუსეთის აზრის გამოთქმას დაელოდა. ალექსანდრე II-მ, რომელსაც ავსტრიის „დასჯა“ „წყუროდა“, ნაპოლეონის ჩაგონებით კონგრესის მოწვევის იდეა წამოაყენა. ვენის კარმა მოიწონა რუსეთის იმპერატორის წინადადება, თუმცა მოითხოვა, რომ კონგრესზე არ დაეშვათ სარდინია და, თუ მაინც დაუშვებდნენ, მასთან ერთად იტალიის ყველა მონარქიც (ისინი ხომ ავსტრიის გავლენის ქვეშ იყვნენ!) მოეწვიათ.

ავსტრიის მოთხოვნა კარგს არ უქადდა პიემონტს, ამიტომ კავურმა, გადაწყვიტა რა ჰაბსბურგთა წონასწორობიდან გამოყვანა, საომარი მოქმედების დაწყებისკენ მოუწოდა გარიბალდის და სხვა რევოლუციონერებს.

1859 წ. აპრილის პირველ რიცხვებში ფრანც-იოზეფმა საბოლოოდ „დაკარგა თავი“ და ომის გამოცხადება განიზრახა. მას სწამდა, რომ აიყოლიებდა მთელს გერმანიას, მაგრამ, ცდების მიუხედავად, მაინც ვერ მიიმხრო პრუსიის რეგენტი.

23 აპრილს ვენის კაბინეტმა ულტიმატუმი გაუგზავნა სარდინიის პრემიერს და მოთხოვა პიემონტის 3 დღეში განიარაღება. კავურსაც ეს უნდოდა: მან უხეშ მუქარას კატეგორიული უარით უპასუხა და 29 აპრილს ავსტრიამ ომი გამოუცხადა სარდინიის სამეფოს. იმავე დღეს ნაპოლეონმა ევროპას აუწყა, რომ დაეხმარებოდა ავსტრიის მსხვერპლს და, როგორც კი ავსტრიის ჯარებმა გადალახეს მდ. ტიჩინო, მან ალპების გავლით არმია შეიყვანა იტალიაში (30 აპრილი).

საფრანგეთის იმპერატორმა და კავურმა თავის მიზანს მიაღწიეს, — ავსტრიამ პირველმა დაიწყო ომი და პოლიტიკური თვალსაზრისით იგი უნდა წაეგო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ომი მოკავშირეთა წარმატებებით დაიწყო. 1859 წ. 30 მაისს ავსტრიელები დამარცხდნენ პალესტროსთან[1], 4 ივნისს მაჯენტასთან, ხოლო 24-ში — სოლფერინოსთან. 8 ივლისს ნაპოლეონ III და ვიქტორ-ემანუილი შევიდნენ მილანოში, სადაც ისინი ოვაციებით მიიღო ლომბარდიის ხალხმა.

გამარჯვებებით თავბრუდახვეულმა იმპერატორმა წამით დაივიწყა თავისი „კონფედერაციის გეგმა“ და ყველა იტალიელს პიემონტის მეფის დროშის ქვეშ გაერთიანებისა და სამშობლოს განთავისუფლებისაკენ („ალპების მთებიდან ადრიატიკის ზღვამდე“) მოუწოდა.

საფრანგეთის იმპერატორისათვის უაღრესად ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა: დერბი შეცვალა ვიგების ლიდერმა, პალმერსტონმა, ის კი იტალიის

[1] ავსტრიელებთან პირველ შეტაკებაში თავი ისახელა ჯ. გარიბალდიმ, რომელმაც კავურის მოწოდებით მსროლელთა რაზმები ჩამოაყალიბა და დაიკავა ბერგამო, ბრეშია და სხვა სტრატეგიული პუნქტები.

გაერთიანებას უჭერდა მხარს და განზრახ არ აპირებდა ავანტიურების მოყვარული ნაპოლეონ III-ის შეჩერებას[1]; მადიართა ბელადმა, ლაიოშ კოშუტმა, საფრანგეთის მბრძანებელს ავსტრიელთა ჯანყება აღუთქვა[2]; პრუსიის რეგენტმა ფრანკფურტის სეიმის გასაგონად განაცხადა, რომ საფრანგეთთან ომში მხოლოდ იგი ჩაუდგებოდა სათავეში საერთოგერმანულ ჯარებს და ხელსაყრელ მომენტში შეასრულებდა „შეიარაღებული შუამავლის“ როლს.

გერმანიაში პრუსიის ჰეგემონისტური ზრახვების დაუფარავმა ტონმა ნაწილობრივ გაანელა ავსტრიის იმპერატორისა და მისი მომხრე გერმანელი მონარქების მილიტარისტული (ანტიფრანგული) სულის სიმძაფრე[3], ხოლო პოლონეთში რუსეთის არმიების კონცენტრირებამ საბოლოოდ ჩააქრო იგი[4].

და ასეთ „კარგ ამინდში“ ნაპოლეონ III ყველასათვის მოულოდნელად (და თავისივე ინიციატივით) ტრიუმფის შუაგზაზე შეჩერდა.

რა მოხდა, რატომ დადგა და არ შეუტია მან „ოთხკუთხედში“ თავშეფარებულ ფრანც-იოზეფის დემორალიზებულ არმიას?

ამ კითხვას პასუხი იტალიელი ხალხის სცენაზე გამოსვლამ გასცა: ბრძოლებში გამარჯვებებმა ქვეყნის ყველა ნაწილის პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია, რომელიც სრულიად არ შედიოდა ნაპოლეონ III-ის გეგმებში. სახალხო მასების რევოლუციურმა მოძრაობამ და მათში უნიტარული რესპუბლიკის შექმნისათვის გაჩაღებულმა აგიტაციამ სერიოზულად დააფრთხო იმპერატორი.

რა ელონა დიდი ნაპოლეონის ძმისშვილს? ძალით დაპირისპირებოდა ხალხს, რომელსაც თავად მოუწოდა ბრძოლისაკენ და რომელმაც იგი განმათავისუფლებლის შარავანდედით შემოსა?

ნაპოლეონ III მიხვდა, რომ მისეულ კონფედერაციის გეგმას კრახი ემუქრებოდა, ამიტომ მუდამ მერყევი (ოპორტუნისტი) და ცბიერი იმპერატორი ღალატის გზას დაადგა: 11 აგვისტოს, ვილაფრანკაში, ყველასაგან მოულოდნელად და საიდუმლოდ, პირადად შეხვდა ავსტრიის იმპერატორს და მასთან წინასწარი დაზავება გააფორმა.

ამ უმსგავსო საქციელს კავურის გააფთრება და მისი დემონსტრაციული გადადგომა მოჰყვა. საფრანგეთის იმპერატორმა, კავურის სიტყვებით, მას „ღირსება აჰყარა“, მაგრამ დაიფიცა, რომ ყოველნაირად შეუშლიდა ხელს საზავო პირობების განხორციელებას. მან პროპაგანდის მეშვეობით ააჯანყა ტოსკანა, პარმა, მოდენა, რომის პაპის რომანია და ამ პროვინციებში სარდინიის სამეფოსთან გაერთიანების მომხრე მთავრობები შექმნა.

ნაპოლეონ III-ს სურდა გამაერთიანებელი ნიაღვარის შეჩერება, რისთვისაც აჩქარებდა ციურიხში (შვეიცარია) დაწყებული საზავო მოლაპარაკების მსვლელობას.

ზავის პირობების მიხედვით სარდინია მიიღებდა მხოლოდ ლომბარდიას, ხოლო ცენტრალური იტალიის პროვინციებში დაბრუნდებოდნენ ყოფილი მონარქები, თუ ამას მხარს დაუჭერდა ადგილობრივი მოსახლეობა.

იტალიის ყველა მონარქია შეადგენდა კონფედერაციას, რომელშიც ვენეციის სახელით შევიდოდა ავსტრიაც. აი, ასე გასწირა და შუაგზაზე მიატოვა ნაპოლეონ III-ემ „საყვარელი იტალიის“ გაერთიანების საშვილიშვილო საქმე!

„მათ მაიძულეს, დარჩენილი სიცოცხლე შეთქმულებებს მოვახმარო“, — განაცხადა კავურმა გადადგომისას და ბრძოლის გამწვავებისკენ მოუწოდებდა პატრიოტული მოძრაობის ბელადებს.

* * *

პიემონტის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ურბანო რატაცი, რომელიც კავურის აჩრდილიც არ იყო, ხალხის ზემოქმედების შედეგად უარი განაცხადა კონფედერაციაში შესვლაზე, რადგანაც იქ ავსტრიაც იქნებოდა.

ამასობაში ცენტრალური იტალიის პროვინციათა მთავრობებმა ჩაატარეს რეფერენდუმები, რომლებმაც პიემონტთან გაერთიანების მოწოდებას მოუტანეს წარმატება. რესპუბლიკელთა ლიდერებმა (მაძინიმ, გარიბალდიმ და სხვ.) თავიანთი იდეალები მსხვერპლად შესწირეს იტალიის ერთ სამეფოში თავმოყრის საქმეს და ვიქტორ-ემანუელ II-ის მხარეზე გადავიდნენ. გარიბალდი ტოსკანადან რომზე ლაშქრობისათვის მოემზადა, მაგრამ რომანიისა და ტოსკანას დიქტატორმა ფარინიმ ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე: კლერიკალური პარტიის ქომაგი ნაპოლეონ III არ დაუშვებდა პაპის ძალაუფლების ხელყოფას (რომში ჯერ კიდევ იმყოფებოდა ფრანგთა გარნიზონი) და სარდინიას დაუპირისპირდებოდა.

პიემონტის საზოგადოებრიობა გაბედულ მოქმედებას მოითხოვდა, ამიტომ 1860 წ. 16 იანვარს ვიქტორ-ემანუელმა პრემიერად კვლავ დანიშნა კავური. მეფის ეს ნაბიჯი ნაპოლეონსაც მოეწონა. ის მიხვდა, რომ ცენტრალური იტალია დღე-დღეზე შეუერთდებოდა პიემონტს და პაპის სალეგატოებისთვის თავის გამოდება სათუოს გაუხდიდა ნიცა-სავოიის მიღებას, ამას კი ფრანგები არ აპატიებდნენ (იტალიელი პატრიოტების განრისხების შიშით ვერც გაუბედავი რატაცი დაუთმობდა მას ამ პროვინციებს. ამიტომ გაეხარდა იმპერატორს ყოფილი მოკავშირის დაბრუნება). შექმნილ სიტუაციაში ნაპოლეონ III-მ სწორი სვლა გააკეთა: პაპს შეუთვალა, რომ ვეღარ დაეხმარებოდა რომანიის, ფერარისა და ბოლონიის უკან მიღებაში.

კავურმა ისარგებლა ვითარებით და საპარლამენტო არჩევნები ჩაატარა იტალიის ორივე ნაწილში. ხალხმა, ბუნებრივია, ხმა მისცა მას, როგორც ქვეყნის გაერთიანების მედროშეს. ნაპოლეონ III-მ ყასიდად დაგმო ეს „თვითნებობა“, მაგრამ კავურმა, მიიღო რა პალმერსტონის მხარდაჭერა, პლომბიერის გარიგების შესრულებით „გაანელა“ იმპერატორის „გაფთრება“, ხოლო ცენტრალური იტალია სარდინიის სამეფოს შეუერთა.

---

[1] პალმერსტონს საფრანგეთის მეზობლად უნიტარული და ძლიერი იტალია „აწყობდა“.

[2] ნაპოლეონ III-ს კოშუტთან დაახლოება ავსტრიის დასაშინებლად ჭირდებოდა, თორემ თავადაც იცოდა, რომ პოლონეთის მეზობელ უნგრეთში რუსეთის იმპერატორი არ დაუშვებდა რევოლუციას.

[3] ფრანც-იოზეფმა პრინც-რეგენტს შეახსენა გერმანელთა მოვალეობა ურთიერთდახმარებაზე, მაგრამ ბერლინმა მას აგრძნობინა, რომ გერმანიის კავშირის ვალდებულებები არ ვრცელდებოდნენ იტალიაზე. თანაც ვილჰელმის კატეგორიულმა განცხადებამ პრუსიის ჰეგემონისტურ მისიაზე საბოლოოდ დაარწმუნა ვენა იმაში, რომ ავსტრია ვერ მიიღებდა დახმარებას პრუსიისაგან, და რომ აჯობებდა სარდინიისათვის დაეთმო ლომბარდია, ვიდრე პრუსიისთვის მთელი გერმანია.

[4] რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მ. გორჩაკოვმა 27 მაისს გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიც ხაზგასმით მიუთითა იმაზე, რომ, თუ სეიმი თავს დაესხმოდა საფრანგეთს, რუსეთის არმია დაუყოვნებლივ შეიჭრებოდა გერმანიაში. ვფიქრობთ, აქ ბისმარკის ხელი ერია: ის იმ დროს პრუსიის ელჩი იყო ს. — პეტერბურგში და მას, როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიიდან ავსტრიის გამოძევება და პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანება ამოძრავებდა.

1860 წ. 24 მარტს კავურმა და საფრანგეთის წარმომადგენელმა ბენედეტიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით სავოიასა და ნიცაში ჩატარდებოდა პლებისციტი და ვოტუმის შემთხვევაში ორივე პროვინცია საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდოდა[1]. მართლაც, სახალხო გამოკითხვამ (22 და 25 აპრილი) სავოია და ნიცა ნაპოლეონ III-ეს არგუნა.

ტურინის პარლამენტში ოპოზიციამ (რატაცი და სხვ.), ხოლო მის გარეთ გარიბალდიმ[2] (ის ხომ ნიცელი იყო) ღალატში ამხილეს კავური, მაგრამ პრემიერმა პლებისციტის შედეგების მოშველიებით შეძლო თავისი პოლიტიკის დაცვა.

ინგლისის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა 1815 წ. ტრაქტატების დარღვევის გამო, მაგრამ მას არათუ პეტერბურგმა და ბერლინმა, ვენამაც არ დაუჭირა მხარი.

იტალიის გაერთიანების საქმეს კარგი პირი უჩანდა: სიცილიაში მაძინისტებმა (ფრანჩესკო კრისპიმ) ჩამოაყალიბეს რევოლუციური პარტია და მთელი კუნძული აჯანყებისთვის მოამზადეს. 1860 წ. 10 აპრილს აჯანყებამ იფეთქა პალერმოში, მაგრამ იგი სასტიკად ჩაახშო ფრანჩესკო II-ის ჯარმა. მაშინ მაძინიმ დახმარებისათვის მიმართა გარიბალდის, რომლის სახელი იმ დროს მთელს იტალიაში ქუხდა. ხალხის ქომაგმა და დიდმა პატრიოტმა გაიწყვიტა ლაშქრობის მოწყობა სიცილიაზე, ოღონდ ერთის პირობით: ის იბრძოლებდა ლოზუნგით „იტალია და ვიქტორ-ემანუელი!“ მიუხედავად რესპუბლიკური მრწამსისა, გარიბალდიმ საღად განჭვრიტა: შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ მონარქიას შეეძლო იტალიის გაერთიანება. მაძინიმ დათმო და მეგობრებთან ერთად შეკრებისაკენ მოუწოდა პატრიოტებს[3].

კავურმა „დაგმო“ ექსპედიციის მოწყობა (ევროპის თვალში თავიდან აიცილა პასუხისმგებლობა, — გარიბალდი ხომ სარდინიის ჯარების გენერალი იყო, ხოლო სიცილია — ნეაპოლელი ბურბონების სამფლობელო!), ფარულად კი იარაღით და საბრძოლო მასალით ამარაგებდა გარიბალდის.

1860 წ. 5 მაისს გარიბალდის ათასეული (წითელხალათიანი ლეგიონერები) გენუაში ხომალდებზე მოთავსდა და გეზი სიცილიისაკენ აიღო. ევროპის მონარქებმა განგაში ატეხეს და კავურს საპროტესტო ნოტები გაუგზავნეს, მაგრამ პიემონტის მოხერხებულმა დიპლომატმა თავი იმართლა იმ მოტივით, რომ გარიბალდი თვითნებურად მოქმედებდა, და რომ მას, კავურს, არ შეწევდა ძალა მის „მოსადრეკად“.[4]

11 მაისს წითელხალათიანები გადასხდნენ კუნძულზე, მარსალში, სადაც მათ აჯანყებული სიცილიელები შეუერთდნენ.

15 მაისს კალატაფიმთან გარიბალდელებმა სასტიკად დაამარცხეს ნეაპოლის მეფის ჯარი, რომელსაც რიცხობრივი უპირატესობა გააჩნდა. 28 მაისს გარიბალდიმ კვლავ გაიმარჯვა და ზეიმით შევიდა პალერმოში. აჯანყება

[1] კავურმა წინასწარ იცოდა მოსახლეობის აზრი და პლებისციტი იტალიელ პატრიოტთა წინაშე თავის მართლებისათვის ჩაატარა. „აი, ჩვენ ორივენი მოღალატეები ვართ“, — ეს სიტყვები ჩასჩურჩულა მან ბენედეტის ყურში შეთანხმებაზე ხელის მოწერისას.

[2] ვიქტორ-ემანუელმა გარიბალდის აგრძნობინა, რომ მანაც დაკარგა წინაპრების სამშობლო, — სავოია, და დაკარგა სრულიად იტალიის საკეთილდღეოდ.

[3] მან განაცხადა, რომ გარკვეულ დრომდე მხარს დაუჭერდა პიემონტის მონარქს.

[4] კავურმა ნაპოლეონ III დააშინა იმით, რომ მისგან გარიბალდის ძალით შეჩერება მთელს იტალიაში რევოლუციას, ვიქტორ-ემანუელის დამხობასა და უნიტარული რესპუბლიკის შექმნას გამოიწვევდა.



მთელს სიცილიაზე გავრცელდა, რამაც შიშის ზარი დასცა ფრანჩესკო II-ეს. გამოუვალ სიტუაციაში მყოფმა ბურბონმა ხელისუფლება ლიბერალებს გადასცა და ნეაპოლის მოსახლეობას კონსტიტუციის მიღება აღუთქვა. მან დახმარებისთვის მიმართა ნაპოლეონ III-ს, მისგან კი ასეთი შინაარსის პასუხი მიიღო:

„მე არ შემიძლია ძალის გამოყენებით სახალხო მოძრაობის შეჩერება. ევროპიერმა იტალიელებმა კარგად იციან, რომ მე არ დავუპირისპირდები მათ მას შემდეგ, რაც რომ ფრანგებმა სისხლი დაღვარეს იტალიის განთავისუფლებისათვის. ძალა ხალხის მხარეზეა, იგი უძლეველია და საჭიროა მის წინაშე იარაღის დაყრა“. მან ნეაპოლის მონარქს ურჩია, ხელი აეღო სიციალიაზე და კავშირი დაემყარებინა სარდინიასთან.

კავური საგონებელში ჩავარდა: ნეაპოლის მეფესთან დაახლოება იტალიის გაერთიანების საქმეს დაღუპავდა, კავშირის უარყოფით კი ევროპას გადაიმტერებდა. მან პირველი აირჩია და მისი თხოვნით ვიქტორ-ემანუელმა გარიბალდის ნეაპოლის მიწაზე გადმოსხდომა და ფრანჩესკო II-ის წინააღმდეგ ლაშქრობა აუკრძალა.

გარიბალდი არ დაემორჩილა თავის „საყვარელ მეფეს“ და 27 ივნისს აცნობა შემდეგი: „იტალიაში შექმნილი მდგომარეობა, კიდეც რომ მსურდეს, არ მაძლევს უფლებას, დაგმორჩილდეთ. ნება მიბოძეთ, ამ ერთხელ არ ვიღო ყურად თქვენი ბრძანება, მაგრამ, როგორც კი მოვიხდი ჩემს ვალს და ხალხს საძულველი უღლისაგან გავათავისუფლებ, ჩემს დაშნას თქვენს ფერხთ დავდებ და მომავალში თქვენი ნება-სურვილის აღმსრულებელი ვიქნები“.

კავურს ერთი რამ აშინებდა კიდევ: სიცილიაზე ლაშქრობისას გარიბალდი მთლიანად მაძინისტებით იყო გარშემორტყმული და მათი ჩაგონებით შეეძლო ნეაპოლის განთავისუფლების შემდეგ რომზე აეღო გეზი. ამ შემთხვევაში იტალიის განთავისუფლებას რესპუბლიკელები დააგვირგვინებდნენ და მონარქიის შექმნის პერსპექტივას დაასამარებდნენ. ამიტომ მან მოლაპარაკება გააგრძელა ფრანჩესკო II-ესთან, ფარულად კი მის სამეფოში ისეთი ჯანყების გამოწვევას ლამობდა, რომელიც დიქტატორად გარიბალდის ნაცვლად ვიქტორ-ემანუელს აღიარებდა.

კავურის ზრახვები ჩაიშალა: ფრანჩესკო II-ემ თავიდან მოიცილა ოპოზიცია (კავურისტები) და აწლა იტალიის გაერთიანების ბედი მხოლოდ გარიბალდის უნდა გადაეწყვიტა.

მართლაც, 19 აგვისტოს ის გადმოვიდა ნახევარკუნძულზე და სწრაფი სვლით დაიძრა ნეაპოლისკენ. საფრანგეთ-ინგლისის კაბინეტებმა პროტესტი განაცხადეს და აგრძნობინეს სარდინიის პრემიერ-მინისტრს, რომ არაკანონიერად ჩათვლიდნენ გარიბალდის შეჭრას რომისა და ვენეციის საზღვრებში. მაგრამ რევოლუციის გაქანების იმ სტადიაში გარიბალდის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

7 სექტემბერს სახალხო გენერალი ზეიმით მიიღეს ნეაპოლში, საიდანაც წინადღით გაიქცა თავგზააბნეული ბურბონი (მან დემორალიზებულ „არმიას“ თავი მოუყარა მდინარე ვოლტურნოზე და იქ გამაგრდა).

გარიბალდიმ რესპუბლიკელებისგან ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა და განაცხადა, რომ რომის დაკავების შემდეგ ვატიკანის მაღლობიდან იტალიის მეფედ ვიქტორ-ემანუელს გამოაცხადებდა.

[1] ნაპოლეონ III არასოდეს არ ყოფილა გულწრფელი, როდესაც თავი იტალიელთა ინტერესების დამცველად მოჰქონდა. პირიქით, მისმა ჯარმა დაამარცხა გარიბალდი რომთან და ამით ხელი შეუშალა იტალიის საბოლოო გაერთიანებას. ამაზე ქვემოთ.

ნეაპოლში მაძინის ჩასვლამ და რესპუბლიკელთა გავლენის ზრდამ შეაშფოთა კავური. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. მან შეკრიბა პიემონტის არმია ენრიკო ჩიალდინის სარდლობით და, სანამ ავსტრია ჯარებს გამოგზავნიდა ვენეციის ოლქიდან, სამხრეთისკენ დაძრა, რათა გარიბალდიზე ადრე დაეკავებინა პაპის სამფლობელოები[1]. მან დიპლომატის ტაქტით ნაპოლეონ III-ეს „აუხსნა“ პაპის ოლქისკენ არმიის გაგზავნის მოტივები. საფრანგეთის იმპერატორი თავგამოდებით იცავდა პიუს IX-ის ინტერესებს (მას ფრანგი კლერიკალების იმედი ჰქონდა მოახლოებულ არჩევნებში და ისინი არ აპატიებდნენ პაპის მიტოვებას) და ცდილობდა არ დაეშვა რესპუბლიკელების მიერ წმ. პეტრეს ქალაქის დაკავება. ამიტომ მან მოიწონა კავურის გეგმა და შეთანხმოუთვალა, — ემოქმედა სწრაფად (presto), რითაც მწვანე შუქი მისცა პიემონტის ხელში სამხრეთ იტალიის გადასვლას.

მაგრამ ჩიალდინის გზა გადაუღობა პაპის დაქირავებულმა ჯარმა, რომელსაც ფრანგი ლეგიტიმისტი (ბურბონობის მომხრე და ბონაპარტეთა დინასტიის მოწინააღმდეგე) ლამორისიერი სარდლობდა. პიემონტელებისთვის ამ ხროვის დამარცხება იოლი საქმე აღმოჩნდა: კასტელფიდარდოსთან ჩიალდინიმ თოფის გასროლისთანავე გაფანტა იგი (18 სექტემბერი). ათიოდე დღის შემდეგ ვიქტორ-ემანუელის არმიამ დაიკავა ანკონა, ხოლო ოქტომბრის დამდეგს რომის გვერდის ავლით (იქ ფრანგების ძლიერი გარნიზონი იცავდა პაპს) ნეაპოლის საზღვრებს მიაღგა. მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლის მეფე არ ეომებოდა პიემონტს, არც ვიქტორ-ემანუელმა („მონარქმა-ჯენტლმენმა“) და არც კავურმა უკან არ დაიხიეს და 2 ოქტომბერს ტურინის პარლამენტს მიაღებინეს გადაწყვეტილება პიემონტის ჯარების მიერ დაკავებული პაპის პროვინციებისა და ორივე სიცილიის (ნეაპოლის) სამეფოს შეერთებაზე. ამ ზომებში კავურს აღარ აშინებდა გარიბალდი: ის სექტემბრის ბოლოს რამდენჯერმე დამარცხდა ვოლტურნოს ნაპირებზე და, თუ გაიმარჯვა, გაიმარჯვა პიემონტის ჯარის დახმარების შედეგად (1 ოქტომბერი). 9 ოქტომბერს ჩიალდინის არმია შევიდა ნეაპოლის პროვინციებში. ორივე სიცილიის სამეფოში ჩატარებულმა პლებისციტმა ვიქტორ-ემანუელ II თავის მონარქად სცნო (21 ოქტომბერი). გარიბალდიმ ძალაუფლება ნეაპოლში შესულ მეფეს გადასცა (7 ნოემბერი), თავად კი პალერმოსაკენ გაეშურა. ამასობაში ფრანჩესკო II გაძაგრდა გაეტაში და ევროპას თავს ავედრებდა, მაგრამ ამაოდ, რადგანაც არც ერთ დიდ სახელმწიფოს ხელი არ გამოუღია პიემონტის წინააღმდეგ. 1861 წ. 13 თებერვალს ზღვიდან და ხმელეთიდან ბლოკირებული გაეტა დანებდა პიემონტის შეიარაღებულ ძალებს, ხოლო ფრანჩესკო II-ემ თავი შეაფარა რომს, პიუს IX-ის კალთას.

18 თებერვალს შეიკრიბა იტალიის პირველი პარლამენტი, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ ვიქტორ-ემანუელი იტალიის მეფედ გამოაცხადა. თუმცა გაერთიანებულ იტალიას რომი და ვენეცია აკლდა, დიდი მინისტრი, მაინც არ კარგავდა იმის იმედს, რომ მომავალი გაასრულებდა მის დაწყებულ დიად საქმეს. ამიტომ მან, დაყოვნების გარეშე, რომი იტალიის დედაქალაქად გამოაცხადა (27 მარტი).

იტალიის რევოლუცია დამთავრდა, ან თითქმის დამთავრდა, მაგრამ მის საბოლოო შედეგს კავური ვერ მოესწრო: 1861 წ. 6 ივნისს იგი გარდაიცვალა და თავისი სიკვდილით მთელი იტალია დაამწუხრა. კავურის საქმის გაგრძელება გარონმა რიკასოლიმ (1806-1880) იკისრა. მან ნაპოლეონ III-ის შუამავლობით სცადა პაპთან შერიგება, მაგრამ ჯიუტი პიუს IX და მისი მრჩევლები (მაგ. სახელმწიფო მდივანი ანტონელი) კატეგორიულად უარყოფდნენ კომპენსაციებს პაპის მიერ საერო ძალაუფლების დათმობის შემთხვევაში. ამ „non possumus“ („არ შეგვიძლია“) ააღელვა მთელი იტალია. რეგოლუციური პარტია საბრძოლველად მოემზადა: გარიბალდიმ დაიწყო პატრიოტების შეგროვება რომზე სალაშქროდ. რიკასოლი განზრახ ხუჭავდა თვალს ამაზე (თავს იკატუნებდა, თითქოს ვერაფერს ხედავდა), ამიტომ მას ზურგი შეაქცია საფრანგეთის იმპერატორმა და დაიჭარა მისი შეცვლა რატაცის მთავრობით (1862 წ. მარტი). სარგებლობდა რა ნაპოლეონ III-სა და ვიქტორ-ემანუელის მხარდაჭერით, რატაციმ განაცხადა, რომ არ დაუშვებდა რევოლუციური მოძრაობის გაქანებას და რომისა და ვენეციის საკითხს მოლაპარაკების გზით გადაწყვეტდა. მართლაც, სამეფო ჯარმა გზა გადაუჭრა სიცილიიდან გადმოსულ გარიბალდის (იგი პაპის ოლქისკენ მიეშურებოდა) და დაატყვევა ფესვში დაჭრილი ეროვნული გმირი[1]. მისი მცირერიცხოვანი რაზმი მაშინვე გაიფანტა, ხოლო გარიბალდი გადაიყვანეს სპეციაში და მალე გაათავისუფლეს. მაგრამ გარიბალდელთა დამარცხებით გახარებულმა ნაპოლეონ III-მ მაინც უარყო რატაცის თხოვნა რომის თაობაზე და ამით საბოლოოდ გააცივა იტალიასთან ახლო მეგობრობა.

თავიდან აიცილა რა რევოლუციური გზით იტალიის საბოლოო გაერთიანება და ევროპის დიდი სახელმწიფოების დემარშები (შეიძლება ინტერვენციაც), ვიქტორ-ემანუელ II-ის მთავრობა სამხედრო-დიპლომატიური მანევრებით ცდილობდა საშვილიშვილო საქმის განხორციელებას.

1866 წ., ვენეციის განთავისუფლების მიზნით, მან მიიღო ბისმარკის (ის 1862 წლიდან პრუსიის მთავრობას ხელმძღვანელობდა) წინადადება სამხედრო კავშირის დამყარებაზე ავსტრიის წინააღმდეგ. გარიბალდიმ, რომელსაც ჩააბარეს მოხალისეთა კორპუსი, ავსტრიელებს დიდი ზიანი მიაყენა ტიროლში და აიძულა უკან დაეხიათ. მაგრამ რეგულარული არმია, უნიჭო სარდლების „წყალობით“, სასტიკად დამარცხდა კუსტოცასთან, ხოლო ფლოტი— ადრიატიკაზე, ლისის კუნძულთან. ამის გამო იტალიამ ვენეციის მიღების დამამცირებელი პროცედურა გადაიტანა: პრუსიელთაგან განადგურებულმა ავსტრიამ ვენეცია ნაპოლეონ III-ეს გადასცა, მან კი ვიქტორ-ემანუელ II-ს.

ვენეციის შემოერთების შემდეგ გარიბალდი 1867 წ. შემოდგომაზე მცირერიცხოვანი რაზმით შეიჭრა პაპის ოლქში რომის დასაკავებლად, მაგრამ 3 ნოემბერს მენტანასთან პაპისა და ფრანგების რეგულარულ ჯარს გადააწყდა. „წითელხალათიანების“ ბელადი დამარცხდა[2]. პაპის ოლქის ტერიტორია დაიკავეს პიემონტის მთავრობის ჯარებმა. ვიქტორ-ემანუელის მთავრობამ მენტანასთან გამარჯვებულის გულის მოსაგებად დააპატიმრა გარიბალდი და კუნძულ კაპრერაზე გადაასახლა.

1870 წ., როდესაც დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი, საფრანგეთის კორპუსი გაწვეულ იქნა რომიდან. ნაპოლეონ III-ის იმპერიის დამხობისთანავე იტალიის არმია შევიდა რომში (20 სექტემბერი), რომელიც 1871 წ. ზაფხულიდან იტალიის დედაქალაქი გახდა[3]. პაპმა, შეინარჩუნა რა ვატიკანის სასახლე, იტალიის სახელმწიფოს „შუღმივ ტყვედ“ გამოაცხადა თავისი „თავი.

---

[1] მართალია, ჯ. გარიბალდი ვიქტორ-ემანუელის ინტერესებს იცავდა, მაგრამ დემოკრატების მოთხოვნით ის აჭიანურებდა პლებისციტის ჩატარებას სამხრეთ იტალიისა და სარდინიის სამეფოს გაერთიანების სასარგებლოდ (მის ჩატარებას რომის დაკავების შემდეგ აპირებდა).

[1] „შეხვედრა“. შედგა ასპრომონტესთან (29 აგვისტო).

[2] „პაპის თოფები სასწაულს ახდენდნენ“ — წერდა ფრანგი გენერალი.

[3] მანამდე მთავრობა ტოსკანას დედაქალაქში, ფლორენციაში იმყოფებოდა.

ასე დამთავრდა იტალიელი ხალხის მრავალწლიანი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის; ივი დაიწყეს მშრომელმა მასებმა, მაგრამ მისი გაერთიანება ლიბერალურმა მსხვილმა ბურჟუაზიამ და თავადაზნაურობამ დაამთავრეს. „სავოიის დინასტია,—წერდა ენგელსი,—შეუერთდა რევოლუციას და მითვისა იტალიის გვირგვინი“.

გაერთიანებას არ გადაუწყვეტია ბურჟუაზიული რევოლუციის ყველა ამოცანა: კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობდა, რის გამოც ქვეყანაში შენარჩუნებული იქნა მონარქია და შემამულური მიწათმფლობელობა.

### ბიბლიოგრაფია


1. Гарибалди Дж. Мемуары. М., 1966.
2. Лурье А. Гарибальди. М., 195?
3. Дебидур А. Дипломатическая история Европы. Т. I-II. М., 1947.
4. Новая история. Первый период. М., 1986.
5. Гельмольт. История человечества. Т. VIII
6. История XIX века (Лависс и Рамбо). Т.т. 3, 4, 5.


## ესპანეთი 1815-1870 წლებში

### 1820-1823 წ. წ. რევოლუცია ესპანეთში

#### რევოლუციის წინ

1814 წ. ძველი, ტრადიციული რეჟიმის აღდგენამ ესპანეთის საზოგადოებაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის გამწვავება გამოიწვია.

კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება ქვეყანაში ბურჟუაზიული რეფორმების გატარებას მოითხოვდა. XIX ს. დამდეგს გაიზარდა მანუფაქტურების რიცხვი და მათ ფეხი მოიკიდეს ისეთ დარგებში, როგორიცაა ბამბეულის, მაუდის, აბრეშუმისა და რკინის წარმოება. მრეწველობაში დაწინაურდა და მის უმსხვილეს ცენტრად იქცა კატალონია. მანუფაქტურაში გაბატონებული იყო გაფანტული მანუფაქტურა: მუშები შრომობდნენ როგორც მეპატრონის საამქროში, ასევე ბინაზე.

ქვეყნის ეკონომიკაში მთავარი პოზიცია კოლონიურ ვაჭრობას ეკავა: ლათინური ამერიკის კოლონიები ესპანეთის საფეიქრო ნაწარმის გასაღების ბაზარს და სამამულო მრეწველობის ნედლეულით მომარაგების წყაროს წარმოადგენდნენ.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას მრავალი დაბრკოლება ელობებოდა, მათ შორის მთავარი იყო: სოფლად ფეოდალური ბაზისის სიმყარე, გლეხთა არნახული ჩაგვრა, ეკლესიის ძალმომრეობა, გადასახადებისა და საშინაო ბაჟების სიმრავლე, სახალხო მასების სიბნელე (გაუნათლებლობა), ბურჟუაზიის პოლიტიკური სისუსტე და ბრძოლაში გამოუცდელობა.

ასე რომ, რევოლუციურ მოძრაობაში მთავარი როლი ლიბერალურ აზნაურობას და მისი წიაღიდან გამოსულ პატრიოტულ ოფიცრობას უნდა ეთამაშა. 1814-1819 წ. წ. არმიაში დაარსდა მასონური ტიპის ფარული საზოგადოებები. შეთქმულების მონაწილენი—ოფიცრები, იურისტები, ვაჭრები, მეწარმენი—მიზნად ისახავდნენ სამხედრო გადატრიალებას და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას.



#### რევოლუციის დაწყება

ესპანეთში ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისს ბიძგი მისცა ლათინურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ომმა. ესპანეთისათვის ამ მძიმე და წარუმატებელმა ომმა საბოლოოდ დასცა აბსოლუტიზმის ავტორიტეტი და ლიბერალური ოპოზიციის ზრდა გამოიწვია.

გადატრიალების ცენტრად კადისი იქცა, რომლის შემოგარენში დაბანაკებული იყვნენ ლათინურ ამერიკაში გასაგზავნი ჯარები.

1820 წ. 1 იანვარს აჯანყდა არმია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ოფიცრები რაფაელ რიეგო და კიროგა. მათ მიზანს 1812 წ. კონსტიტუციის აღდგენა შეადგენდა. რევოლუციურმა ჯარებმა ვერ აიღეს კადისი და, მოსახლეობის მიმხრობის მიზნით, რიეგომ რეიდი განახორციელა ანდალუსიაში, მაგრამ მის რაზმს კვალდაკვალ დაედევნა როიალისტთა ჯარი და ორთვიანი რეიდის ბოლოს რიეგოს მხოლოდ 20 კაცილა შემორჩა. რიეგოს აჯანყებამ მთელი ქვეყანა გამოაღვიძა. მალე მღელვარებამ მსხვილი ქალაქები მოიცვა. 6-7 მარტს ხალხი მადრიდის ქუჩებში გამოვიდა. ასეთ ვითარებაში ფერდინანდ VII იძულებული გახდა აღედგინა 1812 წ. კონსტიტუცია, მოეწვია კორტესები და პირობა დაედო ინკვიზიციის გაუქმებაზე. მეფემ დანიშნა ახალი მთავრობა, რომელიც ზომიერმა ლიბერალებმა „მოდერადოს“, შეადგინეს.

დაწყებულმა რევოლუციამ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაითრია ქალაქის მოსახლეობის ფართო წრეები. 1820 წ. გაზაფხულზე ყველგან შეიქმნა „პატრიოტული საზოგადოებები“, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიულ ევარდაქმნებს. „პატრიოტული საზოგადოებები“ პოლიტიკური კლუბების როლს თამაშობდნენ, რომლებშიც მონაწილეობდნენ მეწარმენი და ვაჭრები, ინტელიგენცია, სამხედროები, ხელოსნები. იმავდროულად ქალაქებში ჩამოაყალიბეს კონტრრევოლუციასთან მებრძოლი ეროვნული მილიციები. რევოლუციური ჯარები შევიდნენ ე. წ. „მეთვალყურეობის“ არმიის შემადგენლობაში, რომელსაც რიეგო მეთაურობდა. ამ არმიაში, საზოგადოებებსა და ეროვნულ მილიციებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ რადიკალური ლიბერალები, ანუ ე. წ. „ეკსალტადოს“.[1] მათ ხელმძღვანელობდნენ აჯანყების მონაწილე რიეგო, კიროგა, სან-მიგელი და სხვები. „ეკსალტადოს“ მოითხოვდნენ აბსოლუტიზმის მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლას და 1812 წლის კონსტიტუციის პრინციპების თანმიმდევრულად გატარებას. 1820-1822 წლებში „ეკსალტადოს“ ქალაქის მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით სარგებლობდნენ. რევოლუციამ გამოძახილი ჰპოვა სოფელშიც: ბევრ რაიონში გლეხები უარს ამბობდნენ გადასახადზე. ასე რომ, აგრარული საკითხი პოლიტიკური ბრძოლის წინა პლანზე დადგა.

#### ბურჟუაზიული გარდაქმნები

ზომიერთა („მოდერადოს“) სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. გაუქმდა ამქრული სისტემა, შინა ბაჟები, მონოპოლიები მარილსა და თამბაქოზე, გამოცხადდა ვაჭრობის თავისუფლება, დაიხურა რელიგიური ორდენები და ზოგიერთი მონასტერი, მათი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და გაყიდვას დაექვემდებარა. გაუქმდა მაიორატი, ამიერიდან თავადაზნაურობას თავისუფლად შეეძლო ესარგებლა თავისი მამულით. შეიქმნა ვითარება, რომელმაც ბურჟუაზიას მიწების შეძენის საშუალება მისცა.

1820 წ. ივნისში კორტესებმა მიიღეს კანონი სენიორული უფლებების გაუქმებაზე. მიწის ვალდებულებები ძალაში რჩებოდა, თუ სენიორი საბუთით

[1] ეკსალტადოს—აღგზნებულნი, აღფრთოვანებულნი.

დაამტკიცებდა იმას, რომ მიწა, რომელსაც გლეხები ამუშავებდნენ, მის კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. მაგრამ ფერდინანდ VII-ემ ვეტო დაადო ამ კანონს. ზომიერებმა, არ სურდათ რა რევოლუციის გაღრმავება, ვერ გაბედეს მისი დარღვევა, ამიტომ 1820 წ. ზაფხულში დაშალეს „მეთვალყურეობის“ არმია, ხოლო შემოდგომაზე შეზღუდეს სიტყვის, კრებისა და ბეჭდვის თავისუფლება. ამ ზომებმა რევოლუციური ბანაკის დასუსტება და როიალისტთა შეთქმულების მომწიფება მოამზადა (მათ აბსოლუტიზმის აღდგენა სურდათ.). ხალხში „მოდერადოს“ გავლენა დაეცა და, პირიქით, გაიზარდა „ეკსალტადოს“ ავტორიტეტი. 1822 წ. დამდეგს კორტესების არჩევნებში გამარჯვება „ეკსალტადოს“ დარჩათ. პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს რიეგო. კორტესებმა აგვისტოში მიიღეს კანონი მწირი და სამეფო მიწების შესახებ. ივი ითვალისწინებდა ამ მიწების ნახევრის გაყიდვას, ხოლო ნახევარი უნდა გადაეცემოდა ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ ვეტერან ჯარისკაცებს და უმიწო გლეხებს. პოლიტიკურ ცხოვრებაში დაწყებულმა მარცხნივ გადახრამ როიალისტების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია. 7 ივლისს მეფის გვარდიამ სცადა დედაქალაქის ხელში ჩაგდება, მაგრამ ეროვნულმა მილიციამ და ხალხმა ჩაახშეს ეს გამოსვლა. ხელისუფლებაში „ეკსალტადოს“ მოვიდნენ (მთავრობას სან-მიგელი ჩაუდგა სათავეში.).

ახალმა მთავრობამ უფრო აქტიურად დაიწყო ბრძოლა 1812 წ. კონსტიტუციის მტრების წინააღმდეგ; მაგრამ, ახშობდა რა კონტრრევოლუციურ გამოსვლებს, მან არათერი გააკეთა რევოლუციის გასაღრმავებლად. სან-მიგელის მთავრობა, ფაქტიურად, ზომიერების ავრარულ პოლიტიკას აგრძელებდა, ამის შედეგად სახალხო მასები თანდათანობით ჩამოსცილდნენ „ეკსალტადოს“.

## რევოლუციის ჩახშობა

1820-1822 წლების ამბებმა ააფორიაქეს საღვთო კავშირი. 1822 წ. ოქტომბერში ვერონაში შეკრებილმა კონგრესმა საგანგებოდ დაავალა საფრანგეთის მეფეს ინტერვენციის მოწყობა. 1823 წ. აპრილში საფრანგეთის ჯარი ესპანეთში შეიჭრა. გლეხობის ვანზე დგომამ, გადასახადების სწრაფმა ზრდამ და კონტრრევოლუციური სამღვდელოების აგიტაციამ, ინტერვენტებთან ბრძოლას ვანარიდეს მოსახლეობის უმრავლესობა.

1823 წ. მაისში, როცა ინტერვენტებმა ხელთ იგდეს ქვეყნის საგრძნობი ნაწილი, „ეკსალდატოს“ განიზრახეს სენიორული უფლებების შეზღუდვის შესახებ მიღებული კანონის ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ამ დაგვიანებულმა ნაბიჯმა ვერ შეცვალა გლეხთა დამოკიდებულება ბურჟუაზიული რევოლუციისადმი. მთავრობა და კორტესები კადისში გადავიდნენ. 1823 წ. სექტემბერში, მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, მთელი ესპანეთი კონტრრევოლუციური ძალების ხელში აღმოჩნდა. 1 ოქტომბერს ფერდინანდ VII-მ გააუქმა 1820-1823 წლებში მიღებული ყველა კანონი. ესპანეთში კვლავ დამყარდა აბსოლუტიზმი, ეკლესიას დაუბრუნეს მიწები, დაიწყეს რეპრესიები რევოლუციონერთა მიმართ, ნოემბერში რიეგო ჩამოახრჩვეს.

რევოლუციის დამარცხების მიზეზები: 1) ლიბერალთა ბურჟუაზიულმა გარდაქმნებმა რევოლუციის წინააღმდეგ განაწყვეს ფეოდალური ძალები როგორც ესპანეთში, ასევე მის გარეთ; 2) ლიბერალთა აგრარულმა პოლიტიკამ ბურჟუაზიას ჩამოაცილა გლეხობა; 3) სახალხო მასების მხარდაჭერას მოკლებულმა ლიბერალური თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ზედაფენის ბლოკმა ვერ შეძლო ფეოდალურ-აბსოლუტისტური ძალების შემოტევის მოგერიება.



მიუხედავად ამისა, რევოლუციამ მაინც შეარყია ძველი წესწყობილების საფუძველი და ნიადაგი შეუქმნა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ აღმავლობას. ესპანეთის ამბებმა გამოძახილი ჰპოვეს პორტუგალიაში, ნეაპოლსა და პიემონტში.

# ესპანეთი XIX ს. 20-40-იან წლებში

## ესპანეთი 1823-1834 წ. წ.

1823 წ. ფეოდალურ-აბსოლუტური ძალების გამარჯვება არ იყო მყარი, რამეთუ ფერდინანდ VII-ის რეაქციულ რეჟიმს არ ძალუძდა შეეჩერებინა კაპიტალიზმის განვითარება. ქვეყანაში დაწყებულმა სამრეწველო გადატრიალებამ მკვეთრად გაამწვავა წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ურთიერთობებსა და ძველ წესრიგს შორის. ლათინურ ამერიკაში კოლონიების დიდი ნაწილის დაკარგვამ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს ავნო. ბურჟუაზიამ, დაკარგა რა კოლონიური ბაზრები, აქტიური ბრძოლა წამოიწყო ფეოდალური გადმონაშთების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ მეწარმეობისა და ვაჭრობის განვითარებას.

1833 წ. წ., ქვეყანაში აბსოლუტიზმის დამხობის მიზნით, კვლავ ღაარსდა ფარული ორგანიზაციები, მაგრამ შეთქმულნი არ ეყრდნობოდნენ სახალხო მასებს, მათი აჯანყების ყოველი ცდა დამარცხებით დამთავრდა და მაინც, მიუხედავად ლიბერალების განუწყვეტელი დევნისა, აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგეთა გავლენა ბურჟუაზიის ფენებში განუხრელად იზრდებოდა.

იმავდროულად ესპანეთში გააქტიურდნენ უკიდურესად რეაქციული ძალები. ისინი სიმხდალეში დებდნენ ბრალს ფერდინანდ VII და მოითხოვდნენ რეპრესიების გაძლიერებას ლიბერალთა მიმართ. თავად-აზნაურთა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული წრეები მეფის ძმის, დონ კარლოსის, ირგვლივ დაირაზმნენ. 1833 წ. ფერდინანდ VII მოკვდა, მემკვიდრედ მისი მცირეწლოვანი ასული იზაბელა გამოაცხადეს, ხოლო რეგენტად—ქვრივი დედოფალი, მარია-ქრისტინა. მაგრამ ტახტზე ასვლის პრეტენზიებით გამოვიდა დონ კარლოსი. მისმა მომხრეებმა, ანუ კარლისტებმა, 1833 წ. დამლევს ქვეყანაში სამოქალაქო ომი გააჩაღეს. პირველ ხანებში კარლისტებმა შესძლეს ბასკეთის, ნავარას, კატალონიის ჩამორჩენილი, უაღრესად მორწმუნე გლეხებისა და „ფუეროს“ (ძველი, ტრადიციული თავისუფლების ლიკვიდაციის მოწინააღმდეგეთა) მიმხრობა. კარლისტების დევიზი იყო: „ღმერთო და ფუეროს!“. მარია-ქრისტინამ დახმარებისათვის ლიბერალურ თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას მიმართა. 1834 წ. ჩამოყალიბდა ზომიერი ლიბერალების,—„მოდერადოს“—მთავრობა. ესპანეთი ბურჟუაზიული რევოლუციის მესამე პერიოდში (1834-1843) შევიდა.

## ესპანეთი 1834-1840 წ. წ.

ახალი მთავრობა თავის მოღვაწეობას ლიბერალური გარდაქმნებით შეუდგა. მან გააუქმა ამქრები და დაუშვა ვაჭრობის თავისუფლება. 1834 წ. „სამეფო სტატუსით“ ესპანეთის კორტესები ორპალატიან, სათათბირო ფუნქციების მქონე ორგანოდ იქცნენ. შემოიღეს მაღალი ქონებრივი ცენზი: 12 მილიონი მცხოვრებიდან ხმის უფლება 16 ათას კაცს მიენიჭა. ლიბერალური მთავრობის ღონისძიებების შეზღუდულმა ხასიათმა და კარლისტებთან გაუბედავმა ბრძოლამ წვრილი ბურჟუაზიისა და მოქალაქეთა აღშფოთება გამოიწვია. 1835 წ. მღელვარებამ მოიცვა დიდი ქალაქები, ხოლო სამხრეთ-

ში ძალაუფლებას რევოლუციური ხუნტები დაეუფლენ (ისინი 1812 წ. კონ-
სტიტუციის აღდგენას, მონასტერთა და კარლიზმის ლიკვიდაციას მოითხოვ-
დნენ). რევოლუციური მოძრაობის გაქანებამ აიძულა „მოდერადოს“, ადგილი
დაეთმო ძემარცხეთე ლიბერალებისათვის, რომლებსაც შემდგომში „პროგრე-
სისტი“ ეწოდათ. 1835-1837 წ. წ. მათ საჭირო სოციალურ-ეკონომიკური რე-
ფორმები გაატარეს, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი აგრარულ სა-
კითხს ეკავა. პროგრესისტებმა გააუქმეს მაიორატები, დააწესეს აუქციონზე
ეკლესიის მიწების გაყიდვა, რომლებიც ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული თა-
ვად-აზნაურობის ხელში გადავიდა. გაუქმდა სენიორული პრივილეგიები, ბა-
ხალიტეტები და გლეხის პირადი ვალდებულებები. მაგრამ მიწასთან დაკავში-
რებულ ვალდებულებებს მთავრობა არ შეხებია და ის განიხილებოდა, რო-
გორც საიჯარო გადასახადის თავისებური ფორმა. ამრიგად, გლეხები მოიჯა-
რეებად იქცნენ, ხოლო ყოფილი სენიორები—მიწის სრულუფლებიან მესა-
კუთრეებად. ბურჟუაზიული რევოლუციის აგრარული პოლიტიკა მთლიანად
ეპასუხებოდა მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესებს და ამან ბიძგი მისცა
სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას.

1836 წ მარია-ქრისტინა იძულებული გახდა აღედგინა 1812 წ. კონ-
სტიტუცია, მაგრამ ბურჟუაზიას და ლიბერალურ თავადაზნაურობას ხელს არ
აძლევდა საყოველთაო საარჩევნო უფლებების ხალხისათვის მიცემა და მეფის
ძალაუფლების შეზღუდვა. ამიტომ 1837 წ. ლიბერალებმა შეიმუშავეს ახალი
კონსტიტუცია, — უფრო კონსერვატული, ვიდრე 1812 წლისა. ქონებრივი
ცენზი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა მოსახლეობის 2,2 პრო-
ცენტს. კონსტიტუცია წარმოადგენდა კომპრომისს „მოდერადოსა“ და „პროგ-
რესისტებს“ შორის, რომლებიც, ერთის მხრივ, სახალხო მასების მოძრაობის
წინააღმდეგ გაერთიანდნენ და, მეორეს მხრივ, კარლიზმისა. 1840 წ. ზაფ-
ხულში კარლისტებმა, ვერ ჰპოვეს რა მხარდაჭერა ქალაქებში (გლეხობაც
მიხვდა, რომ დონ კარლოსი არაფერს მიცემდა მას.), იარაღი დაჰყარეს. მათი
დამარცხება ფეოდალური აბსოლუტიზმის დამარცხებას ნიშნავდა.

## მესამე ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგები

კარლისტების განადგურებასა და ძველი წესების აღდგენის საშიშროების
ლიკვიდაციას შედეგად „მოდერადოსსა“ და „პროგრესისტებს“ შორის წინა-
აღმდეგობის გამწვავება მოჰყვა. მათი ურთიერთბრძოლა მარია-ქრისტინას
გადაყენებით დასრულდა (1840). ძალაუფლება „პროგრესისტების“ ცნობილი
ლიდერის გენერალ ესპარტეროს ხელში გადავიდა, რომელიც რეგენტად გა-
მოაცხადეს. ესპარტეროში ხალხი კარლისტების მტერსა და რევოლუციის
მომხრეს ხედავდა, მაგრამ მან არ გაატარა რადიკალური რეფორმები და
მასების მხარდაჭერა დაკარგა. მთავრობამ გადაწყვიტა ინგლისის საქონლი-
სათვის გაეღო ესპანეთის ბაზრის კარები, რამაც ბურჟუაზიასთან მისი
კონფლიქტი გამოიწვია. 1843 წ. დამდეგს გაფორმდა სხვადასხვა პოლიტი-
კური ძალების ბლოკი, რომელმაც დაამხო ესპარტეროს დიქტატურა და წლის
ბოლოსათვის ძალაუფლება კვლავ „მოდერადოს“ (ზომიერებს) გადასცა. ესპა-
ნეთში მესამე ბურჟუაზიული რევოლუცია ძველი მიწათმფლობელი არის-
ტოკრატიისა და ბურჟუაზიის კომპრომისით დამთავრდა. რევოლუციის
მსვლელობაში გაუქმებული მაიორატები, ამქრები, სენიორული უფლებები არ
აღუდგენიათ, მაგრამ ჯერ კიდევ გაუყიდავი სამონასტრო მიწები ეკლესიას
დაუბრუნეს. კომპრომისს პოლიტიკურ სფეროშიც მიაღწიეს: დამყარდა შე-
დარებითი წონასწორობა „პროგრესისტებსა“ (მეფის მომხრეთა) და „მოდე-
რადოს“ შორის. 1845 წ. ძალაში შევიდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც



1837 წლის კონსტიტუციის შეცვლილ ვარიანტს წარმოადგენდა (გადიდდა
ქონებრივი ცენზი, შეიკვეცა კორტესების ფუნქციები და უფლებამოსილება,
გაიზარდა სამეფო ხელისუფლების პრეროგატივები). XIX ს. შუახანებში ესპა-
ნეთის საზოგადოებაში დიდი ძვრები მოხდა. სამმა რევოლუციამ მოსპო ფე-
ოდალური გადმონაშთები და შექმნა პირობები კაპიტალისტური ურთიერ-
თობების განვითარებისათვის. მეორეს მხრივ, ბურჟუაზიულ რევოლუციებს
არ გადაუჭრიათ რიგი ამოცანებისა, რამაც ნიადაგი მოამზადა მომავალი ბურ-
ჟუაზიული რევოლუციისათვის.

## ესპანეთი 50-70 წლებში

### ეკონომიკური განვითარება

XIX ს. შუახანებში ესპანეთში ფართოდ გაიშალა სამრეწველო რევოლუ-
ცია, რომელიც 30-იან წლებში დაიწყო. 60-იან წლებში ხელით შრომა თით-
ქმის მთლიანად შეიცვალა მანქანურით. ორთქლის ძრავების დანერგვამ ხე-
ლი შეუწყო როგორც მსუბუქი (საფეიქრო), ასევე მძიმე და სამთამადნო მრეწ-
ველობის განვითარებას. გაიზარდა უცხოელთა კაპიტალის დაბანდება სამ-
თამადნო და სარკინიგზო საქმეში. 60-იანი წლების დამდეგისათვის რკინიგ-
ზის სიგრძემ 5 ათას კმ-ს მიაღწია, მაგრამ სამრეწველო რევოლუციის დაწ-
ყებამ ვერ დაძლია ესპანეთის ჩამორჩენა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნე-
ბისაგან. მანქანებისა და დანადგარების დიდი ნაწილი ესპანეთს საზღვარგა-
რეთიდან შემოჰქონდა. მრეწველობაში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი სოფლად
ფეოდალური გადმონაშთების არსებობაში მდგომარეობდა. ქვეყანა კაპიტალის
ნაკლებობას, განიცდიდა, თანაც ბურჟუაზია საეკლესიო მიწების შესყიდვით
უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე საშინაო ბაზრის შექმნისა და სამამუ-
ლო მრეწველობის დაფინანსებით.

საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლა აღატაკებდა ხელოსნებს და ზრდიდა
უმუშევართა რიცხვს. მშრომელთა ხვედრი ძალიან მძიმე იყო. მაგ., ასტური-
ელი მეტალურგები 12-14 საათს მუშაობდნენ. სამრეწველო პროლეტარიატის
ფორმირებამ ბიძგი მისცა მუშათა მოძრაობის აღმავლობას, გაფიცვებს, ეკო-
ნომიკური ხასიათის (ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემცირება) მოთ-
ხოვნებით გამოსვლებს. მიუხედავად დევნისა, დაარსდა პირველი პროფესი-
ული კავშირები, ურთიერთდახმარების სალაროები. მუშათა ორგანიზაციებში
გავრცელება ჰპოვა სოციალისტურმა (ფურიეს, პრუდონის) იდეებმა.
ქალაქის მოსახლეობის ზრდა დღის წესრიგში სასოფლო-სამეურნეო პრო-
დუქტებზე მზარდ მოთხოვნებს აყენებდა, ეს კი, თავის მხრივ, სათესი ფარ-
თობების გადიდებას იწვევდა. სოფლის მეურნეობაში ნელა, მაგრამ მაინც
ინერგებოდა აგროტექნიკა, მელიორაცია, ვითარდებოდა სპეციალიზაცია სოფ-
ლის მეურნეობის დარგების (პურის მოყვანა, მეღვინეობა, ზეთისხილის
პროდუქტების მიღება) მიხედვით. მესამე რევოლუციას არ გადაუჭრია ლა-
ტიფუნდიზმისა და გლეხის მცირემიწიანობის პრობლემა. ცენტრალურსა და
სამხრეთ რაიონებში წვრილგლეხურ იჯარას მსხვილ მიწათმფლობელთა მე-
ურნეობა ავიწროებდა და იქ დღიური შრომის გამოყენებაზე გადავიდნენ.
კატალონიაში, გალისიაში, ასტურიასა და ძველ კასტილიაში გრძელდებოდა
მიწისმფლობელი გლეხობის მოიჯარეებად გადაქცევის პროცესი. სოფლის
მეურნეობის გარდაქმნა მიმდინარეობდა ნელა და მას თან სდევდა გლეხობის
უმიწაწყლოდ დარჩენა.

## მეოთხე ბურჟუაზიული რევოლუცია

50-იანი წლების დამდეგს, ბურჟუაზიული გარდაქმნების დაუმთავრებლობის პირობებში, კაპიტალიზმის შემდგომმა განვითარებამ საზოგადოებრივი წინააღმდეგობების გამწვავება გამოიწვია. ხელოსნების გაღატაკებამ, უმუშევრობამ, გადასახადების ზრდამ, ბიუჯეტის დეფიციტმა, კორუფციამ და სხვ. არა მარტო დაბალი ფენების, „პროგრესისტებისა" და „მოდერადოს" უკმაყოფილებაც გამოიწვია. პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე კვლავ აღმოჩნდა არმია. 1854 წ. ივნისში ოპოზიციურად განწყობილმა გეაერლების ჯგუფმა, ო'დონელის ხელმძღვანელობით, მთავრობის დამხობისაკენ მოუწოდა მოსახლეობას. ივლისში დიდ ქალაქებში იფეთქა სასალხო აჯანყებამ, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ხელოსნები და მუშები. „პროგრესისტები" სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ ხუნტებს. მასების ზემოქმედების შედეგად შეიქმნა მთავრობა „პროგრესისტების" ლიდერის, ესპარტეროს მეთაურობით, ხოლო „მოდერადოს" თავკაცმა ო'დონელმა, სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა. დეფიციტის შემცირების მიზნით მთავრობამ გაყიდა ეკლესიისა და სათემო მიწები, რამაც დიდი ზარალი მიაყენა გლეხობას. აგრარულმა რეფორმამ სოფლის მცხოვრებთა უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც ზოგიერთ ოლქში (მაგ. ძველ კასტილიაში) გლეხთა აჯანყებებში გადაიზარდა. ჯარმა მთელი სიმკაცრით ჩაახშო იგი. მთავრობამ აღადგინა ეროვნული მილიცია და მოიწვია კორტესები. 1855-1856 წ. წ. გამოიცა კანონები, რომლებიც ითვალისწინებდნენ რკინიგზის, ახალი საწარმოებისა და ბანკების მშენებლობას, მეწარმეობის ზრდას და უცხოური კაპიტალის მოზიდვას. რევოლუციის მსვლელობაში გააქტიურდა მუშათა მოძრაობა, პროლეტარული ორგანიზაციები ბრძოლის მიზნად ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემცირებას. ისახავდნენ. 1855 წ. 5 ივლისს ბარსელონაში ყველა საწარმო გაიფიცა, მაგრამ მთავრობამ ცრუდაპირებებით შესძლო მუშათა გამოსვლის ლიკვიდაცია. მსხვილი ბურჟუაზია და ლიბერალური თავადაზნაურობა კონტრრევოლუციის ბანაკში გადაბარგდნენ. რევოლუციური ბრძოლის ჩახშობა თავის თავზე აიღო ო'დონელმა: მან შესძლო ესპარტეროს გადაყენება და კორტესების დაშლა (1855 წ. 14 ივლისი). მის ამ ნაბიჯს მადრიდის მუშების და ეროვნული მილიციის აჯანყება მოჰყვა, მაგრამ მათი სამდღიანი ბრძოლები (14-16 ივლისი) დამარცხებით დამთავრდა. ო'დონელის მთავრობამ შეწყვიტა საეკლესიო მიწების გაყიდვა და დაშალა ეროვნული მილიცია. 1854-1856 წ. წ. რევოლუცია მსხვილი ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა ახალი კომპრომისით დასრულდა, მან თავისი გამოხატულება პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ჰპოვა: შენარჩუნებული იქნა 1854 წ. კონსტიტუცია. რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდნენ კონსერვატორებისა და ლიბერალური კავშირის ბლოკები, პირველს მეთაურობდა გენერალი ნარვაესი (იცავდა მსხვილ მემამულეთა ინტერესებს), ხოლო მეორეს ო'დონელი (მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი). 1856-1868 წ. წ. მთავრობის სათავეში სამჯერ იდგა ო'დონელი და სამჯერვე შეცვალა იგი ნარვაესის ხელისუფლებამ.

## მეხუთე ბურჟუაზიული რევოლუცია (1868-1874)

ეკონომიკურად გაძლიერებული ბურჟუაზია პრეტენზიას აცხადებდა ძალაუფლების მოპოვებაზე. 1867 წ. დამლევსა და 1868 წ. დამდეგს ჩამოყალიბდა ლიბერალების, „პროგრესისტების" და რესპუბლიკების ბლოკი. მისმა ხელმძღვანელობამ სამხედრო გადატრიალების (პრონუნსიამიენტოს) გზა აირჩია.



1866 წ. სექტემბერში კადისში აჯანყდა ესკადრა. გადატრიალების ორგანიზატორები პირობას დებდნენ, რომ მოიწვევდნენ კორტესებს და შემოიღებდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებებს. აჯანყებას მიემხრო ყველა დიდი ქალაქის მოსახლეობა. დედოფალი იზაბელა გაიქცა ესპანეთიდან. ძალაუფლება სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული თავადაზნაურობის ხელში გადავიდა. სახალხო მასების ზეწოლის შედეგად მთავრობამ აღადგინა საყოველთაო საარჩევნო უფლება და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები. მთავრობა ხელს უწყობდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, ფინანსური სისტემის მოწესრიგებას, ახალი საბაჟო ნიხრის მიღებას, საეკლესიო მიწების გაყიდვას. 1869 წ. კორტესების არჩევნებში გაიმარჯვეს მონარქიულმა პარტიებმა—„პროგრესისტებმა" და ლიბერალურმა კავშირმა (რესპუბლიკელებმა მიიღეს 70 ადგილი 320-დან). ივნისისათვის დასრულდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება. ესპანეთი ცხადდებოდა კონსტიტუციურ მონარქად, ორპალატიანი პარლამენტი აირჩეოდა საყოველთაო ხმის მიცემით. 1869 წ. კონსტიტუციამ განამტკიცა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებები, მათ რიცხვში სინდისის თავისუფლებაც.

მონარქიის შენარჩუნების წინააღმდეგ გამოვიდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ფართო მასები, ინტელიგენცია, მუშები, იმართებოდა რესპუბლიკური ხასიათის დემონსტრაციები, რომლებიც მკაცრად ჩაახშო მთავრობამ. გაიმარჯვეს რა რესპუბლიკელებზე, „პროგრესისტებმა" და ეროვნულმა კავშირმა. ესპანეთისთვის მეფის ძებნა დაიწყეს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ევროპის ქვეყნებიც ჩაებნენ, 1870 წ. დასასრულს მეფედ გამოცხადდა იტალიის მონარქის ვაჟი ამადეო სავოიელი. დინასტური გართულებით ისარგებლეს კარლისტებმა და 1872 წ. სამოქალაქო ომი გააჩაღეს. მუშათა მოძრაობის აღმავლობამ, რესპუბლიკელთა აქტიურმა გამოსვლებმა და კარლისტების მიერ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა აიძულა მეფე გადამდგარიყო. 1873 წ. 14 თებერვალს კორტესებმა ესპანეთი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის მომხრე ფრანსისკო პი-ი-მარგალი. მისმა მთავრობამ განიზრახა ეკლესიის მიწების გლეხობაზე გაყიდვა, მონობის გაუქმება, მუშათა სამუშაო დღის შეზღუდვა, რაიონებისათვის ფართო თვითმართველობის მიცემა, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ., მაგრამ რესპუბლიკურ პარტიაში არსებულმა წინააღმდეგობებმა ხელი შეუშალა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების გატარებას. მემარცხენე ანუ „შეურიგებელმა" რესპუბლიკელებმა, ისარგებლეს რა სახალხო მასების რევოლუციური განწყობილებით, ანდალუსიასა და ვალენსიაში აჯანყება წამოიწყეს. მათ მიემხრნენ ბაკუნისტები და პროლეტარიატის დიდი ნაწილი. მთავრობა გადადგა ზომიერი ბურჟუაზიული რესპუბლიკელების სასარგებლოდ, რომლებმაც ჩაახშვეს უაზრო აჯანყება. ესპანეთის ბურჟუაზია კონტრრევოლუციურ პოზიციაზე დადგა და მიიმხრო რეაქციულ გენერალიტეტი. 1874 წ. 3 იანვარს მხედრიონმა დაშალა კორტესები, ხოლო წლის ბოლოს ტახტზე აიყვანა იზაბელას ვაჟი ალფონსო XII. ასე დამთავრდა მეხუთე ბურჟუაზიული რევოლუცია. 1876 წ. დამარცხებით დასრულდა კარლისტური მოძრაობაც.

## 1800-1874 წ.წ. რევოლუციის შედეგი

ბურჟუაზიული რევოლუციების ციკლმა, რომელმაც შეაზანზარა ესპანეთი 1808-1874 წ. წ., მრავალი ფეოდალური გადმონაშთი მოსპო და გზა გაუხსნა კაპიტალიზმის განვითარებას. რევოლუციებში მთავარი როლი ხალხის მასებმა ითამაშეს XIX ს. რევოლუციებს ლიბერალური თავადაზნაურობი-

სა და მსხვილი ბურჟუაზიის ბლოკი ხელმძღვანელობდა, რომელიც უარს ამბობდა გლეხობასთან კავშირზე და უმთავრესად სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. იმ დროს ეს ბლოკი არმიასთან ერთად ფეოდალიზმის წინააღმდეგაც იბრძოდა და სახალხო მასების გამოსვლებსაც ასწრობდა. ხუთიოე რევოლუციის გარდაქმნები ზემოთხსენებული ალიანსის ინტერესებს ემსახურებოდა და ეს პირველ რიგში აგრარული საკითხის გადაწყვეტაში გამოვლინდა. რევოლუციებმა გააუქმეს მაიორატები, სენიორული იურისდიქცია, განამტკიცეს მსხვილი მიწათმფლობელობა და ღარიბი გლეხობა მოიჯარეებად (უმიწო მასად), პატრონებად აქციეს. რევოლუციების შედეგად ქვეყნის ცხოვრებაში გაბატონებული მდგომარეობა მდიდარმა მემამულეებმა დაიკავეს. სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიამ ვერ მიაღწია მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და თავადაზნაურობის უმცროს პარტნიორად გამოდიოდა. ამრიგად, ბურჟუაზიული რევოლუციები დაუმთავრებელი დარჩა; თუმცა მათ ხელი შეუწყეს მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის მოძრაობის აღმავლობას.

### რევოლუციის ეპოქის კულტურა

XIX ს. ესპანეთის ისტორიის მქუხარე ამბებმა ღრმა დაღი დააჩნეს კულტურის განვითარებას. ძველი წესრიგის კრიზისმა ნათელი გამოხატულება ჰპოვა დიდი მხატვრის—ფრანსისკო გოიას (1746-1828) შემოქმედებაში. „კაპრიჩოს“ ცნობილ ოფორტებში მხატვარმა გროტესკულ ფორმაში ამხილა თავადაზნაურობისა და სამღვდელოების პარაზიტიზმი, ინკვიზიციის საშინელებანი, მორალური გაღატაკება გაბატონებული კლასისა. გოიამ ამ შავგნელ ფენებს უბრალო ადამიანები დაუპირისპირა, ადამიანები, რომლებმაც იხსნეს ქვეყანა ნაპოლეონის ურდოებისაგან.

პატრიოტულმა აღმავლობამ ლიტერატურის განვითარებაზეც მოახდინა გავლენა. საყოველთაო აღიარება ხვდა წილად მანუელ კინტანას პოეზიას, რომელიც ფრანგი დამპყრობლებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისაკენ მოუწოდებდა ესპანელ ხალხს.

დიდი გავრცელება ჰპოვა სატირული, პამფლეტური ხასიათის ლიტერატურამაც. ამ ჟანრის უდიდესი წარმომადგენელი მ. დე ლარა დაუფარავად დასცინოდა არა მარტო რევოლუციების მტრებს, არამედ ლიბერალურ (ზომიერ) თავადაზნაურობასაც. ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები უხვად იყენებდნენ ფოლკლორს, ტრადიციებს, ეროვნულ სიმდიდრეს. მათ შორის დასახელების ღირსნი არიან პოეტი რომანტიკოსი ბეკერი, მომღერალი გარსია, სარასატი, — ვიოლინოზე დაკვრის ვირტუოზი და სხვები.

### ბიბლიოგრაფია


1. А. Дебидур. Дипломатическая история Европы. М., 1947. Т. 1-2.
2. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 3, 5.
3. И. Маисский, Испания 1808-1917. М., 1957.
4. Г. Ревзин. Риего. М., 1939.


## პორტუგალია 1820-1860-იან წლებში

### 1820-1823 წ.წ. რევოლუცია პორტუგალიაში

XIX ს. დამდეგს პორტუგალია ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მაიორატების, ფეოდალური ვალდებულებების და ეკლესიის მიწათმფლობელობის შენარჩუნება ამუხრუჭებდა სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას. პორტუგალიის მრეწველობაში მთავარი ადგილი ეკავა კვების, საფეიქრო და ტყავის წარმოებას. პორტუსა და ლისაბონში



ფართო გავრცელება ჰპოვა გაფანტულმა და ცენტრალიზებულმა მანუფაქტურამ. შინა ბაჟები და მრავალრიცხოვანი მონოპოლიები ხელს უშლიდნენ მანუფაქტურისა და საშინაო ვაჭრობის განვითარებას. პორტუგალიის მრეწველობა ძირითადად დამოკიდებული იყო ინგლისზე. მასზე მოდიოდა პორტუგალიის ექსპორტის 1/3 და იმპორტის ნახევარი. პორტუგალიის ნაწარმი კონკურენციას ვერ უწევდა ბრიტანეთის იაფფასიან პროდუქციას საკუთრივ ქვეყანაში და მის კოლონიებში. საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების პერიოდში პორტუგალია ინგლისის მხარეზე იბრძოდა. 1811 წელს, ფრანგების განდევნის შემდეგ, ქვეყნის მმართველობა ფაქტიურად ინგლისელებმა იგდეს ხელთ. ბურჟუაზია და ლიბერალური თავადაზნაურობა, სამხედროები და ინტელიგენცია სულ უფრო და უფრო გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ინგლისური წესებისა და ინგლისელთა ძალმომრეობის გამო. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრები ჩაუდგნენ.

ესპანეთში რევოლუციური ძალების გამარჯვებამ (1820) ბიძგი მისცა სამხედროების აჯანყებას; 24 აგვისტოს აჯანყდა პორტუს გარნიზონი (ხელ-ლები: სეპულვედა და კაბრეირა). ხალხი დიდის ენთუზიაზმით გამოეხმაურა ამ აქტს. 15 სექტემბერს შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელმაც 1821 წ. იანვარში მოიწვია კორტესები. ამ უკანასკნელმა გაატარა რიგი გარდაქმნებისა, კერძოდ, გააუქმა პირადი ფეოდალური ვალდებულებები და ბანალიტეტი, მოსპო ინკვიზიცია და საშინაო ბაჟები, დაუშვა ბეჭდვის თავისუფლება, ინგლისელები განდევნა არმიიდან და გააუქმა ბრიტანეთთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. 1822 წ. მიღებულმა კონსტიტუციამ პორტუგალია მონარქიად გამოაცხადა. კონსტიტუცია აღიარებდა ხალხის სუვერენიტეტს, მოქალაქეთა თანასწორობას, ხელისუფლების გაყოფას. საკანონმდებლო ძალაუფლება მიენიჭა ერთპალატიან კორტესებს, აღმასრულებელი — მეფეს. კონსტიტუცია არ აღგენდა ჭოშინაურ ცენზს, საარჩევნო უფლება მიეცა ყველას გარდა მსახურებისა და უმუშევრებისა, არ გატარებულა მიწის რეფორმა, ნავარაუდები იყო ის, რომ გლეხებს უნდა გამოესყიდათ მიწასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გარდაქმნები ესმაურებოდნენ ბურჟუაზიისა და ლიბერალური არისტოკრატიის ბლოკის ინტერესებს და გზას უხსნიდნენ კაპიტალისტურ ურთიერთობებს. აგრარული საკითხის გადაუჭრელობის გამო გლეხობა განზე გაუდგა რევოლუციას. 1822 წ. სექტემბერში მთავრობამ დამოუკიდებლობა მიანიჭა ბრაზილიას. ამ აქტმა გაანაწყენა სავაჭრო ბურჟუაზია (მას კოლონიური ვაჭრობის განვითარება აინტერესებდა), ხოლო ფეოდალურმა წრეებმა, ისარგებლეს რა ესპანეთის რევოლუციის დამარცხებით, მაისში (1823 წ.) მოაწყვეს კონტრრევოლუციური გადატრიალება: ლიბერალების ძალაუფლება დაეცა და რევოლუციის მონაპოვრებს ლიკვიდაცია უყვეს.

### პორტუგალია 1823-1860 წ. წ.

პორტუგალიის რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1820-1823) რეაქციული ძალების გამარჯვება არ აღმოჩნდა მყარი. 20-იანი წლების შუახანებში ლიბერალებსა და ფეოდალურ რეაქციას შორის დაწყებულმა ბრძოლამ დინასტიური კონფლიქტის ხასიათი მიიღო. მეფე ჟოაო VI-ის გარდაცვალების შემდეგ (1826) პორტუგალიის ტახტისათვის ბრძოლა სისხლისმღვრელი ომე-

ბის სერიაში გადაიზარდა. მან მიგელისტების (ჟოაო VI-ის უმცროსი ვაჟის, მიგელის სახელის მიხედვით) ომის სახელწოდება მიიღო. დონ მიგელის ირგვლივ ფეოდალური არისტოკრატია და სამღვდელოება გაერთიანდა. მსხვილ ბურჟუაზიას და ლიბერალურ თავადაზნაურობას მის ნაცვლად პორტუგალიის ტახტზე ბრაზილიის იმპერატორის დონ პედრუს (ის უფროსი შვილი იყო ჟოაო VI-ისა) მცირეწლოვანი ასულის—მარიას—აყვანა სურდათ. მისი მომხრეების ლოზუნგად იქცა „1826 წ. კონსტიტუციური ქარტია“, რომელიც საფრანგეთის „1814 წ. ქარტიის“ მსგავსად იყო შედგენილი. „კონსტიტუციური ქარტია“ უფრო ზომიერი, ვიდრე 1822 წ. კონსტიტუცია, ითვალისწინებდა ორპალატიან პარლამენტს, რომლის ზედა პალატას ხიშვაედა მეფე, ხოლო ქვედა მაღალი ქონებრივი ცენზის მიხედვით ირჩევდნენ. 1834 წ. მიგელისტური ომი დასრულდა ლიბერალების გამარჯვებით და ფეოდალური რეაქციის განმტკიცებით. ძალაუფლება ლიბერალური თავადაზნაურობისა და მსხვილი ბურჟუაზიის ხელში ვადავიდა. მთავრობამ გაატარა სასამართლო და საგადასახადო რეფორმა, დაუშვა მეწარმეობის თავისუფლება, დახურა 500-ზე მეტი მონასტერი, ხოლო მათი მიწები გაყიდა. ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ბურჟუაზიული მიწათმფლობელობის ზრდას და ლიბერალური თავადაზნაურობის ბურჟუაზიასთან დაახლოებას.

„კონსტიტუციური ქარტიის“ ზომიერება პოლიტიკურ უფლებებს ართმევდა მოსახლეობის უმრავლესობას (წვრილ ბურჟუაზიას, ქალაქის დაბალ ფენებს) და მის უკმაყოფილებას იწვევდა. 1836 წ. სექტემბერში აჯანყდა ლისაბონის გარნიზონი. მას მხარი დაუჭირა მოსახლეობამ, და რევოლუციამ გაიმარჯვა. „სექტემბრელებმა“ (ასე უწოდეს აჯანყების მონაწილეებს) აღადგინეს 1822 წ. კონსტიტუცია, მიიღეს პროტექციონისტული ტარიფი (ნიხრი) და გადაწყვიტეს შემოელოთ უფასო დაწყებითი სწავლება. „სექტემბრელების“ სათავეში იდგა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მ. პასუში. 30-იანი წლების ბოლოს რევოლუციური პროცესი შეჩერდა: მთავრობამ ვერ გაბედა შეხებოდა მსხვილი მიწათმფლობელების უფლებებს. 1838 წ. მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც შეზღუდა საარჩევნო უფლებები. „სექტემბრელების“ გავლენის დაცემით ისარგებლეს ძველი რეჟიმის მომხრეებმა: 1842 წ. მათ მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და აღადგინეს „კონსტიტუციური ქარტია“.

40-იანი წლების ბოლოს „სექტემბრელები“ და ქარტიის მომხრეები კომპრომისზე წავიდნენ (ორივე ბანაკი დააშინა გლეხთა აჯანყებებმა და 1848 წ. ევროპის რევოლუციებმა) და ქარტიის დამატებითი აქტის მიღებით (1852) გააფართოვეს საარჩევნო უფლება. მთავრობამ მოსპო ფეოდალიზმის ზოგიერთი გადმონაშთი—მაიორატები. ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყვეს მმართველი მემამულურ-ბურჟუაზიული ბლოკის კონსოლიდაციას. 50-60-იან წლებში გაფართოვდა მანუფაქტურული წარმოება, საფეიქრო საწარმოებში გამოჩნდნენ მანქანები, გაიზარდა ორთქლის ძრავების რიცხვი. 50-იანი წლების შუახანებში დაიწყო რკინიგზების მშენებლობა. პორტუგალიის მრეწველობის განვითარება ევროპის მოწინავე ქვეყნებზე იყო დამოკიდებული: მთავრობა უამრავ კონცესიას აძლევდა უცხოელ კაპიტალისტებს ქვეყნის მდიდარი წიაღისეულის დასამუშავებლად, მაგრამ საშინაო ბაზრის სივიწროვე და სოფლის მეურნეობაში ფეოდალური გადმონაშთების არსებობა მაინც აფერხებდნენ სამრეწველო რევოლუციის განვითარებას.

## ბიბლიოგრაფია


1. А. Дебидур. Дипломатическая история Европы. М., 1947. Т. 1-2.
2. История XIX века. (Лависс и Рамбо). Т. 3, 5.


# ამერიკის შეერთებული შტატები 1800-1880 წლებში

## აშშ 1800-1860 წ.წ.

### კაპიტალიზმის განვითარება XIX ს. პირველ ნახევარში

XIX ს. პირველ ნახევარში აშშ-ში კაპიტალიზმი განვითარების სწრაფ პროცესებს განიცდიდა. იქ მანუფაქტურული სტადიიდან მანქანურზე გადასვლა, ანუ სამრეწველო რევოლუცია, ინგლისის სამრეწველო გადატრიალების კვალდაკვალ დაიწყო და იგი დიდი ხნით გაიწელა: XIX ს. პირველ ნახევარში მან ძირითადად მოიცვა ძველი, ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატები, ხოლო შემდეგ ჩრდილო-დასავლეთი და ბოლოს, 80-ან წლებში,—სამხრეთი. აშშ-ში სამრეწველო გადატრიალების მთავარი თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ იმ დროს, როცა აღმოსავლეთში აშენებდნენ მსხვილ ფაბრიკებს, დასავლეთისკენ დაძრულ კოლონისტებს თან მიჰქონდათ სართავი ჯარა და ხელის დაზგა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დასავლეთში მკვიდრდებოდა მრეწველობა ბინაზე. აშშ-ში სამრეწველო გადატრიალება მიმდინარეობდა სამუშაო ძალის დასავლეთისაკენ უწყვეტი ნაკადით სვლისა და ევროპიდან ახალი ემიგრაციული მასის ჩამოსვლის პირობებში. ემიგრანტთა შორის ასი ათასობით კვალიფიციური მუშა და ხელოსანი იყო. ემიგრაციამ დააჩქარა მოსახლეობის ზრდა: 1800 წ. აშშ-ში ცხოვრობდა 5,3 მილიონი კაცი, ხოლო 1850 წლისათვის 23,2 მილიონი, მათ შორის 3 მილიონი ზანგი. ასე რომ, სამრეწველო პროდუქციას გამოუჩნდა დიდი და მზარდი გასაღების ბაზარი.

მრეწველობის ინტენსიური განვითარება თავის მხრივ ზრდიდა მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე. დასავლეთში მიწებისა და საარსებო პირობების არსებობა შვების მომგვრელი იყო ჭარბად დასახლებული აღმოსავლეთისათვის. ყოველ ეკონომიკურ კრიზისსა და სამრეწველო აღმავლობას დასავლეთში მასიური გადასახლება მოსდევდა. სწორედ ეკონომიკური აღმავლობის წლებში ძლიერდებოდა ემიგრაცია ევროპიდან და თვით ამერიკაში აღმოსავლეთის შტატებიდან დასავლეთის მიმართულებით, საღაც დიდი რაოდენობით იყიდებოდა მიწები (შედარებისთვის: 1818 წ. დასავლეთში გაიყიდა 3,5 მილიონი აკრი, 1835 წ.—12 მილიონი აკრი, ხოლო 1855 წ.—15,7 მილიონი აკრი.). ერთი მეორის მიყოლებით, და განსაკუთრებით 1812 წლის ომის შემდეგ, კავშირში მიიღეს ახალი შტატები, სახელდობრ: კენტუკი 1792 წ., ტენესი—1796 წ., ოჰაიო—1802 წ., ლუიზიანა—1812 წ., ინდიანა—1816 წ., მისისიპი — 1817 წ., ილინოისი — 1818 წ., ალაბამა — 1819 წ., მისური და მენი — 1820-1821 წ. წ. დასავლეთის რაიონები მცხოვრებთა რაოდენობის მხრივ უკვე უსწრებდნენ ძველ შტატებს.

ფერმერული მეურნეობის განვითარება ხელს უწყობდა საზღვარგარეთ ხორბლის გატანას. თუ 1822-1832 წ. წ. შეერთებულმა შტატებმა გაყიდა 67 მლნ. დოლარის ღირებულების ხორბალი, 1853-1857 წ. წ.—8-ჯერ მეტი.

XIX ს. 50-იან წლებში რკინიგზის ქსელმა დასავლეთი სამრეწველო ჩრდილო-აღმოსავლეთს დაუკავშირა. XIX ს. დამდეგიდან სწრაფად ვითარდებოდა ბამბის წარმოება: 1860 წლისათვის მისი წარმოებით აშშ-ს ინგლისის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა მსოფლიოში.

რკინიგზის მშენებლობამდე აშშ-ში დიდ ყურადღებას აქცევდნენ არხების გაყვანას, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა მისისიპი და წმ. ლავრენტი, დიდი ტბები და ატლანტიკის ოკეანე, დიდი ტბები და ქ. ნიუ-იორკი,—უველაზე დიდი მნიშვნელობის საზღვაო პორტი.

1830 წ. აშშ-ში გაიყვანეს 23 მილის სიგრძის რკინიგზა, 1850 წ. ამე-

რიკა რკინიგზის მშენებლობით (15ათასი კმ.) პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

XIX ს. 50-იან წლებში აშშ-ის სასოფლო-სამეურნეო მანქანები ინგლისურს სჯობდა. ამერიკაში გამოიგონეს: ფულტონის ორთქლის ძრავიანი გემი, ჰაუს საკერავი მანქანა (მისი პატენტი მიითვისა ფაბრიკანტმა ზინგერმა.) და სხვ., მაგრამ აშშ-ში ტექნიკის საშუალო დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე ინგლისში. მრეწველობის განვითარების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით არათანაბრად მიმდინარეობდა. 1860 წ. შეერთებულ შტატებში სულ იყო 1,300 ათასი სამრეწველო მუშა, მაგრამ ჩრდილოეთ შტატებში მრეწველობაში დაკავებულ ერთ მუშაზე სოფლის 7 მუშაკი მოდიოდა, ცენტრალურ შტატებში—15, დასავლეთ რაიონებში—18. სამხრეთს ბოლო ადგილი ეკავა მრეწველობის განვითარების მხრივ, იქ ერთ სამრეწველო მუშაზე სოფლის მეურნეობის 82 მუშაკი მოდიოდა.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობების განმტკიცება და მასთან დაკავშირებული მრეწველობის მჭიდრო განვითარება მიმდინარეობდა აშშ-ის მხოლოდ ჩრდილოეთ ნაწილში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ რაიონებში. სამხრეთის ეკონომიკურ განვითარებას აფერხებდა მონობა, იგი ამუხრუჭებდა მანქანების გამოყენებას და დაჭირავებულ შრომაზე გადასველას. აშშ-ში სამრეწველო რევოლუციას აგვირგვინებს მანქანების გამოყენებით მანქანების წარმოება, რაც უშუალოდ მოჰყვა სამოქალაქო ომს.

## მუშათა კლასის მდგომარეობა და მუშათა მოძრაობის დასაწყისი

ჩრდილოეთში სამრეწველო გადატრიალებას თან ახლდა საფაბრიკო პროლეტარიატის ზრდა და მისი ექსპლოატაცია. მუშის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო ჩრდილო-აღმოსავლეთის ჭარბად დასახლებულ რაიონებში, იქ XIX ს. 20-30-იან წლებში სამუშაო დღე 12 საათს აღემატებოდა, ხოლო მამაკაცის დღიური ხელფასი 1 დოლარს შეადგენდა, რაც მუშის ოჯახს არსებობისათვის არ ჰყოფნიდა. ფაბრიკებსა და ქარხნებში ფართოდ გამოიყენებოდა ქალისა და ბავშვის შრომა. ყოველწლიურად ათასობით მუშა და ფერმერი ციხეში ხვდებოდა ვალის გადაუხდელობისათვის. ყველაზე მეტად ემიგრანტებს უჭირდათ, განსაკუთრებით კრიზისებისა და დეპრესიის პერიოდში. 1837-1842 წ. წ. ამერიკაში იფეთქა პირველმა ციკლურმა კრიზისმა. მუშებისთვის მძიმე შედეგები ჰქონდა 1857 წ. სამრეწველო კრიზისს, რომელსაც მასიური უმუშევრობა მოჰყვა. აშშ-ის დასავლეთის რაიონებში ხელფასი უფრო მაღალი იყო (დასავლეთი მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა), მაგრამ უსახსრობის გამო მრავალი მუშისათვის იქ გადასახლება აღუსრულებელ ოცნებას წარმოადგენდა.

XIX ს. 20-იანი წლებიდან იწყება მუშათა ბრძოლა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მათი მთავარი მოთხოვნები იყო: 10 საათიანი სამუშაო დღე, ვალებისათვის დაპატიმრების გაუქმება, საზოგადოებრივი სკოლების გახსნა, საყოველთაო საარჩევნო უფლება, დასავლეთში მიწით უზრუნველყოფა და სხვ. მუშები ხშირად მიმართავდნენ გაფიცვას, ქმნიდნენ პროფესიულ კავშირებს. აშშ მუშათა კლასის გათიშულობა, ეროვნული სიჭრელე, დასავლეთში დასახლებისა და მიწაზე მოწყობის სურვილი ამუხრუჭებდნენ მუშებში კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას. მუშისა და ხელოსნის ინტერესებს მუშათა პარტიები იცავდნენ, რომლებიც XIX ს. 20-30-იან წლებში აღმოცენდნენ. პირველი მუშათა პარტია დაარსდა ფილადელფიაში 1828 წ., შემდეგ კი ნიუ-იორკსა და აღმოსავლეთის ქალაქებში. მათ ხელმძღვანელობდნენ მუშები, დემოკრატიული და სოციალისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი აყენებდნენ ზოგადდემოკრატიულ მოთხოვნებს და იბრძოდნენ მუშათა მძიმე ხვედრის შემსუბუქებისათვის. მუშათა მოძრაობისა და ფერმერთა გამოსვლების შედეგად ზოგიერთ შტატში აკრძალეს ვალებისათვის დაპატიმრება, შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო კანონი (მხოლოდ თეთრი მამაკაცებისათვის), დაარსდა საზოგადოებრივი სკოლები, გამოდიოდა მუშათა პერიოდული გაზეთები და სხვ. XIX ს. 40-იან წლებში გავრცელდა ოუენის, ფურიეს უტოპიური სოციალიზმის იდეები. 1825 წ. ოუენმა დააარსა (ინდიანას შტატში) სოციალისტური თემი „ახალი ჰარმონია.“ 40-იან წლებში ფურიეს მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს 40-მდე კოლექტიური ხასიათის უჯრედი, მაგრამ ეს ორგანიზაციები, მოქცნენ რა კაპიტალისტური გარემოს სტიქიაში, მალე დაიშალნენ.

## პლანტატორული მონობა

დასავლეთის მიწებზე სამხრეთელი პლანტატორები თავის უძრავი და მოძრავი ქონებით, ანუ მონებით, — ესახლებოდნენ.

XIX საუკუნიდან თამბაქოს ადგილი ბამბამ დაიკავა და ახლა იგი მომგებიანი გახდა. პლანტაციებში ათასობით მონა-ზანგი მუშაობდა. ზანგის შრომა გამოიყენებოდა მრეწველობაში, რკინიგზებისა და არხების მშენებლობაშიც. ყველა ზანგი როდი იყო მონა, ზოგჯერ მას ათავისუფლებდნენ კანონის ძალით (ჩრდილოეთში), ზოგჯერ ანდერძით, ზოგჯერ კი თვითგამოსყიდვის წესით. მონათმფლობელობის ეპოქაში თავისუფალ ზანგს არ გააჩნდა საარჩევნო უფლება, არ შეეძლო ესწავლა თეთრებთან ერთად, ემკურნალა თეთრების კლინიკაში და სხვ. ხშირად თავისუფალ ზანგებს იტაცებდნენ და მონად აქცევდნენ. მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, გამონაკლისის სახით, იყვნენ ზანგი მეცნიერები, მწერლები, კულტურის ცნობილი მოღვაწეები. მათ შორის გამოირჩეოდა ფრედერიკ დუგლასი, პუბლიცისტი, აბოლიციონისტური მოძრაობის ხელმძღვანელი და ზანგთა განთავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი. მან მონობიდან გამოისყიდა თავი, გამოსცემდა გაზეთს, რომელშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მონების განთავისუფლებას მოითხოვდა.

არაადამიანური მოპყრობისა და ტანჯვა-წამების გამო ზანგები აჯანყებას აწყობდნენ. ყველაზე მრისხანე და მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა 1831 წ. ვირჯინიაში. მას მეთაურობდა ნატ ტერნერი. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა საუთჰემპტონის საგრაფოს მონა ზანგები და რისხვად დაატყდა პლანტატორებს. აჯანყება დიდი გაჭირვებით ჩაახშო ჯარმა, ხოლო ნატ ტერნერი 17 ზანგთან ერთად ჩამოახრჩვეს. არნახული რეპრესიებით პლანტატორები კიდევ უფრო აბოროტებდნენ მონებს, რომელთა გამოსვლები კარგს არაფერს უქადდა სამხრეთელ მონათმფლობელებს.

## ინდიელთა ბრძოლები

ინდიელები თანაუგრძნობდნენ დაჩაგრულ ზანგებს, ისინი ეხმარებოდნენ და მალავდნენ გაქცეულ მონებს. ხშირად ზანგები და ინდიელები ერთიანდებოდნენ და შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ფედერალური მთავრობის ჯარებს.

ინდიანას ტერიტორიაზე ბელადმა ტეკუმსემ განიზრახა ინდიელთა დიდი კავშირის შექმნა ყველა ტომის მეომრებისაგან. მის წინააღმდეგ დაიძრა ინდიანას გუბერნატორი ჰარისონი, მაგრამ ინდიელთა მოძრაობის ჩახშობა მან ვერ

შეძლო. 1814 წ. ტეკუმსემ აიჯანყა ჩიროკის ტომები (კრიკის ტომის მეთაურობით). აჯანყება მთელი სისასტიკით ჩაახშო ენდრიუ ჯექსონმა: მან გაანადგურა ჩიროკების ტომი და გზა გაუხსნა სამხრეთ-დასავლეთის კოლონიზაციას. 1832-1842 წ. წ. დამთავრდა ომი ინდიელებთან (სემინოლებთან) ფლორიდაში, ხოლო ჩიროკების მიწები ჯორჯიის შტატის საკუთრებაში გადავიდა. XIX ს. 40-იანი წლებიდან ინდიელები უკვე რეზერვაციებში ცხოვრობდნენ.

## თომას ჯეფერსონის პრეზიდენტობა

1800 წ. პრეზიდენტის თანამდებობაზე თომას ჯეფერსონი აირჩიეს. მის დროს გაუქმდა წინა პრეზიდენტის, ჯონ ადამსის, რეაქციული კანონები, შემცირდა გადასახადები, არმიის კონტიგენტი, სახელმწიფო აპარატი, დაადგინეს, რომ 1808 წლიდან აღარ შემოიყვანდნენ მონებს. ჯეფერსონმა გაატარა აგრარული რეფორმაც: შეამცირა ფართობის ზომა, რომლის ყიდვა შეიძლებოდა დასავლეთის მიწების ფონდიდან, დასწია ფასები მიწაზე და დაუშვა გადასახადის განვადება. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ფერმერებისათვის აგრარული საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა.

ჯეფერსონის მმართველობის პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება (ჩრდილოეთის შტატებში) აღმავლობას განიცდიდა. 1803 წ. მისმა მთავრობამ ნაპოლეონისაგან 20 მილიონ დოლარად შეიძინა ლუიზიანა, უდიდესი ტერიტორია მისისიპის დასავლეთით. მადა ჭამაში მოდისო და, ამერიკელებმა ხარბი თვალები მიაპყრეს ესპანეთისა და მექსიკის მიწებს (ფლორიდას, ტეხასს, კალიფორნიას), წუნარ ოკეანეს, ალასკას (რუსეთს ეკუთვნოდა), კანადას და სხვ.

## მედისონის მმართველობა

1808-1817 წ. წ. პრეზიდენტის პოსტი ეკავა რესპუბლიკელ ჯეიმს მედისონს, ვირჯინიელ პლანტატორსა და 1787 წ. კონსტიტუციის ავტორს; მის დროს ამერიკის ჯარებმა დაიკავეს დასავლეთი ფლორიდა (1811), ხოლო 1812-1814 წ. წ. აშშ ინგლისთან ომობდა. ომი გამოიწვია პლანტატორებისა და ექსპანსიონისტური ბურჟუაზიის პოლიტიკამ და ინგლისის ძალადობამ ზღვაზე. ამ ომში ამერიკელებმა ვერ შეძლეს კანადის დაპყრობა, პირიქით, ბრიტანელებმა 1814 წ. დაიკავეს ვაშინგტონი და გადაწვეს კაპიტოლიუმი. ზავი დაიდო 1814 წ. 24 დეკემბერს. ინგლისმა უარი თქვა შეერთებული შტატების ვაჭრობის ჩაკვლაზე, ხოლო ამერიკელებმა—ბრიტანელთა სამფლობელოების ხელყოფაზე.

მისისიპის აუზში ბამბის მეურნეობის გადატანამ პლანტატორთა ბანაკში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება გამოიწვია. XIX ს. 20-იან წლებში აშშ-ს მართავდნენ „ვირჯინიელები“, ანუ თამბაქოსა და ბამბის პლანტატორები (მაგ. მედისონი, მონრო), ხოლო 20-იანი წლების მიწურულიდან ძალაუფლება გადავიდა სამხრეთ კაროლინის და ჯორჯიის წარმომადგენელთა ხელში. სამხრეთის პოლიტიკის სათავეში იდგნენ ის პლანტატორები, რომლებიც კაპიტალს აბანდებდნენ დასავლეთის მიწებში, ამასთან, ისინი წარმოადგენდნენ რაგორც ძველ შტატებს, საიდანაც მათ ირჩევდნენ, ასევე მისისიპის და მექსიკის ყურის პლანტატორებსაც.



## მისურის კომპრომისი

დასავლეთის ახლადასახლებათა ტერიტორიების ორგანიზაციის საკითხს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. 1819 წ. კავშირის შემადგენლობაში შევიდა ახალი შტატი—ალაბამა (მონათმფლობელური). ახლა ჩრდილოეთში, თავისუფალ შტატებში, 5 მილიონი მცხოვრები იყო და მისი სახეით ბურჟუაზია წარმომადგენლობით პალატაში 105 დეპუტატს აგზავნიდა. სამხრეთში მოსახლეობის რაოდენობა 4. 485 ათასს აღწევდა და ქვედა პალატაში მას 81 წარმომადგენელი ჰყავდა. სენატში ორივე მხარეს თანაბარი ადგილები გააჩნდა. 1819 წ. კონგრესში შეიტანეს წინადადება იმის შესახებ, რომ მისურში აეკრძალათ მონების შეყვანა და იქ დაბადებული მონის შვილი თავისუფალი ყოფილიყო 25 წლის ასაკიდან. სენატმა ეს საკითხი უარყო. პირველად აშშ-ის ისტორიაში მონობის პრობლემა განხილვის საგნად იქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაჩაღდა მძაფრი პოლიტიკური ბრძოლა. არ სურდათ რა სენატში უმრავლესობის დაკარგვა, 1820 წ. კავშირში მისურის ტერიტორიის ახალი მონათმფლობელური შტატის სახით მიღებისას (იმავდროულად კავშირში მიიღეს მენი, როგორც თავისუფალი შტატი), სამხრეთელებმა მიაღწიეს იმას, რომ დასავლეთის ნაყოფიერი მიწები, რომლებიც მდებარეობდნენ 36° 30′-ის სამხრეთით, გამოცხადებულიყო მონათმფლობელურად, ხოლო ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწები—თავისუფალ ტერიტორიად. გადაწყდა, რომ კავშირში ერთდროულად მიიღებდნენ ორ შტატს: ერთს—მონათმფლობელურს და მეორეს—თავისუფალს.

ამ შეთანხმებამ, რომელსაც „მისურის კომპრომისი“ ეწოდა, დროებით გადადო კონფლიქტი ორ სოციალურ სისტემას შორის.

ჩრდილოეთის შტატებში მრეწველობის სწრაფი განვითარება და სამხრეთში მონობის გაძლიერება თავის ასახვას პოულობდა აშშ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩრდილოეთის ბურჟუაზიასა და სამხრეთელ პლანტატორებს შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის, მაგრამ იგი XIX ს. შუახანებამდე ყოველთვის ბურჟუაზიის კაპიტულაციით მთავრდებოდა. ბურჟუაზია სამხრეთელებისაგან ღებულობდა იაფფასიან ბამბას და მისთვის არ იყო ხელსაყრელი პლანტატორებთან კავშირის გაწყვეტა, მითუმეტეს, რომ ჩრდილოეთი სესხს აძლევდა პლანტატორებს. ის ძალები კი, რომლებსაც შეეძლო ებრძოლათ მონათმფლობელობის წინააღმდეგ (მუშები და ფერმერები), ჯერ კიდევ არ იყვნენ ორგანიზებულნი, თანაც ორივე კლასს დასავლეთში დასახლება სურდა და მიწისათვის ბრძოლაში ჩასაბმელად მზად არ იყო.

## მონროს დოქტრინა

ახალგაზრდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთავრობა ინგლისის ულტიმატუმის გადაგდებისთანავე საკუთარი კოლონიური სისტემის შექმნის გზას დაადგა. ამერიკის კონტინენტზე აშშ-ის ექსპანსიის მთავარი ეტაპი მონროს საგარეო პოლიტიკის დოქტრინასთანაა დაკავშირებული. ეს დოქტრინა შემდეგნაირად წარმოიშვა. 1822 წ. ვერონის კონგრესზე დაისვა საკითხი ესპანეთში რევოლუციის ჩახშობის შესახებ. ინგლისს არ სურდა, რომ იგი საფრანგეთს ეთავა, რადგანაც ესპანეთში გაძლიერდებოდა საფრანგეთის გავლენა, და კიდევ—საფრანგეთი ამერიკაში ესპანეთის კოლონიებს შეეპოტინებოდა. 1823 წ. 2 დეკემბერს რიგით მეხუთე პრეზიდენტმა მონრომ წერილით მიმართა კონგრესს, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „ამერიკის კონტინენტები, მიაღწიეს რა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ევროპის სახელმწიფოთა მხრივ ამიერიდან არ უნდა განიხილებოდნენ, როგორც კოლონიზაციის ობი-

ექტები". მონროს მიმართვით აშშ არ ჩაერეოდნენ არსებული კოლონიების საშინაო საქმეებში, მაგრამ არ დაუშვებდნენ ახლად დაარსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებზე ევროპელთა კონტროლს და ა. შ.

ამრიგად, აშშ-მა დააყენეს ჩაურეველობის საკითხი ევროპისა და ამერიკის საშინაო საქმეებში. მონროს დოქტრინაში ჩადებული იყო ორი საწყისი: პირველი (არამთავარი),—თავდაცვითი, მიმართული ევროპელთა ამერიკაში ინტერვენციის წინააღმდეგ, და მეორე (ძირითადი)—შეტევითი, რომელიც ამერიკის ორივე კონტინენტზე აშშ-ის გაბატონებას გულისხმობდა. ასე რომ, ფორმულა „ამერიკა ამერიკელებისათვის" სუფთა წყლის დემაგოგია იყო და უფრო ესადაგებოდა სურვილს—„ამერიკა შეერთებული შტატებისათვის" (საინტერესოა, რა დამოუკიდებლობა უნდა მიეცათ აშშ-ს ევროპელთა კოლონიებისათვის, როცა თვით შტატებში მონათმფლობელობა იყო გაბატონებული?).

აშშ-ის ოფიციალური წრეები ინგლისთან ერთად დაინტერესებული იყვნენ ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილი კოლონიებისა და ახალშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩაყლაპვით.

## ჯექსონის პრეზიდენტობა

1824 წლის არჩევნებში გაიმარჯვა ჯონ ქუინსი ადამსმა (იგი შვილი იყო აშშ-ის მეორე პრეზიდენტის, ჯონ ადამსისა), რომელსაც მხარი დაუჭირეს ახალი ინგლისის რესპუბლიკელებმა მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიით სათავეში. 1828 წ. არჩევნებში იმავე წელს შექმნილმა დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტად გაიყვანა გენერალი ენდრიუ ჯექსონი. ის არ იყო განათლებული პიროვნება, მან სახელი გაითქვა 1812-1814 წ. წ. ომში (ინგლისელები დაამარცხა ახალ ორლეანთან.) და ინდიელთა ხოცვა-ჟლეტით (ფლორიდაში). დასავლეთის ფერმერები მასში ხედავდნენ ბანკების მონოპოლიისა და სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლს, ხოლო პლანტატორები — თავიანთ კაცს (ჯექსონიც მონათმფლობელი იყო) და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით აგრესიის მომხრეს. ჯექსონის კაბინეტი მთლიანად რასისტმა პლანტატორებმა და დემოკრატიული პარტიის წევრებმა შეადგინეს.

აშშ-ის ბანკი სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა მუშებში, ფერმერებსა და წვრილ ბურჟუებში. 1832 წ. ჯექსონმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებდა შეერთებული შტატების ბანკის უფლებამოსილების განახლებას. ეს ნაბიჯი გათვლილი იყო ახალი არჩევნებისათვის. ცნობილია, რომ მანამდე მუშები აკრიტიკებდნენ პრეზიდენტს ამკარა ექსპანსიონიზმისა და მილიტარიზმის გამო. მოწმოიშვა მოძრაობა მუშათა კანდიდატის გასაყვანად პრეზიდენტის პოსტზე. ამიტომ იყო ჯექსონის ვეტო პოლიტიკური მანევრი. მთლიანობაში მისი პოლიტიკა მეტ-ნაკლებად წარმოადგენდა ლავირებას ჩრდილოეთის მრეწველ-ფინანსისტებსა და სამხრეთელ პლანტატორებს შორის (ჯექსონი თავს იწონებდა ომებში მონაწილეობით, უწიგნურობით, მასზე შეთხზული ანეკდოტებით.). ჯექსონი დევნიდა მუშათა ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს. 1832 წ. ის მონათმფლობელებთან კონფლიქტში აღმოჩნდა. იმ წელს მიიღეს ნიხრი (ტარიფი), რომლის მიხედვით სამრეწველო საქონელზე ბაჟის საშუალო ზომა მერყეობდა 21-დან 23 პროცენტამდე. სამხრეთი კაროლინა და ჯორჯია გაბედულად გამოვიდნენ ამ ნიხრის წინააღმდეგ და კავშირიდან გასვლითაც დაემუქრნენ პრეზიდენტს. ჯექსონი წავიდა კომპრომისზე: დასწია ნიხრის ზომები და კავშირიც შეინარჩუნა. 1832 წ. არჩევნებში მას მხარი დაუჭირეს დასავლეთის ფერმერებმა, შიდაატლანტიკურმა შტატებმა და სამხრეთმა. საარჩევნო კამპანიის დროს პირველად



მოიწვიეს პარტიული კონვენტები (ყრილობები), რომლებსაც პარტიათა ხელმძღვანელობის ფუნქციები მიენიჭათ. ამიერიდან პრეზიდენტობის კანდიდატს მხოლოდ პარტიათა კონვენტი წამოაყენებდა.

ჯექსონის დროს ჩრდილოეთსა და დასავლეთში ვითარდებოდა სახალხო განათლება, ზოგიერთ შტატში შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება (თეთრი მამაკაცებისთვის), მთელ რიგ საწარმოებში მუშებმა მოიპოვეს 10 საათიანი სამუშაო დღე.

ჯექსონის პრეზიდენტობის წლებში დაიწყო წინააღმდეგობის გამწვავება სამხრეთის პლანტატორებსა და ჩრდილოეთის ბურჟუაზიას შორის, და ეს კონფლიქტი ღრმავდებოდა დასავლეთის განუწყვეტელი კოლონიზაციის პარალელურად. ჯექსონი, როგორც ითქვა, ატარებდა გაძრომ-გამოძრომის პოლიტიკას, რომლის ძირითად პირობას წარმოადგენდა მონობის შენარჩუნება არა მარტო ძველ შტატებში, არამედ მისი გავრცელება დასავლეთში. ჯექსონის „დემოკრატია" იყო „დემოკრატია" მონათმფლობელებთან კომპრომისისა საერთოეროვნული პოლიტიკის მთავარ საკითხებში და, თუ მის დროს გატარდა პროგრესული გარდაქმნები, გატარდა მუშების, ფერმერებისა და წვრილი ბურჟუაზიის აქტიურობის შედეგად.

1828-1834 წლებში დაარსდა 61 მუშათა პარტია, რომლებიც შეადგინეს სახელოსნოთა მუშებმა. 30-იან წლებში გამოდიოდა 50-მდე მუშათა გაზეთი, 1834 წ. შეიქმნა ტრედუნიონთა ეროვნული კავშირი, რომელმაც 3 წელიწადს იარსება. 1833-1837 წ. წ. ადგილი ჰქონდა 173 გაფიცვას, მუშები მოითხოვდნენ დემოკრატიულ გარდაქმნებს, იაფ ფასებში მიწის გაყიდვას, საარჩევნო უფლებებს, შრომის პირობების გაუმჯობესებას. ჯექსონის შემდეგ პრეზიდენტებად იყვნენ ნაკლებად ცნობილი ფიგურები. 1836 წ. გაიმარჯვა დემოკრატმა ვან ბიურენმა, რომელიც ჯექსონის პოლიტიკის გაგრძელებას ცდილობდა. მის ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია კანონი „ვანაცხადზე" (1841), ანუ მიწის შეძენაში იმ მოახალშენის უპირატესობაზე, ვინც ფაქტიურად დაიკავა იგი.

## ამერიკელი ვიგები

1833-1834 წ. წ. ოპოზიცია ვიგების პარტიაში გაერთიანდა. მასში ხელმძღვანელს როლს თამაშობდნენ ჩრდილოეთელი ფაბრიკანტები, მრეწველობასთან დაკავშირებული პლანტატორები და ფერმერთა ნაწილი. ისინი გამოდიოდნენ ფედერალური ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მეტ დეცენტრალიზაციას. ვიგები აერთიანებდნენ ჩრდილოეთის ბურჟუაზიისა და სამხრეთის მონათმფლობელთა შორის კომპრომისის მომხრეებს, მიდიოდნენ მონობის შენარჩუნებაზე, მფარველობითი ნიხრების შემოღებაზე, რკინიგზების, არხების მშენებლობაზე,—ოღონდ ფედერალური სახსრებით. ვიგებმა აშშ-ს 4 პრეზიდენტი მისცეს: გენერალი ჰარისონი (1840-1841), ჯონ ტაილორი (1841-1845), ზაქარია ტეილორი (1848-1850) და მილარდ ფილმორი (1850-1853).

ჰარისონმა თავი „ისახელა" როგორც ინდიელთა დამმარცხებელმა და მონობის მომხრემ, ხოლო ჯონ ტაილორმა,—როგორც მონათმფლობელთათვის ახალი მიწების დამპყრობმა. იგი წინააღმდეგი იყო მაღალი ნიხრებისა, ფედერალური სახსრების ხარჯვისა რკინიგზების მშენებლობისათვის, იცავდა სამხრეთელთა ინტერესებს, რის გამოც კონფლიქტში აღმოჩნდა ჩრდილოეთის ბურჟუაზიასთან.

XIX ს. ფართო გავრცელება ჰპოვა აბოლიციონიზმმა[1], მიმდინარეობამ, რომელიც მოითხოვდა მონობის მოსპობას. ეს მოძრაობა 40-იან წლებში, აშშ—მექსიკის ომის დროს, დიდი აღმავლობას განიცდიდა. ომის წამომწყები პლანტატორებისათვის გამარჯვების ნაყოფის წართმევის მიზნით კონგრესში შეტანილ იქნა წინადადება მონობის აკრძალვის შესახებ იმ ოლქებში, რომლებიც მომავალში შევიდოდნენ კავშირში. წინადადება უარყვეს, მაგრამ იგი არაერთხელ შეუთავაზებიათ კონგრესისათვის. მონათმფლობელები მთელი სისასტიკით ებრძოდნენ აბოლიციონისტებს, არბევდნენ იმ რედაქციებს, რომლებიც მონობის აკრძალვის ამსახავ გაზეთებს ბეჭდავდნენ.

ერთ-ერთი მთავარი აბოლიციონისტი იყო უილიამ ჰარისონი. მისი გაზეთი „ლიბერეიტორი“ („განმათავისუფლებელი“) გამოდიოდა 1831-1865 წ.წ. განსხვავებით მრავალი დემოკრატისა, რომლებიც ამხელდნენ მონობას, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებდნენ, ჰარისონი მთელი ენერგიით მოითხოვდა მის მოსპობას. მან 1832 წ. დაარსა „ახალი ინგლისის საზოგადოება მონობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის“. 1840 წლისთვის ასეთი ორგანიზაციები გაერთიანდნენ ეროვნული მაშტაბის კავშირში. საზოგადოებაში შედიოდნენ მუშები, ფერმერები, ბურჟუაზიის მოწინავე წრეები.

XIX ს. შუახანებში დაიბეჭდა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს რომანი „ბიძია თომას ქოხი“, რომელმაც რეალისტურად ასახა მონობის საშინელი და სამარცხვინო სურათი, პლანტატორთა (ყველასი არა, რა თქმა უნდა) მხეცობა, ზანგების ჩაგვრა, მათი პირუტყვზე მძიმე ხვედრი და სხვ. ნაწარმოებმა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს სამყაროზე.

1838 წ. ჩამოყალიბდა გაქცეულ ზანგთა დამხმარე ორგანიზაცია „მიწისქვეშა რკინიგზის საზოგადოება“. მისი წევრები მონებს გაქცევასა და კანადის ტერიტორიაზე გადასვლაში ეხმარებოდნენ. „რკინიგზა“ დააარსეს ჩრდილო კაროლინის, კენტუკისა და ტენესის ფერმერებმა, მათ ზანგები გადაჰყავდათ ოჰაიოში, ინდიანასა და ილინოისში (დიდი ტბების ოლქებშიც). გამცილებელთა („კონდუქტორთა“) შორის სახელი გაითქვეს ჯონ ბრაუნმა, ჯოსია ჰენსონმა და სხვა მრავალმა, რომლებიც დიდი რისკის, სიცოცხლის ფასადაც კი, მოქმედებდნენ.

## ფრისოილერთა პარტიის დაარსება

1848 წ. ბუფალოში დაარსდა ფრისოილერთა (freesoil — თავისუფალი მიწა) პარტია, რომელიც უმთავრესად შეადგინეს ფერმერებმა, ხელოსნებმა და ბურჟუაზიის მოწინავე ელემენტებმა. ეს ბურჟუაზიული პარტია თვლიდა, რომ კონგრესს არ ჰქონდა უფლება აეკრძალა მონობა არსებულ შტატებში, მაგრამ მოითხოვდა მის გაუქმებას ახლად მიღებულებში. ფრისოილერთა პარტია ილაშქრებდა სპეკულაციის წინააღმდეგ და კონგრესში აყენებდა საკითხს ახალ ტერიტორიებზე კოლონისტებისათვის მიწის უფასო გადაცემის შესახებ. 1848 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში ფრისოილერებმა თავიანთი კანდიდატურა წამოაყენეს, მაგრამ მხოლოდ 300 ათასი ხმა შეაგროვეს. ეს იმიტომ, რომ ფერმერთა უმრავლესობა პლანტატორებთან ერთად გამოდიოდა ჩრდილოეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც მაღალ პროტექციონისტური რეჟიმის შემოღებას მოითხოვდა. მონათმფლობელებთან მიწის ირგვლივ ბრძოლის საკითხმა გადამწყვეტი მნიშვნელობა ათიოდე წლის შემდეგ შეიძინა.

[1] Abolition — გაუქმება.





40-იან წლებში აშშ-ის ექსპანსია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. პირველ რიგში, აშშ-მა ხელთ იგდო ტეხასი. იგი შედიოდა მექსიკის შემადგენლობაში და ეკუთვნოდა მეტროპოლიას, — ესპანეთს. 1821 წ. მექსიკელმა ხალხმა გადაიგდო კოლონიური უღელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. სწორედ აქედან იწყება ტეხასში შეერთებული შტატების მოქალაქეთა ნებადაურთველი დასახლება.

1835 წ. ამერიკელმა ემიგრანტებმა ტეხასიდან გააძევეს მექსიკის ჯარი და გამოაცხადეს დამოუკიდებელი ტეხასის რესპუბლიკა. 1836 წ. ტეხასის ჯარებმა, გენერალ ჰიუსტოის სარდლობით, დაამარცხეს მექსიკის პრეზიდენტის სანტა-ანას არმია. 1845 წ. დეკემბერში აშშ-ს მთავრობამ ოფიციალურად დაიპყრო ტეხასი. ეს მოხდა პრეზიდენტ პოლკის დროს. მან მონროს პრინციპი, რომელიც ამ კონტინენტის ხალხს აძლევს უფლებას, — თავად გადწყვიტოს თავისი ბედი და, თუ მისი რომელიმე ნაწილი შექმნის დამოუკიდებელ სახელმწიფოს და გვთხოვს ჩვენს კავშირში შემოსვლას, ამ საკითხს სხვისი შუამდგომლობის გარეშე გადავჭრით“.

ტეხასის დაპყრობამ დაძაბა ურთიერთობა მექსიკასთან. პრეზიდენტი პოლკი ომის დაწყების სასარგებლოდ გადაიხარა. 1846 წ. აპრილის ბოლოს სასაზღვრო მდინარე რიო-გრანდეზე გაჩაღდა ბრძოლები, ხოლო შემოდგომისათვის ამერიკის ჯარებმა დაიკავეს ახალი მექსიკა. მალე აშშ-მა ხელთ იგდეს კალიფორნია სან-ფრანცისკოთურთ და იქიდან მექსიკელები გააძევეს. 1847 წ. სექტემბერში ამერიკელებმა მეხიკოც დაიუფლეს და აიძულეს მექსიკის მთავრობა, — მიეღო დამამცირებელი საზავო პირობები. 1848 წ. 2 თებერვალს გვადალუპე-იდალგოში აშშ-მა გააფორმეს უზარმაზარი ტერიტორიების. — ახალი მექსიკის და კალიფორნიის ჩრდილოეთი ნაწილის დაპყრობა (ამ მიწებზე ჩამოყალიბდა ახალი მექსიკის, ნევადისა და კალიფორნიის შტატები). აღნიშნულ ტერიტორიებში აშშ-მა სანტა-ანას 15 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

მალე ამერიკამ ბრიტანეთისაგან მიიღო ორეგონი (ვანკუვერის კუნძულის გამოკლებით). ევროპის 1848-1849 წ.წ. რევოლუციებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია აშშ-ის საზოგადოებაზე: ამერიკაში დასავლეთის მიწების ათვისებით იყვნენ დაკავებულნი.

## აშშ-ის ექსპანსია ცენტრალურ ამერიკასა და შორეულ აღმოსავლეთში

აშშ-ის მთავრობას გულით ეწადა კუბის შეძენა, მაგრამ უარი მიიღო ესპანეთისაგან (1848). 1850 წ. ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პანამის ყელზე ორივე მხარის კონტროლის შესახებ. ამიერიდან აშშ-ის ფლოტი და ჯარები რეგულარულად იჭრებოდნენ კოლუმბიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე (მას ეკუთვნოდა პანამის ყელი).

შეერთებულმა შტატებმა თავისი ექსპანსიონისტური აქტიურობა შორეულ აღმოსავლეთშიც განავითარა: მათი ფლოტი მრავალჯერ შეიჭრა ჩინეთის წყლებში. ისარგებლეს რა ინგლისელთა გამარჯვებით პირველ საოპიუმო ომში (1842), აშშ-მა აიძულა ჩინეთის მთავრობა, ხელი მოეწერა არათანაბარუფლებიანი ხელშეკრულებისათვის. მალე იაპონიის ჯერიც დადგა.

1853-1854 წ.წ. კომოდორ პერის ესკადრამ ძალის დემონსტრაციით შეძლო იაპონიისაგან სავაჭრო პრივილეგიების მიღება შეერთებული შტატებისათვის. 1852-1855 წ.წ. მოეწყო აშშ-ის სამხედრო ფლოტის ექსპედიცია ბე-

რინგისა და ჩინეთის წყლებში. ამერიკელებმა მონაწილეობა მიიღეს ტაიპინების აჯანყების ჩახშობაში, ინგლისელებთან ერთად დაბომბეს შანხაი (1854), კანტონი (1856) და ბოლო მოუღეს ჩინეთის რევოლუციას.

ყველაფერი ეს მიუთითებს აშშ-ის მთავრობის აგრესიულ, მტაცებლურ და რეაქციულ პოლიტიკაზე. არადა, ქვეყანა, რომელიც სისხლს აქცევდა დამოუკიდებლობისათვის, XIX ს. მეორე ნახევარში თავად გადაიქცა სხვა ერების მჩაგვრელად და მძარცველად.

## მუშათა მოძრაობა XIX ს. 40-50-ან წლებში

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა დაქირავებულ მუშათა და პროფესიული კავშირების რიცხვი. მუშები და ტრედ-უნიონები აშშ-ში თავრესად ეკონომიკური ხასიათის ბრძოლას ეწეოდნენ. აშშ-ში ყველაზე აქტიურად ემიგრანტები მოღვაწეობდნენ. გერმანიაში რევოლუციის დამარცხების შემდეგ ამერიკაში ყოველწლიურად 200 ათასი ემიგრანტი ჩადიოდა. მათ შორის იყო კომუნისტური კავშირის წევრი იოსებ ვაიდემაიერი. იგი ფრიდრიხ ზორგესთან ერთად ცდილობდა მარქსისტული იდეების შეტანას მუშათა მოძრაობაში და ამ მიზნით ჩამოაყალიბა „პროლეტარული ლიგა“, რომელშიც უმთავრესად გერმანელი მუშები გაერთიანდნენ. რაც შეეხება ამერიკელ პროლეტარებს, ისინი შორს იდგნენ მარქსისტული იდეებისაგან და, თუ ნიუ-იორკში მაინც დაარსდა კომუნისტური კლუბი (1857) და მისი წევრები პირველ ინტერნაციონალში შევიდნენ, ეს წვეთი იყო ოკეანეში. მუშებს იმ წლებში დასაქლეთში დასახლება, 10 საათიანი სამუშაო დღე, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და მონობის გაუქმება უფრო იზიდავდა, ვიდრე ევროპიდან ჩამოტანილი კომუნისტური იდეები.

## მონობის საკითხის გამწვავება და სამოქალაქო ომი კანზასში

XIX ს. შუახანებში ბურჟუაზიული ჩრდილოეთი სამხრეთელ მონათმფლობელთა ინტერესებს შორჩილებდა. სარგებლობდნენ რა პოლიტიკური ძალაუფლებით, პლანტატორები მოხობას ახალ ტერიტორიებზეც ავრცელებდნენ. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ თავისუფალი შტატების მოსახლეობა უფრო სწრაფად იზრდებოდა და მონათმფლობელები მალე უნდა გამოთხოვებოდნენ წარმომადგენელთა პალატას, სადაც დეპუტატები მცხოვრებთა რიცხვის პროპორციულად იგზავნებოდნენ. კალიფორნიაში ოქროს აღმოჩენამ (1848 წ.) და წყნარი ოკეანის სანაპიროს მასიურმა დასახლებამ მკვეთრად დააყენა საკითხი მონობის შესახებ დასავლეთის მიწებზე. 1850 წ. კონგრესმა მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელთა ერთობლიობა შემდეგნაირ კომპრომისში გამოიხატა:

1. კალიფორნია, რომლის მოსახლეობამ კონგრესის გადაწყვეტილებამდე მიიღო კონსტიტუცია, მიღებულ იქნა თავისუფალ შტატად;
2. კოლუმბიის ოლქში აიკრძალა მონათვაჭრობა;
3. ახალი მექსიკისა და იუტას მოსახლეობას თავად უნდა გადაეწყვიტა საკითხი მონობაზე. ამრიგად, გაუქმდა „მისურის კომპრომისი“, რომელიც კრძალავდა მონობას მისისიპის დასავლეთით და 36° და 30′-ის ჩრდილოეთით. სხვა ახალ შტატებში მონობის საკითხს გადაწყვეტდა კონგრესი და არა ადგილობრივი მოსახლეობა.
4. მიღებულ იქნა მკაცრი კანონი გაქცეულ მონათა შესაპყრობად. ამიერიდან სამხრეთისა და ჩრდილოეთის ყველა შტატში იქმნებოდა რწმუნებულთა განსაკუთრებული ინსტიტუტი, რომელსაც მონათა დაჭერა ევალებოდა



(ამ კანონის მიღებისთანავე ათასობით მონა და თავისუფალი ზანგი კანადაში გაქცეულა).

1850 წ. კომპრომისის წინააღმდეგ გამოვიდნენ მუშები. „ჩვენ ყოველი საშუალებით ვიბრძოლებთ მონობის წინააღმდეგ, ამოვითხოვთ გაქცეული მონების გაცემის შესახებ მიღებული კანონის დაუყოვნებლივ გაუქმებას“. — აცხადებდა თავის რეზოლუციაში მუშათა „არბაიტსბუნდის“ ორგანიზაცია (1859).

მონათმფლობელთა აგრესიის შემდეგი ნაბიჯი კანზასსა და ნებრასკაში მონობის დაკანონება იყო. ორივე ტერიტორია 36° 30′ ჩრდ. განედის ჩრდილოეთით მდებარეობდა. 1854 წ., როცა ამ ორ შტატს კავშირში იღებდნენ, კონგრესმა ძათ მოსახლეობას ხება მისცა თავად გადაეწყვიტა, გახდებოდნენ ეს ტერიტორიები თავისუფალნი თუ მონათმფლობელურნი. როგორც კი კონგრესმა მიიღო კანონი ახალი შტატების დაარსებასა და მოწყობაზე (ბილი — „კანზას-ნებრასკა“), ნებრასკასა და კანზასში მონათმფლობელებმა შეიარაღებული ბანდები გაგზავნეს მონობის დაწესების მიზნით. პასუხად ჩრდილოეთის მუშებმა და ფერმერებმაც, ახალ შტატებში მონობის მოწინააღმდეგეებმა რომ დახმარებოდნენ, შექმნეს შეიარაღებული რაზმები.

ივნისის პირველ რიცხვებში, როცა კანზასში შეიტყვეს ბილის მიღებაზე, ჯერ კიდევ მიწების გაყიდვის დაწყებამდე, ათასობით ფერმერი და პლანტატორი შეესია ახალ შტატს. პირველ ხანებში მოხათმფლობელებმა ისეთი ენერგიული საქმიანობა გაიჩაღეს, რომ არავის ეპარებოდა ეჭვი მათ წარმატებაში. პლანტატორები კანზასში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც მისურს ესაზღვრებოდა, ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახლში.

პირველი შეტაკება მოხდა 1854 წ. ნოემბერში, როდესაც მიმდინარეობდა კონგრესში გასაგზავნი წარმომადგენლების არჩევა. არჩევნების წინ, სენატორ ატჩინსონის ინიციატივით, მისურში დაარსდა საზოგადოება „კანზასში მცხოვრებთა იმპორტისთვის“. 28 ნოემბერს ამომრჩეველების ნიაღვარი დაიძრა კანზასისაკენ, ხოლო მათი შეიარაღებული ბანდები კონტროლს უწევდნენ საარჩევნო ყუთებს და მისულებისაგან თავიანთი საარჩევნო სიების ჩვენებას მოითხოვდნენ. ზოგიერთ დაბაში 40-მდე მცხოვრებიც არ იყო, მაგრამ მეზობელი მისურიდან ჩამოსული ბანდიტების წყალობით მონათმფლობელებმა ასობით ხმები შეაგროვეს.

1854-1856 წ.წ. კანზასის შტატში შეიარაღებული ბრძოლა მიმდინარეობდა ფერმერებსა და პლანტატორთა შორის. ეს ბრძოლა კანზასის თავისუფალ შტატად აღიარების მომხრეებმა მოიგეს, მაგრამ ფედერალურმა მთავრობამ ჯარი გაგზავნა კანზასში, რომელმაც იქ მონათმფლობელთა ძალაუფლება დაამყარა. კანზასში ორხელისუფლიანობის არსებობამ ძლელვარება გამოიწვია მისურის მონათმფლობელურ შტატში. მისურელები სალაშქროდ მოემზადნენ, ხოლო თავისუფალი შტატის პარტიის ლიდერებმა დახმარებისათვის პრეზიდენტს, ოჰაიოს, ნიუ-იორკსა და როდ-აილენდს მიმართეს.

მაგრამ, სანამ ჩრდილოეთიდან დახმარება მოვიდოდა, მისურელებმა დაარბიეს ქ. ლორენსი და ის დაბები, სადაც მონობის მოწინააღმდეგეები გამაგრდნენ.

1856 წ. 7 სექტემბერს ქ. ლეკომპტონში შეკრებილმა მონათმფლობელურმა კონვენტმა შეიმუშავა ე. წ. ლეკომპტონის კონსტიტუცია. 21 ნოემბერს ჩატარდა პლებისციტი (რა თქმა უნდა, ტერორის ქვეშ), რომელმაც ხმების უმრავლესობა მონობის მომხრეებს მისცა. მაგრამ ტოპიკაში არსებულ საკანონმდებლო კრებაში, რომელიც უმთავრესად ფერმერებისა და პლანტა-

ტორებისაგან შედგებოდა, ხმათა უმრავლესობა მონობის მოწინააღმდეგეებმა მიიღეს.

1858 წ. 4 იანვარს კვლავ ჩატარდა პლებისციტი და 10 ათასი ხმის უმრავლესობით ლეკომპტონის კონსტიტუცია უარყოფილ იქნა. 1861 წ. იანვრიდან, ხალხის ზემოქმედების შედეგად, კონგრესმა კანზასი თავისუფალ შტატად აღიარა. კანზასში ომის შემდეგ ხალხის ფართო მასები დარწმუნდნენ იმაში, რომ საჭირო იყო პლანტატორებისათვის ცენტრალური ძალაუფლების წართმევა. კანზასის ამბებს ახალი რესპუბლიკური პარტიის შექმნა და ქვეყანაში კლასობრივი და პარტიული ძალების გადაჯგუფება მოჰყვა. არსებითად, კანზასში დაწყებული ბრძოლა აშშ-ს სამოქალაქო ომის პრელუდია იყო.

## ჯონ ბრაუნის აჯანყება (1856)

რევოლუციური კრიზისის შემდგომმა ზრდამ ხელი შეუწყო აჯანყების დაწყებას მონობის წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდნენ მონა ზანგები, თეთრი ფერმერები და აბოლიციონიზმის სხვა წარმომადგენელნი. ამერიკასა და მთელ მსოფლიოში გახმაურდა ჯონ ბრაუნის აჯანყება, რომელმაც ნათელი ფურცელი ჩაწერა ამერიკელი ხალხის ისტორიაში. ჯონ ბრაუნი დაიბადა 1800 წ. ფერმერის ოჯახში. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დაინახა მან, თუ როგორი სისასტიკით ექცეოდნენ პლანტატორები მონებს. იგი ქედუხრელი აბოლიციონისტი გახდა. ჯონ ბრაუნი და მისი შვილები მონაწილეობას ღებულობდნენ კანზასის ომში, ხოლო შემდეგ ზანგებს აპარებდნენ კანადაში. აჯანყების მოსამზადებლად მან შეადგინა პატარა რაზმი (32 კაცი), რომელშიც მისი 3 შვილიც შედიოდა. 1859 წ. 17 ოქტომბერს ამ რაზმმა ვირჯინიის შტატის ქალაქ ჰარპერსფერში სცადა ხელთ ეგდო იარაღის არსენალი. ჯონ ბრაუნს სწამდა, რომ აჯანყებას მხარს დაუჭერდნენ ზანგებისა და თეთრების ფართო მასები. რაზმმა დაიკავა არსენალი, მაგრამ აჯანყებამ დახმარება ვერ მიიღო. მოსულმა ჯარმა ალყა შემოარტყა არსენალს. ბრძოლაში თითქმის ყველა აჯანყებული დაიღუპა. დაჭრილი ჯონ ბრაუნი გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს. სიკვდილის წინ მან ეს სიტყვები დაწერა: „მე ჯონ ბრაუნი, ახლა სავსებით დავრწმუნდი იმაში, რომ მხოლოდ სისხლი განბანს ამ ცოდვილ ქვეყანას უდიდეს დანაშაულს. მე ახლა ვფიქრობ, რომ ამაოდ ვაიმედებდი საკუთარ თავს იმაში, რომ თითქოს ამის მიღწევა დიდი სისხლისღვრის გარეშეც შეიძლებოდა“.

ჯონ ბრაუნის ვაჟკაცობამ და თავგანწირვამ აღაფრთოვანა მთელი ამერიკა, მის მაგალითს ბევრ შტატშიც მიბაძეს, მაგრამ ფედერალური მთავრობის ჯარებმა ყველა გამოსვლა სისხლში ჩაახშეს.

## გათიშვა ძველ პოლიტიკურ პარტიებში

ჯერ კიდევ კანზასში სამოქალაქო ომის დროს მოხდა გათიშვა დემოკრატიულ და ვიგების პარტიებში. ამ პარტიების ბურჟუაზიულ-ფერმერული ელემენტებისგან, რომელთაც მიემხრნენ ფრისოილერები და სხვა აბოლიციონისტური ორგანიზაციები, წარმოიშვა ახალი, რესპუბლიკური პარტია. ძნელი სათქმელია, თუ სად, რომელ ქალაქში გაფორმდა იგი ყველაზე ადრე. 1854 წ. თითქმის ერთდროულად დაარსდა რესპუბლიკური ორგანიზაციები მენში, ილინოისში, ოჰაიოში, ინდიანაში, ვისკონსინსა და აიოვაში. 1855 წ. წარმომადგენლობით პალატაში აირჩიეს 108 რესპუბლიკელი, 85 დემოკრატიული პარტიის და რასისტული „ამერიკული პარტიის“, ანუ „არაფრის მცოდნეთა“ პარტიის 45 წევრი (მისი წევრები კითხვებს პარტიის საქმეების შესახებ პასუხობდნენ სიტყვებით: „არაფერი არ ვიცი“). სენატში უმრავლესობას დემოკრატები ინარჩუნებდნენ, მათივე კაცი იყო პრეზიდენტი ბიუკენენიც.



რესპუბლიკური პარტია ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოითხოვდა დასავლეთის მიწებზე ფერმერთა უფასო დასახლებას და მონობის გაუქმებას. 1856 წ. რესპუბლიკელებმა წამოაყენეს ფრემონტის კანდიდატურა (იგი აბოლიციონისტი იყო), მაგრამ მისი პრეზიდენტად გაყვანა იმ არჩევნებში არ მოხერხდა. შემდგომ არჩევნებში რესპუბლიკელებმა გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს (1860 წ.): პრეზიდენტად არჩეული იქნა რესპუბლიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე აბრაჰამ ლინკოლნი. არჩევნებში ლინკოლნს ხალხი უჭერდა მხარს. ჩრდილოეთში მუშებმა ზურგი შეაქციეს დემოკრატიულ პარტიას და ხმა მისცეს ლინკოლნს. მის გამარჯვებას ხელი შეუწყო „დემოკრატების“ გათიშვამაც: ჩრდილოეთელმა დემოკრატებმა წამოაყენეს დუგლასის კანდიდატურა, სამხრეთელებმა კი — ბრეკენ რიჯისა.

XIX ს. 50-იანი წლების დამლევს აშშ-ში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. ახალი საწარმოო ძალების განვითარება მკვეთრ წინააღმდეგობაში მოვიდა ძველ საწარმოო ურთიერთობებთან, — სამხრეთში მონობის არსებობასთან. ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებას ამუხრუჭებდა პლანტატორული მონათმფლობელური სისტემის ბატონობა და, ბუნებრივია, ეს წინააღმდეგობა დიდ და უკომპრომისო ომში უნდა გადაზრდილიყო.

# სამოქალაქო ომი და კავშირის აღდგენა

## ომის წინ

როგორც აღინიშნა, 1860 წ. ნოემბერში პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი აბრაჰამ ლინკოლნი. იგი დაიბადა 1809 წ. კენტუკის შტატში, ღატაკი თეთრის ოჯახში. ინდიანაში, სადაც მისი ოჯახი გადასახლდა, იგი თავისი ხელით ხნავდა და წმენდდა მიწას, მორებს აცურებდა მისისიპზე ნიუ-ორლეანამდე, სადაც მონებით ვაჭრობდნენ. 30-იან წლებში ა. ლინკოლნი არმიაში მსახურობდა, ებრძოდა ინდიელებს, მიაღწია კაპიტნის წოდებას. იგი იყო თვითნასწავლი (განათლება შემდგომ მიიღო), გახდა ვექილი და კონგრესის წევრი. ა. ლინკოლნი დემოკრატიული შეხედულების გამო დიდი სიყვარულით სარგებლობდა ფერმერებსა და მუშებში. ყველაფერმა ამან აიძულა ჩრდილოეთის მსხვილი ბურჟუაზია მხარი დაეჭირა მისი კანდიდატურისათვის. ა. ლინკოლნის პრეზიდენტად არჩევამ, საბოლოო ჯამში, გამოხატა ბურჟუაზიის დაახლოება ფერმერებთან და მასებთან. მისი არჩევა არსებითად გადატრიალებას ნიშნავდა, რამეთუ მონათმფლობელებმა პოლიტიკური ბატონობა დაკარგეს ფედერალურ მთავრობაში.

ა. ლინკოლნი მანამდე არ მონაწილეობდა აბოლიციონისტურ მოძრაობაში. წინასაარჩევნო გამოსვლებში იგი ლაპარაკობდა მონობის აკრძალვაზე ახალ შტატებში, ჰპირდებოდა ჰომსტედს, პროტექციონისტურ ნიხრს, დასავლეთის კოლონიზაციის დაჩქარებას, თან აგრძნობინებდა პლანტატორებს, რომ არ ჩაერეოდა მათ საქმეებში და არ გააუქმებდა მონობას გამოსყიდვის გარეშე. მაგრამ მონათმფლობელები ვერ ურიგდებოდნენ პრეზიდენტის პოსტის დაკარგვას.

კონსტიტუციის ძალით ა. ლინკოლნს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება უნდა დაეწყო 1861 წ. 4 მარტიდან, მაგრამ მანამდე, 1860 წ. 20 დეკემბერს, სამხრეთ კაროლინამ კავშირიდან გასვლა გამოაცხადა. 1861 წ. იანვარ-თებერვალში სეცესიას (გამოყოფას) მიბაძეს ფლორიდამ, ჯორჯიამ და

მისისიპმა. მათ შექმნეს სამხრეთის კონფედერაცია (ცენტრით რიჩმონდი) და თავის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად ჯეფერსონ დევისი და ალექსანდრე სტეფენსი აირჩიეს.

კონფედერატებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც ამართლებდა უველა შტატის გამოყოფის უფლებას. იგი ხოტბას ასხამდა მონობას და ბრალს სდებდა ჩრდილოეთს მონათა გაქცევის ხელშეწყობაში. საბოლოო ჯამში მონათმფლობელთა მთავარი მიზანი ძალაუფლების დაბრუნებასა და ახალ მიწებზე მონობის გავრცელებაში მდგომარეობდა. იმ დროს, როდესაც სამხრეთელები ომისათვის ემზადებოდნენ, ჩრდილოეთის ბურჟუაზია და თვით ა. ლინკოლნი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას იმედოვნებდნენ. „იყავით მომთმენნი და სულგრძელნი, დაელოდეთ, სანამ ხალხი (ე. ი. სამხრეთელები) არ მოვა ჭკუაზე", — ამბობდა რესპუბლიკური პარტიის ლიდერი სიუარდი. ამასობაში კი სამხრეთელები ომისთვის ემზადებოდნენ. ყოფილმა პრეზიდენტმა (ბიუკენენმა) ისარგებლა ა. ლინკოლნის საქმიანობის ოფიციალურ დაწყებამდე არსებული პერიოდით (1860 წ. ნოემბერი — 1861 წ. 4 მარტი) და დიდი დახმარება აღმოუჩინა კონფედერატებს, კერძოდ: მან სამხრეთში გადაისროლა ჯარის ნაწილი, გადაიტანა იარაღი, გადარიცხა დიდი თანხები და, რაც მთავარია, საქმეები არივ-დარია ჩრდილოეთში.

12-13 აპრილს მეამბოხე სამხრეთელებმა ხელთ იგდეს ფორტი სამტერი (იგი იცავდა სამხრეთ კაროლინის ქალაქ ჩარლსტონის პორტის მისადგომს). სამხრეთში უველა ნავსადგური და არსენალი უომრად გადავიდა კონფედერატების ხელში.

მიუხედავად ამისა ა. ლინკოლნი მაინც დაშოშმინების პოლიტიკას აგრძელებდა. რაში იყო საქმე?

ჩრდილოეთის ბურჟუაზიის ძირითადი ფენებისათვის მონობის მოსპობა სასიცოცხლო, აუცილებელი საკითხი იყო. იქ, სადაც არსებობდა მონობა, არ ვითარდებოდა მრეწველობა. სამხრეთი ყოველმხრივ ჩამორჩა, იქ არ აგებდნენ ფაბრიკა-ქარხნებს, არ ვითარდებოდა მიწათმოქმედება, განათლება, კულტურა, არ საღებოდა ჩრდილოეთის მრეწველობის პროდუქცია. ასე რომ, სამხრეთის ჩამორჩენილობა საფრთხეს უქმნიდა აშშ-ს განვითარებას. მაგრამ სამხრეთთან ომის საკითხში ჩრდილოეთის ბურჟუაზია მაინც მერყევ პოზიციაზე იდგა და აი რატომ: 1. ომის დაწყებისას ჩრდილოეთს შეუერთდნენ მონათმფლობელური კენტუკი, მისური და სხვა შტატები (მონობის გაუქმებით ჩრდილოეთი ამ მოკავშირეებს დაკარგავდა); 2. პლანტატორებს ვალი ჰქონდათ ჩრდილოელებისა და საეჭვო გახდებოდა მათი დაბრუნება; 3. ომი არ სურდათ იმ მრეწველებს, რომელთა საწარმონი სამხრეთის ბაზარზე მუშაობდნენ.

## საომარი ოპერაციების დაწყება

1861 წ. 15 აპრილს ა. ლინკოლნის მთავრობამ სამხრეთის შტატები მეამბოხეებად გამოაცხადა და ომში 75 ათასი მოხალისე გაიწვია. მობილიზაციას 300 ათასი კაცი გამოეხმაურა, მათ შორის პროფესიული კავშირებიც. ომის დაწყებისას მთელმა ქვეყანამ ყურადღება მოსაზღვრე, მონათმფლობელურ შტატებს მიაპყრო, სადაც მონებს პირუტყვით ამუშავებდნენ და ჰყიდდნენ. ამ შტატების პოზიციაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. იქ მონები ისეთი დიდი რაოდენობით არ იყვნენ, როგორც კავშირიდან გასულ შტატებში, სამაგიეროდ შრავლად იყო თეთრი მოსახლეობა. ფორტ სამტერის დაცემისთანავე კონფედერაციას მიემხრნენ ვირჯინია, არკანზასი, ჩრდ. კაროლინა და ტენესი. კენტუკიმ ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, შეიძლება კი კავშირის მხარეზე დადგა. მისურში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, დელავერი კავშირში დარჩა, მერილენდიც.



1860 წ. აშშ-ში ცხოვრობდა 31.440 ათასი კაცი. აქედან ჩრდილოეთში 22.340 ათასი, ხოლო სამხრეთში — 9.100 ათასი. ჩრდილოეთის მრეწველობა მთელი თავით ჩაგრავდა სამხრეთისას, ასევე ითქმის რკინიგზებსა და არხებზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგერთვე, მორალურ ფაქტორსაც: პროგრესული ძალები ამერიკასა და მთელ მსოფლიოში მონობის წინააღმდეგნი იყვნენ. ჩრდილოეთის ფერმერები და მუშები გადამჭრელი ზომების მიღებას, უველგვარი ყოყმანის შეწყვეტას და ომის რევოლუციური მეთოდებით წარმართვას მოითხოვდნენ. მაგრამ ომის დასაწყისში ჩრდილოეთი ბრძოლას ბრძოლაზე აგებდა და სამხრეთის გამარჯვება თითქოსდა ეჭვს არ იწვევდა. სამხრეთში პლანტატორებმა დაუნდობელი დიქტატურა დაამყარეს და, ხელთ ეპყრათ რა არმია და ადმინისტრაცია, რეპრესიებით დარმორჩილეს ფერმერები და ზანგი მონები.

1861 წ. ივნისში მანასასასათან, ვაშინგტონთან ახლოს, ფედერალთა არმია სასტიკად დამარცხდა და სამარცხვნოდ გაიქცა. ამ ფაქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად ა. ლინკოლნმა გასცა ბრძანება სამხრეთზე ახალი, საერთო შეტევის მომზადებაზე, და 1862 წ. იანვარში იგი დაიწყო. აპრილში აღებულ იქნა ახალი ორლეანი, რამაც ფრთები შეასხა ჩრდილოელებს.

ომის დასაწყისში ფედერალური არმიის სარდლობა ერთდროულად ორი გეგმით მოქმედებდა. პირველი სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა პირდაპირ დარტყმას (შუბლი შუბლზე) მდ. პოტომაქსის რაიონში, ხოლო მეორე-კონფედერაციის ალყაში მოქცევას („ანაკონდა-გეგმა"). უკანასკნელი უსუსური იყო, რადგანაც იოლად შეიძლებოდა „მახრჩობელა გველის სხეულის" რომელიმე ადგილზე გადაჭრა და ამით გეგმა კრახის წინაშე აღმოჩნდებოდა.

გამარჯვებისათვის ჩრდილოეთს უფრო სწორი და სტრატეგიულად სახარბიელო გეგმა უნდა აერჩია, კერძოდ, მისი არმია შეჭრილიყო მოწინააღმდეგის ზურგში, ორად გაეპო მისი ტერიტორია და გადაეჭრა რკინიგზის მაგისტრალები (ჯორჯიაში), რომლებიც სამხრეთის ატლანტიკურ შტატებს მდინარე მისისიპის აუზთან აკავშირებდნენ, და კიდევ: აეკვანყებია მონები ჯორჯიის შტატში. რაც შეეხება სამხრეთელთა სტრატეგიულ გეგმას, იგი ვარაუდობდა ინგლისისა და საფრანგეთის (პალმერსტონისა და ლუი-ნაპოლეონ III) დახმარებით მოწინააღმდეგის განაღგურებას. სამხრეთელებს ჩრდილოეთის ბურჟუაზიის გავლენიანი წრეების იმედიც ჰქონდათ. ისინი თითქოსდა არ ცდებოდნენ ვარაუდში: ჯერ ერთი, ფედერალური არმიის მთავარი ჯარები კონფედერატთა ხელთ იყო, მეორე, მათვე ემხრობოდნენ სამხრეთის შტატების მილიციათა შენაერთები, და მესამე — ვაშინგტონის დაკავებით მიაღწევდნენ ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციას.

ინგლისის ბურჟუაზია ძალიან იყო დაინტერესებული თავისი მეტოქის, სამრეწველო ჩრდილოეთის დამარცხებით, ამერიკის ნედლეულითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. რაც შეეხება საფრანგეთს, მისი იმპერატორი ლუი-ნაპოლეონ III ამერიკაში ახალი სამფლობელოების ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა: 1861 წ. საფრანგეთის მთავრობამ ინტერვენცია მოაწყო მექსიკაში ამ ქვეყნის თავის ვასალად გადაქცევის მიზნით.

ინგლისისა და საფრანგეთის გადაბირებისათვის კონფედერატებმა გემით „ტრენტი" ევროპაში გაგზავნეს თავისი დიპლომატები (მესონი და სლაიდელი), მაგრამ ისინი გზაში დააპატიმრეს ჩრდილოელთა საზღვაო ძალებმა.

წარმოიშვა კონფლიქტი „ტრენტის“ სახელწოდებით. ინგლისელი მიწათმფლობელი არისტოკრატები ომში ჩაბმისაკენ უკიჟინებდნენ პალმერსტონს, მაგრამ ბრიტანელ მუშათა სახიფათო გამოსვლებმა აიძულეს ის, ხელი აეღო ინტერვენციაზე.

ომის დასაწყისში ჩრდილოელებმა ზოგიერთ უპირატესობას მხოლოდ დასავლეთში მიაღწიეს (მათ ეხმარებოდნენ ფერმერები). დასავლეთის არმიას სარდლობდა 35 წლის გენერალი გრანტი, რომელიც თავის პოლკებში ხალისით ღებულობდა ფერმერებსა და მოხალისეებს.

1862 წ. თებერვალში რესპუბლიკის მთავარსარდალმა გენერალმა მაკ-კლელანმა დიდი შეტევა წამოიწყო რიჩმონდის მიმართულებით. ის იოლ გამარჯვებაში იყო დარწმუნებული და არ ჩქარობდა (უფრო სანგრების მშენებლობით იყო დაკავებული), მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად უკან დაიხია. ლინკოლნმა ის მოხსნა. თავის მხრივ მეამბოხეებმა სახიფათოდ შეუტიეს ქ. ვაშინგტონს, მეორედ გაიმარჯვეს მანასასთან (1862 წ. 30 აგვისტოს) და გააქარწყლეს გრანტის წარმატებები. ომის სასწორის კონფედერაციის მხარეზე გადახრამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხსა და რესპუბლიკური პარტიის რადიკალურ ნაწილში, ყველა რევოლუციური მეთოდებით ომის წარმართვას მოითხოვდა. პრეზიდენტი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან უნდა დაეწყო რევოლუციური ბრძოლა მონათმფლობელთა და რეაქციული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ანდა აღედგინა კავშირი მონობის შენარჩუნებით (ე. ი. სამხრეთელებთან კომპრომისისზე წასულიყო). მან პირველი აირჩია. პრეზიდენტ ლინკოლნის სიდიადეც იმაშია, რომ მან ყურად იღო მასების კატეგორიული მოთხოვნები და გამარჯვებისათვის საგანგებო ზომები გაატარა, კერძოდ: 1862 წ. შემოიღეს ახალ გადასახადები მდიდრებზე და მიიღეს კანონი მეამბოხეთა ქონების კონფისკაციაზე; 1862 წ. 20 მაისის დეკრეტით (პომსტედ-აქტით) კავშირის ყველა მოქალაქეს ეძლეოდა უფლება დასავლეთში 10 დოლარად შეეძინა 160 აკრი მიწა. კანონი პომსტედების შესახებ პირველი ნაბიჯი იყო მონობის გაუქმების გზაზე, რამეთუ მან დასავლეთის თავისუფალ მიწებს „გამოათხოვა“ მონათმფლობელური პლანტატორები, მათ გარეშე კი მონობას არსებობა არ შეეძლო. 1863 წ. 1 იანვარს ლინკოლნის მთავრობამ, გამოსყიდვის გარეშე, მაგრამ უმიწოდ, გაათავისუფლა ზანგები და არმიაში შესვლის ნება დართო მათ. იმავე დღეს მონობა აიკრძალა მეამბოხე შტატებში, კავშირის სხვა ტერიტორიებზე კი იგი შენარჩუნებულ იქნა, და კიდევ: ამბოხებაში მონაწილე პლანტატორთა მონებს თავისუფლება მიენიჭათ.

ამ რევოლუციური და დემოკრატიული ზომების ბოლომდე გაუტარებლობის მიუხედავად მათ მაინც ჰქონდათ ისტორიული მნიშვნელობა.

ამიერიდან ზანგები, მუშები, ფერმერები და მუშა-ემიგრანტები მასიურად შედიან კავშირის არმიაში და გადამწყვეტ როლს თამაშობენ ფრონტებზე გამარჯვებაში (გენერლების გრანტისა და შერმანის არმიათა წარმატებაში სწორედ მუშათა პოლკებმა ისახელეს თავი).

1862-1863 წ.წ. რევოლუციის ახალი ეტაპი დაიწყო.

## ჩრდილოეთის გამარჯვება

მასების რევოლუციურმა აღმავლობამ და ლინკოლნის მთავრობის გადასვლამ ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებზე, გარდატეხა შეიტანა ომში ჩრდილოელთა სასარგებლოდ.

სამხრეთის საომარი რეზერვები მცირდებოდა, მან ვერ მიიღო ნავარაუდევი დახმარება ინგლისისა და საფრანგეთის ოფიციალური წრეებისაგან. ინ-



ტერვენცია ჩაშალა თვითმპყრობელური რუსეთის საგარეო პოლიტიკამაც: მას ინგლისისა და საფრანგეთის მსოფლიოში გაძლიერებას აშშ-ის მთლიანობის შენარჩუნება უფრო ერჩია.

1863 წ. სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკში გამოჩნდა რუსეთის ორი ესკადრა, რომელიც ინგლისთან ომის შემთხვევაში კაპერობაზე უნდა გადასულიყო. რუსების ჩრდილოეთ ამერიკაში ჩასვლას სიხარულით შეხვდა ანტიინგლისურად განწყობილი საზოგადოება. ბევრი რუსი მოხალისე (მაგ.: ტურჩანინოვი ვოლონტერთა პოლკს მეთაურობდა) ამერიკელ რევოლუციონერთა გვერდით იბრძოდა. ასე რომ, უნდოდა თუ არა, მეფის რუსეთის პოზიციამ ერთგვარი დახმარება გაუწია ჩრდილოეთს გამარჯვებასა და კავშირის მთლიანობის აღდგენაში.

1863 წ. გაზაფხულზე ქ. ვაშინგტონს კვლავ დაემუქრა საფრთხე: სამხრეთელთა მთავარსარდალი გენერალი ლი სწრაფი მარშით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ, ვირჯინიაში დაამარცხა ფედერალური ჯარები და მზად იყო აეოხრებინა პენსილვანია. ლინკოლნმა უბრძანა ჰუკერს (მალე ის შეცვალა გენერალმა მიდმა) სწრაფი მარშით დაესწრო მტრისათვის და დაეცვა დედაქალაქი.

1863 წ. 1-3 ივლისს, სამდღიან ბრძოლაში გეტისბერგთან მიდმა დაამარცხა ლის არმია და საშხრეთისაკენ უკუაგდო იგი. მეორე დღეს, 4 ივლისს, გენერალმა გრანტმა აიღო ქალაქი ვიკსბურგი და „მდინარეთა მამა“ — მისისიპი — მთელი სიგრძე-სიგანით ჩრდილოეთელებმა დაიკავეს. სამხრეთის ტერიტორია ორ ტოლ ნაწილად იქნა გაპობილი და ალყამშორტყმული. აქედან მოყოლებული სამხრეთელებმა უკან დახევა დაიწყეს. იმავდროულად სამხრეთდასავლეთ შტატებში ფართოდ გაიშალა მონებისა და ფერმერთა პარტიზანული ბრძოლა პლანტატორთა წინააღმდეგ. თავი იჩინა ჩრდილოეთის ეკონომიკურმა და მორალურმა უპირატესობამ (ომის დროს წარმატებით იყენებდნენ ტელეგრაფს, რკინიგზებს, ჯავშნიან გემებს, ტექნიკის ახალ მიღწევებს). სამხრეთი სურსათის ნაკლებობასაც განიცდიდა: იქ ბამბის ნაცვლად პურის და ბოსტნეულის მოყვანაზე გადავიდნენ (ამ დროს კი ჩრდილოეთს საზღვარგარეთ გაჰქონდა ხორბალი!).

1864 წ. 10 თებერვალს წარმომადგენლობითმა პალატამ მიიღო კონსტიტუციის მე-13 შესწორების პროექტი, რომლის მიხედვით მონობა იკრძალებოდა აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე. 1865 წ. დეკემბერში შესწორება ძალაში შევიდა. იმავე წელს მთავრდებოდა ლინკოლნის პრეზიდენტობის ოთხწლიანი ვადა. არჩევნებში მის წინააღმდეგ გამოვიდა მაკ-კლელანი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიის რეაქციული წრეები და მონათმფლობელებთან კომპრომისის მომხრეები. გაიმარჯვეს ლინკოლნმა (მიიღო 2,330,552 ხმა 1.835.985-ის წინააღმდეგ) და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა ენდრიუ ჯონსონმა („ეროვნული კავშირის“ პარტიიდან). ლინკოლნის გამარჯვებას სიხარულით შეხვდა როგორც ამერიკის, ასევე მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება.

ომის დროს მნიშვნელოვნად გაუარესდა მშრომელი ხალხის მდგომარეობა: კვების პროდუქტებზე ფასები 70 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხელფასი — 30 პროცენტით. სამაგიეროდ მთავრობის დაკვეთებით, მიწის სპეკულაციით, აქციების შეძენით და სხვა მაქინაციებით მდიდრდებოდნენ მორგანის მსგავსი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ომის მსვლელობის დროს ბურჟუაზია მთელი სიმკაცრით ახშობდა მუშათა და მათი კავშირების გამოსვლებს, განსაკუთრებით ახალ ინგლისში, ნიუ-იორკსა და პენსილვანიაში (ამ უკანასკნელში ხელისუფლებამ საერთოდ გააუქმა მაღაროელთა ასოციაცია).

მოვუვეთ ომის მსვლელობას.

1864 წ. ჩრდილოეთის მთავარსარდლად დაინიშნა გენერალი გრანტი, აქტიური საომარი ოპერაციების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მისი დანაღლებით გენერალმა შერმანმა დაიწყო მარში ატლანტიდან (ჯორჯია) ზღვისკენ. მისი ჯარისკაცები მოდიოდნენ სიმღერით „ჯონ ბრაუნის სული წინ მიგვიძღვის ჩვენ“. მან რეიდი დაიწყო 1864 წ. 14 ნოემბერს და 21 დეკემბერს სავანადან აცნობა პრეზიდენტს იმის შესახებ, რომ მიაღწია ზღვას. 1865 წ. მარტისთვის შერმანის არმიამ მთლიანად დაიუფლა სამხრეთ კაროლინა და მიადგა ჩრდილოეთ კაროლინის ცენტრს. შერმანის წარმატებათა პარალელურად გრანტმა აღმოსავლეთ ვირჯინიაში შეუტია ლის, რომელიც კონფედერაციის დედაქალაქ რიჩმონდს იცავდა. 1865 წ. 3 აპრილს რიჩმონდი დაეცა, ხოლო 6 დღის შემდეგ აპომატოქსთან ლი 28 ათასი კაცითურთ დანებდა გრანტს. გამარჯვებულნი სულგრძელად მოიქცნენ: გაათავისუფლეს ტყვეები, მისცეს 5 დღის საგზალი და გაუშვეს სახლებში. რესპუბლიკელებმა დაივიწყეს საშიშროება და ზეიმს მიეცნენ, ამას შედეგად ლინკოლნის მკვლელობა მოჰყვა: 4 აპრილს, ღამით, სპექტაკლის დროს, მსახიობმა ბუსმა სიცოცხლეს გამოასალმა პრეზიდენტი.

ადრე, 1863 წ. ნოემბერში, ლინკოლნი ამბობდა „ხალხის მიერ არჩეული და ხალხისათვის მოღვაწე მთავრობა არ მოკვდება“. ეს სიტყვები მიუთითებენ იმაზე, რომ მას ღრმად სწამდა იმ საქმის სიდიადე, რომელსაც ის იცავდა. პრეზიდენტი მართალი იყო, როცა ამბობდა, — რესპუბლიკური მთავრობა ძალაუფლების სათავეში მოსვლით ხალხისაგან არის დავალებულიო. ლინკოლნმა ხალხის მოთხოვნით გააუქმა მონობა, რისთვისაც მასზე შური იძიეს პლანტატორმა-მონათმფლობელებმა, — ეს მათ დაავალეს ბუსს პრეზიდენტის მოკვლა.

ჩრდილოეთის გამარჯვების შემდეგ თანდათანობით ყველა შტატი დაბრუნდა კავშირში. ამიერიდან ბურჟუაზიას შეეძლო იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც საჭირო იყო მრეწველობისა და კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

## აგრარული საკითხი და სამხრეთის რეკონსტრუქცია

საომარი მოქმედების დამთავრება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ პლანტატორთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატყდა. მათ მოკლეს ლინკოლნი და სასტიკი ბრძოლა გაუჩაღეს ჩრდილოეთის რესპუბლიკური ბურჟუაზიის წინააღმდეგ. სამხრეთელი აგრარიები, ყოფილი პლანტატორები, ფარულად თუ აშკარად, აფერხებდნენ რესპუბლიკურ ხელისუფალთა მოქმედებას. ისინი ინარჩუნებდნენ გავლენას ადგილობრივ დაწესებულებებზე. და ცდილობდნენ მონობის აღდგენას. ქვეყნის წინაშე დაისვა კითხვა: მიიღებდნენ ზანგები მიწას, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ, თუ იგი მონათმფობელთა საკუთრებაში დარჩებოდა? და კიდევ — საბოლოოდ გაემიჯნებოდა ჩრდილოეთის ბურჟუაზია ყოფილ მონათმფლობელებს, თუ მათთან ახალ კომპრომისზე წავიდოდა?

ჩრდილოეთის ბურჟუაზიამ ზანგებს არ მისცა მიწა, იგი არ „გამოიძებნა“ მათთვის; სამაგიეროდ რკინიგზების კომპანიებს ასობით მილიონი აკრი აჩუქეს თუ მისცეს. ასე რომ, მიწისთვის ზანგთა ბრძოლა მათი დამარცხებით დამთავრდა. რესპუბლიკელთა შორის კავშირის აღდგენის საკითხში არ იყო ერთსულოვნება. არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა როგორც იმ რეჟიმზე, რომელიც უნდა დამყარებულიყო სამხრეთ შტატებში, ასევე იმ ხადებზე, რომელთა განმავლობაში მათი წარმომადგენლები დაიშვებოდნენ კონგრესში, ყველას აინტერესებდა, ვის უნდა გაეკეთებია ეს, პრეზიდენტს თუ კონგრესს?



რესპუბლიკური პარტიის კონსერვატულ ფრთას, აშინებდა რა მასების რევოლუციური მოძრაობა, სურდა კავშირის აღდგენა მონათმფლობელებთან კომპრომისის გაფორმების გზით, რესპუბლიკური პარტიის რადიკალური ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ კავშირის აღდგენა და სამხრეთის წარმომადგენელთა დაშვება კონგრესში შეიძლებოდა იმ პირობით, თუ რესპუბლიკელები უზრუნველყოფდნენ თავიანთ გავლენას სამხრეთელ ამომრჩეველებზე და შეინარჩუნებდნენ ფედერალურ ორგანოებში თავის ძალაუფლებას. რესპუბლიკელთა ხელთ არსებული ფედერალური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა მსხვილი კაპიტალის სასარგებლოდ, აწესებდა მაღალ პროტექციონისტულ ნიხრებს, სამრეწველო კომპანიები ღებულობდნენ უზარმაზარ სუბსიდიებს, ხოლო კაპიტალისტები — მაღალ პროცენტებს ომის დროს გამოშვებულ სახელმწიფო ობლიგაციებზე. ასე რომ, კონგრესში ყოფილი პლანტატორების დაბრუნება ხელს შეუშლიდა ბურჟუაზიას, წინააღმდეგობის გარეშე ემართა ქვეყანა. რეკონსტრუქციის საკითხზე გაჩაღდა ბრძოლა, როგორც კი პრეზიდენტის პოსტი ენდრიუ ჯონსონმა დაიკავა. სახალხო მასებს დიდი იმედები ჰქონდათ ახალი პრეზიდენტისა, მაგრამ მოტყუვდნენ: ჯონსონს პლანტატორებთან მორიგება სურდა.

ჯონსონი ომამდე დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მას ჰყავდა მონები, თუმცა აქტიურად არ უჭერდა მხარს მონობის ინსტიტუტს. ომის დროს ის მიემხრო ფედერალურ ჯარებს და გახდა ტენესის იმ ნაწილის გუბერნატორი, რომელიც დაიკავეს ჩრდილოეთელებმა. მოულოდნელად იქცა რა პრეზიდენტად, მან ხალხთან კავშირს გუშინდელ მონათმფლობელებთან დაახლოება ამჯობინა, 1865 წ. მაისში ჯონსონმა გამოაქვეყნა პროკლამაცია ამნისტიის შესახებ, რაც საშუალებას აძლევდა ყოფილ მონათმფლობელებს დაებრუნებინათ ძალაუფლება როგორც სამხრეთში, ასევე ფედერალურ ორგანოებში. პრეზიდენტის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს რადიკალებმა (სამნერი, სტივენსონი, ფილიპსი და სხვა.), რომლებიც ზანგებისთვის საარჩევნო უფლების მიცემას მოითხოვდნენ.

ჯონსონის ღონისძიებებმა გაამხნევა ყოფილი მონათმფლობელები. მონობის აღდგენის მიზნით სამხრეთის ბევრ შტატში შემოიღეს „შავი კოდექსები“, აკრძალეს ზანგთა კრებები, წაართვეს მათ მიწის შეძენის უფლება. პლანტატორთა ტერორისტული ორგანიზაციები ფიზიკურად უსწორდებოდნენ ყველა იმას, ვინც ომის დროს მხარს უჭერდა ფედერატებს (ჯორჯიის შტატმა სენატში კონფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სტეფენსიც კი აირჩია. აი, სადამდე მივიდა საქმე!).

1865-1867 წ.წ. პრეზიდენტის მიერ წამოყენებულმა სამხრეთის რეკონსტრუქციამ, რომელიც მიზნად ისახავდა მონათმფლობელთა ხელისუფლების რესტავრაციას, საფრთხე შეუქმნა ბურჟუაზიის ბატონობას. ამიტომ კონგრესმა ომი გამოუცხადა ჯონსონს, უარყო მისი რეკონსტრუქცია და მთელი სამხრეთი სამხედრო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. სამხრეთი დაჰყვეს 5 სამხედრო ოლქად გენერლებით სათავეში, ჩაატარეს არჩევნები ზანგების მონაწილეობით და კონფედერაციის თვალსაჩინო მოღვაწეების გარეშე (მათ ჩამოერთვათ ხმის უფლება). კონვენტებს უნდა შეემუშავებინათ შტატების ახალი კონსტიტუციები საყოველთაო საარჩევნო უფლების გათვალისწინებით. ფედერალურმა არმიამ ხელმეორედ დაიკავა სამხრეთი, მაგრამ პლანტატორთა დათრგუნვის ნაცვლად, იგი ზანგი გლეხების აჯანყებას ახშობდა. ჯონსონის პოზიცია მთელი ქვეყნის აღშფოთებას იწვევდა. საქმე იმპიჩმენტამდე მივიდა

(1868 წ. 16 მაისი); 35-მა სენატორმა იგი დამნაშავედ ცნო, ხოლო 19-ის გაამართლა. პრეზიდენტი ერთმა ხმამ იხსნა (უმრავლესობამ ვერ შეაგროვა ხმის ორი მესამედი), მაგრამ ყოფილი მონათმფლობელების პოლიტიკურ გავლენაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კერძოდ: ზოგიერთ შტატში (ტეხასში, ჯორჯიაში, მისისიპსა და სხვ.) სამხედროებმა მოხსნეს გუბერნატორები და სამოქალაქო სასამართლოს ნაცვლად შემოიღეს ტრიბუნალები, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ზანგებმა, რამდენიმე შტატის კონვენტში მოხვდნენ ზანგებიც, ორივე კაროლინამ, ჯორჯიამ, ალაბამამ, ფლორიდამ და ლუიზიანამ დაამტკიცეს კონსტიტუციის მე-14 შესწორება, რომელიც ზანგებს ხმის უფლებას ანიჭებდა. ამის შედეგად ამ ექვსი შტატის წარმომადგენლები დაუშვეს კონგრესში.

### რეკონსტრუქციის დამთავრება. სამოქალაქო ომის მნიშვნელობა

1868 წ. საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა სამოქალაქო ომის გმირმა ულის გრანტმა. მისი პოპულარობა დიდი იყო, თუმცა ყველამ როდი იცოდა მის საბირჟო მაქინაციებზე.

ორივე პარტია, რესპუბლიკური და დემოკრატიული, თანამდებობებით ვაჭრობდა ადგილობრივ და ფედერალურ მთავრობებში, გასაქანი მიეცათ სპეკულანტებს, მექრთამეებსა და მომხვეჭელებს. გრანტის დროს ჩრდილოეთის ბურჟუაზია უსირცხვილოდ ძარცვავდა სამხრეთს.

1871 წ. სამხრეთში შესუსტდა ჩრდილოელთა დიქტატურა, მომდევნო წელს გამოცხადდა ამნისტია და 150 ათასმა მეამბოხემ კვლავ მიიღო პოლიტიკური უფლებები.

იმისათვის, რათა ზანგებს არ ესარგებლათ თავიანთი უფლებებით, სამხრეთელებმა მრავალი ტერორისტული ორგანიზაცია შექმნეს. ასეთები იყო მაგ.: „შავი კავალერია“ და კუ-კლუქს-კლანი (ზოგიერთი ისტორიკოსი ამ სიტყვის წარმოშობას უკავშირებს ხმას ჩახმახის ფეხზე შეყენებისას, ზოგი ბერძნულ სიტყვას „კიუკლოსს“, რაც ჯგუფს, ადამიანთა წრეს ნიშნავს), რომლებიც უსწორდებოდნენ როგორც ზანგებს, ასევე მათ მფარველებს. 1867 წ. გაფორმდა კუ-კლუქს-კლანის ეროვნული ორგანიზაცია, რომლის სათავეში იდგა „დიდი მაგი“. ამ ტერორისტულ ჯგუფებს ავსებდნენ სამხრეთელი რასისტები — თეთრი პლანტატორები და წვრილი ბურჟუაზიის ფენები. მრავალ შტატში მათ მთლიანად წაართვეს ზანგებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. რაც შეეხება მთავრობას, ის სერიოზულ ზომებს არ ატარებდა თავგასულ ტერორისტთა ასალაგმავად.

1874-75 წ.წ. ალაბამაში, არკანზასში, ტეხასსა და მისისიპში დაემხო რადიკალური რესპუბლიკელების მმართველობა და ხელისუფლების სათავეში ყოფილი პლანტატორები მოვიდნენ, და ბოლოს, 1877 წ. ჯარები გამოიყვანეს სამხრეთ კაროლინიდან და ფლორიდა-ლუიზიანადან.

სამხრეთის რეკონსტრუქცია დამთავრდა. მას შედეგად მოჰყვა მსხვილი ბურჟუაზიის ახალი კომპრომისი ყოფილ მონათმფლობელ-პლანტატორებთან. წააართვა რა პოლიტიკური ძალაუფლება სამხრეთის აგრარიებს, ბურჟუაზიამ ყოფილ პლანტატორებს საკუთრებაში დაუტოვა მათივე მიწები.

მიუხედავად ასეთი შედეგებისა, სამოქალაქო ომი, ანუ მეორე რევოლუცია, ხასიათით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო. მის გამარჯვებაში უდიდესი როლი მასებმა შეასრულეს. სწორედ მათ, მუშებმა, ზანგებმა და ხელოსნებმა შექმნეს არმია და აიძულეს მთავრობა, რევოლუციური მეთოდებით წარემართა ომი, აეკრძალა მონობა, ზანგებისათვის მიეცა პოლიტიკური უფლებები და გაეტარებინა სამხრეთის რეკონსტრუქცია.



ომის შედეგად ქვეყნის მთლიანობა აღდგა, შესუსტდა მონათმფლობელთა პოლიტიკური ლიდერობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოისპო ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მანქანური მრეწველობისა და ფერმერული მეურნეობის განვითარებას, გაიზარდა დასავლეთის კოლონიზაცია, გაფართოვდა საშინაო ბაზარი, საგარეო ვაჭრობა და XIX ს. დასასრულისათვის აშშ თავისი ეკონომიკური რესურსებით მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სახელმწიფოდ იქცა. მაგრამ სამოქალაქო ომის შედეგად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. რევოლუციამ მხოლოდ დემოკრატიული ბურჟუაზიის ამოცანები გადაწყვიტა და არა სახალხო მასებისა.

### ბიბლიოგრაფია


1. Дж. Аллен. Реконструкция: Битва за демократию в США: 1865-1876. М., 1965.
2. У. Дюбуа, Джон Браун. М., 1960.
3. К. Сендберг. Линкольн. М., 1961.
4. Г. Куропятник. Вторая Американская революция. М., 1961.
5. История XIX века (Лависс и Рамбо), 2, 4, 5.


## ნიდერლანდების სამეფო 1815-1830 წლებში

როგორც კი ნაპოლეონის იმპერია დაემხო, მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, მის ჩრდილო-აღმოსავლურ საზღვარზე შეექმნათ ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც თავიდან აცილებდა ევროპას ახალ გართულებებს საფრანგეთის მხრიდან. ლორდ კესტლრის წინადადებით ბელგია და ჰოლანდია (შეერთებული პროვინციები) გაერთიანეს ნიდერლანდების სამეფოში ვილჰელმ I-ის (იგი ორანელთა დინასტიას ეკუთვნოდა) ძალაუფლების ქვეშ. ახალი სახელმწიფო მოიცავდა ძველ ჰოლანდიურ და ბელგიურ პროვინციებს, ლიეჟის საეპისკოპოსოს და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოს. გერმანიის კავშირის კონსტიტუციით, ნიდერლანდების მეფე, ვითარცა ლუქსემბურგის მოხარჯი, ხსენებულ ფედერაციაში შედიოდა.

თავდაპირველად ბელგიელებმა სიხარულით მიიღეს ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი მეფე, მაგრამ, როდესაც მიხვდნენ, რომ მათი ქვეყანა ჰოლანდიას დაუმორჩილეს და ნიდერლანდების უბრალო დანამატად აქციეს, ისინი სერიოზულად შეშფოთდნენ და ბრძოლა დაიწყეს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ვილჰელმ I ქვეყანას ერთპიროვნულად მართავდა, მისი ყველა მინისტრი ჰოლანდიელი იყო და, ბუნებრივია, მთავრობა ბელგიაში ჰოლანდიის ბატონობას დაამყარებდა. ვილჰელმ I უგულოდ ეკიდებოდა ბელგიელთა საჩივრებს, არ ითვალისწინებდა მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მორალურ-რელიგიურ ინტერესებს და თავისი რეაქციული პოლიტიკით მათ აჯანყებას აჩქარებდა.

ნიდერლანდების სამეფოს შექმნისთანავე განსაკუთრებულ კომისიას ძირითადი კანონის გადასინჯვა და მასში ცვლილებების შეტანა დაევალა. კომისიაში მწვავე კამათი გაიმართა მრავალი საკითხის ირგვლივ, სახელდობრ: მინისტრების პასუხისმგებლობაზე (იგი ვერ გადაწყდა.), დედაქალაქზე[1], წარ-

[1] ჰოლანდია მოითხოვდა ამსტერდამს, ბელგია — ბრიუსელს. ბოლოს გადაწყდა: საერთოდ არ მიეთითებინათ დედაქალაქზე.

მომადგენლობის ორგანიზებაზე[1], რელიგიაზე (ბელგია კათოლიკური იყო, ჰოლანდია კი — კალვინისტური.) და სხვ. მიუხედავად აზრთა ცილობისა, კომისიამ გადასინჯა კონსტიტუცია (1815 წ. ივლისი), რომელიც სახალხო წარმომადგენლებს უნდა დაემტკიცებინათ.

ნიდერლანდების კონსტიტუცია სამეფოში ამყარებდა მონარქის ერთპიროვნულ მმართველობას; ამიერიდან მინისტრები მხოლოდ მის წინაშე იქნებოდნენ ანგარიშვალდებულნი; ბიუჯეტს დაამტკიცებდა გენერალური შტატები, მაგრამ ის ვერ გააკონტროლებდა მის ხარჯვას; გენერალურ შტატებს შეეძლო მიეღო, ან არ მიეღო კანონპროექტი, მაგრამ მას არ ჰქონდა მასში შესწორების შეტანის უფლება. კონსტიტუციის პროექტი დუმდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, რომელიც ბელგიაში არსებობდა ფრანგების ბატონობის ჟამს, სამაგიეროდ კონსტიტუცია ზღუდავდა პრესის თავისუფლებას. ბუნებრივია, ბრიუსელში შეკრებილმა ნოტაბლებმა პროექტი უარყვეს (1815 წ. 18 აგვისტო), მაგრამ მეფემ მაინც დაამტკიცა იგი (24 აგვისტო), რითაც უგულებელყო ბელგიის წარმომადგენლობის უმრავლესობის ნება. აქედან მოყოლებული 1830 წ. რევოლუციამდე ნიდერლანდების კონსტიტუცია, რომელმაც არაფრად ჩააგდო ბელგიელთა ეროვნული თავმოყვარეობა, მათი ინტერესები, სასამართლო უფლებები და მორალურ-რელიგიური ტრადიციები, გაუთავებელი საპარლამენტო დებატების საგნად იქცა.

ბელგიელთა უკმაყოფილებას ისიც იწვევდა, რომ კონსტიტუციის მიღების შემდეგ მთავრობაში მათ თითზე ჩამოსათვლელი მინისტრები და მოხელეები ჰყავდათ, რომ არაფერი ვთქვათ გენერალიტეტზე, რომელიც მთლიანად ჰოლანდიელი ოფიცრებით იყო წარმოდგენილი.

ვილჰელმ I-მა მრავალი ცვლილება შეიტანა ნაპოლეონის კოდექსში, რომელსაც ბელგიაში შეეჩვიენ; გააუქმა სისხლის სამართლის ღია წარმოება და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ოფიციალურ ენად შემოიღო ჰოლანდიური, რამაც ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ბელგიელების აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ მთავრობამ უკან წაიღო თავისივე გადაწყვეტილება (1829).

არანაკლები სიმძაფრით ხასიათდებოდა წინააღმდეგობა ეკონომიკის სფეროში. ჰქონდა რა დიდი სახელმწიფო ვალი[2], ვილჰელმ I-მა მისი ნახევრის გადახდა თვითნებურად დააკისრა ბელგიას, რამაც უკანასკნელის სამართლიანი პროტესტი გამოიწვია. ვალის დასაფარავად მიმართეს საბაჟო დაბეგვრას და გადასახადებს, მაგრამ მათ მიმართ ბელგიელებს და ჰოლანდიელებს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ამოძრავებდათ: ჰოლანდიელებს, ვითარცა სავაჭრო ქვეყნის წარმომადგენლებს, ფრიტრედი (თავისუფალი ვაჭრობა) აწყობდათ, ხოლო ბელგიელებს, როგორც მიწათმოქმედებისა და სამრეწველო სახელმწიფოს მოქალაქეებს,—მფარველობითი (პროტექციონისტური) ნიხრები. გარდა ამისა, ზოგიერთი გადასახადი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ან ბელგიას დააწვებოდა კისერზე, ან—ჰოლანდიას. ამის გამო ვილჰელმ I რთულ ვითარებაში აღმოჩნდა: მას ან პირველის მხარე უნდა დაეჭირა, ან — მეორესი. თავიდან მეფემ ანგარიში გაუწია ბელგიელებს, — მაღალი ბაჟები დაადო ყველა უცხოურ საქონელს, მაგრამ 1821 წლიდან ნიხრი დატოვა მხოლოდ

[1] ყველა სამინისტრო და ადმინისტრაციული დაწესებულება ამსტერდამსა და ჰააგაში (ჰოლანდია) იყო განლაგებული, ხოლო ბრიუსელში გამართული გენერალური შტატების სხდომებში მონაწილე ჰოლანდიელები მივლინებაში ჩასული პირების რანგში (თითქოს საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ) გამოიყურებოდნენ.

[2] 1830 წ. სახელმწიფო ვალი 10 მილიონი ფლორინით მეტი იყო, ვიდრე 1815 წ. გარდა ამისა, ჰოლანდიელთა დავალიანება ბევრად აღემატებოდა ბელგიელებისას.



იმ პროდუქციაზე, რომელიც კონკურენციას უწევდა ბელგიურს. მართალია, მან კრედიტი გამოუყო სამამულო მრეწველობას, მაგრამ მისმა ფინანსიურმა პოლიტიკამ ვერ აანაზღაურა ის ზარალი, რომელიც საბაჟო ტარიფების შემცირებამ მოუტანა ბელგიის ეკონომიკას.

მთავრობისათვის რელიგიურ საკითხი ყველაზე რთული გადასაჭრელი აღმოჩნდა. მეფეს, როგორც პროტესტანტს, თავიდანვე დაუპირისპირდა ბელგიელთა ულტრაკათოლიკური პარტია, რომელიც არ სცნობდა აღმსარებლობისა და კულტების თავისუფლებას. კლერიკალთა გავლენის ქვეშ მყოფმა ნოტაბლებმა, როგორც აღინიშნა, ხმა მისცეს კონსტიტუციის წინააღმდეგ. ვილჰელმ I-მა მკაცრად მიუთითა იმ სალხზე, „რომლისგანაც საზოგადოება ევანგელური მოთმინებისა და სიყვარულის მაგალითს ელოდა". ამ დროიდან დაიწყო აშკარა ომი: კათოლიკე ეპისკოპოსები შეჩვენებით ემუქრებოდნენ ყველა იმას, ვინც ერთგულებას შეფიცავდა ვილჰელმისეულ კონსტიტუციას.

კათოლიკე ბელგიელთა აღშფოთება 1825 წ. მიღებულმა კანონმაც გამოიწვია. აღნიშნული ედიქტით სახალხო განათლების საქმე ამიერიდან სახელმწიფოს, ანუ პროტესტანტი მეფის წელში გადადიოდა, რაც ბელგიის უნივერსიტეტებსა და სკოლებში კალვინისტური სულის შეტანის საშიშროებას ჰქმნიდა. მეფის მთავრობა სასწავლებლებიდან აძევებდა იეზუიტებს, ულტრაკლერიკალებს და სამსახურში ღებულობდა მას, ვისაც გაელილი ჰქონდა ე. წ. ფილოსოფიური კოლეჯის ღვთისმეტყველების კურსი[1]. მეფემ შეძლო კათოლიკე ლიბერალთა ზომიერი ნაწილის მიმხრობა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, რამეთუ კათოლიკურ ბელგიას ძლიერი მფარველები ჰყავდა საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის სახით. 1828 წ. ნათელი გახდა, რომ ბელგია-ჰოლანდიის უნიას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. ვილჰელმ I-მა ვერ მოასერხა ორი ერის ერთში შერწყმა — ნაბიჯვარი ერის შექმნა ხომ შეუძლებელია!

## 1830 წლის რევოლუცია. ბელგია 30-40-იან წლებში

მოახლოებული აფეთქების წინ მთელი ბელგია პირობითად ორ დიდ— ანტაგონისტურ-ლიბერალურ და კლერიკალურ — პარტიაში გაერთიანდა. ლიბერალებს, რომლებსაც აღაფრთოვანებდა საფრანგეთის ივლისის რევოლუციის წარმატება, სერიოზულად აფიქრებდათ კათოლიკური სამღვდელოების (იეზუიტების) გავლენის ზრდა. ამიტომ ისინი, ხშირ შემთხვევაში, ვილჰელმ I-ის ზომიერ რეფორმებს უჭერდნენ მხარს, რითაც ულტრაკლერიკალების რისხვასა და შეჩვენებას იმსახურებდნენ. მიუხედავად ამისა, მეფემ ვერ გამოიყენა ეს დაპირისპირებულობა და თავისი ანტიბელგიური პოლიტიკით ხელი შეუწყო მათ შერიგებას.[2]

ბრძოლის ჟინით დამუხტულმა ბელგიის საზოგადოებამ 1830 წლის 25 აგვისტოს[3] აჯანყება დაიწყო და ორი დღის შემდეგ ბრიუსელის თავზე ბრაბანტული სამფეროვანი (შავწითელყვითელი) დროშა აღმართა. რევოლუციის

[1] დასახელებული კოლეჯი სასულიერო პირთა „დაბალი დონის ამაღლებას" ითვალისწინებდა.

[2] კლერიკალების ლიდერმა პერლახმა და ზომიერთა ბელადმა ვან დე ვეიერმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც განუყოფელ კავშირში აერთიანებდა კულტების, ბეჭდვის და განათლების თავისუფლებებს.

[3] აჯანყება დაემთხვა ბრიუსელის სამრეწველო გამოფენის გახსნას (24 აგვისტო) და მეფე ვილჰელმის დაბადების 50-ე წლისთავის იუბილეს.

ხელმძღვანელებმა შეადგინეს დროებითი მთავრობა და სამოქალაქო გვარდია, რომლებმაც სასწრაფოდ აღადგინეს წესრიგი. ოპოზიციამ მეფეს გენერალური შტატების მოწვევა და საძულველი მინისტრების გადაყენება თხოვა, მაგრამ ვილჰელმ I-მა ყოყმანში დრო დაჰკარგა და 4 ოქტომბერს დროებითმა მთავრობამ ბელგიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „ხალხმა მოახდინა რევოლუცია, ხალხმა გააძევა ჰოლანდიელები ბელგიის ტერიტორიიდან და მხოლოდ იგია მისი პოლიტიკური მთლიანობის დამცველი“. — ამ სიტყვებით გაისტუმრეს ბელგიელებმა ვილჰელმ I-ის მემკვიდრე — პრინცი, რომელმაც უკანასკნელად სცადა დაკარგულის დაბრუნება.

მალე ბელგიელმა პატრიოტებმა გაათავისუფლეს ანტვერპენი (27 ოქტომბერი) და ნოემბრის პირველ რიცხვებში ფაქტიურად უზრუნველყვეს ბელგიის დამოუკიდებლობა.

ბელგიის რევოლუციამ დიდი შესლა-შემოხლა გამოიწვია ნიდერლანდების სამეფოს გარანტებში. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო უაღრესად საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდა, იგი ბელგიას, ჰოლანდიასა და გერმანიას შორის „გაიხირა“. ამის გარდა, ნასაუ-ორანელთა დინასტია რუსეთისა და პრუსიის მეფეთა ნათესავი იყო და, ბუნებრივია, ისინი თავს გამოიდებდნენ ვილჰელმისათვის. მაგრამ ივლისის მონარქია, რომელიც არ მალავდა პრობელგიურ სიმპათიებს, და ინგლისი (მას „აწყობდა“ ნიდერლანდების სამეფოს დაშლა) მზად იყვნენ, წინ აღდგომოდგნენ საღვთო კავშირის ინტერვენციას. ამას თუ დავუმატებთ იმ გართულებებს, რომლებიც პოლონეთისა და იტალიის ამბებმა შეუქმნეს ნიკოლოზ I-სა და მეტერნიხს, სურათი ნათელია: ვილჰელმ I-ს მათი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, მარტო კი ვერ დაიბრუნებდა ბელგიას[1]. ამიტომ მან უარი თქვა ძალის გამოყენებაზე და ბელგიელებთან პაექრობა დიპლომატიას მიანდო: მას სჯეროდა, რომ მოკავშირეები ამ სფეროში მაინც გაუმართავდნენ ხელს. მაგრამ ლონდონში გამართულმა კონფერენციამ (1830 წ. 20 დეკემბერი) მის იმედებს ცივი წყალი გადაასხა: მან ოფიციალურად გამოაცხადა ნიდერლანდების სამეფოს გაუქმება.

1831 წ. იანვრის ბოლოს ლონდონის კონფერენციამ შემდეგნაირად გადაჭრა ტერიტორიული საკითხი: ჰოლანდია დაბრუნდებოდა 1790 წ. საზღვრებში, ხოლო ნიდერლანდების სამეფოს დანარჩენი ნაწილები, ლუქსემბურგის გარდა, შევიდოდა ბელგიის შემადგენლობაში, რომელიც ნეიტრალური გახდებოდა აწ და მარადის.

ბელგიელები ვარაუდობდნენ, რომ საღვთო კავშირს უფრო მაღალ ტონზე დაელაპარაკებოდნენ, თუ მეფეს აირჩევდნენ. ბრიუსელის კონგრესის არჩევანი ევროპის თითქმის ყველა დინასტიის ნათესავზე — ლეოპოლდ საქსენ-კობურგელზე შეჩერდა.

41 წლის პრინცი, წარმოშობით გერმანელი, ბრიტანეთის პრინცესა შარლოტასთან ქორწინების შედეგად ინგლისელად ქცეული, ენერგიული და ჭკვიანი პიროვნება იყო. იმ დღიდან, როდესაც იგი მეფედ აირჩიეს (1831 წ. 4 ივნისი), ბელგიის საკითხმა წინ წაიწია. ლეოპოლდის ხათრით ლონდონის კონგრესმა ბელგიასა და ჰოლანდიას ვალები მათი წარმოშობის მიხედვით გაუნაწილა (ეს ბელგიისათვის დიდი შეღავათი იყო), რასაც ვილჰელმ I-ის პროტესტი მოჰყვა. მან ამ გადაწყვეტილების ჯიბრზე ჯარი შეიყვანა ბელგიაში, მაგრამ

[1] პრუსია, რომელიც ჩრდილოეთიდან დაემუქრა ბელგიას, საფრანგეთმა გააფრთხილა, რომ მისი არმია დაიცავდა ახალშობილ სახელმწიფოს. ფრიდრიხ-ვილჰელმ III დადრკა და ხელი აიღო ინტერვენციაზე (დაწვრილებით იხ. „საერთაშორისო ურთიერთობანი 1830-1847 წლებში“.).



ფრანგების გამოჩენამ ჰოლანდიელები უკან გააბრუნა. ოქტომბერში ლონდონის კონგრესმა ბელგიას გადასცა ლუქსემბურგის ნაწილი, შელდაზე დაადგინა თავისუფალი ნაოსნობა და დიდი ქვეყნები გარანტად დაუყენა ახალ დინასტიას.

1842 წ. ნოემბერში ჰოლანდიამ და ბელგიამ ხელი მოაწერეს პაგის კონვენციას საზღვრების შესახებ და მდინარეებზე თავისუფალ ნაოსნობაზე, ეს კი საბოლოო შერიგებას მოასწავებდა.

ლეოპოლდ I-ის მეფობის პირველი ხანევარი ბელგიისათვის ძალების კონსოლიდაციის პერიოდი იყო. ახალგაზრდა სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა ევროპულ საქმეებში და ძირითადად საყოველთაო ხავზე ზრუნავდა. საგაჭრო ხელშეკრულებათა დადებით ბელგიამ ახლო ურთიერთობა დაამყარა ინგლისთან, საფრანგეთთან, ჰოლანდიასთან და გერმანიის საბაჟო კავშირთან. ლეოპოლდ I დიდ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას (მრეწველობას, ვაჭრობას, რკინიგზების მშენებლობას, განათლებას და სხვ.), იგი შეძლებისდაგვარად ახერხებდა კათოლიკური და ლიბერალური პარტიების გაერთიანებას, მათ შორის მშვიდობიანი თანაარსებობის გახანგრძლივებას; ეს მან 1840 წლამდე შეძლო, მაგრამ, როგორც კი ბელგიამ თავიდან აიცილა ომის საფრთხე, კოალიციური მთავრობის შექმნაზე ოცნება ოცნებად დარჩა. მართლაც, 1846 წ. ქვეყნის სათავეში მოსული კათოლიკური პარტიის სამინისტრო მომდევნო წელს ლიბერალებმა შეცვალეს. აქედან მოყოლებული ბელგიაში დაწესდა საპარლამენტო მმართველობა, სადაც კათოლიკები და ლიბერალები ისე ცვლიდნენ ერთმანეთს, როგორც ინგლისელი ტორები და ვიგები. ასეთი ხშირი ცვლა კორექტულ, კონსტიტუციურ ხასიათს ატარებდა და ამაში იყო ლეოპოლდ I-ის დამსახურება.

## მუშათა მოძრაობის დასაწყისი

ბელგიის რევოლუციამ ბიძგი მისცა ქვეყანაში სამრეწველო გადატრიალებას. უცხოეთთან ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმებების გაფორმებამ გასაღების ბაზარი გაუხსნა ბელგიურ პროდუქციას. ლიანდაგების წარმოებასა და ვაგონ-ორთქმავლებზე შემოსული დაკვეთები ხელს უწყობდა მეტალურგიის განვითარებას. XIX ს. 50-იან წლებში ბელგიამ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის, — მას ევროპის „პატარა სახელოსნოსაც“ კი უწოდებდნენ.

კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატის რაოდენობაც. ქვეყანაში დაარსდა რამდენიმე მუშათა ორგანიზაცია, რომლებიც კლერიკალებისა და პრუდონისტების გავლენას განიცდიდნენ. 1848 წ. რევოლუციების პერიოდში ბელგიის მთავრობამ აღკვეთა დემოკრატიული მოძრაობა და ქვეყანაში სოციალისტური იდეების შემოჭრის ცდები. იგი რეპრესიებითა და უმნიშვნელო რეფორმებით (უმუშევრებისთვის დახმარების გაწევით, საარჩევნო უფლებების გაფართოებით და სხვ.) ცდილობდა დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობას, მაგრამ მასების პოლიტიკური აქტიურობა ყოველწლიურად იზრდებოდა. ზოგიერთ ქალაქში მშრომელები ქუჩაში გამოვიდნენ, რაც შეშფოთებას იწვევდა მმართველ წრეებში.

ევროპაში კონტრრევოლუციის გამარჯვებამ შეება მოჰგვარა რეაქციულ პარტიებს (მათ ბელგიიდან ხელისუფლებისთვის არასასურველი უცხოელები, მათ შორის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელი კ. მარქსიც, გააძევეს.), მაგრამ მუშათა მოძრაობა არ შეწყვიტა და სულ მალე ბელგიის მოწინავე პროლეტარიატი თავის სათქმელს იტყვის.

ბელგიის დაკარგვის შემდეგ შეერთებული პროვინციები ინარჩუნებდნენ ნიდერლანდების სამეფოს სახელწოდებას და 1815 წლის ძირითადი კანონის რეჟიმს. 1848 წლამდე ნიდერლანდების სამეფო წარმოადგენდა კონსტიტუციურ მონარქიას, სადაც მეფე პარლამენტზე ძალლა იდგა. იგი ქვეყანას გააგებდა მინისტრების ძმშვეობით, რომლებიც მხოლოდ ძის წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ასეთი რეჟიმი ლიბერალური პარტიის პროტესტს იწვევდა, — ლიბერალები კონსტიტუციის გადასინჯვას და ბელგიის ანალოგიურ მმართველობას მოითხოვდნენ. მათ სამართლიან პრეტენზიებს საზოგადოების ფართო ფენებიც გამოეხმაურენ, ხოლო საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციის გამარჯვებამ საერთოდ დააჩქარა ძირითადი კანონის ძეცვლა. ვილჰელმ II-მ (იგი 1840 წ. გამეფდა) ძეადგინა კომისია, რომელმაც კონსტიტუციის გადასინჯვა იკისრა. 1848 წ. ნოემბერში გენერალურმა შტატებმა გამოაქვეყნეს ძირითადი კანონის ტექსტი. კონსტიტუციის მიხედვით მეფის პასუხისმგებლობა გადავიდა მინისტრებზე; მონარქის არც ერთი ბრძანებულება არ შევიდოდა ძალაში შესაბამისი მინისტრის სახქციის გარეშე; ზედა პალატის წევრებს ირჩევდნენ პროვინციული შტატები, ხოლო ქვედა პალატისას — რენტის გადამხდელი ამომრჩევლები; მეფეს შეეძლო ქვედა პალატის დათხოვა.

გენერალური შტატების პრეროგატივები ძალიან გაფართოვდა: ქვედა პალატას მიეცა საკანონმდებლო ინიციატივისა და შესწორებათა შეტანის უფლება, ბიუჯეტის დამტკიცება და სხვ.

საარჩევნო და საპარლამენტო რეფორმას სხვა ლიბერალური ღონისძიებებიც მოჰყვა, სახელდობრ: გაუქმდა გაზეთებზე წინასწარი ცენზურა და დაშვებულ იქნა კავშირების შექმნის თავისუფლება.

1849 წ. იანვარში ჩატარდა პირველი არჩევნები, ხოლო 1 თებერვალს საზეიმოდ გაიხსნა სესია. გამარჯვება ლიბერალებმა და მათმა ლიდერმა ტორბეკემ მოიპოვეს, — მათვე შეადგინეს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობაც. ამიერიდან ნიდერლანდებში პარლამენტური რეჟიმი დამყარდა, და, რომლის წყალობით ძალაუფლება საპარლამენტო უმრავლესობის ხელში გადავიდა. გენერალურ შტატებში ძირითადად ორი მთავარი პარტია—ლიბერალური (ზომიერი და რადიკალური მონარქისტები) და კონსერვატიული (თავადაზნაურობა, მსხვილი ბურჟუაზია) — ჩამოყალიბდა. ლიბერალები მოითხოვდნენ საზოგადოებრივი სამუშაოების, არხების, რკინიგზების და მრეწველობის სხვა დარგების დაფინანსებას, ხოლო კონსერვატორები ფინანსების აუჩქარებელ და ეკონომიურ ხარჯვას.

ტორბეკეს პირველმა კაბინეტმა (1849-1853) გააფართოვა პროვინციული შტატებისა და კომუნების უფლებები; ამიერიდან ბურგომისტრებს ნიშნავდა მთავრობა, ხოლო შტატებისა და ქალაქების ბიუჯეტს პროვინციათა დეპუტატები და მთავრობის კომისიები ამტკიცებდნენ.

ეს პროგრესული ღონისძიებები კონსერვატიული ოპოზიციის გაღიზიანებას და მისი მხრიდან აქტიურ წინააღმდეგობას იწვევდა. ოპოზიციამ წარმატებას მიაღწია 1852 წელს, როდესაც მთავრობამ საქველმოქმედო დაწესებულებებზე თავისი კონტროლის დაწესება გადაწყვიტა. კონსერვატორებმა მიიმხრეს კალვინისტები, კათოლიკენი და ებრაელები, რომელთაც თავიანთი თავშესაფრების, საავადმყოფოების, კომიტეტების და სხვა ორგანიზაციების შენარჩუნება სურდათ, და ჩააგდეს კაბინეტების პროექტი. მთავრობის კრიზისს თან დაემთხვა ურთიერთობის გამწვავება კლერიკალებსა და პროტესტანტებს შორის (ლიბერალები ნელ-თბილ დამოკიდებულებაში იყვნენ რომის პაპთან, რაც



კალვინისტების გაღიზიანებას იწვევდა) და მეფემ, რომელიც კალვინისტებს უჭერდა მხარს, აიძულა ტორბეკი გადამდგარიყო (1853 წ. აპრილი).

ახალი, ზომიერი ლიბერალების სამინისტრო შეეცადა რელიგიური პარტიების შერიგებას და ამ მიზნით მიიღო კანონი, რომელიც ნებისმიერი კულტის აღსრულებისთვის მეფის ნებართვას ითვალისწინებდა (ნოემბერი). ამიერიდან კათოლიკეთა პარტია, რომელსაც ძლიერი დასაყრდენი გააჩნდა ბრაბანტსა და ლიმბურგში, პაპის გავლენის ქვეშ გადავიდა და სერიოზულ ძალად გადაიქცა.

1854 წ. არჩევნებმა წარმატება მოუტანა სამინისტროს უმრავლესობასა და კათოლიკურ უმცირესობას. მთავრობამ პირველ რიგში დაწყებითი განათლების საქმეს მიხედა. მან საზოგადოებრივი (სახელმწიფო) სკოლა დაუქვემდებარა კომუნებს (და არა პროტესტანტულ ეკლესიას), რომელთა საბჭოები ნიშნავდნენ მასწავლებლებს, ხოლო სახელმწიფო —ინსპექტორებს (1857).

## კოლონიური სისტემა

გენერალურ შტატებში, 1853 წლიდან მოყოლებული, მთავარი ადგილი ეკავა კოლონიურ საკითხებს, რომელთა ირგვლივ გაუთავებელი დებატები იმართებოდა. ლიბერალები მონობის გაუქმებას, კოლონიების მმართველობის ბიუჯეტზე პარლამენტის კონტროლის დაწესებას და ე. წ. „კულტურათა სისტემის“ ლიკვიდაციას მოითხოვდნენ. დეპუტატთა უმრავლესობა მონობის წინააღმდეგი იყო, მაგრამ უთანხმოებას იწვევდა საკითხი, თუ რამდენი გადაეხადათ პლანტატორებისთვის მონების განთავისუფლების შემთხვევაში? 1862 წ. ტორბეკეს მეორე სამინისტრომ აკრძალა მონობა (კანონი ძალაში შევიდოდა 1870 წ. 1 ივლისიდან) და დაადგინა კომპენსაციის ზომები. კონტროლი ნიდერლანდების ინდოეთის მმართველობაზე გადავიდა მთავრობის ხელში (1864), მაგრამ „კულტურათა სისტემის“ საკითხი ძნელად გადასაჭრელი აღმოჩნდა და მან არაერთი კაბინეტის კრიზისი გამოიწვია.

„კულტურათა სისტემა“ წარმოადგენდა რეჟიმს, რომელიც კოლონიებში ტროპიკული პროდუქტების (ყავა, შაქარი, სანელებლები და სხვ.) გაფართოებას ითვალისწინებდა. რადგანაც იავაზე არ იყო მონობა და მალაიელები მხოლოდ ბრინჯის მოყვანისთვის ირჯებოდნენ, გუბერნატორმა ვან დერ ბოშმა მათ გადასახადის ნაცვლად მიწის მეხუთედი ჩამოართვა და ბეგარის წესით (60 დღე წელიწადში) აიძულა ისინი ჩამორთმეულ ფართობზე მოეწიათ ევროპისათვის ძვირადღირებული კულტურები. ამ „სისტემის“ გამოყენებამ ნიდერლანდებს უზარმაზარი მოგება მოუტანა.

ლიბერალების თვალში იძულებითი შრომა იგივე მონობა იყო, რომელიც ცივილიზებულ ჰოლანდიელებს არ ეკადრებოდათ. ამიტომ მათ გაბედულად შეუტიეს „სისტემის“ ქომაგებს (კონსერვატორებს) და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს: 1870 წ. ბეგარა და „კულტურათა სისტემა“ გაუქმებულ იქნა.

## მუშათა მოძრაობის დასაწყისი

კოლონიების ძარცვისა და პროლეტარიატის ექსპლოატაციის შედეგად ნიდერლანდებში დიდძალი კაპიტალი დაგროვდა, რომელიც ხელმისწვდომი წაადგა სამრეწველო რევოლუციის დაჩქარების საქმეს. ქვეყანაში ფართოდ გაიშალა არხებისა და რკინიგზების გაყვანა, განვითარდა გემთმშენებლობა, საგარეო ვაჭრობა, საბანკო ოპერაციები და საწარმოთა მშენებლობა. მაგრამ

მშრომელი მასების მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, განსაკუთრებით კრიზისებისა და უმუშევრობის პერიოდში (50-იან წლებში ჰოლანდია 0,5 მილიონ უმუშევარს მოითვლიდა, ეს კი მოსახლეობის 1/5-ს შეადგენდა). მუშის ხელფასი ძალიან მცირე იყო, ხოლო სამუშაო დღე — ძალიან დიდი (16-18 საათი). სამეფოში ფართოდ გამოიყენებოდა ბავშვის შრომა, სამაგიეროდ არ არსებობდა შრომითი კანონმდებლობა. მუშები არ იყვნენ ორგანიზებულნი კავშირებში და ისინი რელიგიურ პარტიების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ვითარება საგრძნობლად შეიცვალა: მოწინავე მუშები აქტიურად ჩაებნენ დემოკრატიულ მოძრაობაში, გაფიცვებში; ისინი ერთიანდებოდნენ პროფესიულ ორგანიზაციებში და კავშირებს ამყარებდნენ როგორც თანამემამულეებთან, ასევე საზღვარგარეთულ მუშათა პარტიებთან. 1869 წ. ამსტერდამის გემთმშენებლებმა, რომლებსაც ბრიტანელი და ბელგიელი პროლეტარები ეხმარებოდნენ, 12 საათიანი სამუშაო დღის შემოღებას მიაღწიეს, რაც იმ დროს დიდი გამარჯვება იყო.


ბიბლიოგრაფია

1. А. Дебидур, Дипломатическая история Европы. М., 1947, т. 1-2.
2. История дипломатии, т. I, М., 1964.
3. История XIX века (Лависс и Рамбо).


## სკანდინავიის ქვეყნები 1815-1870 წლებში

ნაპოლეონის ომებში შვეცია და დანია სხვადასხვა ამპლუაში გამოდიოდნენ და სხვადასხვა შედეგებით შეხვდნენ მათ დამთავრებას. პირველმა რუსეთის სასარგებლოდ დათმო ფინეთი, სამაგიეროდ დანიისაგან მიიღო ნორვეგია, ხოლო მეორემ ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად ეკონომიკური დაქვეითებაც განიცადა. ამიტომ, ევროპაში მშვიდობიანი წლების დადგომისთანავე, ჩრდილოეთის ორივე სახელმწიფო კარგა ხნით თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა (ხელი აიღო დიდი სახელმწიფოების კონცერტში მონაწილეობაზე) და საშინაო პრობლემების გადაჭრაზე გადაერთო.

### შვეცია და ნორვეგია 1815-1870 წწ.

1815-დან 1844 წლის ჩათვლით შვეციასა და ნორვეგიას კარლოს-იუხანის სახით ერთი და იგივე მმართველი განაგებდა. 1815 წ. ის იყო მემკვიდრე პრინცი, ხოლო სამიოდე წლის შემდეგ, როგორც კი მოხუცი კარლოს XIII გარდაიცვალა (1815 წ. 5 თებერვალი), ის ოფიციალურად იქნა აღიარებული ამ ქვეყნების მეფედ და მათ კარლოს XIV-იუხანის სახელით უძღვებოდა. ნაპოლეონის ყოფილი მარშალი[1] და მოხერხებული დიპლომატი (ის ხომ გასკონელი იყო!), როგორც ზემოთ ითქვა, ნაკლებად ერეოდა ევროპის კარდინალურ საკითხებში და თავის საგარეო პოლიტიკას უმთავრესად რუსეთის მეფეებთან (ალექსანდრე I-თან და ნიკოლოზ I-თან) კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებზე აგებდა.

[1] **უან-ბატისტ-ჟიულ ბერნადოტი დაიბადა 1764 წელს. 1804 წლიდან ის იყო საფრანგეთის მარშალი და პრინცი დე პონტე-კორვო. შვეიციის რიკსდაგმა იგი სამეფო პრინცად და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა (1810). 1818 წლიდან, როგორც ითქვა, იგი შვეციის მეფეა კარლ XIV-ის, ან კარლოს-იუხანის სახელ**



საშინაო საქმეებს კარლოს-იუხანი ისე განაგებდა, როგორც მთავარსარდალი ბრძოლის ველზე: გაბედულად და ერთპიროვნულად, რის გამოც სამართლიანად იმსახურებდა ოპოზიციის კრიტიკას. ის, ვითარცა სამხრეთის შვილი და მეფობისათვის მომზადებული პიროვნება, ნაკლებად იცნობდა ჩრდილოეთს და არ იყო მზად შვეცია-ხორვეგიის მმართველობისთვის. მაი ვერ შეძლო ამ ქვეყნების ენის, ტრადიციებისა და ინტერესების შესწავლა-გაცოცხლებას და სიკვდილამდე მათთვის უცხოელის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერს სწორად აკეთებდა და ბრაზობდა, როდესაც რეფორმების გატარებისკენ მოუწოდებდნენ. კარლოს XIV რეფორმებს ძხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ოპოზიციასთან ფარულ თუ აშკარა შეხლა-შემოხლის პირობებში მიმართავდა, თანაც ოპოზიცია შვეციაში სულ სხვა მიზნებს ისახავდა, ნორვეგიაში კი — სულ სხვას. ამიტომ მისი მეფობა შვეციაში სრულიად განსხვავდებოდა ხორვეგიაში მისი მეფობისაგან.

### კარლოს XIV-იუხანის მოღვაწეობა შვეციაში

ომებმა დიდად ავნეს შვეციის ეკონომიკას: ვაჭრობა მძიმე კრიზისს განიცდიდა, ყოვლისშემძლე სპეკულაცია საფუძველს ურყევდა საკრედიტო დაწესებულებებს, ძალიან ძვირი ჯდებოდა გზების, არხების და მასშტაბური ობიექტების ძეძებლობა. ამიტომ ახალი მეფე სესხს იღებდა უცხოეთის ბანკებისგან და ამ კრედიტების საშუალებით ცდილობდა მდგომარეობის გამოსწორებას. კარლოს-იუხანს ძძართველობის დასაწყისში ნაკლებად ამინებდა ოპოზიცია, რომელიც ფაქტიურად არც არსებობდა: რიკსდაგი (სეიმი) წიხასწარი განხილვისა და კაძათის გარეშე ამტკიცებდა მის ყოველ წიხადადებას. მაგრამ ახლა, როდესაც მშვიდობა დაძყარდა, პარლამენტმა თავისი ოდიხდელი უფლებების აღდგენა (აღძასრულებელი ხელისუფლების გაკონტროლება) მოისურვა და შეტნაკლებად დაუპირისპირდა მონარქის ერთპიროვნულ რეჟიმს. ვერ იტანდა რა პარლამენტურ ოპოზიციას, კარლოს-იუხანი მის მოქმედებაში ინტრიგებსა და შეთქმულებებს ხედავდა. ლიბერალურ ოპოზიციაზე დიდი გავლენა ძოახდინა საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ (1830) და ამიერიდან იგი შეუპოვარი და უდრეკი გახდა. მას პირველ რიგში აღაშფოთებდა მეფის ერთპიროვნული მმართველობა და მისი დაახლოება არისტოკრატიულ წოდებასთან. შეფეს, გარდა ამისა, ოპოზიცია ადანაშაულებდა რეფორმების გატარებისა და კოხსტიტუციაში შესწორებების შეტანის უგულებელყოფაში. ლიბერალები ერის სახელით პარლამეხტის მოძველებული სისტემის რეორგანიზებას და სახელმწიფო საბჭოს მინისტრთა კაბიხეტით შეცვლას მოითხოვდნენ (მინისტრები, მათი სურვილის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რიკსდაგის წინაშე ანგარიშვალდებულები იქნებოდნენ). ოპოზიციას პარლამენტს გარეთ მხარს უჭერდნენ იხტელიგენცია და პრესა, რომლებიც თავს ესხმოდნენ მეფის მთავრობას. ამის პასუხად მთავრობამ რეპრესიებს მიმართა: შეამცირა გაზეთების რიცხვი, ხოლო რეჟიმის ოპონენტები პასუხისგებაში მისცა.

მთავრობის ჯიუტობა კიდევ უფრო აძლიერებდა მოწინააღმდეგის შემოტევას. 1840 წ. პარლამენტში ოპოზიციურმა ჯგუფებმა შეადგინეს კოალიცია, რომელმაც მოხუცი მეფის ტახტიდან გადაყენებაც (მისი შვილის, ოსკარის სასარგებლოდ) კი მოითხოვა, თუმცა ნამდვილ რევოლუციაზე არც ვინმე ფიქრობდა და არც ვინმე ნათლავდა კარლოს-იუხანს უცხოელ უზურპატორად. მაგრამ საქმე არ მისულა მონარქის შეცვლამდე: მეფემ ზოგიერთი დათმობით (მაგ. სახელმწიფო საბჭოს ნაცვლად შემოიღო მინისტრთა კაბინეტის ინსტი-

ტუტი და სხვ.) შეძლო პოლიტიკური კრიზისის დაძლევა. 1843 წ. 5 თებერვალს, ტახტზე ასვლიდან 25 წლისთავზე, კარლოს-იუხანს დიდი ზეიმიც კი მოუწყვეს. იგი 1844 წ. 8 მარტს გარდაიცვალა და ტახტი მისმა ძემ, ოსკარ I-მა დაიკავა.

## კარლოს-იუხანი და ნორვეგია

კარლოს XIV-ს ნორვეგიაშიც მოუწია ოპოზიციასთან ბრძოლების გადატანა, მაგრამ შვედური ლიბერალური ოპოზიციისაგან განსხვავებით ნორვეგიული უმთავრესად ეროვნულ ხასიათს ატარებდა. ასე რომ, უნიის გაფორმებისთანავე ნორვეგიის საკითხმა ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა ახალი დინასტიის ისტორიაში და თავისი სიმწვავით იგი მთელი საუკუნის მანძილზე გაიწელა.

1815 წ. ხელშეკრულებებს შვედებიცა და ნორვეგიელებიც სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ. პირველთა თვალში ნორვეგია მათი საკუთრება იყო და, მაშასადამე, შეიძლებოდა მის საქმეებში ჩარევა, ეს კი უნიაში შვეციის გაბატონებას ნიშნავდა. ნორვეგიელთა თვალში პირიქით, — დამოუკიდებელი ნორვეგია თავისი ნებით შეუერთდა შვეციას და, აქედან გამომდინარე, მას თავად უნდა განეგო საკუთარი საქმეები და უნიაში შვეციასთან ერთად თანასწორი ადგილი დაეკავებია. ამ მოსაზრებათა შორის არსებულ წინააღმდეგობამ ბევრჯერ მოჰყოლია მწვავე დისკუსიები და სისხლისღვრაც. გუბერნატორებად განწესებული შვედი მოხელეები ამაოდ ცდილობდნენ ნორვეგიელთა მიმხრობას, — ვერც რეპრესიებით და ვერც დაყვავებით ისინი ვერ ახერხებდნენ თავისუფლებისმოყვარე ხალხის საბოლოო დამორჩილებას. ეს ანტიპათიები, პირველ რიგში, თავს იჩენდნენ ხოლმე სტორტინგში (ნორვეგიის პარლამენტში), სადაც ძალიან ძლიერი ოპოზიცია არსებობდა. მისი წევრები (მოხელეები, გლეხები, ხელოსნები) ერთსულოვანნი იყვნენ მთავრობის მოღვაწეობის კრიტიკაში. ფლობდა რა უმრავლესობას, საპარლამენტო ოპოზიცია უარყოფდა მთავრობის კანონპროექტებს და იგნორირებდა მეფის სურვილებს (მაგ., მიუხედავად კარლოს-იუხანის veto-სი, ნორვეგიაში მაინც არ ჩამოყალიბდა თავად-აზნაურთა კლასი, რომელიც იქ მანამდეც არ არსებობდა).

## კარლოს-იუხანის მოღვაწეობის შედეგები

კინკლაობის და ბრძოლის მიუხედავად, კარლოს XIV-ის მეფობა მრავალი რეფორმითა და სასიკეთო ღონისძიებებით აღინიშნა. უნიის წყალობით გამოსწორდა ნორვეგიის ფინანსური მდგომარეობა, ქვეყანაში დაარსდა სამამულო ბანკი (1816), მოწესრიგდა მმართველობის საქმე, სტორტინგმა დაამტკიცა კანონი სათემო კრებების შესახებ (1837), გამოქვეყნდა ძეგლისდება სასჯელის ზომებზე, განვითარდა მრეწველობა, ვაჭრობა. 1818 წ. ნორვეგიის დედაქალაქში (ხრისტიანიაში) დაარსდა ხელოვნების და ხელოსნობათა სკოლა; საერთაშორისო შეთანხმებებმა გააიოლეს ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ხოლო 1837 წლიდან დადგენილ იქნა ზღვაზე რეგულარული რეისები.

ამ მხრივ არც შვეცია წარმოადგენდა გამონაკლისს: იქ შემოიღეს ახალი სასამართლო სისტემა, გააუმჯობესეს ვაჭრობის, მრეწველობისა და მიწათმოქმედების საქმე. კარლოს-იუხანის მეფობისას შვეცია თამამად დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ბუნებრივია, სასიკეთო გარდაქმნებს მოსახლეობის რიცხოვნივი და მისი კეთილდღეობის ზრდა მოჰყვა (კარლოს XIV-ის მეფობის ბოლო წლებში შემოსავლები ჭარბობდნენ გასავალს). მაგრამ ერთი ცხადია, — ამ გარდაქმნებს მეფე და მისი მინისტრები ლიბერალური ოპოზიციის ზეწოლის შედეგად ატარებდნენ, თუმცა კარლოს-იუხანს ყოველთვის ყოფნიდა ტაქტისა და კომპრომისებზე წასვლის უნარი (მაგ. მან ერთხელ და სამუდამოდ მაინც აღიარა ნორვეგიული ეროვნულობის პრიმატი და არასდროს არ მიუმართავს უკანონო ძალადობისთვის). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კარლოს XIV-იუხანის მეფობა ორივე ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგებით დასრულდა.

## ოსკარ I-ის მეფობა შვეციასა და ნორვეგიაში

ოსკარ I-ის მეფობის ჟამს ქვეყნის ეკონომიკა, — მრეწველობა, ვაჭრობა და სოფლის მეურნეობა, — შეუფერხებლად ვითარდებოდა. საშინაო მმართველობის ყველა სფერო — სახალხო განათლება, ფინანსები და ეკლესიის საქმეები სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტახტზე ასვლისას ოსკარი 45 წლის იყო, ის მანამდე არავითარ როლს არ თამაშობდა, რადგანაც მამამისი არ ენდობოდა და „შორს ამყოფებდა" სახელმწიფო საქმეებისგან. სამაგიეროდ მემკვიდრე პრინცი პოპულარობით სარგებლობდა ოპოზიციურ პარტიებში, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ მის გამეფებას. ეჭვი არაა, იგი კარლოს-იუხანზე მეტი ლიბერალი იყო, მაგრამ მისი ლიბერალიზმი ზედმეტად ზომიერ ხასიათს ატარებდა, ხოლო პოლიტიკური იდეები — უფერულს და მერყევს: უმნიშვნელო ფაქტს შეეძლო მისი მოღვაწეობის კურსის დიამეტრალურად შემობრუნება. მართლაც, მეფობის პირველ ნახევარში იგი ლიბერალებს ეყრდნობოდა, მეორეში კი — კონსერვატორულ ძალებს. მან გააუქმა მამამისის კანონები, რომლებიც მთავრობას გაზეთების დახურვის უფლებას აძლევდნენ, გაათავისუფლა კარლოს-იუხანის მინისტრთა უმრავლესობა და ისინი ზომიერი ლიბერალებით შეცვალა, სამაგიეროდ 1848 წ. რევოლუციების დროს ოსკარ I დაუახლოვდა რეაქციონერებს და ძალას იყენებდა თავისუფალი აზრის ჩასახშობად.

ოსკარ I-ის დროს ოპოზიცია კონსტიტუციის და საპარლამენტო მმართველობის შემოღებას მოითხოვდა. სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა რეფორმის პროექტი, რომელიც აუქმებდა წოდებრივ წარმომადგენლობას და მეფეს ანიჭებდა უფლებას, — თავად დაენიშნა ზედა პალატის წევრთა ნაწილი. ამ პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეს რადიკალებმა (1848) და მონარქმაც ხელი აიღო დეპუტატთა დანიშვნის პრეროგატივაზე.

1850 წ. მოწვეულ სეიმზე კონსტიტუციის პროექტი ჩავარდა, რადგანაც იგი არც ლიბერალებს მოსწონდათ, არც რადიკალებს და არც კონსერვატორებს. სეიმის დახურვისას (1851 წ. 4 სექტემბერი) ოსკარ I-მა განაცხადა, რომ აღარ წარადგენდა სხვა პროექტს და, მან შეასრულა თავისი სიტყვა.

ოსკარ I საგარეო პოლიტიკაში სკანდინავიზმის იდეებს უჭერდა მხარს; კერძოდ, მოხალისეების გაგზავნით ეხმარებოდა დანიას საჰერცოგოებისთვის დაწყებულ კონფლიქტებში (1848) და ყირიმის ომის დროს ის მოკავშირეებს დაუახლოვდა (შვეციას სერიოზულად აშინებდა რუსეთის ზრახვები — გაბატონებულიყო ნორვეგიის ფიორდებში), რომლებმაც მას ტერიტორიული მთლიანობის გარანტია აღუთქვეს (1855 წ. 15 ნოემბერი). ოსკარ I 1859 წ. 8 ივლისს გარდაიცვალა.

## კარლოს XV-ის მეფობა

ოსკარ I-ის მემკვიდრის, კარლოს XV-ს გამეფების მეხუთე წლის თავზე შვეციის საგარეო პოლიტიკის კურსი სიძნელეთა წინაშე აღმოჩნდა. მონარქი რუსეთთან დაპირისპირებას გაურბოდა, საზოგადოებრივი აზრი კი პოლონელებს თანაუგრძნობდა და მათი სამეფოს აღდგენას მოითხოვდა. საბოლოო ჯამში მეფისა და მისი მთავრობის სიმტკიცემ არ დაუშვა სიტუაციის გამწვავება და შეძლო ლიბერალების დაშოშმინება. კარლოს XV-ის შეშფოთებას საპერცოგოების საკითხიც იწვევდა. იგი მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ფრედერიკ VII-სთან და ცდილობდა დახმარებოდა შლეზვიგ-პოლშტაინის შეხარიუნებაში, მაგრამ დანიის მეფის გარდაცვალებამ ურთიერთდახმარების შეთანხმების დადებას ყოველგვარი აზრი დაუკარგა. მართალია, შვედი და ნორვეგიელი მოხალისეები ხრისტიან IX-ის მხარეზე იბრძოდნენ, მაგრამ ევროპის განდგომამ შვეციის მონარქიც აიძულა ხელი აეღო დანია-გერმანიის კონფლიქტში ჩარევაზე.

კარლოს XV ჭკვიანი მინისტრების თანადგომით ხელმძღვანელობდა სამეფოს. იგი გაბედული, რაინდული სულის მონარქი იყო და იშვიათად ღალატობდა თავის პრინციპებს, თუმცა პატივს სცემდა სეიმსა და საზოგადოებრივ აზრს. მან 1865 წ. დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია და ამით ბოლო მოუღო გართულებებსა და ინტერესთა დაჯახებას. ძველი წარმომადგენლობითი სისტემა ისტორიას ჩაბარდა: გაუქმდა წოდებრივი წარმომადგენლობა, ზედა პალატას ნიშნავდნენ ადგილობრივი კრებები, ხოლო ქვედას — მოსახლეობა ირჩევდა.

კარლოს XV-ის მეფობის ბოლო პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები არ მომხდარა, თუმცა ოპოზიციასთან მცირეოდენ კინკლაობას მაინც ჰქონდა ადგილი, რასაც ავადმყოფი მეფე ავადმყოფურად განიცდიდა (ის სამართლიანად თვლიდა, რომ მისი პერსონისადმი ოპოზიციის დამოკიდებულება დაუმსახურებელი იყო). კარლოს XV გარდაიცვალა 1872 წ. 18 სექტემბერს და ტახტზე მისი უმცროსი ძმა, ოსკარ II ავიდა.

## ნორვეგიის საკითხი ოსკარ I-ისა და კარლოს XV-ის დროს

ამ ორი მონარქის დროს საკუთრივ ნორვეგიაში რაიმე ღირსშესანიშნავი ძვრები არ მომხდარა. შვეციასთან ურთიერთობა თითქმის ყოველთვის უკანა პლანზე სწევდა ქვეყნის საშინაო პოლიტიკას და ამ ურთიერთობის მსვლელობაში ტახტზე ნებისმიერი პრინცის ასვლა მკვეთრად გამოკვეთილ დემარკაციულ ხაზს არ ავლებდა. ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კარლოს-იუხანის დროს, კარლოს XV-ის მეფობის პერიოდში „ნორვეგიის საკითხში“ განვითარდა. ოსკარ I დათმობების გზით ხელს უწყობდა ნორვეგიელი ხალხის თვითშეგნების ამაღლებას. მან გადაჭრა ნორვეგიელთა გერბისა და დროშის საკითხი, რომელმაც საზოგადოების თვალში არც თუ ისე პატარა მნიშვნელობა შეიძინა. იგი უფრთხილდებოდა ნორვეგიელთა ეროვნულ თავმოყვარეობას, მაგრამ მიუხედავად მისი ძალისხმევისა, მღელვარება დღითიდღე იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს შვეციის სეიმი (რიკსდაგი) ისე „გაბრაზდა“, რომ მისმა ერთმა წევრმა უნიის აქტის გადასინჯვა მოითხოვა (1859).

ნორვეგიის 1814 წ. კონსტიტუცია ითვალისწინებდა გენერალ-გუბერნატორის პოსტს, რომლის დაკავება შვედსაც შეეძლო. პირველი გენერალ-გუბერნატორები მართლაც შვედები იყვნენ; მოგვიანებით მეფეები (ეს იყო პირველი დათმობა) გუბერნატორებად ნორვეგიელებს ნიშნავდნენ. 1856 წ. გუბერნატორად არავინ არ დაუნიშნავთ. ნორვეგიის სტორტინგმა შეიმუშავა კანონპროექტი ამ თანამდებობის საერთოდ გაუქმებაზე, ხოლო 1859 წ. პარლამენტმა ხმების უმრავლესობით დაამტკიცა მისი ლიკვიდაცია. ამ ნაბიჯმა შვეციასა და ნორვეგიას შორის სერიოზული კამათი გამოიწვია (შვედები ვერ ურიგდებოდნენ იმ ფაქტს, რომ ნორვეგია მათგან დამოუკიდებლად ცვლიდა თავის კონსტიტუციას). კარლოს XV-ს არ „აწყობდა“ კრიზისის გაღრმავება და, ვითარების განმუხტვის მიზნით, ამ საკითხის განხილვა განუსაზღვრელი ვადით გადადო. ეს მხოლოდ პალიატივი (წამალი, რომელიც დროებით ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას) იყო, რამეთუ „ნორვეგიის საკითხი“ მისი მეფობის ბოლო წლებში ისე გამწვავდა, რომ ოსკარ II-ს ძალები არ ეყოფოდა მის გადასაჭრელად.

### ბიბლიოგრაფია


1. И. Андерсон. История Швеции, М., 1951.
2. Ф. Ротштейн. Две прусские войны. М.—Л., 1945.
3. История XIX века (Лависс и Рамбо). 4. 6.
4. А. Дебидур, Дипломатическая история Европы, М., 1947, Т. 1-2.
5. История дипломатии. М., 1964. т. I.


## დანიის სამეფო 1815-1864 წლებში

მშვიდობის დავანების ჟამს დანიის სამეფო უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. ეს ქვეყნის საერთო გაკოტრებამ (1813) და მისმა აბსოლუტურმა („ფრჩხილებიდან თმის ღერამდე“) გაღატაკებამ გამოიწვია. ასეთი სიტუაცია ერთბაშად არ გამოსწორებულა, პირიქით, ხშირმა მოუსავლიანობამ უარყოფითად იმოქმედა გლეხობისა და ხელმოკლე მემამულეთა მეურნეობაზე და ეს ვითარება მიზეზი ხდებოდა მათი დაპატიმრებისა (რენტის გადაუხდელობის გამო).

მიუხედავად ამისა, დანია თანდათანობით მაინც გაიმართა წელში, მაგრამ ეს წარმატება ფრედერიკ VI-ის მოღვაწეობას როდი მიეწერება. პირიქით, 1815 წლიდან მოყოლებული მას ერთი სასიკეთო რეფორმაც არ გაუტარებია და, თუ სამეფომ დაძლია სიძნელეები, დაძლია იმის წყალობით, რომ მეფემ ქვეყნის განვითარებას ჯერ კიდევ ნაპოლეონის ომებამდე ჩაუყარა საფუძველი. სამაგიეროდ მან რამდენიმე პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი განახორციელა, რომელთაგან ზოგიერთი საპერცოგოებს, შლეზვიგსა და ჰოლშტაინსაც, შეეხო. შვეციისა და ევროპის უმრავლესი ქვეყნების დარად დანიაშიც, სადაც მონარქია აბსოლუტისტური იყო, დაიწყო სახალხო მოძრაობა თავისუფლებათა მოსაპოვებლად. ამ მისწრაფებებზე დიდად იმოქმედა არა მარტო უცხოეთში გავრცელებულმა იდეებმა, არამედ ნორვეგიაში (იგი 1814 წლამდე ეკუთვნოდა დანიას) მიღებული კონსტიტუციის შედეგებმაც. 1830 წლის შემდეგ დანიაში ისე გაძლიერდა ლიბერალური მოძრაობა, რომ ფრედერიკ VI იძულებული გახდა, ანგარიში გაეწია მისთვის და გამოეცა ბრძანებულება (1834) „სათათბირო სეიმების“ შესახებ. ბრძანებულების მიხედვით პერიოდულად მოიწვეოდა ოთხი სეიმი: ორი სამეფოსთვის (ერთი ვიბორგში — იუტლანდიის ნახევარკუნძულისათვის, მეორე როსკილდში — კუნძულებისთვის) და თითო-თითო შლეზვიგისა და ჰოლშტაინისთვის. ამ სეიმებს შეეძლოთ ემსჯელათ მთავარ კანონებზე, განეხილათ გადასახადების საკითხი, შეედგინათ პეტიციები, კანონპროექტები, ეკამათათ მოქმედ კანონებზე და მიეთითებინათ მათ ხარვეზებზე. მაგრამ ფაქტიურად ამ სეიმებს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდათ და, რო-

გორც სახელწოდება მიგვანიშნებს, მათ მხოლოდ სათათბირო უფლებებით უნდა ესარგებლათ. მოწვევისთანავე სეიმებმა სცადეს თავიანთი პრეროგატივების გაფართოება (მაგ. გამოექვეყნებიათ ანგარიშები, კამათი და სხვ.), მაგრამ უშედეგოდ. უფრო მეტიც, მეფემ არ დაუშვა მათი გაერთიანება და შემოიფარგლა იმით, რომ დებატების მოკლე ანოტაციების გამოქვეყნების ნება დართო.

1839 წ. ფრედერიკ VI უშვილძიროდ აღესრულა და დანიის ტახტი მისმა ღისშვილმა ხრისტიან-ფრედერიკმა დაიკავა, რომელიც ადრე ნორვეგიაში მეფობდა და ახლა ხრისტიან VIII-ის სახელით მოევლინა ქვეყანას. მის გამეფებას დიდი სიხარულით შეხვდა ხალხი, განსაკუთრებით ლიბერალური პარტია, რომელიც იმედოვნებდა, რომ ნორვეგიისთვის კონსტიტუციის მიმცემი ხრისტიანი დანიის მოსახლეობასაც უბოძებდა იგივე თავისუფლებებს. მაგრამ ახალი მონარქი ქვეყანას მხოლოდ ადმინისტრაციულ რეფორმებს დაპირდა და, იყო რა პოლიტიკური თავისუფლებების მოწინააღმდეგე, რეპრესიებზე გადავიდა.

მეფის ძალმომრეობამ ოპოზიციის აღშფოთება და მისი გააქტიურება გამოიწვია. მალე საყოველთაო პროტესტებმა ისეთი სახიფათო სახე მიიღეს, რომ ხრისტიან VIII დანებდა და ხალხს კონსტიტუციის შემუშავება აღუთქვა, მაგრამ ვერ მოასწრო დანაპირების შესრულება: 1848 წლის იანვარში იგი გარდაიცვალა.

მიუხედავად რეპრესიებისა და ოპოზიციის უკმაყოფილებისა, ხრისტიან VIII-მ თავისი ადმინისტრაციული რეფორმებით ბევრი სასიკეთო რამ მოუტანა დანიის ხალხს, სახელდობრ: მუნიციპალური კანონით (1840) სასოფლო თემებში შემოიღო სამრევლო საბჭოების ინსტიტუტი, არმიაში გააუქმა ფიზიკური დასჯა, კოლონიებში აკრძალა მონობა, ნაწილობრივ გადასინჯა სისხლის სამართლის კოდექსი, მოაწესრიგა ფინანსური საქმე (შეამცირა გასავალი და გაზარდა სახელმწიფო შემოსავალი), გარდაქმნა დწყებითი სკოლების სისტემა და სხვ. მეფეს განზრახული ჰქონდა სეიმთა უფლებების გაფართოებაც, მაგრამ მისი ყურაღღება და ძალები მთლიანად შთანთქა საჰერცოგოების საკითხმა, რომელიც 1848 წლისათვის ძალიან გამწვავდა.

გერმანელებით დასახელებულ ჰოლშტაინს, ლაუნბურგსა და შლეზვიგს (ამ უკანასკნელში სკანდინავები ჭარბობდნენ) ხარბი თვალით უყურებდნენ გერმანიის კავშირი და პრუსიის სამეფო. 1848 წ. რევოლუციის დროს საჰერცოგოთა სეპარატისტულმა ძალებმა აჯანყება მოაწყვეს (მათ დანიისგან გამოყოფა სურდათ), მაგრამ დანიის ახალმა მეფემ ფრედერიკ VII-მ ჩაახშო იგი და სამფლობელოებიც შეინარჩუნა. მაშინ მეამბოხეებმა დახმარებისთვის „ვერმანელ ძმებს“ და ფრანკფურტის პარლამენტს მიმართეს. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ გერმანელთა თვალში პრუსიის ავტორიტეტის ამაღლებისა და საჰერცოგოების მიტაცების მიზნით ჯარები შეიყვანა დანიაში. დამარცხებულმა ფრედერიკ VII-მ (ის მეფობდა 1848-1863 წლებში) შველა სთხოვა დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ოდითგანვე დანიის გარანტები იყვნენ. პრუსიის თავხედობით აღშფოთებული რუსეთის, შვეციის, ავსტრიისა და ინგლისის მთავრობები დაემუქრნენ აგრესორს და დაშინებულ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს დაატოვებინეს საჰერცოგოები. მაგრამ პრუსიის მილიტარისტულმა წრეებმა მაინც აღისრულეს საწადელი: 1864 წელს, ისარგებლა რა ევროპაში შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით, პრუსიის მთავრობის მეთაურმა ოტო ფონ ბისმარკ-



მა ავსტრიასთან ერთად დაამარცხა დანიის სუსტი არმია და ხელთ იგდო შლეზვიგი, ჰოლშტაინი და ლაუნბურგი.[1]

საჰერცოგოების დაკარგვამ საკუთრივ დანიაში ახალი კონსტიტუციური გართულებები გამოიწვია. ის კონსტიტუცია, რომელიც არსებობდა საჰერცოგოების დანიის შემადგენლობაში ყოფნის ჟამს, ახლა აღარ ვარგოდა და გადასინჯვას მოითხოვდა. 1866 წ. ასეც მოხდა: პარლამენტმა ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიიღო ახალი ძირითადი კანონი, რომელმაც ოპოზიციაც დააკმაყოფილა და აღმასრულებელი ხელისუფლებაც მეფე ხრისტიან IX-ის სახით[2].

### ბიბლიოგრაფია


1. А. Дебидур. Дипломатическая история Европы. М., 1947. Т. 1-2.
2. Ф. Ротштейн. Две прусские воины. М.,-Л., 1945.
3. История XIX века (Лависс и Рамбо), Т. 4, 6.
4. История дипломатии. М., 1964. Т. I.


## შვეიცარია 1815-1870 წლებში

ვენის კონგრესის გენერალურმა აქტმა და პარიზის მეორე ზავმა საბოლოოდ დაადგინეს შვეიცარიის ნეიტრალიტეტი. მათი ძალით ძველ კანტონებს დაემატა სამი ახალი, — ჟენევის, ვალისისა და ნეშატელის, 1815 წლამდე საფრანგეთსა და გერმანიას რომ ეკუთვნოდნენ (ნეშატელის სამთავრო პრუსიის მეფის ნომინალური ძალაუფლების ქვეშ დარჩა). ევროპის სახელმწიფოებმა სცნეს რა შვეიცარიის დამოუკიდებლობა, ხელშეუვალობა და ნეიტრალიტეტი, ამიერიდან ამ კანტონალურ რესპუბლიკას საკუთარი სუვერენიტეტის დაცვის საქმე თავადვე მიანდეს, თუმცა მის გარანტად ყოფნაზე ხელი არ აუღიათ.

შვეიცარიის კონფედერაცია 22 კანტონისგან შედგებოდა. ჯერ კიდევ 1815 წ. 7 აგვისტოს ციურიხის სეიმმა საზეიმოდ დაამტკიცა საკავშირო კონვენცია, რომლის მიხედვით ყველა კანტონი ინარჩუნებდა მთლიან სუვერენიტეტს, მიუხედავად ერთი ხელმძღვანელი კანტონის არსებობისა, რომელსაც მორიგეობით წარმოადგენდნენ ბერნი, ლიუცერნი და ციურიხი. 7 აგვისტოს აქტი მეტი არაფერი იყო, თუ არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის გაფორმებული საძოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც ყოველ კანტონს ხელისმიერ ქვეყანასთან ნებისმიერი შეთანხმების (თუ იგი კონფედერაციის წინა-

[1] საჰერცოგოების შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი თემაში „საერთაშორისო ურთიერთობები“.

[2] ხრისტიან IX დანიაში გამეფებამდე ჰესენ-გლუკსბურგის პრინცი იყო და თავის თავში გამეფების რამდენიმე უფლებას აერთიანებდა. მას მეუღლედ ჰყავდა ხრისტიან VIII-ის დის, ლუიზა-შარლოტას (ჰესენის-მარკგრაფის მეუღლის) ასული. დანიის კანონებით არ იკრძალებოდა სამეფო ტახტის დაკავება მდედრობითი (ქალის) ხაზით (სალიკური კანონი ჰოლშტაინში მოქმედებდა) და შეიძლებოდა დანიის ტახტზე ლუიზა-შარლოტას ვაჟის ასულა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გვირგვინი თავის სიძეს ხრისტიანს დაუთმო. ლონდონში შეკრებილმა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ხრისტიან IX დანიის მეფედ აღიარეს (1852 წლის 8 მაისი). ნიშანდობლივია, რომ ხრისტიანის უფლებები არ სცნო გერმანიის კავშირმა და ავგუსტენბურგის ჰერცოგმა, რომელიც თავის თავს დანიის მეფის ფრედერიკ III-ის სისხლის ნათესავად (მაშრობითი ხაზით) თვლიდა (დაწვრილებით იხ. „საერთაშორისო ურთიერთობანი“).

აღმდეგ არ იყო მიმართული) დადების უფლებას ანიჭებდა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი წლის ზაფხულში ერთი თვით შეკრებილი ფედერალური სეიმი ომის, ზავის, საგარეო საქმეთა და ფინანსურ საკითხებს განიხილავდა, იქ წარგზავნილი დელეგატები თავიანთი კანტონების საკანონმდებლო კრებების მითითებების საფუძველზე ამტკიცებდნენ (ან უარყოფდნენ) მათ. აღმასრულებელი ხელისუფლება თითქმის არ არსებობდა და მის როლს ასრულებდა ხელმძღვანელი კანტონის (ბერნის; ციურიხის, ან ლიუცერნის) საბჭო (vorort), რომლის ავტორიტეტი ძალიან უმნიშვნელო იყო. ასე რომ, ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდებოდა.

შვეიცარიის ოდინდელ საზღვრებში აღდგენას არისტოკრატიის, პატრიციატისა* და კლერიკალების რეაქციული რეჟიმის რესტავრირება მოჰყვა. მაგრამ გაბატონებულ კლასებს არ შეეძლოთ ხანგრძლივად ფეოდალური (ამჟრული) სისტემის შენარჩუნება, რადგანაც ქვეყანაში დაგროვებული კაპიტალი, სამუშაო ძალის სიჭარბე, ხალხის შრომისმოყვარეობა და რევოლუციური საფრანგეთის გავლენის ქვეშ ყოფნა, შეუქცევადს ხდიდა კაპიტალიზმის გამარჯვებას. 1850 წლისათვის შვეიცარიის მოსახლეობის ნახევარი უკვე ქალაქებში ცხოვრობდა, რაც მრეწველობაში ახალი დარგების (მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ფარმაკოლოგიის, ტურიზმის და სხვ.) განვითარებაზე მიუთითებს. მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა როგორც კერძო ინიციატივა, ასევე მთავრობის ღონისძიებები, ეს უკანასკნელი ახალისებდა გზების გაყვანას, მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების სისტემის სრულყოფას. ამ დიდ საქმეს ემსახურებოდნენ ძველი და ახალი უნივერსიტეტები, აკადემიები, ბიბლიოთეკები, ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები (მარტო პესტალოცის, ეკონომისტ სისმონდის, ფილოლოგ ორელის, ფილოსოფოს ნევილის, მხატვარ რობერის და მოქანდაკე პრადიეს სახელების ჩამოთვლა იკმარებდა შვეიცარიის საზოგადოების ინტელექტუალური დონის შესაფასებლად). მაგრამ 1815-1830 წლებში გაბატონებული პოლიტიკური რეაქცია სერიოზულად ამუხრუჭებდა ქვეყნის წინსვლას, რის გამოც დემოკრატიული ძალები შეუპოვრად იბრძოდნენ პროგრესული გარდაქმნებისათვის. მათ კარგად ესმოდათ, რომ 7 აგვისტოს კონვენციის შეცვლა მხოლოდ კანტონური რევოლუციების გამარჯვებით მიიღწეოდა, ამიტომ ყოველი სუვერენული კანტონის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიები ცენზიური საარჩევნო სისტემის მოსპობისა და აღმასრულებელი ძალაუფლების შეზღუდვის ლოზუნგებით გამოდიოდნენ. უკვე 1829 წ. მრავალ კანტონში დამხობილ იქნა პატრიციატის ბატონობა. საფრანგეთში ივლისის რევოლუციის გამარჯვებამ ბიძგი მისცა დემოკრატიული საზოგადოებების მოღვაწეობის გააქტიურებას. მათ დღის წესრიგში ფედერალური კონვენციის შეცვლის საკითხი დააყენეს. 1832 წ. ივლისში სეიმმა შექმნა კომისია, რომელმაც შეიმუშავა ზომიერი ხასიათის პროექტი 7 აგვისტოს კონვენციის შესაცვლელად. პროექტის მიხედვით კანტონები შეინარჩუნებდნენ თავიანთ სუვერენიტეტს, სამაგიეროდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუთმობდნენ ისეთი უწყებების ხელმძღვანელობას, როგორიცაა ფოსტა, ფინანსები (მონეტის მოჭრა) და არმია. სეიმს ენიჭებოდა საკანონმდებლო პრეროგატივები, აღმასრულებელი ძალაუფლება ფედერალური საბჭოს ხელში გადავიდოდა, ხოლო ლიუცერნში, როგორც მომავალ დედაქალაქში, იმუშავებდა უმაღლესი სასამართლო პალატა. მაგრამ კანტონების უმრავლესობამ უარყო პროექტი (1833) და მისი მიღება 15 წლით გადავადდა.

ლიბერალური პარტია, რომელმაც არისტოკრატთა ხელისუფლება შეცვალა, რეაქციული სახელმწიფოების შიშით ვერ ბედავდა რადიკალური რეფორმების გატარებას. საქმე იმაშია, რომ 30-იანი წლებიდან შვეიცარიაში თავშესაფარი ჰპოვეს ემიგრანტმა რევოლუციონერებმა,[1] რაც აღგილობრივი ხელისუფლების მიმართ საღვთო კავშირის მტრულ დამოკიდებულებას იწვევდა.

1838 წელს საფრანგეთის მთავრობამ კატეგორიულად მოითხოვა შვეიცარიიდან პრინც ლუი-ნაპოლეონის გაძევება (ნაპოლეონ I-ის ძმისშვილმა სტრასბურგში აჯანყების მოწყობა სცადა, დამარცხდა და ტურგაუს კანტონს შეაფარა თავი, სადაც დედამისი, დედოფალი ჰორტენზია, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა), მაგრამ უარი მიიღო. საქმე ომამდე მივიდა, მაგრამ პრინცმა ნებაყოფლობით დატოვა ქვეყანა და სიტუაციაც განიმუხტა.

40-იან წლებში პროგრესული და რეაქციული ძალების დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია. 1843 წ. სექტემბერში შვიდმა კანტონმა (ლიუცერნი, ური, შვიცი, უნტერვალდენი, ცუგი, ვალისი და ფრიბურგი) შეადგინა სეპარატული კათოლიკური კავშირი, „ზონდერბუნდი“, რომლის ერთმა წევრმა, ვალისმა, სახელი „გაითქვა“ „ახალგაზრდა შვეიცარიის“ ლიკვიდაციით. ამ რეაქციულ-იეზუიტურ კავშირს დემოკრატიულმა და ლიბერალურმა ძალებმა ფედერალური არმია დაუპირისპირეს. 1847 წ. 20 ივლისს ბერნში შეკრებილმა სეიმმა „ზონდერბუნდის“ ხელმძღვანელობას კავშირის დაშლისა და ქვეყნიდან იეზუიტთა გაძევებისკენ მოუწოდა. ჰქონდა რა საღვთო კავშირის (განსაკუთრებით მეტერნიხის) თანადგომის იმედი, ზონდერბუნდელებმა უარყვეს ულტიმატუმი და საბრძოლველად მოემზადნენ. ფედერალურმა არმიამ იოლად გატეხა მათი წინააღმდეგობა და 1847 წ. ნოემბრის დამლევს ბოლო მოუღო „ზონდერბუნდს“ (დიდი ქვეყნები მაშინ დაფაცურდნენ, როდესაც უვნებელი დამთავრდა).

1848 წ. საფრანგეთის რევოლუციის გავლენით, ნევშატელის სამთავროში რესპუბლიკა გამოცხადდა. ამ აქტმა წარმოშვა კონფლიქტი პრუსიასთან, რომელიც 1857 წ. დამთავრდა ნაპოლეონ III-ის შუამავლობისა და პრუსიის მეფის დათმობათა წყალობით. 1848 წ. სექტემბერში ფედერალურმა კრებამ დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელიც ძალიან ჰგავდა აშშ-ის ძირითად კანონს.

კონსტიტუციის თანახმად, ცენტრალური ძალაუფლება ენიჭებოდა საკავშირო საბჭოს, რომლის 7 წევრს ირჩევდა ფედერალური კრება. ეს უკანასკნელი შედგებოდა ორი პალატისაგან. პირველი, ანუ ეროვნული საბჭო, შვეიცარიას განასახიერებდა როგორც ერთ ხალხს (მასში ყოველი საარჩევნო ოლქი 20 ათასი მოქალაქიდან ირჩევდა ერთ დეპუტატს.), ხოლო მეორე, კანტონების საბჭო, ატარებდა სახელმწიფოს ფედერაციულ ხასიათს (მასში ყოველი კანტონი ორ წარმომადგენელს აგზავნიდა). ფედერალური მთავრობა განაგებდა საბაჟოებს, ფინანსებს, ფოსტას, არმიას, მართველობის დანარჩენი ბერკეტები კი კანტონების ხელში გადავიდა.

კონსტიტუციის საფუძველზე არჩეულმა ცენტრალურმა მთავრობამ გარანტიები მოუსპო მონასტრებს, ქვეყნიდან გააძევა იეზუიტები, გზა გაუხსნა შვეიცარიის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ქვეყნის აღმავლობის თვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ნეიტრალიტეტის სტატუსს. XIX ს. 60-იან წლებში შვეიცარია რკინიგზების ქსელით დაიფარა, დაჩქარდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი, და საუკუნის მიწურულს „ალპური რესპუბლიკა“ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ იქცა.

მრეწველობის განვითარებას თან ახლდა მუშათა რიცხობრივი ზრდა. XIX ს. 50-იანი წლებიდან ისინი უკვე ერთიანდებიან პროფესიულ კავშირებში და გარკვეულ როლს თამაშობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

---

[1] 1834 წ. ბერნში დაარსდა საზოგადოება „ახალგაზრდა ევროპა“, რომელშიც შედიოდნენ „ახალგაზრდა იტალია“, „ახალგაზრდა გერმანია“ და „ახალგაზრდა შვეიცარია“.

## ბიბლიოგრაფია

1. Ф. Энгельс, Политическое положение Швейцарской республики (К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., 2-ое изд. Т. 9).
2. Это же. Гражданская война в Швейцарии. (Т. 4).
3. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 4.
4. Новая история. Первый период. М., 1986.


# აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხები 1815-1870 წლებში

ევროპის ამ რეგიონის ხალხთა უმრავლესობის ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის თავისებურება მდგომარეობდა იმაში, რომ არც ერთი მათგანის სამშობლოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. ამ ხალხების განვითარება ავსტრიისა და ოსმალთა იმპერიების ჩარჩოებში მიმდინარეობდა, ხოლო პოლონელთა ტერიტორიები ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ. უცხოელთა ჩაგვრის ქვეშ ყოფნა, ბუნებრივია, ეროვნებათა პროტესტებს, აჯანყებებს და განმათავისუფლებელ მოძრაობას იწვევდა. ეროვნული აღორძინება ხალხთა ძოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებს თავისი მამულის ისტორიაზე, კულტურულ წარსულსა და მომავლის ბედზე აფიქრებდა. ამის ნიადაგზე წარმოიშვა პანსლავიზმი, ილირიზმი, ავსტროსლავიზმი და სხვ., რომელთა იდეური ლიდერები თავისი პოლიტიკური, რა თქმა უნდა, ილუზირებული, კონცეფციებით მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იღვწოდნენ.

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხების მთავარ სოციალურ პრობლემას ფეოდალური ურთიერთობის ლიკვიდაცია და ბურჟუაზიული რეფორმებით კაპიტალისტური განვითარების პროცესებში ჩაბმა წარმოადგენდა, რაც, მათი შეხედულებით, ეროვნული აღორძინებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებით მიიღწეოდა.

მართლაც, მთელი XIX ს. მანძილზე ევროპის ამ რეგიონის მოსახლეობამ თავისი გონებრივი და ფიზიკური პოტენცია (ძალა, უნარი, ენერგია) თავისუფლების დიად საქმეს შეალია და, თუ რას მიაღწია, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ.

## პოლონეთის სამეფო 1815-1870 წლებში

### 1830-1831 წწ. აჯანყება

ვენის კონგრესზე პოლონეთის მიწები კვლავ გაანაწილეს[1]. ვარშავის საჰერცოგოს დიდი ნაწილისაგან შეიქმნა პოლონეთის სამეფო, რომელიც დინასტიური უნიით რუსეთს დაუკავშირდა. პრუსიამ მიიღო სილეზია, პოზნანი, პომორიე, ხოლო ავსტრიამ დასავლეთი გალიცია. გრაკოვი თავისუფალი ქალაქი-რესპუბლიკა გახდა, რომელსაც სამივე სახელმწიფო აკონტროლებდა. ალექსანდრე I-ისგან ბოძებული კონსტიტუციით პოლონეთის სამეფოში შლიახტამ შეინარჩუნა პრივილეგიები. სამეფოს მეფისნაცვლის ტიტულით იმპერატორის ძმა, დიდი თავადი კონსტანტინე განაგებდა. მეფე აკონტროლებდა მთავრობის მოღვაწეობას და იწვევდა სეიმებს, რომლებიც ამტკიცებდნენ ბიუჯეტს.

[1] იგულისხმება პოლონეთის სამი (1772, 1793, 1795) გაყოფა.



ავსტრიისა და პრუსიის შემადგენლობაში შესული პოლონური ოლქები სასტიკ ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ.[1] პოლონეთის მთავრობა ატარებდა პროტექციონისტულ პოლიტიკას; 1828 წ. დაარსდა პოლონეთის ბანკი, რომელიც აფინანსებდა მრეწველობას და ვაჭრობას; ქვეყანაში გაუქმდა ამჭრელი სისტემა, სამამულო მაუდმა „დაიპყრო“ რუსეთის ბაზარი. პრუსიაში ვითარდებოდა სილეზიის სამრეწველო ოლქი, სადაც მუშათა უმრავლესობას პოლონელები შეადგენდნენ. დასავლეთ გალიციაში დაწინაურდა საფეიქრო მრეწველობა, თუმცა ძალიან ნელა და არარენტაბელურად. პოლონეთის სამეფოში მიმდინარეობდა ურბანიზაციის პროცესი, შლიახტისა და გლეხობის ხარჯზე იზრდებოდა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი; ჩამოყალიბდა პროლეტარიატი, რომელიც სტიქიურ მოძრაობაში ჩაება. შლიახტა უკმაყოფილო იყო მეფისნაცვლისა და პოლიციის ძალმომრეობით, ხოლო სეიმში ოპოზიცია პარლამენტის პრეროგატივების შეზღუდვის წინააღმდეგ გამოდიოდა. ქვეყანაში შეიქმნა ფარული პატრიოტული ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა რუს დეკაბრისტებთან. საფრანგეთში ივლისის რევოლუციის გამარჯვებამ დააჩქარა პატრიოტთა გამოსვლა. 1830 წ. 23 ნოემბერს მათ დაიწყეს აჯანყება, შექმნეს დროებითი მთავრობა და არმიაში ახალგაზრდობა გაიწვიეს. 1831 წ. 25 იანვარს სეიმმა ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა ნიკოლოზ I.

თებერვალში რუსეთის იმპერატორმა არმია დაძრა აჯანყების ჩასახშობად. მის მხარეზე იყო დასავლეთის ქვეყნების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ისინი არც ფიქრობდნენ შველაზე. აჯანყების ბედი გლეხობის ხელში იყო, მაგრამ შლიახტა არ აპირებდა რეფორმების გატარებას, რის გამოც გლეხობა განზე გადგა (მისი ნაწილი აჯანყებულთა წინააღმდეგაც კი გამოვიდა) და 7 სექტემბერს მეფის არმიამ ვარშავა დაიკავა. 21 ოქტომბერს დაეცა აჯანყებულთა ბოლო დასაყრდენი. სამეფოს ავტონომია გაუქმდა, დაშალეს პოლონური არმია, დაიწყო რეპრესიები. შლიახტის დიდმა ნაწილმა თავი შეაფარა საფრანგეთს, სადაც დააარსა პოლონეთის დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც ოცნებობდა რეჩ პოსპოლიტას აღდგენაზე. არისტოკრატების და შლიახტის მდიდარი ნაწილი თავად ჩარტორისკის (ის აჯანყებისას დროებით მთავრობას ხელმძღვანელობდა) ირგვლივ გაერთიანდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ან თურქეთი ომს დაიწყებდნენ რუსეთის წინააღმდეგ და მაშინ პოლონეთსაც ეშველებოდა.

### ეროვნული და სოციალური ჩაგვრის გაძლიერება. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ნიკოლოზ I-მა სამეფოში შემოიღო ორგანული სტატუსი (1832), რომლის მიხედვით უქმდებოდა სეიმი, ქვეყანა გადაიხდიდა უზარმაზარ კონტრიბუციას, რუსეთის არმიაში გაიწვევდნენ პოლონელ რეკრუტებს, ხოლო შეძლებულ შლიახტას ჩამოერთმეოდა მიწების ნაწილი (სამაგიეროდ დაწესებულებები შეინარჩუნებდნენ პოლონურ ენას).

პრუსიის პოლონურ ოლქებში გაძლიერდა გერმანიზაცია, გავრცელდა აჯანყების მონაწილეთა მიწების კონფისკაცია, ხოლო გერმანული ენის ცოდნა სავალდებულო გახდა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ავსტრიის შემადგენლობაში შესული პოლონური მიწებიც. 1833 წ. სამივე დამპყრობელმა დადო შეთანხმება პოლონეთის აჯანყების ჩასახშობად ერთიანი ძალით მოქმე-

[2] რუსეთმა ამ მხრივ „დაინდო“ პოლონეთი, მისი ენა სახელმწიფო ენად აღიარა.

დების შესახებ. პოლონურ ოლქებში გაძლიერდა სოციალური ჩაგვრა: პრუსიის პოლონეთში გლეხობამ დაკარგა მიწების დიდი ნაწილი, ხოლო დასავლეთ გალიციაში შიმშილი ჩვეულებრივ მოვლენად ქცა. პოლონელი გლეხობა იხდიდა ბეგარას, ფულად რენტას, მას აძევებდნენ მიწიდან და სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ. არც ხელოსნებისა და მუშების ხვედრი იყო უკეთესი: მათი სამუშაო დღე არ იზღუდებოდა, ხოლო ხელფასი ოჯახის გამოსაკვებადაც არ კმაროდა. ჩაგვრისა და დამცირების პასუხად მუშები სტიქიურ გაფიცვებსა და აჯანყებას მიმართავდნენ. ქვეყანაში ამოქმედდნენ ფარული ორგანიზაციები. პატრიოტული საზოგადოების პოზნანის კომიტეტმა მასების ზემოქმედების შედეგად მთელი პოლონეთის აჯანყების დაწყება გადაწყვიტა.

ფარულმა ორგანიზაციებმა აჯანყება დაიწყეს დასავლეთ გალიციაში (1846). მის ჩასაქრობად ავსტრიის მთავრობამ ჯარები შეივყანა კრაკოვში, მაგრამ ისინი დამარცხდნენ და დატოვეს ქალაქი. კრაკოვში შექმნილმა ეროვნულმა მთავრობამ საერთო აჯანყებისკენ მოუწოდა ხალხს, თან დაჰპირდა, რომ გააუქმებდა წოდებრივ პრივილეგიებს და ბეგარას, ხოლო მიწებს გლეხობას გადასცემდა. მაგრამ 4 მარტს კრაკოვში შეიჭრა რუსეთის ჯარი და ქალაქი ავსტრიის შემადგენლობაში გადავიდა. პოლონელთა ეს აჯანყება იმიტომ დამარცხდა, რომ შლიახტა გლეხობის სასარგებლოდ არ ატარებდა რეფორმებს, პირიქით, მას აშინებდა სოფლად „ანარქიის“ დაწყება და შედეგად ის მიიღო, რომ გლეხობამ ქვეყნის განთავისუფლების ნაცვლად მთელი თავისი ზიზღი და რისხვა მას დაატეხა თავზე.

გალიციელი გლეხობის გამოსვლამ შეაძრწუნა პოლონელი შლიახტა და იგი დამჰყრობელთა მხარეზე გადავიდა. რუსეთის მეფის ჯარმა ჩაახშო გალიციელი გლეხების მღელვარება, მაგრამ მათი გაქანებით შეშფოთებულმა ნიკოლოზ I-მა გამოსცა ბრძანებულება რამდენიმე ვალდებულების გაუქმების შესახებ (1846 წ. ივნისი).

## პოლონელის ხალხი 1848-1864 წლებში

1848 წ. რევოლუციების გავლენით პოლონელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობის ფაზაში შევიდა. პოზნანში სერიოზულ შეტაკებას ჰქონდა ადგილი პრუსიის ჯარებსა და ადგილობრივი ეროვნული კომიტეტის შეიარაღებულ ძალებს შორის. პრუსიის პოლონეთში დაიწყო პარტიზანული მოძრაობა, რომელშიც მთავარ როლს გლეხობა თამაშობდა. შლიახტა ახლაც დაფრთხა და კაპიტულაციაზე წავიდა: 9 მაისს ეროვნულმა კომიტეტმა დაშალა თავისი შეიარაღებული რაზმები.

რევოლუციამ გალიციაც მოიცვა. კრაკოვში შექმნილმა ეროვნულმა კომიტეტმა ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და ბეგარის გაუქმებისკენ მოუწოდა მემამულეებს. სოფლად თავისი გავლენის შენარჩუნების მიზნით, ავსტრიის ხელისუფლებამ გააუქმა ბეგარა (22 აპრილი), მაგრამ კრაკოვის დაკავების შემდგომ დაიშალა ეროვნული კომიტეტი და მისი გვარდია. ნოემბერში ავსტრიის ჯარებმა მოახერხეს ეროვნული მოძრაობის ჩახშობა აღმოსავლეთ გალიციაშიც.

რევოლუციის შედეგად გლეხებმა საკუთრებაში მიიღეს თავიანთი მიწის ნაკვეთები (გამოსყიდვით). მიწაზე მემამულური საკუთრება ძალაში დარჩა. 50-იან წლებში დასავლეთ გალიციაში ძველებურად გრძელდებოდა გერმანიზაციის პროცესი და საგადასახადო ჩაგვრა, ხოლო შლიახტაში ფართო გავრცელება ჰპოვეს ავსტროსლავურმა იდეებმა. პოლონეთის სამეფო, სადაც ცარიზმმა პოლიციური რეჟიმი დაამყარა, 1848-1849 წ.წ. რევოლუციების მიღმა დარჩა. იქ XIX ს. 50-იანი წლების ბოლოს რეჟიმის ერთგვარი შერბილება დაიწყო. 1860 წ. ვარშავაში მოეწყო პირველი სახალხო მანიფესტაცია. ბურჟუაზიამ და მემამულეებმა თვითმმართველობის შემოღებისა და გლეხთა საკითხის გადაჭრის აღრესით მიმართეს რუსეთის მეფეს. ალექსანდრე II-მ დაპირებებთან ერთად ჯარები შეიყვანა ვარშავაში, ამას კი ახალი მანიფესტაცია და მისი დახვრეტა მოჰყვა. (1861 წ. 7 აპრილი). ასეთ ვითარებაში პატრიოტებს გამოეყვნენ მემამულენი (მათ „წითლებს“ უწოდებდნენ), რომლებმაც აჯანყების მომზადება დაიწყეს. 1862 წ. ივნისში „წითლებმა“ შექმნეს ცენტრალური ეროვნული კომიტეტი (ცეკ), რომლის პროგრამა თვალისწინებდა აჯანყების მომზადებას და გლეხობისათვის მიწის გადაცემას (გამოსყიდვით). „წითლები“ დაუკავშირდნენ რუსეთის ფარულ ორგანიზაციებს, მაგრამ მეროსლავსკიმ, რომელიც სათავეში უნდა ჩადგომოდა აჯანყებას, უარი თქვა ყოფილი რეჩ პოსპოლიტას რომელიმე ნაწილისთვის თვითმმართველობის მიცემაზე. „წითლების“ გავლენის ზრდამ აიძულა მემამულენი და ბურჟუაზია კიდევ უფრო მჭიდროდ დაახლოებოდნენ ერთმანეთს. მათი ორგანიზაციის წევრებს, ანუ „თეთრებს“, კავშირი ჰქონდათ ემიგრაციაში მყოფ ჩარტორისკის ჯგუფთან. „თეთრების“ ნაწილი აჯანყების გადადებას მოითხოვდა, ნაწილი კი მზად იყო შეთანხმებოდა მეფეს, რომელიც 1862 წ. მაისის რეპრესიების შემდეგ ლიბერალურ პოლიტიკაზე გადავიდა. 1863 წ. 22 იანვარს ცეკ-მა თავისი თავი დროებით ეროვნულ მთავრობად გამოაცხადა, გამოსცა მანიფესტი აჯანყების შესახებ, ხოლო დეკრეტებით გლეხობას საკუთრებაში გადასცა მიწის ნაკვეთები. ცუდად შეიარაღებულმა აჯანყებებმა ვერც ერთი ქალაქი ვერ დაიკავეს, ამასთან მოძრაობას არ შეუერთდნენ არც „თეთრები“ და არც გლეხები, რომლებიც მემამულეებს უფრო ებრძოდნენ. „თეთრების“ არსურდათ აჯანყების გლეხთა ომში გადაზრდა, ამიტომ თავად იპყრეს ხელთ აჯანყების მეთაურობა. „თეთრების“ ერთ-ერთი რაზმის მეთაურმა, ლანგევიჩმა, 11 მარტს თავისი თავი დიქტატურად გამოაცხადა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდნენ „თეთრები“ აჯანყებას. „თეთრებს“ საზღვარგარეთის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ავსტრია, საფრანგეთი და ინგლისი მხოლოდ დიპლომატიურ დემარშს დაჯერდნენ, რომელიც ალექსანდრე II-მ უარყო. „თეთრები“ სულით დაეცნენ და პასიურად იბრძოდნენ. 17 ოქტომბერს აჯანყების მთავრობამ დიქტატორად რ. ტრაუგუტი გამოაცხადა. მან გარდაქმნა არმია და გადაწყვიტა საყოველთაო ლაშქრის შექმნა. 1864 წ. ცარიზმმა მთელი ძლით შეუტია აჯანყებულთ, ამასთანავე, მეფემ გამოსცა ბრძანებულება, რომელიც გლეხებს პირად საკუთრებაში აძლევდა მათ მიერ დამუშავებულ მემამულეთა მიწებს. ამ ბრძანებულებამ გლეხები საერთოდ ჩამოაცილა აჯანყებას. 1864 წ. დამლევს მეფის არმიამ საბოლოოდ ჩაახშო იგი (აგვისტოში სიკვდილით დასაჯეს ტრაუგუტი). ცარიზმი სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. პოლონეთში გაძლიერდა ეროვნული ჩაგვრა, დაიწყო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ლიკვიდაცია, სკოლებისა და სასამართლოს რუსიფიკაცია. აჯანყება დამარცხდა იმიტომ, რომ: 1. გლეხობა განუდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; 2. აჯანყების ხელმძღვანელს, შლიახტას, რეჩ პოსპოლიტას 1772 წ. ფრაგლებში აღდგენა სურდა და შორს იდგა დემოკრატიული გარდაქმნებისგან. მიუხედავად ამისა, აჯანყებამ ხელი შეუწყო აღნიშნული რეფორმების გატარებას და გლეხთა ვალდებულებების ლიკვიდაციას.

ევროპის პროლეტარიატმა სოლიდარობა გამოუცხადა 1863-1864 წ.წ. აჯანყებას და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა პოლონელ ხალხს.

რეჩ პოსპოლიტას დაყოფის შემდეგ პოლონელი ხალხის განვითარების და გაერთიანების საქმეში განსაკუთრებული როლი ეროვნულმა კულტურამ ითამაშა. იგი ინარჩუნებდა ხალხის ტრადიციებს, ეხმარებოდა მას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. პოლონეთის კულტურის მრავალი მოღვაწე თავის ნაწარმოებს ემიგრაციაში ქმნიდა. უცხოეთში გამოცემული ლიტერატურა აღვივებდა ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებას. პოეტთა შორის გამოირჩეოდა ადამ მიცკევიჩი, რომლის შემოქმედება გაჟღენთილია პატრიოტული პათოსით და სიყვარულით თავისუფლებისადმი. ემიგრაციაში გაიფურჩქნა ფრედერიკ შოპენის, გამორჩენილი კომპოზიტორისა და პიანისტის, ტალანტი. განათლებისა და მეცნიერების განვითარებაში დიდა იყო უნივერსიტეტის როლი.

პოლონეთის კულტურას მეცხატობას უწევდა არისტოკრატია, რომელიც აფინანსებდა ისტორიული ხელნაწერების, წიგნების და მხატვრულ ღირებულებათა მოძიება-შეკრებას. 1810 წ. ვარშავაში დაარსდა მეცნიერების მეგობართა საზოგადოება, რომლის ინიციატივით გამოიცა მრავალტომიანი „პოლონური ენის ლექსიკონი“.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ბიბლიოთეკების მოღვაწეობას. ფერწერასა და არქიტექტურაში XIX ს. პირველ მესამედში გაბატონებული იყო კლასიციზმი, ამ სტილში იქნა აგებული პოლონეთის ბანკი და ვარშავის დიდი თეატრი.

## ბიბლიოგრაფია


1. Избранные произведения прогрессивных польских мыслителей; В 3 Т. М., 1956-1958. Т. 1-3.
2. Польша на путях развития капитализма. М., 1984.
3. М. Миско. Польское восстание 1863 г., М., 1962.
4. Новая история стран Европы и Америки. Первый период. М., 1986.
5. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 3, 7.


# ჩეხი და სლოვაკი ხალხები XVIII-XIX საუკუნეებში

ზოგადი მიმოხილვა

დასახელებულ პერიოდში ჩეხეთი მრეწველობის განვითარების მხრივ ჰაბსბურგთა იმპერიაში ერთ-ერთი მოწინავე „მიწა“ (land) იყო: სამრეწველო გადატრიალებამ მოიცვა წარმოების როგორც ძველი, ასევე ახალი დარგები — საფეიქრო, მეტალურგია, ლითონის დამუშავება, ქვანახშირის მოპოვება, სამდინარო ნაოსნობა და რკინიგზების მშენებლობა.

სოფლად ბატონობდა ბეგარა და გლეხობის ფეოდალური ექსპლუატაცია, რაც გლეხთა გაპროლეტარებას და ამის ხარჯზე ქალაქის მოსახლეობის რიცხობრივ ზრდას იწვევდა.

ჩეხი ბურჟუაზია უმთავრესად მეწარმე აზნაურებისგან ივსებოდა და ყალიბდებოდა, იგი მჭიდრო და საქმიან კავშირში იყო მემამულეებთან.

სლოვაკია XIX ს. პირველ ნახევარში ავსტრიის იმპერიის სამრეწველო ცენტრების აგრარულ-სანედლეულო დანამატი იყო, იქ მანუფაქტურული საწარმოები XVIII ს. 50-იან წლებში აიგეს, ხოლო მომდევნო საუკუნის დამდეგს საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას.



გლეხთა მდგომარეობა სლოვაკიაში უფრო მძიმე იყო, ვიდრე ჩეხეთში. უმიწობა, სიღატაკე და უმუშევრობა გლეხთა აღშფოთებას და აჯანყებას იწვევდა (1831 წ. გლეხთა საშიშ გამოსვლას ადგილი ჰქონდა აღმ. სლოვაკიაში).

პოლიტიკურად ჩეხეთი და სლოვაკია ავსტრიის იმპერიის უუფლებო ნაწილები იყვნენ. ჰაბსბურგებმა ჩეხეთის სეიმს წაართვეს ოდინდელი პრეროგატივები და ფისკალური (საგადასახადო) ჩაგვრა გააძლიერეს. არავითარი ადმინისტრაციული დაწესებულებები არ გააჩნდა სლოვაკიას და იგი, ვითარცა უნგრეთის სამეფოს ერთ-ერთი მიწა (land), ულმობელ ექსპლუატაციას და მადიარიზაციას განიცდიდა. სლოვაკიაში წარმოშობით მადიარული თავადაზნაურობა უცხო იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

XVIII ს. დასასრულიდან ჩეხმა ხალხმა თანმიმდევრული ბრძოლა გააჩაღა ჰაბსბურგების ცენტრალიზატორულ-გერმანიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ბურჟუაზია მაშინ არ თამაშობდა წამყვან როლს, — იგი მხოლოდ მშობლიური ენის უფლების აღიარებისთვის იძაღლებდა ხმას. რაც შეეხება თავადაზნაურობას, იგი სეიმის პრეროგატივების აღდგენის მოთხოვნებით იფარგლებოდა.

XIX ს. პირველ ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ მიმართულებას სწორედ ჩეხური ენის გერმანულთან გათანაბრების ლოზუნგი წარმოადგენდა. მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ მეცნიერები (ისტორიკოსი პალაცკი, ეთნოგრაფი შაფარიკი, პოეტი კოლარი და სხვ), მკითხველთა წრეები და მოყვარულთა თეატრები. 1831 წ. დაარსდა ჩეხური მატიცა, — კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება.

ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს თამაშობდა ლიბერალური მიმდინარეობა, რომელიც უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკური საკითხებით იყო დაინტერესებული და უარყოფითად ეკიდებოდა რადიკალურ-დემოკრატიული ბრძოლის საქმეს. ამ უკანასკნელს სათავეში ჩაუდგა დემოკრატთა პატარა ჯგუფი, რომელიც 1844 წ. ფარულ კლუბში „რიპილ“ გაფორმდა. კლუბის წევრები მკაცრად აკრიტიკებდნენ ფეოდალურ წესებს, ეკლესიას, ლიბერალთა იმედებს იმის შესახებ, რომ ჰაბსბურგები შეცვლიდნენ თავიანთ ანტიეროვნულ პოლიტიკას.

ცარიზმის მიერ პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობის შემდეგ გავრცელდა იდეა ავსტრიის იმპერიის სლავი ხალხების უფლებათა უზრუნველყოფაზე მისი, — იმპერიის, — ფედერაციაში გარდაქმნის გზით. „ავსტრო-სლავიზმი“ ჩეხი ლიბერალების პოლიტიკური დოქტრინა გახდა.

სლოვაკების ეროვნული მოძრაობა მიმართული იყო მადიარიზაციის და დაწესებულებებში უნგრული ენის სავალდებულო ცოდნის (ხმარების) წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა სლოვაკური ინტელიგენცია, რომლის ლიდერებიდან აღსანიშნავია ლ. შტური, — პოეტი, ფილოლოგი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგი. 1837 წ. ბრატისლავაში ჩამოყალიბდა ფარული ორგანიზაცია „თანადგომა“, მაგრამ 40-იანი წლების დამდეგს იგი დაიშალა.

სლოვაკმა ეროვნულმა მოღვაწეებმა საპეტიციო კამპანია გააჩაღეს (ვენის მხარდაჭერის იმედით), მაგრამ უნგრეთის ხელისუფლებამ უკუაგდო ყველა პეტიცია, ავსტრიის მთავრობა კი დაპირებებით შემოიფარგლა. 1847 წ. ლიბერალურმა წრეებმა ვენის საიმპერატორო კარს წარუდგინეს პეტიცია, რომელიც შეადგინა სლოვაკი მოღვაწეების ყრილობამ და რომელიც მოითხოვდა მიწების გადაცემას გლეხობისათვის (გამოსყიდვით) და სლოვაკური ენის შემოღებას სკოლებსა და დაწესებულებებში.

იტალიასა და საფრანგეთში დაწყებულმა რევოლუციებმა ბიძგი მისცა ჩეხეთში ბადიკალური ძალების ბრძოლას ავტონომიისა და პოლიტიკური თავისუფლებისთვის. 1848 წ. 11 მარტს რადიკალთა ინიციატივით პრაღაში გაიმართა კრება, რომელზეც მიიღეს ლიბერალების მიერ შემუშავებული პეტიცია და შექმნილ იქნა ეროვნული კომიტეტი.

ამ უკანასკნელმა ვენაში გაგზავნა დეპუტაცია იმპერატორისათვის პეტიციის გადასაცემად. საიმპერატორო კრებამ მას და მომდევნო პეტიციებს მხოლოდ დაპირებებით უპასუხა. აპრილ-მაისში მუშებმა გაფიცვები დაიწყეს, ხოლო ზაფხულში გლეხობა კატეგორიულად მოითხოვდა ბეგარისა და საეკლესიო მეათედის გაუქმებას.

ლიბერალები აგრძელებდნენ კამპანიას და მიიჩნევდნენ, რომ ეროვნული მოძრაობა არ უნდა გასცლოდა ლეგალურ ჩარჩოებს. მათი ლიდერი პალაცკი გამოდიოდა პანგერმანისტების წინააღმდეგ, რომლებიც ჩეხეთის გაერთიანებული გერმანიის შემადგენლობაში შეყვანას მოითხოვდნენ. პალაცკი „ავსტრიზმით“ ავსტრიის მონარქიის შენარჩუნების აუცილებლობას მისი ფედერაციაში გარდაქმნის გზით. ეს კონცეფცია სლავი ხალხების ბურჟუაზიის ინტერესებს აირეკლავდა.

30 აპრილს რადიკალებმა დაარსეს პირველი მასობრივი ჩეხური კულტურულ-პოლიტიკური ორგანიზაცია „სლავური ლიპა“, მაგრამ მის სათავეში ლიბერალები მოექცნენ. ვითარების განმუხტვის მიზნით ავსტრიის მთავრობამ გამოაცხადა ჩეხეთის სეიმის არჩევნების ჩატარებისა და დროებით სამთავრობო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდნენ იმპერატორის ერთგული ლიბერალები. რადიკალებმა, სათავეში ჩაუდგნენ რა რევოლუციურ მასებს, 12 ივნისს დემონსტრაცია მოაწყვეს პრაღაში, მაგრამ ავსტრიელმა გენერალმა ვინდიშგრეცმა ძალის გამოყენებით გარეკა მანიფესტანტები. ამ დარბევას სტიქიური აჯანყება მოჰყვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუშები, ხელოსნები და წვრილბურჟუაზიული რადიკალები. ლიბერალებმა დაჰგმეს აჯანყება და არსებითად შეამაგლის როლი შეასრულეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ვინდიშგრეცმა უარყო კომპრომისი, არტილერია გამოიყენა და აიძულა პრაღა დანებებულიყო (17 ივნისი). ჩეხეთში დაწყებულ რეპრესიებს თან მოჰყვა ეროვნული კომიტეტისა და დროებითი სამთავრობო საბჭოს დაშლა. ლიბერალური ბურჟუაზიის ნაწილმა ზურგი შეაქცია ავსტრიის მთავრობას, ხოლო პალაცკი საერთოდ ჩამოცილდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

1849 წ. მაისში რადიკალებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაბრძოლება, მაგრამ მათი ლიდერები დააპატიმრეს, ხოლო „სლავური ლიპა“ დაშალეს.

## სლავთა ყრილობა პრაღაში

სლავთა ეროვნული მოთხოვნების ჩამოყალიბების მიზნით, 1848 წ. 30 აპრილს, პრაღაში, შეიკრიბნენ ჩეხი, სლოვაკი და პოლონელი მოღვაწეები, რომელთაც შეიმუშავეს მოწოდება იმპერიაში მცხოვრები სლავი ხალხებისადმი. მათ მიერ შექმნილმა მოსამზადებელმა კომიტეტმა დანიშნა ყრილობის მოწვევის თარიღი და იმპერიის სლავ მოსახლეობას თანამშრომლობისაკენ მოუწოდა.[1]

ყრილობა 1849 წ. 2 ივნისს გაიხსნა პალაცკის თავმჯდომარეობით. დელეგატებს შორის ჭარბობდნენ ლიბერალები და, ბუნებრივია, ერთობა არ შედგა: ჩეხი და სლოვაკი მოღვაწეები ავსტროსლავურ პოზიციაზე იდგნენ, ხორვატები უნგრეთის, ე. ი. რევოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რადიკალები დემოკრატიულ რეფორმებს მოითხოვდნენ და სხვ. პრინციპში სლავთა წარმომადგენლებმა მოიწონეს იმპერიის სლავი ხალხების შეკავშირების იდეა, მაგრამ დავა გაჩაღდა ასეთი კავშირის ფორმების თაობაზე. ყრილობის მიერ მიღებული ერთადერთი დოკუმენტი, — „მანიფესტი ევროპის ხალხებისადმი“, — სოლიდარობას უცხადებდა ხალხთა თანასწორობას, თავისუფლებას, ძმობას და გამოთქვამდა იმედს, რომ ჰაბსბურგთა მონარქია გახდებოდა ფედერაციული სახელმწიფო და ოსმალთა უღელქვეშ მყოფი სლავები ეღირსებოდნენ თავისუფლებას. მანიფესტი ჰგმობდა, აგრეთვე, პოლონეთის დანაწევრებას და უნგრეთში სლავი მოსახლეობის ეროვნულ ჩაგვრას.

12 ივნისს, პრაღის აჯანყებასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ დელეგატებს ქალაქის დატოვება უბრძანა. ყრილობის რადიკალური ფრთა ბარიკადებზე მებრძოლთ შეუერთდა, ხოლო პალაცკიმ და ლიბერალებმა აჯანყების წინააღმდეგ გაიღაშქრეს.

## 1848 წელი სლოვაკიაში

სლოვაკიაში რევოლუციის დაწყება მაღაროელთა ლოკალურ გამოსვლაში გამოვლინდა. 28 მარტს ლუდევიტ შტურმა და მისმა მიმდევრებმა გამოაქვეყნეს პეტიცია, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა შეთანხმებას უნგრეთის რევოლუციის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ უკანასკნელმა უარყო სლოვაკების უნგრელებთან უფლებებში გათანაბრების წინადადება. ამის პასუხად შტური დაუახლოვდა ხორვატების ბანს, ელაჩიჩს, და უნგრელების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების იდეა შესთავაზა. შტური მოხალისეობდა პრაღის სლავურ კონგრესში. ივნისის ამბების შემდეგ იგი ჩავიდა ვენაში, შეკრიბა მოხალისეთა რაზმი, 17 სექტემბერს ერთგულება შეჰფიცა იმპერატორსა და ახლად შექმნილ სლოვაკიის ეროვნულ საბჭოს. შტური რაზმითურთ დაბრუნდა სლოვაკიაში და უნგრეთისაგან თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ მადიარებთან ბრძოლებში იგი დაძარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ შტური და მისი მებრძოლები იმპერატორს ეხმარებოდნენ უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში, ვენის სამეფო კარმა უკუაგდო სლოვაკიის განსაკუთრებული პროვინციის შექმნის იდეა, უფრო მეტიც — დაშალა შტურის მოხალისეთა რაზმები. ამრიგად, 1848-1849 წწ. სლოვაკთა ეროვნულმა მოძრაობამ ფუჭად ჩაიარა, რამეთუ მან ვერ გადაჭრა მისი ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანები.

## რევოლუციის შედეგები

ჩეხეთსა და სლოვაკიაში 1848-1849 წწ. რევოლუციის მთავარი შედეგი აგრარულ რეფორმაში გამოიხატა, კერძოდ: გაუქმდა გლეხთა ფეოდალური ვალდებულებები და გლეხები თავიანთი ნაკვეთის მესაკუთრენი გახდნენ, თუმცა მათი მდგომარეობა მაინც დამძიმებული იყო გამოსასყიდი გადასახადების სიმრავლით.

რეფორმამ ბიძგი მისცა კაპიტალიზმის განვითარებას. მთავრობა ახალისებდა მრეწველობის წინსვლას, გაჰყავდა რკინიგზები, ზღუდავდა ამქრულ სისტემას, მაგრამ ამას დიდის ზოზინითა და კონსერვატული მეთოდებით აკეთებდა.

[1] თანამშრომლობის პირობები ავსტროსლავიზმის პროგრამის განხორციელებას ითვალისწინებდა.

აბსოლუტისტური რეჟიმის არსებობა ბურჟუაზიის უკმაყოფილებას იწვევდა. იმპერიაში ეროვნული მოძრაობის გაძლერებამ და ავსტრიის დამარცხებებმა 1859-1860 წ.წ. გამოიწვიეს ის, რომ 1860 წ. დეკემბერში მთავრობა იძულებული გახდა აღედგინა მიწათა (land) სეიმები, გაეფართოვებინა რაიხსრატის კომპეტენცია და სხვ. 1863 წ. დაწესებულებებში დაუშვეს იმ ენის ხმარება, რომელზეც ლაპარაკობდა მოცემული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა, მას შემდეგ, რაც ჰაბსბურგთა მონარქია დუალისტურ სახელმწიფოდ იქცა (1867), ჩეხეთში შენარჩუნებულ იქნა ცენტრალიზატორულ-გერმანიზატორული ტენდენციები, ხოლო სლოვაკიაში გაბატონებულ ხალხად უნგრელები გამოცხადდა.

ასე რომ, სლავი ლიბერალების იმედები — ჰაბსბურგთა იმპერიის ფედერალურ სახელმწიფოში გარდაქმნის შესახებ — არ გამართლდა.

## ჩეხეთი და სლოვაკია XIX ს. 60-იან წლებში

ამ პერიოდის ჩეხეთში მანქანურმა წარმოებამ (თაბრიკამ) მთლიანად და საბოლოოდ შეავიწროვა მანუფაქტურა. საფეიქრო წარმოების გვერდით სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მანქანათმშენებლობა, სამთამადნო, ქიმიური და კვების მრეწველობა, იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით პროლეტარიატის რიცხვი.

ეროვნულ მოძრაობაში წამყვან როლს ძველებურად ლიბერალები თამაშობდნენ, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ ავსტროსლავიზმს. იღვწოდნენ რა ავსტროსლავიზმის იდეების განსახორციელებლად, ჩეხმა დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს რაიხსტრატს (1863). ჩეხეთის სეიმში უმრავლესობას ფედერალისტები შეადგენდნენ, რომლებიც ერთგულებას ეფიცებოდნენ ჰაბსბურგებს და ამ მონური პირფერობით იმპერიის ფედერალიზაციას ცდილობდნენ. ლიბერალებმა შექმნეს ეროვნული პარტია ფ. რიგერის ხელმძღვანელობთ, სადაც თეორეტიკოსის როლს ჰალაცკი თამაშობდა. იგი მოითხოვდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ეროვნული მოძრაობის ლეგალიზებას, თვითმმართველობის გაფართოებას, თავისუფლებას მეწარმეობაში, გერმანული და ჩეხური ენების გათანაბრებას, წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას და ჩეხური კულტურის განვითარებას.

ავსტრია-უნგრეთის შექმნამ მძიმე დარტყმა მიაყენა ეროვნული პარტიის ფედერალისტურ იმედებს და მისი პროტესტების პასუხად ავსტრიის მთავრობამ დაშალა ჩეხეთის სეიმი. მაშინ რიგერის პარტიამ წამოაყენა ტრიალიზმის (ავსტრიის, უნგრეთისა და ჩეხეთის უფლებებში გათანაარების) პრინციპი. 1868-1871 წწ. ჩეხეთში დაიწყო პატრიოტული მოძრაობა სახოგადოებრივი წყობილების დემოკრატიზაციისა და ტრიალიზმის სასარგებლოდ. ავსტრიის მთავრობა რეპრესიებზე გადავიდა, თან მოლაპარაკება წამოიწყო ეროვნულ პარტიასთან. ამ უკანასკნელის მემარცხენე ფრთა, რომელშიც ჭარბობდნენ რადიკალები, გლეხთა ინტერესებს იცავდა. მის წევრებს, განსხვავებით პარტიის კონსერვატიული ხელმძღვანელებისგან (სტაროჩეხებისგან) მლადოჩეხები უწოდეს. თუ სტაროჩეხები პატრიოტული (რადიკალური) მოძრაობის ვაშლის წინააღმდეგნი იყვნენ, მლადოჩეხები რაიხსტრატის ბოიკოტის გამოცხადებით იფარგლებოდნენ.

რაც შეეხება სლოვაკიას, იგი ორმაგ ჩაგვრას (ავსტრიულის და უნგრულის) განიცდიდა. იქ მსხვილი საწარმოები ავსტრიელ, უნგრელ და ჩეხ მეპატრონეებს ეკუთვნოდათ. სლოვაკ გლეხთა უმრავლესობა ან უმიწო იყო, ან მცირემიწიანი, ხოლო ნაკვეთის იჯარით მფლობელი მემამულის კაბალაში ღაფავდა სულს.



სლოვაკთა ეროვნული მოძრაობა მხოლოდ ეროვნული ენისა და კულტურის შენარჩუნება-გადარჩენის დროშით მიმდინარეობდა. 1862 წ. უნგრეთის მთავრობამ დაუშვა სლოვაკური ენის გამოყენება სკოლებში და სლოვაკური მატიცის შექმნა. 1863 წ. მარტში იგი დამტკიცებულ იქნა სახალხო კრებაზე და სლოვაკური მატიცა ეროვნულ მოძრაობაში ყველაზე გავლენიან ორგანიზაციად იქცა.

უნგრეთის ხელისუფლება ძველებურად უარყოფდა სლოვაკთა მოთხოვნებს ქვეყნის ავტონომიაზე, უფრო მეტიც — იგი რეპრესიების გატარებით ცდილობდა ეროვნული მოძრაობის ჩახშობას.

## ჩეხი და სლოვაკი ხალხების კულტურა

ეროვნული აღორძინების თვალსაზრისით, ჩეხეთი იმპერიის ყველა სლავურ მიწას (land) უსწრებდა. იქ XVIII ს. ბოლოს დაიწყო ქვეყნის ისტორიის, ენისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა, წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის შემცირება და მასიურ დაწყებით სწავლებაზე გადასვლა[1]. ჩეხური და გერმანული ენის გათანაბრებით ჩეხეთის სკოლამ თავი დააღწია გერმანიზაციის საფრთხეს.

მეცნიერთა შორის ევროპული მასშტაბის აღიარება ჰპოვეს მათემატიკოსმა ბოლცანომ, ფიზიოლოგმა პურკინემ, ფილოლოგმა დობროვსკიმ (მან საფუძველი ჩაუყარა სლავურ ენათმეცნიერებას), ეთნოგრაფმა შაფარიკმა და ისტორიკოსმა პალაცკიმ, „ჩეხი ხალხის ისტორიის“ ავტორმა. ხალხის განათლებაში დიდ როლს თამაშობდნენ ეროვნული მუზეუმი და გამომცემლობები, რომლებიც ჩეხეთის ისტორიის საარქივო მასალებს აქვეყნებდნენ.

ლიტერატურაში გაბატონებული პოზიცია ეკავა რომანტიზმს. ჩეხი მწერლები გმობდნენ ეროვნულ ჩაგვრას, ფართოდ იყენებდნენ ფოლკლორს და პატრიოტული ნაწარმოებებით აღვიძებდნენ ხალხს.

1848 წ. რევოლუციამ რომანტიზმი რეალიზმით შეცვალა: მოწინავე მწერლები (იან ნერუდა და სხვ.) ილაშქრებდნენ წარსულის იდეალიზაციის წინააღმდეგ და მშრომელი ხალხის მისწრაფებებს იცავდნენ.

აღორძინებას განიცდიდა თეატრიც: მისი სცენიდან მაყურებელს აღელვებდნენ და აღაფრთოვანებდნენ პატრიოტული მოტივები.

ფერწერასა და ქანდაკებაში გაბატონებული მდგომარეობა კლასიციზმს ეკავა, თუმცა იგრძნობოდა რეალიზმის მაჯისცემაც.

1811 წ. პირველად ცენტრალურ ევროპაში ჩეხეთში გაიხსნა კონსერვატორია, რომელიც XIX ს. შუა ხანებში ევროპის უდიდეს მუსიკალურ ცენტრად იქცა. ჩეხური ეროვნული ოპერის დამაარსებლად უდაოდ ითვლება გენიალური ჩეხი კომპოზიტორი სმეტანა (1824-1884).

სლოვაკური კულტურის განვითარება შედარებით ნელა მიმდინარეობდა და ამის მიზეზები მადიარიზაციის შემოტევაში მდგომარეობდა. მიუხედავად ამისა, მაინც ეყრებოდა საფუძველი სლოვაკურ ლიტერატურულ ენას. 1834 წ. პეშტში დაარსდა სლოვაკური ლიტერატურის მოყვარულთა კავშირი, ხოლო 1844 წლიდან ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი პროპაგანდას ეწეოდა სლოვაკური სალიტერატურო ენის და მისი ნორმების შემუშავების სასარგებლოდ.

---

[1] XIX ს. 60-იან წლებში თითქმის ყველა ჩეხმა ბავშვმა მიიღო დაწყებითი განათლება.

ახალგაზრდა მწერლები, და მათ შორის ლ. შტური, აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს და ხელს უწყობდნენ საგუნდო სიმღერების გავრცელებას. არქიტექტურაში კლასიციზმმა გამოძევნა ბაროკო.

XIX ს. შუახანებიდან გაძლიერდა კულტურული კავშირები ჩეხებსა და სლოვაკებს შორის, ლიტერატურაში ხაზი გაესვა ამ ხალხების ეთნიკურ ნათესაობას. ლიტერატურა, თეატრი, საზოგადოებები, მეცნიერები ბიძგს აძლევდნენ ეროვნული კულტურის აღორძინებას.

### ბიბლიოგრაფია


1. Освободительное движение народов Австрийской империи: Возникновение и развитие: Конец XVIII в. — 1849 г. М., 1980.
2. Освободительное движение народов Австрийской империи: Период утверждения капитализма. М., 1981.
3. А. Дебидур. Наз. соч., Т. 1-2.
4. История XIX века (Лависс и Рамбо), Т. 3, 4, 5, 6.
5. Е. Пристер. Краткая история Австрии. М., 1952.
6. История дипломатии, т. I. М., 1959.


## ბალკანელი ხალხები XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. 60-იან წლებში

### ზოგადი მიმოხილვა

XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ბიძგი მისცა ბალკანეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას და ხალხების მისწრაფებას — შეექმნათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები.

თურქული და ავსტრიული ფეოდალიზმის სპეციფიკა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ოლქების არაიდენტური მდგომარეობა განსაკუთრებულობის დაღს ასვამდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხების ეროვნულ რევოლუციებს, ისინი ბევრ რამეში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ბალკანებზე პირველ ბურჟუაზიულ-ეროვნულ რევოლუციას ადგილი ჰქონდა სერბიაში (1804-1813), მეორეს — საბერძნეთში (1821), შემდეგს ხორვატიაში, სლოვენიასა და ვოევოდინაში (1841-1849), ხოლო დუნაისპირა სამთავროებში (მოლდავეთსა და ვალახეთში) რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაში მკვეთრად დაისვა საკითხი ერთ სახელმწიფოში მათ გაერთიანებაზე. და ბოლოს, ბურჟუაზიულ-ეროვნული რევოლუციები ბულგარეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მიმდინარეობდა აღმოსავლეთის კრიზისის პერიოდში (1875-1878). ამ ბრძოლების პირველ პერიოდში მხოლოდ ბერძნებმა მიაღწიეს თავისუფლებას, დანარჩენებისთვის კი XIX საუკუნის 40-60-იანი წლები გარდატეხის წლები იყო.

### ბულგარეთის ეროვნული აღორძინება

XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგს ბულგარეთში, თურქეთის სამხედრო-ფეოდალური სისტემის რღვევის პირობებში, საფუძველი ჩაეყარა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ბულგარელთა საეჭვრო ფაქტორიები დაარსდა კონსტანტინოპოლში, ბუქარესტში, ოდესაში და მოსკოვში. ქვეყანაში განვითარება იწყო მანუფაქტურამ. XIX ს. 30-იან წლებში პორტამ გააუქმა სამხედრო-ლენური ურთიერთობანი, რამაც გლეხთა ექსპლოატაცია გააძლიერა. იმ დროს ბულგარეთში სცადეს პირველი ფაბრიკების გამართვა, მაგრამ კაპიტალისტური წარმოება შეუთავსებელი იყო თურქთა ბატონობასთან.



ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობა უშუალოდაა დაკავშირებული ბრძოლასთან კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქოსთან. ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ეროვნული მოძრაობის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. მას მეთაურობდა ბურჟუაზია, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს ხელოსნები და გლეხები. მოძრაობამ თანდათანობით მასობრივი ხასიათი მიიღო. 1866 წ. მოხდა განხეთქილება ბულგარელ საეკლესიო წრეებსა და ბერძნულ საპატრიარქოს შორის. კონფლიქტში თურქეთის მთავრობა ჩაერია, რომელმაც 1870 წლის ფირმანით გამოაცხადა ბულგარეთის ეგზარქიის, — ავტონომიური საეკლესიო ოლქის, — შექმნის შესახებ კონსტანტინოპოლის პატრიარქის უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ პატრიარქმა ბულგარელები სხიზმატიკებად[1] გამოაცხადა და ეკლესიიდან განკვეთა.

60-იანი წლების დამლევიდან ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობა ახალ, რევოლუციურ-დემოკრატიულ ფაზაში შევიდა. იგი მიმართულ იყო თურქთა ბატონობის წინააღმდეგ და ატარებდა შეიარაღებული ბრძოლის ხასიათს. მოძრაობის სათავეში იდგნენ გიორგი რაკოვსკი და მისი რაზმელები,— ჰაიდუკები და ჩეტნიკები.[1] რაკოვსკიმ სერბიასა და რუმინეთში ბულგარული შეიარაღებული ჩეტები ჩამოაყალიბა, მაგრამ მისმა ტაქტიკამ დამარცხება განიცადა თურქეთთან ბრძოლაში (1868).

რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ თავის აპოგეას ვასილ ლევსკის, ლუშენ კარაველოვის და ხრისტო ბოტევის მეთაურობით მიაღწია. ლევსკიმ შეიარაღებული აჯანყება მოამზადა და ამ მიზნით მთელ ქვეყანაში ფარული რევოლუციური ორგანიზაციები შექმნა. 1870 წ. დაარსდა ბულგარეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა თურქთა უღლის დამხობა და თავისუფალი ხალხების დუნაის ფედერაციის შექმნა.

### სერბიის ბრძოლა ავტონომიისათვის

სერბია ოსმალთა იმპერიის ევროპული სამფლობელოების პერიფერიას წარმოადგენდა, იგი ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავსტრიასთან და ეს კავშირი ხელს უწყობდა სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ბელგრადის საფაშოში, რომელშიც სერბთა მიწების ნაწილიც შედიოდა. XVIII ს. დამლევს და XIX ს. დამდეგს იქ სასეზეა სოფლის ბურჟუაზიის ფენა, რომელიც უმთავრესად პირუტყვით ვაჭრობას ეწეოდა და სათავეში ედგა ეროვნულ მოძრაობას. სერბი ხალხი ათი წლის მანძილზე (1804-1813) იარაღით ხელში იბრძოდა თურქი იანიჩარების ძალმომრეობის წინააღმდეგ. დასაწყისში აჯანყებული სერბები სულთნისაგან ბოჭებული პრივილეგიების აღდგენისათვის იბრძოდნენ, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1806-1812)—დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. მათ ამ საქმეში რუსეთი ეხმარებოდა როგორც მატერიალურად, ასევე დიპლომატიურად და სამხედრო მოქმედებით. განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ბელგრადის საფაშო მთლიანად იქნა გაწმენდილი თურქებისაგან. 1809 წ. იყო ცდა აჯანყებაში ჩერნოგორიის, ბოსნიისა და სერბიის სხვა ოლქების ჩართვისა, მაგრამ იგი წარუმატებელი აღმოჩნდა. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე

[1] სხიზმა (ბერძ.)—ეკლესიაში განხეთქილებას ნიშნავს.

[2] სახელწოდება წარმოდგება „ჩეტასაგან“ (შეიარაღებული რაზმები.).

ახალგაზრდა მწერლები, და მათ შორის ლ. შტური, აგროვებდნენ ხალხურ სიმღერებს და ხელს უწყობდნენ საგუნდო სიმღერების გავრცელებას.

არქიტექტურაში კლასიციზმმა გამოღვინა ბაროკო.

XIX ს. შუახანებიდან გაძლიერდა კულტურული კავშირები ჩეხებსა და სლოვაკებს შორის, ლიტერატურაში ხაზი გაესვა ამ ხალხების ეთნიკურ ნათესაობას. ლიტერატურა, თეატრი, საზოგადოებები, მეცნიერები ბიძგს აძლევდნენ ეროვნული კულტურის აღორძინებას.

### ბიბლიოგრაფია


1. Освободительное движение народов Австрийской империи: Возникновение и развитие: Конец XVIII в. — 1849 г. М., 1980.
2. Освободительное движение народов Австрийской империи: Период утверждения капитализма. М., 1981.
3. А. Дебидур. Наз. соч., Т. 1-2.
4. История XIX века (Лависс и Рамбо), Т. 3, 4, 5, 6.
5. Е. Пристер. Краткая история Австрии. М., 1952.
6. История дипломатии, т. I. М., 1959.


## ბალკანელი ხალხები XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. 60-იან წლებში

### ზოგადი მიმოხილვა

XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ბიძგი მისცა ბალკანეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას და ხალხების მისწრაფებას — შეექმნათ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოები.

თურქული და ავსტრიული ფეოდალიზმის სპეციფიკა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ოლქების არაიდენტური მდგომარეობა განსაკუთრებულობის დაღს ასვამდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხების ეროვნულ რევოლუციებს, ისინი ბევრ რამეში განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ბალკანებზე პირველ ბურჟუაზიულ-ეროვნულ რევოლუციას ადგილი ჰქონდა სერბიაში (1804-1813), მეორეს — საბერძნეთში (1821), შემდეგს ხორვატიაში, სლოვენიასა და ვოევოდინაში (1841-1849), ხოლო დუნაისპირა სამთავროებში (მოლდავეთსა და ვალახეთში) რევოლუციური მოძრაობის მსვლელობაში მკვეთრად დაისვა საკითხი ერთ სახელმწიფოში მათ გაერთიანებაზე. და ბოლოს, ბურჟუაზიულ-ეროვნული რევოლუციები ბულგარეთში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მიმდინარეობდა აღმოსავლეთის კრიზისის პერიოდში (1875-1878). ამ ბრძოლების პირველ პერიოდში მხოლოდ ბერძნებმა მიაღწიეს თავისუფლებას, დანარჩენებისთვის კი XIX საუკუნის 40-60-იანი წლები გარდატეხის წლები იყო.

### ბულგარეთის ეროვნული აღორძინება

XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგს ბულგარეთში, თურქეთის სამხედრო-ფეოდალური სისტემის რღვევის პირობებში, საფუძველი ჩაეყარა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ბულგარელთა სავაჭრო ფაქტორიები დაარსდა კონსტანტინოპოლში, ბუქარესტში, ოდესაში და მოსკოვში. ქვეყანაში განვითარება იწყო მანუფაქტურამ. XIX ს. 30-იან წლებში პორტამ გააუქმა სამხედრო-ლენური ურთიერთობანი, რამაც გლეხთა ექსპლოატაცია გააძლიერა. იმ დროს ბულგარეთში სცადეს პირველი ფაბრიკების გამართვა, მაგრამ კაპიტალისტური წარმოება შეუთავსებელი იყო თურქთა ბატონობასთან.

ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობა უშუალოდა დაკავშირებული ბრძოლასთან კონსტანტინოპოლის ბერძნულ საპატრიარქოსთან. ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ეროვნული მოძრაობის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. მას მეთაურობდა ბურჟუაზია, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს ხელოსნები და გლეხები. მოძრაობამ თანდათანობით მასობრივი ხასიათი მიიღო. 1866 წ. მოხდა ეანხეთქილება ბულგარელ საეკლესიო წრეებსა და ბერძნულ საპატრიარქოს შორის. კონფლიქტში თურქეთის მთავრობა ჩაერია, რომელმაც 1870 წლის ფირმანით გამოაცხადა ბულგარეთის ეგზარქიის, — ავტონომიური საეკლესიო ოლქის, — შექმნის შესახებ კონსტანტინოპოლის პატრიარქის უმაღლესი ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ პატრიარქმა ბულგარელები სხიზმატიკებად[1] გამოაცხადა და ეკლესიიდან განკვეთა.

60-იანი წლების დამლევიდან ბურჟუაზიულ-ეროვნული მოძრაობა ახალ, რევოლუციურ-დემოკრატიულ ფაზაში შევიდა. იგი მიმართულ იყო თურქთა ბატონობის წინააღმდეგ და ატარებდა შეიარაღებული ბრძოლის ხასიათს. მოძრაობის სათავეში იდგნენ გიორგი რაკოვსკი და მისი რაზმელები,— ჰაიდუკები და ჩეტნიკები.[2] რაკოვსკიმ სერბიასა და რუმინეთში ბულგარული შეიარაღებული ჩეტები ჩამოაყალიბა, მაგრამ მისმა ტაქტიკამ დამარცხება განიცადა თურქეთთან ბრძოლაში (1868).

რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ თავის აპოგეას ვასილ ლევსკის, ლუბენ კარაველოვის და ხრისტო ბოტევის მეთაურობით მიაღწია. ლევსკიმ შეიარაღებული აჯანყება მოამზადა და ამ მიზნით მთელ ქვეყანაში ფარული რევოლუციური ორგანიზაციები შექმნა. 1870 წ. დაარსდა ბულგარეთის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა თურქთა უღლის დამხობა და თავისუფალი ხალხების დუნაის ფედერაციის შექმნა.

### სერბიის ბრძოლა ავტონომიისათვის

სერბია ოსმალთა იმპერიის ევროპული სამფლობელოების პერიფერიას წარმოადგენდა, იგი ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავსტრიასთან და ეს კავშირი ხელს უწყობდა სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ბელგრადის საფაშოში, რომელშიც სერბთა მიწების ნაწილიც შედიოდა. XVIII ს. დამლევს და XIX ს. დამდეგს იქ სახეზეა სოფლის ბურჟუაზიის ფენა, რომელიც უმთავრესად პირუტყვით ვაჭრობას ეწეოდა და სათავეში ედგა ეროვნულ მოძრაობას. სერბი ხალხი ათი წლის მანძილზე (1804-1813) იარაღით ხელში იბრძოდა თურქი იანიჩარების ძალმომრეობის წინააღმდეგ. დასაწყისში აჯანყებული სერბები სულთნისაგან ბოძებული პრივილეგიების აღდგენისათვის იბრძოდნენ, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1806-1812)—დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. მათ ამ საქმეში რუსეთი ეხმარებოდა როგორც მატერიალურად, ასევე დიპლომატიურად და სამხედრო მოქმედებით. განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ბელგრადის საფაშო მთლიანად იქნა გაწმენდილი თურქებისაგან. 1809 წ. იყო ცდა აჯანყებაში ჩერნოგორიის, ბოსნიისა და სერბიის სხვა ოლქების ჩართვისა, მაგრამ იგი წარუმატებელი აღმოჩნდა. განთავისუფლებულ ტერიტორიაზე

[1] სხიზმა (ბერძ.)—ეკლესიაში განხეთქილებას ნიშნავს.

[2] სახელწოდება წარმოდგება „ჩეტასაგან" (შეიარაღებული რაზმები).

გაუქმდა ფეოდალური ურთიერთობანი, მიწა მიიღეს გლეხებმა, სოფლის საეკლესიო ბურჟუაზიამ და ვოევოდების წარმომადგენლებმა. ქვეყნის უმაღლეს მმართველ ორგანოებად სკუპშჩინა და სერბიის სამთავრობო საბჭო იქცნენ. სამხედრო ბელადად აღიარებულ იქნა ყოფილი გლეხი და პაიდუკი გიორგი პეტროვიჩი, ზედმეტსახელად ყარა-გიორგი (შავი გიორგი).

ბუქარესტის ზავით (1812) თურქეთს სერბიისათვის უნდა მიეცა შინაავტონომია, მაგრამ, ისარგებლა რა ნაპოლეონის შეჭრით რუსეთში, პორტამ არ შეასრულა ზავის ეს პირობა. 1813 წ. თურქებმა დაიკავეს ბელგრადის საფაშო და სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. ყარა-გიორგიმ და ვოევოდათა უმრავლესობამ ავსტრიასა და რუსეთს შეაფარეს თავი.

თურქთა ცდამ, აღედგინათ ძველი წესები, სერბთა მეორე აჯანყება გამოიწვია (1815), რომელსაც ვოევოდა მილოშ ობრენოვიჩი მეთაურობდა. თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა იგი სერბიის მთავრად გამოეცხადებინა და მისთვის შეზღუდული უფლებები მიენიჭებია. ობრენოვიჩმა ბევრი რამ გააკეთა თავისი ძალაუფლებისა და სერბიის ავტონომიის განსამტკიცებლად. 1829 წ. ადრიანოპოლის ზავით სერბია ეღირსა შინაავტონომიას, ხოლო 1833 წ. განისაზღვრა მისი საზღვრები, ავტონომიური უფლებები და სულთნისათვის მისაცემი ყოველწლიური ხარკის ოდენობა.

XIX ს. 30-60-იან წლებში სერბია წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობის ქვეყნად რჩებოდა. ხატურალური მეურნეობის ხრწნამ დააჩქარა გლეხთა გაღატაკებისა და დიფერენციაციის პროცესი. ათასობით გლეხმა ვალის გადაუხდელობის გამო დაკარგა მიწები და დღიურ მუშად იქცა.

ხელოსნობისა და ვაჭრობის ინტენსიურად განვითარების ბაზაზე წარმოიშვა მანუფაქტურის ტიპის პირველი საწარმოები.

მილოშ ობრენოვიჩი დესპოტი მმართველი იყო და მისი პოლიტიკა ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. მთავრის ძალაუფლების შეზღუდვის მომხრეებმა მიაღწიეს იმას, რომ 1838 წ. თურქეთის მთავრობამ, რუსეთის რჩევით, სერბიას კონსტიტუცია უბოძა. კონსტიტუცია მთავარს ზღუდავდა საბჭოს მეშვეობით, რომლის წევრებს ვერავინ დაითხოვდა სულთნის თანხმობის გარეშე. 1839 წ. ობრენოვიჩი თავისი ძის, მიხაილის, სასარგებლოდ გადადგა. სამი წლის შემდეგ კონსტიტუციის მომხრეებმა იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და მთავრად აირჩიეს ყარა-გიორგის შვილი ალექსანდრე (1842-1852), რომელიც მათი მორჩილი იყო. მისი მმართველობის დროს გაძლიერდნენ ლიბერალები, რომლებიც კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას და ბურჟუაზიული თავისუფლებების შემოღებას მოითხოვდნენ. 1858 წ. მოწვეულმა წმინდა ანდრიას სკუპშჩინამ დაამხო ალექსანდრე და ტახტზე კვლავ მიხაილ ობრენოვიჩი დასვა (1860-1868). მისი მთავრობის დროს სკუპშჩინის გავლენა უფრო დაეცა და იგი სათათბირო ორგანოდ იქცა.

სერბიაში გატარდა რეფორმები, რომლებმაც არსებითად გააუქმეს 1838 წ. კონსტიტუცია. მთავარი ყურადღება მიექცა ქვეყნის შეიარაღებული ძალების განმტკიცებას, რისთვისაც შემოიღეს საყოველთაო სამხედრო სამსახური და შექმნეს მილიციურ სისტემაზე აგებული არმია. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა მინისტრთა საბჭო, მინისტრებს ნიშნაედა და ათავისუფლებდა მთავარი. მონარქის ნება-სურვილს ემორჩილებოდა სახელმწიფო საბჭოც.

მიხაილის საშინაო პოლიტიკა გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებსაც წელში წყვეტდა გადასახადთა სიმძიმე. მთავარი ეყრდნობოდა კონსერვატორებს და რეპრესიებით უსწორდებოდა ლიბერალებს. მიხაილისეული საგარეო პოლიტიკური კურსი თურქთა უღლისაგან სლავი ხალხის გათავისუფლებასა და „დიდი სერბიის“ შექმნას ითვალისწინებდა. ეყრდნობოდა რა რუ-



სეთს, 60-იან წლებში სერბია სათავეში ჩაუდგა ბალკანეთის კავშირის შექმნის იდეის განხორციელებას. კავშირის შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ ჩერნოგორია, საბერძნეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, მაგრამ მოკავშირეთა შორის არსებულმა წინააღმდეგობებმა და ავსტრიის ჩარევამ ჩაშალა თურქეთთან საერთო ომის დაწყების საქმე.

მიხაილის აბსოლუტისტური მისწრაფებები მისი მოკვლის მიზეზი გახდა (1868). სამხედრო წრეებმა ტახტზე მისი ხათესავი მილან ობრენოვიჩი აიყვანეს (1868-1889). სახელმწიფოს სათავეში ლიბერალები მოვიდნენ. მათ 1869 წ. მიიღეს კონსტიტუცია, რომელმაც სერბიის სამთავრო მემკვიდრეობით მონარქიად გამოაცხადა. ამიერიდან სკუპშჩინა შეიკრიბებოდა ყოველწლიურად, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივა მიენიჭებოდა მთავარს, რომელიც სკუპშჩინის წევრთა მეოთხედ ნაწილს დანიშნავდა. მთავრობა მხოლოდ მის, მთავრის, წინაშე იქნებოდა ანგარიშვალდებული.

## ჩერნოგორია XIX საუკუნეში

მთელი XIX საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა ჩერნოგორიის ბრძოლა დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. პეტრე I ნეგოშის მმართველობის ჟამს (1782-1830) მან შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია საუკუნოვანი ჩამორჩენილობისა და გვაროვნული გადმონაშთების დაძლევაში. 1798 წ. მიღებულმა კანონმა თანდათანობით გააძლიერა ქვეყნის ერთიანობა.

ჩერნოგორელებმა მონაწილეობა მიიღეს სერბიის სამივე აჯანყებაში. XIX ს. დამდეგს ჩერნოგორიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია ნაპოლეონს დალმაციაში. მისი უკანასკნელი მმართველი პეტრე II ნეგოში (1830-1851) იყო არა მარტო ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე, არამედ ყველასათვის საპატივცემულო პოეტიც. მის დროს შეიქმნა სამთავრობო სენატი, რომელიც ქვეყნის უმაღლესი ორგანოს როლს ასრულებდა. იგი შედგებოდა გვართა უფროსებისაგან.

ჩერნოგორიის მიტროპოლიტი, ეყრდნობოდა რა რუსეთის დახმარებას, ენერგიულად იღვწოდა სამეურნეო და კულტურულ სფეროში: ხსნიდა სკოლებს, გაჰყავდა გზები, ეხმარებოდა ხელოსნობისა და სავაჭრო საქმიანობის განვითარებას. პეტრე II ბევრს აკეთებდა სლავი ხალხების დახსნებისათვის, გამოდიოდა იუგოსლავიური ფედერალური სახელმწიფოს შექმნის იდეით. მისმა მემკვიდრემ, დანილომ, უარი თქვა სასულიერო წოდებაზე და 1852 წ. თავისი თავი მთავრად გამოაცხადა: ჩერნოგორია ამიერიდან საერო სახელმწიფოდ იქცა. დანილო ენერგიულად იბრძოდა გვაროვნული სეპარატიზმის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა ქვეყანაში ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებას. მისმა რეფორმებმა სეპარატისტების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ მოიმხრეს ოტომანთა პორტა და თურქების დახმარებით დანილოს მთავრობის დამხობა განიზრახეს. 1858 წ. ოსმალებმა დაიკავეს გრახოვო, მაგრამ ამ ქალაქისათვის ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ. 1862 წ. თურქებმა ისარგებლეს დანილოს მკვლელობით და კვლავ დააპირეს ჩერნოგორიის ოკუპაცია, მაგრამ უშედეგოდ.

ოსმალეთთან განუწყვეტლივ ომში ჩერნოგორია ცდილობდა სერბიასთან დაახლოებას, ამ მიზნით მთავარი ნიკოლოზი (1860-1918) აქტიურად უჭერდა მხარს ბალკანეთის კავშირის შექმნის იდეას. 1866 წ. სერბიასა და ჩერნოგორიას შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით პორტასთან ომის შემთხვევაში ნიკოლოზი უნდა გადამდგარიყო ობრენოვიჩების დინასტიის სასარგებლოდ.

## მდგომარეობა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში

ბოსნიისა და ჰერცეგოვინის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ თურქთა დაჰყრობების პერიოდში ადგილობრივმა ფეოდალებმა ისლამი მიიღეს. XIX ს. დამდეგს ისინი დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მათი მდიდარი წარმომადგენლები-აიანები — მემკვიდრეობით განაგებდნენ ოლქებს.

ბოსნია-ჰერცეგოვინის ვილაიეთს მართავდა ადგილობრივი ფეოდალი, ანუ სულთნის მიერ დანიშნული ვეზირი.

მოსახლეობის უმრავლესობას ფეოდალურად დამოკიდებული გლეხები (კმეტები) შეადგენდნენ,—ისინი მუდმივად ფლობდნენ მათ მიერვე დასამუშავებელ მიწებს და ბეგარასთან ერთად ფეოდალებს სხვადასხვა სახის გადასახადებს უხდიდნენ.

ბოსნიაცა და ჰერცეგოვინაც ჩამორჩენილი მხარეები იყვნენ. მიწათმოქმედება იქ პრიმიტიული მეთოდებით მისდევდნენ, ხოლო ქალაქებში დაბალ დონეზე იდგა ხელოსნური წარმოება. ბოსნიის ადმინისტრაციულ ცენტრს სარაევო წარმოადგენდა, ხოლო ჰერცეგოვინისას — მოსტარი.

სელიმ III-ის რეფორმებმა ადგილობრივი ფეოდალების პროტესტი გამოიწვია და მათი მოძრაობა ავტონომიისათვის ბრძოლაში გადაიზარდა.[1] ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლას ჭაოსი მოჰყვა, მას კი—გლეხთა მდგომარეობის გაუარესება და მათი აჯანყებები.

თურქები სასტიკად გაუსწორდნენ ურჩ ფეოდალებს[2]; სულთანმა გააუქმა ფეოდალთა მემკვიდრეობითი თანამდებობები, ხოლო მათი დამორჩილების შემდეგ რეპრესიები ადგილობრივ ქრისტიანებს დაატეხა თავს.

XIX ს. 50-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბურჟუაზია ჩაუდგა სათავეში. თურქი დამპყრობლებისა და ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ვოევოდა ლუკა ვუკალოვიჩი. მეამბოხეებს დიდ დახმარებას უწევდა ჩერნოგორია. თურქეთის არმია უძლური აღმოჩნდა პარტიზანული ტაქტიკის წინაშე, ამიტომ პორტამ აჯანყების ხანძრის ჩაქრობა ზოგიერთი ოლქისთვის შინაავტონომიის მინიჭების გზით შეძლო.

## სამხრეთსლავური მიწები ავსტრიის გატონობის ქვეშ

ნაპოლეონთან დამარცხებების შედეგად ჰაბსბურგებმა საფრანგეთს მისცეს სამხრეთსლავური მიწების დიდი ნაწილი,—სლოვენია, ტრიესტი, ხორვატიის ნაწილი და დალმაცია. ამ ოლქებმა შეადგინეს ილირიის პროვინცია (1809-1813), სადაც მოქმედებდა ნაპოლეონის კოდექსი, ხოლო გლეხობა განთავისუფლებულ იქნა ფეოდალური ვალდებულებებისაგან. ფეოდალური რეჟიმის რღვევამ ხელი შეუწყო მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების ზრდას; მაგრამ ვენის კონგრესმა, აღადგინა რა ჰაბსბურგთა ძალაუფლება, ბოლო მოუღო პროგრესულ გარდაქმნებს და ოლქებში პოლიციურ-ბიუროკრატიული წესები გაამეფა.

ადმინისტრაციულად დალმაცია და ისტრია ვენას ექვემდებარებოდნენ, ხოლო ხორვატია და სლავონია (ბაჩკა, ბარანია, ბანატი და სრემი) უნგრეთის სამეფოში შეიყვანეს. უნგრელები, იღწვოდნენ რა დამოუკიდებლობისათვის, ხორვატებისა და სერბების მადიარიზაციის პოლიტიკას ეწეოდნენ.

[1] ფეოდალები და მუსულმანები რეფორმებში ქრისტიანთა წინაშე დათმობებზე წასვლას ხედავდნენ.

[2] 1850 წ. თურქეთის არმიამ 6 ათასი ფეოდალის სიცოცხლე შეიწირა.



ჰაბსბურგთა იმპერიაში სამხრეთსლავური მიწებიდან ყველაზე განვითარებული სლოვენია იყო. იქ XIX ს. პირველ ნახევარში მომზადდა სამრეწველო გადატრიალება, გამოჩნდა მუშათა კლასი, აღდგილობრივი ბურჟუაზია; თუმცა ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ავსტრიელებს ეკავათ.

ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებამ ბიძგი მისცა ეროვნული მოძრაობის დაწყებას. XIX ს. 30-იან წლებში ხორვატიაში ჩაისახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა—ილირიზმი. მის სათავეში იდგა პირველი ხორვატიული გაზეთის—„ილირიკე ნაროდნე ნოვინა“—გამომცემელი ლ. გაი. ილირიზმში თავიდანვე არსებობდა ორი მიმდინარეობა: ლიბერალური (იგი გამოხატავდა ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის ნაწილის ინტერესებს) და კონსერვატიული,—ფეოდალური წესების დამცველი. ილირიზმის მთავარი იდეა სლავთა ერთობაში მდგომარეობდა და იგი ასახვას პოულობდა ლოზუნგში „დიდი ილირია“. ამ ლოზუნგის მიხედვით „დიდ ილირიას“ შეადგენდა ერთი ხალხი, რომელიც სათავეს იღებდა ძველი ილირიელებისაგან. ამ კონცეფციაში, ერთის მხრივ, აირეკლა სამხრეთსლავების გაერთიანების იდეა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, მეორეს მხრივ, — პანხორვატიზმი, რომელიც თანდათანობით ნაციონალიზმში ჩამოყალიბდა. ამის გამო ილირიზმმა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა სლოვენიაში, ვოევოდინასა და სერბიაში.

1841 წ. ილირიზმის მომხრეებმა შექმნეს ილირიული პარტია, ხოლო მისმა ოპონენტებმა—მადიარული, რომელიც უნგრეთთან ხორვატიის შერწყმას ითვალისწინებდა.

ვენა დასაწყისში ილირებისკენ ისრებოდა (უნგრეთის საზიანოდ), ხოლო შემდეგ რეპრესიებზე გადავიდა და 1843 წ. თვით ტერმინ „ილირიზმის“ ხმარებაც კი აკრძალა. ამის პასუხად საბორმა გადაწყვიტა, ხორვატიაში მშობლიური ენა შემოეღო.

სლოვენურ ეროვნულ მოძრაობაში წინა პლანზე კულტურული აღორძინების საკითხი იდგა, ხოლო ვოევოდინაში სერბული ეროვნული მოძრაობა მთავარ ყურადღებას ენის, კულტურისა და განათლების პრობლემებს აქცევდა.

## სამხრეთსლავური მიწები (LAND) რევოლუციის პერიოდში

1848-1849 წ. წ. რევოლუციამ სამხრეთსლავური მიწებიც მოიცვა, თუმცა კლასობრივი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები სხვადასხვა მხარეში ერთნაირად როდი მიმდინარეობდა.

1848 წ. მარტში ზაგრებში მოწვეულ სკუპშჩინაზე დაისვა საკითხი ხორვატიის მიწების გაერთიანებისა და ავტონომიის შესახებ, მაგრამ უნგრეთის მთავრობამ არ სცნო ხორვატი ხალხის უფლებები.

ხელმძღვანელობდა რა პრინციპით „დაჰყავი და იბატონე“, ვენამ მხარი დაუჭირა ხორვატებს და უნგრეთთან მათი ანტაგონიზმი გაამწვავა. აპრილში ხორვატიის ბანმა ელაჩიჩმა უარი განაცხადა უნგრეთის ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე. ხორვატიაში, ჩეხეთის მსგავსად, გაძლიერდა ავსტროსლავიზმი, რომელიც რევოლუციის პირობებში კონტრრევოლუციის წისქვილზე ასხამდა წყალს. 1848 წ. სექტემბერში ელაჩიჩმა ჯარი დასძრა რევოლუციურ უნგრეთზე. იმპერატორმა იგი თავისი ჯარების მთავარსარდლად დანიშნა და ვენის აჯანყება ჩაახშობინა.

სლოვენიაში რევოლუციურ მოძრაობას ლიბერალები მეთაურობდნენ. მათი პროგრამა „გაერთიანებული სლოვენიისა“ ითვალისწინებდა კრაინის,

შტირიის ნაწილის, კარინტიისა და ზღვისპირეთის დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნას ავსტრიის იმპერიის ფარგლებში.

უნგრეთის ხელისუფლების ანტიეროვნულმა მოღვაწეობამ ვოევოდინის მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. ვოევოდინის სკუპშჩინამ კავშირი დაამყარა ჰაბსბურგებთან, შექმნა მთავრობა რაიაჩიჩის მეთაურობით და ომი გამოუცხადა რევოლუციურ უნგრეთს.

მიუხედავად 1848-1849 წ. წ. რევოლუციის დამარცხებისა, ავსტრიის იმპერიის ყველა ხალხისთვის იგი კაპიტალიზმის ეპოქის დადგომას ნიშნავდა. ხორვატების, სლოვენებისა და ვოევოდინელი სერბებისათვის იმ წლების ამბები ბურჟუაზიულ-ეროვნული რევოლუციების ხასიათს ატარებდა.

## სამხრეთსლავური მიწები XIX ს. 50-60-იან წლებში

მიუხედავად კაპიტალიზმის განვითარებისა, ავსტრიის იუგოსლავურ ოლქებში მაინც შემორჩა ფეოდალური გადმონაშთები. იმპერიის გაბატონებული კლასები ულმობლად ჩაგრავდნენ განაპირა ხალხს.

რევოლუციის წლებში ხორვატიისა და ვოევოდინის უნგრეთისაგან გამოყოფა არ გაჭიანურებულა: 1860 წ. ფრანც-იოზეფმა, მადიარ მემამულეებთან კომპრომისის ძებნისას, ეს მიწები (land) კვლავ უნგრეთის შემადგენლობაში შეიყვანა, ხოლო 1867 წ., დუალისტური მონარქიის შექმნის შემდეგ, ხორვატია საბოლოოდ დაუმორჩილა წმ. სტეფანეს გვირგვინს (უნგრეთს, 1868 წ. ხორვატია-უნგრეთის ურთიერთობა განისაზღვრა შეთანხმებით, რომლითაც ხორვატიამ მიიღო შინაავტონომია, თუმცა ეკონომიკა და ფინანსები ბუდაპეშტის კომპეტენციაში დარჩა. ხორვატიის საბორი უნგრეთის სეიმში 40 წარმომადგენელს აგზავნიდა, ხოლო ბანს ნიშნავდა იმპერატორი უნგრეთის პრემიერის წარდგინებით. ამ შეთანხმებამ უკმაყოფილება გამოიწვია ხორვატიაში. იქ ჩამოყალიბდა ეროვნულ-ბურჟუაზიული პარტია, — ნაროდნიაკი, — რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ეპისკოპოსი შტროსმაიერი და ისტორიკოსი რაჩკი. ნაროდნიაკები ილირიზმის ტრადიციებს აგრძელებდნენ,—მათი იდეოლოგიის დამახასიათებელი ნიშანი იუგოსლავიზმი იყო. ნაროდნიაკებს დაუპირისპირდნენ უნიონისტები, ანუ ხორვატიის უნგრეთთან გაერთიანების მომხრეები. 60-იანი წლების ბოლოს გაფორმდა პრავაშების, ანუ უფლებათა მომხრეების პარტია, რომელიც ბურჟუაზიის რადიკალური ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. პრავაშების დოქტრინად პანხორვატიზმი იქცა.

სლოვენიაში 50-60-იანი წლების პოლიტიკური ცხოვრება კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ჩარჩოებს არ სცილდებოდა.

ვოევოდინის ბურჟუაზიის ინტერესების მთავარი გამომხატველი იყო სახალხო ლიბერალური პარტია მილეტიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც გამოსცემდა გაზეთს „ზასტავა“ („დროშა“)—საერთობალკანური მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოს. 60-იან წლებში ვოევოდინა გაერთიანებული სერბი ახალგაზრდობის—ომლადინას—მოღვაწეობის ცენტრად იქცა. ეს ორგანიზაცია ცდილობდა, სათავეში ჩადგომოდა იუგოსლავი ხალხების ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის.

## ბიბლიოგრაფია


1. А. Дебидур. Назв. соч., т. 1-2.
2. История XIX века (Лависс и Рамбо), т. 3, 4, 5, 6.
3. История дипломатии. М., 1959. Т. 1.




# რუმინეთის სახელმწიფოს შექმნა

## დუნაისპირა სამთავროები (მოლდავეთი და ვალახეთი) XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დამდეგს 1821 წ. აჯანყება

ღნიშნულ ეპოქაში მოლდავეთი და ვალახეთი ოტომანთა პორტას შემადგენლობაში შედიოდნენ. ამ სამთავროებში, ბალკანეთისა და სამხრეთსლავურ ქვეყნებთან შედარებით, თურქების ბატონობა შერბილებულ ხასიათს ატარებდა, თუმცა აღვილობრივი მოსახლეობა მაინც განიცდიდა ეკონომიკურ, სოციალურ და რელიგიურ ჩაგვრას. სამთავროებს სულთნის მიერ დანიშნული გოსპოდარები განაგებდნენ, რომელთა კანდიდატურებს აღგილობრივი ბოიარების წრიდან ირჩევდნენ. გოსპოდრები სულთნის სასარგებლოდ კრეფდნენ გადასახადებს, გამოჰყავდათ შეიარაღებული რაზმები და სამუშაო ძალა ამა თუ იმ ბეგარის შესასრულებლად.

XVIII ს. დამდეგს მოლდავეთსა და ვალახეთში შემოიღეს ფანარიოტთა, ანუ მდიდარი ბერძნების, მმართველობა, რომელიც მიზნად ისახავდა სამთავროთა მოსახლეობის სრულ დამორჩილებას. ფანარიოტი გოსპოდარებმა, რომელთაც მცირე ხნით ნიშნავდნენ, მაქსიმალურად იყენებდნენ მათთვის განკუთვნილ ორ-სამ წელიწადს და ხალხის ულმობელი ძარცვით საკუთარ ჯიბეს ისქელებდნენ. ამიტომ მათ მიმართ მოლდაველები და ვალახები არა მარტო ზიზღით განეწყვნენ, არამედ შეიარაღებულ აჯანყებებსაც აწყობდნენ.

დუნაისპირა სამთავროებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის გამარჯვებას ოსმალეთთან ომში. ქუჩუქ-ქაინარჯის ზავით მათ მიაღწიეს ავტონომიას, მის გაფართოებას, ხარკის რეგლამენტაციას, თურქეთთან ვაჭრობაში პორტას მონოპოლიების შეზღუდვას, მართმადიდებლურ ეკლესიაში სტამბოლის ჩაურევლობას და სხვ. ზავის პირობების მიხედვით რუსეთმა ორივე სამთავროს დაცვის უფლებები მოიპოვა.

XIX ს. დამდეგს ვითარება არ შეცვლილა: სამთავროებს ძველებურად განაგებდნენ ბერძენი გოსპოდარები, რომელთა ხელით ოტომანთა პორტა ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავდა. ამ სასტიკ ჩაგვრას ვალახეთის ხალხმა დიდი გამოსვლით უპასუხა: 1821 წ. იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პატარა ოლქის გამგებელი ტუდორ ვლადიმირესკუ (ის რუსეთ-თურქეთის 1806-1812 წ. წ. ომში პირველს ეხმარებოდა.). მოძრაობაში თავიდანვე გამოიკვეთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტენდენცია, თუმცა ვლადიმირესკუ, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, პორტას არწმუნებდა იმაში, რომ იგი ებრძოდა არა სულთანს, არამედ ფანარიოტთა და ბოიარების ძალმომრეობას. ჯერ კიდევ ადრე, აჯანყების დაწყებამდე, ვლადიმირესკუმ კავშირი დაამყარა ბერძენი პატრიოტების ლიდერთან, გენერალ ალექსანდრე იპსილანტისთან, და ხელი შეუწყო სამთავროებში „ფილიკი ჰეტერიის“ სექციების დაარსებას). ვლადიმირესკუ და იპსილანტი ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. 1821 წ. მარტში რუსეთიდან შემოსულმა იპსილანტის რაზმმა მოლდავეთის გაელით ბუქარესტთან (ვალახეთი) დაიბანაკა (აპრილი). მართალია, აჯანყებამ ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ვლადიმირესკუმ, იმის შიშით, რომ ალო ფენები და ბურჟუაზია ჩამოსცილდებოდნენ, ვერ შეძლო თურქეთისათან ვალახეთის სრული გამოყოფა. მის მდგომარეობას ჰეტერისტებთან უთანხმოებაც ართულებდა. ცდილობდა რა პორტასთან შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილებას, მან იპსილანტის უკმაყოფილება გამოიწვია. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, როდესაც ვლადიმირესკუმ ჰეტერისტებს ვალახეთის დატოვება უბრძანა (თურქების საამებლად). განხეთქილება იმანაც

გაამწვავა, რომ ალექსანდრე I არ მიეშველა თავის ყოფილ მეგობარს და გენერალს, ა. იპსილანტის (იხ. „საერთაშორისო ურთიერთობანი“.), და არსებითად დაეხმარა სულთანს აჯანყების ჩახშობაში. 1821 წ. მაისში თურქები შეიჭრნენ სამთავროებში და, მიუხედავად რუსეთის პროტესტისა, ბოლო მოუღეს აჯანყებას. ვლადიმირესკუ თავისივე ოფიცრებმა შეიპყრეს და, როგორც მოღალატე, იპსილანტის ბანაკში სიკვდილით დასაჯეს.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ვალახებს და ჰეტერისტებს იარაღი არ დაუყრიათ. მათ თავგანწირულ ბრძოლას შედეგად ფანარიოტთა ბატონობის დამხობა მოჰყვა: პორტა იძულებული გახდა, გოსპოდარები ადგილობრივი ბოიარების წრიდან დაენიშნა.

## ვალახეთი და მოლდავეთი XIX ს. 20-60-იან წლებში. რუმინეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა

გოსპოდარ-ფანარიოტთა მმართველობის შეწყვეტისა და 20-იანი წლების დასასრულისთვის თურქთა ძალაუფლების დასუსტების შედეგად ღუნაის სამთავროებში ეროვნული აღორძინების პერიოდი დაიწყო. ეს იყო კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრების, ეროვნული თვითშეგნების, კულტურისა და განმანათლებლობის სწრაფი განვითარების პერიოდი. ადრიანოპოლის ზავმა (1829) მნიშვნელოვნად გააფართოვა სამთავროების ავტონომია (პორტა აღარ ჩაერეოდა მათ საშინაო საქმეებში.), რომელთა გოსპოდარები მუდმივად ინარჩუნებდნენ თავიანთ ძალაუფლებას. თურქთა ბატონობის შერბილებამ დააჩქარა მრეწველობის განვითარება (ნედლეულის დამუშავება, ნავთობის მოპოვება), სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ბურჟუაზიის პოზიციების გაძლიერება. ახლად ფეხადგმული სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლები კატეგორიულად მოითხოვდნენ სრულ თავისუფლებას ეკონომიკურ საქმიანობაში, პოლიტიკური უფლებების გაფართოებას, კონსტიტუციური მმართველობის შემოღებას და ხელისუფლების ძალმომრეობის შეზღუდვას. მოლდავეთსა და ვალახეთში ძალთა თანაფარდობა ერთნაირი არ იყო: პირველში ოპოზიციური მოძრაობა შედარებით სუსტად გამოიყურებოდა (მასში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ბოიარები), ხოლო მეორეში უფრო აქტიურად მოქმედებდა ბურჟუაზია. ანტისამთავრო ბანაკის თვალსაჩინო მოღვაწე იყო დემოკრატი ნიკოლაუ ბელჩესკუ (1819-1852), რომელიც სათავეში ჩაუდგა ვალახთა რევოლუციურ მოძრაობას. მისი თაოსნობით 1843 წ. დაარსდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ძმობა“, რომლის მთავარ მიზანს ორივე სამთავროს გაერთიანება და რევოლუციის მომზადება შეადგენდა.

ბელჩესკუმ კავშირი დაამყარა მოლდავეთის ანტისამთავრობო ოპოზიციის ლიდერებთან მ. კოგელნიჩანთან, კ. ნეგრისთან და სხვა პატრიოტებთან. 1848 წ. აპრილში, იასაში (მოლდავეთი), ოპოზიციამ გოსპოდარის სახელზე შეადგინა პეტიცია, რომლის პირველი მუხლი კონსტიტუციის (1831 წ. მიღებული ე. წ. ორგანული რეგლამენტის) მკაცრ დაცვას მოითხოვდა. ოპოზიცია თავაზობდა, აგრეთვე, საკანონმდებლო კრების გადარჩევას, მისი სხდომების საჯარო ჩატარებას. კრების წინაშე მინისტრთა პასუხისმგებლობას, ეროვნული გვარდიის შექმნას, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. გოსპოდარმა მიიღო დეპუტაცია, მაგრამ ზოგიერთი მოთხოვნა უარყო (მაგ. პირადი, დაქირავებული დაცვის შეცვლა ეროვნული გვარდიით). მან ისარგებლა ოპოზიციაში არსებული უთანხმოებით და ძალის გამოყენებაზე გადავიდა: რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდნენ რესპუბლიკელები ზ. მოლდავანუ და ალექსანდრე კუზა (რუმინეთის მომავალი მთავარი).

გოსპოდარის ძალადობას გლეხებმა მასიური ამბოხებებით უპასუხეს. ამ გამოსვლებით წელში გამართულმა ოპოზიციამ ტრანსილვანიის ქალაქ ბრა-



შოვში შეიმუშავა პროგრამა, — „სამშობლოს გარდაქმნის საფუძვლები“, — რომელიც ითვალისწინებდა წოდებრივი პრივილეგიების გაუქმებას, დემოკრატიულ თავისუფლებას, მიწით გლეხობის უზრუნველყოფას (გამოსყიდვის გარეშე), სამთავროების გაერთიანებას.

მეორე პროგრამა, რომელიც ემიგრაციაში მყოფმა კოგელნიჩანუმ შეადგინა, მხარს უჭერდა კონსტიტუციური მონარქიის შექმნას. ეს პროგრამა მაინც გამოიცა, როდესაც მოლდავეთში რუსთა ჯარი შევიდა და იქ „აღდგენილ იქნა წესრიგი“.

1848 წ. გაზაფხულზე ბუქარესტში თავისი მოღვაწეობა განაახლა „ძმობამ“. მან რევოლუციური ძოღვაწეობის ხელმძღვანელობისთვის ჩამოაყალიბა აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ დ. მოკრატი ბელჩესკუ, წვრილბურჟუაზიული რადიკალი კ. როსეტი, ლიბერალი ი. რადულესკუ და ოპოზიციის სხვა წევრები. 21 (9) ივნისს მიღებულ იქნა ქ. ისლაზში შემუშავებული პროკლამაცია. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო და თავისუფალი არჩევნების გზით ეროვნული კრების მოწვევას, მის წინაშე გოსპოდარისა და მინისტრების პასუხისმგებლობას, საბეგარო გლეხების განთავისუფლებას და მათი მიწებით უზრუნველყოფას გამოსასყიდის გადახდით.

რსლაზში შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც შემდეგ ბუქარესტში გადავიდა. ხალხი და ჯარი აჯანყებულთ მიემხრო. გოსპოდარი გადადგა და ვალახეთიდან წავიდა. დროებითი მთავრობა თავისი შემადგენლობით ზომიერი იყო (დემოკრატი ბელჩესკუ საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა), მან თავის თავმჯდომარედ აირჩია კონსერვატულ წრეებთან ახლოს მყოფი მიტროპოლიტი ნეოფიტი.

მთავრობამ, სახალხო მასებისა და ბელჩესკუს ზეწოლის შედეგად, დემოკრიტიკული ხასიათის რამდენიმე რეფორმა გაატარა (ბოიარებმა დაკარგეს თავიანთი პრივილეგიები, გამოცხადდა კრების, ბეჭდვის თავისუფლება, დაინიშნა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელსაც უნდა შეემუშავებია კონსტიტუცია), მაგრამ აგრარული საკითხი და სხვა გადაუდებელი პრობლემები მთავრობას არ გადაუჭრა, რადგან ამ საქმეში თავი „გამოიჩინეს“ მსხვილმა მიწათმფლობელებმა. 1848 წ. აგვისტოში ვალახეთში თურქეთის არმია შევიდა. დროებითმა მთავრობამ შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა. ქვეყნის მართვა დაევალა სულთნის მიერ დანიშნულ სამ მეფისნაცვალს. სექტემბერში დაიწყო რევოლუციის ჩახშობა. პორტას მხარი დაუჭირა მეფის რუსეთმა, რის გამოც რევოლუციამ საბოლოო დამარცხება განიცადა.

XIX ს. 50-იან წლებში ვალახეთისა და მოლდავეთის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ პრობლემას მათი ერთ სახელმწიფოში გაერთიანება წარმოადგენდა. გამაერთიანებელ მოძრაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები, თუმცა ხელმძღვანელ როლს მაინც სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზია თამაშობდა. რადიკალთა და ლიბერალთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ რეფორმების გატარების მომხრეები-ბელჩესკუ, კოგელნიჩანუ და როსეტი, მაგრამ ბელჩესკუ, რომელიც სახალხო სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდა, უცხოეთში გარდაიცვალა (1852) და მისმა სიკვდილმა ძალიან დაასუსტა რევოლუციური მოძრაობის დემოკრატიული ფრთა.

სამთავროთა საკითხით ევროპაც იყო დაინტერესებული. ინგლისი სამთავროებზე თურქეთის სუზერენული უფლებების შენარჩუნებას უჭერდა მხარს, ავსტრია ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ბალკანეთზე თავისი დაპყრობითი გეგმების განსახორციელებლად, რუსეთი დაინტერესებული იყო ვალახეთისა და მოლდავეთის გაერთიანებით, ანუ სამთავროებში თურ-

ქეთის პოზიციების დასუსტებითა და ავსტრიის ექსპანსიონისტური გეგმების ჩაშლით. გაერთიანების იდეას მხარს უჭერდა საფრანგეთიც, რომელსაც დუნაისპირა სამთავროებზე თავისი გავლენის გავრცელება ამოძრავებდა.

პარიზის ზავმა (1856) ვალახეთი და მოლდავეთი ძველებურად პორტას ძალაუფლებას დაუმორჩილა. სამთავროებში მათი მომავლის განსაზღვრისთვის შექმნეს დროებითი სათათბირო კრებები (დივნები), რომლებსაც თავისი წინადადებები უნდა წარედგინათ საერთაშორისო კომისიისთვის.

1856-1857 წ. წ. უნიონისტური (გამაერთიანებელი) მოძრაობა უფრო ფართო და ორგანიზებული გახდა. დედაქალაქებსა და მაზრებში აღმოცენდნენ გამაერთიანებელი კომიტეტები, — გაზეთებში ქვეყნდებოდა მოწოდებები, ხალხი ხელს აწერდა პეტიციებს, არჩევნებში წარმატებას აღწევდნენ უნიონისტები, რის შედეგად ორივე დივანმა მხარი დაუჭირა სამთავროთა გაერთიანებას. 1858 წ. პარიზში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთმა, საფრანგეთმა, პრუსიამ და სარდინიამ ხმა მისცეს დივანთა გადაწყვეტილებას. პარიზის კონვენციამ დაადგინა: ამიერიდან ვალახეთი და მოლდავეთი იწოდებიან გაერთიანებულ სამთავროებად, მათ საერთო ექნებათ ცენტრალური კომისია (რომელიც შეიმუშავებდა ორივე მხარისთვის მისაღებ კანონებს) და უმაღლესი სასამართლო, დანარჩენში სამთავროები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას.

1859 წ. დამდეგს სამთავროებში ჩატარდა არჩევნები, რომელთაც უნდა მოემზადებიათ გოსპოდართა არჩევა.

მოლდავეთში კრებამ გოსპოდარად აირჩია პოლკოვნიკი ალექსანდრე კუზა — გაერთიანების მხურვალე მომხრე. მოხდა ისე, რომ ვალახებმაც კუზა აირჩიეს, რომელიც ახლა მათი მმართველიც გახდა.

1859 წ. შემოდგომისთვის პარიზის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა სცნეს კუზას რრმაგი არჩევა და 1861 წ. მათ საბოლოოდ დაამტკიცეს ვალახისა. და მოლდოვის ერთ სამთავროში გაერთიანება (23 დეკემბერი). 1862 წ. დამდეგს გაიხსნა საერთო ეროვნული კრება, რომელმაც საერთო მთავრობა ჩამოაყალიბა. ახლადშობილმა სახელმწიფომ რუმინეთის სახელწოდება მიიღო.

ა. კუზას მმართველობის ჟამს მიიღეს სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები, რეორგანიზაცია უყვეს სასამართლო ორგანოებს, გამოცხადდა რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა), შემოიღეს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, შემცირდა საარჩევნო ქონებრივი ცენზი, ეროვნული კრების არჩევნებში (ისევე, როგორც მთავრის მიერ დანიშნულ სენატში, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქციები გააჩნდა) მონაწილეობის უფლება მიიღეს საშუალო და წვრილი ბურჟუაზიისა და შეძლებული გლეხობის წარმომადგენლებმა. სამთავროების გაერთიანებამ დააჩქარა აგრარული რეფორმა, კაპიტალიზმის განვითარება, გააფართოვა საშინაო ბაზარი, ხელი შეუწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გავრცელებას.

იმის გამო, რომ ა. კუზას პირადი მმართველობა არც გლეხებს მოსწონდათ და არც რეაქციულ წრეებს, მის წინააღმდეგ გაფორმდა ოპოზიცია, რომელშიც გაერთიანდნენ მსხვილი მიწათმფლობელები და ბურჟუაზიის ნაწილი. 1866 წ. კონსერვატორთა და წვრილბურჟუაზიულმა ბლოკმა დაამხო მთავარი კუზა და რუმინეთის ტახტზე კარლოს ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი,—პრუსიის მეფეთა დინასტიის წარმომადგენელი,—დასვა. ქვეყანაში მემკვიდრეობითი მონარქიის რეჟიმი დამყარდა.




ბიბლიოგრაფია

1. В. Гросул. Реформы в Дунайских княжествах и Россия (20-30-е годы XIX в.), М., 1966.
2. А. Дебидур. Назв. соч., т. 1-2.
3. История Румынии: 1848-1917 г.г., М., 1971.
4. История XIX века (Лависс и Рамбо), т. 5.


## საბერძნეთი 1821-1870 წლებში

### ბერძენი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1821-1833 წ.წ.

საბერძნეთის მართლმადიდებლური მოსახლეობა ოთხი საუკუნის მანძილზე თურქეთის იმპერიის (ოტომანთა პორტას) უღელქვეშ იმყოფებოდა. მთელი ოთხასი წლის განმავლობაში გმირი ელინები თანასწორ ბრძოლას ეწეოდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდნენ.

XIX ს. დამდეგს ვითარება შეიცვალა: „ბრწყინვალე პორტა“ ღრმა პოლიტიკური კრიზისის ფაზაში შევიდა (სულთნის გავლენა შესუსტდა როგორც ცენტრში, ასევე პერიფერიებში, მისი ფეოდალები, — ფაშები — სეპარატიზმის გზას დაადგნენ, ხოლო ქრისტიანი ქვეშევრდომები, — ბულგარელები, სერბები, ჩერნოგორელები და სხვები, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაებნენ), რითაც ისარგებლეს ბერძნებმა და აჯანყების დროშა აღმართეს. ამ მოვლენას ბიძგი მისცა 1814 წ. ოდესაში დაარსებულმა ფარულმა ორგანიზაციამ — „ფილიკი ჰეტერიამ“ („მეგობრული საზოგადოება“), რომელიც შეადგინეს სამხრეთ რუსეთში დასახლებულმა ბერძნებმა. მასში წამყვან როლს თამაშობდნენ ალექსანდრე I-ის სამსახურში მყოფნი: იოანე კაპოდისტრია (დიპლომატი და მისი შეგობარი), ძმები ალექსანდრე და დიმიტრიოს იპსილანტები (მეფის ადიუტანტები) და სხვა ბერძენი პატრიოტები. ისინი ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ იმპერატორზე, რომელიც თურქეთში მცხოვრები ქრისტიანების მფარველობას იჩემებდა და რომელსაც ნამდვილად ეწადა ოტომანთა იმპერიის დანგრევა, შავ ზღვაზე, სრუტეებსა და დუნაისპირა სამთავროებში (ვალახეთ-მოლდავეთში) გაბატონება.

ჰეტერისტებმა ისარგებლეს სულთან მაჰმუდ II-ის მოუცლელობით (მისი ჯარები დაკავებული იყვნენ ეპირში, სადაც ურჩ, მეამბოხე ფაშას, ალი ტებელენელს „აშოშმინებდნენ“) და მოლდავეთ-ვალახეთში ანტიოსმალური აჯანყება წამოიწყეს. ალ. იპსილანტიმ 1821 წ. 8 მარტს, იასაში, საერთობერძნული გამოსვლისაკენ მოუწოდა თავის ხალხს („დადგა ჟამი, მამაცო ბერძნებო“!—ამ სიტყვებით იწყებოდა ეს მოწოდება). მართალია, ალ. იპსილანტის ხან მოკლე კამპანია მოლდავეთსა და ვალახეთში კრახით დამთავრდა, მაგრამ საკუთრივ საბერძნეთში მას ყველა ელინი გამოეხმაურა: მარტის ბოლოს მთელი ელადა აჯანყებამ მოიცვა.[1]

ბერძენთა შეუპოვარმა ბრძოლამ სულთანი გააცოფა. 23 აპრილს, აღდგომა დღეს, ფანატიკოსმა მუსულმანებმა მხეცურად მოჰკლეს კონსტანტინოპოლის პატრიარქი გრიგოლი, ხოლო მომდევნო წლის გაზაფხულზე, კუნძულ ხიოსზე, 23 ათასი მშვიდობიანი ქრისტიანი გაუჟლეტეს. ამ სასტიკმა რეპრესიებმა ალექსანდრე I-ისა და რუსი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რაც შედეგად რუსეთის ელჩის გ. სტროგანოვის მიერ სტამბოლის დატოვება

[1] 25 მარტი—საბერძნეთის ეროვნული დღესასწაულია.

მოჰყვა. ავსტრიისა და ინგლისის მთავრობებმა, არ სურდათ რა თურქეთის გაძლიერება, შუამავლობა იკისრეს, მოახერხეს რუსეთის „დაწყნარება“ და ომის თავიდან აცილება, რითაც აჯანყებული ელადა ფაქტიურად იზოლაციაში, გამოროტებულ ხონთქართან პირისპირ მდგომარეობაში, დატოვეს.

მიუხედავად ამისა, ბერძენი ხალხი მაინც აგრძელებდა გმირულ ბრძოლას, უფრო მეტიც: 1821 წ. ოქტომბერში ზღვაზე, კუნძულ ხანდასთან გაბრძოლებულ იქნა სულთნის ფლოტი, ხოლო ხმელეთზე პატრიოტებმა ხელთ იგდეს ნავარინი და პელოპონესის მთავარი ქალაქი ტრიპოლიცა.

1822 წ. დამდეგს დ. იპსილანტისა და ალექსანდრე მავროკორდატოსის ინიციატივით მოწვეულ იქნა ეროვნული კონგრესი, რომელმაც საბერძნეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საკანონმდებლო ძალაუფლება გადაეცა მოსახლეობის მიერ არჩეულ კრებას, აღმასრულებელი კი—ხუთწევრიან დროებით მთავრობას პრეზიდენტ მავროკორდატოსის ხელმძღვანელობით.

1822 წ. თებერვალში სულთანმა ბოლო მოუღო იანინას ფაშას, ალი ტებელენს და გამოთავისუფლებული არმია საბერძნეთს შეუსია. მავროკორდატოსი ზედიზედ დამარცხდა, რის გამოც მისი ჯარი უიმედო სიტუაციაში აღმოჩნდა.

დიდი სახელმწიფოები არაფრად აგდებდნენ ბერძენთა გასაჭირს (მონარქები და მათ შორის ალექსანდრე I-იც ელინებს მეამბოხეებად, რევოლუციონერებად თელიდნენ.), პირიქით, საღვთო კავშირის ვერონის კონგრესმა მათი წარმომადგენლები მოსმენის ღირსადაც არ ჩათვალა. რეაქციული ძალებისაგან საპირისპიროდ, ევროპის ხალხები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ აჯანყებულთა დიად საქმეს—მოსალისეებს, ფულად სახსრებსა და იარაღს უგზავნიდნენ ბერძენ პატრიოტებს (ვოლონტიორთა შორის დიდი სახელით სარგებლობდა ცნობილი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი, რომელიც მისოლუნგში ჩავიდა და სიკვდილამდე, 1824 წ. 19 აპრილამდე, იცავდა ქალაქს თურქთა იერიშებისაგან.).

1825 წ. თებერვალში ეგვიპტის მბრძანებლის მეჰმედ-ალის შვილმა, იბრაჰიმ ფაშამ, დიდი არმია გადასხა მორეაში, აიღო ტრიპოლიცა და მიადგა ბერძენთა დროებით დედაქალაქს ნავპლიონს, მაგრამ ინგლისელთა ესკადრის გამოჩენამ ხელი ააღებინა შტურმზე. თურქებმა მისოლუნგი მეორე ალყის შემდეგ აიღეს (1826 წ. 22 აპრილი) და მთელი მორეა სისხლით დატბორეს. ერთი წლის შემდეგ ათენიც დაეცა (6 მაისი). ელადის დაღუპვა ეჭვს აღარ იწვევდა და მას სასწაული თუ იხსნიდა. ეს სასწაულიც მოხდა: ევროპის ქრისტიანული მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით, ბრიტანეთის, რუსეთის და საფრანგეთის მთავრობები აქტიურად ჩაერიენ კონფლიქტში[1] და, რადგანაც სულთანმა არ მიიღო მათი პირობები ბერძნებთან შერიგებაზე, მოკავშირეთა ესკადრამ სასტიკად გაანადგურა ნავარინთან მდგარი იბრაჰიმ ფაშას ფლოტი (1827 წ. 8 აგვისტო), რითაც ელადა გარდუვალ დაღუპვას გადაარჩინა.

საბერძნეთში კვლავ აღდგა რუსეთის ავტორიტეტი, რაც პრეზიდენტად იოანე კაპოდისტრიას არჩევამ დაადასტურა: 1828 წ. 1 იანვარს ის შეუდგა თავისი რთული, უმძიმესი და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას.

1828 წ. რუსეთმა დიდ ომში დაამარცხა თურქეთი და მასთან ადრიანოპოლის ზავი დასდო. ამ ზავის პირობებით საბერძნეთმა მიიღო სრული ავტონომიისა და მილიციის შექმნის უფლება ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად.

[1] საბერძნეთის გადარჩენაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჯ. კანინგმა და რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა, რომელსაც, უფროსი ძმის მსგავსად, ოტომანთა იმპერიის მოსპობა სურდა.



ელადის საკითხი საბოლოოდ ლონდონის კონფერენციამ გადაჭრა (1830 წ. 3 თებერვალი): იგი დამოუკიდებელ მონარქიულ სახელმწიფოდ აღიარა და თავს იღო მისთვის მეფის მიცემა. ინგლისელებმა კანდიდატად ლეოპოლდ კობურგი[1] დაასახელეს, მაგრამ კაპოდისტრიას იხტირებისა (მას არ სურდა პრეჰიდენტის პოსტის დაკარგვა) და იმის გამო, რომ დიდი სახელმწიფოები არ აპირებდნენ საბერძნეთის საზღვრების გაფართოებას, პრეტენდენტმა უარი გაცხადა ტახტის დაკავებაზე. მომდევნო წლის ოქტომბერში მინაშლილობის მსხვერპლი გახდა თვით კაპოდისტრია[2], რომელიც ნიკოლოზ I-ის გაელენის ქვეშ იმყოფებოდა (მას „რუს პრეფექტსაც“ უწოდებდნენ.).

საბერძნეთში ატეხილმა სამოქალაქო ომმა და დაუსრულებელმა სისხლისღვრამ აიძულა ევროპა მისთვის მონარქის ახალი კანდიდატი ეძებნა. არჩევანი ბავარიის მეფის მცირეწლოვან შვილზე შეჩერდა. 1833 წ. თებერვალში პრინცი ოტონი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ელადის ტახტზე ავიდა.

## საბერძნეთი 1833-1870 წლებში

ზემოთ აღინიშნა, რომ საბერძნეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა, რომლის მონარქად ბავარიელი პრინცი ოტონი აირჩიეს. 1835 წ. 1 ივნისს ოტონ I სრულწლოვანი გახდა და დამოუკიდებლად შეუდგა ქვეყნის მართვას. 1837 წ. ის დაქორწინდა ოლდენბურგის პრინცესა ამალიაზე.[3]

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დასრულებამაც ვერ უზრუნველყო საბერძნეთში სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ნაცვლად იმისა, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის მიეხედათ, ბერძნები პოლიტიკური ინტრიგების ჭაობში ჩაეფლნენ.[4] ყოველივე ამას შედეგად მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი დაცემა და შიდაპოლიტიკური ვითარების უკიდურესად გამძაფრება მოჰყვა. სწორედ ამით იყო განპირობებული 1843 წ. აჯანყება, რომელშიც გავლენიანი სამხედრო პირებიც მონაწილეობდნენ. მათ აიძულეს მეფე, გამოექვეყნებინა კონსტიტუცია, რომლიც ქმნიდა არჩევით სახელმწიფო საბჭოს (სათათბიროს) და სენატს (ამ უკანასკნელის წევრები მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებდნენ თანამდებობას.). გარდა ამისა, დაკმაყოფილდა აჯანყებულთა მოთხოვნა და ბავარიელმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც ოტონ I-ს ჩამოჰყვნენ, დატოვეს საბერძნეთი.

პოლიტიკური თამაში ამ ფაქტის შემდეგაც გრძელდებოდა და იგი ბერძენ პოლიტიკოსთა საყვარელი გასართობი გახდა: ისინი ხან ოტომანთა წინააღმდეგ აჯანყებულ კრეტის მოსახლეობას ეხმარებოდნენ, ხან თურქეთის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ბერძნებს აქეზებდნენ სულთნის წინააღმდეგ ათენში კი (ხელისუფლებაში) ხან პრორუსულად განწყობილი კატაკაზი და

[1] ლეოპოლდ კობურგელი ბრიტანელთა სიძე იყო (მას ცოლად ჰყავდა პრინცესა შარლოტა, რომელიც მშობიარობას გადაჰყვა 1817 წ.) და იმედოვნებდა, რომ დედოფალ ვიქტორიას მცირეწლოვანების გამო (ის მას ბიძად ეკუთვნოდა) ინგლისის რეგენტი გახდებოდა. 1831 წ. იგი ბელგიაში გამეფდა ლეოპოლდ I-ის სახელით.

[2] იოანე კაპოდისტრია 1831 წ. 9 ოქტომბერს ძმების მავრომიხალისებმა მოჰკლეს სულიწმინდის ტაძრის შესასვლელში.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქორწინების შედეგად ოტონს მემკვიდრე არ გახჩენია, ამიტომ გერმანული დინასტია საბერძნეთში არ დამკვიდრებულა.

[4] საბერძნეთში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ინგლისური და რუსულ-ფრანგული ორიენტაციის მქონე პირები.

მეტაქსასი აღვირვეღნენ წყალს, ხან ინგლისელთა მომხრე მავროკორდატოსი. მორიგი ინტრიგის შედეგად ეს უკანასკნელი იძულებული გახდა 1844 წ. ადგილი ფრანგულ-რუსული ორიენტაციის პირისთვის — კოლეტისისთვის დაეთმო.

1845 წ., კოლეტისის ინიციატივით, ბერძნებმა მოითხოვეს, რომ ახლად დაფუძნებული სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ბერძნულ მოსახლეობასაც მიეღო მონაწილეობა. ამან, ბუნებრივია, თურქთა პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია: სტამბოლმა მცირე აზიაში მყოფ ყველა ბერძნულ გემს აუკრძალა სანაპიროსთან მიახლოება და ჩაკეტა მათთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. მაგრამ მალე კოლეტისი გარდაიცვალა[1] და ვითარებაც შეიცვალა: ოტონ I-მა რუსეთის იმპერატორს, ნიკოლოზ I-ს, სთხოვა შუამავლობა და ამ უკანასკნელის ზეწოლის შედეგად პორტამ გააუქმა ზემოთ აღნიშნული აკრძალვები.

ევროპაში 1848 წ. მომხდარმა რევოლუციებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვეს საბერძნეთშიც. 1850 წ. იონიის კუნძულებზე დაიწყო აჯანყება ინგლისელთა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, მაგრამ ბრიტანეთის ფლოტმა მოახერხა ამ გამოსვლათა ჩახშობა. ეპირი, თესალია, კ. კრეტა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო, სადაც დიდი რაოდენობით იყო ბერძნული მოსახლეობა, კვლავინდებურად ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა. ინგლისი და საფრანგეთი, რუსეთის გაძლიერების შიშით, ხელს უშლიდნენ ამ რეგიონების საბერძნეთისათვის გადაცემას. პრორუსულად განწყობილი ბერძნული არისტოკრატია ყირიმის ომის მსვლელობისას საბერძნეთის ხელისუფალთაგან რუსეთის მხარეზე გამოსვლას მოითხოვდა. მისი ზემოქმედებით ბერძნული ჯარები ეპირსა და თესალიაში შევიდნენ, მაგრამ ამის საპასუხოდ ფრანგულ-ინგლისური დესანტი პირეიში გაღასხდა. ხელისუფლებაში კვლავ დაბრუნდა ა. მავროკორდატოსი, რომელმაც აღადგინა ნორმალური დამოკიდებულება თურქეთთან.

ინგლისმა და საფრანგეთმა 60-იანი წლების დამდეგს საბერძნეთის ფინანსები საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს. იმავე წლებში კვლავ დაიძაბა შინაპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. 1862 წ. დაიწყო დიდი აჯანყება, რომელმაც ქვეყნის ყველა ქალაქი მოიცა. ხალხის ზეწოლით შეიქმნა დროებითი მთავრობა, ხოლო ოტონ I გადამდგარად გამოცხადდა. ამან გარკვეულწილად ჩააცხრო აჯანყების ტალღა. ამით ისარგებლეს რუსეთმაც და ინგლისმაც: მათ საბერძნეთის ტახტზე დანიის პრინცი გიორგი აიყვანეს, რომელიც რუსეთის დიდი მთავრის ასულზე დააქორწინეს.

1864 წ. მეფემ დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, შემოიღო ერთპალატიანი პარლამენტი და გააფართოვა ამომრჩეველთა უფლებები. ფაქტიურად მონარქი თვითმპყრობელი გახდა, ის ლავირებდა პარტიებსა და უცხოეთის ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებს შორის და ამგვარად მართავდა სახელმწიფოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ფლოტმა შესძლო იონიის კუნძულებზე მიმდინარე აჯანყების ჩახშობა, ბრიტანეთის მთავრობა იძულებული გახდა არქიპელაგი საბერძნეთისათვის გადაეცა (1863).

[1] კოლეტისი გარდაიცვალა 1847 წლის დეკემბერში.



თურქეთის იმპერიაში შემავალი სხვა ბერძნული პროვინციებიც არ წყვეტდნენ წინააღმდეგობას. 1866 წ. დიდი კონფლიქტი წარმოიშვა კ. კრეტაზე, მაგრამ მისი საერთაშორისო იზოლაციის გამო თურქებმა შესძლეს ამ აჯანყების ჩახშობა (1869).

### ბიბლიოგრაფია

1. Г. Арш. Каподистрия и греческое национально-освободительное движение (1809-1822 гг.), М., 1976.
2. А. Дебидур. Назв. соч., т. 1-2.
3. История XIX века (Лависс и Рамбо), т. 3, 5.
4. Новая история стран Европы и Америки (под редакцией А. Адо), М., 1986.

## ალბანეთი XIX საუკუნეში

XVIII ს. დამდეგისთვის ევროპის სახელმწიფოებთან ომებში დამარცხებებმა დაასუსტეს სულთნის ძალაუფლება ალბანეთში. იქ აღზევდნენ ნახევრად დამოუკიდებელი შკოდრისა და იანინას საფაშოები; პირველს განაგებდა ბუშატის გვარი, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მაჰმუდ-ფაშა. მან საგრძნობლად გააფართოვა ფაშალიკის საზღვრები და თავის სამფლობელოს ალბანეთს ცენტრალური რაიონები შეუერთა. მაჰმუდ-ფაშა თავის სურვილისამებრ ცვლიდა სულთნის მოხელეებს და საფაშოს საშინაო საქმეებში დამოუკიდებელ კურსს ატარებდა. მან 1787 წ. სასტიკად დაამარცხა ხონთქრის დამსჯელი არმია როზაფატის კედლებთან და აიძულა სტამბოლი, ეცნო მისი მმართველობა იმ გარანტიით, რომ დახმარებას მიიღებდა მისგან რუსეთთან და ავსტრიასთან ომში.

1787-1791 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუწყო იანინას გამგებლის ალი-ფაშა ტეპედელანის პოზიციების გაძლიერებას. იგი ფლობდა სამხრეთ ალბანეთს, თესალიასა და ეპირს. ალი-ფაშა 30 წლის მანძილზე მართავდა ფაშალიკს, და თითქმის არ ემორჩილებოდა სულთანს. მისდა საუბედუროდ, მან შკოდრის ხელში ჩაგდება განიზრახა და თავი წააგო: შკოდრის მფლობელმა მუსტაფა-ფაშამ ხელი გაუმართა ხონთქარს და 1822 წ. იანინა დაეცა, ხოლო ალი-ფაშა ვერაგულად მოჰკლეს. ამის შემდეგ თურქებმა შკოდრის საფაშოც გაანადგურეს და უკანასკნელი ბუშატი პორტას დაემორჩილა.

ამ დამარცხებამ ალბანელ ფეოდალებს მრავალი პრივილეგია წაართვა, რის გამოც ისინი სათავეში ჩაუდგნენ სულთნის რეფორმებით (თანზიმათით) უკმაყოფილო მოსახლეობას და რამდენიმე აჯანყება მოაწყვეს (1831, 1836, 1847). მათ მსვლელობაში ალბანელებმა ავტონომიას მიაღწიეს. სახალხო აჯანყებებმა ხელი შეუწყვეს ალბანური აღორძინების დაჩქარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გავრცელებას როგორც საკუთრივ ალბანეთში, ასევე საზღვარგარეთ დაარსებულ ალბანურ სათვისტომოებში.

### ბიბლიოგრაფია

1. Краткая история Албании. М., 1965.
2. История XIX века (Лависс и Рамбо). Т. 3, 5.

საღვთო კავშირის შემოქმედნი იმედოვნებდნენ, რომ მათ ხანგრძლივი მშვიდობა მოუტანეს რევოლუციით და ომებით აფორიაქებულ ევროპას, მაგრამ ცდებოდნენ, რამეთუ სამიოდე წლის გასვლის შემდეგ ვენის სისტემის შენობას სერიოზული ბზარი გაუჩნდა.

ჯერ ერთი, მოტყუებულმა ხალხებმა (მათ არ უბოძეს დაპირებული კონსტიტუციები და თავისუფლება, ისინი ისე გათიშეს და გაინაწილეს დიდმა ქვეყნებმა, რომ ეროვნული სახელმწიფოების შექმნის ყოველგვარი იმედი გადაუწურეს), გაერკვნენ რა ვითარებაში, კონტინენტის ყველა კუთხეში დაიწყეს ბრძოლა ფეოდალური წესების რესტავრირების წინააღმდეგ;

მეორე, ევროპის ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები აღმოსავლეთის საკითხში მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს;

მესამე, ლათინთა ამერიკაში ესპანეთისა და პორტუგალიის კოლონიების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ანტაგონიზმის კიდევ ერთ ნასკვს ჰქმნიდა და მისი განკვეთისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და შეერთებული შტატები.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: ის, ვინც პირველი შეუდგა საღვთო კავშირის შენობის ნგრევას, მისი ყველაზე თავგამოდებული მშენებელი—ალექსანდრე I იყო. მუდამ მერყევმა, ეგოისტმა და უპრინციპო რუსეთის მეფემ, თავისი საქმიანობით დიდი ზიანი მიაყენა მონარქთა კავშირს და მისდაუნებურად ხელი შეუწყო რევოლუციური თუ კონსტიტუციური იდეების გავრცელებას. ერთდროულად დესპოტმა და ლიბერალმა, მიუხედავად დაპირებისა, არ გაათავისუფლა ხალხები და დაასრულა იმით, რომ სწორედ მათ წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. მაგრამ ის, რაც მან მოიმოქმედა, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა სტარტი აეღო განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლითაც მასზე უკეთ სხვებმა ისარგებლეს.

ალექსანდრე I-ს წინაპრების დარად არ ეშვებოდა ოტომანთა (თურქეთის) იმპერიის განადგურების აკვიატებული იდეა.

1812 წ. მან ბოლომდე ვერ მიიყვანა წარმატებითი ოპერაციები სულთან მაჰმუდთან ომში (ნაპოლეონის შემოსევას ელოდა), მაგრამ საფრანგეთის იმპერიის კრახის შემდეგ მასში, როგორც სლავთა წარმომადგენელში, მთელი ძალით იფეთქა შავ ზღვაზე, კონსტანტინეპოლში (სტამბოლში), დუნაის სამთავროებსა და ბალკანეთში გაბატონების სურვილმა. რუსთხელმწიფე თავის თავს ოტომანთა უღელქვეშ მყოფი ქრისტიანების მფარველად თვლიდა და ამ მესიანური მისიის აღსრულებას იარაღის ძალით აპირებდა. მან 1816 წ. თებერვალში დემონსტრაციულად გამოაქვეყნა საღვთო კავშირის აქტი (მისი ავტორი ხომ თავად იყო!), რომელშიც ქრისტიანული სახელმწიფოები წარმოჩენილი იყვნენ ერთიანი პოლიტიკური ოჯახის სახით და რომელშიც სულთნის იმპერიას არაფერი ესაქმებოდა. ალექსანდრე I მფარველობდა სერბების ლიდერს ყარა-გიორგის, ალექსანდრე და დიმიტრიოს იპსილანტებს, რუსეთის სამსახურში მყოფ ბერძენ არისტოკრატებს, რომლებამაც თურქეთის წინააღმდეგ პატრიოტულ, ჰეტერისტულ აჯანყებას მისცეს ნიშანი (1821). მეფის ერთ-ერთი მინისტრი, დიპლომატი, ბერძენი იოანე კაპოდისტრია მშობლიური ელადის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელი იყო. მისი რჩევით იმპერატორმა რუსეთის ტერიტორიაზე დაუშვა ჰეტერიის დაარსება (1814) და განმათავისუფლებელი იდეების გავრცელება საბერძნეთში.

ალექსანდრე I-ის ამ ინტრიგებს შეშფოთებით უყურებდნენ სულთანი, ვენისა და ლონდონის კაბინეტები. ავსტრიის მთავრობა ვერ შეურიგდებოდა რუსეთის მიერ დუნაის შესართავის დაკავებას და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მეფის სურვილს—თურქეთის წინააღმდეგ აეჯანყებინა სერბები და საბერძნეთი. ამიტომ მზაკვარი მეტერნიხი, ცდილობდა რა ალექსანდრე I-ის ზრახვების ჩაშლას, შემოვლითი გზებით აწვდიდა ოტომანთა პორტას რუსეთის გეგმებს, თან ემუდარებოდა სულთანს, რომ არ დაეშვა ომის გამოწვევა.

რაც შეეხება უილიამ პიტის სკოლაგამოვლილ ლონდონის კაბინეტს, იგი ყოველნაირად ცდილობდა ალექსანდრე I-ის ჩანაფიქრის აღკვეთას. ფლობდა რა იონიის კუნძულებს, რომლებიც ადრე პორტას ეკუთვნოდა, ინგლისი ფხიზლად აღევნებდა თვალს მეფის პოლიტიკას თურქეთის ქრისტიანულ პროვინციებში და ყოველთვის იყო მზად კონსტანტინოპოლისკენ ფლოტის გაგზავნად. ალექსანდრე I-მა კარგად იცოდა ამაზე და ფრთხილობდა, წინასწარი მომზადების გარეშე არ დაეჩქარებინა სულთანთან განხეთქილება.

მაგრამ, თუ ბრიტანეთის პოლიტიკა ხელს უშლიდა რუსთხელმწიფეს აღმოსავლეთში, იგი თავის მხრივ არ ტოვებდა შემთხვევას, სამაგიერო არ ეზღო მისთვის: ალექსანდრე I-ის დიპლომატიური ინტრიგები გასაქანს არ აძლევდა ევროპაში ლონდონის ზრახვებს.

ინგლისს არ „აწყობდა“ რუსეთ-ესპანეთის დაახლოება, რადგანაც უკანასკნელის კოლონიები აჯანყებაში იყვნენ ჩაბმულნი და ფერდინანდ VII-ეს არ შეეძლო სხვისი დახმარების გარეშე მეამბოხეთა დაშოშმინება. იმ დროს ბოლივარი წარმატებით ბრძოლას ეწეოდა კარაკასიდან ბოგოტამდე (1816-1817), სენ-მარტინი ემზადებოდა ჩილეს საბოლოო განთავისუფლებისათვის, ყალიბდებოდა არგენტინის კონფედერაცია, პარაგვაი დამოუკიდებლობით სარგებლობდა, პერუ იბრძოდა, ფერდინანდ VII-ის ძალაუფლება მხოლოდ მექსიკასა და ანტილიის კუნძულებზე ბოგინობდა. ესპანეთს მეზობელი პორტუგალიაც ეკიშპებოდა, სადაც განუკითხავად ბატონობდა ბრიტანეთი. ალექსანდრე I ცდილობდა დახმარებოდა ფერდინანდ VII-ეს პორტუგალიასთან კონკლაობაში, მაგრამ ინგლისის „ბრჭყალებს“ წააწყდა და უკან დაიხია. სამაგიეროდ მან ახალი პრობლემები შეუქმნა ლონდონს: რუსეთის მეფის რჩევით ფერდინანდმა თხოვნით მიმართა საღვთო კავშირს (1817) — დახმარებოდა მას კოლონიების დაჩოქებაში. ბრიტანეთის კაბინეტი, რომელიც ფარულად უჭერდა მხარს აჯანყებულებს, წინ აღუდგა ალექსანდრე I-ის მოწოდებას ლათინურ ამერიკაში აჯანყების კოლექტიურად ჩახშობის შესახებ. მაშინ ხელმოცარული რუსეთის იმპერატორი დაუახლოვდა საფრანგეთს, სადაც მთავრობის სათავეში მისი მეგობარი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი ჰერცოგი რიშელიე იდგა. თავის მხრივ პარიზი იმედოვნებდა, რომ ალექსანდრეს შემწეობით საფრანგეთი, გადაიხდიდა რა კონტრიბუციას, სულ მალე განთავისუფლდებოდა ოკუპანტებისაგან.

რუსეთის იმპერატორი ესპანეთში თუ აბსოლუტისტურ პოლიტიკას ატარებდა, ხოლო საფრანგეთში კონსტიტუციურს (ეს მან მიაღებინა ლუი XVIII-ეს „1814 წლის ქარტია“.), სხვა ქვეყნებში მისი დიპლომატია ლიბერალური ხასიათისა იყო. ეს მდგომარეობა ძალიან აწუხებდა მეტერნიხს, რომელმაც იცოდა, რომ ალექსანდრე I ავსტრიის სამფლობელოებში, კერძოდ იტალიაში, კარბონარებს და სხვადასხვა სექტებს ანტიავსტრიული მოძრაობისთვის აქეზებდა, ხოლო გერმანიაში, სადაც დიდი იყო ავსტრიის გავლენა, რუსეთის მეფის ბევრმა ნათესავმა მონარქმა თავის ხალხს ლიბერალური კონსტიტუციები უბოძა (ან აპირებდა ბოძებას). ალექსანდრე I-ის „იაკობინელობით“ შეშფოთებულმა კანცლერმა აქტიურად დაიწყო მისი „გონზე მოყვანა“ და დაარწმუნა მონარქი იმაში, რომ მეფის „ლიბერალობასთან“ თამაში დიდ ხანძარს გამოიწვევდა ევროპაში, დაანგრევდა იმ შენობას, რომელსაც თავად ჩაუყარა საფუძველი. მეტერნიხის ბოროტმა გენიამ საწადელს მიაღწია — ალექსანდრე I კონტრრევოლუციონერთა ბანაკში გადაბარგდა. უფრო მეტიც,

მან რეაქციული პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდა ჩინელებს, სამაგიეროდ თანადგომას დაპირდა ახენის კონგრესზე, რომელსაც ევაკუაციის საკითხი უნდა განეხილა.

მართლაც, ახენში შეკრებილმა კონგრესმა (1818) დაადგინა, რომ მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთს დატოვებდნენ არაუგვიანეს 30 ნოემბრისა და რომ ნოემბრიდან ამ ქვეყანას თანაბარი უფლებებით მიიღებდნენ დიდ სახელმწიფოთა კონცერტში. 1818 წ. 15 ნოემბერს ხუთი დიდი ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ოქმს, რომლითაც საღვთო კავშირს შეეძლო (პერიოდულად მოწვეული კონგრესების გადაწყვეტილებით) „წესრიგი აღედგინა“ (ანუ ჩაესშო რევოლუციები) ნებისმიერ სახელმწიფოში, თუკი მისი მონარქი ასეთი თხოვნით მიმართავდა პენტარქიას (ხუთეულს).

სულ მალე საღვთო კავშირი სწორედ ასეთი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. 1819 წლიდან მოყოლებული ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია) „მომრავლდა“ ფეოდალური რეჟიმის წინააღმდეგ საზოგადოების სხვადასხვა ფენების გამოსვლები. რეაქციამ პირველი დარტყმა გერმანიაში დაწყებულ დემოკრატიულ მოძრაობას მიაყენა. გერმანიის კავშირის სახელმწიფოებში კონსტიტუციების მიღებით, ხალხის გამოღვიძებით, სტუდენტური მოძრაობის გაქანებით შეშფოთებულმა მეტერნიხმა ისე დააშინა პრუსიელი ფრიდრიხ-ვილჰელმ III, რომ აიძულა იგი ხელი მოეწერა კონვენციისათვის (კარლსბადი, 1819 წ. 1 აგვისტო), რომელიც ითვალისწინებდა დაუნდობელ ბრძოლას დემოკრატიის, კონსტიტუციური რეფორმის, უნივერსიტეტებში საღი აზრის და პრესის თავისუფლების წინააღმდეგ. ამ დრაკონული კანონმდებლობით გერმანიაში ხანგრძლივი დროით დამყარდა უკიდურესი ტერორისა და ცენზურის ბატონობა.

სულ სხვა სიტუაციას ჰქონდა ადგილი ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში. ამ ქვეყნებში რევოლუციების შედეგად მიიღეს ლიბერალური კონსტიტუციები, რომლებმაც გვარიანად შეზღუდეს მონარქთა აბსოლუტიზმი.

რევოლუციის მიმართ კავშირის პოლიტიკის განსაზღვრისათვის 1820 წ. 25 ოქტომბერს ტროპაუში (ოპავა) შეიკრიბა კონგრესი, რომელმაც თავისი „მოღვაწეობა“ ლაიბახში (ლუბლიანა) გააგრძელა (1821). კონგრესზე განხილეს ნეაპოლის ამბები. მეტერნიხმა, ყველაზე მეტად იყო რა შეშფოთებული რევოლუციის გაქანებით იტალიაში, მოკავშირეებს ავსტრიის ჯარებით მისი ჩახშობის იდეა შესთავაზა. კანცლერს მხარი დაუჭირეს რუსეთისა და პრუსიის მეფეებმა; რაც შეეხება კენტლრის (ინგლისი) და რიშელიეს, მათ თავი შეიკავეს (თუმცა არც ერთს არ სურდა აპენინის ნახევარკუნძულზე ავსტრიის ეაბატონება), რითაც „მწვანე შუქი“ მისცეს ავსტრიელთა ინტერვენციას.

1821 წ. 21 მარტს ნეაპოლის სამეფოში აღდგა ფერდინანდ I-ის აბსოლუტიზმი.

მეტერნიხი არ „დაუმშვიდებია“ ამ წარმატებას. მას სჯეროდა, რომ „წესრიგის აღსადგენად“ ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო „გასაკეთებელი“. მართლაც, რევოლუციური მოძრაობა მოედო ესპანეთს, პორტუგალიას, მათ კოლონიებს, ბალკანეთს. „მავნე სენის“ საფრანგეთში შეჭრის შიშით ლუი XVIII-ის მთავრობამ სამხრეთ დეპარტამენტში (ესპანეთის საზღვრებთან) შექმნა ე. წ. „სანიტარული კორდონი“ (ვითომდა „ყვითელი ციების“ საწინააღმდეგოდ), რომელიც შემდეგში დიდ საჯარისო შენაერთად იქცა.

1822 წ. თებერვალში ესპანეთის ხელისუფლების სათავეში რადიკალები („ეკსალტადოს“) მოვიდნენ. რიეგო (აჯანყების ხელმძღვანელი) კორტესების პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო სან-მიგელი—მთავრობის მეთაურად. ფერდინანდ VII-მ ამ დროისათვის საბოლოოდ დაკარგა ჩილე, არგენტინა, პერუ,



კოლუმბია, ხოლო მექსიკამ ავტონომიას მიაღწია. რევოლუციამ გაიმარჯვა პორტუგალიაშიც; ჟოაო VI-მ სცნო კონსტიტუცია, ხოლო ბრაზილიის მმართველობა უფროს შვილს, დონ პედრუს ჩააბარა. 1822 წ. იანვარში ბრაზილიელებმა დონ პედრუს დამფუძნებელი კრება მოაწვევინეს, რაც ქვეყნის პორტუგალიისაგან გამოყოფას ნიშნავდა.

ბუნებრივია, საღვთო კავშირი მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდა, განსაკუთრებით რუსეთი და ავსტრია. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც კოლონიების ემანსიპაციას უწყობდა ხელს, ინგლისი იყო. მისი მთავრობის ხელმძღვანელები ველინგტონი და კენტლრი მეტერნიხზე ნაკლები რეაქციონერები როდი იყვნენ და სწორედ ამიტომ უჭირდათ მათ ამკარად დახმარებოდნენ ამერიკაში იმ საქმეს, რომელსაც მთელი სისასტიკით უსწორდებოდნენ საკუთარ ქვეყანაში. ასეთი გაორებული ვითარება უმოქმედობაში ამყოფებდა კენტლრის და იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ბრიტანეთი კარგა ხნით არ ჩარეოდა ამერიკის ამბებში. ინგლისისაგან ამ მხრივ საღვთო კავშირს ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრებოდა, სამაგიეროდ აღმოსავლეთში დასთებულმა ხანძარმა მთელს ევროპაში დენთის სუნი დააყენა.

მოლდავეთსა და ვალახეთში დაწყებული აჯანყება, რომელსაც ალ. იპსილანტი მეთაურობდა, სისხლში ჩაახშო თურქეთმა. მოძრაობის ბელადი ავსტრიაში გადავიდა და მეტერნიხმა იგი ციხეში ჩასვა. აჯანყება ბალკანეთის ცენტრსა და სამხრეთში გავრცელდა, ჰეტერისტებს მთელი ელადა მიემხრო და განმათავისუფლებელ ომში ჩაება. სულ მალე ნავარინი და ტრიპოლიცა ისსურგენტების ხელში აღმოჩნდა. მორეაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საბერძნეთში ხალხმა სამი სენატი აირჩია (1821 წ. ნოემბერი), ხოლო მალე—ქვეყნის გაერთიანებული კრება. 1822 წ. იანვარში ჩამოყალიბდა ელინთა ცენტრალური მთავრობა. სულთანი დაიბმა, მას არც თანხები გააჩნდა და არც არმია (მისი ჯარი ვალახეთსა და მოლდავეთში იყო „დაბმული“). გარდა ამისა, პორტას წინააღმდეგ ამბოხებული ეპირის ფაშა, ალი ტებელენი, არ ნებდებოდა. ასე რომ, ბერძენთა საბოლოო გამარჯვება და ოტომანთა იმპერიის დამხობა ეჭვს არ იწვევდა. ელინებს ალექსანდრე I-ის იმედი ჰქონდათ, მას ხომ მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანთა დამცველად მოჰქონდა თავი. მაგრამ კონსტანტინოპოლში status quo-ს შენარჩუნების მომხრე მონარქები არ იყვნენ დაინტერესებულნი ევროპაში ახალი გართულებებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ალექსანდრემ ზურგი შეაქცია თავისუფლების იდეებს და, ბუნებრივია, ბერძნებსაც. გაჭრა მეტერნიხის ჩაგონებამ—რუსთ ხელმწიფემ გაღააგდო ელიბერალის („იაკობინელის“) ნიღაბი და გადააყენა ის მრჩევლები (კაპოდისტრია, სტროგახოვი და სხვ.), რომლებიც თურქეთის დანგრევისა და ქრისტიანი ხალხების განთავისუფლებას აეედრებდნენ მას. ამასვე მოითხოვდა მართლმადიდებლური რუსეთიც... დიდი ყოყმანის შემდეგ ალექსანდრე I-მა თურქეთის დივანს მკაცრი ულტიმატუმი გაუგზავნა (28 ივნისი). მან ეს დოკუმენტი ძალიან მოხერხებულად შეადგინა. მასში აღნიშნულია, რომ საბერძნეთის საკითხი არა მარტო პეტერბურგს, არამედ მთელ ევროპას აინტერესებს, რომ ოტომანთა იმპერია არ იქნებოდა შენარჩუნებული კონტინენტზე სიმშვიდისა და წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში. „ბრწყინვალე პორტა,—ნათქვამია, ულტიმატუმში,— აიძულებს ქრისტიანულ სახელმწიფოებს, იკითხონ: შეუძლიათ კი მათ დამშვიდებით უყურონ ქრისტიანი ხალხის სრულ მოსპობას, რელიგიის შეურაცხყოფას და დაუშვან არსებობა სახელმწიფოსი, რომელიც ემუქრება ევროპის მიერ დიდი მსხვერპლის გაღების ფასად მოპოვებულ მშვიდობას“.

ულტიმატუმი შემდეგი პირობების შესრულებას მოითხოვდა: 1) აღედგინათ მუსულმან-ფანატიკოსთა მიერ დანგრეული ეკლესიები; 2) მიეცათ უს

ფრთხოების გარანტიები ქრისტიანული რელიგიისათვის; 3) არ დაესაჯათ ის ქრისტიანები, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ომში და დაენდოთ ის, ვინც მომავალში დამორჩილდებოდა სულთანს; 4) თურქეთი სამთავროებიდან (მოლდავეთი და ვალახეთი) გაიყვანდა ჯარს და აღადგენდა ტრაქტატით დადგენილ რეჟიმს.

ალექსანდრე I-მა ევროპის მონარქებს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც აღნიშნა, რომ მის მოქმედებაში არც პატივმოყვარული ზრახვები იღო და არც სიმპათიები რევოლუციისადმი; პირიქით, საღვთო კავშირის სახელით რუსეთის მეფე წარმეუხრელად ჩაახშობდა ბერძენთა აჯანყებას. ნოტაში იმპერატორი ეკითხებოდა მოკავშირეებს, რას მოიმოქმედებდნენ ისინი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისა და უკანასკნელის მოსპობის შემთხვევაში (ანუ როგორ გაინაწილებდნენ მის მემკვიდრეობას). ალექსანდრე და მისი მინისტრები არ ფარავდნენ, რომ ულტიმატუმის მიუღებლობა ოსმალეთთან ომს დააჩქარებდა. მართლაც, თურქეთის უარმა და რუსეთის ელჩის (სტროგანოვის) მიერ კონსტანტინოპოლის დატოვებამ ევროპა შეაშფოთა. ალექსანდრემ ჯარები გადააადგილა, მაგრამ დაყოვნა საომარი ოპერაციების დაწყება: ევროპის დასტურს დაელოდა და... სასტიკი უარი მიიღო: მეტერნიხმა და კასტლრიმ ბერძნები მეამბოხეებად გამოაცხადეს, თან რუსთხელმწიფეს შეახსენეს, რომ „ქვეშევრდომთა დაშოშმინება“ კანონიერი ხელისუფლების, ანუ თურქეთის კომპეტენციაში შედიოდა.

ალექსანდრე I ამბიციური პიროვნება იყო და, ის რომ „დაებათ“, მოკავშირეებმა სულთანთან შუამავლობა აღუთქვეს, თან დაპირდნენ, რომ პორტა დააკმაყოფილებდა მისი ულტიმატუმის პირობებს. მეფეც დაღრკა და არჩია — დროებით გაეღეო თავისი გეგმების განხორციელება. ამასობაში ბერძნებმა დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღეს და ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადეს (1822 წ. 27 იანვარი). ამ ფაქტმა საბოლოოდ გააცივა იმპერატორის გული ელინთა მიმართ და, მიიღო რა შუამავლობა, მოითხოვა შემდეგი:

1) პორტა რეგულარულად და ოფიციალურად აცნობებს ხოლმე მას სამთავროებში გოსპოდარების დანიშვნის შესახებ;

2) თურქეთში აღადგენენ რუსი ვაჭრების პრივილეგიებს.

ვერონისკენ მიმავალ მეფეს (იქ უნდა გახსნილიყო მორიგი კონგრესი ევროპის სიმშვიდის) უმთავრეს მტრად ესპანეთის რევოლუცია მიაჩნდა, რომელიც, მისი აზრით, საღვთო კავშირს და კერძოდ, საფრანგეთს უნდა ჩაეხშო.

ვერონის კონგრესი 1822 წ. ოქტომბრის მეორე ნახევარში გაიხსნა. მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის და პრუსიის მეფეები, ავსტრიის იმპერატორი, იტალიელი მონარქები, ველინგტონი (ინგლისი), საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მონმორანსი და მისი თანაშემწე, რეაქციონერი რომანტიკოსი მწერალი შატობრიანი. ვერონაში არ ჩავიდნენ საფრანგეთის მთავრობის ახალი მეთაური ვილელი (მან რიშელიე, ალექსანდრე I-ის ერთგული მოკავშირე, შეცვალა) და ჯორჯ კანინგი, რომელმაც კასტლრის თვითმკვლელობის შემდეგ (1822 წ. 12 აგვისტო) ჩაიბარა ფორინ ოფისი. რუსეთის მეფის სურვილის წინააღმდეგ წავიდა ვილელი, ფრთხილი და ამავე დროს მტკიცე ხასიათის პოლიტიკოსი. ვილელს სრულებით არ „აწყობდა“ ესპანეთის საქმეებში ჩარევით ინგლისის გადაკიდება და თვით საფრანგეთში მემარცხენე ოპოზიციის ახმაურება. რაც შეეხება კანინგს, საღვთო კავშირისა და მეტერნიხის მტერს, მან ველინგტონის პირით განაცხადა, რომ ინგლისი არ მიიღებდა მონაწილეობას რუსეთის იმპერატორის გეგმის განხორციელებაში, არ დაუშვებდა პორტუგალიაში საღვთო კავშირის კოლექტიურ ინტერვენციას და შეინარჩუნებდა მოქმედების თავისუფლებას ესპანეთის და პორტუგალიის ამერიკულ კოლონიებთან ურთიერთობაში. ჯ. კანინგის კატეგორიული განცხადებიდან ჩანდა: ფრანგების მიერ რევოლუციის ჩახშობით ესპანეთსა და მის მეზობელ პორტუგალიაში, სადაც ინგლისელები ბატონობდნენ, ძალიან გაიზრდებოდა საფრანგეთის გავლენა, პარიზის გავლენა ამ ორი სახელმწიფოს კოლონიებზეც გავრცელდებოდა, რაც სრულებით არ შედიოდა ბრიტანეთის პოლიტიკურ (კომერციულ) გეგმებში.

მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: მეტერნიხმა და პრუსიის მეფემ მხარი დაუჭირეს ალექსანდრე I-ის წინადადებას (კანცლერი იმედოვნებდა, რომ ესპანეთის საკითხი მეფის ყურადღებას აღმოსავლეთის საქმეებიდან პირინეის ამბებზე „გადართავდა“.) და მონმორანსი იძულებული გახდა შეთანხმებოდა ინტერვენციის გეგმას. 1823 წ. გაზაფხულზე საფრანგეთის არმია ანგულემის ჰერცოგის (იგი შვილი იყო შარლ დ'არტუასი) მეთაურობით შეიჭრა ესპანეთში, დაიკავა მადრიდი (მაისი), იოლად გატეხა ესპანელ პატრიოტთა წინააღმდეგობა და „გადათავისუფლა“ კორტესების „ტყვეობაში“ მყოფი ფერდინანდი. ამ უკანასკნელმა იქვე გააუქმა 1812 წ. კონსტიტუცია და ქვეყანაში დესპოტური რეჟიმი დაამყარა (რიეგო ჩამოახრჩვეს).

კონტრრევოლუციამ პორტუგალიაშიც გაიმარჯვა: საღვთო კავშირის ჩარევის გარეშე ადგილობრივმა არისტოკრატიამ დაამხო ლიბერალური მთავრობა და მიხრწნილი მეფის, ჟოაო VI-ის აბსოლუტური რეჟიმი აღადგინა. რეაქციის ზეიმი საფრანგეთშიც დაიწყო; იქ 1824 წ. სექტემბერში ტახტზე ავიდა ულტრაროიალისტების წინამძღოლი შარლ X, ყოფილი გრაფი დ'არტუა. ვერონის კონგრესმა აღმოსავლეთის საკითხსაც „მიხედა“. ალექსანდრე I-მა კვლავ განაცხადა თანხმობა შუამავლობაზე, ხოლო ბერძნებისადმი დახმარებას საერთოდ შეაქცია ზურგი (ვერონის კონგრესმა ღირსადაც არ ჩათვალა იტალიაში სპეციალურად ჩამოსული ელინთა დელეგაციის მიღება). კონგრესმა მუშაობა 1822 წ. 14 დეკემბერს დაასრულა. სამი მონარქი ახლაც შეკავშირდა (ისე, როგორც ლაიბახში) ერთადერთი მიზნით—ყველგან მოესპოთ რევოლუციის სახსენებელი.

რეაქცია ზეიმობდა, მაგრამ დიდ სახელმწიფოებს ინგლისის მხარდაჭერა მოაკლდათ. ეყრდნობოდა რა თავის ეკონომიკურ ძლიერებას, დიდი ბრიტანეთი ძველ, ტრადიციულ პოლიტიკას აგრძელებდა, რაც მოქმედების თავისუფლებაში მდგომარეობდა. ასე რომ, საღვთო კავშირს ჯ. კანინგის სახით დიდი დამანგრეველი ძალა დაუპირისპირდა.

1824 წ. მიწურულიდან საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტში ინიციატივა ინგლისის ხელში გადავიდა. კანინგმა კარგად იცოდა, რომ ესპანეთში რევოლუციის ჩახშობის შემდეგ ალექსანდრე I სერიოზულად ემზადებოდა ოტომანთა პორტასთან ომისათვის, და რომ იგი კონფერენციის მოწვევას აპირებდა საბერძნეთის პრობლემების განსახილველად. კანინგი, ვითარცა დიპლომატი და ჭეშმარიტი ბრიტანელი, არ დაუშვებდა თურქეთის განადგურებას და სწყალობდა ზღვაში რუსეთის გაბატონებას. ამიტომ საჭირო იყო მოქნილი დიპლომატია და მეფის „ხაფანგში გაბმა“ (კომპრომეტირება).

კანინგმა თანხმობა განაცხადა კონფერენციაზე თავისი წარმომადგენლის გაგზავნის თაობაზე, მაგრამ მოითხოვა, რომ რუსეთს მის გახსნამდე წამოეყენებინა საბერძნეთის გარდაქმნის პროექტი. ალექსანდრემ ხუთეულს საიდუმლო ნოტა გაუგზავნა (მისი შინაარსის შესახებ რაღაც მანქანებით მთელმა სამყარომ შეიტყო), რომელშიც აცხადებდა, რომ, მისი აზრით, აჯანყებული ტერიტორია უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად, რომელთაგან თითოეული მოლდავეთის მსგავსად თურქეთის ვასალი იქნებოდა. ცხადია, ასეთი წინადა-

დება გააბრაზებდა სულთანს (ის ხომ მეამბოხეების სრულ მორჩილებას მოითხოვდა!) და აღშფოთებას გამოიწვევდა ბერძნებში (ისინი უეჭველად უარყოფდნენ ქვეყნის დახმარებას და ვასალურ დამოკიდებულებას). ამრიგად, რუსეთის მთავრობამ თავისი ეგოისტური ზრახვები გამომაჟღავნა. პროექტიდან გამომდინარე, რუსეთი პირებდა ოტომანთა იმპერიის მოსპობას, მაგრამ, იმავდროულად, არ იყო დაინტერესებული თავისუფალი, ერთიანი და ძლიერი საბერძნეთის სახელმწიფოს შექმნით. იოლი წარმოსადგენია, თუ რა სარგებლობა მოუტანა ამ დოკუმენტმა ინგლისის დიპლომატებს ნავპლიონსა (ამ ქალაქში 1823 წლიდან იმყოფებოდა ელადის მთავრობა) და კონსტანტინოპოლში.

კონფერენციის მოწვევის საკითხი ლონდონისა და ვენის ხრიკების წყალობით გაჭიანურდა, ამასობაში კი იბრაჰიმ-ფაშა დიდი არმიით მორეასაკენ დაიძრა. საცოდავი საბერძნეთი, ამ დროს შინააშლილობით დასუსტებული, დიდი ხნით ვერ შესძლებდა ამ მრისხანე ძალასთან გამკლავებას. ამიტომ ბერძნებმა დახმარებისათვის საფრანგეთსა და ბრიტანეთს მიმართეს, თან ელადის ტახტი ფრანგს, ნემურის ჰერცოგს, შესთავაზეს. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა კანიხს უფრო გაბედულად ემოქმედა ავანყებულ ელინთა სასარგებლოდ. რუსეთის გეგმა ივნისში გასმაურდა: საფრანგეთის მთავრობამ დაგმო იგი, ბრიტანეთმა კი განაცხადა, რომ არ მიატოვებდა ბერძნებს მაშინ, როცა მისი შუამავლობა მათ ჰაერივით ესაჭიროებოდათ. თან ის ფაქტი, რომ ლონდონმა საქვეყნოდ დაამყარა ურთიერთობა საბერძნეთის მთავრობასთან, მიუთითებდა იმაზე, რომ იგი მეომარ მხარედ აღიარებდა მას. კანინგმა პეტერბურგს განუცხადა შემდეგი: 1. არც პორტა და არც საბერძნეთი არ მიიღებდნენ კოლექტიურ ჩარევას და „შერიგების“ მეფისეულ გეგმას; 2. ინგლისი არაა თანახმა, რომ მეომარ მხარეებს ძალით მოახვიონ თავს შუამავლობა; 3. თვით ინგლისი ინარჩუნებს მოქმედების თავისუფლებას ყველაფერ იმაში, რაც ეხება აღმოსავლეთის საკითხს.

ალექსანდრე I-ს იმედი ჰქონდა, რომ კოლექტიური ჩარევის გეგმას მიემხრობოდნენ ავსტრია და პრუსია, მაგრამ ფრანც I-მა გააწბილა იგი. 1825 წ. 25 აპრილს, კონფერენციაზე, რომელიც თებერვალში გაიხსნა პეტერბურგში, ხელი მოაწერეს უმნიშვნელო ხასიათის ოქმს. მისი ძალით სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობდნენ: ეთხოვოს პორტას, ნებაყოფლობით დაამყაროს მეამბოხე ქვეშევრდომთა მოთხოვნები და უარის შემთხვევაში შესთავაზონ მას შუამდგომლობა. თურქეთმა დაჟინებით უარყო ეს მოთხოვნები. სულთანმა განაცხადა, რომ სანამ მეამბოხეები არ დამორჩილდებოდნენ, ის არავითარ გარანტიებს არ მისცემდა მათ და არ მიიღებდა სხვათა შუამავლობას. მაჰმუდ II იმ დროს მორეაში იბრაჰიმის წარმატებებმა გაათამამა. მართლაც, ეგვიპტელებმა მაისში აიღეს ნავარინი, ტრიპოლიცა და მიადგნენ ნავპლიონს. მეტერნიხი ზეიმობდა, თან ტრაბახობდა, რომ ეს მან მოაგებინა დრო თურქებს და „გააცურა“ რუსი ხელმწიფე. ის იქამდე გათავხედდა, რომ ალექსანდრეს კონფერენციის გაგრძელება შესთავაზა (ივლისი). გაბრისხებულმა მეფემ უპასუხა, რომ კონფერენცია დაიხურა და ელადის დაშოშმინებამ მისთვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რომ ამიერიდან ის აღარ მიმართავს ევროპას და თავად გაუსწორებს ანგარიშებს თურქეთს.

მართლაც, რუსეთის მთავრობამ მკაცრად მოითხოვა სულთანისაგან სამთავროებიდან ჯარის გაყვანა, სერბებისათვის ავტონომიის მინიჭება და ციხიდან მათი დეპუტაციის გათავისუფლება. ამ ულტიმატუმის გასაძლიერებლად მეფემ გაზარდა არმიის კონტიგენტი მდ. პრუტთან და თავად სამხრეთ გუბერნიებისაკენ გაეშურა (სექტემბერი).

ბერძნები არ ნებდებოდნენ, თანაც მოხდა საოცარი ფაქტი: უკანასკნელი შტურმის ნაცვლად იბრაჰიმი უეცრად დადგა, მერე კი ტრიპოლიცისკენ დაიხია. ყველაფერი ეს ინგლისის დემარშმა გამოიწვია: ბრიტანეთი, რომლის საზოგადოება ელინთა საქმეს თანაუგრძნობდა, ომში ჩარევით დაემუქრა ეგვიპტის ფაშას და აიძულა იგი გასცლოდა ნავპლიონს. ეს უკანასკნელი გადარჩა, მაგრამ ეგვიპტელები მაინც ფლობდნენ მორეას, ხოლო მისოლუნგი ალყაში იყო (იქ გარდაიცვალა დიდი პოეტი ჯ. ბაირონი). ინგლისის აგენტებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რათა ბერძნებს ლონდონისათვის ეთხოვათ დახმარება და მეფის კანდიდატურის გამოძებნა. არჩევანი ლეოპოლდ საქსენკობურგზე შეჩერდა, რომელიც ბრიტანელთა სიძე იყო და ლონდონში ცხოვრობდა (ლეოპოლდის მეუღლე, შარლოტა, უელსის პრინცის ასული, იმხანად 10 წლის გარდაცვლილი იყო). კანინგმა თავის მიზანს მიაღწია: ელადა მწიფე ნაყოფივით ჩაუვარდა ხელში, ხოლო აღმოსავლეთის საკითხი ლონდონის გარეშე არ გადაწყდებოდა. მეტერნიხზე განრისხებული ალექსანდრე I ინგლისს დაუახლოვდა და შუამავლობა თხოვა. ავსტრიამ, პრუსიამ და საფრანგეთმაც ანალოგიური წინადადებებით მიმართეს ფორინ ოფისს. იქნებ ამით დიდ სახელმწიფოებს ინგლისის კომპრომეტირება ამოძრავებდით? იქნებ რუსთხელმწიფე ვარაუდობდა ახლო მომავალში თურქეთისათვის ომის გამოცხადებას და სამთავროების ხელში ჩაგდებას? ვინ უწყის, იქნებ ასეც სურდა მას? კანინგი ფრთხილობდა. მან აცნობა ალექსანდრე I-ს, რომ, თუ მისი არმია გადალასავდა პრუტს, ინგლისელები დაიკავებდნენ მორეას და საბერძნეთის კუნძულებს. ევროპაში ვითარება დაიძაბა, მაგრამ ტაგანროგში მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ (1 დეკემბერი) კონტინენტის ყურადღება გადაიტანა რუსეთზე, სადაც დიდი ამბები დატრიალდა: კერძოდ, კონსტანტინე პავლეს ძემ უარი თქვა ტახტზე თავისი უმცროსი ძმის, ნიკოლოზის სასარგებლოდ, მის გამეფებას კი დეკაბრისტების აჯანყების ჩახშობა მოჰყვა (25 დეკემბერი).

* * *

ნიკოლოზ I თითქმის ყაზარმებში აღიზარდა და მისი აზროვნება მხოლოდ სამხედრო წესებითა და ბრძანებების გაცემით იფარგლებოდა. იგი არ იყო გარდაცვლილ ძმასავით მეოცნებე და ლიბერალი. პირიქით, რევოლუციურ მოძრაობას მასზე მრისხანე მტერი არ ჰყოლია მთელი 30 წლის მანძილზე. მაგრამ ალექსანდრეს დარად ისიც ოცნებობდა ოტომანთა იმპერიის დანგრევაზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თურქეთის ისეთ დასუსტებაზე, რომ იგი მისი მონა-მორჩილი გამხდარიყო. ნიკოლოზ I იყო პირდაპირი, უხეში, საქმის ბოლომდე მიმყვანი. მან ტახტზე ასვლისთანავე განაცხადა, რომ ბოლოს მოუღებდა ოსმალეთს, თუ იგი ექვს კვირაში არ დააკმაყოფილებდა რუსეთის პრეტენზიებს სამთავროების და სერბების შესახებ. რაც შეეხება ბერძნებს, ნიკოლოზ I მათ რევოლუციონერებად (ბარბაროსებადაც!) თვლიდა და ამბობდა, რომ ხელსაც არ გაანძრევდა მათთვის. მაგრამ ამ ფრაზებს არ შეეძლო კანინგის მოტყუება. მან კარგად იცოდა, რომ მეფე გულითად ურთიერთობაში იყო ბერძენთა მეგობრებთან (სპერანსკი, კაპოდისტრია). ყოველ შემთხვევაში, თუ იგი პრაქტიკულად არ დაეხმარებოდა ელინებს, მისი არმიის შეჭრა სამთავროებში აიძულებდა სულთანს საბერძნეთიდან დუნაიზე გადმოესროლა ჯარები, რაც ელინთა საქმეს წაადგებოდა. კანინგი დილემის წინაშე აღმოჩნდა: მას არ სურდა არც რუსეთის გაბატონება ბალკანეთში (პორტას დამარცხების შემთხვევაში), არც თურქეთის იმპერიის დანგრევა და არც ძლიერი საბერძნეთის სახელმწიფოს შექმნა. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრიტანეთისათვის სწორი გამოსავალი იპოვა, კერძოდ, პეტერბურგში „აფრინა“ ველინგტონი (1826 წ. თებერვალი) შემდეგი წინადადებებით:

1) ინგლისი იკისრებს მეფისა და სულთნის შერიგებას; 2) ინგლისი გააგრძელებს შუამავლობას თურქეთსა და ელინებს შორის.

პირველ წინადადებაზე ნიკოლოზ I-მა სასტიკი უარი განაცხადა (ეს ჩემი პირადი საქმეაო), ხოლო მეორეზე—ხელები დაიბანა, საბერძნეთი არ მაინტერესებსო. 4 აპრილს პეტერბურგში გაფორმდა ოქმი, რომლის შესახებ მალე მთელმა ევროპამ შეიტყო. ამ ოქმის (და ბრიტანეთის შუამავლობის) მიხედვით საბერძნეთი ღებულობს ავტონომიას და ხარკს უხდის სულთანს. ბერძნების მიერ არჩეულ პრემიერს ამტკიცებს პორტა; პეტერბურგის შეთანხმება ძალაში რჩება იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება მეფის დამოკიდებულება თურქეთისადმი.

კანინგი კმაყოფილი დარჩა. ის ფიქრობდა, რომ ამ შეთანხმებით მრისანე ხელმწიფე თავის პოლიტიკას „გამოაბა“, თან უხაროდა, რომ შეძლო პეტერბურგსა და ვენას შორის „განხეთქილების ვაშლის“ ჩაგდება (მას ხომ პათოლოგიურად სძულდა მეტერნიხი!).

ავსტრიის კანცლერი საგონებელს მიეცა, რაშეთუ არც მას „აწყობდა“ თურქეთის დაშლა და ბალკანეთში რუსეთის გაბატონების პერსპექტივა. ამიტომ იგი დაბეჯითებით თხოვდა სულთანს, დაეკმაყოფილებინა ნიკოლოზ I-ის პრეტენზიები.

იმ დროისათვის მაჰმუდ II-ს ძალიან უჭირდა: ულტიმატუმის ვადა შაგრენის ტყავივით მცირდებოდა, რუსეთი ახლა თუ არა, მომავალში მაინც მოითხოვდა შეღავათებს ბერძნებისათვის; იანიჩარებმა დიდი ამბოხება წამოიწყეს სტამბულში, მაგრამ სულთანს მის ჩასახშობად საკმარისი ძალები არ გააჩნდა. ამის გამო მან დათმო: გაათავისუფლა სერბი დეპუტატები, სამთავროებიდან გამოიყვანა ჯარი და 7 ოქტომბერს აკერმანში (საზღვარზე) ხელი მოაწერა რუსეთთან კონვენციას, რომელიც ამტკიცებდა ბუქარესტის ტრაქტატის მთავარ მუხლებს. ამიერიდან მოლდაველი და ვალახეთი თავისი წარჩინებულების წრიდან აირჩევდნენ გოსპოდარებს (მანამდე მათ კონსტანტინოპოლიდან უგზავნიდნენ სამთავროებს); სერბები მიიღებდნენ ავტონომიას; მეფე აზიაში შეინარჩუნებდა იმ ტერიტორიებს, რომლებიც მოცემულ მომენტში ეკავა მის ჯარს; რუსი სოვდაგრები თავისუფლად ივაჭრებდნენ ოსმალეთის პორტებში.

აკერმანის კონვენციამ დროებით გადაწია რუსეთ-თურქეთის ომი, მაგრამ შეთანხმებამ, მიუხედავად ომის თავიდან აცილებისა, მაინც „ააყვირა“ მეტერნიხი. მან ინგლისისა და რუსეთის მთავრობებს აცნობა, რომ მეამბოხე ბერძნების დაშოშმინება მხოლოდ სულთნის (და არა მოკავშირეების) საქმეაო. რაც შეეხება ვილელს, მან საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის (იგი ბერძნებს თანაუგრძნობდა) გათვალისწინებით, მოითხოვა რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის შეკავშირება აღმოსავლეთის საკითხში.

10 აპრილს ჯ. კანინგი პრემიერ-მინისტრად დანიშნეს და იგი მთელი ენერგიით შეუდგა ელინთა საქმის დაცვას.

თურქეთის სულთანმა, რომლის ჯარები წარმატებით იბრძოდნენ საბერძნეთში (მათ აიღეს ათენი, ხოლო მისოლუნგი სადაცაა დაეცემოდა), ამაყად უარყო 4 აპრილის კონვენციის პირობები შუამავლობის შესახებ. ამის პასუხად 1827 წ. 6 ივლისს ლონდონში დიდი სახელმწიფოების ელჩებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც იხსნა ელადა. 18 ოქტომბერს ინგლის-რუსეთის-საფრანგეთის გაერთიანებული ესკადრა მიადგა ნავარინს და იბრაჰიმს საბერძნეთის დატოვება მოთხოვა. ეგვიპტელი ფაშის უარს მისი ფლოტის სრული განადგურება მოჰყვა.

სულთანს ჭკუა ვერ ასწავლა ნავარინის კატასტროფამ, პირიქით, მან ტრიუმვირატის ელჩებს კატეგორიულად მოთხოვა ზარალის ანაზღაურება და



ბოდიშის მოხდა. ელჩებმა მტკიცე უარით უპასუხეს (10 ნოემბერი) და დატოვეს კონსტანტინოპოლი (8 დეკემბერი). მაჰმუდ II, დაკარგა რა წონასწორობა, საღვთო ომზე და ქრისტიანების, განსაკუთრებით რუსი ვაჭრების, შევიწროებაზე გადავიდა. ეს ხელზე დაიხვია ნიკოლოზ I-მა და ომი გამოუცხადა პორტას (1828 წ. 26 აპრილი). რუსეთის ჯარმა გადალახა მდ. პრუტი (7 მაისი), ხოლო ფრანგებმა გაათავისუფლეს მორეა. 1829 წ. 20 აგვისტოს რუსთა გენერალმა დიბიჩმა აიღო ადრიანოპოლი და მიუახლოვდა კონსტანტინოპოლს. დივანი დაფრთხა და ზავი მოითხოვა, რომელიც 14 დეკემბერს გაფორმდა. მისი ძალით რუსეთის მეფე სულთანს ევროპაში უბრუნებდა იმ მიწებს, რომლებიც მისმა ჯარმა დაიკავა (გარდა დუნაის შესართავში მდებარე კუნძულებისა); აზიაში რუსეთმა შეიერთა ანაპა, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი და აწყური; დამტკიცდა სამთავროების და სერბების გარანტიები, რუსეთის ფლოტის სრუტეებში თავისუფალი ნაოსნობა და რუსი ვაჭრების პრივილეგიები მთელს ოსმალეთში. თურქეთი უსიტყვოდ შეუერთდა ტრაქტატს საბერძნეთის შესახებ.

ადრიანოპოლის ზავი რუსეთის დიდი გამარჯვება იყო. ნიკოლოზ I-ის გაბედული და მკაცრი პოლიტიკის შედეგად ოტომანთა პორტამ დაკარგა მოლდავეთი, ვალახეთი, სერბია და საბერძნეთი. იგი ყოველი მხრიდან დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა და მეფის კაპრიზებზე იყო დამოკიდებული. თურქეთმა აღიარა რუსეთის პროტექტორატი იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანებზე და ა. შ.

საბერძნეთის საკითხი კი ასე გადაწყდა: ლონდონის კონფერენციამ (1829 წ. ოქტომბერი) მოსპო ელინთა ურთიერთობა პორტასთან, ხოლო 1830 წ. 3 თებერვალს საბერძნეთი მონარქიად გამოცხადდა. მის ტახტზე გაითვალისწინეს პრინც ლეოპოლდის კანდიდატურა, მაგრამ მან უარი თქვა (ის პრინცესა ვიქტორიას მცირეწლოვანების გამო ბრიტანეთის რეგენტობას უმიზნებდა). დიდი ვაჭრობისა და დიპლომატიური ინტრიგების შემდეგ კონფერენციამ საბერძნეთს მისცა მეფე, ბავარიის 17 წლის პრინცის, ოტონის სახით (1832 წ. 7 მაისი).

## საერთაშორისო ურთიერთობანი 1830-1847 წლებში

ევროპის საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი სერიოზული კრიზისი XIX ს. 30-იანი წლების დამდეგს დაიწყო. 1830 წლის რევოლუციას საფრანგეთში (იქ გამეფდა ლუი-ფილიპე ორლეანელი) უშუალოდ მოჰყვა ბელგიის რევოლუცია და პოლონეთის აჯანყება. ამ ამბებმა კიდევ უფრო გაამწვავეს დამოკიდებულება დიდ სახელმწიფოებს, კერძოდ, ინგლისსა და რუსეთს შორის. საფრანგეთის ახალმა მეფემ ორიენტაცია ბრიტანეთზე აიღო და უველმხრივ ცდილობდა მასთან დაახლოებას (მან ელჩად ლონდონში გაგზავნა დიპლომატი ტალეირანი განაწესა). ეს ალიანსი წარმატებით დაგვირგვინდა ბელგიაში. ამ ქვეყანაში, რომელიც ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ნიდერლანდების სამეფოში შედიოდა, 1830 წ. 25 აგვისტოს რევოლუციამ იფეთქა. ბელგიელები ბრიუსელის აჯანყების შემდეგ მხოლოდ ადმინისტრაციულ ავტონომიას მოითხოვდნენ. მათ სისხლისმღვრელი ბრძოლების დროს შექმნეს დროებითი მთავრობა (4 ოქტომბერი), რომელიც უკვე დამოუკიდებლად მოქმედებდა. მალე აჯანყება გერმანიაშიც გავრცელდა და მან ახენ-კიოლნსაც უწია. ბრაუნშვაიგის ჰერცოგი გაიქცა, ხოლო ჰესენ-კასელის დიდი ჰერცოგი, საქსონიის მეფე და სხვა მონარქები იძულებული გახდნენ კონსტიტუციის მიღების დაპირებით დაეშოშმინებინათ ქვეშევრდომები. პრუსიისა და ავს-

ტრიის მთავრობებმა ჯარები სრულ წესრიგში მოიყვანეს და მოემზადნენ რევოლუციური აფეთქების ლიკვიდაციოდ.

ნიდერლანდების მეფემ, ვერ შეძლო რა ბელგიელთა წინააღმდეგობის გატეხვა, დახმარებისათვის საღვთო კავშირს მიმართა, მაგრამ ამაოდ: რუსეთი ტერიტორიულად ძალიან შორს იყო, ავსტრია იტალიის ამბებით იყო „დაბმული“ (იქაც დაიწყო რევოლუციური მოძრაობა), ხოლო პრუსიას ომით დაემუქრა საფრანგეთი და... ფრიდრიხ-ვილჰელმმა ხელი აიღო ინტერვენციაზე. ვენის კონგრესის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა, არ იყო მომხრე ნიდერლანდების სამეფოს დანაწევრებისა, მაგრამ რუსეთ-საფრანგეთის ალიანსის შიშით იძულებული გახდა მხარი დაეჭირა ბელგიის გამოყოფისათვის. მან მხოლოდ ერთი მოითხოვა,—ბელგია არ მოქცეულიყო საფრანგეთის ბატონობის ქვეშ. ტალეირანმა იგი ასეთი სიტყვებით დაამშვიდა: ლუი-ფილიპე არასოდეს არ შეიერთებს ბელგიას და არც რომელიმე თავის შვილს დასვამს იქ ტახტზეო. მან ბრიტანეთის მთავრობას კონფერენციის მოწვევა და ხუთეულის შეთანხმებით ბელგიის ბედის გადაწყვეტა შესთავაზა, თან აღნიშნა, რომ შეიძლებოდა იქ ნასაუ დინასტიის წარმომადგენლის გამეფება. ამ მოლაპარაკების შემდეგ ინგლისმა უარი განაცხადა ნიდერლანდების დახმარებაზე. რაც შეეხება რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას, მათ მოიწონეს კონფერენციის მოწვევის იდეა, რადგანაც იგი დროს მოაგებინებდა მათ. მართლაც, ამ ქვეყნებისა და საფრანგეთის ელჩები შეიკრიბნენ ლონდონში ლორდ ებერდინის, ფორეინ ოფისის მეთაურის, თავმჯდომარეობით. კონფერენციამ ორი დელეგატი—ერთი ფრანგი და ერთიც ინგლისელი—გაგზავნა ბრიუსელში, რაც ბელგიის მეომარ მხარედ ცნობას ნიშნავდა. ველინგტონის შეცვლამ გრეის ვიგ

9 ოქტომბერს მოკლეს ძმებმა მავრომიხალისებმა). და მისი ადგილის დაკავება მოკლულის ძმას, იოან-მარია-ავგუსტინ კაპადოსტრიას სურდა, მაგრამ ბერძნების უმრავლესობა წინ აღუდგა მის სურვილს. 1832 წ. 7 მაისს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ლონდონის კონფერენციამ საბერძნეთის ტახტი ლუდვიგ ბავარიელის ვაჟს, ოტონს, შეთავაზა. თითქოსდა ამით აღმოსავლეთში მძვიდობა დამყარდა, მაგრამ მოხდა პირიქით,—თურქეთის ვასალმა, ეგვიპტის ფაშამ მეჰმედ-ალიმ, დაკარგა რა მორეის მიღების შანსი, სირიის დაპყრობა განიზრახა. მისი შვილი იბრაჰიმი შეიჭრა ამ ქვეყანაში (1831 წ. დეკემბერი) და აღყა შემოარტყა სენ-ჟან-დ'აკრს, რომელიც 1832 წ. აიღო. სულთანმა იგი და მისი მომხრეები კანონგარეშე გამოაცხადა, მაგრამ იბრაჰიმი ამან ვერ შეაჩერა: 1832 წ. დასასრულისათვის იგი უკვე მცირე აზიის შუაგულში იყო. 21 დეკემბერს ეგვიპტის ფაშამ კონიასთან სასტიკად დაამარცხა თურქები და გეზი აიღო ბოსფორზე. იბრაჰიმ-ფაშა აცხადებდა, რომ იგი სულთნის ძალაუფლების განსამტკიცებლად მიდიოდა და არა იმპერიის დასანგრევად, ამიტომ მუსლიმანთა ნაწილი მის მხარეზე გადავიდა (კონსტანტინოპოლშიც კი). მაჰმუდი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას ეშინოდა, რომ სტამბოლში შესული ეგვიპტელი ფაშა სიცოცხლეს გამოასალმებდა და ხელში ჩაიგდებდა ძალაუფლებას.

ადრიანოპოლის ზავის შემდეგ რუსეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც შეძლო სულთნის გადარჩენა. ნიკოლოზ I-მა დაკმაყოფილა ხონთქრის თხოვნა და კონსტანტინოპოლში თავისი ერთ–ერთი ადიუტანტი, მუშრავიოვი, გაგზავნა. ამ უკანასკნელს თურქეთისთვის რუსეთის არმიითა და ფლოტით დახმარება უნდა შეეთავაზებინა. მურავიოვს, ამის გარდა, დაევალა იბრაჰიმ-ფაშასთან შეხვედრა და „გონზე მოყვანა“. მართლაც, 1833 წ. იანვრის დამდეგს იგი ალექსანდრიისკენ გაეშურა.

როგორ შეხვდნენ ევროპის დედაქალაქებში რუსეთის ამ ინიციატივას? პრუსიას სრულებით არ აინტერესებდა აღმოსავლეთი და განზე გადგა. მეტერნიხი, ეშინოდა რა რევოლუციისა და მის ჩახშობაში რუსეთის დახმარების, სჭირდებოდა, ლავირების და მოცდის პოლიტიკას დაადგა. ინგლისს გარკვეული ჰქონდა ირლანდიაში და არ შეეძლო სერიოზულად დაპირისპირებოდა რუსეთს, თანაც ნიკოლოზ I არწმუნებდა ლონდონს, რომ აღმოსავლეთში არ დაარღვევდა წონასწორობას. ტიუილრი სამი არჩევნის წინაშე დადგა: ან უნდა მიმხრობოდა რუსეთის მეფეს, ან დაეცვა მაჰმუდის საქმე, ან დახმარებოდა მეჰმედ-ალის. პირველი ინგლისთან კავშირის გაწყვეტას გამოიწვევდა, ეს კი არ სურდა ლუი-ფილიპეს. რჩებოდა მეორე ვარიანტი: ლონდონის სასარგებლოდ დახმარებოდა სულთანს და ამით გაეთავისუფლებია იგი რუსეთის ვასალობისგან. მაგრამ, მეორეს მხრივ, საფრანგეთის მეფეს სულაც არ სურდა, რომ მეჰმედ-ალის დაეკარგა გამარჯვებათა ნაყოფი (ეგვიპტის ფაშას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა საფრანგეთთან.). აქედან გასაგებია, თუ რა სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა ივლისის მთავრობა, და არაა გასაკვირი, რომ მან ვერ შეძლო ღირსეულად გამოსულიყო ამ ვითარებიდან. კონსტანტინოპოლში მისმა დესპანმა (ვარენმა), რომელსაც არც ელჩის რწმუნებები გააჩნდა და არც ავტორიტეტი, წერილი გაუგზავნა მეჰმედ-ალის, ხოლო კონიასთან გამარჯვებულ იბრაჰიმ-ფაშას ურჩევდა მიეღო ის წინადადებები და პირობები, რომლებსაც შესთავაზებდა მას თურქეთის სულთნის წარმომადგენელი ხალილ-ფაშა. ამ პირობებით ეგვიპტელები მიიღებდნენ სირიის სამხრეთის ოთხ ფაშალიკს (აკრას, ნაფლუზს, საიდას და იერუსალიმს), მაგრამ იმბრაჰიმმა უარით უპასუხა (მან მთელი სირია მოითხოვა) და კუთაჰიას მიადგა. მაჰმუდი სასოწარკვეთილებას მიეცა და 1833 წ. იანვრის ბოლოს დახმარებისათვის რუსეთის ფლოტს მიმართა. რუსეთის ელჩმა ბუტენევმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სევასტოპოლის ესკადრა კონსტანტინოპოლთან გამოჩნდებოდა. იმ დროისათვის ალექსანდრიიდან დაბრუნდა მურავიოვი. ეს მისია ძას გამოუვიდა: მეჰმედმა, ბოლოს და ბოლოს, ბრძანებით შვილის სვლა შეაჩერა. ეს რუსეთის პოლიტიკის ახალი წარმატება იყო. 20 თებერვალს ნიკოლოზის ფლოტმა ღუზა ჩაუშვა სულთნის სასახლის წინ. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა აქტიური მოქმედება. მათ 1833 წ. ძაისში შესძლეს დაზავების ჩამოგდება და ეგვიპტის არმიის წინსვლის შეჩერება. მაგრამ სულთანს გარანტიები სჭირდებოდა და ისინი რუსეთისაგან მიიღო. ასე იშვა რუსეთ-თურქეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება (1833 წ. 8 ივლისი), რომელსაც ხელი მოაწერეს უნკიარ-ისქელესში. ხელშეკრულება სულთანს რუსეთის სამხედრო დახმარების გარანტიას აძლევდა ეგვიპტელთა ახალი შემოჭრის შემთხვევაში, სამაგიეროდ მაჰმუდი ვალდებულებას უხსნიდა რუსეთის არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო ხომალდებსაც. უნკიარ-ისქელესის ხელშეკრულება აჰოგეა იყო მეფის რუსეთის პორტასთან ურთიერთობაში, მაგრამ იმავდროულად იგი აღმოსავლეთის საკითხში ინგლის-რუსეთის კომპრომისის (1826-1827 წ.წ.) დასასრულსაც ნიშნავდა. 1833 წ. ხელშეკრულებას შვიდი წლის ძალა ჰქონდა (1840 წლამდე) და ამ ხნის მანძილზე საფრანგეთი და ინგლისი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ მისი ნეიტრალიზაციისა და ახალი ხელშეკრულებით შეცვლისათვის. ამ ბრძოლას სათავეში ედგა ლორდი პალმერსტონი, რომელიც 35 წლის განმავლობაში (1830-1865 წ.წ.) ხელმძღვანელობდა ბრიტანეთის ფორინ ოფისს. თუ კანინგი აღმოსავლეთისა და კოლონიურ საკითხებში ქვემეხებითა და სუბსიდიების მეთოდებით მოქმედებდა, პალმერსტონმა აქცენტი გააკეთა აღმოსავლეთის ქვეყნების ბრიტანული სამრეწველო საქონლით გაჯერებაზე (რუსი ვაჭრები თურქეთის ბაზრებზე ვერ უმკლავდებოდნენ ინგლისელებთან კონკურენციას და ამაში მდგომარეობდა პორტაში რუსეთის გავლენის დაცემის ობიექტური მიზეზი).

* * *

როგორც კი შეიტყვეს უნკიარ-ისქელესის კონვენციაზე, პარიზისა და ლონდონის კაბინეტებმა ახსნა-განმარტებები მოითხოვეს პეტერბურგის სამეფო კარს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. მაშინ ინგლისმა და საფრანგეთმა ესკადრები გაგზავნეს არქიპელაგისკენ. ევროპა ომის მოლოდინში გაინაბა.

რუსეთის დიპლომატიის წარმატებამ ავსტრიის იმპერატორის მთავრობაც შეაშფოთა, მაგრამ მეტერნიხს იმ დროს რუსთხელმწიფის თანადგომა სჭირდებოდა[1] და თავი შეიკავა დემარშებისგან. ავსტრიის იმპერიის კანცლერს მხოლოდ და მხოლოდ ერთი, თანაც მრავალგზის ნაცადი, გამოსავალი რჩებოდა: რევოლუციური მოძრაობის გაქანებით დაეშინებინა რუსეთ–პრუსიის მეფეები და აეღორძინებინა საღვთო კავშირის მინაბული სული. მან შეძლო მშიმარა მოხუცის, ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ის, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. მისი ინიციატივით 1833 წ. სექტემბერში, მიუნხენგრეცში, გაიმართა მონარქების პირადი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ავსტრიის იმპერატორი და პრუსიის მეფე. ამ შეხვედრის შედეგად ავსტრიამ და პრუსიამ ოფიციალურად აღიარეს ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლა, რაც ნიშნავდა, რომ ავსტრია და პრუსია ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლას ეწინააღმდეგებოდნენ. ამ შეხვედრის შედეგად ავსტრიამ და პრუსიამ ოფიციალურად აღიარეს ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლა, რაც ნიშნავდა, რომ ავსტრია და პრუსია ნიკოლოზ I-ის ტახტზე ასვლას ეწინააღმდეგებოდნენ. ლაპარაკება იმპერატორებსა და პრუსიის კრონ-პრინცს შორის. აღმოსავლეთის საკითხში ავსტრიისა და რუსეთის მთავრობებმა ივალდებულეს ოტომანთა პორტას მთლიანობის დაცვა და მის საქმეებში დიდ სახელმწიფოებთან შეთანხმების გარეშე ჩაურევლობა. ბელგიასთან დაკავშირებით სამივე მონარქი

[1] იმ დროს პრუსიამ დაამთავრა საბაჟო კავშირის (ცოლფერაინის) შექმნა, რომელშიც გაერთიანდნენ მისი მეზობელი გერმანული სახელმწიფოები და ამით საფრთხე შეუქმნა ავსტრიელთა ბატონობას გერმანიის ფედერაციაში.

შეთანხმდა შემდეგზე: ისინი ომს გამოუცხადებდნენ ლეოპოლდს, თუ ივი გაბედავდა ლუქსემბურგის შიტაცებას[1], და კიდევ: ნებისმიერ მონარქს შეეძლო დახმარება ეთხოვა საღვთო კავშირის წევრებისთვის საკუთარ ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის დაწყების შემთხვევაში და, თუ რომელიმე სახელმწიფო წინ აღუდგებოდა მათ მის ჩახშობაში, ავსტრია, პრუსია და რუსეთი ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ მის წინააღმდეგ.

მეტერნიხმა, აღმოსავლეთის კრიზისის ლიკვიდაციის მიზნით, დაარწმუნა ინგლის-საფრანგეთის კაბინეტები იმაში, რომ რუსეთს არ ამოძრავებდა ავი ზრახვები თურქეთისადმი და რომ ნიკოლოზ I სულ მალე ჯარს გაიყვანდა სამთავროებიდან. ლონდონმა და პარიზმა ყურად იღეს მეტერნიხის განცხადება და დაასრულეს ომის ფსიქოზი.

1834 წ. ვენაში შეკრებილმა გერმანიის კავშირის წარმომადგენლებმა მიიღეს უაღრესად რეაქციული კოდექსი, რომელიც მიმართული იყო არა მარტო რევოლუციების, არამედ ზომიერი ლიბერალური მოძრაობის წინააღმდეგაც. ამის პასუხად პარიზმა და ლონდონმა ნოტა გაუგზავნეს ვენის კაბინეტს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ არ დაუშვებდნენ ავსტრია-პრუსია-რუსეთის ჩარევის გელგიის, შვეიცარიისა და საფრანგეთის გავლენის ქვეშ მყოფი პიემონტის საქმეებში. მეტერნიხმა, არ ჰქონდა რა პრუსიის იმედი, ვერ გაბედა სიტუაციის გამწვავება „ბარიკადების მეფესთან“[2] და ახლო მომავლისათვის გადადო მასზე „ჯავრის ყრა“.

* * *

კონსტიტუციური სახელმწიფოები — ინგლისი და საფრანგეთი — სიტყვითა და საქმით დაირაზმენ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მათი მთავრობები ენერგიულად ჩაერივნენ ესპანეთ-პორტუგალიის დრამატულ ამბებში და ხელი გაუმართეს კონსტიტუციონალისტებს, რომელთაც საღვთო კავშირი ემუქრებოდა. ზემოთ ხსენებულ დრამატულ ამბებს კი თავისი ისტორია ჰქონდა.

პორტუგალიაში, სადაც 1820-დან 1826 წლამდე მრავალ რევოლუციას ჰქონდა ადგილი, ტერორის ძალით მეფობდა ჟოაო VI-ის უმცროსი შვილი დონ მიგელი, პროგრესისა და კონსტიტუციის დაუძინებელი მტერი.[3] ჟოაო VI-ემ, რომელიც 1826 წ. აღესრულა, ჯერ კიდევ 1815 წ. ბრაზილია კოლონიიდან სამეფოდ აქცია,[4] თუმცა არ გამოუყვია ლუზიტანიის (პორტუგალიის) იმპერიისაგან. 1826 წ. მისმა უფროსმა ძემ, დონ პედრუმ, ბრაზილია დამოუკიდებელ იმპერიად, ხოლო თავისი თავი იმპერატორ პედრუ I-ად გამოაცხადა. მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მან, როგორც პორტუგალიის მეფის კანონიერმა მემკვიდრემ, ქვეყნის რეგენტად უმცროსი ძმა, — დონ მიგელი, — დანიშნა, ხოლო სამეფო ტახტი თავის მცირეწლოვან ასულს, მარიას, დაუმტკიცა. პორტუგალიელმა აპოსტოლიკებმა[5] დონ მიგელი მეფედ აღიარეს და ომი გამოუცხადეს მარიას მომხრე კონსტიტუციონალისტებს. ამის გამო დონ პედრუმ უარი თქვა იმპერატორის ტიტულზე, დატოვა ბრაზილია და სამშობლოსკენ გამოეძურა.

ვიგებმა ანგლოფილი და ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მყოფი დონ პედრუ თბილად მიიღეს. მის მიმართ კეთილსასურველი პოზიცია დაიკავა ლუი-ფილიპემაც, რომელსაც ძულდა ბურბონები, — დონ მიგელის თავგამოდებული მომხრეები. 1832 წ. დონ პედრუმ დაიკავა ქ. პორტუ და წარმატებით იგერიებდა ძმის, დონ მიგელის გააფთრებულ შეტევებს. ამ სამოქალაქო ომში დონ მიგელს ეხმარებოდნენ ესპანელი აპოსტოლიკები ფერდინანდ VII-ის ძმის, დონ კარლოსის მეთაურობით. მაგრამ 1833 წლიდან ეს მხარდაჭერა არარაობამდე დავიდა, რადგანაც თვით მადრიდის კარზე დიდ არეულობასა და კინკლაობას ჰქონდა ადგილი. სპეშე იმაში იყო, რომ ბებერ მეფეს მეოთხე მეუღლისგან, ნეაპოლის მეფის ასულის, მარია-ქრისტინასგან ჰყავდა ორი ასული. უფროსი, იზაბელა (დაიბადა 1830 წ.) მცირეწლოვანი იყო, მაგრამ მომაკვდავ ფერდინანდ VII-ეს მისთვის სურდა ესპანეთის ტახტი. ამ სურვილს წინ აღუდგა დონ კარლოსი, რომელსაც სალიკური კანონის მიხედვით ეკუთვნოდა მეფობა. დედოფლისა და მისი მომხრეების ჩაგონებით ფერდინანდ VII-ემ გამოსცა პრაგმატული სანქცია და აღადგინა ძველი კანონები, რომლებიც ტახტზე ასელის უფლებას ანიჭებდნენ ქალსაც. დონ კარლოსმა პრეტენზია განაცხადა სამეფო გვირგვინზე. მარია-ქრისტინამ შემწეობა თხოვა ლიბერალებს. შეიქმნა პორტუგალიის მსგავსი ვითარება. ზეა-ბერმუდესის მთავრობა მიემხრო დედოფალს და ამით სამსახური გაუწია დონ პედრუსაც. მან, ისარგებლა რა ამ დახმარებით, 1834 წ. ივლისში დაიკავა ლისაბონი. 29 სექტემბერს მიიცვალა ფერდინანდ VII და მარია-ქრისტინამ ესპანეთის დედოფლად იზაბელა გამოაცხადა. ამაზე განაწყენებულმა დონ კარლოსმა ააჯანყა ქვეყნის ჩრდილოეთი (ნავარა, ბასკების ქვეყანა, არაგონიის ნაწილი) და მრავალწლოვან ომში ჩაება ტახტის მოსაპოვებლად.

ბუნებრივია, მადრიდისა და ლისაბონის კაბინეტებმა ერთმანეთი ცნეს; დიდი სახელმწიფოებიდან რუსეთი და პრუსია აპოსტოლიკებს უჭერდნენ მხარს და მათ არც მარია აღიარეს და არც იზაბელა. ფრანც I-მა სცნო მარია პორტუგალიელი (იგი მისი შვილიშვილი იყო), ხოლო იზაბელას ცნობისგან თავი შეიკავა.

ლონდონმა დაუყოვნებლივ აღიარა იზაბელა, თან ივარაუდა, რომ, თუ მას შეირთავდა პროინგლისური ორიენტაციის პრინცი, მადრიდიდან საფრანგეთის გამოძევებას დიდი გარჯა არ დასჭირდებოდა. რაც შეეხება ლუი-ფილიპეს, მანაც, არ სურდა რა ესპანეთში ბურბონების (ანუ ლეგიტიმისტთა და აპოსტოლიკების) კაცის, დონ კარლოსის, გამეფება, დროის დაუკარგავად სცნო იზაბელა. ივლისის მონარქიის მთავრობამ დედოფლის პოზიციების განმტკიცებისათვის არმიის გაგზავნაც კი დააპირა, მაგრამ საღვთო კავშირისა და ლონდონის კაბინეტის პროტესტმა უკან დაახევინა. ინგლისის მთავრობა პარიზის საზიანოდ ეხმარებოდა ესპანელ ლიბერალებს და იძდენი გააკეთა, რომ ზეა-ბერმუდესის ხელისუფლება კონსტიტუციონალისტმა, კერძოდ დე-ლა როსამ შეცვალა (1834 წ. 15 იანვარი). ახალმა კაბინეტმა მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ინგლისთან. მალე მის მაგალითს მიბაძა ლისაბონმაც და აპრილში სამივე სახელმწიფომ ხელი მოაწერა ტრაქტატს, რომელმაც პირენეის ნახევარკუნძული ბრიტანეთის პროტექტორატს დაუმორჩილა.

მართალია, ეს კონვენცია მიმართული იყო დონ კარლოსისა და დონ მიგელის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ისე ფარულად გაფორმდა, რომ თვით ტა-

---

[1] ლუქსემბურგი ვენის კონგრესის აქტით ეკუთვნოდა ნიდერლანდების სამეფოს, მაგრამ იყო წევრი გერმანიის კავშირისა.

[2] „ბარიკადების მეფე“ — ლუი-ფილიპე ორლეანელი, რომელიც 1830 წ. ივლისის რევოლუციამ „აიყვანა“ საფრანგეთის ტახტზე.

[3] დონ მიგელმა 1824 წ. რეაქციული ამბოხება მოაწყო, მაგრამ დამარცხდა და ავსტრიაში გაიქცა.

[4] ჟოაო VI ფრანგების (ჟიუნოს) მიერ პორტუგალიის დაკავებამ გადახვეწა ბრაზილიაში, სადაც 1821 წლამდე დაჰყო.

[5] აპოსტოლიკები — ყველაზე შავბნელი, რეაქციულ-კათოლიკური ძალები ესპანეთსა და პორტუგალიაში, რომელთა იდეალს აბსოლუტიზმი წარმოადგენდა.

ლეირანმაც, — ინგლისში საფრანგეთის ელჩმა, — ვერ შეიტყო მის შესახებ. როცა ყველაფერი დამთავრდა, პალმერსტონმა მხოლოდ მაშინ აცნობა ძველ დიპლომატს სამეულის შეთანხმებაზე. იოლი წარმოსადგენია, როგორ აღშფოთდებოდა ინტრიგების მეფის პატივმოყვარული სული...

საფრანგეთთან ურთიერთობის წახდენისა და მისგან მტრული დემარშის თავიდან აცილების მიზნით ჰალმერსტონმა პარიზიც შეუერთა სამეულის კავშირს, რაც ლუი-ფილიპეს აბუჩად აგდებას მოასწავებდა და არა ივლისის მონარქიის დიპლომატიის ტრიუმფს.

ყოველ შემთხვევაში, ოთხეულის კავშირმა თავისი შედეგები გამოიღო: დონ კარლოსი და დონ მიგელი დანებდნენ და გაეცალნენ პირენეის ნახევარკუნძულს.

თითქოსდა ამ წარმატების შემდეგ ოთხეულს ჯვაროსნული ლაშქრობა უნდა წამოეწყო მიუნხენგრეცელი აბსოლუტისტების წინააღმდეგ, მოხდა კი პირუკუ: რუსეთი, ავსტრია და პრუსია უფრო მტკიცედ შეკავშირდნენ და ყველაფერი იღონეს იმისთვის, რათა ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს დაჯახებოდნენ.

* * *

1834-1839 წ. წ. ევროპის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა სერიოზულ ევოლუციას განიცდიდა. ამ პერიოდში საგრძნობლად შესუსტდა ინგლის-საფრანგეთის კავშირი და 1840 წლისათვის იგი საერთოდ დასამარდა. ამიერიდან ამ ორი ქვეყნის გულითადმა ალიანსმა ადგილი დაუთმო ახალ კომბინაციურ ძალებს, რომლებმაც ერთიანად შეცვალეს ევროპული დიპლომატია.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ტალეირანმა გადადგა. 1834 წ. მან ზურგი შეაქცია ბრიტანეთს და ლუი-ფილიპეს ლეგიტიმისტურ მონარქებთან დაახლოება ურჩია. მაგრამ თვითმპყრობელურ მონარქთა ოჯახში როგორ უნდა შესულიყო „ბარიკადების მეფე?“ მხედველობაში რომ არ მივიღოთ ლეგიტიმისტური ხელმწიფენი, ლიბერალური საფრანგეთი მისცემდა მას ამის უფლებას? იმის გამო, რომ ქვეყანაში მტრული თვალით უყურებდნენ საღვთო კავშირს, ლუი-ფილიპე მთავრობისგან ფარულად პირად მიმოწერას ეწეოდა კავშირის წევრებთან და, პირველ რიგში, მეტერნიხთან, რომელიც თავად იყო დაინტერესებული ინგლის-საფრანგეთის გათიშვითა და ივლისის მონარქიის კონტრრევოლუციურ ბანკში შეყვანით. ამიტომ იგი ურჩევდა ლუი-ფილიპეს, ამოეძირკვა პარლამენტარიზმი, მოეთოკა თავისი ლიბერალური მთავრობა და ერთპიროვნულად ემართა სამეფო. ლუი-ფილიპე ყურად იღებდა კანცლერის რჩევებს და ჰპირდებოდა, რომ მისი ჩაგონებების მიხედვით იმოქმედებდა, თან ცდილობდა უფროსი შვილის — შარტრის ჰერცოგ ფერდინანდ-ფილიპეს დაქორწინებას ავსტრიის იმპერატორის ნათესავის, ჰერცჰერცოგ კარლოსის[1] ასულ მარია-ტერეზაზე. ამიერიდან მან კურსი აიღო რეაქციულ პოლიტიკაზე, რაც აჯანყებათა სასტიკ ჩახშობაში, პრესის შეზღუდვასა და რესპუბლიკელთა დევნაში გამოიხატა. მეტერნიხი აქებდა მეფის ამ პოლიტიკას, მაგრამ ქორწინების საქმეში ფეხს ითრევდა, უფრო ზუსტად, არ იყო დანათესავების მომხრე.

ამ დროს პალმერსტონმა მთლიანად დაიმორჩილა ესპანეთის მთავრობა და ალჟირის საბოლოო დაპყრობაში უქმნიდა პრობლემებს ივლისის მონარქიას. ინგლისი უხვად ამარაგებდა აჯანყებულ არაბთა ბელადს, აბდ-ელ-კადერს, რომელმაც რამდენიმე დამარცხება აგება ფრანგებს. პალმერსტონი კონსტანტინოპოლშიც უთხრიდა ძირს საფრანგეთის გავლენას: მისი აგენტები აღიზიანებდნენ სულთანს იმ მოტივით, რომ ფრანგები იპყრობდნენ მის ვასალურ ქვეყანას, ალჟირს, და მფარველობდნენ ეგვიპტის მბრძანებელ მეჰმედ-ალის, რომელიც იბრაჰიმის მიერ დაკავებულ თურქულ ტერიტორიაზე (სირია, ლიბანი და სხვ.) თავის მემკვიდრეობითი უფლების ცნობას (დადასტურებას) მოითხოვდა. პალმერსტონმა, თამაშობდა რა სულთნის დამცველის როლს, იმავდენი მოახერხა, რომ დაუახლოვდა ნიკოლოზ I-ს და ჯარები გააყვანია სილისტრიიდან (კონტრიბუციაც შეამცირებინა). რუსთხელმწიფეს გულზე არ ეხატა ინგლისი, აზიაში თავისი ოპონენტი, მაგრამ მას ისე სძულდა ივლისის მონარქია, რომ სატანასთანაც შეკრავდა პირს მის მოსასპობად. ამ დათმობების გამო არც ბრიტანეთი დარჩა ვალში, — ლონდონი ხელს არ უშლიდა მეფეს საბერძნეთში გავლენის აღდგენასა და ზრდაში.

ლუი-ფილიპე და მისი ახალი მინისტრი ადოლფ ტიერი (1797-1877), რომელმაც შეცვალა მეტერნიხისთვის არასასურველი დე ბროილი, ენერგიულად ატარებდნენ პროავსტრიულ პოლიტიკას. ტიერი თავის თავს ტალეირანის ღირსეულ მოწაფედ და გენიალურ პოლიტიკოსად თვლიდა, ის იყო ამბიციური, ულტრაპატრიოტი (1815 წ. ტრაქტატების დაუძინებელი მტერი), ფანტაზიორი და თავის ტალანტში დარწმუნებული კაცი. მას, მონარქის მსგავსად, ძალიან სურდა საფრანგეთ-ავსტრიის დანათესავება და არ ეშვებოდა მეტერნიხს, რომელიც ყრუკაცის როლს თამაშობდა. მან მეტერნიხის, ამ მზაკვარი და გამოცდილი დიპლომატის, გაცურება მოისურვა და საბოლოო ჯამში თავად აღმოჩნდა მოტყუებული. პირველი ფიასკო მისმა მთავრობამ მაშინ განიცადა, როდესაც ავსტრიამ სასტიკად ჩაახშო კრაკოველთა გამოსვლა და ოფიციალურმა საფრანგეთმა (მიუხედავად საზოგადოების აღშფოთებისა) კრინტი არ დაძრა საწყალი პოლონელების დასაცავად[1]. მეორე მარცხი იმაში გამოიხატა, რომ საფრანგეთმა ჯარი არ გააგზავნა ესპანეთში ლიბერალური და საფრანგეთის მომხრე ისტურისის მთავრობის დასახმარებლად, რომლის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა დონ კარლოსი. ამ ინერტულობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ისტურისის კაბინეტი პრობრიტანულმა მენდისაბალის სამინისტრომ შეცვალა და მადრიდში კვლავ აღდგა ინგლისის გავლენა. ამ დათმობების ფასად ტიერი იმედოვნებდა, რომ მეტერნიხი ბოლოს და ბოლოს მწვანე შუქს მისცემდა დამოყვრების საქმეს, მაგრამ ავსტრიის ახალმა იმპერატორმა, ფერდინანდ I-მა, იგივე მეტერნიხის ჩაგონებით, კატეგორიული უარით გამოისტუმრა ვენაში ჩასული შარტრის ჰერცოგი.[2]

მიუხედავად ამ შეურაცხყოფისა, ლუი-ფილიპე მაინც აგრძელებდა ავსტრიასთან დაახლოების თამაშს. მან დააკმაყოფილა მეტერნიხის თხოვნა და აიძულა ფედერალური შვეიცარიის მთავრობა, თავისი ქვეყნიდან გაეძევებია გერმანელი ემიგრანტები, რომლებიც რევოლუციური მოწოდებებით საშიშ-

---

[1] ეს ის კარლოსია, რომელიც სახელოვნად ებრძოდა რევოლუციური საფრანგეთის და ნაპოლეონის იმპერიის არმიებს.

[1] ვენის კონგრესის გადაწყვეტილებებით კრაკოვი გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად რესპუბლიკური წყობილებით. 1836 წ. თებერვალში რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის ჯარებმა ძალის გამოყენებით დაიკავეს იგი იმ საბაბით, რომ თითქოს კრაკოვი რევოლუციონერთა და ემიგრანტთა ბუდედ იქცა. კრაკოვის ეგზეკუცია ვენის კონგრესის გარანტიების დარღვევა იყო.

[2] მეტერნიხს არ სწამდა ივლისის მონარქიის სიმყარე, თან ფიქრობდა, რომ საფრანგეთთან დაახლოება რუსეთისა და პრუსიის აღშფოთებას და მათ ავსტრიასთან გადაკიდებას გამოიწვევდა.

როებას უქმნიდნენ გერმანიის მონარქების აბსოლუტისტურ რეჟიმებს. ესპა-
ნეთში გაჩაღებულ კარლისტურ ომთან მიმართებაში ლუი-ფილიპე, ინგლისის
ჯიბრზე და ტიერის პოზიციის საწინააღმდეგოდ, არ ეხმარებოდა მარია-ქრის-
ტინას და ფაქტიურად ხელს უმართავდა აპოსტოლიკებს. მეფის ამ უგუნური
პოლიტიკის გამო ტიერი გადადგა მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის ლი-
დერის მოლეს სასარგებლოდ (1836 წ. 6 სექტემბერი), რომელიც ავსტრიის
გარდა პრუსიასთან დაახლოებასაც ცდილობდა. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ მოი-
წონა საფრანგეთის მთავრობის სურვილი (მოხუც მონარქს არ უნდოდა სიკვ-
დილის წინ დამოკიდებულების გაფუჭება დიდ სახელმწიფოებთან) და შარტრ-
ის ჰერცოგს თავისი ნათესავის, მეკლენბურგ-შვერინის დიდი ჰერცოგის ასუ-
ლი (ელენა-ლუიზა) შერთო[1] (1837 წ. 30 მაისი). პრუსიის მეფე იმედოვნებდა,
რომ ამ ქორწინებით კიდევ უფრო გაიმაგრებდა პოზიციებს გერმანიაში და
ავსტრიასთან მოსალოდნელ ბრძოლებში მარტო არ იქნებოდა.

ვენასთან და ბერლინთან დაახლოებამ გაამხნევა საფრანგეთის მთავ-
რობა და მან 1837 წ. დიდმასშტაბიანი საომარი ოპერაციები წამოიწყო ალ-
ჟირში. პორტამ სცადა მაშველი ძალების გაგზავნა, მაგრამ ფრანგთა ესკად-
რამ ჩაკეტა დარდანელი და თურქეთმა ხელი აიღო ამ განზრახვაზე.

ლუი-ფილიპეს კაბინეტი ესპანეთში მიმდინარე მოვლენებითაც და-
ინტერესდა, ეს კი პალმერსტონის გაშმაგებას იწვევდა. ლონდონი ყოველმხრივ
ეხმარებოდა მარია-ქრისტინას, მისი მთავრობის მეთაურს, კალატრავას (მან
გალოფილი ისტურისი შეცვალა) და კორტესებს, რომლებმაც 1812 წლის
კონსტიტუციის მსგავსი სახელმწიფო ძირითადი კანონი მიიღეს. მადრიდში
ინგლისის გავლენა განუხრელად იზრდებოდა, საფრანგეთისა კი ეცემოდა.
1837 წ. მარია-ქრისტინამ ძალაუფლება გადასცა ბრიტანეთის ერთგულ გე-
ნერალს ესპარტეროს, რომელმაც 1838 წლიდან ენერგიულად შეუტია კარ-
ლისტებს. ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებამ დასაშვებ ზღვარს გადაა-
ჭარბა:[2] პალმერსტონი ომით დაემუქრა მეჰმედ-ალის, თუ იგი ხელს შემარ-
თავდა თურქეთზე. პარალელურად ბრიტანეთი ადენისა და სუეცის ყელის და-
საუფლებლადაც ემზადებოდა.

საფრანგეთს ბელგიის გამოც გაუჩნდა პრობლემები. როგორც გვახსოვს,
ივლისის მონარქია მხარს უჭერდა ბელგიას ნიდერლანდებთან გაუთავებელ
კონფლიქტში ლუქსემბურგისა და ლიმბურგის გამო. ისიც გვახსოვს, რომ
ნიდერლანდებს ექომაგებოდნენ რუსეთი, ავსტრია და პრუსია.[3] 1839 წ., რო-
გორც იქნა, ბელგია-ნიდერლანდების კინკლაობა დასრულდა და საფრანგეთ-
მა, აღმოჩნდა რა ლეოპოლდის ოპონენტებთან მარტოსულის როლში, ხელი
მოაწერა ლონდონის კონვენციას, რომელმაც ნიდერლანდებს ლუქსემბურგი
და ლიმბურგის ნაწილი არგუნა, ხოლო ლიმბურგის დანარჩენი ნაწილი —
გერმანიის კავშირს.

საფრანგეთის ჯარმა დატოვა ანკონა, რადგანაც იტალიაში გაბატონებულ-
მა (პოზიციამომაგრებულმა) ავსტრიამ თავისი არმია გამოიყვანა პაპის სალე-
გატოებიდან. ამას რომ აკეთებდა, მოლეს მთავრობა იმედოვნებდა, რომ გრი-

[1] ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ეს ჰყავდა ასულები, მაგრამ ავსტრიელთა მსგავსად, ვერც ის ჰოჰენცოლერნი დაუნათესავდებოდა „ბარიკადთა მეფეს“.

[2] ლონდონმა თავშესაფარი მისცა პრინც ლუი ბონაპარტს, ნაპოლეონის ძმისშვილს, რომელიც შეთქმულებებს აწყობდა ორლეანელთა დინასტიის წინააღმდეგ.

[3] რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I არ ფარავდა ზიზღს ბელგიის მეფის ლეოპოლდიხადმი, რომელმაც თავის არმიაში პოლონეთიდან გაქცეული ოფიცრები დააწინაურა.



გოლ XVI თავის ქვეშევრდომთ ლიბერალური რეფორმებით გაახარებდა, მაგ-
რამ ავსტიელთა ჩაგონებით პაპმა სასტიკი უარი განაცხადა რეაქციული რე-
ჟიმის შერბილებაზე. ასე რომ, მეტერნიხმა ლუი-ფილიპეს კაბინეტი იტალიის
ამბებშიც მოატყუა. ყველაფერ ამას თუ დავუმატებთ ქვეყნის შიგნით შექმნილ
არასტაბილურ ვითარებას (1839 წ. ადგილი ჰქონდა რესპუბლიკურ და ბლან-
კისტურ გამოსვლებს), ასეთ დასკვნამდე მივალთ: მარმალ სულტის მთავრო-
ბას, რომელმაც 1839 წ. მარტში შეცვალა უნიათი მოლეს კაბინეტი, „სახლსა“
და მის „გარეთ“ დიდი გართულებების გადალახვა დაჭირდებოდა.

* * *

1839 წ. ახლო აღმოსავლეთში კვლავ გამწვავდა სიტუაცია. თურქუთის
სულთანმა, ჰქონდა რა ბრიტანეთის დიდი იმედები, ომი გამოუცხადა თავის
მოსისხარ ვასალს, მეჰმედ-ალის და მოინდომა მისთვის სამფლობელოების წა-
რთმევა აზიაში.

კონფლიქტის გაღვივებამ ძალიან შეაშფოთა ევროპა. რუსეთს უნქიარ-
ისქელესის ხელშეკრულების ძალით შეეძლო ჩარეულიყო პორტას საძინაო
საქმეებში და კვლავ დაემორჩილებია ხოხთქარი მაჰმუდი, ეს კი არ შედიოდა
ინგლისისა და საფრანგეთის გეგმებში. ამიტომ პალმერსტონმა დროებით გან-
ზე გადადო საფრანგეთთან ქიძპი და ანტირუსული კოალიციის შექმნისკენ
მოუწოდა პარიზს. ეს წინადადება რომ მიეღო, ლუი-ფილიპე ერთბაძად სამ
კუოდღელს მოკლავდა: აღადგენდა ინგლის-საფრანგეთის გულითად კავშირს,
ავნებდა თავის მოძულე ნიკოლოზ I-ს და შემწეობას აღმოუჩენდა ეგვიპტის
ფაშას დათმობების მიღებაში, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება არ გაელაშქრა
პალმერსტონს. მაგრამ, მისდასაუბედუროდ, ივლისის მთავრობა არქიპელაგში
ესკადრის გაგზავნას დაჯერდა და არ შეუერთდა ბრიტანეთის ენერგიულ წი-
ნადადებას. ბუნებრივია, საფრანგეთის მხარდაჭერის გარეშე პალმერსტონი
ვერაფერს გახდებოდა ნიკოლოზ I-თან და საბოლოო ჯამში პარიზმა ათმაგად
წააგო ამ უგუნური საქციელის გამო.

ლუი-ფილიპეს ყველაზე მეტად თურქეთ-ეგვიპტის ომის თავიდან აცი-
ლება სურდა, თანაც იგი ბოლომდე ვერ ენდობოდა ლონდონის კაბინეტს,
რომელმაც ახლო წარსულში მრავალი სიძნელე შეუქმნა მას ბელგია-ჰო-
ლანდიის კონფლიქტში, პირენეის ნახევარკუნძულზე, ალჟირსა და ლათინურ
ამერიკაში. ამიტომ პარიზი მეტერნიხის რჩევებს უფრო უჯერებდა, ვიდრე
ლონდონისას.

ავსტრიის კანცლერმა დიდი სახელმწიფოები ვენაში მიიწვია (1839 წ.
მაისი), რათა განეხილათ საკითხი თურქეთზე რუსეთის განსაკუთრებული პრო-
ტექტორობის შეცვლის შესახებ ევროპის კოლექტიური გარანტიებით. საფ-
რანგეთს, ერთის მხრივ, ეს გარემოება ხელს აძლევდა (ბოსფორზე რუსეთის
პოზიციები შესუსტდებოდა), მეორეს მხრივ, ვენის კონფერენციას ხომ მეეძლო
ეკისრა შუამავლის მისია და დაეჩაგრა ეგვიპტე, საფრანგეთის მეგობარი?
ამიტომ ლუი-ფილიპემ თანხმობა განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე
(უარის შემთხვევაში საფრანგეთი ოთხეულის პირისპირ აღმოჩნდებოდა და
ვერ უშველიდა მეჰმედ-ალის).

პეტერბურგი ნაკლები ხალისით შეხვდა მეტერნიხის მიწვევას. ნიკოლოზ
I-ს არ სურდა თურქეთზე თავისი გავლენის დაკარგვა და, თუ მიიღო მიპა-
ტიჟება, მხოლოდ იმისთვის, რათა დაემცირებია ივლისის მონარქია. მას ამ
საქმეში პალმერსტონის იმედი ჰქონდა და მზად იყო ზოგი რამ დაეთმო ინგ-
ლის-რუსეთის დაახლოების სასარგებლოდ.

ასეთი იყო ვითარება იმ მომენტში, როდესაც მეხივით გავრცელდა ხმა იბრაჰიმის მიერ სირიაში, ნეზიბთან, პორტას არმიის განადგურების შესახებ. მალე ევროპამ სულთან მაჰმუდის სიკვდილზე და მისი 16 წლის შვილის, აბდულ-მეჯიდის, ტახტზე ასვლის შესახებაც შეიტყო.

საფრანგეთის მთავრობის რჩევით იბრაჰიმმა წინსვლა შეაჩერა (27 ივნისი). თურქეთი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. დივანმა ეგვიპტე მემკვიდრეობით მფლობელობაში დაუტოვა მეჰმედ-ალის, მაგრამ მოხუც ფაშას შეტი სურდა. თურქები მზად იყვნენ დაეთმოთ, და ამ დროს მეტერნიხმა დიდი სახელმწიფოების ნოტა გაუგზავნა მათ. მასში ჩამოყალიბებული იყო დიდი ქვეყნების სოლიდარობა პორტას სასარგებლოდ და მოთხოვნა — არ მიეღოთ გადაწყვეტილება მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

რატომ მოაწერა საფრანგეთის წარმომადგენელმა ხელი ისეთ ნოტას, რომელიც მის ოპონენტებს აწყობდა? ამ შეცდომის ახსნა აღმოსავლეთის საკითხში ივლისის მონარქიის არასტაბილური, ორაზროვანი პოლიტიკით შეიძლება. ჯერ ერთი, ლუი-ფილიპეს არ სურდა, რომ საფრანგეთი გამოყოფოდა ევროპის კონცერტს, და მეორეც, გამარჯვებული ეგვიპტის ფაშა პარიზს უძღვნიდა მიაჩნდა და ვარაუდობდა, რომ ვერავითარი კონფერენცია ვერ წართმევდა მას ბრძოლით მოპოვებულ ტერიტორიებს.

სიტუაცია კი სულ სხვანაირად წარიმართა: პალმერსტონმა, აღარ ეშინოდა რა რუსეთისა, მთელი თავისი ძალები მეჰმედ-ალისა და მისი ქომაგის, საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართა. აგვისტოში ის, რუსეთი და პრუსია ომით დაემუქრენ მეჰმედ-ალის, თუ იგი არ დაკმაყოფილდებოდა ეგვიპტით და ტერიტორიულ პრეტენზიებს წაუყენებდა პორტას. პარიზმა პროტესტი განაცხადა ამის გამო და მან მხარი დაუჭირა ფაშას სურვილს, — მიეღო ის, რაც იარაღით დაიუფლა. ლონდონსა და პარიზს შორის მიმოწერამ თავიდანვე მიიღო აგრესიული ხასიათი, ხოლო პრესა ნავთს ასხამდა დაძაბულობას.

ნიკოლოზ I ნიშნისმოგებით შეცქეროდა ამ სურათს. რადგანაც უნიქიარ-ისქელესის ხელშეკრულებას ორი წლის შემდეგ ეკარგებოდა ძალა, მან პალმერსტონს სხვათა ჩარევის გარეშე აღმოსავლეთის საკითხის მოგვარება შესთავაზა. მისი წინადადება ასეთი იყო: რუსეთი მარტო აღმოუჩენდა პორტას დახმარებას შავ ზღვაზე და სრუტეებში, ხოლო დარდანელს გარეთ, თუ საჭიროება მოითხოვდა, რუსეთს სხვებიც მიეშველებოდნენ თავიანთი ესკადრებით. მეფე პირობას დებდა, რომ იმოქმედებდა მთელი ევროპის სახელით და მისი რწმუნებით შეიარაღებული.

პალმერსტონს ისე წყუროდა საფრანგეთის დამცირება, რომ სიამოვნებით მიიღებდა ნიკოლოზ I-ის წინადადებას, მაგრამ ინგლისის მთავრობის სხვა წევრებს სრულებით არ სურდათ ევროპის გახლეჩა და, მეორეს მხრივ, რუსეთთან დაახლოება მისი მეფის პირობების მიხედვით. კაბინეტის მეთაური ლორდი მელბურნი მზად იყო მეჰმედ-ალისთვის დაეტოვებიათ ეგვიპტეცა და აკრის ფაშალიკიც. ამ დათმობაზე რომ მიდიოდა, პრემიერ-მინისტრი ითვალისწინებდა: საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრის აღშფოთებას ლონდონის ინტრიგების გამო, ფრანგების პროეგვიპტურ პოლიტიკას და ტიერის დაბრუნებას მთავრობის სათავეში (1840 წ. 1 მარტი), ტიერისა, რომელმაც თვით ლუი-ფილიპესა და ევროპის მიმართ მაშინვე დაიკავა საფრანგეთის ღირსების დამცველი მებრძოლის პოზიცია.



* * *

ამ მინისტრის სინდისს მძიმე ტვირთად აწვა 1836 წლის წარუმატებლობანი, მის პატრიოტიზმს ვნებას აყენებდა პოლიტიკური პასიურობა, რომელსაც ხანგრძლივად ეწეოდა საფრანგეთის მთავრობა. ვერ ბედავდა რა ინიციატივის აღებას 1815 წლის ტრაქტატებზე ჯვაროსნული ომის გამოცხადების საქმეში, მას გულწრფელად სძულდა ისინი და არც მალავდა ამ გრძნობას. ტიერი სამფეროვანი დროშის აღორძინებასა და ფრანგული იარაღის დიდების აღდგენაზე ოცნებობდა. არადა, აჯობებდა, დაეშოშმინებინა საზოგადოების პატრიოტული აღტკინება, რომლის აფეთქებაში გადაზრდა დიდი ზიანით ემუქრებოდა საფრანგეთს. ასე იყო, თუ ისე, მან უველაფერი გააკეთა საზოგადოებრივი აზრის დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, — გამოაცოცხლა ომი ალჟირში, საფრანგეთმა კვლავ მოიპოვა გავლენა მადრიდში, სადაც ტიერი აშკარად დადგა მარია-ქრისტინას მხარეზე, რომელიც თანდათანობით შორდებოდა ესპარტეროს.

საფრანგეთი ოვაციებით შეხვდა ტიერის სურვილს, — ინგლისელთა თანხმობის შედეგად სამშობლოში გადმოესვენებია ნაპოლეონის ნეშტი[1]. პალმერსტონი შეგნებულად წავიდა ამ დათმობაზე: მან იცოდა, რომ საყვარელი გმირის ცხედრის პარიზში დასვენებას უეჭველად მოჰყვებოდა ფრანგების მოთხოვნები 1815 წ. ხელშეკრულების გაუქმებისა და ქვეყნის ბუნებრივ საზღვრებში აღზევების შესახებ, ეს კი საფრანგეთსა და ევროპას შორის არსებულ გზარს კიდევ უფრო გააფართოებდა. მართლაც, ევროპა ცივად და ეჭვებით შეხვდა ფრანგების აღმაფრენას.

ტიერმა თვალთმაქცური დიპლომატია წამოიწყო ცბიერი პალმერსტონის გულის მოსაგებად. მან განაცხადა, რომ საფრანგეთი დიდ სახელმწიფოებთან ერთად გადაწყვეტდა აღმოსავლეთის საკითხს, და რომ იგი მონაწილეობას მიიღებდა ლონდონის კონფერენციაში. ტიერმა კარგად უწყოდა, რომ თათბირი სიკეთეს ვერ მოუტანდა მეჰმედ-ალის საქმეს, ამიტომ ცდილობდა მოლაპარაკების გაჭიანურებას. მას იმედი ჰქონდა, რომ თურქეთი და ეგვიპტე სხვათა ჩაურევლად შეთანხმდებოდნენ, რომ ის (ტიერი) შეძლებდა ევროპის ფაქტის წინაშე დაყენებას და აიძულებდა მას დაეთმო მეჰმედ-ალისთვის.

1840 წ. აპრილ-მაისის მოლაპარაკებას არანაირი შედეგი არ მოუტანია. პალმერსტონმა ახალი წინადადებით მიმართა საფრანგეთს, — იგი ითვალისწინებდა ფაშისთვის ეგვიპტის მემკვიდრეობით გადაცემას, ხოლო აკრის ფაშალიკისას — მისი სიცოცხლის მანძილზე. ეს პალმერსტონის ბოლო სიტყვა იყო და პარიზისაგან მკაცრად მოითხოვა ნათელი პასუხი — ჰო ან არა!

ტიერს, ბუნებრივია, არ ეპიტნავა ეს და ლონდონში თავისი ელჩის, — გიზოს, — პირით კვლავ აჭიანურებდა პასუხს. რატომ? იმიტომ, რომ მისი აგენტები ფარულად ამზადებდნენ სულთანსა და მეჰმედ-ალის შორის ხელშეკრულების გაფორმებას და მოუთმენლად ელოდა კონფლიქტის გადაწყვეტას ეგვიპტის სასარგებლოდ. მაგრამ მისდა საუბედუროდ ეს საიდუმლო გამჟღავნდა, ხოლო პალმერსტონს არ უყვარდა სხვის ანკესზე წამოგება (თამაშის წაგება). მან ფარულად მოამზადა საფრანგეთის დიპლომატთა გაცურება: მისმა აგენტებმა წარმატებით შეძლეს სულთანსა და მეჰმედს შორის დაწყებული მოლაპარაკების გაჭიანურება, ხოლო ამის პარალელურად — სირიის მოსახლეობის აჯანყება ეგვიპტელთა უღლის გადასაგდებად. პალმერსტონმა მიიმხრო რუსეთი, ავსტრია, პრუსია და ივლისში ხელი

[1] ნაპოლეონის ცხედრის გადმოსვენება ლუი-ფილიპესაც აძლევდა ხელს, რამეთუ ამით ფრანგი ერის გულის მოგებას აპირებდა თავისი დინასტიის სასარგებლოდ.

მოაწერინა კონვენციაზე. მისი მუხლები მიუთითებდნენ, რომ ხელისმომწერი ქვეყნები იღებდნენ სულთნის თხოვნას ოტომანთა იმპერიის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვის შესახებ. თუ ეგვიპტის მბრძანებელი არ მიიღებდა წარდგენილ მოთხოვნებს, მაშინ ისინი მიმართავდნენ სამხედრო ეკზეკუციას. ფაშას უნდა დაეთმო კრეტა, წმინდა ადგილები, ადანი და სირიის ჩრდილოეთი, ამის სანაცვლოდ ის მიიღებდა ეგვიპტეს (მემკვიდრეობით უფლებებში) და აკრის ფაშალიკს (სიცოცხლის მანძილზე), უარის შემთხვევაში ფაშა დაკარგავდა ერთსაც და მეორესაც. ბოლოს, განსაკუთრებული ოქმით, დაადგინეს, რომ სახელმწიფოები შეთანხმების შესრულებას შეუდგებოდნენ დაუყოვნებლივ, ე. ი. არ დაელოდებოდნენ მის რატიფიცირებას.

* * *

გიზომ ტრაქტატისა და საფრანგეთის ევროპის ანსამბლიდან გარიცხვის შესახებ 17 ივლისს შეიტყო. ტიერი გაშმაგდა და თავისი აგრესიულობა გამოავლინა როგორც დეპეშებში, ასევე გამოსვლებსა და კერძო საუბრებში. იგი პალმერსტონის გაბიაბრუებას აპირებდა და თავად გახდა სასაცილო (საფრანგეთს ასეთი დამცირება ჯერ არ განუცდია!). მაგრამ მას მაინც რჩებოდა იმის იმედები, რომ მოკავშირეები ასე სწრაფად ვერ შესძლებდნენ მეჰმედ-ალის დაჩოქებას. ტიერს საომარი მომზადებისათვის რამდენიმე თვე სჭირდებოდა და ცდილობდა მოლაპარაკების გაჭიანურებას (1841 წ. გაზაფხულზე საფრანგეთი შეძლებდა სრულფასოვანი არმიის გამოყვანას). რაც შეეხება ლუი-ფილიპეს, მას, ყველასგან მიტოვებულს, უფრო სურდა ომი, ვიდრე მის მინისტრს. „ნუთუ მათ (ევროპის მონარქებს — ავტ.) მართლა სურთ, რომ დავიხურო წითელი ჩაჩი? თქვენ უღირსნი ხართ, — მიმართა მან ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლებს, — თქვენ გსურთ ომი და თქვენ მას მიიღებთ!“

კი, მას სურდა ომი, მაგრამ ყოყმანობდა, და თუ ამაზე გაჰყვიროდა, გაჰყვიროდა გერმანელთა დასაშინებლად და ხალხის თვალში დინასტიის პრესტიჟის ასამაღლებლად. მას სურდა ოთხეულის გათიშვა და ევროპაში Status quo-ს აღდგენა. „მე არ მივცემ ჩემს პატარა მინისტრს (ტიერს — ავტ.) ომის უფლებას, რომ ჩამითრიოს ომში. არსებითად მას უნდა ომი, მე კი — არა. როცა მე აღარ მექნება სხვა გამოსავალი, ევროპასთან კავშირის გაწყვეტას მასთან განშორებას ვარჩევ“. ჯერჯერობით კი ის აქეზებდა თავისი მინისტრს და ეს საჭიროდ მიაჩნდა, რამეთუ მთელი საფრანგეთი ომის ფსიქოზმა მოიცვა. აღტყინება ისეთი არნახული იყო, რომ ლუი-ნაპოლეონი ინგლისიდან ჩამოვიდა შეთქმულების მოსაწყობად და ივლისის მთავრობის დასამხობად. მართალია, იგი დააპატიმრეს, მაგრამ ბონაპარტისტების მოძრაობის გამოღვიძებამ ძილი დაუფრთხო მეფეს. ამიტომ საჭიროებამ ევროპის კოალიციასთან შერიგება და იზოლაციიდან საფრანგეთის გამოყვანა მოითხოვა. მეფემ დაიწყო მოქმედება, მაგრამ დაიგვიანა: ინგლის-ავსტრიის ესკადრამ ბლოკადაში მოაქცია სირია და ბეირუთიდან გააძევა იბრაჰიმ-ფაშა. 14 სექტემბერს დივანმა, ინგლისელთა რჩევით, მეჰმედ-ალის ეგვიპტე ჩამოართვა.

პალმერსტონის პოლიტიკამ გაიმარჯვა. და არამარტო აღმოსავლეთში. ესპანეთში მარია-ქრისტინამ წააგო ბრძოლა ესპარტეროსთან, მთელი ძალაუფლება მას დაუტოვა და საფრანგეთს შემოეხიზნა. საფრანგეთში კვლავ აღიმართა აღშფოთების ტალღა, — მთელი ქვეყანა ომს მოითხოვდა. ფრანგებს არც გერმანელები ჩამორჩნენ, — ისინიც მოიცვა ომის ფსიქოზმა და ელზას-ლოტარინგიის დაბრუნების ჟინმა.



ლუი-ფილიპე ტიერსა და საფრანგეთზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. მას უკვე აღარ ჰქონდა იმის იმედი, რომ მეჰმედ-ალი წინააღმდეგობას გაუწევდა მოკავშირეებს, ამიტომ, ღირდა კი ეგვიპტისათვის დინასტიის გაწირვა? რა თქმა უნდა — არა. და მეფემ დაითხოვა ტიერი.

მეტერნიხმა შვებით ამოისუნთქა, რადგანაც არც მას „წაადგებოდა“ ევროპაში დიდი ომის გაჩაღება. მან მხარი დაუჭირა ლუი-ფილიპეს წინადადებას მეჰმედ-ალისთვის ეგვიპტის შენარჩუნების შესახებ. პალმერსტონმაც რაკი სხვა გზა არ იყო, მიიღო პარიზის ნოტა. სულთანმა გამოსცა ჰათი-შერიფი, რომელმაც დააკმაყოფილა მეჰმედ-ალი. ამიერიდან ეგვიპტეს განაგებდნენ მისი შვილები უფროს-უმცროსობის პრინციპის მიხედვით, ფაშა სულთანს გადაუხდიდა განსაზღვრული ზომის ხარკს და დანიშნავდა ოფიცრებს პოლკოვნიკის წოდების ჩათვლით.

ივნისის ბოლოს ფაშამ საზეიმოდ მიიღო ჰათი-შერიფის პირობები და საფრანგეთმა დაიწყო განიარაღება. 13 ივლისს ხელი მოაწერეს 2 დიპლომატიურ ოქმს. პირველმა გადაწყვიტა ეგვიპტის საკითხი, მეორემ სრუტეების ნეიტრალიტეტის გარანტია გამოაცხადა.

ლონდონის კონვენციით შენარჩუნებულ იქნა თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო სრუტეებზე საერთაშორისო ნეიტრალიტეტის რეჟიმი დაწესდა. მართალია, ინგლისმა გვარიანად დაამცირა საფრანგეთი, მაგრამ კონვენციამ რუსეთს წაართვა ის, რაც მან უნკიარ-ისქელესის ხელშეკრულებით მოიპოვა, — პრივილეგიები შავ ზღვაზე და სრუტეებში.

ნიკოლოზ I-ს სურდა დაკარგული გავლენის დაბრუნება, ამისთვის კი ინგლისს უნდა დაპირისპირებოდა. ეს გარდუვალი იყო, რადგანაც ყირიმის ომი თვით ლონდონის კონვენციაში იდო.

## საერთაშორისო ურთიერთობანი 1848-1851 წლებში

1848-1849 წ.წ. დიპლომატია მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. ევროპის სახელმწიფოთა კაბინეტები თავის პოლიტიკას უმთავრესად სამხედრო ძლიერებაზე ამყარებდნენ, თუმცა მოვლენების განვითარებაში გადამწყვეტი სიტყვა ხალხს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე პოლიტიკოსებს.

დიდის რუდუნებით აგებულ საღეთო კავშირის შენობას რევოლუციებმა სერიოზული დარტყმა მიაყენა და, თუ იგი სანახევროდ შეირყა, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ხალხთა შორის თანხმობის ჩამოგდება ისეთივე ძნელი საქმე იყო, როგორც მონარქთა შორის.

ხალხებმა, რომელთაც არაფერს ეკითხებოდნენ 1815 წ., 1848-ში თავად აიმაღლეს ხმა, მაგრამ მათი განვითარების დაბალი დონე ერთმანეთისადმი შური და მათივე იმპროვიზებული მთავრობების გამოუცდელობა, აბსოლუტისტურ რეჟიმებს ერთა საბრძოლო ყიჟინის ჩაჩუმების საშუალებას აძლევდა. აქედან გამომდინარე, მასების არაორგანიზებული ჯვაროსნული ლაშქრობა თავისუფლებისათვის დამარცხებით დამთავრდა.

1848 წ. 24 თებერვლის მეორე დღეს ევროპის ყველა პოლიტიკოსი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ პარიზელთა ძლევამოსილი რევოლუცია კონტინენტის თითქმის ყველა სახელმწიფოში დააჩქარებდა აფეთქებას და დროებითი მთავრობა დახმარების ხელს გაუწვდიდა ფეოდალური ჩაგვრის ქვეშ მყოფ ეროვნებებს. მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა, პირიქით, — ლამარტინმა (1790-1869), რომელიც პოეტიდან დიპლომატად იქცა და სათაეში ჩაუდგა საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყებას, თავისი გახმაურებული მანიფესტით ( 5 მარტი) დაამშვიდა მონარქები იმ გაგებით, რომ „საფრანგე-

თის რესპუბლიკის გამოცხადება არ წარმოადგენს აგრესიის აქტს მსოფლიოში არსებული მმართველობის ფორმების წინააღმდეგ". „ომი — ამბობდა იგი, — არ არის საფრანგეთის რესპუბლიკის პრინციპი, იგი (საფრანგეთი—ავტ.) მას მიიღებს, თავად კი მას არ დაიწყებს". ლამარტინი სიტყვით გმობდა 1815 წ. ტრაქტატებს, საქმით კი მათ მიერ დადგენილ ტერიტორიულ საზღვრებს ფაქტად და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ამოსავალ წერტილად აღიარებდა. ძალაფარდოვანი სიტყვებით ახლად გამომცხვარი მინისტრი მსოფლიოს აუწყებდა, რომ დემოკრატიული პრინციპებისადმი ერთგული საფრანგეთი არ ჩაერეოდა მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეებში, მაგრამ არც იმას დაუშვებდა, რომ ხალხისთვის წაერთმიათ უფლება, — ეხილათ „თავისუფლების მშვიდობიანი კაშკაში." „...საფრანგეთი არ აპირებს მსოფლიო ხანძრის დანთებას, იგი ხალხების ჰორიზონტზე იბრწყინებს იმისათვის, რათა მათ წინ იაროს და იმავდროულად უხელმძღვანელოს ხალხებს".

* * *

ლამარტინის დეკლარაციამ მთლიანად როდი დაამშვიდა ევროპის მონარქები. თუ ინგლისმა გაიხარა ლუი-ფილიპეს დამხობით და საჩქაროდ სცნო საფრანგეთის ახალი მთავრობა, სხვა ფეოდალურმა ქვეყნებმა, გასაგები მიზეზების გამო, მის მიმართ უნდობლობა გამოიჩინეს. მაგრამ იმჯერად რესპუბლიკაზე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მათ ხელი არ მიუწვდებოდათ, რამეთუ მთელს ევროპაში დანთებული რევოლუციური ხანძარი მათ ტახტებსაც დაემუქრა. ამიტომ ის იარაღი, რომელიც გამიზნული იყო საფრანგეთის რევოლუციის ჩასახშობად, მათ თავიანთ ქვეყნებში დაწყებული აჯანყებების წინააღმდეგ მიმართეს, კერძოდ: ნიკოლოზ I-მა რამდენიმე დღეში „დააშოშმინა" „თავისი" პოლონეთი, ხოლო აპრილსა და მაისში ავსტრიის იმპერატორმა და პრუსიის მეფემ გამარჯვება „იზეიმეს" აჯანყებულ პოზნანსა და გალიციაზე. მაგრამ ალმოდებული იტალიისა და გერმანიის „მოთოკვა" ძნელზე ძნელი საქმე აღმოჩნდა. პირველში ყველაფერი მზად იყო აფეთქებისთვის: იქ ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო ანტიფეოდალური მოძრაობა. ალპებს გადაღმა დიდი ეხოთუზიაზმით და იმედებით შეხვდნენ საფრანგეთში რესპუბლიკის გამოცხადებას, იტალიის ზოგიერთი მონარქი იძულებული გახდა დათმობებზე წასულიყო. 4 მარტს კარლოს-ალბერტმა გამოაცხადა „ძირითადი სტატუსი", ანუ კონსტიტუცია, რომელიც ძალიან ჰგავდა საფრანგეთის „1830 წლის ქარტიას". მას მოგვიანებით მიბაძა პიუს IX-ემ (10-15 მარტი). ლოზუნგი — თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ერთობა! — მთელმა იტალიამ აიტაცა. პატრიოტებმა იარაღი აისხეს და სარდინიის მეფეს ავსტრიაზე ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდეს. კარლოს-ალბერტსაც ეს სურდა, და სულ მალე მისი ჯარები მდ. ტიჩინოს გასწვრივ განლაგდნენ. ვენა თავდასაცავად მოემზადა, ფრთხილმა პიემონტელმა (კარლოს-ალბერტმა) კი გადაწყვიტა, დროებით დაემალა თავისი ფარული ზრახვები.

ამ ხნის განმავლობაში დემოკრატია შეტევაზე გადავიდა გერმანულ სახელმწიფოებშიც: მარტის დამდეგს მონარქები იძულებული გახდნენ მიეღოთ, ან აღედგინათ კონსტიტუციები, პრესის და კრების თავისუფლებები. პატრიოტები უფრო შორს წავიდნენ: მათ გადაწყვიტეს 31 მარტისთვის მოეწვიათ წინაპარლამენტი (Vorparlament), რომელსაც გერმანიისთვის დამფუძნებელი კრების არჩევა და მისი პროგრამა უნდა შეეთავაზებინა. მთელი გერმანია სიხარულით გამოეხმაურა ამ ნაბიჯს. მეტერნიხმა გაიბრძოლა, მაგრამ ავსტრიაში დაწყებულმა რევოლუციამ ყველაფერი წყალში ჩაუყარა.



* * *

13 მარტს ვენაში გაიმარჯვა სახალხო აჯანყებამ. იმპერატორმა ფერდინანდ I-მა გასწირა თავისი მინისტრი, რომელიც 40 წლის მანძილზე მართავდა იმპერიას: მეტერნიხი ინგლისში გაიქცა. ახალი მთავრობის მეთაურმა ფიკელმონმა ხალხს კონსტიტუცია აღუთქვა, რაც მოწონებით მიიღეს გერმანულ ოლქებში, გარდა უნგრეთისა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. მადიართა მოთხოვნა დაკმაყოფილეს, — დაუნიშნეს მთავრობა გრაფ ბატიანის (1809-1849) ხელმძღვანელობით, ხოლო პეშტის სეიმს თითქმის შეუზღუდველი საკანონმდებლო ძალაუფლება მიანიჭეს. სუსტი ნებისყოფის იმპერატორმა სლავთა მისწრაფებებიც დაკმაყოფილა.

ავსტრიაში დატრიალებული ამბებით ისარგებლა იტალიამ. 16-დან 20 მარტამდე მანინმა ვენეცია გაათავისუფლა, გამოაცხადა რესპუბლიკა და დაეგა და მთელი ლომბარდია აიყოლია. ფელდმარშალი რადეცკი იძულებული გახდა ოთხკუთხედში გამაგრებულიყო. იმავდროულად აჯანყებულმა ხალხმა განდევნა მოდენას და პარმის ჰერცოგები. მთელი ხალხი კარლოს-ალბერტს მოითხოვდა, მანაც არ დააყოვნა, გამოაქვეყნა მოწოდება და ჯარი დაძრა ავსტრიელებზე. 26 მარტს სარდინოს მეფე ზარ-ზეიმით მიიღო მილანმა. მას რომ ალპებისკენ არ ჰქონოდა თავი მიბრუნებული[1] და პირდაპირ წასულიყო რადეცკიზე, ავსტრიელთა საქმე დამთავრებული იქნებოდა.

მალე, ხალხის მოთხოვნით, კარლოს-ალბერტს იტალიის ყველა მონარქმა (პაპმაც) გამოუგზავნა დამხმარე ძალები.

რევოლუციამ პრუსიაშიც გაიმარჯვა... ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ემ 20 მარტს ქვეყნის სათავეში ლიბერალური მთავრობა დააყენა, პრუსიიდან გაძევა ძმა, პრინცი ვილჰელმი (ფეოდალური ძალების ლიდერი და მომავალში გერმანიის იმპერიის შემქმნელი) და მოიწვია გაერთიანებული ლანდტაგი. ლანდტაგის წევრებს ხმა უნდა მიეცათ საარჩევნო კანონისათვის, რომლის საფუძველზე პრუსიის მოსახლეობა დამფუძნებელ კრებას აირჩევდა. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV რევოლუციის პირველ დღეებში თვალთმაქცობდა, ეპირფერებოდა ლიბერალებს და გერმანიის ინტერესების ერთადერთ დამცველად მოჰქონდა თავი.

ვენასა და ბერლინში შექმნილი სიტუაციის გამო გერმანიის კავშირის ვერც ერთმა მონარქმა ვერ გაბედა დაპირისპირებოდა წინაპარლამენტის მოწვევას. ამ კრებამ[2] გადაწყვიტა შემდეგი: დამფუძნებელ პარლამენტს აირჩევდა მთელი გერმანელი ერი საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე; იგი შექმნიდა ჭეშმარიტად ძლიერ მონარქიულ-ფედერალურ მთავრობას; უმაღლესი ძალაუფლება მიენიჭებოდა პარლამენტს,[3] ამაზე გაბედულად შეუძლებელი იყო თავის დახსნა საღვთო კავშირის დოქტრინებისგან.

---

[1] კარლოს-ალბერტი ვერ ენდობოდა საფრანგეთის დროებით მთავრობას და სულ იმის შიში ჰქონდა, რომ მისგან მიტოვებულ პიემონტს საფრანგეთიდან ჩამოსული დემოკრატები არ დაპატრონებოდნენ.

[2] წინაპარლამენტი მოღვაწეობდა ფრანკფურტში 31 მარტიდან 4 აპრილამდე.

[3] უფრო სწორად, მის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას აღარ დასჭირდებოდა გერმანიის კავშირის ცალკეული სახელმწიფოს მთავრობის მხრივ დამტკიცება.

* * *

XIX ს. 40-იანი წლების რევოლუციათა პერიოდში გერმანიის რეაქციული ძალები ფატერლანდის შემადგენლობაში ელზას-ლოტარინგიისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის „დაბრუნებისკენ“ უკიჟინებდნენ მონარქებს. მილიტარისტული წრეები განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვამდნენ ჰოლშტაინისა და მასთან ფეოდალური ძაფებით დაკავშირებული შლეზვიგის ყოფნას დანიის სამეფოში და „ისტორიული უსამართლობის“ „გამოსწორებისთვის“ ყოველგვარ საშუალებებს იყენებდნენ.

ისტორია კი შემდეგზე მეტყველებდა: 1720 წ. ფრედერიკსბურგის დახია-შვეციის ხელშეკრულებით, რომლის გარანტები ინგლისი და საფრანგეთი იყვნენ, შლეზვიგისა და ჰოლშტაინის ჰერცოგები დანიის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. ვენის კონგრესმა ორივე პროვინცია დანიის მონარქს, ფრედერიკ VI-ს შეუნარჩუნა, თუმცა ჰოლშტაინი გერმანიის კავშირში შეიყვანა(?!).

ჰოლშტაინი, ლაუენბურგი და სამხრეთ შლეზვიგი მთლიანად გერმანელებით იყო დასახლებული, რომლებიც, გუნებრივია, მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდნენ. რაც შეეხება შლეზვიგის დანარჩენ ტერიტორიას, მის ძირითად მცხოვრებთ სკანდინავები, ანუ მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე დანიელები შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, შლეზვიგის (რომ არაფერი ითქვას ჰოლშტაინზე) პრივილეგირებული ფენები, — თავად-აზნაურები და სახელმწიფო მოხელეები, — გერმანულ რასას ეკუთვნოდნენ. ისინი ამ საჰერცოგოში გერმანიზაციის პოლიტიკას ატარებდნენ და დანიიდან გამოყოფისთვის იღვწოდნენ. გერმანელი ნაციონალისტების გამოსვლებმა ღრმად ჩაიფიქრეს ხრისტიან VIII[1]. მან ქვეყანას ლიბერალური კონსტიტუცია აღუთქვა, მაგრამ მის გამოქვეყნებამდე აღესრულა (1848 წ. 20 იანვარი). დანიის მეფეს მართლა სურდა სასიკეთო გარდაქმნების გატარება, მაგრამ ამის საშუალება არც სიკვდილმა მისცა და არც საჰერცოგოებში აგორებულმა სეპარატიზმის ტალღამ, რომელმაც მთლიანად შთანთქა მისი ყურადღება.

მონარქის შვილმა, ფრედერიკ VII-მ სამეფოს აუწყა, რომ დაამტკიცებდა მამისეულ კონსტიტუციას, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა პროვინციისთვის[2]. გერმანიისგან დახმარების მიღებით დაიმედებული და გათამამებული ჰოლშტაინელები ყალყზე შედგნენ: ისინი არა მარტო თავისთვის, შლეზვიგისთვისაც მოითხოვდნენ განსაკუთრებულ სტატუსს, არადა, ამ უკანასკნელის მოსახლეობის უმრავლესობას, როგორც ზემოთ აღინიშნა, სკანდინავები შეადგენდნენ.

სეპარატისტთა პრეტენზიებს ტახტის მემკვიდრეობის საკითხიც „ამაგრებდა“, და აი, როგორ:

ფრედერიკ VII-ეს შვილები არ ჰყავდა, ხოლო მისი უახლოესი ნათესავ-მემკვიდრეები, — ჰესენელი მთავრები, — მასთან მხოლოდ მდედრობითი ხაზით იყვნენ დაკავშირებულნი. მაგრამ, თუ 1665 წლის სამეფო კანონი (lex regia) დანიის ტახტის დაკავების უფლებას ანიჭებდა ქალებს, გერმანიის

[1] იგი მეფობდა 1839-1848 წ.წ.

[2] 1834 წ. ფრედერიკ VI-მ შექმნა ოთხი სათათბირო სეიმი: ორი სამეფოსთვის (ერთი იუტლანდიისთვის და ერთი კუნძულებისთვის) და თითო-თითო შლეზვიგ-ჰოლშტაინისთვის. სკანდინავები მეფისგან ოთხივე სეიმის ერთ პარლამენტში გაერთიანებას მოითხოვდნენ, მაგრამ ჯიუტმა მონარქმა ეს არ გააკეთა და ამ უგუნურებით კიდევ უფრო წაახალისა სეპარატისტები.



ლენურ ჰოლშტაინში ტრადიციულად მოქმედებდა სალიკური კანონი[1]. დანიის სამეფო დინასტიის აგნატი, ანუ მამრობითი ხაზით მისი ნათესავი, — ავგუსტენბურგის ჰერცოგი ხრისტიანი, — ჰოლშტაინსა და შლეზვიგს (?!) თავის მომავალ საუფლოდ თვლიდა. მან, როგორც კი შეიტყო რევოლუციებზე ვენასა და ბერლინში, მაშინვე ააჯანყა ჰოლშტაინი, მიაღწია საჰერცოგოთა დროებითი მთავრობის შექმნას, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში (1848 წ. 20 მარტი). 23 მარტს ქ. კილი აჯანყებულებმა დაიუფლეს, ხოლო ჰერცოგმა ხრისტიანმა ციხესიმაგრე რენდსბორგი დაიკავა.

ამ ამბებს დანიის პარტიებმა უთანხმოების შეწყვეტით უპასუხეს და ფრედერიკ VII-ს ამოუდგნენ მხარში. მეფემ შეკრიბა არმია და იოლად დაიბრუნა ქ. შლეზვიგი. მეამბოხეთა საქმე წაგებულად გამოიყურებოდა, მაგრამ საჰერცოგოების საკითხმა არა მარტო საკუთრივ დახიის, არამედ საერთოევროპული მნიშვნელობა შეიძინა.

პირველ რიგში, ჰერცოგი ხრისტიანი ფრანკფურტის პარლამენტსა და ბერლინის სამეფო კარს დაუკავშირდა. ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა, თუ რა მომგებიანი იქნებოდა მისთვის ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შორის ისეთი სახელმწიფოს წარმოშობა, რომელიც თავისი პორტებით მნიშვნელოვნად გაზრდიდა საბაჟო კავშირის (Zollverem) ძლიერებას. ამის გამო ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ 6 აპრილს, ომის გამოუცხადებლად, დანიასთან ნორმალური ურთიერთობების პირობებში, ჯარები შეიყვანა ჰოლშტაინში. სხვა გერმანულმა სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით ჰანოვერმა, მის მაგალითს მიბაძეს და მალე დანიის მოწინააღმდეგეთა რაზმებრივად სამჯერ მეტი არმიის წინაშე აღმოჩნდა.

* * *

ამ დროს ავსტრია ახალმა აჯანყებამ შეაზანზარა: 15 მაისს ვენამ, უარყო რა ზემოდან ბოძებული ქარტია, გააძევა მეტერნიხის „მემკვიდრე“ ფიკელმონი და ივლისისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევა გადაწყვიტა. დამფრთხალმა ფერდინანდ I-მა ინსბურკს შეაფარა თავი[2]. იმპერატორის პოზიციების შერყევამ გერმანელთა შორის პროპრუსიული ძალების გააქტიურება გამოიწვია. 18 მაისს ფრანკფურტში მუშაობას შეუდგა პარლამენტი, რომელმაც თავის თავმჯდომარედ აირჩია ფონ გაგერნი, — გერმანიაში პრუსიის ჰეგემონობის მომხრეთა ბელადი. პარლამენტმა თავისი პირველი აქტით შექმნა გერმანიის იმპერიის მთავრობა და, ფერდინანდ I-ს დროზე რომ არ ეჩვენებია ზურგი სლავებისთვის[3], იგი ვერ ელირსებოდა პარლამენტის მხარდაჭერას იტალიის რევოლუციასთან ბრძოლაში.

ფერდინანდმა თავისი მზაკვრობით კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია: ფრანკფურტის პარლამენტში ჰაბსბურგთა მომხრეთა პარტიამ 28 ივნისს იმ-

[1] სალიკური კანონი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში კრძალავდა ქალის მიერ ტახტის დაკავებას.

[2] მას რომ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი უნგრეთის, ან სლავური ოლქებისათვის შეეფარებინა თავი, იგი საბოლოოდ დაკარგავდა ავტორიტეტს გერმანელებში და იმპერატორის გვირგვინისკენ „მწვანე შუქს“ აუნთებდა პრუსიის მეფეს, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, გერმანელი ერის ერთადერთ ქომაგად აცხადებდა თავის თავს.

[3] მისმა ჯარმა გაიქცა პრაღის სლავთა კონგრესი (14 ივნისი), ხოლო თავად იმპერატორმა ხორვატთა ბანის ტიტული ჩამოართვა ელაჩიჩს, რომელიც უნგრეთს ებრძოდა.

ჰერიის მეფისნაცვლის პოსტი ჩააბარა მის ბიძას, ჰერცჰერცოგ იოჰანს (1782–1859), რომელიც ლიბერალობდა და ერთ დროს მეტერნიხსაც მტრობდა.

12 ივლისს გერმანიის კავშირის ძველმა სეიმმა (რაიხსტაგმა) თავისი არსებობა შეწყვიტა. მეფისნაცვლის სამინისტროში მთავარ როლს თამაშობდა ავსტრიელი ბარონი შმერლინგი. ფრანკფურტის პარლამენტმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იტალიაში ჰაბსბურგთა საქმის დაცვა ყველა გერმანელის მოვალეობა იყო.

სწორედ იმ დროს, როდესაც იტალიაში იმპერატორის საქმე წაგებული ჩანდა და იგი შუამავლობას თხოვდა ინგლისს (მზად იყო, დაეთმო ლომბარდი და ავტონომია მიენიჭებია ვენეციისთვის.), წარმატების სასწორი მის მხარეზე გადაიხარა. კარლოს-ალბერტის ზოზინითა და რევოლუციით დაშინებული იტალიელი მონარქების (პაპის, ნეაპოლის მეფის ფერდინანდ II-ის და სხვ.) ღალატით (მათ თავისი ჯარები გაიწვიეს ვენეციის ოლქიდან.) ისარგებლა ავსტრიელმა რადეცკიმ და მან კუსტოცასთან სასტიკად გაანადგურა სასრდინიის მეფის ჯარი (25 ივლისი). 6 აგვისტოს კარლოს-ალბერტმა დატოვა მილანო და სამი დღის შემდეგ, ინგლის-საფრანგეთის შუამავლობის წყალობით, დაზავება გააფორმა რადეცკისთან, რამაც შესაძლებლობა მისცა ტიჩინოზე გადაეყვანა თავისი „არმიის“ უკანასკნელი ჯარისკაცები.

ფერდინანდ I-ს ოდინდელი ბატონობის აღსადგენად ვენეციის დაბრუნებაღა აკლდა.

* * *

იტალიაში წარმატებებით გათამამებულმა ფერდინანდ I-მა ავსტრიის მთელი ძალები მიმართა უნგრეთის წინააღმდეგ, რომელიც, იმპერატორის აზრით, ძალიან აჭარბებდა თავის მოთხოვნებში. მართლაც, 19 ივნისს ამ სახელმწიფომ უმეტესად რუმინელებით დასახლებული ტრანსილვანიის ანექსია მოახდინა. მადიარები სამხრეთ სლავებსაც ჩაგრავდნენ და არ ანიჭებდნენ ავტონომიას (მადიარებმა იმპერატორს ბანი ელაჩიჩიც გადააყენებინეს.), ამიტომ რა უდრეკი უნგრეთის დამორჩილებას, ფერდინანდ I-მა მოლდავეთ-ვალახეთის აჯანყების ჩახშობისა და დაკავების თანხმობა მისცა რუსეთს (ივლისი-აგვისტო). პოლონეთში ნიკოლოზ I-ის დიდი არმიის ყოფნა და მის მიერ დუნაის სამთავროების იკუპაცია, მადიართა დასაშინებლად სურდა ვენის სამეფო კარს.

სარდინიასთან დაზავების შემდეგ ავსტრიის იმპერატორმა ჩამოიხსნა ნიღაბი და უნგრეთის წინააღმდეგ აამხედრა სლავი ხალხები, კერძოდ, — ხორვატიის ბანის ტიტული დაუბრუნა ელაზიჩს (3 სექტემბერი). რუსეთთან და სლავ ხალხებთან ფერდინანდ I-ის დაახლოებამ გერმანული რასის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ფრანკფურტის პარლამენტი ვენის სამეფო კარს, დანიის კონფლიქტთან დაკავშირებით, ანტიგერმანული ინტრიგებშიც ადანაშაულებდა (პარლამენტს ეჭვი ჰქონდა, რომ ავსტრია, პრუსიის საზიანოდ, მხარს უჭერდა საპერცოგოების დანიის შემადგენლობაში დატოვებას.). უსამართლო აგრესიის მსხვერპლმა, დანიამ, დახმარებისთვის მიმართა ევროპის ჩრდილოეთში წონასწორობის შენარჩუნებით დაინტერესებულ სახელმწიფოებს. 1848 წ. მაისში შვეციამ და ინგლისმა იუტლანდია დაატოვებინეს პრუსიას, ხოლო შემდეგ, რუსეთთან შეთანხმებით, მას დაზავების პირობები უკარნახეს. ფრანკფურტის პარლამენტმა ბერლინის წაქეზებით არ მიიღო ეს შეთანხმება. აგვისტოში „კოალიციას“ საფრანგეთიც შეუერთდა (პარიზში კავენიაკმა ჩაახშო ივნისის აჯანყება და საგარეო საქმეებისთვის მოაცალა.), რომელსაც ფარულად მხარს უჭერდა ავსტრია. 26 აგვისტოს მალმეში მეორედ მოაწერეს ხელი დანია-პრუსიის შეთანხმებას, რომელიც ფრანკფურტის პარლამენტმა კბილების ღრჭენით დაამტკიცა (16 სექტემბერი). ამ აქტმა დასავლეთ გერმანიაში სერიოზული აჯანყებები ჩამოიწვია, მაგრამ პრუსიელებმა ქვემეხების ბათქით იოლად „აღადგინეს წესრიგი“. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის ავტორიტეტი რეაქციონერ ნაციონალისტთა თვალში ერთიორად ამაღლდა.

* * *

ვენის პარლამენტში სლავი დეპუტატების სიმრავლე უაღრესად აღიზიანებდა როგორც ფრანკფურტის კრებას, ასევე მადიარებს. ეს უკანასკნელნი მოთმინებიდან გამოიყვანა ელაჩიჩის უნგრეთში შეჭრამ, და აჯანყდნენ.[1] 29 სექტემბერს ფერდინანდ I-მა დაშალა მადიართა სეიმი და უნგრეთში მოქმედი ჯარების მთავარსარდლობა ელაჩიჩს ჩააბარა, რაც მადიართა გამოწვევაზე მეტი იყო.

6 ოქტომბერს ვენა მესამედ აჯანყდა. მხდალი და მზაკვარი იმპერატორი კრემნიცში (მორავია) გაიქცა. პარლამენტიდან მას ძირითადად სლავი დეპუტატები გაჰყვნენ, ხოლო ვენაში დარჩენილმა გერმანელმა და პოლონელმა პარლამენტარებმა, იმპერატორის ჯიბრზე, რევოლუციური მთავრობა ჩამოაყალიბეს. ფრანკფურტის პარლამენტმა, რომელიც ფორმალურად არ იწონებდა აჯანყებას, ვენაში საშუამავლოდ სამი კომისარი მიავლინა, მაგრამ ისინი რევოლუციური მთავრობის მხარეზე გადავიდნენ. აი, იმ დროს რომ გადასულიყო შეტევაზე უნგრეთში შექმნილი კოშუტის ხელისუფლება, იმპერატორი ნამდვილად ვერ ეღირსებოდა ვენის ხილვას. ასე რომ, მადიარებმა ვერც პრაღა იხსნეს ბომბარდირებისაგან და ვერც ვენა, რომელიც ვინდიშგრეცს დანებდა (31 ოქტომბერი).

მაგრამ იმპერატორის ჯარების წარმატება საბოლოო გამარჯვებას როდი მოასწავებდა. კოშუტის მთავრობამ მთელი უნგრეთი ააჯანყა და ეჭვქვეშ დააყენა ჰაბსბურგთა ბატონობის საკითხი წმ. სტეფანეს გვირგვინის სამეფოში[2].

ამასობაში პროპრუსიულად განწყობილმა ფრანკფურტის პარლამენტმა, ცდილობდა რა გერმანიის კავშირიდან ავსტრიის გაძევებას, შეიმუშავა კონსტიტუცია, რომლის ერთი პარაგრაფი ცალსახად მიუთითებდა იმაზე, რომ იმპერიის არც ერთ ნაწილს არ ჰქონდა რომელიმე არაგერმანულ ქვეყანასთან გაერთიანების უფლება. ეს იმას ნიშნავდა, რომ ავსტრია, რომლის იმპერატორი ცენტრალიზებული (უნიტარული) სახელმწიფოს შექმნას ცდილობდა, თავისი სლავურ-უნგრულ-იტალიური სამფლობელოებით ვერ შევიდოდა გერმანიის ახალ იმპერიაში.

ვენის სამეფო კარმა თავისი განრისხება გამოხატა ფრანკფურტის პარლამენტის მიმართ და იგი მისი კომისრის, რობერტ ბლიუმის, დახვრეტით აღნიშნა. ბუნებრივია, ჰაბსბურგების საქმე ასეთი შურისძიებით ვერ მოიგებდა.

* * *

პრაღასა და ვენაში ავსტრიის მთავრობის რეაქციული პოლიტიკის წარმატებამ ვერ გაფანტა იმპერიის ცაზე შემოჯარული შავი ღრუბლები.

კუსტოცასთან დამარცხებამ იტალიელთა თავისუფლებისადმი ლტოლვა და სამშობლოდან ჰაბსბურგების განდევნის ჟინი გააცხოველა.

---

[1] პეშტში, 27 ოქტომბერს, განრისხებულმა ხალხმა ავსტრიის კომისარი, გენერალი ლამბერგი, მოჰკლა.

[2] ასე ეწოდებოდა ადრე უნგრეთს.

მართალია, იმპერატორის ჯარმა კვლავ დაიკავა მოდენა და პარმა, მაგრამ იგი პაპის ოლქიდან გამოაძევა ბოლონიის მოსახლეობამ.

ავსტრიელთა წარმატებით გულმოცემულმა პიუს IX-მ დაითხოვა ლიბერალ მამიანის (1799-1885) მთავრობა, რომელიც პაპს ავსტრიელებთან ომის გაგრძელებისკენ მოუწოდებდა. ამ აქტმა ხალხის აღშფოთება გამოიწვია, ხოლო რომში უკვე დაიწყო მოძრაობა საერთოიტალიური დამფუძნებელი კრების მოწვევისა და ქვეყნის ეროვნული გაერთიანების სასარგებლოდ. ავსტრიისათვის საზიანოდ ინგლისი და საფრანგეთი პიემონტს თანაუგრძნობდნენ და მისი ტერიტორიის გაფართოებას მოითხოვდნენ.

ცნობამ, ვენაში ოქტომბრის აჯანყებისა და უნგრეთში იმპერატორის პოზიციების შესუსტების შესახებ, ბიძგი მისცა იტალიაში რევოლუციური მოძრაობის განახლებას. ვენეციელებმა, მანინის მეთაურობით, ოქტომბერ-ნოემბერში წარმატებებს მიაღწიეს ფრიულში, ხოლო ტოსკანაში ძალაუფლება ხელით იგდო საერთოიტალიური დამფუძნებელი კრების პარტიამ მონტანელის (1812-1862) ხელმძღვანელობით.

რევოლუციამ ყველაზე მეტად რომში იზეიმა: პიუს IX იძულებული გახდა გაეტაში (ნეაპოლის სამეფო) გაქცეულიყო (25 ნოემბერი), ხოლო სამინისტრო კვლავ მამიანმა და დემოკრატებმა შეადგინეს.

იმპერატორის, ანუ კონტრრევოლუციის, საქმე წაგებულად გამოიყურებოდა, მთავრობის სათავეში ენერგიული, პირდაპირი და გაბედული პიროვნება, თავადი შვარცენბერგი (1800-1852) რომ არ მოსულიყო.

* * *

არისტოკრატი ფელიქს შვარცენბერგი მეტერნიხის მოწაფე და ჰამბსბურგთა რეაქციული იმპერიის ერთგული დარაჯი იყო. 27 ნოემბერს მან უმკაცრესი ტონით „შეახსენა“ ფრანკფურტის პარლამენტს, რომ ავსტრიის მთავრობა გააგრძელებდა იმპერიის უნიფიკაციის[1] (ცენტრალიზაციის) კურსს, და რომ იმპერატორი მომავალშიც დაიტოვებდა უფლებას, — შესწორებები შეეტანა გერმანიის საიმპერიო კონსტიტუციაში. რამდენიმე დღის შემდეგ (2 დეკემბერი) შვარცენბერგი ავსტრიის ფაქტიური გამგებელი გახდა: მშიშარა ფერდინანდ I თავისი ძმისშვილის, 18 წლის ფრანც-იოზეფის სასარგებლოდ გადადგა, ხოლო იმპერატორმა ამაყ პრემიერ-მინისტრს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა,

შვარცენბერგმაც არ დააყოვნა და აქტიური საომარი ოპერაციები წამოიწყო უნგრეთში, რომელთა შედეგად ვინდიშგრეცმა პეშტი დაიკავა (1849 წ. 5 იანვარი). კოშუტის მთავრობა იძულებული გახდა, დებრეცენში გაქცეულიყო.

შვარცენბერგი და ახალი იმპერატორი ნაადრევად ზეიმობდნენ გამარჯვებას, რამეთუ გერმანიასა და იტალიაში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ მათ ხელი აიღეს მადიართა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებაზე.

* * *

ფრანკფურტის დამფუძნებელ კრებაში შვარცენბერგის 27 ნოემბრის ნოტამ ანტიჰაბსბურგული რეაქცია გამოიწვია და პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა, მომავალი გერმანიის იმპერიის სამეფო გვირგვინი

[1] ავსტრიის იმპერიის უნიფიკაცია ამჟამად უგულებულჰყოფდა ფრანკფურტის პარლამენტის ზემოთ ხსენებულ პარაგრაფს.



პრუსიის მეფისთვის შეეთავაზებინა, ხოლო ავსტრია საერთოდ გაეძევებია გერმანიის კავშირიდან.

ფრიდრიხ-ვილჰელმ IV მთელი არსებით რეაქციონერი და შეუზღუდველი მონარქიის აპოლოგეტი იყო (1848 წ. ნოემბრის დამლევს მან დაშალა პრუსიის დეპუტატთა პალატა და მთავრობის სათავეში პირწავარდნილი რეაქციონერები — გრაფი ბრანდენბურგი და ბარონი ფონ მანტოიფელი დააყენა.), მაგრამ, როგორც მის დაულაგებელ გონებას შეეფერებოდა, მოჩვენებით ლიბერალობდა და პირველ გერმანელად მოჰქონდა თავი. მას გულით ეწადა იმპერატორობა, მაგრამ მისი გვირგვინის გერმანელი ხალხის ხელიდან მიღებას უკადრისობდა. ამისკენ მას მოუწოდებდნენ იუნკრების პარტიის, ანუ ე. წ. „ჯვრის პარტიის“ (Kreuzzeitung) ლიდერები — ჰერლახი, შტალი და გერმანიის იმპერიის მომავალი კანცლერი ფონ ბისმარკი[1].

ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ თავის ნათესავებს ცალსახად გაანდო, რომ იმპერატორის გვირგვინს მხოლოდ გერმანელი მონარქების თავისუფალი არჩევანის შედეგად დაიდგამდა თავზე, ფრანკფურტის პარლამენტის საამებლად კი (მისი ეჭვების გასაფანტავად) პრუსიას თითქმის დემოკრატიული კონსტიტუცია უბოძა (5 დეკემბერი).

ფრანკფურტის პარლამენტში პრუსიის მომხრეებმა გაიმარჯვეს: ავსტრიელი შმერლინგის ნაცვლად საერთოგერმანული იმპერიის მთავრობის თავჯდომარედ დაინიშნა პრუსიის მეფის ერთგული კაცი, ფონ გაგერნი, ხოლო 18 დეკემბერს კრებამ გერმანიის იმპერიიდან ფორმალურად გარიცხა ავსტრია. ამ აქტმა შვარცენბურგის უშედეგო პროტესტი გამოიწვია. მაშინ მან უშუალოდ და გაუთავებელი მოლაპარაკებები წამოიწყო ბერლინთან, თან არწმუნებდა პრუსიის მთავრობას, რომ ავსტრიის გერმანული სამყაროდან გაძევება არა მარტო შეურაცხყოფას აყენებდა ჰაბსბურგთა დინასტიას, არამედ იგი დიდ ზიანს მოუტანდა გერმანელთა დიად მისიას. შვარცენბერგმა, უნგრეთში მიღწეული წარმატებების კვალობაზე, დაშალა კრემნიცის სეიმი, რომელშიც სლავი დეპუტატები ჭარბობდნენ, და 1849 წ. 4 მარტს ფრანც-იოზეფს მიაღებინა კონსტიტუცია. ეს ბოძებული აქტი ერთ პოლიტიკურ ორგანიზმში აერთიანებდა ავსტრიის მონარქიის ყველა სამფლობელოს.

* * *

ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა დიდი რისკი იყო, რადგანაც იმ მომენტისთვის უნგრელებმა ძალა მოიკრიბეს, ხოლო იტალიის რევოლუციამ თავისი კულმინაციას მიაღწია და გარდუვალი ომით ემუქრებოდა ავსტრიას.

მართლაც, იმის გამო, რომ მოწოდების მიუხედავად პიუს IX არ დაბრუნდა რომში, იქ რესპუბლიკა გამოცხადდა (1849 წ. 5 თებერვალი) და ძალაუფლება მაძინისტების ხელში გადავიდა, ხოლო გარიბალდიმ მოხალისეებისგან რევოლუციური არმია შეადგინა.

[1] ოტო-ედუარდ-ლეოპოლდ ბისმარკი დაიბადა 1815 წ. 1 აპრილს შენჰაუზენში (მაგდებურგის პროვინცია). მან გოტინგენის უნივერსიტეტში სახელი გაითქვა როგორც ჩხუბისთავმა, ხმაურიანმა, დუელის მოყვარულმა და ხწავლაში ზერელე სტუდენტმა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა არმიაში, სახელმწიფო უწყებებში, მამის მამულებში (პომერანია), იყო რეაქციონერი იუნკერი, პრუსიის გაერთიანებული ლანდტაგის წევრი (1847), პრინც ვილჰელმის მეგობარი.

რომიდან რესპუბლიკურმა მოძრაობამ ტოსკანას უწია. მისმა დიდმა ჰერცოგმა დატოვა ფლორენცია და, პაპის მსგავსად, თავი შეაფარა გაეტას. ტოსკანაც რესპუბლიკად იქცა (18 თებერვალი).

პიემონტის მეფე კარლოს-ალბერტი ძალიან შეაშფოთა დემოკრატიული მოძრაობის გაქანებამ, რომელიც ავსტრიასთან ომის განახლებისკენ მოუწოდებდა. მისმა მინისტრებმა ჯობერტიმ და რატაციმ, სახალხო მასების მსგავსად, რევანშის ლოზუნგი წამოაყენეს. მეფეს არ შეეძლო წინ აღდგომოდა ქვეშემრდომთა მოთხოვნებს (წინააღმდეგ შემთხვევაში ტახტს დაკარგავდა) და 12 მარტს, გააუქმა რა დაზავების პირობები, იტალიას ეროვნული ბრძოლისკენ მოუწოდა:

ავსტრიის მძიმე მდგომარეობით (ორ ფრონტზე ბრძოლით) ისარგებლა ფრანკფურტის პარლამენტმა და პრუსიის მეფე მემკვიდრეობით იმპერატორად გამოაცხადა (1849 წ. 12 მარტი). 3 აპრილს ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ მიიღო ამ კრების დეპუტაცია. მაგრამ უგუნურმა პრუსიელმა ძველი სიმღერა წამოიწყო (დე, გერმანელმა მონარქებმა ამირჩიონო იმპერატორად) და შეთავაზებული გვირგვინის თავზე მორგების ნაცვლად ჯარები დაძრა დანიის წინააღმდეგ (მას აგრესიის განახლებით გერმანული რასის გულის მოგება სურდა), მაგრამ ბედმა მწარედ დასცინა: ავსტრია, თითქოსდა სასწაულის წყალობით, კვლავ გაიმართა წელში და თავი დააღწია დამცირებულ მდგომარეობაში ყოფნას.

* * *

უპირველეს ყოვლისა, ორი კამპანიიდან, რომელიც შვარცენბერგს პიემონტისა და უნგრეთის წინააღმდეგ უნდა წარემართა, პირველი რამდენიმე დღეში იქნა მოგებული: რადეცკიმ ნოვარასთან კარლოს-ალბერტის არარაზმიზებულ ჯარს კუდით ქვა ასროლინა. სარდინიის სასოწარკვეთილი მეფე თავისი შვილის, ვიქტორ-ემანუელის სასარგებლოდ გადადგა, სამშობლოდან ოპორტოში გადაიხვეწა და მალე მოკვდა (1849 წ. 28 ივლისი). ახალმა მეფემ ინგლისისა და საფრანგეთის შუამავლობით დაზავებას მიაღწია (26 მარტი).

ამრიგად, შვარცენბერგმა, თავიდან აიცილა რა დიდი ხიფათი, ხელები გაითავისუფლა უნგრეთისათვის. იქ კი ასეთი ვითარება იყო: მადიარებმა კოშუტის მეთაურობით ძლიერი არმია შექმნეს და საზეიმოდ გამოაცხადეს უნგრეთის დამოუკიდებლობა (14 აპრილი). მათ პოლონელი ბემის მეთაურობით ტრანსილვანიაში დაამარცხეს ელაჩიჩის ჯარები და საფრთხე შეუქმნეს რუსეთის პოზიციებს დუნაის სამთავროებში. აპრილის ბოლოს გორგეიმ დაიბრუნა პეშტი და მის არმიას ვენის მიმართულებით გაეხსნა გზა, მაგრამ მან კოშუტთან დავაში დაკარგა დრო და რევოლუციის საქმეც დაღუპა[1].

მადიარებისადმი მტრულად განწყობილმა ნიკოლოზ I-მა დახმარება შეთავაზა ფრანც-იოზეფს, რომლის თანადგომა, მისი ვარაუდით, აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრაში გამოადგებოდა. გავიხსენოთ: წინა წელს რუსებმა მოლდავეთი და ვალახეთი დაიკავეს, რითაც ბრიტანეთისა და საფრანგეთის გულისწყრომა გამოიწვიეს. მათ ნიკოლოზ I-ს სულთანთან ბალტა-ლიმანის[2] შეთანხმება გააფორმებინეს (1849 წ. 1 მაისი), რომლის მიხედვით რუსეთს ჯარი უნდა გაეყვანა დუნაის სამთავროებიდან.

ნიკოლოზ I-ს გულზე არ ეხატებოდა ავსტრიის დანაწევრება-დაკნინება და გერმანიის გაერთიანება პრუსიის ირგვლივ, და სწორედ ამან დააჩქარა უნგრელებისა და პრუსიელთა ამბიციების წინააღმდეგ მისი ავსტრიასთან დაახლოება. ასეთი პერსპექტივა შვარცენბერგსაც ხელს აძლევდა და მან, რუსეთისაგან დახმარების მიღებით გულმოცემულმა, ფრანკფურტის პარლამენტიდან ავსტრიის დეპუტატები გამოიწვია (121 კაცი), ხოლო პრუსიის მეფეს კატეგორიულად მოსთხოვა, უარი ეთქვა შეთავაზებულ გვირგვინზე[1] (27 აპრილი). მერყეევი და მხდალი ფრიდრიხ-ვილჰელმ IV დანებდა, მისმა უარმა კი მთელი გერმანია აღაშფოთა და ზოგიერთ მონარქიაში[2] სახალხო აჯანყებები დააჩქარა. შეშფოთებულმა მონარქებმა ისევ პრუსიის ჯარით შეძლეს „წესრიგის აღდგენა“.

ბერლინის კარმა კარგად გამოიყენა „მეზობლების“ სირთულეები და 26 მაისს საქსონიისა და ჰანოვერის მონარქებს თავს მოახვია ე. წ. „სამი მეფის ხელშეკრულება“; ამის შემდეგ ფრიდრიხ-ვილჰელმა ჩამოიხსნა ლიბერალობის ნიღაბი და ფრანკფურტიდან პრუსიის დეპუტატები გაითხოვა, რაც მათ, ავსტრიელთა მსგავსად, შეასრულეს კიდეც. ფონ გაგერნი გადადგა მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები მისი ოპონენტის, მეფისნაცვალ იოჰანის, გადაყენებას დაჰპირდნენ. პარლამენტში დარჩენილმა დეპუტატებმა შტუტჰარტში (ვიურტემბერგი) გადაინაცვლეს, მაგრამ მათი კრება პრუსიის ჯარმა გარეკა (19 ივნისი). ამ აქტს დასავლეთ გერმანელი (რაინის ოლქი, ბადენი) რესპუბლიკელების აჯანყება მოჰყვა, მაგრამ ისიც სისხლში იქნა ჩახშობილი. პრუსიის მეფეს გაბედულად რომ ემოქმედა, ნამდვილად მოექცეოდა სათავეში მთელს გერმანიას, მაგრამ მას დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის ჭკუა არ ეყო.

ასე დაასრულა თავისი უბადრუკი მოღვაწეობა ფრანკფურტის პარლამენტმა და ასე უაზროდ დაიკარგა შანსი გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანებისა.

* * *

ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ს დანიასთან დაწყებულ ომშიც მოეცარა ხელი. განიცადა რა პრუსიელთა თავდასხმა 1849 წ. აპრილში, ფრედერიკ VII-მ, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ დიდი სახელმწიფოები, რამდენიმე დამარცხება აგემა აგრესორს. 10 ივლისს ბერლინის კაბინეტმა შუამავლების მუქარს ვეღარ გაუძლო და ხელი მოაწერა ახალ, რიგით მესამე დაზავებას. შეთანხმების მიხედვით შლეზვიგის ჩრდილოეთ ნაწილს დაიკავებდნენ შვედები, სამხრეთს — პრუსიელები, ხოლო დანიის მეფე საჰერცოგოებზე თავის უფლებას შეინარჩუნებდა.

* * *

ზუსტად იმ პერიოდში რუსეთისა და ავსტრიის ჯარები შეიჭრენ უნგრეთში. ორთვიანი ბრძოლების შემდეგ კოშუტი, რომელსაც არ მიჰყვებოდა გორგეი, გადადგა (11 აგვისტო). ორი დღის შემდეგ თვით გორგეი ვილაგოშთან დანებდა პასკევიჩს. მადიართა ხელმძღვანელობის ნაწილი თურქეთში გადაიხვეწა,

[1] გორგეის რევოლუციის გაღრმავების შიშით ავსტრიასთან მორიგება სურდა.

[2] ბალტა-ლიმანის ხელშეკრულებით სამთავროების გოსპოდარებს სულთანი რუსეთთან შეთანხმებით ნიშნავდა.



[1] შვარცენბერგის ულტიმატუმში ნიკოლოზ I-ის ხელიც ერია.

[2] კერძოდ, ჰანოვერსა და საქსონიაში.

ხოლო მის უბედურ ქვეყანას წლების მანძილზე უნდა აეტანა უმძიმესი ეროვნული ჩაგვრა.

რევოლუციური იტალიის დაცემა თითქმის უნგრელთა დამოუკიდებლობის აღსასრულს დაემთხვა. ავსტრია გამარჯვებას ზეიმობდა. საოცარია, მაგრამ, თუ რეაქციამ დუნაიზე დესპოტური რუსეთის წყალობით გაიმარჯვა, ტიბრზე იგი საფრანგეთის რესპუბლიკის მეოხებით იზეიმა: ოდესღაც რევოლუციონერისა და ლიბერალი პრეზიდენტის, ლუი-ნაპოლეონის არმიამ მოულო ბოლო რომის რესპუბლიკას, რომელსაც თავგამოდებით იცავდა ჯ. გარიბალდი[1] (3 ივლისი). რომში რესტავრირებულ იქნა პიუს IX-ის საერო ძალაუფლება, რომელმაც, ლუი-ნაპოლეონის პროტესტის[2] მიუხედავად, პაპის ოლქში ძველი წესები აღადგინა. რომში საფრანგეთის ჯარი 1870 წლამდე დარჩა, რის გამოც დიდი ბონაპარტეს პატარა ძმისშვილმა იტალიელი პატრიოტების სიძულვილი დაიმსახურა. დიდი ქვეყნების შუამავლობის შედეგად ვიქტორ-ემანუელმა დაიბრუნა თავისი ყველა სამფლობელო, თუმცა ავსტრიისათვის უნდა გადაეხადა 75 მილიონი. იმ შემთხვევაში, მეფე თუ გააუქმებდა 1848 წ. მარტის კონსტიტუციას, ავსტრია უეჭველად შეამცირებდა კონტრიბუციის ზომებს, მაგრამ ვიქტორ-ემანუელმა ეს არ ჩაიდინა და, როცა მთელს იტალიაში რეაქციული ტერორი მძვინვარებდა, მან პიემონტის კარი გაუღო დევნილ პატრიოტებს, რითაც მათი თანადგომა და პატივისცემა დაიმსახურა.

ზავის დადების პერიოდში დაეცა ვენეციის რესპუბლიკაც. მისი დიქტატორი დანიელ მანინი ემიგრაციაში წავიდა; სადაც ღარიბულად ცხოვრობდა და სამშობლოს განთავისუფლებაზე აღრე აღესრულა.

ასე დამთავრდა დიდი რევოლუციური კრიზისი. იმ ეპოქაში ხალხი დამარცხდა, მაგრამ რეაქციის გამარჯვება უფრო მოჩვენებითი იყო, ვიდრე რეალური. ქვემეხები დადუმდნენ, მაგრამ დიპლომატიის წინაშე თავი წამოყვეს ისეთმა მრისხანე პრობლემებმა, რომელთა გადაჭრა მხოლოდ თავისუფლებას ან ეროვნულობის პრინციპის განხორციელებას შეეძლოთ.

* * *

უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ ავსტრიის პრემიერ-მინისტრმა შვარცენბერგმა, შეშფოთებული იყო რა გერმანიაზე პრუსიის გავლენის ზრდით, ბერლინის კაბინეტს „სამი მეფის უნიის“ გაუქმებისა და გერმანიის კავშირის აღდგენისაკენ მოუწოდა.

პრუსიის მთავრობა გამომწვევად იქცეოდა: არ სურდა კომპრომისზე წასვლა. ვითარება ისე დაიძაბა, რომ ორივე გერმანული სახელმწიფო ომის დაწყების ზღვარზე აღმოჩნდა. პრუსიის მეფე იმდენად გათავხედდა, რომ, როგორც აღინიშნა, მესამე ომი გააჩაღა დანიის წინააღმდეგ. მაგრამ სულ მალე მისი მდგომარეობა დიამეტრალურად შეიცვალა: ჰანოვერისა და საქსონიის მონარქებმა, რომლებმაც წინადღით პრუსიის ჯარების დახმარებით შეინარჩუნეს ტახტები და უკვე აღარ საჭიროებდნენ მის დიქტატს, უარი განაცხადეს უნიაში ყოფნაზე. „სამი მეფის კავშირი“ დაიშალა, უფრო მეტიც, — ბავარიამ, ვიურტემბერგმა და საქსონიამ ავსტრიასთან სამხედრო ხელშეკრულება გააფორმეს.

ნიკოლოზ I-მა კვლავ გაგზავნა ესკადრა დანიის დასახმარებლად, ხოლო 1850 წ. ოქტომბერში ავსტრიისა და პრუსიის მონარქები ვარშავაში მიიწვია.

[1] დაწვრილებით იხ. „1848-1849 წ. წ. რევოლუცია იტალიაში“.

[2] 18 აგვისტოს წერილში ლუი-ნაპოლეონმა პაპს ლიბერალური პოლიტიკის გატარებისა და ნაპოლეონის კოდექსის შემოღებისკენ მოუწოდა, მაგრამ ამაოდ.



რუსთხელმწიფემ მტკიცედ გადაწყვიტა, — შეენარჩუნებინა საღვთო კავშირი და არ დაეშვა ავსტრია-პრუსიის ომი. კარგად იცნობდა რა გორჩაკოვი ნიკოლოზ I-ს, ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ თავის ნაცვლად ვარშავაში გრაფი გრანდენბურგი გაუშვა.[1] ნიკოლოზ I აგდებულად მოეკიდა პრუსიელთა მოხანიებას, ძვარცენბერგს კი მთელი გულით ეწყინა მათი დამცირება.

სასოწარკვეთილი გრაფი პირში ჩალაგამოვლებული დაუბრუნდა თავის სიუზერენს. ამ უკანასკნელმა, ახალი რევოლუციის შიშით, უკუაგდო ავსტრიასთან ომის სურვილი და დათმო. მან თავისი პოლიტიკის კრახი საწყალ ბრანდენბურგს დააბრალა, მოხსნა და სულ მალე სამარეშიც ჩაიყვანა.

ავსტრია-პრუსიის კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის ოლმიუცში ერთმანეთს შეხვდნენ შვარცენბერგი, პრუსიის ახალი მინისტრ-პრეზიდენტი მანტოიფელი და ავსტრიაში რუსეთის ელჩი მაიენდორფი. იქ 1850 წ. 29 ნოემბერს ხელი მოაწერეს ე. წ. „ოლმიუცის მუხლებს“, რომელთა მიხედვით პრუსიამ აღიარა გერმახიის კავშირის აღდგენა და თანხმობა განაცხადა დანიიდან ჯარის გამოყვანაზე.

ამ კაპიტულაციას პრუსიელი იუნკრებისა და გერმანელ ლიბერალთა აღშფოთება მოჰყვა. ახლა მათ თვალში გერმანელი ერის პირველ მტრად რუსეთი (და არა ავსტრია) იქცა. „ოლმიუცის დამცირება“ პრუსიის რეაქციული და მილიტარისტული ძალების მოუშუშებელ იარად იქცა და მან რევახშის სურვილით დამუხტა ისინი (მათ შორის ოტო ფონ ბისმარკიც).

1851 წ. გერმანიის კავშირი აღდგა, მაგრამ პრუსიამ მაინც შეძლო საბაჟო კავშირის გაფართოება, რითაც თავის ირგვლივ ეკონომიკურად გააერთიანა გერმანიის დიდი ხაწილი.

## დასკვნები

ამრიგად, კონტრრევოლუციამ ჩაშალა გერმანიისა და იტალიის გაერთიანების საქმე. პოლონეთი მისი გაყოფის მონაწილეთა ძალაუფლების ქვეშ დარჩა, ევროპის სახელმწიფოთა შორის ოდინდელი საზღვრები შენარჩუნებულ იქნა, მაგრამ მათი ურთიერთდამოკიდებულება შეიცვალა.

1848-1850 წ.წ. შემდეგ ევროპის ბედი, ერთი შეხედვით, რუსეთზე იყო დამოკიდებული: ცარიზმი დაუფარავად ერეოდა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში და ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში. სინამდვილეში ნიკოლოზ I-ის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, რომელიც ბატონყმური სისტემიდან გამომდინარეობდა.

უნგრეთის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ ჰაბსბურგებს აღარ სჭირდებოდათ რუსეთის ხელმწიფის მენტორობა და, რაკი ემძიმებოდათ მისი გაელენის ქვეშ ყოფნა, აღმოსავლეთის საკითხში ანტირუსული კურსის გატარების გზას დაადგნენ.

რუსეთ-პრუსიის დამოკიდებულება ძალიან გააფუჭა ოლმიუცმა. ასე რომ, ვენის, ბერლინისა და პეტერბურგის სოლიდარობას ბზარი გაუჩნდა, თანაც საშიში.

[1] ბრანდენბურგს ებრძანა, — პრუსიის ჰეგემონობის ცნობის ნაცვლად გერმანიის კავშირში მის მეფეს და ავსტრიის იმპერატორს თანაბარი უფლებები ჰქონოდათ. როგორც ვხედავთ, მერყეევი და ბჭობალი ფრიდრიხ-ვილჰელმი კვლავ წავიდა კაპიტულაციაზე.

რაც შეეხება ბრიტანეთს, მან კიდევ უფრო განამტკიცა თავისი სავაჭრო-სამრეწველო და კოლონიური მონოპოლია. რევოლუციების ჩახშობამ და „ვენის სისტემის“ შენარჩუნებამ გზა გაუხსნა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიას აზიაში, სადაც იგი საფრანგეთთან ერთად რუსეთის გავლენის დასუსტებისთვის იღვწოდა.

ევროპული დიპლომატიის განვითარებაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა 1851 წ. 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალებამ და ლუი-ნაპოლეონის საფრანგეთის იმპერატორად გამოცხადებამ. ნიკოლოზ I და სხვა მონარქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნაპოლეონ III უთუოდ დაიწყებდა დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და შეეცდებოდა ვენის კონგრესის ტრაქტატების ლიკვიდაციას. ისინი ბონაპარტეთა ნაშიერის მიერ იმპერატორის ტიტულის მიკუთვნებაში „ლეგიტიმური“ მონარქების შეურაცხყოფას ხედავდნენ და ფრთხილად ეკიდებოდნენ საფრანგეთის ახალი რეჟიმის ცნობას. აქედან გამომდინარე, საღვთო კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა უნდა წამხდარიყო.

## ყირიმის ომი და ევროპული დიპლომატია

### ომის მომზადება

1848 წ. რევოლუციამ ბიძგი მისცა თურქეთის ვასალურ სამთავროებში— ვალახეთსა და მოლდავეთში — პოლიტიკური მოძრაობის გამოცოცხლებას. ატარებდა რა კონსტიტუციურ და ლიბერალურ ხასიათს, ეს მოძრაობა ორივე სამთავროს ეროვნულ (რუმინულ) სახელმწიფოში გაერთიანებასა და დამოუკიდებლობას ისახავდა მიზნად.

რევოლუციის აღმავლობით შეშფოთებულმა ნიკოლოზ I-მა, რომელიც ვერ ელეოდა ბალკანეთში თავისი გავლენის შესუსტებას, ჯარი შეიყვანა სამთავროებში (1848 წ. ივნისი). რაკი რუსთ ხელმწიფემ შორს დაიჭირა თურქეთის, ინგლისისა და საფრანგეთის პროტესტი, სულთან აბდულ-მეჯიდის არმიამაც დაიკავა ბუქარესტი.

1849 წ. 1 მაისს ბალტა-ლიმანში რუსეთმა და პორტამ ხელი მოაწერეს კონვენციას. ამ შეთანხმებამ სამთავროების საკითხი შემდევნაირად გადაწყვიტა:

— ამიერიდან გოსპოდარებს[1] იმპერატორის თანხმობით დანიშნავდა სულთანი;

— აღარ მოიწვეოდა სამთავროთა საერთო კრება;

— ოკუპაცია „წესრიგის“ საბოლოო განმტკიცებამდე გასტანდა.

ბალტა-ლიმანის კონვენცია თავისი შედეგებით ადრიანოპოლის ზავის პირობებზე რეაქციული და ანტიხალხური იყო. მლადოვალახების მოძრაობის დამარცხებამ კვლავ გააძლიერა ცარიზმის პოზიციები ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში, რაც, ბუნებრივია, თურქეთის, ავსტრიისა და სხვა სახელმწიფოთა გაღიზიანებას იწვევდა.

თურქეთის სხვა ოლქებში რუსეთის პოლიტიკა ასეთი წარმატებით ვერ დაიკვეხნიდა. მართალია, რუსი აგენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბოსნიის აჯანყებაში (1849-1851), მაგრამ ოშარ-ფაშამ ისე სწრაფად „მოათვინიერა“ იგი, რომ ნიკოლოზ I-მა ჩარევაც ვერ მოასწრო.

[1] ადრე გოსპოდარებს ადგილობრივი ბოიარების წრიდან ირჩევდნენ და მათ პორტა ამტკიცებდა.



სერბიაში ცარიზმის პოზიციების შესუსტება (იქ მეფის ერთგული ობრენოვიჩების ძალაუფლება პროთურქული ორიენტაციის ალექსანდრე ყარა-გიორგის-ძემ დაამხო), სულთნის უარი — ავსტრიისა და რუსეთისათვის გადაეცა უნგრელი ემიგრანტები (კოშუტი და სხვ.), მისი მოთხოვნის შედეგად რუსეთის ჯარის გაყვანა სამთავროებიდან, თანზიმათის წყალობით ოსმალეთის თანდათანობით წელში გამართვა ზედმეტად აცოფებდა რუსთხელმწიფეს. არადა, ეს „ძლიერი ადამიანი“ პორტას „ავადმყოფ ადამიანს“ უწოდებდა, რომელიც, მისი აზრით, სადაცაა სულს დალევდა. ამიტომ, ვიდრე გარდაქმნებს არ წაუყენებია ფეხზე, საჭიროა მასთან საქმის გაფუჭება და საბაბის გამოძებნა მის დასაჩოქებლად. საბაბიც გამოიძებნა...

* * *

ურიცხვი ფირმანებით დამტკიცებული თორმეტსაუკუნოვანი ტრადიცია ოსმალეთში მცხოვრებ კათოლიკე პირთ, რომლებსაც საფრანგეთის მეფენი მფარველობდნენ, იერუსალიმსა და ბეთლემში წმინდა ადგილების დაცვის გარანტიებს აძლევდა. 1757 წ. სულთნის ქვეშევრდომი მართლმადიდებელი ბერძნები ზოგიერთ წმ. ადგილს დაეპატრონენ და, მიუხედავად საფრანგეთის პროტესტებისა, არაფერი შეცვლილა. ისარგებლეს რა რელიგიურ საკითხებში რევოლუციური საფრანგეთისა და ნაპოლეონ I-ის მოუცლელობით, 1808 წ. ბერძნებმა, რუს მართლმადიდებელთა დახმარებით, საბოლოოდ წაართვეს „ლათინებს“ წმ. ადგილები.

ვითარება იმ დღიდან გართულდა, როგორც კი პრინცი ლუი-ნაპოლეონი პრეზიდენტად აირჩიეს. პატივმოყვარე და ავანტიურისტმა ბონაპარტემ ხმა აღიმაღლა კათოლიკეთა უფლებების დასაცავად და მტკიცედ გადაწყვიტა ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის შერყეული პოზიციების აღდგენა. მისმა დაეინებულმა მოთხოვნებმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სულთანი, რომელსაც სრულებით არ ეპიტნავებოდა რუსთხელმწიფის გადაკიდება.

თურქი მინისტრები საქმის გამორკვევას შეუდგნენ, ერთი წლის შემდეგ ივი გაანრულეს და 1850 წ. კვლავ განაახლეს, რადგანაც ნიკოლოზ I აშკარა მუქარაზე გადავიდა. მალე სახელმწიფო გადატრიალებამ ლუი-ნაპოლეონს გამბედაობა შეჰმატა, ხოლო მისი პრეტენზიული ელჩი კონსტანტინოპოლში, ლავალეტი, ისე აყვირდა, რომ დაშინებულმა აბდულ-მეჯიდმა 1852 წ. 9 თებერვლის ფირმანით აღადგინა საფრანგეთის უფლებები, დაითხოვა პრორუსული ორიენტაციის მინისტრები და პრივილეგიები შეუკვეცა პალესტინაში მოღვაწე ბერძენ მამებს.

ლუი-ნაპოლეონის წარმატებამ ნიკოლოზ I-ის გაშმაგება გამოიწვია. მან, რომელიც თურქეთის ქვეშევრდომი მართლმადიდებლების პროტექტორად ითვლებოდა და რელიგიის დროშით აღმოსავლეთში გაბატონებას ლამობდა, იუკადრისა საფრანგეთის პრეზიდენტის დემარშები.

* * *

ნიკოლოზ I-მა მოიწონა 1851 წ. 2 დეკემბრის სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ რუსთხელმწიფეს მისი შემოქმედის მიმართ თბილი გრძნობები არ გაღვივებია. თუ მეფე სამიოდე წლის წინ ლუი-ნაპოლეონში რევოლუციის მტერს ხედავდა, იგი არც მის ოდინდელ პრინციპებს ივიწყებდა. იმპერატორის სიძულვილი საფრანგეთის პრეზიდენტის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა წმ. ადგილების ირგვლივ გაჩაღებულ დისკუსიათა შედეგად. 1852 წ.

მაისში ნიკოლოზ I ვენას და ბერლინს ეწვია. ავსტრიის იმპერატორთან და პრუსიის მეფესთან მოლაპარაკების დროს მან ორივე მონარქს შეთავაზა გეგმა, რომლის განხორციელებით ლუი-ნაპოლეონს იმპერატორად გახდომის სურვილი გაუნელდებოდა, მაგრამ გერმანელ გვირგვინოსანთა შორის არსებულმა ქიშპმა ჩაშალა ანტიბონაპარტისტული კოალიციის შექმნის ვარიანტი.

1852 წ. 2 დეკემბერს ლუი-ნაპოლეონი, როგორც მოსალოდნელი იყო, იმპერატორ ნაპოლეონ III-ედ მოევლინა სამყაროს და, იმ დღიდან დაიწყო მისი და ფრანგი ხალხის ტრაგედია.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორის საგარეო საქმეთა მინისტრმა დრუენ დე ლუისმა (1805-1881) ევროპას აუწყა, ნაპოლეონ III-ის პოლიტიკა არ იქნება განსხვავებული პრეზიდენტ ლუი-ნაპოლეონის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკისგანო, საღვთო კავშირის წევრი ქვეყნები ამ გარანტიებმა მაინც ვერ დაამშვიდა. მართლაც, ბონაპარტე რა ბონაპარტე იქნებოდა, თუ არ შეეცდებოდა 1815 წლის ტრაქტატების ლიკვიდაციას?

ჩრდილოეთის სახელმწიფოები, განსაკუთრებით პრუსია და რუსეთი, სერიოზულად შეუდგნენ კოალიციის შეკოწიწების სამზადისს, თუმცა იცოდნენ, რომ ბრიტანეთის გარეშე ეს თაოსნობა წყლის ნაყვა იქნებოდა.

ლონდონმა კი საღვთო კავშირთან დაახლოებას ნაპოლეონ III-თან ალიანსი ამჯობინა, და ეს იმიტომ, რომ მის გარეშე გაჭირდებოდა რუსეთის წინსვლის შეჩერება ბალკანეთსა და აღმოსავლეთში. 1852 წ. 6 დეკემბერს ინგლისმა სცნო ნაპოლეონის იმპერია. მალე მის კვალს ევროპის პატარა სახელმწიფოებიც დაადგნენ. ავსტრიისა და პრუსიის მონარქები ნიკოლოზ I-ის გადაწყვეტილებას დაელოდნენ, თან აფრთხილებდნენ, რომ გერმანიის კავშირის წევრები ძალიან ჩქარობდნენ საფრანგეთის ახალი რეჟიმის აღიარებას.

რუსეთის თვითმპყრობელმა დათმო (1853 წ. 5 იანვარი), მიულოცა, თუმცა მკაცრად აგრძნობინა საფრანგეთის მეთაურს, რომ მისგან ტრაქტატების პირნათლად დაცვას მოელოდნენ. ნაპოლეონ III-ის სახელზე გაგზავნილ წერილში ნიკოლოზ I-მა ადრესატი მოიხსენია ეპითეტით „კეთილო მეგობარო“ და არა „ლეგიტიმურ“ მონარქებს შორის მიღებული მიმართვით — „ძმავ“...

ნაპოლეონ III-ემ ეს დამცირება გულში ჩაიდო, არ დაივიწყა, მაგრამ შურისძიებისთვის იმ მომენტში არ იყო მზად.

თუმცა ავსტრიისა და პრუსიის მონარქებმა შედარებით თავშეკავებულობა გამოიჩინეს ადრესატის მიმართ, ნაპოლეონ III მაინც ხვდებოდა, რომ ისინი (გარდა ბრიტანეთისა) მასში თვითმარქვიას, ავანტიურისტსა და რევოლუციონერს ხედავდნენ.[1]

საჭიროება ბონაპარტეთა დინასტიის პატივისცემას, დაფასებას მოითხოვდა, მაგრამ რა გზით შეიძლებოდა მედიდური და სქელშუბლიანი მონარქების დაჩოქება? პასუხი ერთი იყო: ომით და ხმაურიანი გამარჯვებით!

ნაპოლეონ III-ს ჭირდებოდა ომი, ჭირდებოდა იმისთვის, რათა ქვეყნის ყურადღება მთლიანად მასზე გადაეტანა და პარალელურად ევროპაც დაეშინებია. იგი ხომ პოლიტიკაში აზარტული მოთამაშე იყო!

[1] როდესაც „ლეგიტიმურმა“ დინასტიებმა შორს დაიჭირეს მასთან დანათესავება, „სახალხო იმპერატორმა“ მათ ჯიბრზე (სიყვარულით) ესპანელი გრაფის ასული, ევგენია დე მონტეხო შეირთო და საქვეყნოდ ამაყობდა კიდეც.



* * *

მეორე იმპერიის ცნობის შემდეგ დიპლომატიურ სამყაროში მყურდღებამ დაისადგურა, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საყოველთაო მშვიდობას დიდი ხნით ვერვინ დაარღვევდა. მაგრამ ნაპოლეონის ცეზარისტული ავანტიურისგან თავის დაზღვევის მიზნით, ავსტრიისა და პრუსიის მონარქებმა, ურთიერთდათმობების გზით, ხელი მოაწერეს საბაჟო კავშირის აღდგენას. ავსტრიის იმპერატორმა რამდენიმე ხნით გადადო მასში შესვლა და ამით კიდევ უფრო მდგრადი გახადა მშვიდობიანი თანაარსებობა გერმანულ სახელმწიფოთა შორის.

ასეთივე ვითარება სუფევდა აღმოსავლეთშიც: ნაპოლეონი მზად იყო, რუსეთთან შეთანხმებით დადებითად გადაეჭრა წმ. ადგილების პრობლემა.[2] ერთი შეხედვით ეს ასე ჩანდა, სინამდვილეში კი მას ომი ეწადა და სიამოვნებით მიიღებდა მას ნიკოლოზ I-გან.

რუსეთის მეფემ განაცხადა, რომ იწონებდა მოლაპარაკების იდეას, მაგრამ უცებ, 1853 წ. 10 თებერვალს, საგანგებო და საიდუმლო დავალებით თავადი მენშიკოვი გაუგზავნა სულთანს, ხოლო პრუტზე მ. გორჩაკოვის არმია გაწალაგა. ევროპა აფორიაქდა, ყველამ იაზრა, რომ რუსეთის თვითმპყრობელი პორტასთან ომის დაწყებას აპირებდა. ეს არსებითად ასეც იყო, რამეთუ მენშიკოვს აბდულ-მეჯიდისათვის უნდა გადაეცა ულტიმატუმი, რომელიც მისგან რუსეთისადმი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდა.

რა მოსაზრებით, ან რისი იმედით აპირებდა ნიკოლოზ I ომის დაწყებას?

„ძლიერი კაცის“ ფიქრით:

— ავსტრია (მისგან დავალებული) და პრუსია (საფრანგეთის ისტორიული მტერი) თუ არ დაეხმარებოდნენ, ნეიტრალიტეტს მაინც დაიცავდნენ;

— საფრანგეთის მას არ ეშინოდა, იგი შორს იყო და სათანადოდ ვერ მიეშველებოდა პორტას;

— ბრიტანეთის მთავრობაში მეომრული სულის პალმერსტონი და ჯონ რასელი ამინდს ვერ შექმნიდნენ, რადგანაც პრემიერ-მინისტრი აბერდინი ხელმწიფეს „თავისიანად“ მიაჩნდა, ხოლო ფორინ ოფისის ხელმძღვანელი ლორდი კლარენდონი და კაბინეტის სხვა წევრები (მათ შორის ახალგაზრდა უილიამ გლადსტონი) მშვიდობისმოყვარენი იყვნენ. თუ ამას დავუმატებთ დედოფალ ვიქტორიას ანტიპატიებს ნაპოლეონის მიმართ და ინგლისის საზოგადოების დიდი ნაწილის პაციფისტურ განწყობილებას, ნიკოლოზ I-ს მართლა არ უნდა ჰქონოდა შეშფოთების მიზეზი.

სხვათა შორის, მენშიკოვის გასტუმრებამდე და მერე, როცა ის გზაში იყო, რუსეთის მეფემ გულღია დიალოგი გააბა ინგლისის ელჩთან, სერ ჰამილტონ სეიმურთან. ნიკოლოზ I ბრიტანეთს „ავადმყოფი ადამიანის“ (თურქეთის) მემკვიდრეობის გაყოფას თავაზობდა: თავისთვის იტოვებდა სამთავროებს, სერბიას, ბულგარეთს, ინგლისს კი ეგვიპტესა და კუნძულ კრეტას „უთმობდა“. რაც შეეხება კონსტანტინოპოლს, მას ვერვინ დაიუფლებდა რუსეთის გარდა, ისიც დროებით და გიროაოს სახით. რასაკვირველია, ბრიტანეთის კაბინეტმა კატეგორიულად უარყო ასეთი გეგმა, თან აცნობა რუსთხელმწიფეს, რომ კეთილსინდისიერი გარჯით შეიძლებოდა „ავადმყოფის“ ფეხზე დაყენება! ამის შემდეგ ლონდონმა შეწყვიტა მეფესთან მოლაპარაკება (1853 წ. აპრილი), ხოლო ნაპოლეონ III-მ, როგორც ცი შეიტყო აღნიშნულ მოლაპარაკებაზე, თითი დაუქნია ინგლისის მთავრობას.

[1] 1853 წ. საბაჟო კავშირში ავსტრიის გარდა თითქმის ყველა გერმანული სახელმწიფო გაერთიანდა, რაც პრუსიის უდიდესი გამარჯვება იყო.

[2] ნიკოლოზ I-ის საამებლად მან გოროზი ლავალეტიც კი გაიწვია პორტაღან.

ამასობაში თავადი მენშიკოვი ძალიან უხეშად და გამომწვევად იქცეოდა ბიზანტიონში: მისი მოთხოვნით აბდულ-მეჯიდმა გადააყენა რუსოფობი ფუად-ფაშა[1], მაგრამ წინადადებას, — თურქეთის მართლმადიდებელი ქვეშევრდომები (დაახლოებით 15 მლნ. კაცი) რუსეთის მეფის საერო და რელიგიური ძალაუფლებისათვის დაემორჩილებია, — მან სასტიკი უარით უპასუხა (მის მიერ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ტახტიდან გადადგომის ტოლფასი იქნებოდა).

მალე კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები (შესაბამისად, სტრეტფორდ რადკლიფი და ედმონდ დე ლაკური), რომლებიც შეხმარტკბილებულად ამოქმედდნენ რუსთ საზიანოდ. ისინი ყოველნაირ მხარდაჭერას დაპირდნენ სულთანს და... მანაც უკუაგდო ნიკოლოზ I-ის ულტიმატუმი. თავადმა ხმაურითა და მუქარით დატოვა კონსტანტინოპოლი[2] (მაისი).

შეიტყო რა ინგლის-საფრანგეთის ფლოტის გეზზე დარდანელისკენ, შეცბუნებულმა და განრისხებულმა „ძლიერმა კაცმა“ ვალახეთი და მოლდავეთი დაიკავა (4-10 ივლისი).

* * *

ომი ხუთი თვის შემდეგ დაიწყო. თურქეთი მისთვის არ იყო მზად, ხოლო ნიკოლოზ I სერიოზულად ჩააფიქრა ინგლის-საფრანგეთის შეკავშირებამ.

რუსთხელმწიფის იზოლაციაში ყოფნით გახარებული ნაპოლეონ III არ აპირებდა მოვლენების ბუნებრივი განვითარების დაჩქარებას და საფრანგეთის საზოგადოებაში საკუთარი პერსონისადმი ეჭვების აღძვრას. ამიტომ მან 1841 წ. კონვენციაზე ხელისმომწერ ქვეყნებს მისი ხელმეორედ განხილვა შეთავაზა. ფრანც-იოზეფმა, რომელიც წინააღმდეგი იყო ბალკანეთში, დუნაიზე და ახლო აღმოსავლეთში რუსეთის გაბატონებისა, სიხარულით მიიღო ნაპოლეონ III-ის პროექტი. ნიკოლოზ I-მაც მოიწონა კონფერენციის მოწვევის იდეა (?), მაგრამ ვენაში შეკრებილმა ხუთეულის ელჩებმა ისეთი ბუნდოვანი ნოტა შეიმუშავეს, რომ სულთანმა მაშინვე უარყო იგი.

სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ნიკოლოზ I-მა ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა მართლმადიდებლურ სამყაროს. მეფის მანიფესტმა ფანატიკოსი მუსულმანების საპასუხო რეაქცია გამოიწვია: ულემები აბდულ-მეჯიდისაგან ომის გამოცხადებას, ან გადადგომეს მოითხოვდნენ. ომარ-ფაშამ გორჩაკოვს 15 დღე მისცა სამთავროების დასაცლელად... 23 ოქტომბერს დუნაიზე საომარი ოპერაციები დაიწყო, ხოლო ნახიმოვმა სინოპის რეიდზე ოსმალთა ფლოტი გაანადგურა (1853 წ. 30 ოქტომბერი). ამიერიდან სულთანს აღარ შეეძლო შავ ზღვაში რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა და კონსტანტინოპოლის დაცვა ბოსფორის მხრიდან.

* * *

აბდულ-მეჯიდის იღბლად კონსტანტინოპოლთან ინგლის-საფრანგეთის ფლოტი გამოჩნდა. დამფრთხალმა სულთანმა მას შავ ზღვაში შესვლა და რუსების ესკადრის მოსპობა მოთხოვა.

1854 წ. 12 მარტს ლონდონისა და პარიზის კაბინეტებმა ხელი მოაწერეს სულთანთან შეთანხმებას. ისინი პირობას დებდნენ, რომ იარაღით დაიცავდნენ პორტას სუვერენიტეტს, ხოლო სულთანი გაატარებდა რეფორმებს და თანაბრად დაიცავდა ყველა რელიგიური მრწამსის ქვეშევრდომთა უფლებებს.

10 აპრილს ინგლისმა და საფრანგეთმა გააფორმეს ტრაქტატი, რომლის ძალით არც ერთი მათგანი სეპარატულ მოლაპარაკებას არ გამართავდა რუსეთთან, ომში მონაწილეობისათვის არავითარ „გასამრჯელოს“ არ მიიღებდა და ერთად „დააშოშმინებდნენ“ ბერძენთა ანტიოსმალურ აჯანყებებს აკარნანიაში, თესალიასა და მაკედონიაში[1].

წინა დღით (9 აპრილი) ვენაში ინგლის-საფრანგეთისა და ავსტრია-პრუსიის ელჩებმა შეადგინეს ოქმი, რომელიც საზავო პირობების ურყევ საფუძვლად აღიარებდა:

1) ოტომანთა იმპერიის მთლიანობას; 2) სამთავროებიდან რუსთა ჯარის გაყვანას; 3) სულთნის დამოუკიდებლობას და მის მიერ ქრისტიანი ქვეშევრდომებისთვის თავისუფლებისა და პრივილეგიების მინიჭებას; 4) ისეთი გარანტიების გამოძებნას, რომლებიც მოაწესრიგებდნენ თურქეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს ევროპის წონასწორობის შენარჩუნებისათვის.

სახელმწიფოებმა დადეს პირობა, რომ პრობლემის გადაჭრაში იმოქმედებდნენ სოლიდარულად და წინასწარი განხილვის გარეშე მოლაპარაკებას არ დაიწყებდნენ რუსეთთან.

ამრიგად, ვენის ოქმმა რუსეთის იმპერია სრულ იზოლაციაში მოაქცია, ხოლო მოკავშირეებს ცენტრალური ევროპის (გერმანიის კავშირის) სრული ჩაურეველობის (ხელტრალიტეტის) გარანტია მისცა.

* * *

ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა არ დააყოვნა და შავ ზღვაში შევიდა. ჯერ კიდევ 1853 წ. 27 დეკემბერს დრუენ დე ლუისმა, ინგლისის კაბინეტის დასტურით, ნიკოლოზ I-ს აცნობა, რომ ორივე სახელმწიფოს ესკადრა აღარ დაუშვებდა შავ ზღვაში რუსეთის ალმის ფრიალს. ფაქტიურად ეს ომით დამუქრებას ნიშნავდა და, თუ მოკავშირეებმა მაშინვე არ დაიწყეს იგი, ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მომზადებას და მოკავშირეთა შოვნას საჭიროებდნენ.

იმ მომენტში, როდესაც ოთხი სახელმწიფო ასეთ ვალდებულებებს ღებულობდა, აღმოსავლეთის კრიზისი კულმინაციურ ფაზაში შევიდა. ინგლისსა და საფრანგეთს, დაამთავრეს რა საომარი მზადება, აღარ შეეძლოთ მისი გადავადება მათ ვერ მოახერხეს ავსტრიის გადმობირება, რომელმაც თავის გასამართლებლად პრუსიის უარი მოიშველია. ხომ არ აჯობებდა, შეხმატკბილებულ დუეტს თავად დაეწყო ომი და მერე ჩაეთრიათ მასში ვენა?

რაც შეეხება ნიკოლოზ I-ს, მას არ ღალატობდა თვითდაჯერებულობა. მართალია, მან ვერ მიაღწია დანიისა და შვეციის ნეიტრალიტეტს[2] და სპარსეთის წაკიდებას ინგლისთან, მაგრამ, სამაგიეროდ, მხარდაჭერა ჰპოვა საბერძნეთში, რომელიც მხურვალედ გამოეხმაურა აჯანყებულ თესალიასა და ეპირს (1854 წ. თებერვალ-მარტი). ნიკოლოზ I-ს ჩერნოგორიელთა იმედიც ჰქონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სუფთა წყლის ილუზიები ყოფილა. მისდა

---

[1] საბერძნეთის მეფე ოტონ I რუსუფილი იყო და ზემოთ ჩამოთვლილი ბერძნული აჯანყებების შემოერთებას ლამობდა.

[2] პირველს მოკავშირეების ეშინოდა, მეორე კი მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი.



---

[1] საგარეო საქმეთა მინისტრი (რეის-ეფენდი).

[2] მე აქ ელჩის ფორმით კი არა, სამხედრო მუნდირში დავბრუნდებიო, — განუცხადებია წამოსვლის წინ რუს ადმირალს და მეფის საგანგებო დესპანს.

სავალალოდ, იგი ამას მოგვიანებით მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო: უარყო რა მოკავშირეთა ულტიმატუმი (მარტის დასასრული), ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს რუსეთს (მარტის დასასრული).

მალე მოკავშირეებმა „გონზე მოიყვანეს“ ოტონ I (მაისი), ხოლო მთავარი ძალები დუნაისა და შავი ზღვისაკენ[1] დაძრეს.

ასე დაიწყო ყირიმის ხანგრძლივი და უაზრო ომი.

## ყირიმის ომი: საომარი ოპერაციები

სხვა კონფლიქტებისგან განსხვავებით ყირიმის ომი ძალიან თავისებური და მძიმე ომი იყო. არ ჰქონდათ რა შეხების წერტილები (იგულისხმება გეოგრაფიული მდებარეობა), მეომარი მხარეები ზღვით თუ მისწვდებოდნენ ერთმანეთს. ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს ბრძოლის ველიდან 4 ათასი კმ. აშორებდა, მათ აფრიან ხომალდებს სევასტოპოლამდე მისვლისთვის მთელი თვე ჭირდებოდათ, ხოლო რუსებს, უვარგისი გზების გამო, მათზე ძეტი. მეორეს მხრივ, მოკავშირეებს არ გააჩნდათ წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული გეგმა: ინგლისისა და საფრანგეთის შტაბების პროექტები ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მოკავშირეთა თავდაპირველი გეგმა დუნაიზე რუსების შეკავებას ითვალისწინებდა, შემდეგ კი, როცა მათგან სამთავროები „გაწმინდეს“, ნაპოლეონი ხმელეთზე ბრძოლებს ანიჭებდა პრიორიტეტს, ინგლისელებს კი რუსთა შავი ზღვის ფლოტის განადგურება და სევასტოპოლის დანგრევა აინტერესებდათ. მოკავშირეებს არ ჰყავდათ საერთო მთავარსარდალი (პატივმოყვარეობის ფაქტორი!), ამიტომ ფრანგი და ბრიტანული სარდლები ოპერაციებს მიწერ-მოწერით წარმართავდნენ. გარდა ამისა, სარდლებს ხშირად ცვლიდნენ, მაგ. ფრანგებს შესაბამისად მეთაურობდნენ სენტ-არნო, კანრობერი და პელისიე, ხოლო ინგლისელებს — რაგლანი და სიმპსონი, თანაც ყოველი მათგანი თავისი გეგმით ხელმძღვანელობდა. მთავარსარდალთა საქმეებში უხეშად ერეოდნენ შესაბამისი მთავრობები და ცალკეული პირები. მოკავშირეებს დიდი ზარალი მიაყენა 1855 წლის მკაცრმა ზამთარმა, ქოლერამ, ტიფმა და, რაც მთავარია, რუსი ჯარიკაცებისა და მეზღვაურების თავგანწირულმა წინააღმდეგობამ.

მოკავშირეთა სარდლობის კონსტანტინოპოლში გამოჩენისას რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა (1854 წ. 23 მარტი) და გარემოიცვა ციხესიმაგრე სილისტრია (14 აპრილი), მაგრამ საფრანგეთის, ინგლისისა და თურქეთის (ომარ-ფაშას) ჯარების საომარ ოპერაციებში ჩაბმამ რუსებს ალყა მოახსნევინა (ივლისი). ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ტრანსილვანიაში ავსტრიის არმიის შეყვანამ და ვენის ანტირუსულმა პოზიციამ ითამაშა (2 ივნისს ავსტრიამ კატეგორიულად მოთხოვა ნიკოლოზ I-ს დუნაის სამთავროების დატოვება).

1854 წ. 23 ივნისს ვენამ თურქეთთან გააფორმა კონვენცია, რომელიც მას მოლდავეთისა და ვალახეთის დაკავების უფლებას აძლევდა. ამ მომენტიდან დუნაიზე საომარმა მოქმედებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

როგორც კი კონსტანტინოპოლი საფრთხეს გადაურჩა, დაისვა კითხვა: რა უნდა მოემოქმედებინა ვარნაში თავმოყრილ მოკავშირეთა არმიას? რომ გორ აეძულებიათ ნიკოლოზ I, მიეღო ვენის ოქმი? ავსტრიას და ნაპოლეონ III-ს სამთავროების დაკავება და პრუტის გადალახვა სურდათ, ინგლისმა კი ყირიმზე ლაშქრობა და სევასტოპოლში თავშეფარებული რუსეთის ფლოტის განადგურება დაიჟინა. ლონდონის აზრით, ყირიმის ექსპედიცია ნამდვილად „მოარჯულებდა“ ჯიუტ ხელმწიფეს. ფრანგები დათმობაზე წავიდნენ და ყირიმისათვის 30 ათასი კაცი გამოყვეს (ინგლისელებმა — 21 ათასი). 7 სექტემბერს ესკადრა გავიდა ვარნადან და კურსი აიღო სევასტოპოლისკენ. გადასხდნენ რა მის ჩრდილოეთით, ევპატორიასთან, 19 სექტემბერს მოკავშირეთა ჯარები სევასტოპოლისკენ გაემართნენ. რუსებს ყირიმში სულ 10 ათასი ჯარის კაცი ჰყავდათ (მათ თავადი მენშიკოვი სარდლობდა.) და, როგორც კი შეიტყვეს მტრის მოძრაობაზე, მათ შესაჩერებლად 40 ათასი კაცი გაგზავნეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა მდ. ალმაზე მოკავშირეთა წარმატებით დამთავრდა (20 სექტემბერი). რუსებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს საყვარელი სევასტოპოლის გასამაგრებლად (ამ საქმეში თავი ისახელა სამხედრო ინჟინერმა ტოტლებენმა) და დასაცავად. ადმირალებმა კორნილოვმა და ნახიმოვმა ფლოტი ჩაძირეს სევასტოპოლის შესასვლელში და ამით გზა გადაუკეტეს მოკავშირეთა ესკადრებს. მატროსებმა და ფლოტის არტილერისტებმა პორტის დამცველთა რიგები შეავსეს და საგმირო საქმეებით გაამდიდრეს სევასტოპოლის საბრძოლო ისტორია. მოკავშირეებმა სევასტოპოლი მხოლოდ სამხრეთის მხრიდან გარე-მოიცვეს, ხოლო ჩრდილოეთიდან პორტს კავშირი არ გაუწყვეტია რუსეთთან. ინგლისელები და ფრანგები 17 ოქტომბრიდან გამუდმებით ბომბავდნენ ქალაქს, მაგრამ მის აღებას ვერ ახერხებდნენ.

25 ოქტომბერს მენშიკოვმა იერიში წამოიწყო ბალაკლავას დასაბრუნებლად, მაგრამ უშედეგოდ: ინგლისელებმა გაუძლეს. მალე მენშიკოვმა დამხმარე ძალები მიიღო ბესარაბიიდან (მას შეეძლო 100-ათასიანი არმიის გამოყვანა 65 ათასის წინააღმდეგ) და 5 ნოემბრის ღამეს თავს დაესხა ინგლისელებს ინკერმანის მაღლობებზე. ფრანგების (გენერალ ბურბაკის) დროული დახმარება რომ არა, ბრიტანელთა (გენერალი რაგლანი) საქმე დამთავრებული იქნებოდა. იმ ხოცვა-ჟლეტაში ორივე მხარემ 16 ათასი კაცი დაკარგა.

მართალია, ბალაკლავასთან რუსები დამარცხდნენ, მაგრამ აღარც მოკავშირეებს ჰქონდათ სევასტოპოლზე შტურმის წამოწყების თავი, ამიტომ ისინი შევსებას დაელოდნენ. მარტო ფრანგებმა არმიის შემადგენლობა 50 ათასამდე გაზარდეს, ინგლისელებმა კი მხოლოდ დანაკლისის შევსება შეძლეს.

დადგა 1855 წ. იანვარი და ყირიმში ისეთი ყინვები დაიჭრა, რომ მოკავშირეთა ლაზარეთები ავადმყოფებით გაივსო. მიუხედავად სიცივისა და სუსხიანი ქარებისა, ომი გრძელდებოდა. გორჩაკოვმა (მან მენშიკოვი შეცვალა) სცადა ევპატორიის აღება (17 თებერვალი), მაგრამ ომარ-ფაშამ შეძლო რუსების უკუგდება. 2 მარტს მოკვდა ნიკოლოზ I და ყველას ზავის დადების იმედი ჩაესახა, მაგრამ ახალმა მეფემ, ალექსანდრე II-მ ბრძოლის გაგრძელებისკენ მოუწოდა ქვეყანას და დამხმარე ძალები გაუგზავნა სევსტოპოლის დამცველებს.

დახმარება მოკავშირებმაც მიიღეს: ვიქტორ-ემანუელ II-ემ (სარდინიის მეფემ) მათთან დადებული შეთანხმების საფუძველზე (26 იანვარი) 15-ათასიანი კორპუსი გადასხა ყირიმში (აპრილი). ასე რომ, გაზაფხულისთვის მოკავშირეთა ძალამ 140 ათას კაცს მიაღწია. 16 მაისს კანრობერი პელისიემ, დაუკიდებელი მოქმედების გენერალმა შეცვალა. 7 ივნისს მან დაიკავა მწვანე კურგანი, რომელიც მალახოვის კურგანს და სევასტოპოლის სხვა სიმაგრეებს იცავდა. 18 ივნისს (ვატერლოოს 40 წლისთავზე) მოკავშირეებმა სცადეს მალახოვის კურგანის აღება, მაგრამ უშედეგოდ (დაკარგეს 5 500 კაცი). მალე რაგლანი (ის მოკვდა ქოლერისაგან) სიმპსონმა შეცვალა. გორჩაკოვმა, გრძნობდა რა სევასტოპოლის ავონიას, ერთხელ კიდევ სცადა გაბრძოლება: 16 აგვისტოს ის მდ. ჩორნაიაზე მიუხტა მოწინააღმდეგეს, ვაგრამ უშედეგოდ (დაკარგა 8 000 კაცი). სევასტოპოლის ბომბარდირება კი გრძელდებოდა (რუსები დღე-ღამეში 700-800 კაცს კარგავდნენ). 8 სექტემბერს მაკ-მაჰონის

[1] შავი ზღვა ისედაც მათ ხელში იყო.

ფრანგულმა დივიზიამ სისხლისმღვრელი შტურმით აიღო მალახოვის კურგანი, რომელიც სევასტოპოლის ბოლო იმედი იყო. გორჩაკოვმა ციხიონი გაიყვანა ქალაქიდან, ძილით კი მასში მოკავშირეები შევიდნენ.

რუსებს არ დაუტოვებიათ ყირიმი, თუმცა ომი არსებითად დამთავრდა. ინგლისელებმა ვანდალურად დაანგრიეს სევასტოპოლი, რაც ფრანგების აღშფოთებას იწვევდა. ბრიტანეთის მთავრობა კრონშტადტის წინააღმდეგ ძლიერ ექსპედიციას ამზადებდა, მაგრამ იგი არ შედგა ზავის დადების გამო. რაც შეეხება ბრძოლას აზიაში, იქ რუსის იარაღმა მიაღწია წარმატებას: 25 ნოემბერს აღებული იქნა ყარსი. ამ რევანშმა ალექსანდრე II-ში ზავის დადების სურვილს გააძლიერებინა.

## ყირიმის ომი: დიპლომატია; პარიზის ტრაქტატი

### ავსტრიის პოლიტიკა

ომის მსვლელობაში დიპლომატები არ წყვეტდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. საფრანგეთი და ბრიტანეთი ვენის ოქმზე ხელის მოწერის შემდეგ ძალიან ცდილობდნენ ავსტრიისა და პრუსიის მიმხრობას რუსეთთან ომში.

საომარი ოპერაციების მთელი ხნის მანძილზე ვენის სამეფო კარი ორჭოფულ პოლიტიკას ატარებდა. ასეთი რამ ახასიათებს ქვეყნებს, რომლებიც, ფარულ რაღაც თავიანთ უსუსურობას, არ მიდიან რისკზე, თუმცა პატივმოყვარული ამბიციები სრულებით არ უშლიან ხელს მაქსიმალური გამორჩენის სურვილში. ავსტრია, პირველ რიგში, დაინტერესებული იყო დუნაის სამთავროებიდან რუსეთის ჯარების გაყვანით, რის შემდეგ იგი თავისი არმიით მათ დაუფლებას ვარაუდობდა. მაგრამ, იმყოფებოდა რა უილაჯო მდგომარეობაში, ავსტრია ცდილობდა ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატებისთვის დაემალა საკუთარი უძლურება, რასაც მან არსებითად მიაღწია.

იმის გამო, რომ ავსტრია არ იყო დარწმუნებული პრუსიის თანადგომაში, იგი არ აპირებდა აქტიურ მოქმედებაზე გადასვლას.

### პრუსიის პოლიტიკა; გერმანიის კავშირი

როდესაც ვენა თავის უძლურებს მალავდა, ბერლინს გულში ეღიმებოდა: პრუსიაში მშვენივრად უწყოდნენ ავსტრიის სამხედრო პოტენციალზე. ამიტომ, ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-ის მთავრობა ავსტრიასთან მხოლოდ თავდაცვითი კავშირის გაფორმებაზე წავიდა (1854 წ. 20 აპრილი), რომლის მიხედვით ბერლინი მაშინ დაეხმარებოდა ჰაბსბურგთა იმპერიას, თუ მას რუსეთი დაესხმოდა, რაც ნაკლებად შესაძლებელი იყო. პრუსიის მეფის განცხადებით, პრუსია აქტიურ მოქმედებაზე საერთოგერმანული ინტერესების შელახვის შემთხვევაში გადავიდოდა. ფრიდრიხ-ვილჰელმ IV-მ, ამასთან, მოითხოვა, რომ ვენის შეთანხმებას გერმანიის კავშირიც შეერთებოდა. იცოდა რა გერმანიის პატარა მონარქიების პრორუსულ სიმპათიებზე, პრუსია დარწმუნებული იყო იმაში, რომ მათი მონაწილეობა სავარაუდო კომბინაციაში ლაგამს ამოსდებდა ავსტრიის მისწრაფებებს. ეს ვარაუდი გამართლდა: გერმანული სახელმწიფოები შეთანხმებას შეუერთდნენ მხოლოდ 24 იელისს და მოითხოვეს, — მათი თანხმობის გარეშე არ გადადგმულიყო რაიმე ნაბიჯი და მოკავშირეთა არ-



მიას არ გადაელახა ღუნაი. ამრიგად, ავსტრია შებოჭილი აღმოჩნდა: გერმანიის დასტურის გარეშე ომს ვერ დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო თუ მას დაესმარებოდა (აკი რუსეთმა იხსნა იგი 1849 წელს!), ინგლისისა და საფრანგეთის მტრულ რეაქციას გამოიწვევდა.

### ვენის კონფერენცია, „ოთხი გარანტის ოქმი"

იმის გამო, რომ ინგლისი და საფრანგეთი ავსტრიის პოზიციებს ემუქრებოდნენ[1] იტალიაში, კანცლერმა ბუოლმა (1797-1865) სასწრაფოდ მოიწვია კონფერენცია. მართალია, პრუსიამ ვენაში არ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, მან მაინც მოაწერა ხელი მოკავშირეების მიერ შემუშავებულ ოქმს (8 აგვისტო), რომელიც ზავის დადების ძირითად პირობებად ღუნაის სამთავროებსა და სერბიაზე რუსეთის პროტექტორატის გაუქმებას ითვალისწინებდა. ოქმის მიხედვით რუსეთის პროტექტორატს სახელმწიფოთა კოლექტიური გარანტია შეცვლიდა; გადაისინჯებოდა ღუნაის შესართავში ნაოსნობის თავისუფლება, რუსეთი ხელს აიღებდა თურქეთის ქვეშევრდომი ქრისტიანების მფარველობაზე, ხოლო სულთანი დაიცავდა მათ პრივილეგიებს. ამ პირობებმა შეადგინა ე. წ. „ვენის ოთხი გარანტია": ერთი შეხედვით, აღნიშნული პირობების მიღებით ავსტრია უნდა გააქტიურებულიყო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. 31 ივნისიდან რუსეთი სამთავროებიდან ჯარების ევაკუაციას შეუდგა, სადაც ისინი ავსტრიელებმა შეცვალეს პორტასთან 3 ივნისის შეთანხმების საფუძველზე.

ავსტრიამ თავის მიზანს მიაღწია და... დადგა. ეს არ გამოეპარათ მოკავშირეთა კაბინეტებს და, რაკი არ აპირებდნენ ფრანც-იოზეფისთვის თავის გამოდებას, დაუფარავად დაუახლოვდნენ სარდინიის (პიემონტის) მეფეს. ეს ტაქტიკა ნაწილობრივ წარმატებით დასრულდა.

### 1854 წ. 2 დეკემბრის კავშირი; ალიანსი სარდინიასთან

2 დეკემბერს ავსტრიამ, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას. კონვენციის მიხედვით, მოკავშირეებს რუსეთის მეფესთან არ უნდა დაედოთ ცალმხრივი ზავი წინასწარი და საერთო განხილვის გარეშე; ავსტრიას უნდა დაეცვა სამთავროები რუსეთისაგან; თუ ზავი არ გაფორმდებოდა 1855 წ. 1 იანვრამდე, მოკავშირეებს გადამწყვეტი ზომები უნდა მიეღოთ კოალიციის მიზნების განსაზღვრებისათვის. ავსტრია იმედოვნებდა, რომ ეს უკანასკნელი დადგენილება საშუალებას მისცემდა მას გაეჯანსაღებია აქტიური მოქმედება, და რომ კონვენცია არ დაუშვებდა სარდინიასთან კავშირის გაფორმებას.

მაგრამ სახელმწიფოებმა თავი არ მოიტყუეს: ნაპოლეონ III დაჟინებით მოითხოვდა სარდინიის ომში ჩაბმას.[2] მართლაც, 1855 წ. 26 იანვარს ვიქ-

---

[1] ვენამ იცოდა: ნაპოლეონ III აუცილებლად დაეხმარებოდა პიემონტს ავსტრიელთა უღლის გადაგდებაში.

[2] მისი აზრით, ამ კომბინაციის შედეგად გაიოლდებოდა სარდინიის მონაწილეობა საზავო მოლაპარაკებაში და მისი ჩართვა დიდი სახელმწიფოების კონცერტში.

ტორ ემანუელ II-მ და მისმა მინისტრმა კავურმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას და ყირიმში პიემონტის 15 ათასიანი კორპუსი გაგზავნეს. ამ ხელშეკრულების იტალიის თავისუფლება უნდა მოჰყოლოდა.

ავსტრიამ პრუსიის და გერმანიის კავშირის შეიარაღებული ძალების მობილიზაცია სცადა, მაგრამ ამაოდ: პრუსიამ უარყო ვენის წინადადება. ცენტრალურ ევროპაში ვითარება დაიძაბა, რითაც ჩინებულად ისარგებლა ნაპოლეონ III-მ.

## ვენის მესამე კონფერენცია

ნიკოლოზ I-ის აღსრულებისთანავე (1855 წ. 2 მარტი), საზავო პირობების დაღგენის მიზნით, ვენაში შეიკრიბა ახალი კონფერენცია, რომელშიც მოკავშირეთა ინტერესების წყალობით არ იქნა დაშვებული პრუსია (15 მარტი). კონფერენციაში მონაწილეობდნენ დრუენ დე ლუისი და ინგლისელი ჯონ რასელი. თავყრილობაზე სახელმწიფოებმა საერთო ენა ვერ გამონახეს ვერც თურქეთის კოლექტიური დაცვის და ვერც შავ ზღვაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების შეზღუდვის საკითხში. ამ შეუთანხმებლობას ორივე პოლიტიკოსის გადაყენება მოჰყვა.

იმის გამო, რომ ყირიმში მოკავშირეთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და, მეორეს მხრივ, გერმანული ქვეყნები არ მალავდნენ რუსეთისადმი სიმპათიებს, ავსტრიამ ზურგი შეაქცია მოკავშირეებს და თადარიგში გაუშვა 60 000 ჯარისკაცი.

## ავსტრიის ულტიმატუმი; ზავის წინასწარი პირობები

სევასტოპოლის დაცემამ, რუსეთის გაჩანაგებამ და იმის შიშმა, რომ თავქარიან ნაპოლეონს შეეძლო პოლონეთში რევოლუციის გამოწვევა, ვენა პარიზს დაუახლოვა და ნოემბერში რუსეთის მეფისთვის ულტიმატუმის გაგზავნა შესთავაზა. პრუსიამ, არ აწყობდა რა რაიმეზე ომის გაჩაღება, ალექსანდრე II-ს დათმობისკენ მოუწოდა. 1856 წ. 16 იანვარს მეფემ მიიღო ულტიმატუმი, ხოლო 1 თებერვალს ვენაში ხელი მოაწერეს ზავის წინასწარ პირობებს.

## პარიზის ზავი

15 თებერვალს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრაფ ვალევსკის[1], თავმჯდომარეობით გაიხსნა საზავო მოლაპარაკების კონგრესი[2]. მასში პრუსიის წარმომადგენელი დაშვებულ იქნა კონგრესის გახსნის შემდეგ და ნაპოლეონის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად. ტრაქტატს ხელი მოაწერეს 1856 წ. 30 მარტს.

[1] იგი ნაპოლეონ I-ისა და მარია ვალესკაიას შვილი იყო.

[2] კონგრესზე ავსტრიას წარმოადგენდა გრაფი ბუოლი, ინგლისს — ლორდი კლარენდონი (1800-1870), სარდინიას — გრაფი კავური (1810-1861), თურქეთს — ფუად ფაშა (1814-1862).



მოლაპარაკების დროს თავი იჩინა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ტენდენციებმა, რაც ყველასთვის მოულოდნელი იყო[1], და რასაც მომავალში დიდი ვნება უნდა მიეყენებია ავსტრიისათვის.

რადგანაც სულთანი 14 თებერვლის ჰათი-ჰუმაიუნით (ბრძანებულებით) თანასწორობისა და პრივილეგიების გარანტიას ჰპირდებოდა „თავის“ ქრისტიანებს, ყოველ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კავშირს ეკრძალებოდა მის საშინაო საქმეებში ჩარევა. ამრიგად, სულთნის დამოუკიდებლობის პრინციპი გარანტირებული იქნა. მან შეინარჩუნა ტერიტორიული ხელშეუვალობა და მის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი აქცია განხილულ იქნებოდა როგორც საერთოევროპული მნიშვნელობის საკითხი.

ხელშეკრულების მუხლები ითვალისწინებდნენ 1841 წ. კონვენციის აღდგენას, შავი ზღვის ნეიტრალიტეტს (არც პორტას და არც რუსეთს იქ არ ეყოლებოდათ სამხედრო ფლოტი.), დუნაიზე თავისუფელ ნაოსნობას, რომლის შესართავი უნდა გაღრმავებულიყო შვიდი სახელმწიფოს დელეგატების მეთვალყურეობით. აზიაში საზღვარი რუსეთსა და თურქეთს შორის ომამდელი სახით აღდგებოდა. დუნაის სამთავროები გადადიოდნენ სულთნის ძალაუფლების ქვეშ და მათ შეუნარჩუნდებოდათ პრივილეგიები[2]. სამთავროებს მიენიჭათ ავტონომია და ეროვნული ადმინისტრაციის ფუნქციონირების უფლებები.

## დასკვნები

1. ოტომანთა პორტა ტერიტორიების დაუკარგავად, პირველად ისტორიაში, მიღებულ იქნა ევროპის სახელმწიფოთა კონცერტში და იგი ხელშეუვალ იმპერიად აღიარეს.

2. ბრიტანეთმა ომის შედეგად შეძლო რუსეთის დასუსტება შავ ზღვაზე, რომლის ფლოტი ამიერიდან ვეღარ შეიჭრებოდა ხმელთაშუა ზღვაში და ვეღარ დაემუქრებოდა ინგლისის პოზიციებს აღმოსავლეთში.

3. ომით ავსტრიამაც მოიგო (გარეგნულად ასე ჩანდა), რამეთუ რუსეთი განარიდა სამთავროებს და დუნაის. მაგრამ თავისი ორმაგი თამაშით ჰაბსბურგებმა ყველა გადაიმტერეს: რუსეთი—უმაღურობით, ხოლო მოკავშირეები—აზარტული პოლიტიკით.

4. საფრანგეთმა ევროპაში აღიდგინა პრესტიჟი, ნაპოლეონ III-მ შეძლო საღვთო კავშირის დაშლა და მოამზადა იტალიის განთავისუფლება.

კონგრესის მუშაობის მიწურულს ნაპოლეონსა და კავურს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ვალევსკიმ მკაცრად ილაპარაკა უცხოეთის (ანუ ავსტრიის) ჯარების ძიერ ოკუპირებულ იტალიურ სახელმწიფოებზე, პაპის ოლქსა და ორივე სიცილიის (ნეაპოლის) სამეფოზე, სადაც არანორმალური სიტუაცია (ტირანია) სუფევდა. ბუოლმა გააპროტესტა ფრანგი კოლეგის ინფორმაცია, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. მიუხედავად ამისა, კონგრესს იტალიის შესახებ არსებითი გადაწყვეტილება არ მიუღია.

პარიზის კონგრესის შემდეგ ვენის საიმპერატორო კარი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, რაც ჩინებულად გამოიყენეს სარდინიამ და პრუსიამ: პირველმა თავის ირგვლივ გააერთიანა იტალია, ხოლო მეორემ—გერმანია.

[1] თუმცა, ნაპოლეონისაგან ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

[2] ამრიგად, გაუქმდა მოლდავეთსა და ვალახეთზე რუსეთ-თურქეთის პროტექტორატი.

# ევროპული დიპლომატია 1856-1863 წლებში

პარიზის კონგრესის შემდეგ ნაპოლეონ III რამდენიმე ხნით ევროპას უზენაეს არბიტრად მოევლინა. თუ ერთ დროს ალექსანდრე I-ს გულით ეწადა მონარქთა ძმური კავშირის მეშვეობით ევროპაში პოლიტიკური წონასწორობის დამყარება, ნაპოლეონს ძალთა ბალანსირება ჩაგრულ ერთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნით ესახებოდა.[1] მაგრამ რუსი მონარქის მსგავსად იგი განყენებულ იდეებს ებღაუჭებოდა და ნაკლებად ზრუნავდა იმ საშუალებათა ძებნაზე, რომელთა გამოყენებით შეძლებდა ამ დიდებული ჩანაფიქრის განხორციელებას. იგი ნათლად ვერ აცნობიერებდა, თუ რას წარმოადგენდა ეროვნული საკითხი, მისი ინტერესები, მისწრაფებები და უფლებების საზღვრები.

ნაპოლეონ III იყო მოუსვენარი გონების კაცი, მერყევი და გაუბედავი. მას ეხერხებოდა ცბიერი ადამიანის როლის თამაში; იგი, თითქოსდა გართობის მიზნით, აღგენდა ურთიერთგამომრიცხავ პროექტებს, განიცდიდა სხვათა გავლენას, ხშირად შიშისაგან ძრწოდა და შეეძლო დაწყებული საქმის შუაგზაზე მიტოვება. ნაპოლეონ III გმობდა 1815 წ. ტრაქტატებს, სურდა ევროპის რუკის შეცვლა და საფრანგეთისათვის ბუნებრივი საზღვრების დაბრუნება რაინსა და ალპებში, ოცნებობდა სამ დიდ ოჯახში „ლათინების“ (ფრანგების, ბელგიელების, იტალიელების, ესპანელების, პორტუგალიელების), სლავებისა და გერმანელების გაერთიანებაზე.

მის ბუნდოვან და ფანტასტიკურ პროგრამაში უმთავრესი ადგილი ეკავა დაჩუცმაცებული იტალიის ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანებას. მას ამ ქვეყნისადმი გაუნელებელი სიყვარულის გრძნობა გააჩნდა (იმის გარდა, რომ ბონაპარტები იტალიიდან იყვნენ, მან სიჭაბუკის წლების ნაწილი იქ გაატარა). ოდესღაც პრინცი ლუი-ნაპოლეონი კარბონართა რიგებში იბრძოდა და მას იცნობდნენ, როგორც გამოუსწორებელ კონსპირატორს.

სისხლით ნათესავები — პრინცი კანინო[2] ძმებითურთ (ისინი იტალიის რევოლუციის მონაწილენი იყვნენ), მარკიზი პეპოლი (მიურატის შვილიშვილი) და სხვები დღენიადაგ მოუწოდებდნენ ოდინდელი სამშობლოს განთავისუფლებისაკენ იმპერატორ ნაპოლეონ III-ს. იტალიის განთავისუფლებას ეველრებოდა მას ბიძაშვილი, პრინცი ნაპოლეონიც[3].

ნაპოლეონ III თავს დამნაშავედ გრძნობდა იტალიელთა წინაშე და იცოდა, რომ მისი ყოფილი მეგობრები მასში ხედავდნენ მოღალატეს, რომელიც, მათი აზრით, სიკვდილის ღირსი იყო. ამიტომ, თუ იმპერატორი არ გამოისყიდიდა ჩადენილ ბოროტებას, შეძლებდა კი ფანატიკოსთა ხანჯლის აცდენას?

ეჭვი არაა, მისი მისწრაფებები, მოგონებები და შიში ჩინებულად გამოიყენა გრაფმა კავურმა („დიდმა პიემონტელმა მაცდურმა“), რომლის შემარგებლობა და ფარული გეგმები ნაპოლეონ III-ის სურვილებს ემთხვეოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ 1856 წლიდან იმპერატორის თავში საბოლოოდ მომწიფდა იტალიის განთავისუფლების გეგმა. მაგრამ იგი იმდენად ბრმა და ქარაფშუტა არ გახლდათ, სერიოზულად არ ჩაფიქრებულიყო ამ საკითხზე, თანაც გარს ისეთი ხალხი ეხვია, რომელიც პაპისათვის ზიანის მომტანი პოლიტიკის სასტიკი წინააღმდეგი იყო. კათოლიციზმის უერთგულესი ქომაგი, დედოფალი ევგენია იტალიელ პატრიოტთა მისწრაფებების შეურიგებელი ოპონენტი გახლდათ. მას მხარს უმაგრებდნენ საფრანგეთის სამღვდელოება, საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ვალევსკი და საკანონმდებლო კრების მრავალი წევრი, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმპერატორის გადაწყვეტილების გამო. ისინი თვლიდნენ, რომ საფრანგეთის მეზობლად ქრთიანი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა კარგს არაფერს მოუტანდა იმპერიას, და რომ პაპის საერო ძალაუფლების დამხობა (ეს აქტი უეჭველად მოჰყვებოდა რევოლუციას) იმპერატორის პარტიას კათოლიკე ფრანგების ხმებს დაუკარგავდა. მეოცნებე გვირგვინოსანი უსმენდა და არ განიცდიდა მათ გავლენას. ის თვლიდა, რომ მიაგნო ერთ ნაღდ საშუალებას, რომელიც მის პირად გრძნობებსაც დააკმაყოფილებდა და იტალიის ხარჯზე იმპერიასაც შეძენდა ახალ ტერიტორიებს. ნაპოლეონის აზრით, იტალიას უნდა შეექმნა არა ერთიანი სახელმწიფო, არამედ კონფედერაცია (პიემონტის მეთაურობით, ოღონდ ავსტრიის გარეშე), რომელიც საფრანგეთს დაუკავშირდებოდა მაღლიერების გრძნობითა და პოლიტიკური მოსაზრებებით. მისი ვარაუდით, პაპი შეინარჩუნებდა ტახტს, ხოლო საფრანგეთი ხელს გაითავისუფლებდა მისი დაცვისაგან. მაგრამ მან ვერ განჭვრიტა შემდეგი:

— იტალიელი მონარქები და თვით ხალხი მიიღებდნენ კი ასეთ კომბინაციას?

— ავსტრიის გავლენის ქვეშ მყოფი მონარქები დაემორჩილებოდნენ პიემონტს?

— შეჩერდებოდა კი მის მიერ გამოწვეული რევოლუცია საფრანგეთის იმპერატორის სიგნალზე?

— ჩააქრობდა კი საკუთარი ხელით დანთებულ ხანძარს?

ამიტომ, ნაპოლეონის გეგმა მიამიტური იყო ბოლომდე და მისმა განხორციელებამ ძალიან ცუდი შედეგები მოუტანა საფრანგეთს მომავალში.

* * *

შორს იდგა რა მომავალი კატასტროფის გააზრებისაგან, ნაპოლეონ III 1856 წლიდანვე შეუდგა საბაბის ძებნას, რომელიც მას, ხელსაყრელ პირობებში, ჩაფიქრებული კამპანიისათვის გამოადგებოდა. სულ მალე იტალიის ცა ისე მოიქუშა, რომ ყველა ელოდა საშინელი ქარიშხალის ამოვარდნას.

ფერდინანდ II („მეფე-ყუმბარა“) ყირიმის ომის მსვლელობისას მორალურად რუსეთის მხარეზე იყო (ამის გამო ის აუგად მოიხსენიეს პარიზის კონგრესზე) და, ბუნებრივია, ლონდონისა და პარიზის კაბინეტებმა მას აერძნობინეს, რომ მისი ტირანია ორივე სიცილიის სამეფოში რევოლუციურ აფეთქებას გამოიწვევდა. ავსტრიის მხარდაჭერით გათამამებულმა ფერდინანდმა აგდებულად განუცხადა მათ, რომ არ დაუშვებდა მის საქმეებში სხვათა ჩარევას და თავად გაუსწორდებოდა რევოლუციურ მოძრაობას. ამ უკმეხობას ნაპოლეონმა ნეაპოლიდან თავისი ელჩის გამოწვევით უპასუხა[1] (მან სიცილიის წყლებში ესკადრის გაგზავნაც კი დააპირა, მაგრამ ამაში ბრიტანეთმა შეუშალა ხელი). ლონდონის კაბინეტი ეჭვის თვალით უყურებდა იტალიაში იმპერატორის მისწრაფებებს და ცდილობდა მის „დამუხრუჭებას“, მაგრამ მოცემულ ეპიზოდში მან მხარი აუბა ნაპოლეონ III-ს და ურთიერთობა გაწყვიტა ნეაპოლელ ბურბონებთან.

საფრანგეთის მეუფეს არ გაუმართლა პაპთან ურთიერთობაში: ვერ აიძულა პიუს IX წასულიყო ადმინისტრაციულ რეფორმებზე, რომლებიც, მისი აზრით, თვით პაპის პოზიციებს გაამაგრებდა და რომიდან ავსტრიისა და

[1] ამაში მდგომარეობდა მისი „ეროვნულობის პრინციპი“.

[2] კანინო (შარლ-ლუსიენ-ბონაპარტე) — მისი ბიძაშვილი იყო.

[3] ნაპოლეონი (ნაპოლეონ-ჟოზეფ-შარლ-პოლ ბონაპარტე) — ვესტფალიის ყოფილი მეფის (ნაპოლეონ I-ის ძმის), ჟერომის შვილი იყო.

[1] 1856 წ. 10 ოქტომბერი.

საფრანგეთის ჯარების გამოყვანას დააჩქარებდა. ამის ნაცვლად პიუს IX-ს უარყო ლიბერალური გარდაქმნები და კარდინალ ანტონელის[1] რეაქციული კურსის გაელენის ქვეშ მოექცა. ამას თუ დავუმატებთ ვენის სურვილს, — არ გამოეყვანა ჯარი სალეგატოებიდან, იოლი წარმოსადგენია, თუ როგორ გაღიზიანდებოდა იმპერატორი.

* * *

1849 წლიდან ვენის სასახლეს გაბატონებული მდგომარეობა ეკავა იტალიაში და არც აპირებდა მის დათმობას. დომინირებდა რა ლომბარდია-ვენეციის სამეფოში, მის ჯარს პარმისა და მოდენას საპერცოგოებიც ჰქონდა ოკუპირებული.[2] ორივე სიცილიის (ნეაპოლის) სამეფოსა და ტოსკანას საპერცოგოში, სადაც დიდი იყო ჰაბსბურგების გავლენა, ბიუროკრატიულ-პოლიციური რეაქცია თარეშობდა. იტალიაში მხოლოდ სარდინიის სამეფო უწევდა წინააღმდეგობას ავსტრიის ბატონობას და თავისუფლების ნავსაყუდელს წარმოადგენდა, რის გამოც ყველა იტალელი მხოლოდ ტურინიდან ელოდა განთავისუფლებელი ომის დაწყების სიგნალს.

პარიზიდან დაბრუნებულმა კავურმა დაუფარავად განაცხადა პარლამენტში, რომ იტალიელი ერისათვის სულ მალე დადგებოდა საღვთო ომის დღე (1856 წ. მაისი). აღშფოთებულმა ვენამ გააპროტესტა მისი სიტყვა, ხოლო კავური რევოლუციის თავკაცის სახელით მონათლა. კავურმა შეიშნო ეს ეპითეტი და თავისი პროპაგანდა გააგრძელა. 1856 წ. მანინმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩამოაყალიბეს „ეროვნული საზოგადოება“, რომელშიც გაერთიანეს ერის საუკეთესო წარმომადგენლები. კავურმა გაამაგრა ციხესიმაგრეები და დაიწყო სახსრების შეგროვება. ბუნებრივია, ვენის კარი მტრულად გაწყო ტურინისადმი. ფრანც-იოზეფის იტალიაში მოგზაურობისას (დეკემბერი) ავსტრიის მთავრობამ მკაცრად ამხილა კავურისა და პიემონტის პრესის ანტიავსტრიული პროპაგანდა. ვიქტორ-ემანუელის მინისტრმა ამ ფაქტს აუღელვებლად უპასუხა: ავსტრიაში ცენზურა ყოვლისშემძლეა, ხოლო ტურინში — თავისუფალიო. მაშინ ვენის კაბინეტის კანცლერმა ბუოლმა[1] დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა პიემონტთან. ასე მოიქცა უკანასკნელის მთავრობაც.

1857 წ. თებერვალ-მარტში ევროპა ავსტრია-პიემონტის მოსალოდნელ ომში გაინაბა.

* * *

თუ ომი იმ წელს არ დაიწყო, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ნაპოლეონ III არ იყო მზად. გარდა ამისა, ზოგიერთმა გართულებამ რამდენადმე ჩამოაცილა მისი ყურადღება იტალიურ სექტორებს. იტალიაში კი მოვლენების განვითარებამ სერიოზული სახე მიიღო. ავსტრიის მიმართ საზოგადოების მტრულმა განწყობილებამ და რეაქციონერი მონარქების პოლიტიკამ რევოლუციური მოძრაობა გამოაცოცხლა. კავური თვალს ხუჭავდა პიემონტში რევოლუციური პარტიის ლიდერების მოღვაწეობაზე. მისი ტაქტიკა შემდეგში მდგომარეობდა: დაეშინებინა ნაპოლეონი და აეყოლებინა იგი იმ მოსაზრებით, რომ, თუ იმპერატორი არ დააჩქარებდა ომის დაწყებას, მას ამ საქმეში დაასწრებდნენ რესპუბლიკელი პატრიოტები, რომელთა შეკავებას კავური (ვიქტორ-ემანუელ II-ც) ვერ შეძლებდა. პერუდან გენუაში დაბრუნებული გარიბალდი ერთ-ერთი თვალსაჩინო ბელადი გახდა „ეროვნული კავშირისა“, რომელშიც უკიდურესი სულისკვეთების შეტანას ცდილობდა. სასელგანთქმული რევოლუციონერი ჯ. მაძინიც გენუაში იმყოფებოდა, სადაც არც მალავდა თავის ადგილსამყოფელს. 1857 წ. ივნისში მან აჯანყების მოწყობა სცადა ტოსკანასა და ნეაპოლის სამეფოში, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა მისი ხალხის გამოსვლას უკვალოდ არ ჩაუვლია. კავური ფარულად ხელს უწყობდა რევოლუციურ მოძრაობას და მღელვარებებს იტალიის ყველა ოლქში. მან 1857 წ. ბოლოს ლამის გამოუცხადა ომი ნეაპოლის მეფეს, რომლის ხალხმა სარდინიის ხომალდზე მყოფი მაძინისტები დააპატიმრა. კავურმა კატეგორიულად მოითხოვა მათი გათავისუფლება, მაგრამ ფერდინანდ II-საგან მტკიცე უარი მიიღო.

პიემონტის მინისტრმა თავისი ვერ გაიტანა, მაგრამ ნებისმიერი დროისათვის მოიპოვა casus belli (იგულისხმება ომის სიტუაციის შექმნა).

რას აკეთებდა იმ წუთებში ნაპოლეონ III? ბოლოს და ბოლოს როდის დანებებდა თავს ოცნებების კოშკში ჯდომას და გადავიდოდა აქტიურ მოქმედებაზე? ერთმა, ფრიად მნიშვნელოვანმა ამბავმა დააჩქარა მისი გამოფხიზლება: 1858 წ. 14 იანვარს, პარიზში, ოპერისაკენ კარეტით მიმავალ იმპერატორსა და დედოფალს ბომბი ესროლა ყოფილი რომის რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა ფელიჩე ორსინიმ.[1] ნაპოლეონზე იტალიელი პატრიოტების თავდასხმა პირველი არ ყოფილა, იგი მას სულ ელოდა და ამ ბოლო აქციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიასთან ომის დაწყების საქმეში.

ცბიერმა იმპერატორმა კარგად იცოდა, რომ საკუთარ სიცოცხლეს იტალიელთა ხანჯლისა და ყუმბარისაგან აპენინის ნახევარკუნძულის გათავისუფლებით თუ იხსნიდა. სიკვდილმისჯილმა ორსინიმ წერილით მიმართა ნაპოლეონს, რომელშიც დაუფარავად გააფრთხილა, რომ, სანამ იტალია თავისუფალი არ იქნებოდა, იმპერატორზე „ნადირობა“ გაგრძელდებოდა. „ნუ უარყოფთ პატრიოტის უკანასკნელ თხოვნას, — წერდა ორსინი — გაათავისუფლეთ ჩემი სამშობლო და ოცდახუთი მილიონი იტალიელი მოქალაქე თქვენზე ღმერთად იქნება მარად“. ნაპოლეონმა ეს წერილი „მონტგორს“ („Mohiteur“) გამოაქვეყნებინა და ამით აგრძნობინა ყველას, რომ არ იყო გულგრილი სიკვდილმისჯილი პატრიოტის თხოვნისადმი. ნაპოლეონ III-ის ამ მანევრის შემდეგ ორსინიმ მეორე ბარათი დაწერა, რომელშიც, ხაზს უსვამდა რა ნაპოლეონ III-ის იტალიისადმი სიყვარულს და კეთილმოსურნეობას, რევოლუციურ პარტიას მასზე თავდასხმის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა. 13 მარტს ორსინი სიკვდილით დასაჯეს.[2] მთავრობის გაზეთმა მისი მეორე წერილიც გამოაქვეყნა. მალე კავურს საიდუმლოდ იგივეს გაკეთება შესთავაზეს. ჭკვიანმა პიემონტელმა თავი მოიკატუნა, თითქოს წერილის გამოქვეყნება მას და სარდინიას დაეჭვების ობიექტად აქცევდა, მაგრამ პარიზმა დახმარების სრული გარანტია აღუთქვა. ამის შემდეგ კავურმა ბარათი გამოაქვეყნა (1 აპრილი), რომელმაც იტალიელი ხალხისთვის მანიფესტის მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო კავურმა მისი დაბეჭდვით თანამემამულეებს აგრძნობინა, რომ სულ მალე დაჰკრავდა თავისუფლების ჟამი.

---

[1] იგი პაპის სახელმწიფო მდივანი იყო და ფაქტიურად კათოლიკური სამყაროს ეკლესიას განაგებდა.

[2] 1847 წ. დადებული ხელშეკრულების ძალით.

ბუოლმა ავსტრიის საგარეო საქმეთა უწყება 1852 წ. ჩაიბარა და მას 1859 წლამდე ხელმძღვანელობდა.



[1] ტერორისტულ აქტს გვირგვინოსნები სასწაულად გადაურჩნენ, სამაგიეროდ დიდი იყო მსხვერპლი პარიზელთა შორის.

[2] მთავრობის გაზეთი.

[3] ორსინიმ უარყო თხოვნა შეწყნარებაზე.

ნაპოლეონ III თავისი მინისტრების ზურგს უკან ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდა პიემონტთან (შუამავლად მიძაშვილს, პრინც ნაპოლეონს იყენებდა, რომელმაც 1859 წ. სარდინიის მეფის, ვიქტორ-ემანუელის, ასული შეირთო). 20 ივლისს ის და კავური ერთმანეთს შეხვდნენ (რა თქმა უნდა, ფარულად) შვეიცარიაში, კურორტ პლომბიერში, სადაც ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმეს.[1]

* * *

ნაპოლეონ III-მ გაასაიდუმლა პლომბიერის პაემანი და გადაწყვიტა არ დაეწყო ომი მანამ, სანამ არ ჩააქრობდა ევროპული კონფლიქტების კერებს. ასეთი კერა კი ორი იყო; ერთი დანიაში და მეორე — დუნაიზე, სამთავროებში.

გავიხსენოთ: ლონდონის კონფერენციის (1852) გადაწყვეტილებით გარანტირებულ იქნა დანიის ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო შლეზვიგს, ჰოლშტაინსა და ლაუენბურგს უნდა მიეღოთ ავტონომია კონსტიტუციით. ურთ. ფრედერიკ VII-ემ შეასრულა კონფერენციის გადაწყვეტილება, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საჰერცოგოებისათვის დაერთო ნება თავად შეემუშავებინათ თავიანთი უფლებრივი რეჟიმი, მან ყოველ მათგანს უბოძა კონსტიტუციური ქარტია (1855 წ. 2 ოქტომბერი), ხოლო მთელ სამეფოს საერთო ძირითადი კანონი (კონსტიტუცია). ამ აქტმა ჰოლშტაინისა და ლაუენბურგის მოსახლეობის (გერმანელების) სასტიკი პროტესტები გამოიწვია; ორივე საჰერცოგომ განაცხადა, რომ მხოლოდ მათ ჰქონდათ საკუთარი და სრულიად — დანიური კონსტიტუციების დამტკიცების უფლება. გერმანია, მხარს უჭერდა რა საჰერცოგოების გამოყოფას, ხმამაღლა აყვირდა და მოითხოვა გერმანელთა ღირსების დაცვა. ბერლინი და ვენა ერთმანეთს „გაეჯიბრნენ“ პატრიოტობაში და არ წავიდნენ დათმობაზე დანიის მეფის მიმართ. ფრანკფურტის სეიმმა 1858 წ. ნოემბერში ფრედერიკ III-საგან ორივე საჰერცოგოში (ჰოლშტაინი და ლაუენბურგი გერმანიის კავშირის წევრები იყვნენ) კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება მოითხოვა. ვითარება დაიძაბა. საპოლეონს ავსტრიასთან ომის დაწყების წინ არანაირად არ აწყობდა ვენისა და ბერლინის შეკავშირება. ამიტომ მან ალექსანდრე II-თან ერთად დათმობისაკენ მოუწოდა დანიის მეფეს. ყველასგან მიტოვებულმა ფრედერიკ VII-ემ 15 ივლისს გამოაცხადა, რომ აჩერებდა საერთო კონსტიტუციის მოქმედებას. მაგრამ სეიმმა კატეგორიულად მოითხოვა მისი და ქარტიების მთლიანი გაუქმება ჰოლშტაინსა და ლაუენბურგში. მეფემ ეს ულტიმატუმიც დააკმაყოფილა (6 დეკემბერი) და სეიმმაც უკან წაიღო გერმანელთა მუქარა (23 დეკემბერი).

ამრიგად, ნაპოლეონ III-მ რუსეთის თანადგომით შეძლო დიპლომატიური გართულებების ერთი კერის ჩაქრობა. ჯერი დუნაის სამთავროებში წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებაზე მიდგა.

1858 წ. 22 მაისს პარიზში შედგა კონფერენცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მოლდავეთისა და ვალახეთის ბედი. როგორც გვახსოვს, ორივე სამთავრო ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისათვის იბრძოდა. ამ საკითხის მიმართ დიდ ქვეყნებს სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ. რუსეთი და საფრანგეთი მხარს უჭერდნენ მათი გაერთიანების იდეას, თურქეთი, ავსტრია და ინგლისი—არა. სამთვიანი დისკუსიის შემდეგ ოპონენტები კომპრომისზე წავიდნენ და 19 აგვისტოს გადაწყვიტეს შემდეგი: მოლდავეთი და ვალახეთი არ გაერთიანდებოდნენ ერთ სახელმწიფოში, მაგრამ ექნებოდათ ერთნაირი კანონები, საერთო არმია, მუდმივი ურთიერთკავშირი და გენერალური კომისია, რომელშიც შევიდოდნენ ბუქარესტისა და იასის პარლამენტთა წარმომადგენლები. ორივე პროვინცია თავისუფალი წესით აირჩევდა აღგილობრივი წარმოშობის გოსპოდარებს. ამრიგად, გაერთიანება სამი მეოთხედით გამოცხადდა. რა იყო საჭირო მისი გასრულებისათვის? არც მეტი და არც ნაკლები — ორივე სამთავროს მიერ ერთი და იგივე გოსპოდარის არჩევა. პარიზისა და პეტერბურგის აგენტების პროპაგანდამ თავისი გაიტანა: არჩეული იქნა საფრანგეთის მეგობარი პოლკოვნიკი ალექსანდრე კუზა (1820-1873), რომელიც სულ მალე მოლდოვა-ვალახიის მთავარი გახდა.

რუსეთ-საფრანგეთის გავლენა განმტკიცდა სერბიაშიც, სადაც ავსტრიულ-თურქული ორიენტაციის მთავარი ალექსანდრე ყარა-გიორგის-ძე, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას სძულდა, გადადგა და სკუპშჩინამ სერბიის ტახტზე მილოშ ობრენოვიჩი (1780-1860) დასვა. სულთანმა დაამტკიცა მისი არჩევა (1859), მაგრამ ობრენოვიჩის დინასტიას არ მიანიჭა მემკვიდრეობითი უფლება, რაც ფორმალური და ძალასმოკლებული გადაწყვეტილება იყო.

ამასობაში სამთავროებმა მთავრად აირჩიეს ა. კუზა (მოლდავეთმა 17 იანვარს, ვალახეთმა 8 თებერვალს), რამაც სათავე დაუდო რუმინული სახელმწიფოს შექმნას.

ამრიგად, ავსტრიის საგარეო პოლიტიკამ დამარცხება განიცადა დუნაიზე და აღმოსავლეთში ვენას კვლავ დაემუქრა ხიფათი ზუსტად იმ მომენტში, როდესაც იტალიურმა კრიზისმა აიძულა იგი მთელი თავისი ძალები და ყურადღება დასავლეთისათვის დაეთმო.

მართლაც, კავურმა ამასობაში დაამთავრა პიემონტის საომარი მომზადება და ნაპოლეონ III-ეს აცნობა, რომ აღარ შეეძლო ომის დაწყების გადადება. იმპერატორმა, მიიღო რა პრუსიისა და რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის მყარი გარანტიები, მიაღწია იმას, რომ სარდინიის სამეფოს ომი ავსტრიამ გამოუცხადა. ომს შედეგად იტალიის გაერთიანება მოჰყვა[1].

* * *

60-იანი წლების დამდეგიდან იწყება ურთიერთობების „გაფუჭება“ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ცდილობდა რა მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიაში პოპულარობის განმტკიცებას, ნაპოლეონი აქტიურ კოლონიურ პოლიტიკაზე გადავიდა, რითაც ბრიტანეთის შეშფოთება გამოიწვია. მართალია, ნაპოლეონი ინგლისთან ერთად მეორე და მესამე საოპიუმო ომს ეწეოდა ჩინეთში, მაგრამ, როგორც კი მან ხელთ იგდო კოხინხინა და პროტექტორატი დაამყარა კამბოჯაზე (1858-1862), ლონდონის კაბინეტი მიხვდა, რომ საფრანგეთის სახით მის კოლონიურ ძლიერებას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

1860 წ. ნაპოლეონმა ახალი პოლიტიკური ექსპანსია წამოიწყო. თურქეთში, სირიასა და ლივანში იმავე წლის მაისში მუსლიმან-დრუზებსა და მარონიტებს (სირიელ და პალესტინელ ქრისტიანებს) შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ექსცესების უკან ბრიტანელი პროტესტანტები (ისინი დრუზებს აქეზებდნენ) და ფრანგები (ესენი კი კათოლიკე მარონიტთა რიცხვს ავლობდნენ) იდგნენ. დამასკოსა და ბეირუთში გაჟღერებულ მარონიტთა რიცხვმა 5 ათასს გადააჭარბა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ ტუვენელმა (1818-1866) ინგლისის ელჩს პარიზში ლორდ კაულის კონფლიქტის მოსაგვარებლად ერთობლივი ექსპედიციის მოწყობა შესთავაზა. როცა ელჩმა შორს დაიჭირა მინისტრის წინადადება, მას აგრძნობინეს, რომ

[1] პლომბიერის შეთანხმებაზე იხ. „იტალიის გაერთიანება“.



[1] იხ. „იტალიის გაერთიანება“.

პარიზი დახმარებისათვის ა. გორჩაკოვს (რუსეთს) მიმართავდა. პალმერსტონი, რომელსაც არ სურდა აღმოსავლეთის საქმეებში რუსეთის ჩარევა (და რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებაც!), დათანხმდა კონფლიქტის მოგვარებაზე. მაშინ ნაპოლეონ III-მ საარმიო კორპუსი გაგზავნა სირიაში და იგი დაბირებულზე მეტი ხნით დატოვა იქ. გაგულისებული ლონდონი დარწმუნდა, — რომ იმპერატორს მარონიტების ბედზე მეტად სირია აინტერესებდა. ამიტომ, 1861 წ. თებერვალში ბრიტანეთის ფორინ ოფისის ხელმძღვანელმა რასელმა კატეგორიულად მოითხოვა სირიიდან ფრანგთა კორპუსის ევაკუაცია. ნაპოლეონს იმ ხანად ხელს არ აძლევდა ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება და იეხისში თავისი ჯარი მესოპოტამიიდან გამოიყვანა[1].

მომდევნო წელს საფრანგეთის იმპერატორმა ახალი, უფრო დიდი და რთული კოლონიური პოლიტიკა წამოიწყო: მან მექსიკის დაპყრობა და მასზე დაყრდნობით სამხრეთ ამერიკაში „ლათინთა იმპერიის“ დაარსება განიზრახა. ამ გასაიდუმლოებულ და ფანტასტიკურ იდეას მოწონებით შეხვდა საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის ელიტა, რომელიც კოლონიური ექსპანსიის გაფართოებით იყო დაინტერესებული.

ნაპოლეონის ავანტიურას თავიდან კარგი პირი უჩანდა, სახელდობრ:

1. აშშ-ში დაწყებული სამოქალაქო ომის გამო პრეზიდენტ ა. ლინკოლნს და „მონროს დოქტრინას“ მექსიკის ამბებისათვის არ ეცალათ;

2. პალმერსტონი, რომელიც ნაპოლეონ III-თან ერთად თანაუგრძნობდა სამხრეთის კონფედერაციას, წინასწარ ჭვრეტდა იმპერატორის მექსიკური გეგმის კრახს და ხელის შეშლის ნაცვლად ექსპედიციის მოწყობაში ეხმარებოდა;

3. ამასვე აკეთებდა ესპანეთის მთავრობაც, რომელსაც ლათინურ ამერიკაში ოღინდელი გავლენის აღდგენა ამოძრავებდა.

დამოუკიდებელი მექსიკის დასაპყრობად საჭირო იყო საბაბი და ისიც გამოინახა. ჯერ კიდევ 1860 წ., როდესაც მექსიკაში ადგილი ჰქონდა შინაომს (იქ რეაქციული კლერიკალური პარტია ებრძოდა ლიბერალებს), კანონიერი პრეზიდენტის, ბენიტო ხუარესის (1806-1872), წინააღმდეგ ამბოხებულმა მირამონმა—კლერიკალური პარტიის ლიდერმა—საფრანგეთის, ესპანეთისა და ინგლისის ბანკებისაგან დიდი სესხი აიღო (ამ ოპერაციაში მას დახმარება გაუწია პერცოგმა მორნიმ[2]). როცა ბ. ხუარესმა ამბოხება ჩაახშო, მან პირველად იუარა ვალის გადახდა, შემდეგ კი მისი უმნიშვნელო ნაწილი დაფარა. ნაპოლეონ III-მ საბაბად გამოიყენა მექსიკის მთავრობის მოქმედება და მის დასამინებლად მაღრიდსა და ლონდონს ერთობლივი ექსპედიციის მოწყობა შესთავაზა. მალე სამივე სახელმწიფომ საზღვაო დემონსტრაცია გამართა მექსიკის სანაპიროსთან, — მაგრამ მათი სოლიდარული მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა: პალმერსტონმა 1861 წ. დაშლევს შეიტყო, რომ ნაპოლეონი მექსიკელ კლერიკალთა თანადგომით მოლაპარაკებას აწარმოებდა ავსტრიის იმპერატორის (ფრანც-იოზეფის) ძმასთან, ჰერცჰერცოგ მაქსიმილიანთან (1832-1867), რომელსაც მექსიკის მომავალი იმპერიის ტახტი შესთავაზა. ამის გამო ლონდონმა და მადრიდმა ხელი აიღეს მექსიკურ ავანტიურაზე და ნაპოლეონ III ხუარესის მთავრობას (მექსიკელ ხალხს) „შეატოვეს“. 1862 წ. ფათერაკების მოყვარულმა იმპერატორმა ომი დაიწყო, რომელიც ვარაუდზე მეტ ხანს გაგრძელდა, და რომელმაც მრავალი ფრანგი ჯარისკაცის სიცოცხლე და საფრანგეთის დიდძალი სახსრები შთანთქა.

1863 წლიდან გოხებავიწრო იმპერატორი მიხვდა, რომ მის მექსიკურ ავანტიურას ისეთივე კატასტროფა ელოდა, როგორც მისი დიდი ბიძის ინტერვენციას ესპანეთში. ის უკვე ნანობდა ამ საბედისწერო შეცდომის გამო[1], და ამისათვის საფუძველიც ჰქონდა: საფრანგეთს მექსიკაში გაგზავნილი სამხედრო ძალა ევროპაძი უფრო გამოადგებოდა თავისი დიპლომატიის გასამაგრებლად.

მართლაც, სწორედ იმ დროს, როდესაც მან მექსიკაში უაზრო და ხანგრძლივი ომი გააჩაღა, ევროპული პოლიტიკის ასპარეზზე დაწინაურდა პრუსია, სადაც მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ ოტო ფონ ბისმარკი დაინიშნა (1862 წ. სექტემბერი).

* * *

„განგებამ წილად მარგუნა დიპლომატი გამომხდარიყავი: მე ხომ 1 აპრილს დავიბადე“.—წაკოცდეთია თურმე კარგ ხასიათზე მყოფ ოტო ფონ ბისმარკს, მან მთელი თავისი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ იგი მართლაც დიპლომატიური ხრიკებისა და კომბინაციების ხლართვის დიდოსტატი იყო. ბისმარკს, როგორც საღი გონების პიროვნებას, არასოდეს არ გადაუხვევია დასახული მიზნისკენ სავალი გზიდან და ყველა საშუალებას იყენებდა ამოცანის გადასაჭრელად.

იგი, როგორც დიპლომატი, XIX ს. 50-იან წლებში ჩამოყალიბდა და სრულებით არ ჰგავდა შენჰაუზენელი იუნკრის ვაებატონს, რომელსაც დაუოკებელი ტემპერამენტისა და ხმაურიანი ფათერაკების გამო ნაცნობები „ცოფიან ბისმარკს“ უწოდებდნენ.

ბისმარკი ტიპიური წარმომადგენელი იყო იმ მონარქისტული წრეებისა, რომლებიც 1848 წ. რევოლუციის მთელი სისასტიკით ჩახშობას მოითხოვდნენ. მას პათოლოგიურად სძულდა დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული ფრანკფურტის პარლამენტი და სიხარულით შეხვდა პრუსიის ხიშტებით მის დაშლას, თუმცა მოგვიანებით თავად მიხვდა, რომ იმ პარლამენტის მიერ დაწყებული გამაერთიანებელი მოღვაწეობა ადრე თუ გვიან მაინც დამთავრდებოდა გერმანელი ხალხის ერთ სახელმწიფოში თავმოყრით. ბისმარკი მზად ვალედ უჭერდა მხარს გერმანელთა კონსოლიდაციას, რისთვისაც, მისი აზრით, საჭირო იყო ჯერ პრუსიის გაძლიერება და შემდეგ იმ სახელმწიფოების ჩამორება, რომლებიც წინ აღუდგებოდნენ გერმანელი ერის ერთ ჭერქვეშ შეკრებას. მან იცოდა, რომ გერმანიის გაერთიანების შეურიგებელი ოპონენტები ერთიანი ძალით მიწასთან გაასწორებდნენ იუნკრულ პრუსიას და, ეს რომ არ მომხდარიყო, საჭიროება მათ, მეტადრე საფრანგეთის და რუსეთის, გაენეიტრალებას მოითხოვდა.

პრუსიას რომ ავსტრიასთან გარდუვალი ომი ელოდა, ამაში ბისმარკი 50-იანი წლებიდან დარწმუნდა. მას ისიც სწამდა, რომ ჰაბსბურგთა იმპერია

---

[1] ფრანგების ექსპედიციას შედეგად მოჰყვა ის, რომ ლივანი ოტომანთა იმპერიაში შექმნილა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ბეირუთის ფაშის მაგიერ სულთანს დაემორჩილებოდა. მისი გუბერნატორი იქნებოდა ქრისტიანი (მას სამი წლით დანიშნავდა სულთანი), რომლის დაქვემდებარებაში იქნებოდა ადგილობრივი ჯარი.

[2] შარლ-ოგიუსტ-ლუი-ჟოზეფ მორნი (ჯერ გრაფი, შემდეგ — ჰერცოგი) გენერალ ფლაოს და პორტენზია ბოჰარნეს უკანონო შვილი, ანუ ლუი-ნაპოლეონის ნახევარძმა იყო. მორნის (1811-1865) დიდი გავლენა ჰქონდა ნაპოლეონ III-ზე და თავად მის საიდუმლო დავალებებს ასრულებდა.



[1] მექსიკის ავანტიურის შემდეგ ნაპოლეონის ავტორიტეტი, ბედი და საქმე სულ უკუღმა წარიმართა, იგი ფაქტიურად მისი აღსასრულის დასაწყისი გახდა.

თავისი სურვილით არ გავიდოდა გერმანიის კავშირიდან, ამიტომ მისი იქიდან გაძევება და გერმანიის გაერთიანება სიტყვებით კი არა, „სისხლით და რკინით“ უნდა განხორციელებულიყო.

სანამ ბისმარკი პრუსიის საგარეო პოლიტიკის შეუზღუდველი მმართველი გახდებოდა, მან თანმიმდევრობით სამი საპატიო თანამდებობის გამოცვლა მოასწრო. დასაწყისში იგი პრუსიას წარმოადგენდა ფრანკფურტის რაისხტაგში (სეიმში), სადაც სკრუპულოზურად შეისწავლა გერმანული სახელმწიფოების (განსაკუთრებით ავსტრიის) წარმომადგენლები. ფრანკფურტის შემდეგ ბისმარკი პრუსიის ელჩად იყო პეტერბურგში. იქ მან გაიცნო ჭკვიანი და სახიფათო მეტოქე ალექსანდრე გორჩაკოვი, რომლის, როგორც დიპლომატის, მზე უკვე ამოდიოდა. ბოლოს ბისმარკი მცირე ხნით ელჩად მსახურობდა პარიზში. მან, აკვირდებოდა რა ნაპოლეონ III-ს, სწორად შეაფასა მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და ეს ცოდნა ჩინებულად გამოიყენა მასთან ურთიერთობაში.

ასე რომ, პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტის პოსტის ჩაბარებისას 1862 წ. სექტემბერი) ძალ-ღონით აღსავსე ოტო ფონ ბისმარკი ყოველმხრივ ჩამოყალიბებული დიპლომატი იყო.

ბისმარკი მთავრობის მეთაურად 64 წლის ვილჰელმ I-მა დანიშნა. ეს უაღრესად რეაქციონერი და პროგრესული გარდაქმნების მოწინააღმდეგე მეფე ლანდტაგთან კონფლიქტის ჟამს ისე დაიბნა, გადგომაც კი დააპირა, მაგრამ ბისმარკის საქმეში ჩარევამ ხელი ააღებინა ამ გაზრახვაზე[1]. ვილჰელმ I მიენდო ერთგულ მინისტრს და სიკვდილამდე (1888) მისი დამჯერე იყო. მეფე დარწმუნებული იყო, რომ ბისმარკი, მის გარდა ყველას ატყუებდა, მაგრამ ცდებოდა, რამეთუ ყველაზე მეტად სწორედ მას ატყუებდა მისი პირველი მინისტრი, თუმცა ეს „გაცურებანი“ გერმანიის გაერთიანებით დამთავრდა.

* * *

დიპლომატიურ სარბიელზე ბისმარკმა პირველი გამოცდა 1863 წლის პოლონეთის აჯანყების დროს ჩააბარა და უმაღლესი ბალიც დაიმსახურა. 8 თებერვალს გორჩაკოვმა და პრუსიის წარმომადგენელმა ფონ ალფენსლებენმა ხელი მოაწერეს კონვენციას, რომლის მიხედვით რუსეთის ჯარს შეეძლო პრუსიის ტერიტორიაზე ედევნა მეამბოხენი. გორჩაკოვი და რუსეთის ზოგიერთი მესვეური პრუსიის ამ „კათილშობილურ“ ჟესტში ბისმარკის ქვეყამხედვარ, მომგებიან სვლას ხედავდნენ. მართლაც, პრუსიის მთავრობის მეთაურმა შეთანხმების ზოგიერთი პუნქტის გარდა კონვენციის ტექსტი გამოაქვეყნა, თან ისე დახატა საქმე, თითქოს მის მიღმა კიდევ რამდენიმე საიდუმლო მუხლი იმალებოდა. ლონდონისა და პარიზის კაბინეტებმა, გამოიყენეს რა ეს პუბლიკაცია, განაცხადეს, რომ პოლონეთის საკითხმა საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძინა და საჭირო იყო მოლაპარაკების გამართვა რუსეთის მეფესთან. ნაპოლეონ III-ს პოლონეთის ამბები რუსეთთან ომის დაწყების საბაბად და რაინის მარცხენა ნაპირის მიტაცებისთვის სჭირდებოდა. მოკავშირის შოვნის მიზნით მან მოლაპარაკება გააბა ავსტრიასთან და ბრიტანეთთან, რასაც შედეგად ამ სახელმწიფოების ნოტა მოჰყვა. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა პალმერსტონ-რასელის კაბინეტი.

[1] ბისმარკმა მეფე დააჯერა იმაში, რომ კონსტიტუციის დარღვევას მას მაშინვე შეუნდობდა ოპოზიცია, როგორც კი პრუსია გერმანიას გააერთიანებდა.



ალექსანდრე II-ის ოპონენტები ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების შესრულებას, ანუ პოლონეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას მოითხოვდნენ, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა, ჰქონდა რა პრუსიის თანადგომის იმედი, სამეულის ნოტები უარყო, თან მკაცრად მიუთითა მათ, რომ პოლონეთი ეკუთვნოდა რუსეთს და მხოლოდ მის მეფეს ჰქონდა ამ ქვეყნის საქმეებში ჩარევის უფლება.

იმ დროს ნაპოლეონ III საფრანგეთისთვის დამღუპველ ომს ეწოდა მექსიკაში და ბრიტანეთის თანადგომის გარეშე არ შეეძლო რუსეთთან ასალი ფრონტის გახსნა, თან, როგორც გვახსოვს, იგი არ იყო გულგრილად განწყობილი ალექსანდრე II-ის მიმართ.

არც პალმერსტონს სურდა პოლონეთისთვის რუსეთის გადაკიდება, მან პოლონელები გიუებად მონათლა, თუ მართლა ჰქონდათ ვინმეს იმედი. ასე რომ, დასავლეთის მრისხანე დემარში მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და იგი საზოგადოებრივი ჯგრის დასაკმაყოფილებლად უფრო იყო გაანგარიშებული. გუნებრივია, ამის შემდეგ არ გაუჭირდებოდა მეფეს ბედის ანაბარა მიტოვებული პოლონეთის „დაშოშმინება“.

## ევროპული დიპლომატია 1863-1866 წლებში

პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბისმარკი ენერგიულად შეუდგა გერმანიის გაერთიანებას. 1863 წ. 15 ნოემბერს გარდაიცვალა დანიის მეფე ფრედერიკ VII და ტახტი დაიკავა მისმა ნათესავმა ხრისტიან IX-მ. მისი გამეფებისთანავე დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის გადაეცემოდა შლეზვიგი, ჰოლშტაინი და ლაუნბურგი. ბისმარკის გეგმის მიხედვით პრუსია სათავეში უნდა ჩადგომოდა გერმანიას და „გაეთავისუფლებია გერმანელი ძმები“, რომლებსაც დანია „ჩაგრავდა“ (?).

1864 წ. პრუსიელი დიპლომატები წარმატებას ელოდნენ, რადგანაც: 1. პოლონეთის აჯანყების შემდეგ ალექსანდრე II თბილ დამოკიდებულებაში იყო შავის ბიძასთან, ვილჰელმ I-თან. 2. ბისმარკმა თვალი აუხვია პარიზსა და ლონდონს იმ დაპირებით, რომ პრუსია თავის შემადგენლობაში არ შეიყვანდა საპერცოგოებს. 3. მათი ეჭვების უკუსაყრელად მან ავსტრიასთან დადო შეთანხმება, რომელიც დანიის წინააღმდეგ ორივე გერმანული მონარქიის ერთობლივ მოქმედებას ითვალისწინებდა.[1]

ხრისტიან IX დიდ იმედებს ამყარებდა პალმერსტონზე, ეს უკანასკნელი კი დარწმუნებული იყო დანიის სამხედრო ძლიერებაში და რუსეთ-საფრანგეთის აქტიურ დემარშში ხრისტიან IX-ის სასარგებლოდ. ლონდონის მოიმედე ხრისტიანმა ასალი კონსტიტუცია გამოაქვეყნა, რომელიც საბოლოოდ აღიარებდა დანიის შემადგენლობაში საპერცოგოების ყოფნას. ბისმარკმა არ დააყოვნა და ხმამაღლა განაცხადა, რომ ხრისტიან IX-ს არ ჰქონდა ამის გაკეთების უფლება.

1864 წ. 16 იანვარს მან ავსტრიასთან ერთად დანიის მონარქს 48 საათი მისცა კონსტიტუციის გასაუქმებლად. პალმერსტონი განზე გადგა[2], ხოლო

[1] ჰაბსბურგები იმიტომ გაერთიანდნენ პრუსიასთან, რომ არ სურდათ მისთვის დაეთმოთ „გერმანელი ძმების განთავისუფლების“ მისია.

[2] მოხუც „პამს“ დედოფალი ვიქტორია ტახტიდან გადადგომითაც კი დაემუქრა, თუ ინგლისი დანიას დაეხმარებოდა. პრემიერმაც არ გამოიდო თავი ხრისტიან IX-ხთვის.

ნაპოლეონს ალჟირის აჯანყებისა და მექსიკური ავანტიურის გამო დანიისთვის არ ეცალა[1]. ბუნებრივია, მოკავშირეებმა იოლად მიაღწიეს გამარჯვებას და საჰერცოგოების ოკუპაციას.

1864 წ. 30 ოქტომბერს ვენაში დანიის წარმომადგენლმა სელი მოაწერა თავსმოხვეულ ზავს (საბრალო ხრისტიან IX-ს სკანდინავებით დასახლებული შლეზვიგის ნაწილიც არ დაუტოვეს), რომელმაც შლეზვიგი, ლაუენბურგი და ჰოლშტაინი ავსტრიისა და პრუსიის საერთო მფლობელობაში შეიყვანა.

ბისმარკის დიპლომატურმა ნიჭმა და პოლიტიკური მოღვაწის შეუმცდარმა ალღომ თავისი სიტყვა თქვა, მაგრამ გერმანელთა სანუკვარი ოცნების აღსრულებისთვის საჭირო იყო ავსტრიის დაჩოქება, ანუ ოლმიუცში პრუსიის დამამცირებლის სამაგალითო დასჯა.

* * *

ბისმარკმა ავსტრიასთან ომი ჯერ კიდევ მის ოფიციალურ გამოცხადებამდე მოიგო და ამ გამარჯვებას, უპირველეს ყოვლისა, თანმიმდევრული, მიზანდასახული, აუჩქარებელ-გათვლილი და სწორი პოლიტიკური კურსის გატარებით მიაღწია. ავსტრიის იზოლირების მიზნით ბისმარკი ნაპოლეონ III-ს ეწვია კურორტ ბიარიცში (1864 წ. ოქტომბერი) და მასთან ინტიმურ საუბარში სცადა შეეტყო, თუ რა პოზიციას დაიკავებდა საფრანგეთის იმპერატორი ავსტრია-პრუსიის კონფლიქტში. ბიარიცში ბისმარკმა მაცდურის როლი გაითამაშა: ნაპოლეონ III-ს ბელგია შეთავაზა, ხოლო პრუსიისათვის ჰესენის, ნასაუსა და ჰანოვერის „უმნიშვნელო“ ნაწილები მოითხოვა.

იმპერატორი მოხიბლა პრუსიელის „გულღია“ მჭევრმეტყველებამ, მაგრამ მაშინ მასპინძელმა არც არაფერი აღუთქვა სტუმარს და არც არაფერზე მოუწერა ხელი, თუმცა აგრძნობინა, რომ მოსწონდა პრუსიის პოლიტიკა და კმაყოფილი დარჩებოდა, თუ ვილჰელმ I იტალიის მეფეს, ვიქტორ-ემანუელ II-ს შეუკავშირდებოდა.

ბიარიცის შეხვედრამ ბისმარკი საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ ავსტრიასთან მოსალოდნელ ომში საფრანგეთი არ მიემხრობოდა ჰაბსბურგებს.

ფრანც-იოზეფს სერიოზულად აფიქრებდა საფრანგეთ-იტალიის დაახლოების პერსპექტივა და ვენეციის ბედი. ამიტომ 1864 წ. დამლევს მან პრუსიის მეფეს მოაგონა დანიასთან ომის წინ ნაკისრი ვალდებულება—დახმარებოდა ავსტრიას არაგერმანული სამფლობელოების დაცვაში. მაგრამ ბისმარკმა იმპერატორს ცივად უპასუხა, რომ ვალდებულებას, რომელიც დანიასთან ომის

[1] ნაპოლეონ III-ის არმია, რომელიც მექსიკაში კანონიერ პრეზიდენტს ბენიტო რუარესს ებრძოდა, 40 ათას კარგად გაწვრთნილ ჯარისკაცსა და ოფიცერს მოითვლიდა (ამ კონტინგენტის შორს ყოფნა სულ მალე დამღუპველად იმოქმედებს ფრანგების ვაი-იმპერატორზე). თუმცა მან დაიკავა მეხიკო და ნოტაბლების კრებას მექსიკის იმპერატორად ავსტრიელი პრინცი მაქსიმილიან ჰაბსბურგი (ის ნაპოლეონის პროტეჟე იყო) აარჩევინა (1863 წ. მაისი-ივლისი), მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც ბ. ხუარესს უჭერდა მხარს. მაქსიმილიანს მთელი გულით ეწადა შეთავაზებული გვირგვინი, მაგრამ ყოყმანობდა, რამეთუ მას მძიმე და სახიფათოდ უჩანდა იგი. იმის გამო, რომ ნაპოლეონ III უკვე ამთავრებდა მასთან მოლაპარაკებას (1864 წ. თებერვალი-მარტი), მოცემულ მომენტში იმპერატორს არ სურდა საჰერცოგოებისთვის ურთიერთობის გაფუჭება ვენის სასახლესთან.



პერიოდს ეხებოდა, ახლა აღარ ჰქონდა ძალა.[1] პრუსიის მთავრობის მეთაურის განცხადებამ ავსტრიის მთავრობის გაღიზიანება გამოიწვია, ხოლო ფრანც-იოზეფმა თავისი აღშფოთება იმით გამოხატა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რეხბერგი უგერგილო გრაფ მენსდორფით შეცვალა.

ბისმარკი სიამოვნებით დაიწყებდა ომს ავსტრიასთან, ვილჰელმ I-ის წინააღმდეგობას რომ არ წაწყდომოდა. ამ მეფეს ტვინში ჰქონდა გამჯდარი მონარქების ლეგიტიმიზმის პრინციპის დაცვა და მათი ღვთაებრივი უფლებების ხელშეუვალობა. მიუხედავად იმისა, რომ მას გულზე არ ეხატა ავსტრიელი ჰაბსბურგები (ოლმიუცი!), პრუსიის მეფეს და ქვეყნის კონსერვატიულ ძალებს (მათ შორის ყველაზე აგრესიულობით „ჯვრის გაზეთი“ გამოირჩეოდა), გონებაც არ სურდათ გერმანულ რასასთან, ანუ ავსტრიასთან ომის დაწყებაზე. ვილჰელმ I-ს ვიქტორ-ემანუელ II-სთან დაახლოების პერსპექტივაც კი აღაშფოთებდა — მის თვალში ეს მონარქი რევოლუციის მებაირახტრე და იტალიელ ლეგიტიმურ მონარქთა ტახტების მიმტაცებელი იყო.

ამიტომ ბისმარკმა, დაჰყვა რა სიუზერენის ნებას, დროებით გადადო იტალიასთან ანტიავსტრიული ალიანსის გაფორმება და კვლავ „დაუტკბა“ ვენას (მან და ვილჰელმ I-მა ისიც იკმარეს, რომ იტალიასთან კავშირის პერსპექტივით გვარიანად დააშინეს ვენის სამეფო კარი). ფრანც-იოზეფი, რომელსაც ვენეციის პრობლემის გარდა უნგრეთში ანტიავსტრიული მოძრაობის გააქტიურებაც აშინებდა, იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ბისმარკის სურვილები დანიის ყოფილ საჰერცოგოებთან მიმართებაში.

1865 წ. 14 აგვისტოს ავსტრიასა და პრუსიას შორის დაიდო გაშტაინის შეთანხმება, ხოლო მას სულ მალე მოჰყვა (19 აგვისტო) ფრანც-იოზეფისა და ვილჰელმ I-ის გულითადი შეხვედრა ზალცბურგში. გაშტაინის შეთანხმებას დროებით უნდა გადაეჭრა საჰერცოგოების საკითხი. ავსტრიისა და პრუსიის კონდომინიუმი (სუვერენიტეტის განუყოფელი, ანუ ერთობლივი განხორციელება) პრინციპში შენარჩუნებულ იქნა, სინამდვილეში კი ჰოლშტაინის მართვა ავსტრიას დაევალა, ხოლო შლეზვიგისა — პრუსიას. ამ უკანასკნელმა 2,5 მილიონ დანიურ რიკსდალერად შეიძინა ლაუენბურგის საჰერცოგო და მიიღო ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი არხის გაყვანის უფლება. გაშტაინის კონფერენციას ავსტრიისათვის სარგებლობა არ მოუტანია, პირიქით, მან დროებით გადადო გარდაუვალი კონფლიქტი მის მეტოქესთან.

[1] ვალდებულების ისტორია ასეთი იყო. ალექსანდრე II-ს ძალიან უმძიმდა თავისი სიმამრის და მოკავშირის, ხრისტიან IX-ის, მიტოვება, მაგრამ იგი დროს, ისევე როგორც 1863-ში, მისი გონება მთლიანად პოლონეთის აჯანყებას ჰქონდა დაპყრობილი. მართალია, ვისლისპირა სამფლობელოებში აჯანყება თითქმის ჩახშობილი იყო, მაგრამ 1864 წლის გაზაფხულიდან მოძრაობამ ავსტრიული გალიცია მოიცვა და იყო იმის საშიშროება, რომ იგი რუსულ პოლონეთსაც მოედებოდა. ამის გამო მეფემ პრუსიას შეუთვალა, რომ, თუ ფრანც-იოზეფი მას გალიციაზე ზედამხედველობის ნებას დართავდა, იგი თვალებს დახუჭავდა დანიასთან ომზე. ბისმარკმა ვენა ნაპოლეონის 1863 წ. 5 ნოემბრის გამოსვლით დააშინა (იმ დღეს საფრანგეთის იმპერატორმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ დაეხმარებოდა იტალიას ვენეციის განთავისუფლებაში.) და აღუთქვა, რომ პრუსია მიეშველებოდა არაგერმანული სამფლობელოების დაცვაში, თუ ფრანც-იოზეფი რუსეთის მეფის სურვილს დააკმაყოფილებდა. ავსტრიის მთავრობამ მიიღო ბისმარკის წინადადება და გალიციაში საალყო წესები გამოაცხადა (1864 წ. 29 თებერვალი). ამ გადაწყვეტილებამ პოლონეთის აჯანყებას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რამდენიმე დღის შემდეგ პრუსიელმა გენერალმა მანტოიფელმა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რეხბერგმა ხელი მოაწერეს საიდუმლო შეთანხმებას ავსტრიის არაგერმანული სამფლობელოების გარანტიების შესახებ.

სამაგიეროდ პრუსიამ მიიღო ყველაფერი ის, რაც სურდა — კერძოდ, კონტრო-
ლი ორივე საჰერცოგოზე და კილის ნავსადგური. მართალია, შეთანხმებამ
იტალიის ბუზღუნი გამოიწვია, მაგრამ ბისმარკს სჯეროდა, რომ ვიქტორ-
ემანუელის მთავრობა დიდი ხნით არ ჩაიდებდა გულში წყენას. მართლაც,
1865 წ. დამლევს იტალიამ სავაჭრო ხელშეკრულება. გააფორმა საბაჟო კავ-
შირთან. რაც შეეხება ტიუილრის სასახლეს, დრუენ დე ლუისი დღე-
ნიადაგ მოუწოდებდა იმპერატორს, დაახლოებოდა ფრანც-იოზეფს, რო-
მელიც, მისი აზრით, რაც მალე ჩამოცილდებოდა ვილჰელმ I-ს, სიამოვ-
ნებით დაღებდა კავშირს საფრანგეთთან. დრუენ დე ლუისი ამ კავშირში ინგ-
ლისსა და იტალიის შეყვანაზეც ოცნებობდა და იგი შესაძლებლად მიაჩნდა,
თუ ავსტრია ვენეციის ოლქს დაუბრუნებდა (მიჰყიდდა!) ვიქტორ-ემანუელს.

ნაპოლეონ III-მ ამ მიზნით ვენაში საიდუმლო აგენტი ლანდაუ აფრინა
(სექტემბერი), მაგრამ ვერც ფრანც-იოზეფმა და ვერ მენსდორფმა ვერ გაიც-
ნობიერეს პარიზის წინადადების სარგებლიანობა; მათ გაშტაინის შეთანხმე-
ბის, რუსეთისა და პრუსიის იმედი ჰქონდათ, თან ვარაუდობდნენ, რომ მალე
უნგრეთსაც „დააწყნარებდნენ“ (მათი აზრით, ვენეციის დათმობა მათ ღირ-
სებას შელახავდა გერმანული რასის თვალში). ამიტომ ფრანც-იოზეფმა საფ-
რანგეთს უპასუხა, რომ ის ვენეციის ოლქს ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ
დათმობდა, თანაც ტერიტორიული კომპენსაციის ნაცვლად. ბუნებრივია, ასეთი
პასუხით დრუენ დე ლუისისა და ნაპოლეონის გეგმას განხორციელება არ ეწე-
რა.

* * *

ლანდაუს მისიით შეოფოთებულმა ბისმარკმა, ემზადებოდა რა ავსტრიას-
თან ომისთვის, ნაპოლეონ III-ის „შეცდენა“ განიზრახა. 1865 წ. ოქტომბერ-
ში იგი კვლავ ესტუმრა იმპერატორს ბიარიცში. სწორედ მაშინ გაიმართა მათ
შორის ცნობილი საუბარი, რომელსაც შედეგად ავსტრიის განადგურება მოჰყვა.
საუბრის შინაარსი დღესაც უცნობია, მაგრამ 1866 წ. ამბების ანალიზი ნა-
თელ წარმოდგენას გვაძლევს მასზე. ეჭვი არაა, ბისმარკი რაიმე გასამრჯე-
ლოს შესთავაზებდა ნაპოლეონს პრუსიასთან კავშირისა, თუ კეთილსასურველი
ნეიტრალიტეტისთვის. რაინის ოლქზე ლაპარაკი ზედმეტია — ამის დათმობას
ვილჰელმ I-ის ტევტონური სისხლი და ღირსება არ დაუშვებდნენ. რჩებოდნენ
ლუქსემბურგი და ბელგია, მაგრამ პირველი ჰოლანდიას ეკუთვნოდა და გერ-
მანიის კავშირის წევრი იყო (იქ პრუსიის გარნიზონიც იდგა), ხოლო მეორეს
ინგლისი ქომაგობდა.

ნაპოლეონ III-ში ბისმარკი, როგორც დიპლომატი, ღიმილს იწვევ-
და, რადგანაც პრუსიელის წინადადებების და გეგმების მიხედვით მასში თავ-
ქარიან და ავანტიურების მოყვარულ პოლიტიკოსს ხედავდა (არადა ამ სფე-
როში თავად პირველობდა!). იმპერატორისთვის ნათელი იყო: ბელგიის შეთა-
ვაზებით ბისმარკს პრუსია-საფრანგეთის კავშირი და საფრანგეთ-ავსტრიის
დაახლოების ჩაშლა ამოძრავებდა. იმ მომენტში ნაპოლეონ III-ს ბელგიისთ-
ვის არ ცხელოდა, მაგრამ თავის სასარგებლოდ ახალი კომბინაცია წამოიწყო
(ამ კომბინაციამ მომავალში ისიც დაღუპა და მისი იმპერიაც!) — ავსტრიაზე
წააქეზა პრუსია. ის ვარაუდობდა შემდეგს: 1. ხანგრძლივი ომი ორივე გერ-
მანულ სახელმწიფოს დაასუსტებდა; 2. ძლიერი საფრანგეთი შეასრულებდა
შუამავლის როლს და სხვისი დასტურის გარეშე შეიერთებდა რაინის მარცხენა
ნაპირის გერმანიას, ლუქსემბურგს და... ბელგიასაც!





ვენის კონგრესი



ვატერლოოს შემდეგ

## საღვთო კავშირის შემოქმედნი



ალექსანდრე I



ფრიდრიხ-ვილჰელმ III



ფრანც I



ტალეირანი



მეტერნიხი



პ. ბ. შელი



რ. ოუენი



რ. პილი



ჰ. პალმერსტონი



ლუი XVIII



შარლ X



ლუი ფილიპე შვილებითურთ



ჯ. გ. ბაირონი

ნაპოლეონს წარმოდგენა არ ჰქონდა პრუსიის სამხედრო პოტენციალზე და დაჯერებული იყო ავსტრიის სწრაფ გამარჯვებაში. ომის გენერალური გრძელით დამთავრება საფრანგეთის იმპერატორს არ აწყობდა და ბისმარკს იტალიასთან კავშირის დამყარება შეთავაზა. მისი შკუით, იტალია დაიბრუნებდა ვენეციას, ხოლო ავსტრია — სილეზიას (პრუსიისაგან).

ოცნებობდა რა ერთვნებათა გაერთიანების პრინციპზე, ნაპოლეონ III-ის დაულაგებელი გონება მძ. მაინის ჩრდილოეთით ქმნიდა ჩრდილო-გერმანულ კავშირს პრუსიის მეთაურობით, ხოლო მაინის სამხრეთით სამხრეთგერმანულ სახელმწიფოთა ალიანსს, რომელსაც არც ავსტრია უხელმძღვანელებდა და არც პრუსია (ეს კავშირი, ბუნებრივია, საფრანგეთის გავლენის ქვეშ იქნებოდა).

ბიარიცის შეხვედრაზე არც ბისმარკს და არც ნაპოლეონ III-ს რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენიათ და არც კონკრეტული გადაწყვეტილება მიუღიათ. და მაინც, ბისმარკი შინ იმ იმედით დაბრუნდა, რომ საფრანგეთის იმპერატორი არა თუ შეუშლიდა ხელს ავსტრიასთან ომში, პირიქით, იტალიასთან კავშირის გაფორმებაშიც დაეხმარებოდა.

## საერთაშორისო ურთიერთობები 1866-1870 წლებში

პრუსიის არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გენერალური შტაბის უფროსი ფონ ჰელმუტ მოლტკე (1800-1891) და სამხედრო მინისტრი ფონ ალბრეხტ როონი (1803-1879), მზად იყო საომარი ოპერაციებისათვის, მაგრამ ბისმარკი იტალიასთან მოლაპარაკებას ეწეოდა და, როგორც კი სასურველი ცნობა მიიღო[1], 1866 წ. 24 იანვარს მკაცრი ტონით აუწყა ვენას, რომ არ დაუშვებდა „ავსტრიის ჰოლშტაინში“ ანტიპრუსიულ გამოხდომებსა და რევოლუციური დოქტრინების გავრცელებას, რომელთაც, თითქოს და, ფრანციოზეფის მთავრობა აქეზებდა. თებერვალში მენსდორფი ამაოდ იმართლებდა თავს, — მას ბერლინი აღარ უსმენდა. ამასობაში რუშინელებმა კუზას ნაცვლად ბუქარესტში ტახტზე დასვეს პრინცი კარლ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენი (ვილჰელმ პრუსიელის ახლო ნათესავი), რომელსაც მხარი დაუჭირეს რუსეთმა, საფრანგეთმა და პრუსიამ, რა თქმა უნდა, ავსტრიის საზიანოდ.

9 მარტს ბერლინს ეწვია იტალიელი გენერალი გოვონე, თითქოსდა სამხედრო საქმის შესასწავლად, სინამდვილეში კი მისი ვიზიტი პრუსიასთან კავშირის გაფორმებას ისახავდა მიზნად. ბისმარკი აშკარა პროვოკაციაზე გადავიდა: 14 მარტს ვილჰელმ I-ს გამოაცემინა ედიქტი, რომელიც სასტიკ სასჯელს ჰპირდებოდა იმას, ვინც შებღალავდა პრუსიისა და ავსტრიის სუვერენულ უფლებებს ორივე საჰერცოგოში, ან რომელიმე მათგანში. არსებითად ეს ჰოლშტაინის საქმეებში პრუსიის ჩარევას ნიშნავდა.

ვენის სასახლემ უკუჰყარა ილუზიები და ჩეხეთში ჯარებს შეგროვებას შეუდგა. პრუსიამ „იყვირა“ (24 მარტი) და იარაღი აისხა. 8 აპრილს ბერლინმა და ფლორენციამ (ის გახდა იტალიის სამეფოს დედაქალაქი) უმტკივნეულოდ გააფორმეს თავდაცვითი და შეტევითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად იტალია ომს დაიწყებდა პრუსიის შემდეგ და, თუ ბერლინი 3 თვეში არ გადავიდოდა შეტევაზე, იგი გააუქმებდა შეთანხმებას. გარდა ამისა, მოკავშირეებმა პირობა დადეს, რომ არ გააფორმებდნენ სეპარატულ ზავს.

ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა, რომ მოხუცი ვილჰელმი შიშმა შეიპყრო: მას არ სურდა სასწორზე შეეგდო პრუსიის ბედი, თან საფრანგეთის

[1] იტალიაში პრუსიის მოკავშირემ, გენერალმა ლამორმორამ, შეძლო კაბინეტის განმტკიცება და კურსი აიღო პრუსიასთან დაახლოებაზე.

პოზიციაც აკრთობდა. მაგრამ ბისმარკმა, რომელიც გადადგომით დაემუქრა მეფეს, იოლად დაარწმუნა იგი ნაპოლეონ III-ის „ლოიალობაში“ იტალიისა და პრუსიის მიმართ. მაშინ გამამაცებულმა ვილჰელმ I-მა თავის მინისტრს მოქმედების სრული თავისუფლება მისცა.

1866 წ. 7 მაისს ბისმარკმა გააფრთხილა ვენა, რომ ამიერიდან ვილჰელმ I აღარ დაუშვებდა გერმანიის კავშირის სეიმის ჩარევას საჰერცოგოებთან დაკავშირებულ დისკუსიებში. 8-9 მაისს ფონ როონმა დაასრულა არმიის მომზადება. საფრანგეთის იმპერატორმა თეატრალური ჟესტი გააკეთა: მოწინააღმდეგე მხარეებს კონგრესის მოწვევა შეთავაზა, მაგრამ მისი პირობები ვენამ არ მიიღო. ნაპოლეონმა ხელი ჩაიქნია, რითაც დააჩქარა ომის გაჩაღება (ეს კი მას ნამდვილად სურდა).

1866 წ. 8 ივნისს შლეზვიგის გუბერნატორი, გენერალი მანტოიფელი, ჰოლშტაინში შეიჭრა და დაიკავა იგი. 10 ივნისს ბისმარკმა გერმანიის კავშირის წევრებს გერმანიის რეორგანიზება შესთავაზა, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა შემდეგ:

— კავშირიდან გაღიოდნენ ავსტრია და ლუქსემბურგი;

— შეიქმნებოდა პარლამენტი, რომელსაც საყოველთაო-საარჩევნო ხმის მიცემით აირჩევდნენ;

— შედგებოდა საკავშირო მთავრობა, რომელიც უხელმძღვანელებდა საგარეო საქმეებს, გამოაცხადებდა ომს და დადებდა ზავს;

— საერთოგერმანულ არმიებს ჩრდილოეთში უსარდლებდა პრუსიის მეფე, ხოლო სამხრეთში — ბავარიისა.

ამ პროგრამით ბისმარკმა პრუსიის მეფის ირგვლივ გააერთიანა გერმანელი ერის უმრავლესობა, რაც 1815 წელს შეკოწიწებულ გერმანიას დასამარებით ემუქრებოდა.

15 ივნისს პრუსიამ კატეგორიულად მოთხოვა ჰანოვერს, ჰესენსა და საქსონიას განიარაღებულიყვნენ და მიეღოთ ბისმარკის პროექტი კავშირის რეორგანიზაციაზე. მონარქთა უარს აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაცია მოჰყვა.

ჩრდილოგერმანული სახელმწიფოები მყისვე შეუერთდნენ პრუსიას, ხოლო სამხრეთელები (ბავარია, ბადენი, ვიურტემბერგი, ჰესენ-დარმშტადტი და სხვ.) მის წინააღმდეგ გამოვიდნენ და სამარცხვინოდ დამარცხდნენ (ივნისი-ივლისი).

ბისმარკისათვის მთავარზე უმთავრესი ავსტრიის განადგურება იყო. ამიტომ მან პრუსიის შეიარაღებული ძალების ძირითადი მასა ბოჰემიაში განლაგებულ ფონ ბენედეკის არმიაზე დაძრა, ხოლო რაინის დასაცავად მხოლოდ 15-ათასიანი კორპუსი განაწესა. ბისმარკმა შეიტყო, რომ პარიზსა და ვენას შორის საიდუმლო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ვერ ენდობოდა რა ნაპოლეონს და მის ნეიტრალიტეტს, მან ფაქტიურად გაწირა აღნიშნული შენაერთი. რაინზე ფრანგების გამოჩენის შიშით ის ჩქარობდა ავსტრიის მწყობრიდან გამოყვანას და ამ მიზნით ომში ჩააბა (ნაადრევად) იტალია, რომლის გამოსვლამ ვენეციის ოლქს მიაჯაჭვა ავსტრიელთა ძალების გარკვეული ნაწილი. 20 ივნისს ვიქტორ-ემანუელმა ვენეციას შეუტია, ხოლო გარიბალდის მოხალისეები ტიროლს დაემუქრნენ. მაგრამ 24 ივნისს ავსტრიელმა ჰერცჰერცოგმა ალბრეხტმა კუსტოცასთან (ისევ კუსტოცა!) სძლია იტალიელებს და დაატოვებია ვენეციის საზღვრები. სამაგიეროდ პრუსიის არმიებმა კრონ-პრინცის, ფრიდრიხ-ვილჰელმის, ხელმძღვანელობით სადოვასთან სასტიკად დაამარცხეს ფელდმარშალი ბენედეკი (3 ივლისი) და გაფანტეს მისი ჯარები. პრუსიელებს გზა გაეხსნათ ვენაზე. საომარი კამპანიის დროს ბერლინის კაბინეტმა უნგრეთის ასაჯანყებლად მადიარ მოხალისეთა ლეგიონი შექმ-



ნა და ლუნაიზე მის გაგზავნას აპირებდა. შიშით შეპყრობილმა ფრანც-იოზეფმა (იმპერია თავზე ემხობოდა!) დეპეშით აცნობა ნაპოლეონ III-ს, რომ მას აძლევდა ვენეციას იტალიისთვის გადასაცემად (?), თან თხოვდა, ეშუამდგომლა ვიქტორ-ემანუელთან ზავის, ხოლო ვილჰელმ I-თან — დაზავების გაფორმებაში.

* * *

ცნობამ ავსტრიელთა არმიის კატასტროფის შესახებ მთელი ევროპა გააცვიფრა (ნაპოლეონ III საწინააღმდეგო შედეგს ელოდა). ყველას აინტერესებდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ვილჰელმ I-ის მოულოდნელ გამარჯვებას. ერთი შეხედვით, მეომარი ქვეყნების ბედი ნაპოლეონ III-ის ხელთ იყო. მაგრამ მისი ჩანაფიქრის განხორციელებას 100-ათასიანი არმიის გამოყვანა, ვენეციასთან იტალიელთა განიარაღება და რაინზე გერმანული მიწების დაკავება სჭირდებოდა. მეფის, ვიქტორ-ემანუელის სიძე, პრინცი ნაპოლეონი, და მარკიზი ლავალეტი იმპერატორს არწმუნებდნენ, რომ ხაზინის სიცარიელის გამო საფრანგეთს არ შეეძლო არმიის ძობილიზება (აი, სად გამოადგებოდა ნაპოლეონ III-ს მექსიკაში მებრძოლი 40-ათასიანი კორპუსი!). ისინი არწმუნებდნენ, მაგრამ იმპერატორძა იცოდა, რომ მის მთავრობას ძალუძდა 100 ათასი ჯარისკაცის გაგზავნა რაინისაკენ. რა მოხდა, რად არ შეისმინა ნაპოლეონმა ანტიპრუსიული პარტიის, კერძოდ დრუენ დე ლუისის ვედრება და არ წარუძღვა არმიას? რამ დააბნია, ან რამ წაახდინა მეომრული სულის ბონაპარტე? ყველაზე მეტად უნკურნებელმა სენმა (კიბომ), რომელმაც 1873 წ. სიცოცხლე ძოუსწრაფა: მართლაც იმ კრიტიკულ მომენტში ნაპოლეონ III ისეთ ფიზიკურ და მორალურ პროსტრაციაში იმყოფებოდა, რომ არც არმიის ხელმძღვანელობის თავი ჰქონდა და არც სურვილი — სხვისთვის დაეთმო მთავარსარდლობა (სად იყო იმის გარანტია, რომ ახლადგამომცხვარი მარშლები არ დაამხობდნენ ძის დინასტიას?).

დაბნეულობის პირველ წუთებში მან მხოლოდ ის გააკეთა, რომ მეომარ მხარეებს თავისი შუამავლობა და დაზავება შეთავაზა (5 ივლისი).

* * *

იკისრა რა მაკლერის როლი, ნაპოლეონ III-ემ 14 ივლისს ჩამოაყალიბა პრელიმინარული ზავის პირობები, რომელნიც ითვალისწინებდნენ შემდეგს:

— ავსტრია ინარჩუნებდა ტერიტორიულ მთლიანობას ვენეციის ოლქის გამოკლებით;

— იგი აღიარებდა რეორგანიზებულ გერმანიას, რომელშიც თავად არ შევიდოდა;

— პრუსიის ჰეგემონობით ყალიბდებოდა ჩრდილოგერმანული კავშირი, რომელშიც გაერთიანდნენ მდ. მაინის ჩრდილოეთით მდებარე გერმანული სახელმწიფოები;

— მაინის სამხრეთით შეიქმნებოდა ყველასგან დამოუკიდებელი სამხრეთგერმანული ქვეყნების კავშირი;

— დანიის ყოფილი საჰერცოგოები შევიდოდნენ პრუსიის მფლობელობაში შლეზვიგის იმ ნაწილს გარდა, სადაც სკანდინავები ჭარბობდნენ (იქ ჩატარდებოდა პლებისციტი და, თუ მოსახლეობა მოისურვებდა, ხსენებული ტერიტორია დაუბრუნდებოდა დანიას);

— ავსტრია და მისი მოკავშირეები გადაიხდიდნენ კონტრიბუციას.

ბისმარკმა აცნობა პარიზს, რომ ვილჰელმ I ღებულობდა იმპერატორის პირობებს, რომ იგი დიდად აფასებდა იმპერატორის მეგობრობას და უფრო დააფასებდა, თუ საფრანგეთი არ შეუშლიდა ხელს მცირეოდენი ტერიტორიების მიერთებაში. ამ ბოლო სურვილმა დრუენ დე ლუისის პროტესტები და ომით დამუქრება გამოიწვია. მაშინ პრუსიის ელჩმა პარიზში ფონ ჰოლცმა პირადად ინახულა იმპერატორი სენ-კლუში და მასთან ინტიმური საუბარი ჰქონდა, რომლის შედეგებმა განაცვიფრეს დრუენ დე ლუისი[1]. ჰოლცმა ჩინებულად გამოიყენა ნაპოლეონ III-ის სუსტი მხარე — ეროვნულობის პრინციპი. ის ამბობდა, რომ საფრანგეთისთვის კარგი იქნებოდა, თუ მისი მომავალი მოკავშირე ჩრდილოეთ გერმანიაში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო გახდებოდა. მან ქათინაურის სახით იმპერატორს გაანდო, რომ ბერლინი არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ საფრანგეთი რაინის მარცხენა ნაპირზე ტერიტორიულად გაფართოვდებოდა. ერთი სიტყვით, ჰოლცმა იმდენს მიაღწია, თავადაც რომ არ ელოდა: ნაპოლეონმა პრუსიას არა მარტო დანიის საჰერცოგოები, არამედ ჰახოვერი, ჰესენის, ჰესენ-ჰომბურგის საკურფიურსტოები, ნასაუს საჰერცოგო, ქ. ფრანკურტი და ბავარიის ზოგიერთი ოლქიც „დაუთმო“. ამ დაუჯერებელმა თანადგომამ ბისმარკს მენსდორფთან საზავო მოლაპარაკება დააჩქარებინა (ეშინოდა, ნაპოლეონ III-ს უკან არ წაეღო დაპირება). ფრანც-იოზეფმა პრუსიის მინისტრის ყველა პირობა დააკმაყოფილა. ავსტრიის იმპერატორის სასოწარკვეთილობა და უხასიათობა ილარიიდან მიღებულმა სასიხარულო ცნობამ ერთგვარად გამოასწორა: თუ ვენეციის ოლქში დაბრუნებულ იტალიელებს მცირეოდენი წარმატება ჰქონდათ ხმელეთზე, ძათი ფლოტი მთლიანად განადგურა ავსტრიელმა ადმირალმა ტეგეტჰოფმა ლისის კონცხთან (20 ივლისი). ასე რომ, სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოსულ ფრან-იოზეფს უკვე შეეძლო შეგუებოდა ზავის იმ მძიმე პირობებს, ფრონტებზე დამარცხებებმა რომ მოახვია თავს.

22 ივლისს პრუსიამ და ავსტრიამ ხელი მოაწერეს საომარი მოქმედების დროებით შეწყვეტის შეთანხმებას, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ნიკოლსბურგში გაფორმდა წინასწარი ზავი, რომლის პირობები საფუძვლად დაედებოდა საბოლოო შეთანხმებას. ძირითადად იგი განმეორება იყო საფრანგეთის 14 ივლისის პროგრამისა ერთის დამატებით: ავსტრიას უნდა ეცნო ის ტერიტორიული ცვლილებები, რომლებსაც პრუსია გაატარებდა ჩრდილოეთ გერმანიაში. იტალია ჯერ გაოგნდა, შემდეგ კი განრისხდა, როდესაც ნიკოლსბურგის შეთანხმებაზე შეიტყო (მას არც კი მოეთათბირენ ავსტრიასთან შეთანხმების საქმეში!). ვიქტორ-ემანუელმა ბევრი იყვირა, მაგრამ უნაყოფოდ. ფონ ბისმარკმა აღშფოთბულ ფლორენციის სამეფო კარს უპასუხა, რომ მიიღებდა დაპირებულს, ვენეციას (ამაზე ნაპოლეონ III-მ საზეიმოდ გამოაცხადა 29 ივლისს) და მეტს არაფერს.

ამრიგად, იტალია, უნდოდა თუ არა, იძულებული გახდა შეეწყვიტა ომი. მან მიიღო მშვენიერი პროვინცია, მაგრამ ვიქტორ-ემანუელს უფრო მეტი სურდა. მეორეს მხრივ, ომს არ მოუტანია მისთვის დიდება, ამიტომ მან უხა-

[1] ნაპოლეონ III სხვებთან ერთად ერთი სუსტი მხარეც გააჩნდა: უცხოელ სტუმრებთან ინტიმურ ბაასში უფრო მეტ დათმობებზე მიდიოდა, ვიდრე მისი მინისტრები. რაც შეეხება ჰოლცს, იმპერატორს იგი ბისმარკზე მეტად მოსწონდა (ჰოლცი პირფერი დიპლომატი იყო). ნაპოლეონმა დაარწმუნა ელჩი, რომ მომავალში სიამოვნებით მიღებდა მას პრუსიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამპლუაში. (ჰოლცმა ნაპოლეონი მოატყუა, მალე ბისმარკის პოსტს მე ჩავიბარებო).



ლისოდ მოაწერა ხელი ზავს ავსტრიასთან (3 ოქტომბერი). იტალიელები არ მალავდნენ უკმაყოფილებას და ზიზღს საფრანგეთისადმი არადა ამ ქვეყანამ აჩუქა მათ ტერიტორია, ვენეცია, რომელიც ბრძოლით არ მოუპოვებიათ.

როგორ ვითარებაში იყო საკითხი კომპენსაციებზე? ასეთ კითხვას სვამდნენ ფრანგები, რომლებიც სავსებით მართებულად თვლიდნენ, რომ პრუსიის ტერიტორიული გაფართოება უეჭველად დაარღვევდა ევროპულ წონასწორობას და დაემუქრებოდა საფრანგეთის ინტერესებს. ასე ფიქრობდა ნაპოლეონ III-ც, მაგრამ მოხდა ისე, რომ ზუსტად იმ მომენტში (ივლისის ბოლოს) მისმა ავადმყოფობამ უაღრესად საშიში ხასიათი მიიღო და იმპერატორი ვიშს გაემგზავრა სამკურნალოდ. ვიშში ის ძალიან ცუდად გახდა (ლამის მოკვდა) და ყველა მხოლოდ მისი მმართველობის შესაძლებელ შეცვლაზე, ან რევოლუციაზე ფიქრობდა. როცა მონარქმა მოკეთება იწყო, ნიკოლსბურგის წინასწარი ზავი უკვე დადებული აღმოჩნდა. მან ყოყმანში მთელი კვირა დაკარგა, ბოლოს, აგვისტოს პირველ რიცხვებში, ნაპოლეონმა გადაწყვიტა პრუსიისაგან მოეთხოვა იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ჰოლცმა იკისრა სენ-კლუში მოლაპარაკებისას. ბერლინში თავისი ელჩის, ბენედეტის სახელით, მან მოითხოვა ბავარიის პფალცი და ჰესენ-დარმშტადტის რაინისპირა პროვინციები. ნაპოლეონი იმედოვნებდა, რომ ვილჰელმ I არ წავიდოდა ამის წინააღმდეგ, რადგანაც ეს ორი გერმანული სახელმწიფო მას ებრძოდა ავსტრიასთან ერთად. მაგრამ ბისმარკმა არ დააყოვნა იმპერატორის გამოყვანა ილუზიების სამყაროდან. მან 7 აგვისტოს ბენედეტის განუცხადა, რომ მისი მეფე, როგორც ჭეშმარიტი არიელი, საფრანგეთს ერთ გოჯ გერმანულ მიწასაც არ დაუთმობდა, და, რადგანაც ელჩი გაჯიქდა, ცივად ესროლა: „კარგი, მაშინ ეს ომს ნიშნავს!“ ბისმარკმა არ დაუფარა ელჩს, რომ პრუსია დიდი არმიის გაგზავნას აპირებდა რაინისაკენ, თან დაუმატა, თუ საფრანგეთი მოინდომებს არაგერმანული ტერიტორიების მიკუთვნებას, შეიძლება დიალოგის გაგრძელებაო. საფრანგეთის მთავრობა მიხვდა, რომ პრუსიის მინისტრმა იგი მშრალზე დატოვა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბისმარკმა ბენედეტის ჩამოართვა წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც აღნუსხული იგი ნაპოლეონის ანექსიონისტური სურვილები. ეს დოკუმენტი მან გაუგზავნა ალექსანდრე II-ს, რომელიც მანამდე მწყრალად უყურებდა პრუსიის გაფართოების მეზობლების ხარჯზე. მაგრამ ბისმარკის ეშისარმა, გენერალმა მანტოიფელმა, იმით დაამშვიდა ხელმწიფე, რომ პრუსია „დაინდობდა“ ჰესენ-დარმშტადტის მონარქს, რომლის და ალექსანდრე III-ის მეუღლე იყო. ამასთან, ბისმარკმა რუსეთის მეფეს აღუთქვა, რომ დაეხმარებოდა 1856 წ. პარიზის ტრაქტატის გადასინჯვაში. ალექსანდრე II-მ ამ დაპირების გამო თვალები დახუჭა პრუსიის ანექსიებზე და სიტყვა მისცა ბერლინის კარს, რომ წინა აღუდგებოდა საფრანგეთის დაპყრობით პოლიტიკას. იმავდროულად ბისმარკმა გერმანიის მეორეხარისხოვან სახელმწიფოებსაც (ბავარიას, ვიურტემბერგს და სხვ.) გაანდო ნაპოლეონის ზრახვები და მათ პრუსიის დახმარება აღუთქვა. პრუსიის მთავარმა დიპლომატმა დიდ წარმატებას მიაღწია: სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის გერმანულმა სახელმწიფოებმა, რომლებიც მანამდე ბერლინის პოლიტიკის ოპონენტები იყვნენ, ჯერ ზავი დადეს პრუსიასთან. ცოტა ხნის შემდეგ კი თავდაცვითი და შეტევითი პაქტი გააფორმეს (17-23 აგვისტო).

ბისმარკმა ამ კავშირის არსებობა საიდუმლოდ შეინახა და ეს იმიტომ გააკეთა, რომ მისი გახმაურება ხელს შეუშლიდა ავსტრიასთან ზავის დადებაში. (გავიხსენოთ: ნიკოლსბურგის დაზავების პირობების მიხედვით სამხრეთ გერმანიას კატეგორიულად ეკრძალებოდა ჩრდილოგერმანული კავშირის, ან პრუსიის პოლიტიკის ორბიტაში მოქცევა). 1866 წ. 23 აგვისტოს წინასწარი ზავი

ვის პირობები პრაღის საბოლოო ზავში გაფორმდნენ. მანამდე კი, როგორც აღ-
ნიშნა, პრუსიამ და სამხრეთ გერმანიის მთავარმა სახელმწიფოებმა საიდუმლოდ
მოაწერეს ხელი ურთიერთდახმარების პაქტს. აქედან გამომდინარე, კეთდება
დასკვნა: პრაღის ზავი მის ოფიციალურ გაფორმებამდე იქნა დარღვეული.

* * *

ბისმარკმა სამაგალითოდ დასაჯა საფრანგეთის იმპერატორი, როდესაც
მას ლუქსემბურგის საჰერცოგო და ბელგიის სამეფო შეთავაზა, თუმცა ყველაზე
კარგად უწყოდა, რომ ლუქსემბურგს გერმანია არ დათმობდა, ხოლო ბელგიის
ანექსიას ბრიტანეთი არ დაუშვებდა.

ნაპოლეონ III კბილებით ჩააფრინდა პრუსიელის წინადადებას და თავისი
ელჩის ხელით შეთანხმების ორი პროექტი მიაწვდინა მას (16 აგვისტო). პირ-
ველის ძალით, საფრანგეთი პრუსიის ღოცვა-კურთხევით ახლო მომავალში
შეიძენდა ლუქსემბურგს, მეორეს მიხედვით კი ორივე სახელმწიფო გააფორ-
მებდა კავშირს, რომელთაგან ერთი მოგვიანებით მიიღებდა ბელგიას, ხოლო
მეორე (პრუსია) თავის ჰეგემონიას განავრცობდა მაინის სამხრეთით (ეს უკვე
მომხდარი ფაქტი იყო, მაგრამ მის შესახებ პარიზში ჯერ არ იცოდნენ.).

პრუსიის მთავრობის შეფს იმ მომენტში არ სურდა ელჩის, ბენედეტის,
გაოგნება, რადგანაც ავსტრიასთან ჯერ კიდევ არ ჰქონდა დადებული ზავი.
ამის გამო ის იმით შემოიფარგლა, რომ ელჩს ფრანგულ პროექტში რამდე-
ნიმე ცვლილების შეტანა შეთავაზა. ბენედეტი შეცდა და მის თვალწინ გაა-
კეთა შესაბამისი შესწორება. შემდეგ ბისმარკმა ამ ვაი-დიპლომატს საკუთარი
ხელით გადააწერინა პროექტი და მოახერხა მისი მიღება (20 აგვისტო). მა-
ღე ეს დოკუმენტი ბისმარკის ხელში საშინელი ძალის იარაღად იქცევა და
იოლი წარმოსადგენია, თუ როგორ გამოიყენებდა მას ახლო მომავალში.

ბენედეტიმ ტექსტის ჩასწორებული დედანი პარიზში გაგზავნა, ნაპო-
ლეონ III-მ მასზე შენიშვნები გააკეთა და მინისტრებს გადაულაცა. მაგრამ,
სანამ ისინი ყოველი სიტყვის მარცვალში შეცდომებს ასწორებდნენ, ბისმარკ-
მა პრაღის ზავი გააფორმა.

ბენედეტიმ პარიზიდან მიღებული ხელშეკრულება პრუსიის მთავრობის მე-
თაურს წარუდგინა (წარმოვიდგინოთ მისი გაღიმებული და კმაყოფილებით
აღსავსე სახე!), მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ: მასპინძელმა იგი მეტის-
მეტად ცივად მიიღო!.

ცბიერმა დიპლომატმა გაოცებულ ელჩს „შესჩივლა", რომ „უჭირდა"
პრუსის მეფის დაყოლიება. ეს კიდევ არაფერი, მან მკაცრად გააკრიტიკა
(ამხილა) საფრანგეთის ანექსიონისტური მისწრაფებები ბელგიის, ლუქსემბურ-
გისა და რაინის პროვინციების მიმართ. ბოლოს ბისმარკმა განაცხადა, რომ,
მანამ არ დადებდა შეთახმებას, სანამ ტიუილრის სასახლე საქმით (და საქ-
ვეყნოდ) არ დაამტკიცებდა პრუსიისადმი მეგობრობას (23 აგვისტო)! ამ ტი-
რადის მიხედვით ნაპოლეონ III-ს ხმამაღლა უნდა შეექო ვილჰელმ I-ის
მთავრობის პოლიტიკა და თავი შეეკავებია პროტესტებისაგან მისი საქმია-
ნობის გამო გერმანიაში.

ეს სილის გაწვნაზე მეტი იყო: საფრანგეთის იმპერატორი არა თუ მო-
ატყუეს, იგი მთელი ევროპის თვალში დაამცირეს!

რა მერე? — ნაპოლეონ III-მ მორიგი სისულელე ჩაიდინა: მისმა კაბინეტ-
მა (მაშინ დრუენ დე ლუისი აღარ იყო მინისტრი, თორემ ამაზე არ წა-
ვიდოდა) 16 სექტემბერს გამოაქვეყნა ნოტა, რომელშიც გამოხატა ოპტი-
მისტური აზრი იმის შესახებ, რომ ერთა გამაერთიანებელ მისწრაფებებს ყველ-



გან და ყოველთვის უნდა ხვდებოდეს თანადგომა (ნაპოლეონ III-ის უბა-
დაღებული „ეროვნულობის პრინციპი"). ბუნებრივია, ამ განცხადებით ბის-
მარკმა ისარგებლა, — ის ხომ გერმანელთა გაერთიანებისათვის იღვწოდა!

საქვეყნოდ შერცხვენილი ნაპოლეონ III მაინც არ იტეხდა იხტიბარს და
უკანასკნელ ძალებს იკრებდა რეპუტაციის აღსადგენად. მას გულით ეწადა
ბელგიის მიერთება, ამას კი ინგლისის შიშით და პრუსიასთან კავშირის გა-
რეშე ვერ მიაღწევდა. დრო გადიოდა, ამინდს კი სასურველი პირი არ უჩანდა.
„პრუსიამ სხვა მოკავშირეები შეიძინა", — ნაღვლიანად წერდა ბენედეტი იმ-
პერატორს აგვისტოს ბოლოს და მათში რუსეთსაც გულისხმობდა.

საფრანგეთის ელჩს ბისმარკთან შეხვედრა სურდა, მაგრამ იგი თავის
სოფელში ავადმყოფობას „ებრძოდა". ბერლინში დაბრუნებულმა მინისტრ-
პრეზიდენტმა კვლავ მოიმიზეზა მეფის ჭირვეულობა, იგივე გაიმეორა 1867 წ.
იანვარშიც. გაბრაზებულმა ნაპოლეონ III-მ ბისმარკს აცნობა, რომ არც მას-
თან კავშირი სურდა და არც ბელგია, თუმცა უარი არ უთქვამს ლუქსემბურგ-
ზე. ბისმარკმა ბრალდებას ბრალდებით უპასუხა. რატომ ბრაზობს საფრან-
გეთი? განა ეს გერმანიისადმი მტრული პოზიცია არ არის? ხომაა მართალი
პრუსია, მასთან ხელშეკრულების დადებაში რომ ყოყმანობს? სადაა იმის
გარანტია, რომ ნაპოლეონ III ბელგიას არ გამოიყენებს რაინის პროვინციების
დასაპყრობად?

ბისმარკის ასეთმა „ფერისცვალებამ" და თავხედობამ ნაპოლეონ III-ს
მორიგი შეცდომა დააშვებინა: 17 თებერვალს პალატების სხდომის გახს-
ნისას პრუსიისათვის შეურაცხმყოფელი მედიდურობით მან განაცხადა, რომ
„ვენის კარიბჭესთან შეაჩერა გამარჯვებული, იხსნა ავსტრიის მთლიანობა
და გაასრულა იტალიის დამოუკიდებლობის საქმე". ამის პასუხად ვილჰელმ
I-მა 24 თებერვალს, რაისხტაგის გახსნის დღეს, განაცხადა, რომ ღრმად იყო
დარწმუნებული გერმანიის საქმის (იგულისხმება — გაერთიანება) წარმატება-
ში. მოკლედ, იმ მომენტში საფრანგეთსა და პრუსიას შორის უაღრესად გამწ-
ვავდა ურთიერთობა და პარიზს არ უნდა ჰქონოდა ბერლინის მთავრობის იმე-
დი ლუქსემბურგთან დაკავშირებით.

ნაპოლეონ III-მ ჩათვალა, რომ ლოდინი ზედმეტი ფუფუნება იყო მისთ-
ვის. მან სწორად გააცნობიერა, რომ საფრანგეთსა და ევროპაში მისი პო-
პულარობის დაცემის მიზეზი სადღაც იდო. ულტრაკლერიკალური პარტია
მკაცრად აკრიტიკებდა მას იმისათვის, რომ ბედის ანაბარა მიატოვა პაპის
სახელმწიფო და მაქსიმილიანი, რომელსაც შორეულ მექსიკაში რესპუბლიკელ-
თა მრისხანე განაჩენი ელოდა[1].

დამცირებულმა, სირცხვილნაჭამმა და ღირსებაშელახულმა იმპერატორმა
თავისი მზერა ლიბერალურ პარტიას მიაპყრო (ეს პარტია მას დიდი ხნის
მანძილზე ძულდა) და მისგან ხსნას ელოდა. არ ყოფნიდა რა გამბედაობა „2 დე-
კემბრის ხალხის" (ანუ რეაქციონერების, რომლებსაც „მამლუქებსაც" უწო-
დებდნენ) ჩამოცილებისათვის, ის პასიურად და არაგულწრფელად შეუდგა
რეჟიმის შეცვლას, რასაც შედეგად მეგობრების დეზორგანიზება და მისი მტრე-

[1] ნაპოლეონ III-მ პაპის ოლქიდან ჯარები გამოიყვანა 1866 წ. დეკემბერში, ხოლო
მექსიკიდან 1867 წ. იანვარ-მარტში. იმპერატორი ბოლო საქციელს აშშ მთავრობის
პროტესტებითა და მტრული დემარშებით ამართლებდა, მაგრამ უველამ იცოდა, რომ
მექსიკური ექსპედიცია თავიდანვე დასაღუპად იყო განწირული (ნაპოლეონი მექსიკიდან
წასვლას ურჩევდა მაქსიმილიანს, მაგრამ ადგილობრივი კლერიკალების მოიმედე პრინც-
მა იუარა თავისი მოჩვენებითი იმპერიის დატოვება. რამდენიმე თვის შემდეგ ეს
სიჯიუტე მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა).

ბის პოზიციათა გაძლიერება მოჰყვა. მან საფრანგეთს პრესისა და კრების თავისუფლების აღდგენა აღუთქვა, მაგრამ არ ჩქარობდა დანაპირების შესრულებას, რადგანაც იცოდა, რომ დეპუტატები პასუხს მოსთხოვდნენ საგარეო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომებისათვის.

კრიტიკისა და ლანძღვა-გმნების თავიდან ასაცილებლად იმპერატორს საკუთარი ღირსების აღდგენა თუ უშველიდა (ასე ფიქრობდნენ მისიანები) და ამის მიღწევას ძლევამოსილი ომით, ან დიპლომატიურ პოლიტიკაში დიდი წარმატების წყალობით აპირებდა. ამიტომ მან მთელი თავისი გულისყური და ფიქრები ლუქსემბურგის პატარა ტერიტორიას მიაპყრო.

* * *

ვენის კონგრესმა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ნიდერლანდებს შეუერთა. ჩვენთვის საინტერესო დროს ამ უკანასკნელს ორანელთა (ნასაუს) წარმომადგენელი, ვილჰელმ III მართავდა. მას, როგორც მფლანგველსა და გარყვნილ მონარქს, ყოველთვის სჭირდებოდა ფული და სიამოვნებით გაჰყიდდა ლუქსემბურგს ისეთ სახელმწიფოზე, რომელიც გვარიან თანხასაც გადაუხდიდა და ნიდერლანდებსაც დაიცავდა.

ქ. ლუქსემბურგი, ვითარცა გერმანიის კავშირის ციხესიმაგრე, პრუსიის ჯარს ეკავა და, მიუხედავად ამ კავშირის გაუქმებისა, ბერლინის მთავრობა არ აპირებდა მის დატოვებას. ვილჰელმ III-ს ყოველთვის თვალწინ ედგა შლეზვიგის ტრაგედია და ესეც იყო მიზეზი ამ საჰერცოგოს „გასაღების“ სურვილისა.

ნაპოლეონ III ნიდერლანდების მეფეს ლუქსემბურგის შეძენაზე შეევაჭრა, მაგრამ მხდალ ვილჰელმ III-ს მყარი გარანტია სჭირდებოდა იმისათვის, რათა საფრანგეთის ინტერესების გამო პრუსია არ გადაემტერებინა. ამიტომ, 1867 წ. თებერვლის დამლევს, ნაპოლეონი „დაუტკბა“ ბისმარკს და მეგობრული კილოთი აცნობა, რომ გერმანიის მიმართ ბოროტი ზრახვები არ გააჩნდა. ყველას გასაოცრად „რკინის კანცლერმა“ „გულთან ახლოს მიიტანა“ პარიზის „გააშიკება“ და იმპერატორს აღუთქვა, რომ პირადად არ ჩაერეოდა „ლუქსემბურგის ვაჭრობაში“, მაგრამ პასუხს არ აგებდა თავის მონარქზე[1].

რა მოხდა მასში ისეთი, რომ ბისმარკმა კეთილშობილური პოზიცია დაიკავა ფრანგული პროექტისადმი? რად მისცა ნება პარიზის კაბინეტს შეერთებია ლუქსემბურგი, რომელიც ვილჰელმ I-ს გერმანულ მიწად მიაჩნდა?

— უბრალოდ, ბისმარკს ორი რამ სურდა: 1. ნაპოლეონ III თავად გახლართულიყო საკუთარი ინტრიგების ბადეში; და 2. სასწრაფოდ გაეერთიანებია გერმანია.

ეს სურვილები ერთმანეთისაგან იყვნენ დამოკიდებულნი და ერთ მთლიან პოლიტიკას შეადგენდნენ. დავიწყოთ ძეორეთი.

გერმანიის იმპერიის შექმნამდე პრუსიის მთავრობის ხელმძღვანელს მტკიცე დასაყრდენი სჭირდებოდა. ამ მიზნით 1866 წ. 18 აგვისტოსა და 21 ოქტომბერს შორის პრუსიამ 21 სახელმწიფოსთან ერთად შექმნა დროებითი გაერთიანება[2], რომელიც ავტომატურად შეწყვეტდა არსებობას მომდევნო წლის 18 აგვისტოს, თუ მანამდე არ დაარსდებოდა ჩრდილოგერმანული კავშირი. ბისმარკს არ „აწყობდა, რომ ამ სახელმწიფოებს დიდი დრო ჰქონოდათ მოსაფიქრებლად, მაგრამ, როგორი ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო მათზე პრუსიის გავლენა, არ იყო იმის გარანტია, რომ ისინი უსიტყვოდ მიიღებდნენ მის მიერ შეშფოთს რწმუნებულმა უარყო ბისმარკის პროექტი, რადგანაც იგი კავშირის წევრებს (ქვეყნებს) უმნიშვნელო დამოუკიდებლობას უტოვებდა მაშინ, როდესაც გაერთიანების მემკვიდრეობით პრეზიდენტებს, პრუსიის მეფეებს, აბსოლუტურ ძალაუფლებას ანიჭებდა (1866 წ. დეკემბერი). დელეგატებმა ცივად დატოვეს კონფერენცია, მაგრამ პრუსიის მუქარამ გაჭრა და რამდენიმე კვირის თავზე მათ მიიღეს კანცლერის პროგრამა (1867 წ. 8 თებერვალი). მისი ძალით დიპლომატია, არმია, ფლოტი, ომის და ზავის საქმე, საგანგებო წესების გამოცხადება, კავშირის რომელიმე წევრის მიმართ რეპრესიების გატარება, ფედერალური გადასახადები და სექვესტრი კავშირის პრეზიდენტის (პრუსიის მეფის) პრეროგატივაში შედიოდა. საკანონმდებლო ძალაუფლება ენიჭებოდა ორ კრებას: რაისხტაგს და ბუნდესრატს (საკავშირო საბჭოს). რაისხტაგს ირჩევდნენ საყოველთაო ხმის მიცემით, მის გადაწყვეტილებას ამტკიცებდა, ან უარყოფდა ბუნდესრატი, მასვე შეეძლო არჩევითი პალატის დაძლაც. საკავშირო საბჭოში შედიოდა სახელმწიფოთა 43 წარმომადგენელი, რომელთაგან პრუსიას 17 ხმა ეკუთვნოდა. როდესაც ბუნდესრატი მუშაობას შეწყვეტდა, რაისხტაგს აღარ შეეძლო თავისი სხდომების ჩატარება, სამაგიეროდ ყოველთვის შეიძლებოდა საკავშირო საბჭოს მოწვევა. ბუნდესრატს თავჯდომარეობდა საკავშირო კანცლერი, რომლის პოსტი გრაფ ბისმარკისთვის იყო გათვალისწინებული. კიდევ ერთი: ვილჰელმ I-ს ენიჭებოდა აბსოლუტური veto-ს უფლება არმიის ორგანიზაციისა და მისთვის გამოყოფილი ხარჯების სფეროში.

* * *

შიშნაჭამმა მონარქებმა კი მიიღეს ფონ ბისმარკის პროგრამა, მაგრამ დაამტკიცებდა მას 24 თებერვლისათვის მოწვეული რაისხტაგი?

„რკინის კანცლერმა“ იცოდა, რომ დაამტკიცებდა, რადგანაც მას ისეთი კოზირი (რკინაზე მაგარი) ჰქონდა, რომელიც ოპოზიციის ნებისმიერ ბანქოს გაჭრიდა. მის კოზირზე ნაპოლეონ III-ის პროფილი იყო დახატული და მისი ჩამოსვლით (ანუ საფრანგეთის იმპერატორის „ბადეში დაჭერით“) რაისხტაგს უსიტყვოდ უნდა მიეღო კონსტიტუცია. ასეც მოხდა და აი, როგორ...

ლუქსემბურგთან დაკავშირებით ბისმარკმა დაარწმუნა ბენედეტი,—იმპერატორის სურვილი კანონიერად მიმაჩნია (?), ოღონდ, სანამ ჩემს მეფეს არ შეუტყვია ნიდერლანდებთან მოლაპარაკებაზე, დააჩქარეთ მისი შეძენაო. სწორედ ამ „თავაზიანობაში“ გამოვლინდა ფონ ბისმარკის, როგორც დიპლომატის, გენიალურობა: მას ნაპოლეონ III-ის დემარშებითა და მოლაპარაკებებით ტევტონური სულისკვეთების გაღვივება და მთელი გერმანიის პრუსიის საბრძოლო დროშის ქვეშ დარაზმვა სურდა! მართლაც გერმანულმა პრესამ „იუნოსა“ ლუქსემბურგის ვაჭრობაზე და ხმაურიანი განგაში ატეხა, რითაც საზოგადოებრივი აზრი საფრანგეთის წინააღმდეგ განაწყო. ნაპოლეონ III უნდა აჩქარებულიყო (ბისმარკმა ხომ „ურჩია?“) და გარიგების გასრულებით პრუსიის მეფე ფაქტის წინაშე დაეყენებინა, მაგრამ ვაჭრობაში დრო დაკარგა; თანაც ისეთი საბედისწერო ინციდენტი მოხდა, მაგრამ ჰაერში გამოჰკიდა ლუქსემბურგის შეძენის პერსპექტივა.

[1] ცბიერი დიპლომატი ამას სიტყვიერად ჰპირდებოდა, წერილობითი ვალდებულებისაგან კი თავს იკავებდა.

[2] პრუსიის გარდა ჩრდილოგერმანულ კავშირში შევიდნენ საქსონის სამეფო, დიდ საჰერცოგოები: მეკლენბურგი საქსენ-ვაიმარი, ოლდენბურგი; საჰერცოგოები: ბრაუნშვაიგი, საქსენ კობურგ-გოთა, ანგალტი; თავისუფალი ქალაქები: ბრემენი, ლიუბეკი, ჰამბურგი და სხვა წვრილი სამთავროები...

1867 წ. 14 მარტს ადოლფ ტიერმა სასტიკად გააკრიტიკა საფრანგეთის მთავრობა სადოვას კატასტროფისა და ჩრდილო გერმანიაზე პრუსიის ჰეგემონიის დამყარებისათვის. მან კატეგორიულად მოითხოვა, პარიზის კაბინეტს არ დაეშვა ბერლინის პოლიტიკის (ბატონობის) გავრცელება სამხრეთ გერმანიაზე[1]. ტიერის გამოსვლას სახელმწიფო მინისტრმა, ეჟენ რუერმა (1814-1884), რომელიც „2 დეკემბერის პარტიის“ ლიდერი იყო, ქედმაღლურად უპასუხა, რომ იმპერატორის პოლიტიკის წყალობით გერმანია სამ ნაწილად დაიყო და საფრანგეთი არ დაუშვებდა მათ გაერთიანებას(!). მინისტრის ტრაბახზე გერმანიის პრესამ 1866 წ. აგვისტოს საიდუმლო შეთანხმებები გამოაქვეყნა, რომელთა შესახებ ორივე მხარის მოსახლეობამ არაფერი უწყოდა (ბისმარკის კიდევ ერთი მომგებიანი სვლა!). მდგომარეობა დაიძაბა; ფრანგებიცა და გერმანელებიც მილიტარისტულმა ისტერიამ მოიცვა. ნიდერლანდების მშიშარა მეფე ისე წახდა, რომ ვილჰელმ პრუსიელს რჩევა ჰკითხა ლუქსემბურგის თაობაზე, მაგრამ მისგან ბუნდოვანი პასუხი მიიღო (აქაც კანცლერის ხელი ერია, თორემ ვილჰელმ I საერთოდ ვეტოს დაადებდა საჰერცოგოს საკითხს!). ბისმარკმა, მდგომარეობის გამწვავების მიზნით, აჩქარებისაკენ მოუწოდა ნაპოლეონ III-ს. ისიც აჩქარდა და 90 მილიონზე მოურიგდა ნიდერლანდების მონარქს. 31 მარტს ტიუილრის სასახლემ ევროპას თავის დიპლომატიურ წარმატებაზე ამცნო(!). ბისმარკსაც ეს სურდა, და არ დააყოვნა ცეცხლის გახსნა. 1 აპრილს რაიხსტაგში ნაციონალურ-ლიბერალური პარტიის ბელადმა ფონ ბენიგსენმა, რომელიც ბისმარკის კომედიის მონაწილე იყო, გაღიზიანებული გერმანიის სახელით მკაცრად დაგმო (რა თქმა უნდა, ყასიდად) პრუსიის მთავრობის მეთაურის „ანტიეროვნული“ პოლიტიკა ლუქსემბურგის საკითხში და მისგან საფრანგეთის ანექსიონისტური სურვილების წინააღმდეგ მოქმედება მოითხოვა. ბისმარკმა ნაპოლეონ III-ს აცნობა (ალბათ იმ მომენტში სიამოვნებით!), რომ იძულებულია დამორჩილდეს რაიხსტაგისა და გერმანელი ხალხის ნებას, ამ უკანასკნელს კი სიტყვა მისცა, რომ დაიცავდა მის ინტერესებს. ბისმარკის გამოსვლამ ცივი წყალი გადაასხა ნიდერლანდების მეფის ილუზიებს—ეშოვნა ფული.

ნაპოლეონ III კვლავ მშრალზე დარჩა—დამცირებული და გაპამპულებული. მან, ინტრიგების ოსტატმა, თავიც შეირცხვინა და თავისი უაზრო, უპრინციპო და მერყეევი პოლიტიკით საფრანგეთს ორი ძლიერი მეტოქე, გაერთიანებული იტალია და გერმანია „დაუსახლა“ მეზობლად[2]. მას ბოლომდე ახრჩობდა და ვერ მოისვენებდა, სანამ თუნდაც პატარა რევანშს არ აიღებდა. მისი დაჟინებული მოთხოვნით და ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებით პრუსიას ჯარი უნდა გამოეყვანა ლუქსემბურგიდან (1867 წ. 11 მაისი). ამიერიდან ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადდა, ოღონდ ნიდერლანდების მეფის ძალაუფლების ქვეშ.

[1] ა. ტიერს პათოლოგიურად სძულდა ნაპოლეონ III-ის იმპერია და ყველაფერს აკეთებდა მის დასამხობად. ამ ვაი-პოლიტიკოსს ცოტა ჭკუა რომ ჰქონოდა, თავს შეიკავებდა პროვოკაციული გამოხდომისაგან, რამეთუ იმპერიის დაღუპვას უთუოდ მოჰყვებოდა საფრანგეთის განადგურება (მალე ასეც მოხდა).

[2] ეჭვი არაა, იტალიელებისა და გერმანელების ერთიან სახელმწიფოში „თავმოყრას“ ვაინაპოლეონები ვერ შეაჩერებდნენ, მაგრამ მათი გაერთიანების საქმე (გავიხსენოთ ნაპოლეონ III-ის „ეროვნულობის პრინციპი“) საფრანგეთის მეუფემ ნამდვილად დააჩქარა.



* * *

ევროპას თითქოსდა შეებით უნდა ამოეხუნთქა (განხეთქილების ვაშლი გაქრა), მაგრამ ჰაერში მაინც ტრიალებდა დენთის სუნი. უფრო მეტიც, ორივე მხარე გამალებული აქტიურობით იარაღდებოდა და ომისათვის ემზადებოდა. 17 აპრილს, დამფუძნებელი რაიხსტაგის დაშლის დღეს (რაიხსტაგმა შესწორებების გარეშე დაამტკიცა ბისმარკის კონსტიტუცია), პრუსიის მეფემ განაცხადა, რომ ამიერიდან არავის დაჩაგვრინებდა გერმანელთა ღირსებასა და უფლებებს. ეს კი თქვა, მაგრამ არც ბერლინში და არც პარიზში არავის არ სურდა ინიციატივის აღება პირველი დარტყმისათვის. ორივე სახელმწიფო მხოლოდ ერთზე ზრუნავდა—ეშოვნა მოკავშირეები.

* * *

ლონდონის კონფერენცია ახალი დამთავრებული იყო, რომ მექსიკიდან საზარელი ცნობა მოვიდა: ფრანგებისაგან მიტოვებული „იმპერატორი“ მაქსიმილიანი, რომელიც მექსიკელთა უმრავლესობას სძულდა, ბენიტო ხუარესთან ბრძოლაში დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და რესპუბლიკური ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით იქნა დასჯილი (1867 წ. 10 ივნისი).

„მეტი შეცდომები აღარ არსებობენ, აწი რომ დაუშვათ, თქვენ ყოველნაირი შეცდომა დაუშვით“. — ტიერის ამ ტირადას, წარმოთქმულს ნაპოლეონის დიპლომატიის მისამართით, ხშირად ახსენებდნენ და იგონებდნენ მაქსიმილიანის დახვრეტის შემდეგ. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა საბოლოოდ დასცა ქვეყანაში იმპერატორის ავტორიტეტი, და უკვე ხმამაღლა გაისმოდა ხმები რესპუბლიკის და რევოლუციური მმართველობის დამყარების სასარგებლოდ.

რაც უფრო იზრდებოდა უკმაყოფილება, მით უფრო ნერვიული ხდებოდა პარიზის კაბინეტის დიპლომატია. მთავრობა აშკარად ეძებდა წარმატების მომტან ომს, რომელსაც უნდა გადაეჩინა დინასტია და აღედგინა იმპერატორის სახელი.

მაგრამ იმპერია სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა. ინგლისი მას არ დაეხმარებოდა (ბისმარკმა გამოაქვეყნა ბენედეტის ხელით დაწერილი დოკუმენტი, რომელიც ფრანგებისაგან ბელგიის ანექსიას ითვალისწინებდა); არ დაეხმარებოდა იტალიაც, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა რომის დაკავების უფლებას უკრძალავდა (3 ნოემბერს, მენტანასთან, ფრანგებმა დაამარცხეს გარიბალდი, რომელიც რომში შეჭრას ლამობდა.). რუსეთის იმედი ნაპოლეონს არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც მის იმპერატორს ყირიმიც ახსოვდა და პარიზელების დამოკიდებულება მისი პერსონისადმი (პარიზში გამართულ საერთაშორისო სამრეწველო გამოფენაზე ჩასულ ალექსანდრე II-ს პოლონელმა ბერეზოვსკიმ ესროლა, ხოლო ჭუჩაში მოსეირნე მეფეს მოჭალაქენი ხვდებოდნენ შეძახილით — „გაუმარჯოს პოლონეთს!“.). რაც შეეხება ავსტრიას, მის იმპერატორსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ბიოსტს, მათ არ ჰქონდათ მუდამ მერყეევი ნაპოლეონ III-ის იმედი, თანაც ფრანც-იოზეფს, როგორც გერმანელს, არ სურდა თავისი რასის ტრადიციული მტრის (საფრანგეთის) მხარის დაკვება[1] (ამას გალოფობებიც არ აპატიებდნენ). ასე რომ, ნაპოლეონ III პრუსიასთან (გერმანიასთან) ომის წინ სრულიად გარიყული აღმოჩნდა. თუ ამას

[1] ვენის კაბინეტს ძალიან სწყუროდა რევანშის აღება, მაგრამ მან იცოდა, რომ პრუსიის წინააღმდეგ გამოსვლას გალიციაში პრუსიის მეგობრის, რუსეთის შეჭრა მოჰყვებოდა.

დავუმატებთ არმიის მოუმზადებლობას, სასახლის კარზე არსებულ ინტრიგებს (ავადმყოფი იმპერატორი სხვადასხვა დაჯგუფებების გავლენის ქვეშ იყო) და მთელს ქვეყანაში გამეფებულ არასტაბილურ ვითარებას, საფრანგეთს ომში წარმატების არანაირი შანსი არ უნდა ჰქონოდა.

* * *

ფონ ბისმარკს არ მოსწონდა ტიუილრის სასახლის მოლაპარაკებები ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრთან (ბიოსტი ავსტრია-იტალია-საფრანგეთის კავშირის გაფორმებისთვის იღვწოდა 1868 წლის დამდეგიდან) და მისი ხელეწიფური ანტიპრუსიულად განწყობილ სამხრეთ გერმანიაში. ბისმარკმა იცოდა, რომ ბავარია, ბადენი და ვიურტემბერგი ვერ იტანდნენ ქედმაღალ და გაუმაძღარ პრუსიას, რომელმაც ისინი 1866 წლის ომში დაამარცხა და თავს მოახვია სამხედრო ხელშეკრულება. ფონ ბისმარკმა ისიც იცოდა, რომ საფრანგეთთან ომის გარეშე ვერ შეძლებდა ამ „კათოლიკური მონარქიების“ ჩაბმას გერმანიის გაერთიანების ფერხულში და ავსტრიაზე ბრწყინვალე გამარჯვებით გამოწვეული ტევტონური სულის მხურვალების გახანგრძლივებას. მის თვალში ბავარია ანტიპრუსიული პოლიტიკის ლიდერი იყო (იგი ბავარელს „საშუალო ტიპის ავსტრიელსა და ადამიანს შორის გაჩხერილ არსებას“ უწოდებდა), რომელსაც დიდი ვნების მიყენება შეეძლო მისი გეგმებისათვის.

ბისმარკიც ნაპოლეონ III-ის დარად ომზე ოცნებობდა, მაგრამ, ითვალისწინებდა რა ევროპის საზოგადოებრივ აზრს, სურდა, რომ იგი საფრანგეთს დაეწყო და სამყაროს თვალში გერმანია აგრესიის მსხვერპლის როლში წარმოჩენილიყო.

ყოველგვარ კონფლიქტს, და მით უმეტეს—ომს, საბაბი სჭირდებოდა და ბისმარკის ბედად ისიც გამოჩნდა.

* * *

1868 წ. სექტემბერში ესპანელმა ხალხმა ავჯანყების გზით დაამხო იზაბელა II-ის[1] საძულველი რეჟიმი და ძალაუფლება სამხედროებს—სერანოს, პრიმს და ტოპეტეს—გადასცა. ტრიუმვირებმა შეადგინეს დროებითი მთავრობა, რომელსაც არც რესპუბლიკა სურდა და არც აბსოლუტიზმი, იგი პარლამენტურ მონარქიას ანიჭებდა უპირატესობას.

ქვეყნის სათავეში მოსული გენერლები საფიქრალში ჩავარდნენ: ვინ დაესვათ სამეფო ტახტზე, თანაც ისე, რომ ამ საქმეს საერთაშორისო დაძაბულობა არ გამოეწვია?

1869 წ. გაზაფხულზე ნაპოლეონ III-მ შეიტყო, რომ გენერალი პრიმი სერანოსგან ფარულად მოლაპარაკებას აწარმოებდა ბერლინთან, პრინც ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენის სასარგებლოდ[2]. საფრანგეთის იმპერატორმა ამ წამოწყებაში პრუსიის ხელი და თავისი რეჟიმის მიმართ საფუძვლიანი საფრთხე დაინახა.

[1] იზაბელა II-მ და დედამისმა მარია-ხრისტინამ საფრანგეთს შეაფარეს თავი და დედოფალ ევგენიას (ისიც ხომ ესპანელი იყო!) მხარდაჭერით სარგებლობდნენ.

[2] პრინც ლეოპოლდის უმცროსი ძმა, კარლი, 1866 წლიდან რუმინეთის მეფე იყო, ხოლო მამა, თავადი ანტონი, ბისმარკამდე—პრუსიის პრემიერი.



ნაპოლეონ III-ის დასამშვიდებლად ბერლინს მისთვის უნდა შეეხსენებინა, რომ ახალგაზრდა პრეტენდენტი მას ნათესავად ეკუთვნოდა, და, თუ ეს არგუმენტიც არ დააკმაყოფილებდა, უპასუხებდნენ, რომ პრუსიის მთავრობა ამ გარიგებაში სუფთა იყო, რადგანაც პრიმის აგენტს (სალასარს) უშუალო მოლაპარაკება ჰქოხდა ლეოპოლდის მამასთან და, თუ ამის თაობაზე ეთათბირებოდნენ ვილჰელმ I-ს, ეთათბირებოდნენ, როგორც ოჯახის მეთაურს, ხოლო, თუ ბისმარკი საქმის კურსში იყო, ეს იმიტომ კი არა, რომ ის მთავრობას ხელმძღვანელობდა, არამედ იმიტომ, რომ იგი პრუსიის მონარქის მეგობარი იყო. და ბოლოს, თუ ნაპოლეონ III ომს გააჩაღებდა პრუსიის წინააღმდეგ, ევროპა მას გაჰკიცხავდა, ხოლო ბისმარკი მთელ გერმანიას, როგორც ერთ კაცს, მის წინააღმდეგ გამოიყვანდა.

შეიძლება ეს მაკიაველისებური გეგმა კანცლერის ჭკვიან თავში ასე კარგად მაშინ არ მომწიფებულა, მაგრამ უდაოა: მოქმედების ძირითადი მონახაზები მან სწორედ იმ დროს გააკეთა.

1869 წ. მაისში ბისმარკმა საფრანგეთის ელჩს, ბენედეტის, განუცხადა, რომ მან, როგორც მინისტრმა, არაფერი იცის ამ საქმეზე და რომ პრუსიის მთავრობა აქ არაფერ შუაშია. ის ესპანეთზე აგდებული ტონით ლაპარაკობდა და მისი თქმით ლეოპოლდი შეცდებოდა, თუ დაიკავებდა შემოთავაზებულ ტახტს. ასე რომ „მსჯელობდა“, ბისმარკს არ აღუნიშნავს, რომ ვილჰელმი გამეფების სურვილს ჩაუკლავდა ჰოჰენცოლერნთა წარმომადგენელს. ამრიგად, პრუსიის მთავრობის მეთაური, არ სურდა რა თავისი თავისა და კაბინეტის კომპრომეტირება, მომავლისთვის (უფრო ხელსაყრელი მომენტისათვის) მოქმედების თავისუფლებას იტოვებდა.

მაგრამ სულ მალე მოიხსნა კონფლიქტის საბაბი—სერანომ, რომელიც ესპანეთს განაგებდა და აინუნშიც არ იყო პრიმის ინტრიგებზე, სამეფოში დაწყებული არეულობის გამო ბახზე გადადო ტახტის დაკავების საკითხი[2]. თავის მხრივ ბისმარკმაც აიღო ხელი კრიზისის გამწვავებაზე, ის დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთში შექმნილი სიტუაცია პრუსიასთან ომის გარეშეც მოუღებდა ბოლოს იმპერატორის რეჟიმს[3].

* * *

მართლაც, ნაპოლეონ III-ის მზე ესვენებოდა და, თუ მისი რეჟიმი არსებობას განაგრძობდა, ეს მხოლოდ ინერციის, უფრო სწორად, მისი ნაშთების წყალობით. მაგრამ იმ ადამიანთა უმრავლესობას, რომელიც მხარს უჭერდა მას, უკვე აღარ სწამდა მისი და მაშინვე გახუდგებოდა, როგორც კი იმპერატორს ბედი უმუხთლებდა.

სამაგიეროდ სულ უფრო ძლიერდებოდა და გავლენას იხვეჭდა ოპოზიციის ბანაკი. დემოკრატები და ლიბერალები ენთუზიაზმით ხვდებოდნენ რესპუბლიკური პარტიის ლიდერთა, მათ შორის მგზნებარე ორატორის ლეონ გამბეტას (1838-1882), გამოსვლებს, მიმართულთ ცეზარისტული მმართველობის წინააღმდეგ.

[1] ლეოპოლდის დიდედა (ბადენის დიდი ჰერცოგის მეუღლე სტეფანია ბოჰარნე-და ნაპოლეონ III-ის დედა (ჰორტენზია ბოჰარნე) ბიძაშვილები იყვნენ.

[2] ესპანეთი იმ პერიოდში (მაისი-ოქტომბერი) მძიმე ვითარებას განიცდიდა რესპუბლიკური და კარლისტური მოძრაობის გამო.

[3] ბისმარკის გაანგარიშებით, თუ იგი ომს გამოუცხადებდა საფრანგეთს, ფრანგი ხალხი ძალაუნებურად დაირაზმებოდა იმპერატორის ირგვლივ და შეეცდებოდა იმპერიის გადარჩენას.

იმპერატორს არც კლერიკალები წყალობდნენ, რომელთა გაუთავებელ პრეტენზიებს მოთმინებიდან გამოჰყავდა იგი. ისინი, განსაკუთრებით იეზუიტები, ყველაფერში ჭყოფდნენ ცხვირს და დაჟინებით მოითხოვდნენ „პაპის უცოდველობისა“ (პაპი არ ცდება!) და საზოგადოებაზე მისი აბსოლუტური ძალაუფლების აღიარებას. „ყველა ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქე უნდა მორჩილებდეს პაპის ნება-სურვილს!“—აცხადებდნენ ისინი, რითაც საფრანგეთის დემოკრატიული ძალების აღშფოთებას იწვევდნენ. მათ გაკვირვებას ისიც იწვევდა, რომ ნაპოლონ III, რომელიც თავის თავს „რევოლუციის პირმშოს“ უწოდებდა, თავისი ჯარით იცავდა ასეთი თეორიების ავტორთ და თვით პაპს.

უკმაყოფილება და იმპერიისადმი სიძულვილი დღითი დღე მატულობდა. ეს 1869 წ. ივნისის არჩევნებმაც დაადასტურა: ოპოზიციის კანდიდატებმა ხმების ნახევარი მიიღეს და საკანონმდებლო კორპუსში ადგილების მესამედი დაიკავეს. ნაპოლეონ III იძულებული გახდა ახალი მინისტრები დანიშნა და აღედგინა პარლამენტური რეჟიმი. მაგრამ ეს ნაბიჯი დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგანაც საღოვასა და მენტანას შემდეგ ოპოზიციას არავითარი თანაგრძნობა არ გააჩნდა იმპერიისადმი. ნაპოლეონ III-ის გარემოცვა შიშმა შეიპყრო. რუერი და ცეზარიზმის ძველი მსახურნი („მამლუქები“) აფრთხილებდნენ მას, რომ იგი უფსკრულისაკენ მიექანებოდა. რას უნდა ეხსნა მისი რეჟიმი? — მხოლოდ და მხოლოდ ომს! იმპერატორი ყოველთვის ფიქრობდა ამ საბედისწერო აუცილებლობაზე და საიდუმლო მოლაპარაკებებით ცდილობდა კოალიციის (ავსტრია-იტალია-საფრანგეთი) შეკოწიწებას. მაგრამ ამ კომბინაციის განხორციელებას ხელს უშლიდა მთავარი ფაქტორი—რომი. ავსტრიელი ბიოსტი იტალიის გარეშე არავითარ შეთანხმებაზე არ მიდიოდა, ვიქტორ-ემანუელ II-ის მთავრობა კი რომს მოითხოვდა. ნაპოლეონ III ვერ შეედავა დადებით პასუხის გაცემას, რის გამოც მოლაპარაკება ჩიხში იქცეოდა.

არც ფრანც-იოზეფს და არც იტალიის მეფეს არ სურდათ, რომ ავანტიურების მოყვარულ იმპერატორს ისინი ომში ჩაეთრია, თანაც სარგებლის გარეშე. 1870 წ. იანვარში პარიზს ეწვია ავსტრიის ჰერცჰერცოგი ალბრეხტი. იგი გაეცნო საფრანგეთის სამხედრო მდგომარეობას და კმაყოფილი დარჩა (საოცარია, რამ დააბრმავა?), არადა იმპერიის შეიარაღებული ძალები აბსოლუტურად ბრძოლისუუნარონი იყვნენ.

ნაპოლეონ III მერყეობდა. მას ნამდვილად ეწადა რომიდან ჯარის გამოყვანა და წმ. ქალაქის იტალიელებისთვის გადაცემა, მაგრამ ვერ შეედავა ამ ნაბიჯის გადადგმას—ამას არც სამეფო კარი (დედოფალი ევგენია ხომ ფანატიკოსი კლერიკალი იყო!) აპატიებდა და არც ულტრამონტანური პარტია. ნაპოლეონ III-ს გააჩნდა თავის გასამართლებული არგუმენტი, რათა პაპისთვის (საერო მონარქისათვის) ზურგი შეექცია. 1869 წლის დეკემბერში მსოფლიო საეკლესიო კრებამ განიხილა „სილაბუსის“ („პაპის უცოდველობის“) დოქტრინა. 1870 წ. იანვარში საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მღვდელმთავრები ცდილობდნენ, რომ პაპის ძალაუფლება ეპოქის სულისთვის მიესადაგებიათ (ისინი უარყოფდნენ „სილაბუსს“) და წინ აღდგომოდნენ ვატიკანის ძალმომრეობას, მაგრამ ამაოდ (ვატიკანთან დავას საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი დარიუ შეეწირა). ტიუილრის სასახლეში განიხილეს ვატიკანთან სოლიდარობაზე ხელის აღებისა და რომიდან ჯარის გამოყვანის პროექტი, მაგრამ ვერ გაბედეს მისი განხორციელება. ნაპოლეონ III-ის მთავრობა იმით შემოიფარგლა, რომ პაპთან ურთიერთობაში მოქმედების სრული თავისუფლება გამოაცხადა (1870 წ. ივნისი). 13 ივლისს საეკ-



ლესიო კრებამ დაამტკიცა პაპის „უცოდველობის“ დოგმატი („სილაბუსი“), რომლის ძალით ვატიკანის მბრძანებელი ეკლესიის აბსოლუტურ მეუფედ გამოცხადდა (მას სამყაროს ნახევარი ეკუთვნოდა.).

* * *

ნაპოლეონ III-ის მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. საპარლამენტო რეჟიმი, რომელიც 2 იანვრის მთავრობამ შემოიღო, კარზე მომდგარი რევოლუციისაგან ვერ იხსნიდა იმპერიას. პარიზსა და დეპარტამენტებში რესპუბლიკელთა გამოსვლები საშიშ სახეს ღებულობდნენ. „ჩვენ მას ბედნიერ სიბერეს ვაჩუქებთ“—თვითდაჯერებით ამბობდა იუსტიციის მინისტრი ემილ ოლივიე, მაგრამ მძიმე სენით შეპყრობილ იმპერატორს აღარც ფიზიკური ენერგია გააჩნდა და აღარც მორალური ძალა. მისი ახლობლები ახლა იმაზე წუხდნენ, თუ რა ელოდათ იმპერატორის უცებ გარდაცვალების შემთხვევაში. ავიდოდა კი ტახტზე მისი 14 წლის მემკვიდრე, რომელიც მთლიანად ესპანელი დედის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა? ეს არ მოხდებოდა, თუ ლიბერალიზმის ნაცვლად 1852 წლის ცეზარისტული დიქტატურა („მათრახი“) არ აღდგებოდა (ამას მოითხოვდნენ რუერი და „მამლუქები“). მაგრამ იმისათვის, რათა ქვეყნისთვის წაერთმიათ გუშინ ბოძებული თავისუფლება, საჭირო იყო ომი და დიდი გამარჯვებით მისი დაბრმავება, გაბრუება მაგრამ არძია რომ არ იყო მზად? მარშალი ლებჲოფი (სამხედრო მინისტრი) კი საპირისპიროს გაიძახოდა — საფრანგეთი მზად, არქიმზად არისო. მარშალს თავისი სიტყვების სჯეროდა, ეს კი ტრაგედია იყო.

საფრანგეთს არც მოკავშირეები ჰყავდა, მაგრამ, „მამლუქების“ ჭკუით, ისინი პირველი გამარჯვების მერე დღესვე გამოჩნდებოდნენ!

საგარეო საქმეთა მინისტრი გრამონი (1812-1880), რომელმაც დარიუ შეცვალა, დარწმუნებული იყო, რომ ფრანგების გამოჩენისთანავე, რაინზე სამხრეთ გერმანული სახელმწიფოები, ავსტრია და იტალია (ის რომს მიიღებდა.) საფრანგეთს მიემხრობოდნენ. მაგრამ, ამ დიდი თამაშის წამოწყებამდე, საჭირო იყო ევროპის დარწმუნება იმაში, რომ იმპერატორი ჯერ კიდევ სარგებლობდა ფრანგი ხალხის მხარდაჭერით. ამ მიზნით მთავრობამ პლებისციტი ჩაატარა კითხვით — სურდათ თუ არა იმპერიის შენარჩუნება იმ სახით, როგორშიც იმყოფება იგი ბოლო რეფორმების შედეგად? ხალხს მთავრობა „განუმარტავდა“, რომ ეს, ერთის მხრივ, არის თავისუფლება, მეორეს მხრივ კი—„უზრუნველყოფილი მშვიდობა“ (სინამდვილეში იგი ომსა და დიქტატურაზე ოცნებობდა). 1870 წ. მაისის პლებისციტმა ხმების უმრავლესობა მთავრობას მისცა. ამ მომენტიდან იგი მხოლოდ საბაბს ეძებდა ომის დასაწყებად.

* * *

ფონ ბისმარკი „დაეხმარა“ „მამლუკებს“ მის პოვნაში: ახლა მასაც სურდა ომი, ამასთან, — დაუყოვნებლივ. მას მოსვენებას უკარგავდა ავსტრია-იტალია-საფრანგეთის დაახლოების პერსპექტივები და სამხრეთგერმანული სახელმწიფოების პარტიკულარიზმი. საჭიროება ტეეტონური პატრიოტიზმის აღტყინებას და „მტრის სატის“ შექმნას მოითხოვდა. მტერი კი აგერ იყო, სამხრეთ საზღვრებთან, რომელიც თავდასხმით ემუქრებოდა ფატერლანდს! ფონ ბისმარკს თადარიგში ძველებურად ჰქონდა შემონახული ომის საბაბი,—ესპანეთის საკითხი, — და მიაჩნდა, რომ დადგა მისგან casus belli-ს შექმნის მომენტი...

1870 წ. დამდეგს ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენმა პრიმს აცნობა, რომ თანახმა იყო გვირგვინის მიღებაზე. ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა მამამისმა, თავადმა ანტონმაც. ბისმარკისაგან დამოძღვრილი ვილჰელმ I ისე მოიქცა, თითქოს ეს მოლაპარაკება მას, როგორც ოჯახის უფროსს, აინტერესებდა და არა პრუსიის მთავრობას, რომელიც ამ შემთხვევაში ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან იქნებოდა დაზღვეული. ბისმარკი პარიზიდან პლებისციტის შედეგებს ელოდა და, როგორც კი შეიტყო ვოტუმის შესახებ, პრიმი ჩართო საქმეში,—შეუთვალა, რომ კორტესებისთვის სასწრაფოდ წარედგინა პრინც ლეოპოლდის კანდიდატურა. 28 ივნისს ვილჰელმ I-მა თავად ანტონს მისწერა, რომ არ იყო წინააღმდეგი მისი შვილის ესპანეთში გამეფებისა. მოხუც მონარქს უკვე აღარ აშინებდა ომის დაწყება, რადგანაც რუსეთის ხელმწიფის თანადგომის გარანტია მიიღო.[1]

ამრიგად, ბისმარკი თვლიდა, რომ გერმანია მზად იყო ომისთვის და მისი საბოლოო გაერთიანების საკითხი ბრძოლის ველზე გადაწყდებოდა.

ხაფანგი, რომელიც მან დაუგო ნაპოლეონ III-ეს, უზადოდ გაკეთებული აღმოჩნდა. როგორც კანცლერი მოელოდა, საფრანგეთის იმპერატორი მისკენ გაშმაგებული და თავაწყვეტილი ულაყივით გაექანა.

* * *

1870 წ. 2 ივლისს მადრიდმა უკვე იცოდა ჰოჰენცოლერნთა კანდიდატურასა და ვილჰელმ I-ის თანხმობაზე. საფრანგეთის ელჩმა ესპანეთში მერსიე დე-ლოსტანდმა პროტესტით მიმართა პრიმს, ხოლო შემდეგ პარიზს შეატყობინა ამ ახალი ამბის შესახებ. ტიულრის სასახლე მღელვარებამ მოიცვა, — საბაბი გამოჩნდა! პარიზმა ინციდენტი უზომოდ გააზვიადა, ხოლო „მამლუქები“ ყველაფერზე წავიდნენ თავიანთი ეგოისტური მიზნების აღსასრულებლად.

4 ივლისს ელჩმა ბენედეტიმ პრუსიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს, ფონ ტილეს (იგი თავის მამულში მყოფ ბისმარკს ცვლიდა.) ახსნა-განმარტებისთვის მიმართა. ამ დიპლომატმა უპასუხა, რომ მას არაფერი ეთქმის, რადგანაც პრუსიის მთავრობისათვის ჰოჰენცოლერნთა პირადი საქმეები არ არსებობს. პასუხი ძალიან კორექტული იყო, მაგრამ მან პარიზი მაინც გააღიზიანა, რამეთუ იქ განსხვავებას ვერ ხედავდნენ მეფე-ვილჰელმსა და ოჯახის მეთაურ-ვილჰელმს შორის. 5 ივლისს ამ მონარქის ელჩი საფრანგეთში, ბარონი ვერტერი, ემსში გაემგზავრა, სადაც ვილჰელმ I მკურნალობდა. ჰერცოგმა გრამონმა კატეგორიულად განუცხადა მას, რომ საფრანგეთი არ დაუშვებდა ესპანეთის ტახტზე პრუსიელი პრინცის ასვლას და დაავალა, ასე გადაეცა თავისი მონარქისათვის.

ეს უკვე სახიფათო თამაშის ძალიან თამამი დაწყება იყო. 6 ივლისს პალატებში გამართულ დებატებს გრამონის ცნობილმა დეკლარაციამ დაუსვა წერტილი. იგი უაღრესად სერიოზულ ხასიათს ატარებდა და მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით: „...ჩვენ ვთვლით, რომ მეზობელი (ესპანელი) ხალხის უფლებათა პატივისცემა არ გვაიძულებს დავუშვათ, რათა უცხოეთის სახელმწიფომ კარლოს V-ის ტახტზე ერთ-ერთი თავისი პრინცის დასმით დაარღვიოს ევროპაში არსებული ძალების წონასწორობა და საშიშროება შეუქ-

[1] კურორტ ემსში ალექსანდრე II-ემ თავისი ბიძა (მეფე ვილჰელმი) დაარწმუნა, რომ, თუ ავსტრია საფრანგეთს დაეხმარებოდა, იგი თავისი არმიით გალიციაში შეიჭრებოდა.



მნას საფრანგეთის ინტერესებსა და ღირსებას[1]. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

ჩვენ გერმანელი ხალხის კეთილგონიერებისა და ესპანელი ხალხის მეგობრობის იმედი გვაქვს, მაგრამ, სხვაგვარად თუ მოხდება, ჩვენ შევძლებთ ჩვენი მოვალეობისა უყოყმანოდ შესრულებას“...

ამრიგად, საფრანგეთის მთავრობამ თავისი მუქარით გერმანიასთან ყოველგვარი მოლაპარაკების გამართვა გამორიცხა. ავსტრიისა და ბრიტანეთის ელჩებმა ტიულრის კაბინეტს შუამავლობა შესთავაზეს, თანაც გრამონს ურჩიეს, რომ უშუალოდ დაკავშირებოდა თავად ანტონს, — იქნებ ამ უკანასკნელის ზემოქმედებით პრინც ლეოპოლდს უარი ეთქვა ესპანეთში გამეფებაზე. საფრანგეთის მინისტრს ხელაღებით არ უარუყვია მათი წინადადება, მაგრამ ახალი შეცდომით კიდევ უფრო დააჩქარა ომი. მან ემსში გაგზავნა ბენედეტი შეთანხმების გამომრიცხავი ინსტრუქციებით. მინისტრის დავალებით ამ დიპლომატს მეფე ვილჰელმისათვის უნდა შეეთავაზებინა გაუგონარი რამ: რჩევის ნაცვლად ებრძანებინა ლეოპოლდისთვის, მოეხსნა თავისი კანდიდატურა! გრძნობა უარს ელოდა, რაც ხელს აძლევდა „მამლუქებს“.

9 ივლისს პრუსიის მეფემ მიიღო ბენედეტი. იმ მომენტში მოხუც მონარქს ნამდვილად არ სურდა ომი, რადგანაც გაუთვალისწინებელი შედეგები აშფოთებდნენ. მისი პასუხი ზომიერი იყო. მან ელჩს განუცხადა, რომ პრუსიის მთავრობა ამ კრიზისში სუფთაა, ხოლო მისი ჩარევა პირადულია და გამოიხატება იმაში, რომ მან არ აუკრძალა თავად ანტონს,—მიეღო შვილისთვის შემოთავაზებული ტახტი. ბოლოს მან დასძინა, რომ, თუ პრინცი უარს იტყვის ესპანეთის ტახტზე, იგი მოიწონებს მის საქციელს. მეფემ ბენედეტის ისიც აუწყა, რომ კითხვით მიმართა თავად ანტონს და ელის მის პასუხს. ელჩს უნდა ევარაუდა, რომ პრუსიის მონარქი დათმობისკენ მოუწოდებდა თავის ნათესავს.

ზუსტად იმ დროს პრიმმა, ინგლისის, იტალიისა და ავსტრიის მთავრობათა ჩაგონებით, თავად თხოვა მამა-შვილს,—მოეხსნათ კანდიდატურა (9-10 ივლისი). მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მიიღებდნენ ასეთ გადაწყვეტილებას და ევროპაც შვებით ამოისუნთქავდა.

მაგრამ ტიუილრის სასახლე ძველებურად აგრძელებდა პროვოკაციულ კურსს. ბენედეტი პარიზიდან დეპეშას დეპეშაზე ღებულობდა, რომლებშიც მისგან ენერგიულ მოქმედებას მოითხოვდნენ. 10 ივლისს ვილჰელმ I-მა იგივე გაუმეორა ელჩს, რაც წინადღით უთხრა,—თავად ანტონისგან პასუხი არ მიღია და, როგორც კი მივიღებ, გაცნობებთო. მან საფრანგეთის მთავრობას მოთმინებისკენ მოუწოდა, თან ბენედეტი გააფრთხილა, რომ პარიზში თავაშვებული მილიტარისტული ფსიქოზის გამო იგი ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები.

იმ მომენტში ბისმარკი ბერლინში იმყოფებოდა და ყველაფერს აკეთებდა ომის ღმერთების საამებლად, მაგრამ 12 ივლისს ორივე მხარის „მამლუქებს“ ლამის ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში: თავადმა ანტონმა ესპანეთს აუწყა, რომ უარს ამბობს მისი შვილის გამეფებაზე. გახარებულმა ოლივიემ ამის შესახებ პალატებს აცნობა, მაგრამ ომის მომხრეებმა თავისი გაიტანეს,—მათი ზეწოლით გრამონმა პარიზში დაბრუნებულ ფონ ვერტერს განუცხადა, რომ საფრანგეთს უფრო მეტი გარანტია ჭირდებოდა. მან მოთხოვა,—ვილჰელმ I-ს

[1] 1516 წ. ესპანეთის ტახტზე ასულ კარლოს I საკუთრივ ესპანეთის გარდა ფლობდა მილანოს, ნეაპოლს, სარდინიას, სიცილიას, კოლონიებს ამერიკაში, ჰაბსბურგთა მიწებს გერმანიაში, ნიდერლანდებში. 1512 წ. ის კარლოს V-ის სახელით გერმანიის იმპერატორიც იყო.

ბოდიში მოეხადა ნაპოლეონ III-ისათვის და ელიარებინა, რომ იწონებდა ლეოპოლდის უარს. ბუნებრივია, პრუსიის ელჩმა უარყო ასეთი თავხედური ულტიმატუმი. მაშინ გრამონმა ბენედეტის უბრძანა,—შეხვედროდა ვილჰელმ I-ს და კატეგორიულად მოეთხოვა მისგან დაპირება იმის შესახებ, რომ პრუსიის მეფე არც მომავალში დაუშვებდა ჰოჰენცოლერნების წარმომადგენლის გამეფებას ესპანეთში. ასეთი ულტიმატუმი მონარქის ღირსების აბუჩად აგდებაც იყო და ომის გაძოცხადებაც.

13 ივლისს ბენედეტი სასეირნოდ გამოსულ ვილჰელმ I-ს შეხვდა და მათ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

**მეფე:** ზიგმარინგენიდან პასუხს ველოდები, იგი გზაშია და მიღებისთანავე გაგაცნობთ მის შინაარსს.

**ელჩი:** დიახ, მაგრამ...

**მეფე:** პასუხის შინაარსი შეგიძლიათ უდაპეშოთ პარიზს, გაზეთებმა უკვე გამოაქვეყნეს ცნობა თავად ანტონის უარზე და თქვენს მთავრობას შეუძლია მშვიდად იყოს.

**ელჩი:** კარგია, მაგრამ მამის უარი არ ნიშნავს შვილის უარს. ნება მომეცით, ვაცნობო პარიზს, რომ თქვენ მომავალშიც ათქმევინებთ პრინცს უარს.

**მეფე** (მკაცრი ტონით)! მე განსაკუთრებულ (ცალკეულ) შემთხვევაში შესაბამისად ვმსჯელობ!

ამ ნოტაზე დამთავრდა მათი საუბარი, რომელიც, მონარქის დაპირებით, ნამუადღევს უნდა განახლებულიყო. ამ შუალედში ვილჰელმ I-მა, როგორც იქნა, მიიღო თავად ანტონის პასუხი (ოფიციალური უარი), მაგრამ, შეიტყო რა ვერტერის პარიზში დამცირებასა და გერმანიის აღშფოთებაზე (გერმანელთა დიდი უმრავლესობა ომს მოითხოვდა.), გრაფ ელენბურგის! რჩევით ადიუტანტი (თავადი რაძივილი) გაუგზავნა ბენედეტის და აცნობა, რომ იგი, პრუსიის მეფე, უერთდება პრინცის უარს და ნებას აძლევს ელჩს,—საფრანგეთის პრესაში გამოაქვეყნოს თავად ანტონის წერილის შინაარსი. რაც შეეხება დიალოგის გაგრძელებას, მონარქი მას ზედმეტად თვლის და უარს აცხადებს **ბენედეტის მიღებაზე** (ელენბურგის ჩაგონებით, რა თქმა უნდა.).

მეორე დღეს (14 ივლისი) ვილჰელმ I ემსიდან მიემგზავრებოდა. ბენედეტი მას სადგურზე გამოეთხოვა და დაუინებით მოთხოვა მომავლის გარანტია, მაგრამ მეფემ უპასუხა, რომ ახალს ვერაფერს შეპირდებოდა. იგი თბილად დაემშვიდობა საფრანგეთის ელჩს და აღუთქვა, რომ მასთან დიალოგს ბერლინში გააგრძელებდა, ხოლო საკითხს მათი მთავრობები გადაწყვეტდნენ.

ასე დასრულდა ემსის შეხვედრები და, მათ შედეგები ბოროტად რომ არ გამოეყენებინათ ბისმარკსა და ნაპოლეონ III-ეს, მარსი ვერ იზეიმებდა.

იმ დღეს, როდესაც ბენედეტი ვილჰელმ I-ს ეთხოვებოდა, მთავრობის სხდომაზე ნაპოლეონის მინისტრებმა ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიაღწიეს. გრამონი და მარშალი ლებოფი ომის დაჩქარებას მოითხოვდნენ. მიუხედავად ავსტრიის განდგომისა (ვენამ გადაჭრით აცნობა პარიზს, რომ, თუ იგი ომს გამოაცხადებდა, ავსტრიის იმედი ნუ ექნებოდა), „მამლუქებმა“ ბერლინზე ლაშქრობისაკენ მოუწოდეს ქვეყანას.

* * *

გრაფი ფონ ბისმარკი თავის სტუმრებთან, სამხედრო მინისტრ ფონ როონთან და გენშტაბის უფროს ფონ მოლტკესთან ერთად მოუთმენლად ელოდა ცნობებს ემსიდან. სამივე მინისტრი სუფრას უსხდა, მაგრამ მასპინძელს ლუკმა

[1] ფონ ელენბურგი, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯაშუშად მიუჩინა ბისმარკმა თავის მონარქს.



არ გადაღიოდა ყელში, რადგან სულ იმის შიში ჰქონდა, მისი მეფე შერიგებაზე არ წასულიყო.

მათ ნერვიულ განწყობილებას ემსიდან გამოგზავნილმა დეპეშამ დაუსვა წერტილი. დეპეშაში მთელი სიზუსტით იყო ფიქსირებული ის ამბები, რომლებიც აღგილი ჰქონდათ კურორტზე. ფონ ბისმარკმა გასუსულ მეგობრებს მკაცრად ჰკითხა, იყო თუ არა გერმანიის არმია მზად ომისთვის? დადებითი პასუხის მიღებისთანავე კანცლერი სხვა მაგიდას მიუჯდა და ჩვეული ოსტატობით დაამახინჯა დეპეშის შინაარსი: იგი შეამცირა და მასში მთავარი ყურადღება გაამახვილა საფრანგეთის ულტიმატუმსა და ვილჰელმ I-ის უარზე,—მიეღო ნაპოლეონ III-ის ელჩი! ფონ მოლტკეს ისე მოეწონა ბისმარკისეული ტექსტი, რომ სიხარულით შეჰყვირა: „წეღან ეს (ემსის დეპეშა — ავტ.) უკან დახევის სიგნალს ჰგავდა, ახლა კი ისე ჟღერს; როგორც შეტევის ბუკი და ნაღარა!“ ბისმარკმა გენერლის ნათქვამს დაურთო, დე, ყველაფერი ღმერთმა და რკინა-კეთილმა გადაწყვიტოსო.

14 ივლისს ფალსიფიცირებული ტექსტი გერმანიის გაზეთებში გამოქვეყნდა. პარიზი შეიშალა და ისე განრისხდა, როგორც „ხარი წითელი ქსოვილისაგან“ (ბისმარკი მატადორის მულეტას გულისხმობდა, როცა იმ ამბებზე წერდა მემუარებში.). გრამონი აყვირდა, ჩვენი ელჩი მსახურივით გამოაგდეს და არვის ვაპატიებთ ასეთ შეურაცხოფასო.

იმავე დღეს ფონ ვერტერმა დატოვა პარიზი. 16 ივლისს საკანონმდებლო კრებამ, მიუხედავად ტიერის ვედრებისა, დაამტკიცა სამხედრო კრედიტები. ასე მოიქცა ჩრდილოგერმანული რაიხსტაგიც, რომელმაც მხარი დაუჭირა ვილჰელმ I-ის მოწოდებას (ის ფიცს უფრო ჰგავდა.) იმის თაობაზე, რომ გერმანელი ხალხი მამა-პაპათა მსგავსად იბრძოლებდა თავისუფლებისათვის. 19 ივლისს ნაპოლეონ III-ის მთავრობამ ომი გამოუცხადა პრუსიას და არ სჯეროდა, რომ ამით მთელი გერმანია გამოიწვია. მოხდა პირიქით: 16-22 ივლისს სამხრეთგერმანულმა კავშირმა მობილიზაცია გამოაცხადა და თავისი ჯარები პრუსიის კრონ-პრინცს, ფრიდრიხ-ვილჰელმს დაუქვემდებარა. ამის გამო ფრანგებმა შეცვალეს საომარი კამპანიის გეგმა[1], რამაც არმიაში ქაოსი, ფრონტებზე დამარცხებები და, საბოლოო ჯამში, იმპერიის კრახი გამოიწვია.

## ბიბლიოგრაფია


1. О. Бисмарк. Мысли и воспоминания. В 3 т., М., 1940-1941. Т. 1-3.
2. Д. Гарибальди, Мемуары. М., 1966.
3. Талейран. Мемуары. М., 1966.
4. Внешняя политика России XIX и начала XX в.: Серия II.: 1815-1830 гг. М., 1974-1982, т. IX-XII.
5. А. Дебидур. Дипломатическая история Европы. Т. I-II, М., 1947.
6. История дипломатии. Т. I, М., 1964.
7. История XIX века (Лависс и Рамбо), Т. 3, 4, 5, 6, 7.


[1] სარდლობამ დუნაის ნაცვლად საარისა და მოზელისაკენ გადაისროლა მთელი ძალები, რითაც ძვირფასი დრო დაკარგა.

# I ინტერნაციონალი 1864-1869 წლებში

## მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დაარსების წინამძღვრები

I ინტერნაციონალის სახელით ისტორიაში შევიდა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა. მის წინამორბედად სამართლიანად ითვლება კომუნისტთა კავშირი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა 40-იანი წლების რევოლუციურ მოძრაობაში. კომუნისტთა კავშირი რევოლუციონერთა ვიწრო წრეს წარმოადგენდა და, ბუნებრივია, იგი ვერ შეასრულებდა პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციის როლს, თანაც, 1848-1849 წ. წ. რევოლუციების ჩახშობამ, „კომუნიზმის აჩრდილის“ სასტიკმა დევნამ, რეპრესიებმა და თვით კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში (ცკ) გაჩაღებულმა ფრაქციულმა ბრძოლამ თვითლიკვიდაციამდე მიიყვანეს იგი[1] (1852 წ. 17 ნოემბერი).

გავიდა 12 წელი და ევროპაში ჩამოყალიბებულმა ობიექტურმა პირობებმა ხელი შეუწყვეს მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას.

ჯერ ერთი, — XIX ს. 60-იანი წლებიდან, როგორც იქნა, დაიმსხვრა რეაქციის უინული;

მეორე,—კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისა და მრეწველობის არნახული განვითარების პარალელურად იზრდებოდა მუშათა რიცხვი, მაღლდებოდა მათი თვითშეგნების დონე და რევოლუციური იდეებით დაინტერესება;

მესამე,—ევროპასა და აშშ-ში აღმოცენებულ მუშათა ორგანიზაციებს გააჩნდათ თავიანთი კლასობრივი მიზნები და ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის მოძრაობებში;

მეოთხე,—თვით მუშებში გაძლიერდა ინტერნაციონალური კავშირების დამყარების, ურთიერთდახმარების, გამოცდილებათა გაზიარებისა და შეთანხმებული მოქმედების ტენდენციები.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯები ლონდონის სამრეწველო გამოფენაზე გადაიდგა, სადაც ბრიტანელი მუშები ფრანგ, გერმანელ, იტალიელ, ბელგიელ და პოლონელ კლასობრივ ძმებს მასპინძლობდნენ (1862). პოლონეთის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად გამართული მიტინგის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა შექმნეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამფუძნებელი კრების მოწვევა უნდა მოემზადებინა. კომიტეტის წევრებმა ლონდონში მცხოვრებ კ. მარქსს დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს. კ. მარქსი, რომელიც იმ დროს „კაპიტალზე“ მუშაობით იყო დაკავებული, ხალისით დათანხმდა მიწვევას, თან მოითხოვა, რომ იგი გერმანელი მუშების წარმომადგენლად ეცნოთ.

ასე ჩაეყარა საფუძველი I ინტერნაციონალის დაარსებას.

[1] გერმანიაში რევოლუციის დამარცხების შემდეგ კ. მარქსის მომხრეებს დაუპირისპირდა ვილიხ-შაპერის ფრაქცია. თუ პირველნი მომავალ რევოლუციას შორეულ პერსპექტივაში ხედავდნენ და დაქსაქსული ძალების მობილიზაციის მოწოდებით გამოდიოდნენ, მათი ოპონენტები შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ, რაც მარქსისტებს ავანტიურად მიაჩნდათ. ცკ-ში გაუთავებელი და უაზრო დისკუსიების გამო კომუნისტთა კავშირი დაიშალა.





1864 წ. 28 სექტემბერს, ლონდონის სენტ-მარტინს-ჰოლში შედგა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამფუძნებელი კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ინგლისის, ირლანდიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიისა და პოლონეთის პროლეტარიატის დელეგატები. კრებამ მიიღო რეზოლუცია მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის (ინტერნაციონალის) დაარსებაზე. მისი გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ მარქსისტები, მაძინისტები, პრუდონისტები, ტრედ-უნიონისტები, სულ 30 კაცზე მეტი. კომიტეტს ამხანაგობის წესდების შემუშავება და პირველი კონგრესის მომზადება დაევალა. ხელმძღვანელ კომიტეტში, ანუ ცენტრალურ საბჭოში, რომელსაც შემდგომში გენერალური საბჭო ეწოდა, კ. მარქსიც აირჩიეს. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშათა დელეგატებს შორის და სწორედ მას მიანდეს ინტერნაციონალის პროგრამული დოკუმენტების შემუშავება. მან ჩვეული სიღინჯით, ტაქტითა და პრინციპული მიდგომით დაწერა „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის“ დამფუძნებელი მანიფესტი“ და „ამხანაგობის დროებითი წესდების“ შესავალი, — საპროგრამო ნაწილი. არ ღალატობდა რა კომუნისტურ პრინციპებს, კარლ მარქსი თეორიულად ასაბუთებდა, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა ბრძოლით“ და „პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შედეგად მიიღწეოდა“. „დამფუძნებელ მანიფესტში“ კ. მარქსმა კვლავ მიმართა კომუნისტთა ოდინდელ ლოზუნგს—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„დროებითმა წესდებამ“ ინტერნაციონალის კარები გაუღო პროლეტარულ მასებს, თუმცა ერთის პირობით,—ყველას უნდა ეღიარებინა მისი პროგრამა. მუშები ამხანაგობაში მიიღებოდნენ ინდივიდუალურად და კოლექტიურად. „წესდება“ მკაცრად იცავდა ინტერნაციონალის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებს, ამასთან ფართო უფლებებს ანიჭებდა ადგილობრივ ორგანიზაციებსაც. ეს უკანასკნელნი ერთიანდებოდნენ ქვეყნების ეროვნულ კავშირებში (მოგვიანებით მათ ფედერაციები ეწოდათ), ან სექციებში, რომლებსაც ეროვნული ცენტრები (ფედერაციული საბჭოები) უხელმძღვანელებდნენ. ამხანაგობის უმაღლეს ორგანოდ ცხადდებოდა კონგრესი, ხოლო კონგრესებს შორის მათ მიერ არჩეული ცენტრალური საბჭო, რომელსაც ჰქონდა კოოპტაციის (ახალი წევრების მიღების და სხვ.) უფლება. ამხანაგობის ყველა ორგანო და თანამდებობის პირი არჩევითი და ანგარიშვალდებული იყო.

1864 წ. 1 ნოემბერს საბჭომ ერთხმად მოიწონა კ. მარქსის მიერ დაწერილი დოკუმენტები.

მისივე ინიციატივით საბჭომ ინტერნაციონალის კარები დაუხშო ბურჟუაზიულ მოღვაწეებს და ამით საბოლოოდ განსაზღვრა ამხანაგობის კლასობრივი, პროლეტარული ხასიათი.

კ. მარქსი რეგულარულად ესწრებოდა ცენტრალური საბჭოს სხდომებს და თავისი წვლილი შეჰქონდა მის მოღვაწეობაში. საბჭოს სტრუქტურა ასეთი იყო: თავმჯდომარე (ეს თანამდებობა 1867 წ. გაუქმდა), გენერალური მდივანი და მდივან-კორესპონდენტები ქვეყნების მიხედვით (ისინი ხელფასს არ იღებდნენ.). ცენტრალურმა საბჭომ შექმნა მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ცენტრალური საბჭოს თანამდებობრივი პირები. კ. მარქსი, როგორც გერმანელ მუშათა მდივან-კორესპონდენტი, თავისი მომხრეების თანადგომით პროპაგანდას უწევდა კომუნისტურ იდეებს და ცდილობდა ინტერნაციონალის პრინციპების დაცვას მაძინისტების, პრუდონისტების, ლასალია-

ნელებისა და რეფორმისტების (ინგლისელ ტრედ-უნიონისტელთა) შემოტევისაგან. მას რეგულარული მიმოწერა ჰქონდა ყველა ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებთან და მისი მოღვაწეობის შედეგად ინტერნაციონალმა ფესვები გაიდგა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამხანაგობა დახმარებას უწევდა საგაფიცვო მოძრაობას, ბრიტანელი მუშების ბრძოლას საარჩევნო რეფორმისათვის, ესალმებოდა ა. ლინკოლნის პროგრესულ მოღვაწეობას, ფრანგი მუშების ანტიბონაპარტისტულ ოპოზიციას, პოლონელებისა და ირლანდიელების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს.

## I. ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესი (1866)

1865 წ. 25-29 სექტემბერს ლონდონში გაიმართა I ინტერნაციონალის კონფერენცია. მან შეაჯამა ინტერნაციონალის მოღვაწეობა, მისი წარმატებები და მოამზადა პირველი კონგრესის დღის წესრიგი. კონფერენციის მუშაობის ჟამს ფრანგმა პრუდონისტებმა კატეგორიულად მოითხოვეს დღის წესრიგიდან მოეხსნათ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამხანაგობა მხოლოდ სოციალური პრობლემების განხილვას უნდა ჯერდებოდესო, მაგრამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით უარყოფილ იქნა მათი ნიჰილიზმი ეროვნულ საკითხებში.

ჟენევის კონგრესი შეიკრიბა 1866 წ. 3-8 სექტემბერს. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღო კ. მარქსმა („კაპიტალზე“ მუშაობდა), თუმცა რამდენიმე ინსტრუქცია და რეზოლუციის პროექტი მაინც გაუგზავნა ცენტრალურ საბჭოს. კონგრესმა საერთაშორისო პროლეტარიატს კაპიტალის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა და ურჩია გამოეყენებინა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საშუალებები. კონგრესმა დღის წესრიგში დააყენა მოთხოვნები 8-საათიანი სამუშაო დღისა და პოლიტექნიკური სწავლების შემოღებაზე, ბავშვისა და ქალის შრომის დაცვისა და არმიის შეიარაღებული ხალხით შეცვლის შესახებ. აღიარა რა კოოპერაციული მოძრაობის მნიშვნელობა, კონგრესმა ამასთან მიუთითა, რომ კოოპერაციას თავისთავად არ შეეძლო კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა და იგი მაშინ მიაღწევდა მიზანს, თუ ძალაუფლება მწარმოებელთა ხელში გადავიდოდა.

კონგრესმა, აგრეთვე, აღნიშნა პროფკავშირების, როგორც ეკონომიკურ ბრძოლაში მუშათა ორგანიზაციების, მნიშვნელობაზე, მაგრამ მათ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმისკენაც მოუწოდა. ინტერნაციონალის I-მა ყრილობამ დაამტკიცა „ამხანაგობის დროებითი წესდება“ და მომავალი კონგრესისთვის მოემზადა.

## ლოზანა, ინტერნაციონალის მეორე კონგრესი (1867)

ინტერნაციონალის მეორე კონგრესი გაიმართა ლოზანაში 1867 წ. 2-8 სექტემბერს. მას ესწრებოდა 6 ქვეყნის 60-ზე მეტი დელეგატი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ინტერნაციონალის საერთო ხელმძღვანელ ცენტრად გადაქცევა და მუშათა საზოგადოებების ფულადი ფონდების სწორი გამოყენება. ცდილობდა რა ამ ორი საკითხით დღის წესრიგის შემოფარგლას, მარქსი გენერალურ საბჭოს მოუწოდებდა, რომ მთავარი ყურადღება გაემახვილებინა ორგანიზაციის პრაქტიკულ საკითხებზე და არ დაეშვა პრუდონისტების მხრიდან კონგრესის



საღისკუსიო კლუბად გადაქცევა. კ. მარქსის შიში გამართლდა,—პრუდონისტებმა კონგრესს თავს მოახვიეს ისეთი საკითხები, როგორიცაა სახალხო განათლება, სახელმწიფოს ფუნქციები და სხვა. მათ სცადეს შეეცვალათ გენ. საბჭოს შემადგენლობა, მისი არჩევის წესები, მაგრამ ვერ შეძლეს სრული გამარჯვების მოპოვება.

## ბრიუსელის კონგრესი (1868)

ინტერნაციონალის მესამე კონგრესი შედგა ბრიუსელში 1868 წ. 6-13 სექტემბერს, მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციის დევნის პერიოდში. მიუხედავად რეპრესიებისა, მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა დელეგატმა ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან, ბელგიიდან და ესპანეთიდან. კონგრესს დიდი დახმარება აღმოუჩინა კ. მარქსმა, რომელმაც დაწერა გენერალური საბჭოს წლიური ანგარიში და შეადგინა გადაწყვეტილებათა პროექტები. კონგრესზე მრავალმა დელეგატმა საფრანგეთიდან და ბელგიიდან დაგმო პრუდონიზმი და მათი მოთხოვნით უარყოფილ იქნა წინა კონგრესის პრუდონისტული რეზოლუციები კრედიტზე, კოოპერაციასა და სახელმწიფოზე (პრუდონისტები მას კლასებს ზემოთ მდგომ ინსტიტუტად თვლიდნენ). კონგრესმა სამოქმედოდ მიიღო ჟენევის კონგრესის გადაწყვეტილებები გაფიცვების, პროფესიული კავშირების შექმნისა და 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნათა შესახებ. ბრიუსელის ყრილობამ პირველად დააყენა საკითხი სახელმწიფოს საკუთრებაში რკინიგზების, შახტების, ტყეების, მიწების გადაცემის თაობაზე, მიიღო რეზოლუცია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო და კოლექტიური შრომის უპირატესობის შესახებ და სხვ.

კონგრესმა ამხილა ომის გამჩაღებლები და მოუწოდა მშრომელებს ებრძოლათ საფრანგეთისა და პრუსიის მილიტარისტული წრეების წინააღმდეგ. მან მოიწონა ბელგიის დელეგაციის წინადადება, — ომისათვის საყოველთაო გაფიცვით ეპასუხათ.

## მარქსიზმის ბრძოლა ბაკუნიზმის წინააღმდეგ

XIX ს. 60-იანი წლების დასასრულისათვის მარქსიზმმა შეძლო პრუდონიზმისა და ლასალიანობის პოზიციების შერყევა მუშათა მოძრაობაში. 1867 წ. 9 აგვისტოს ქ. აიზენახში დაარსდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელიც ინტერნაციონალს შეუერთდა. მაგრამ იმავე წლებში მარქსიზმს ახალი და მეტად სერიოზული მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ბაკუნიზმის სახით. ეს წვრილბურჟუაზიული, ანარქო-სინდიკალისტური სოციალიზმი, რომლის აღმოცენება და გავრცელება უშუალოდაა დაკავშირებული რუსი რევოლუციონერ-ემიგრანტის მ. ა. ბაკუნინის სახელთან, წარმოადგენდა ეკლექტიკურ მოძღვრებას. მასში ადგილი ჰპოვა პრუდონისტულმა პოლიტიკური ბრძოლის უარყოფამ და გაღატაკებული, დეკლასირებული მასების (უმეტესწილად ხელოსნების) მეამბოხე რევოლუციონრობამ. ბაკუნინი და მისი მიმდევრები, — იტალიელი, ესპანელი და შვეიცარიელი ლუმპენ-პროლეტარიატის იდეოლოგები,—უარყოფდნენ ყოველგვარ სახელმწიფოს (სოციალისტურსაც), როგორც ძალადობის იარაღს, ორგანიზებულ აჯანყებას (მათთვის მთავარი იყო ამბოხება, ანუ „პირდაპირი მოქმედებით“ პოლიტიკური სისტემის მოსპობა.) და მხარს უჭერდნენ პოლიტიკური ანარქიის, ანუ „ლიბერტალური კომუნიზმის“ დამყარების იდეას.

1868 წ. ბაკუნინმა ჟენევაში დააარსა საერთაშორისო ხასიათის „სოციალისტური დემოკრატიის ალიანსი“ და ცდილობდა მის შეყვანას ინტერნაციონალში. ის იმედოვნებდა, რომ ამ გზით უმრავლესობას მოიპოვებდა გენერალურ საბჭოში და სათავეში მოექცეოდა მუშათა საერთაშორისო ამხანაგობას. მაგრამ მარქსისტემა, მიუხედნენ რა განზრახვას, არ დააკმაყოფილეს „ალიანსის“ თხოვნა იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციას და თავისი სტრუქტურით ინტერნაციონალის ასლი იყო. კ. მარქსმა გენერალური საბჭოს სახელით „ალიანსის“ ცენტრალურ ბიუროს მიუთითა, რომ თვითდაშლის შემთხვევაში მის სექციებს შეეძლოთ ინტერნაციონალში შესვლა. ბაკუნინმა ოფიციალურად გამოაცხადა „ალიანსის“ დაშლის შესახებ და თავის მიმდევრებს ინტერნაციონალის სექციებში შესვლისაკენ მოუწოდა, მაგრამ მან თავისი ორგანიზაცია ფარული ალიანსის სახით მაინც შეინარჩუნა. იგი სპეციალურად აყალბებდა თავისი მიმდევრების რაოდენობას და ცდილობდა მეტი დელეგაცები გაეგზავნა ბაზელის კონგრესზე. ბაკუნინის კარნახით ანარქისტები ყველაფერს აკეთებდნენ ინტერნაციონალის გენერალური საბჭოსა და მარქსისტების ავტორიტეტის დასაცრძად.

## ბაზელის კონგრესი (1869)

ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი გაიმართა 1869 წ. სექტემბერში. ყრილობამ მოიწონა კ. მარქსის მიერ შედგენილი გენერალური საბჭოს ანგარიში. კონგრესმა მიწის საკუთრების საკითხის შესახებ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებას შეუძლია მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მისი საზოგადოებრივ საკუთრებაში გადაცემა. დელეგატები ასაბუთებდნენ მსხვილი, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას წვრილგლეხურთან შედარებით და აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარული რევოლუცია დახმარებას აღმოუჩენდა გლეხობას აგრარული საკითხების გადაჭრაში (იოლი წარმოსადგენია, როგორი ირონიული ღიმილით შეხვდებოდნენ ამ დასაბუთებას ინგლისელი და ამერიკელი ფერმერები (გერმანელი გროსბაურებიც). მეორე საკითხი, რომელმაც დიდი დისკუსია გამოიწვია, ეხებოდა მემკვიდრეობის უფლების გაუქმებას. ბაკუნისტები, ცდილობდნენ რა ქულების მოგროვებას, საერთოდ ილაშქრებდნენ მემკვიდრეობის უფლების წინააღმდეგ, უფლებისა, რომელიც კაპიტალიზმის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. კ. მარქსმა, ბაკუნისტებისაგან განსხვავებით, მოამზადა „გენერალური საბჭოს მოხსენება მემკვიდრეობის უფლებებზე“, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „როგორც ყველა უფლება, კანონები მემკვიდრეობის შესახებ არის არა მიზეზი, არამედ შედეგი იმ საზოგადოებრივი წყობილებისა, რომლის არსებობა მთლიანად ემყარება კერძო საკუთრებას მიწაზე და წარმოების საშუალებებზე. ამიტომ მუშათა კლასი უნდა ებრძოდეს ეკონომიკურ ბაზისს და არა მის ზედნაშენს. სოციალური რევოლუციის ამოსავალ წერტილად მემკვიდრეობის უფლების გაუქმების მიჩნევა ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასი ჩამოვაცილოთ თანამედროვე საზოგადოების დამხობისათვის ბრძოლას“.

ბაკუნისტები დამარცხდნენ, მაგრამ არც მარქსისტებს მიუღიათ ხმების უმრავლესობა. დელეგატთა უმეტესობამ აზრი გამოთქვა გენერალური საბჭოს უფლებათა გაფართოების თაობაზე სექციებთან ურთიერთობის საკითხებში.

ბაკუნისტებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, რადგანაც იმედოვნებდნენ გენსაბჭოს არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვებას, მაგრამ კონგრესმა, მოიწონა რა „გენერალური საბჭოს ანგარიში“, იგი წინა შემადგენლობით გადაირჩია.

ბაზელის კონგრესის შემდეგ ბაკუნინი იგი შედარებით ჩამორჩენილ, „ხელოსნურ“ ქვეყნებში (ესპანეთი, პორტუგალია, შვეიცარია, იტალია) ქმნიდა ანარქისტულ ორგანიზაციებს და ჩიხში აქცევდა ახლადშობილ მუშათა პარტიების მოღვაწეობას.

ბრძოლამ მარქსის მიმდევრებსა და ბაკუნისტს შორის ისეთი მძაფრი ხასიათი მიიღო, რომ გენერალურმა საბჭომ ინტერნაციონალიდან გარიცხა ბაკუნისტები (1869).

აი, ასეთი დაძაბული სიტუაციით მიადგა I ინტერნაციონალი და მუშათა საერთაშორისო მოძრაობა 1870 წელს, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა ევროპის სახელმწიფოების ახალი დროის ისტორიაში.

## ბიბლიოგრაფია


1. К. Маркс. Учредительный манифест Международного Товарищества Рабочих. К. Маркс и ф. Энгельс. Соч., 2-ое изд., т. 16.
2. Эго же, Временный устав Товарищества (იქვე).
3. Первый Интернационал в документах. М., 1934.
4. К. Маркс. Биография. М., 1968.
5. Первый интернационал: 1864-1870, М., 1964, ч. 1.
6. Ф. Энгельс: Биография. М., 1970.

## გ ო ლ ო თ ქ მ ა

ახალი სახელმძღვანელოს გამოჩენას ყველაზე მოუთმენლად ელის მისი აღმატებულება ს ტ უ დ ე ნ ტ ი, იგი მას ჰაერივით სჭირდება და თავადაა მისი ავ-კარგის პირუთვნელი მსაჯული.

წარმოდგენილი ლექციების კურსის გამოცემა (კიდევ ერთხელ მოვახსენებთ დიდ მადლობას ბ-ნ მიხეილ რეხვიაშვილს თახადგომისთვის!) სწორედ სტუდენტთა დაკვირვებულ თხოვნას მოჰყვა და გვწამს, რომ ნაწილობრივ მაინც გავაცართლეთ ძათი იმედები.

საკუთრივ წიგნისა და ზოგადად ახალი ისტორიის სწავლების თაობაზე გვაქვს რამდენიმე მოსაზრება:

1. დღემდე „მოქმედი" სახელმძღვანელოებისგან (მხედველობაში გვაქვს რუსული გამოცემების „ახალი ისტორიის" პირველი პერიოდი) განსხვავებით ევროპის (და დიპლომატიის) ისტორია ქრონოლოგიურად დაყოფის გარეშე წარმოვადგინეთ (მაგ.: „საფრანგეთი 1815-1870 წლებში" და ა. შ.), რაც, ჩვენის აზრით, სტუდენტს ყურადღების კონცენტრაციასა და საკითხების უკეთ გაანალიზებაში დაეხმარება. მართებულად მიგვაჩნია, აგრეთვე, ყოველი თემის დასრულება გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითებით.

2. წიგნში ხშირია ერთი და იგივე მოვლენის განმეორება სხვადასხვა ქვეყნის „თავვადასავალში". მაგრამ, როგორ აღინიშნოს „კენტად" ფაქტი, რომელმაც ერთდროულად გადამწყვეტი როლი ითამაშა რამდენიმე სახელმწიფოს ცხოვრებაში (განა შეიძლება საღვასთან ბრძოლის ერთგზის ხსენებით ავსტრიის, პრუსიის, იტალიის და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მსჯელობა?)?

3. შეიძლება გვისაყვედურონ, რომ წიგნში არ არის გაშუქებული რუსეთის ისტორია და „დიდი" ქვეყნების სულიერი სამაყოს მიღწევები. თავს იმით ვიმართლებთ, რომ ისტორიის ფაკულტეტებზე სპეციალური საათები აქვს დათმობილი საქართველოს მეზობელი ხალხებისა და საზღვარგარეთის კულტურის ისტორიის საკითხებს, ამასთან, „საერთაშორისო ურთიერთობებში" საკმარისადაა დახასიათებული რომანოვების იმპერიის საგარეო პოლიტიკა.

4. პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, სპეციალისტებს ახალი ისტორიის სამ პერიოდად დაყოფისა და სემესტრების მიხედვით მათი განაწილების ახლებურ ვარიანტს ვთავაზობთ:

— პირველი პერიოდი „ჩაისვას" XVIII ს. 40-იან—1815 წლებსა და V სემესტრში;
— მეორე პერიოდი 1815-1870 წლებსა და VI სემესტრში;
— მესამე პერიოდი (1870-1918) — VII სემესტრში.

ჩვენებური ვარიანტის საფუძვლად (არგუმენტად) ვიშველიებთ ბოლო წლებში მეცნიერული და მეთოდური ხასიათის ინფორმაციის მოზღვავებას, რომლის ათვისება დღემდე კანონიზირებულ ორ სემესტრში უძნელეს საქმედ გვესახება. პუბლიკაციის ბუმის პირობებში იქნებ უარვყოთ „საათობანას" სტერეოტიპი და ჭეშმარიტად კვალიფიციური სპეციალისტი მივცეთ ქვეყანას?

ჯერი ავტორიტეტებზეა, დე, მათ თქვან ავტორიტეტული სიტყვა!

და ბოლოს: მადლიერების გრძნობით შევხვდებით ჩვენი მოკრძალებული ნაშრომის მისამართით გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.



## შ ი ნ ა ა ა რ ს ი


ვენის კონგრესი
საღვთო კავშირის შექმნა. პარიზის მეორე ზავი 3
ინგლისი 1815-1860 წლებში 11
საფრანგეთი 1815-1870 წლებში 14
გერმანია 1815-1870 წლებში 25
ჰაბსბურგთა მრავალეროვანი იმპერია 1815-1867 წლებში 54
ავსტრიის იმპერია 1815-1867 წლებში 76
იტალია 1815-1870 წლებში 26
ესპანეთი 1815-1870 წლებში 88
პორტუგალია 1820-1860 წლებში 106
აშშ 1800—1880 წლებში 114
ნიდერლანდების სამეფო 1815-1830 წლებში 117
1830 წლის რევოლუცია. ბელგია 30-40-იან წლებში 137
ნიდერლანდების სამეფო 1830-1870 წლებში 139
სკანდინავიის ქვეყნები 1815-1870 წლებში 142
შვეცია და ნორვეგია 1815-1870 წლებში 144
დანიის სამეფო 1815-1864 წლებში 144
შვეიცარია 1815-1870 წლებში 149
აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ხალხები 1815-1870 წლებში 151
პოლონეთის სამეფო 1815-1870 წლებში 154
ჩეხი და სლოვაკი ხალხები XVIII და XIX საუკუნეებში 154
ბალკანელი ხალხები XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. 60-იან წლებში 158
ბულგარეთის ეროვნული აღორძინება 164
სერბიის ბრძოლა ავტონომიისათვის 164
ჩერნოგორია XIX საუკუნეში 165
მდგომარეობა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში 167
სამხრეთსლავური მიწები ავსტრიის ბატონობის ქვეშ 168
სამხრეთსლავური მიწები (Land) რევოლუციის პერიოდში 168
სამხრეთსლავური მიწები XIX ს. 50-60-იან წლებში 169
რუმინეთის სახელმწიფოს შექმნა 170
საბერძნეთი 1821-1870 წლებში 171
ალბანეთი XIX საუკუნეში 175
საერთაშორისო ურთიერთობანი 1815-1830 წლებში 179
საერთაშორისო ურთიერთობანი 1830-1847 წლებში 180
საერთაშორისო ურთიერთობები 1848-1851 წლებში 189
ყირიმის ომი და ევროპული დიპლომატია 203
ევროპული დიპლომატია 1856-1863 წლებში 216
ევროპული დიპლომატია 1863-1866 წლებში 228
საერთაშორისო ურთიერთობანი 1866-1870 წლებში 237
I ინტერნაციონალი 1864-1867 წლებში 241
260